

114
1968 / 3.



ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

2

1968

ენათობი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 2

თბილისი, 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაქარი

გიორგი ლორთქიფანიძე — ფირფიტები. ორი ნაწყვეტი პოემიდან	3
მთარ ჩხიძე — ლანდები. რომანი. გაგრძელება	4
შალვა აფხაძე — ლექსები	41
თეიმურაზ ჯანაშვილი — ლექსები	43
ლევან გოთუა — მიტრიდაძე. რომანი. გაგრძელება	45
სოლომონ დოჭუბაშვილი — ნატარ არიან მორფოლოგი. შოთბრობა	67
კონსტანტინე კაუსტოვსკი — ოქროს პარდი. გაგრძელება. თარგმანა გურამ გოგიაშვილმა	76
ჰანსინ შულინგი — ლექსები. თარგმანა შოთის ფოცხიშვილმა	87
მეგრე და ნარვალე — ლექსები. თარგმანა გივი გიგეშკორმა	89
ჰანსრიხ ბილი — როცა ომი დამთავრდა. გერმანულიდან თარგმანა ნოდარ რუხაძემ	91

საბჭოთა არმიის 50 წლისთავი

გიორგი სვამიძე — ლინინგრადისა და კრონშტადტის მისადგომებთან	105
--	-----

მეცოცხეთე

კობა იმედაშვილი — ნოდარ ჩხიძე	123
-------------------------------	-----

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ნოდარ ჩხიძე — ლომ ქიქელი	126
თამარ ჩხეიძე — კოლაშ ნადირაის პოეზია	134
სოთა გავრილი — ხელნაწერი ბაჰეთების ისტორიიდან	142
პროკოპი რატიანი — ვიზიტაცია სენის ავტორის ვინაობის შესახებ	150



10846

წიგნების მიმოხილვა

ლ. ავალიანი — „შიავაის“ ავტარბი	179
ვლადიმერ ჯიბუტი — კობის ლექსების ახალი წიგნი	184
ბეჰან ჯაფარიძე — მცხრამება საუკუნის კართული შუკნალისტიკის მხრე ისტორია	186
მიქი კილაბერიძე — ალ. ფულუქიძის თხზულებათა მიორა გამოცემის გამო	189



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ბ. ულენტი,
ა. სულაქაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, ვ. წუ-
ლუკიძე, ო. ქილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩავეტაძე

ბელმოწერილია დასაბეჭდად 20/11-68 წ. ქა-
ლალის ზონა 70x108. ანაწყოების ზომა
7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.
პირბით ფორმათა რაოდენობა 16.

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

უე 01922. ტირაჟი 9.200 შტკ. № 86.

ტელეფონები: რედაქტორის — 3-55-11,
პ/მგ. მდივნის — 3-55-13, განყოფილებ-
ის — 3-55-15, 3-55-17, 3-55-20.

საქ. კბ ცე-ის გამომცემლობის პ/კომპიანიტი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14



უიროსგანი

ორი ნაწყვეტი პოეზიას

1

ნახე ტილოზე რა მოხდა:
მებადემ ბადე გაშალა,
ტყვიდან ირემი გამოსტა,
ნუკრი მოსდევდა თვალშავა,
დასხმულ ვარდებმა დაფარა
ბილიკები და გზაშარა...
— ეს ღვთიდან არი, იცოდუ,
ეს არ გეგონოს უბრალოდ!
— ვის გინდათ ნიკას სურათი,

ღვინოში გამოუბართო,
— ჭიჭა არაყი ეყოფა!
ფული რად უნდა ნიკოლას.
ჯიბე ხომ არ აკერია,
რას არგებს ფულის მიყოლა?
იტყვის ეშმაკის ჩახმაზი,
მიაწვდის არყის ნაწურალს...
შეიღიმოლა ნიკოლამ,
არყის ტალღაზე გაცურა...

2

— ვინ გამოგადო?
კითხულობს წვიმის

შიშველი სული...

ვის ეფარები?

— ახლა, ნიკოლა, საით წავიდეთ,
ხომ ვართ ორივე თანამგზავრები!...
ჩქეფით შესძახებს საწვიმე ღარი,
სახურავების გამდნარი შხამის,
ქალაქის ჭუჭყის გადამრეცხავი.
ერურჩულება, ესაუბრება,
ვეღურტულება, როგორც მერცხალი:
— რად ხარ ფერმკრთალი?
არ გაქვს ფერწყალი!
აღარც კერა გაქვს,
არც ნაკვერცხალი!
საით წავიდეთ?

დავრჩით მე და შენ!

აღარც საფლავი, აღარც ზედაზე!
თავში წაშენით მოსთქვამს და სტირის,
ნოემბრის ცრემლთა საწვიმე ღარი.
ხან ლაზღანდართობს, როგორც სატირი,
ხან ფიროსმანის შავ ბედს შექპარის...
ვიღაც ეძახის: ბედს გაგინასკვავ,

ქუჩას მიგაკრავ, სიკვდილს ინატრებ!
მე ამოგიჩენ ბედის სხვა ვარსკვლავს,
შავ სარდაფებში დაგაბინადრებ!

— ნუ დამისაზღვრავ ქუჩის ქვაფენილს,
მე საწყალი ვარ,
ნუ დამამწყრალებ,
ერთხელ მიყვარდა,

ერთხელ დავთვეერი,

მარად მივეტირი მთვარეს ნამცხრალევეს...
სარდაფში სევდით სტირის არღანი,
საწუთროსავით დაიმკვნესარებს,
ფქვავს ძველ იმედებს,

ტალღა ტალღაზე,

სძინავს უფსკრულში ცრემლით მკვესარე.
მიჭკიან დღენი ყორნის ფრთებივით,
საწვიმე ღართან სტირის არღანი...
ცვივიან დღენი ნაფერთლებივით,
რა ჯილდო არის...

რა არმალანი...

იწვიმოს წვიმამ...

იღინოს ღვარმა...

ცეცხლს ვერ ჩაგიქრობს ქვეყნის

წარღვნანი...

ლ ა ნ დ ე ბ ი

კ ო მ ა ნ ი

VII

ასე დაიცხო მღელვარება და განერი-
და, საშუალოდ გაიყარა ჩვენი გზებიო:
ან ეგებ არც ევლოთ ერთი გზითა, მხო-
ლოდ ეტმასნებოდნენ ერთმანეთსა, მიტ-
მასნებით გაჰყავდათ ერთიმეორე და
ამასობაში ისიც დაიჭერეს, ერთნი ვარ-
თო, ჩვენ ვანხორციელებთ შინაარსისა
და ფორმის ერთიანობას, ჩვენ გადავ-
ლახეთ აქამდის გადაულახავი წინააღ-
მდეგობანიო; აღარ დაიჭერებს, ყოველ
შემთხვევაში აღარ უნდა ამითთანა და
თუ მიტმასნებულან, მით უკეთესი, იო-
ლადაც ჩამოსცილდებან, ივლის თავისი
გზითა, როგორც უვლია, ისევე ივლის,
ოდონდ უამათოდა, უამათოდა... ასე გა-
დასკრა, უეცრად როდი, — იფიქრა, გა-
იზრა, აწონ-დაწონა, გაითვალისწინა,
დაახუსტა, დაიბეჯითა, დარწმუნდა და
გადასწყვიტა, მტკიცედ გადასწყვიტა;
გადაწყვეტილებად მტკიცე გახლდათ,
დანარჩენისა რა მოგახსენოთ, — ცხოვ-
რებას თავისი საღინარი ჰქონია, მიჰ-
ქუსს, მიღელავს, ბრუნავს, ბობოქრობს,
მიეჭანება და მიგაჭანებს; მიგაჭანებს და
ზოგჯერ ღრმა მორევებშიც ჩაიჭიტაცბ-
სო, გინდა თუ არა, ჩაიჭიტაცბესო და
უნდა ჩაჰყვე თუ შეატყობ, ჩაიჭიტაცბ-
სო, თუ შეატყობ, უნდა ჩაჰყვეო,
ამიტომაც უთქვამთ, ჩათრევას ჩაყოლა
სჯობიანო. დიდ გამოცდილებას მოჰყო-
ლია ეს ნათქვამი: ჩაყოლინი ეგებ
გადარჩენილან, ჩათრეულნი დაღეწილან
უსათუოდა; ზოგს ეგებ ერჩინა, დაღე-

წილიყო, ვიდრე უნებურ რამეს ჩაიდენ-
და, ეგება მხოლოდ ჭიდრილი ყრფილა
სილაამაზე ცხოვრებისა, ხოლო დანებება
სიმახინჯედ გამოჩენილა; ეგება ცხოვ-
რებას დაღეწილთა ბედი უფრო ამდ-
ლებს, ეგება სიცოცხლე მხოლოდ წინა-
ღმდეგობის სულია, ხოლო მორჩილება
— ლანდი სიკვდილისა, ლანდი საშიში,
მაძრწუნებელი. ასეა თუ ისე, ეურჩა მე-
გობრებას, ამჯერად ეურჩა და ჩამოსცი-
ლდა. ყველაფერი მეგობრებასაც არ ეპა-
ტიებათ, ან ყველაზე ნაკლები ეპატიებათ
მეგობრებას. ცუდად შეეხნენ, უბოდი-
შოდ ჩასტანტრეს ხელი, სულში ჩას-
ტანტრეს და შეირხა, შექანდა ურხევი
სული, შეირყა და მიადგა მეგობრობის
გზაჯვარედინსა, ჰო გზაჯვარედინად კი-
დეე ითქმოდა, მეგობრებს განშორდა და
მორჩა ოღონდ კოლეგებად კლდე
ითქმოდნენ, ეგრემც ყოფილიყო, კოლე-
გა უცხოა, უცხონიმც ყოფილან.

ჰო ითქმის სიმტკიცედა, მეტი სიმტ-
კიცე ეგებ ბევრ ვინმესაც არ გამოეჩი-
ნოს, მაგრამ ეს გახლდათ სიმტკიცე შერ-
ყეული სულისა და ამითი როდი მოთაე-
ლებოდა ყველაფერი. კარგი იქნებოდა,
მოთაეებულისყო, მაგრამ ჯერ ვერაეის
შეუჩერებია ზეავები, მეწყერებშიც ვე-
რაეის შეუჩერებია, სულის ზეავები ბევ-
რად ძლიერი ყოფილა, ბევრად მიუდ-
გომელიცა ყოფილა. დაძრულიყო ზეა-
ვები სულში, ფიქრი ეურჩებოდა, აზრი
სალ კლდეთ აღმართულიყო, ვეღარასა
შეევიდა, მომსკდარიყო, აწევებოდა,
სრესდა, ჩმუჩქნიდა ყველაფერსა; სალი
კლდე რა იყო, მდელი რა იქნებოდა,
სძლევდა ადვილად, ზედ გადადიოდა,

ასწორებდა, ათანბრებდა. რახან იქ გადაევიდა, უნდა გადაევიდა აქეთაცა. ძირამდის უნდა ჩასულიყო, ძირისძირობამდისა. რა ვუყოთ თუ არა სჯეროდა, — ყველა ყველა, მაგრამ იმლაშინდელ ამბავს ხომ მაინც არ დაიჭერებდა, ის ხომ იცის, როგორც თავისი ხუთი თითი, როგორც ზოლები ხელის გულისა, თუმცა არა, ზოლები ეგებ ისე კარგადაც არ იცოდეს, მაგრამ ხუთი თითი ხომ კარგად იცის, ხოლო ის კიდევ უკეთესად მოეხსენება: იქ იყო, ლალოსთან იყო; და ისიც იცის, თავისსავე ხუთი თითივით იცის, იცის, როგორც ძალა თავისი მარჯვენისა, — თუმცა არა, ეგებ ჯერ ბოლომდისაც არ მოესინჯოს ძალა მარჯვენისა, მაგრამ ხუთი თითი ხომ კარგად იცის და ეს კიდევ უკეთესად მოეხსენება: არასოდეს არავის დასდგომია ნიშნულად, არც დაუდგება; ხოლო ესენი... იცნობს აგრეთვე თავისსავე ხუთი თითივითა... ჭანდაბას თითები, იცის, იცნობს და ეს შედარება რაღას აპყვიატება, — იცნობს და არ აპყვება, არავის გაუგონებს, ავიც გაეგება, კარგიცა, ერთგულებაცა სწამს, ზნეობაცა, მის თვალში არ დამცირებულა არცა **პ**ტიოსნება, არცა გულწრფელობა, არცა სიკეთე, მაგრამ რაც უნდა იყოს, სჯობს, ჩამოიცილოს... ამათ ჩამოსცილდა, ჩამოსცილდა ძველ მეგობრებსა, ის ვიღაა, — თრიოდე წლის მახლობელი, ახალი გამოსხლეტილი თუ ჯერკიდევ გამოსასხლეტი ბიჭი? სჯობს, ჩამოიცილოს, არა იმიტომ, თითქოს იმათ გაუგონათ, არა, თ, არა, ეგრე ამყოლიც არ გეგონოთ ბიბოი; არ იფიქროთ, თითქოს ეურჩა, მერე მაინც ნებას დაჰყვით, არა: დიდიხანია დაუსკვნია, კარგახანია გადაუწყვეტია, არ გამოადგება მოწაფეთა, ვერ ივარგებს და უნდა დაითხოვოს. აქამდისაც უნდა დაეთხოვა, თან ეცოდებოდა, დიახ, დიახ, ეცოდებოდა, საოცარი გრძნობაა სიბრაღული, სიბრაღულმა დააყოვნა, აქამდის დააყოვნა და უნებლიედ დაემთხვა ერთმანეთსა, თორემ იმათი აყოლა რა სათქმელია!.. სიბრაღულსაც არ უნდა აჰყვეს ადამიანი, სიბ-

რაღულმაც იცის შეცდომებით, — თუ არ იცის, — რაც იყო, **ფ**ერისიტყვით დამემთხვაო... დამეგებაკრეფითა დგება რიყრეისასა. ქალაქში რიყრეი აღარ ითქმის, ქალაქს აღარც უხდება რიყრეი. საათი სოფელსაც გადასდებია, თითქოს იქაც აღარ ითქმის თუ იფიწყებნო, ოღონდ სოფელს მაინც უხდება რიყრეი. ქალაქგარეთაც კარგია რიყრეი, ქალაქამდისაც მოდის, მოდის და იკარგება, ჰქრება, უეცრადა ჰქრება, ვეღარც მიაგნებ თუ სადა წყდება, სად იკარგება, სადა ჰქრება... რაც უნდა იყოს, ფეხაკრეფით გადის რიყრეისასა, შემოდგომის რიყრეისასა. არც ისე ადრეა, რათქმაუნდა, ზაფხულის რიყრეითან შედარებით ადრე არ არის, ოღონდ მაინც ადრედ ითქმის ქალაქისთვისა. დაღუმებულა ის ვეება შენობა, გარეთაც თითოთროლანი თუ მოსჩანან, — ხალხიც თითოთროლა, მანქანებიც თითოთროლა, ხოლო აქ ეზოში არც არავინაა, ეზოში, თორემ სახელოსნოში უკვე არის, შუქი მოჩანს... ადრინად მოდის ხოლმე, ადრინადვე მოსულა, კარგი დროა სამუშაოდა, მყუდროებაა, ყურადღება არ იფანტება, არავინ ჩაეჩრება თუ ცხვირს ჩაუყოფს, რას აკეთებო; კარგი დროა, იცის ქამი შემოქმედებისა, ასე ახალგაზრდაა და უკვე იცის; დილას არ გააცდენს, საქმეს არ გადასდებს, ასე ახალგაზრდაა და ასე მუყაითი; არჩევს ყოველ სტილს ქანდაკებისა, ერკვევა ძველში, ერკვევა ახალში, ასე ახალგაზრდაა და ასე კარგად ერკვევა; ბევრიც წაუკითხავს, ბევრს არა ლაპარაკობს, ოღონდ მოსწრებულად იტყვის, მოზომილად იტყვის და ნაკითხობას შეატყობ, ასე ახალგაზრდაა და ამდენი მოუსწრია. ჯერკიდევ წინ უდევს დრო განსწავლისა, წინ უდევს დროც დახელოვნებისა... რაც უნდა იყოს, უნდა დაითხოვოს, ითქვა და მორჩა, არავის აპყოლია, ნუ შეეშვებოთ, დიდიხანია გადაუწყვეტია, მხოლოდ ეს იცოდეთ, შემოქმედებისათვის ხომ კარგია და კარგი რიყრეი, სათქმელადაც კარგია.

ახლოვდება სათქმელი, ლანდად მიდის რიერაჟის ფერებში, მიდის, მიდის... სახელოსნო თუ ატელიე ეზოშია. ეზო პატარად ითქმის ამ ვეებერთელა სახლისთვისა, მაგრამ ქალაქის გულიდან არცთუ მაინცდამაინც მოშორებულად, პატარად აღარ ითქმის, ყოველშემთხვევაში ატელიე ვეებერთელაა და თავისუფლად ეტევა იმ ეზოში. მზე კარგად დასტრიალებს, სინათლე ჩაღად ჩადის ქერიდანა, შუშის ქერიდანა. ცხადია ახლა არა, დღე რომ არის, მზე რომ ტრიალებს. ახლა მხოლოდ გაცრიაკებულია შუშები, ცრიაკი მატულობს, ნელნელა მატულობს, ნელნელა იღვევა ძალა ელნათურებისა. სათქმელი მიდის, ცრიაკი რომ მატულობს, ელნათურებს ძალა რომ ეღვევა. ეზოში ხეებიცა დგას, ნაძვიცა, ალგაცა, ოღონდ მოშორებითა დგას, შუქი რომ არ მოაკლდეს ხელოვანსა. მანქანის სადგომიც მოშენებია სახელოსნოსა, შუქს არ უშლის, შორსაც არ არის, მოშენებულია. პატრონი მოდის, თუმცა არა, სათქმელი მოდის, ნელნელა მოდის... ეს არ ელოდება, არც არასა გრძნობს; სახელოსნოს პატრონს არ ელოდება, ასე ადრიან ჩამოსვლა არ იცის, იმას საღამოთი სჩვევია აქ ფუსფუსი, განთიადი და დილა ამისია. მერეც შეიძლება აქ იტრიალოს, მაგრამ გაიღვიძებს დიდი ქალაქი, აქოთქოთდება დიდი ქალაქი, ისიც ჩაემბის ქალაქის ქოთქოთში, ხოლო თუ უნდა რამე მოასწროს, მანამდის უნდა მოასწროს რამე. ერთისიტყვით არ ელოდება, არც არასა გრძნობს. წინასწარი შიში არ იცის, ჯერ არავის დაუშინებია, ჯერ არავის შეხლია პირისპირა, წინააღმდეგობისაც არა იცის რა; მარცხიც არ იცის, გამარჯვებაც არ უგეგმნია. არც სიფრთხილისა გაეგება რამე, არავინ დასხმია, არავის ესხმის, არც მოსაროდალი აქვს, არც საეპკელი, წრფელია და თავისუფალი, მოვიდეს სათქმელი, მოახლოვდეს ლანდივითა, მოვიდეს, არცა გრძნობს, არც ეშინის, არცა გულადობს, არის ისე, სიაღალე როგორც იქნება.

ლანდი შემოდის, რიერაჟი შემოდევს ლანდას, ვერ იმძლავრებს რიერაჟი, გარეთ გაისვრის შუქი ნათურებისა. ლანდი ირხევა, ლანდი ბორიალობს, იწეწება, თითქოს ქარი შემოპყლია. ქარი სწეწავსო. ეს უკვე ჰხედავს, რა თქმა უნდა, ჰხედავს, არც უკვირს, არც უცნაურად ეჩვენება, არც ეეპკება, არაფერი ეეპკება, მხოლოდ შეპყურებს, ელოდება, რას მიბრძანებსო. საღამს უბრძანებს და საღამს უბოძებს. თიხა უქირავს, ზილავს, გადაგრებს, დააგრძელებს, ჩაღუნავს, შეზილავს ისევე, კვლავაც ჩაღუნავს, მოზრილობას ეძებს, მოქნევას ეძებს იდაყვისა თუ მუხლისა. ჩქარა მოძრაობს ხელები, ჩქარ-ჩქარა იცვლება სახე თიხისა. ასე ახალგაზრდა და ასე სწრაფი ხელის პატრონი!.. მაგრამ გეარით მოსდგამს და კვიცი გეარზე ხტისო. სულერთია უნდა წავიდეს. ეს არასა გრძნობს, არცა ჩერდება, მხოლოდ ხანდახან შეაგლებს თვალსა, კიდევ რას მიბრძანებსო.

— ამირანია?.. — ბიბოს კითხულობს.

— არა.. — სანდომიანად ილიმის ახალგაზრდა, — დეტალს ვეძებ.

— ამირანისა? — გამოშქვევად შეპყურებს ბიბო.

— არა. — სანდომიანად უარყოფს ყმაწვილი.

სანდოდ უარობს, ენდობა ბიბოცა, მაინცა სწყინს, წყენა შეეცყობა.

— მაშ რისთვის გინდა?

— ამისთვისა.. — თავს გადაიქნევს ყმაწვილი, საფლავის ძეგლისაქენ გადაიქნევს თავსა. ძეგლი მოთავებულა, ბევრიც აღარაფერი აკლია, ბიბოსათვის შეუკვეთითა, ბიბოს ზარი მოუხსენებია თუ მონახაზიც მიუტია, ეს ასრულებს, აზუსტებს, ბიბოსთვის აზუსტებს. ბიბოსთვის აკეთებს, იმის საშვალუბაცა აქვს, თავისთვისაც აკეთოს რამე, დროცა აქვს, ადგილიცა სახელოსნოში. ბიბო მხოლოდ საღამოთი შემოვა, დამამობით უყვარს მუშაობა, მუზა მაშინ თუ ეწვევა ხოლმე, თუნდაც დღისითაც ეწვიოს მუზა, — ეწვიოს, სახელოსნო დიდია, კეთილმოწყობილი, მოხერხებული,

ორივეს დაიტევს, მეტსაც დაიტევს, მყურთა და მოხერხებული. ყმაწვილს ეხარბება ეს სიმყურთოვე, ეს მოწყობილება და ლაზათი, ისიცა — საქმე რომ აქვს, ბიბოს შეკვეთები მოსდის, ეს იწაფება, ეუფლება ქვასაცა, მარმარილოსაცა, თიხისა ხომ ბატონპატრონია, თიხა არაფერი, ქვაცა მორჩილდება, მარმარილოცა ნებდება. ბიბოს საქმე გაიოლებია, ორივე კმაყოფილია და მაინც უნდა წავიდეს, უცნაური! არა, — თავს აქნევს ბიბოთი, — არ არის უცნაური, უნდა წავიდეს!

— იმისთვის? — მიზეზიანადა კითხულობს ბიბო.

— რისთვისა? — მიაშიტად მიადევნებს ახალგაზრდა.

— იმისთვისა?... ამირანისთვისა?... —

— ჰოთო... — უბრალოდ, გულუბრყვილოდ გააგრძელებს ახალგაზრდა.

— სად აკეთებ? — არ ეშვება ბიბოთი, — ვგონებ სხვა ადგილი არა გაქვს, შეევიწროვდი შენი გულისთვისა და სამაგიეროს ასე მიხდი, არც მენდობი!.. სადღაც სხვა ადგილი ამოგიჩემებია... — ამბობს ცოტაარცოს ვახარებული, კარგად გამოდის, მოხერხებული შესავალია, შეეუბრაცხოფილვარ უნდობლობითა, მეც რომ არ ვუთხრა, თვითონვე მიხედება, უნდა წავიდესო.

— სხვა ადგილი? — ახალგაზრდას უკვირს, ისე, უბრალოდ უკვირს, — მხოლოდ აქ დადგვიარ.

— მაშ ამირანი...

— არდადეგებისათვის თუ ვიცლი და... იქ... შინ... — ნაწყვეტნაწყვეტად ამბობს ახალგაზრდა, მაინც ახერხებს ყველაფრის თქმასა. თიხას გამოიყვანს, ნიმუშად დაიდებს, ქვას მიუბრუნდება, მიუბრუნდება საგულდაგულოდა. ჰმ, თვითონვე მიხედებო... მიხედრას არა ჰგავს, შარიც არ გამოდის, არა, არ გამოდის, მხოლოდ არდადეგებისას თუ იცლის, შინ თუ აკეთებს, ბიბო რად უნდა იყოს შეუბრაცხოფილი? მაგრამ რომ უნდა, შეუბრაცხოფილი იყოს, საბაბი რომ უნდა, კაი გვარიანი, ღონიერი, ბეჯითი საბაბი, ამ ყმაწვილის ჩამო-

ცილებსა? ჩამოცილება უნდა, თანაც სჭირდება, ძალიანაც სჭირდება, სახარბიელოც არის სარგებლის თვალთა, მაინც უნდა წავიდეს, უმჯობესია თავისით წავიდეს, ხოლო ეს ვითომდაც აქ არაფერი, საგულდაგულოდა თლის ქვასა.

თითქოს ღრუბელი წამოეხურა სახელოსნოსაო, ჩამოხურუსდა. დღისიერი მატულობდა, თუმცა ჯერ მაინც ვერ მომძლავრებულყო; დღისიერი მატულობდა და ძალა ელყოდა ნათურებსა. იყო ჟამი გარდატეხისა, ხოლო ვიდრე გარდატეხებოდა, ლანდი რამ დააწვა იქაობასა, დააწვა, ჩაბინდა, მიამტყნარა.

— „იქ“ არ ვიცი... არა ვყოფილვარ...

— მიაშიტობისა და გულუბრყვილობის მიბაძვით ამბობს ბიბო, — შენც არაფერი გითქვამს, ჰოდა არ ვიცი, ეს არის დაიწყე თუ კიდევაც ამთავრებ, ოღონდ შენ მაინც იცოდე, საგაზაფხულო გამოფენისათვის გენადი გამოიტანს „ამირანსა“.

— რომელ ამირანსა? — იკითხავს ყმაწვილი, არცა ჩერდება, კითხვითაც იკითხავს ისე, ზრდილობისთვისა.

— თავის ამირანსა! — ბიბო მკვეთრად მოსჭრის, მკვეთრად და ნიშნისმოგებითა, მალე ემტვრევა კილო გულუბრყვილობისა.

— ამირანსა?! — ცვლავ იკითხავს ვაჟი, ჩაქუნსაც დაუშვებს, გაიღიმებს, ბავშვით გაიღიმებს, ბავშვსაც დაემგვანება; თუ მოილუშა, დამჯდარი ვაჟკაცი გვგონებათ, თუ გაიღიმა, ბავშვად იქცევა, თოთო ბავშვად, — ძვლები დაგეწვით, რამე რომ ეტკინოს, აღივსებით სასოებითა, — ამირანი იმისი თემა რომ არ არის?..

— შენია?! — შესძახებს ბიბო დამცინავად.

— არც ჩემი, — აღარ იღიმის ვაჟი, — მაგრამ იმისთვის მაინც ძალიან შორეული უნდა იყოს...

— მსჯელობა ნადრევიან გვიანდა, ნაწარმოები თითქმის დასრულებულია, — მიუახლოვდება, უნდა კარგად დააკვირდეს, ჩახედოს თვალუბში, არ უნ-

და გამოჩნეს თუ როგორ შეკრთება. მაგრამ არ უკრთის თვალები, მხოლოდ ცნობისმოყვარეობა ამოხენია, ისიც მკრთალადა, ძალიან მკრთალადა; თუ ეტყვი, ხომ კარგი, თუ არა და, გადაუვლის, გაუქრება, აღარც მოისურვებს გაიგოს, თითქმის დაუმთავრებია თუ სულაც დაუმთავრებია ან რა ამირანია ეს მოულოდნელად მოვლენილი ამირანი, არა, არ მოისურვებს, ოღონდ ბიბოც არ ეშვება, უხსნის, ჩასძახის დაბეჭითებითა, — ლაოკონს ეხმაურება, უკეთუ უპირისპირდება, გამოწვევა ლაოკონისა, პოლემიკა ანტიკური ხანის შემოქმედებთანა. იქ ფიგურები ცალკალკია, გათიშულია და მარცხივ გარდაუვალა, სამივეს დააბრჩობს გველი. აქ ფიგურები ერთადაა, ერთსულოვნად შემქვიდროებულა ხალხი, ერთსულოვნებიდან ამოვარდნილა ძლიერი მკლავები ამირანისა, მძლეთამძლე ხელები ახრჩობს გველსა. — იტყვის გატაცებულივითა, უცებ მოსწყვეტს და ირიბად მიაცქერდება, პირისპირ თუ ვერ მიუხვედი, ეგებ ირიბად დავიჭიროო.

ცნობისმოყვარეობის შუქიც ჩაიწვეს ვაჟის თვალებში, კვლავ მიამიტად გამოიყურება.

— მასების ერთსულოვნებიდან ამოტაცებული მკლავები უსათუოდ ამირანისა? — იკითხავს ვაჟი ჩვეულებრივი უბრალოებითა, მაგრამ ბიბოს მოეჩვენება, ჩუმად გულში ჩაიციინაო.

— ამირანისა!.. — მტკიცედ განაცხადებს, ბრძანებს ბიბოი, ენახოთ ერთი, კიდევ თუ გაიბედავს შეპასუხებასაო.

არც აჭირებს შეპასუხებასა, რაცა თქვა, კმაროდა ზრდილობისთვის, საქრთელს მოიმარჯვებს, ჩაქუსს შემარბთავს, ქვას ევეთება, გასაგები გაიგო, განაგრძობს საქმესა. ძნელად მოიძებნება ასეთი თანამემწე, ვერაფერ შეელევა, ვერაფერ დასთმობს, მაგრამ უნდა წავიდეს, ითქვა და გარდაწყდა, შეუვალა გარდანიწყვეტი ბიბოსი, მტკიცე, ურყველი, გაუტყეული. არც ეს მოჩანს ადვილი მოსარყევი თუ მოსატყეხი, ეტყობა, ვერაფერს გააწყობს ასეთი

შორს მოვლითა; ან რა შორს უვლის, რა პროპაგანდისტად დასდგომა გენადისა, თითქოს ენახოს, თითქოს დარწმუნებულყოფს თუ სჯეროდეს. მაინც უცნაურია, ამისი დასვა მოუნდომებია და უნებურად დამდგარა გენადის მაქებრადა, ძველისძველი მეგობრისა თუ აწ გზაგაყრილი მეგობრის მაქებრადა. ალბათ მაინც ის უჩვენებია, ნათქვამიც არის, ძალი ძალის ტყავს არ დახევიო, ნათქვამიო და მართალიაო, მაგრამ ძალღებს რომ უგლეჯით ერთმანეთის ტყავი, იმდენს მგლებიც ვერ დაგლეჯდნო. რაც უნდა იყოს უხერხული ანდაზა, გენადი თუ გაუმეტებია, თავისთვის მაინც უხერხულია, ხოლო თუ უხერხულადაც აღარ ეჩვენება, მაშ ბრაზობს, საჩხუბრად შემართულა, წუთიცა და თავს ველარ შეიკავეს. არც ასე უნდა, ვინ იცის ხვალინდელი დღე როგორი გათენდება, ვინ იცის ვინ სად მოექცევა, ვის ვისი საფერაო გაუხდება, ადამიანის გადაცილება არ ივარგებს, მერე ასეთი ახალგაზრდა და გულითადი ადამიანისა, არა, არ ივარგებს, უადგილოა ჩხუბი თუ დავიდა. რაბა, სიამტეხილობით უნდა ჩამოიცილოს, ჩამოიშოროს და თან გაატანოს გრძნობა მოვალეობისა... ამაგი გაუწევი, დასანანია გაწეული ამაგი, ჯანდაბას ყველაფერი, ჯანდაბას სიფრთხილე ხვალინდელი დღისა, ამაგი ადვილად არ დითმობა. იმაზე მწარეც არაფერია, ამაგზე რომ ფეხს დაგიდგამენ ან შენ თვითონ ჩაიწილავ შენივე ამავსა, არა, უფრო მწარე არაფერია. ასეცა ყოფილა, ისეცა ყოფილა, გამოუცდიათ ორივე სიმწარე, საამისო ანდაზებიც შემოუნახავთ: რომ გაიზრდები თბოლო, რა იზამ ნეტავ მაჩვენაო; — დედას ვუტირებ ჩემს გამზრდელს, ნეტავი მართლა გაჩვენაო. ფურმა იწველა, იწველა, ჰკრა წიხლი და დააქციაო, ბევრი სხვაც შემოუნახავთ, ოღონდ ახლა თუ ვერ შეიკავა თავი, ყველაზე შესაფერისი მაინც ეს იქნება: ფურმა იწველა, იწველა, ფეხი ჰკრა და დააქციაო. არ უნდა დაქციოს, მაგრამ არ გამოდის სხვანაირადა, ცური აუწურია, მუხლი ასატაცაა,

პა, აიტაცოს თუ არა, ჩასცხოს თუ არა...

— ვიწყებ დიდ კომპოზიციას... — ამბობს ბიბოი.

— გაზეთში წავიკითხე... — ვიცის, აუწყებს ვაჟი.

— მთელი დარბაზი დამპირდება...

— ალბათ თანამშრომლებს აიყვანთ...

— ამბობს ვაჟი, თვალები აუციალდება თუ შეუფერადდება, მთლად ბავშვია,

აქცენტრუებული, გაზარებული: ბიჭებს საქმე გაუჩნდებათ, ცოტა ფულს გააქე-

თებენ. ნიჭიერი ბიჭებიც არიან, გონიერი ახალგაზრდებიც არიან, წარმოსახვებით

აღესილნი, ძლიერნი, დაუზოგველნი, უშურველნი, თემებისა და სახეების გა-

ჭირვება ჯერ არ იცის, არცა ძუნწობენ, თუ აკეთებენ, აკეთებენ სრულის მონდო-

მებითა, დაე სხვისა იყოს, დაე მხოლოდ შემსრულებლებად მიეწვიოთ, მაინც არ

ღაიშურებენ არაფერსა, აქვთ და ემე-

ტებათ, არც არავის გამოარჩევენ, ჰყავთ ერთი რჩეული, მშვენიერებაა იმა-

თი რჩეული, ღმერთია იგი, ლოცულობენ ზელაბყრობილნი; ჯერ ასე არიან,

მერე რა იქნება ვინ იცის, ან რაღა ვინა, — ამან მაინც იცის, ასევე გაიყრ-

ბიან გზაჯვარედინზე, ეს როგორც გაე-

ყარა გელისა და ნესტორისა; ეგება უარე-

სადაც გაიყრებიან? რაც უნდა იყოს, ჯერ ასე არიან და ეს ყმაწვილი რომ იხ-

მობს, მოვლენ მთელს გულწრფელობითა, ხალისითა, დაუდგრომლობითა,

ასწვევენ, აიტანენ ამ სახელოსნოსა, ტაძრად გადააქცევენ. არა! უნდა წავი-

დეს, არ მოლბება ბიბოი. ბევრი რამ უნახავს, რბილი რომ ადვილად ისრისე-

ბა, ისიც უნახავს, არ მოლბება, არ გაეს-

რესინება არავისა, — უნდა წავიდეს. მაგრამ ეს ბაიბურშიც არ არის, წავიდეს

რომელია, სხვებსაცა სთავაზობს, პირ-

დაპირ ეუბნება, მაინც არ ჩავარდნილა გულისხმაშია, — მთელი დარბაზი დამ-

პირდებაო, უფრო ნათლად თუ პირდაპირ როგორღა ითქმის, — ეს კი მისჩე-

რებია გაბავშვებული, გამოცოცხლებუ-

ლი, ახლავე გავიჭევი, ახლავე დავუძა-

ხოო.

— ჯერ არა... — ბიბო იღუშება.

— არა, — ბიბო აცხადებს, — დარ-

მაინცა კრიალებს სახე ბავშვური.

— გავაფრთხილებ, წინასწარ იცოდ-

ნენ... — არ დამპირდებიან! — მოსჭრის ბიბოი.

ბავშვური სახეც მოიღუშება, თუმცა არა, განა მოიღუშება, — შუქი გამოპ-

ქრება თვალთა არედანა, ჩაღინჯდება, ჩაიბინდება. ეს ჩაიბინდება, ხოლო დი-

დი ბინდი გადაივლის, დღისიერი დატ-

რიალდება, დღე დღევდება, სხვა შუქით ივსება სახელოსნოცა. ეს მაინც ჩაბინ-

დულა, ჩრდილი გადავლებია ბიბოსი, ბავშვური სიზალისე გადაკარგულა, ატა-

ცებას გადაუვლია და განა შეწუხებულა. არა, მხოლოდ ჩაღინჯებულა. გაქე-

ქილს გატეხილი სჯობიანო, გატეხილიც ეს არის, მაგრამ არც არის, არაფერი გა-

მოლის, ისე გაქექილს დამგვანებია, მე-

ტი შექვაც აღარ შეიძლება, უნდა გა-

დაწყდეს, — გაწყდეს, გაწყდეს, სადაც წერილიაო, გაწყდეს:

— მთელი დარბაზი დამპირდებამეთ-

ქი, — რაც შეიძლება მკაფიოდ გამოს-

თქვამს, — უნდა მოვცალო, ყველაფე-

რი უნდა გავიტანო.

— ჩემიც... — წარმოსთქვამს ვაჟი, თითქოს ჩურჩულებს თუ ხმაშალა ფიქრობსო.

— ცხადია! — ფიქრია თუ ნათქვამი, სულერთია, ფეხდაფეხ მისდევს ბიბო,

— ცოტახანს სადმე უნდა გადახვიდე... მოსძებნო, არ გაგიჭირდება... თუ გაგი-

ჭირდება, მევე ვთხოვ ვინმესა. ცოტა-

ხანს, დიდხნით არა...

— ამას მაინც მოვრჩები... — ამბობს ვაჟი და საჭრეთელს უმარჯვებს, აჩქარებს ჩაქუჩისა. ჰო თითქოს კარგია, ბარემ

მორჩება, მოათავეებს, გადავებულად არ დაუფდებს, კარგია, მაგრამ რამდენიმე

დღეს კიდევ დარჩება, — არა, არ ივარ-

გებს, მორჩა, გადაწყდა. თვითონვე მოათავეებს მოსათავებელსა ან ვინმეს მოი-

წვევს, ვინც უნდა იყოს, ოღონდ ეს წა-

ვიდეს, ფასადაც რომ დაუჭდეს, მაინც სხვა ურჩევნიან, ეს უნდა წავიდეს, მორ-

ჩა, გათავდა.

— არა, — ბიბო აცხადებს, — დარ-

ჩეს, როგორც არის. გადადება აღარ შემიძლიან, დღესვე ვიწყებ... — ასე მოსკრის, ოღონდ მოსკრის დუნდა, სისველეს იგრძნობს, — ოფლი მოსდები შებლზე, ყელ-კისერზე, გულზე, ცხვირსახოცს ამოიღებს, იწმენდს ოფლსა; სიციხისა არ არის, შემოდგომის დილაა, გრილი დილაა, მზეც არ მომართულა, რომ მოიმართება, საოფლედ მაინც არ მოიმართება, ეს მერე, შუადღისათვის ითქმის, თორემ ამ აღრიან დილით ჯერ მაღალ შენობებსაც არ ჩასცილებია, ჯერ ატელიეშიც არ ჩაუხედაია; არა, სხვა ოფლია, — მხნობდა, რიხიანადა და გამოიწვევდა ლაპარაკობდა, მაგრამ ალბათ უჭირდა, ალბათ ძალიან დაძაბულიყო, გადაწყვეტამდის დაძაბულიყო, გარდაწყდა გარდასაწყვეტი და თვითონაც გარდაწყვეტილიყო. ალბათ ასე იყო, ოფლი არ მოსდევდა ცხვირსახოცსა, არა შრებოდა შებლი თუ ყელ-კისერი, ეგება ოფლიც არ იყო, დაქანცულობასა ჰგავდა, მოდუნება იყო, ოფლის შეგრძნებად ამოფენილყო. რაც იყო იყო, მოთავდა და გავიდა, ჩვეულებრივი, რიხიანი, კმაყოფილებით მოსილი აღამიანის ნაბიჯით როდი, არა, თითქოს ვიღაცას დაუბეგვიათ, ისე გავიდა.

VIII

ჰო გავიდა ნაბეგვითათო... ეს ერთხანს მაინც არ წამომდგარა, ხელი არ აუღია, გულდაგულ მისდევდა ზოლსა, ლაღი მოქნევა უნდოდა, ლაღი, თამამი, თვალის მიმტაცი, ნასკვიც უნდოდა ძველქართული ორნამენტისა, გულისყური ამბ მისდევდა, საჭრეთელი თან მიჰყოლოდა, ნებას დაჰყოლოდა და ის ველარ გაეგო თუ რად იგვემებოდა ბიზოი. ვერც იმას მიმხედარიყო თუ რა სიძნელე ელოდებოდა, მერედა მიხვდა, ზოლი რომ მოიქნია, ნასკვი რომ ამოსვა, მიხვდა, ოღონდ ჯავრსა თუ ნაღველს არ მისცემია, უნდა წასულიყო და რახან უნდა წასულიყო, სჯობს წასვლა წამავალისა, არ დაყოვნება ხანისათ, გონიერი რჩევაა და გამგონესაც გონიერება მართებსო. გონიერება ჰყოფნის და აგ-

როებს თავის ნაკეთობანსა თუ ნაშუშვარსა, აგროვებს სხვადასხვა ნიმუშებსა, პორტრეტებსა, ბარელიეფებსა, ესკიზებსა, დეტალებსა...

საკმაოდ დაგროვდა. სამი წელიწადია ამ ატელიეში მუშაობდა, მუშაობდა ახალგაზრდული შთაგონებითა და გატაცებითა, აკეთებდა ასლებს კლასიკურ ქმნილებათა, თხზავდა თავისასა, სცდიდა ყველა სტილსა, აქ დაგმობილსა თუ გაკიცხულ სტილსაც არ ერიდებოდა, იწაფებოდა და უნდა განეცადა ყველაფერი, ყოველმხრივ უნდა გაწაფულიყო; მერე მოსწონდა ზოგი, ზოგი აღარა, მაინც აქ დაგროვდა ყველაფერი, დაგროვდა და არცთუ ეტყობოდა აქაობასა, ატელიე დიდი გახლდათ, ბლომი, ვეება, თავისუფლად იტევდა ამისასაცა, იმისასაცა, თავისუფლად იტევდა ჩაწყობილთა თუ ჩალაგებულთა, ხოლო გამოცალკევებული და ახროვილი, ბევრი გამოვიდა, გადასახიდად აღვილი არ გახლდათ, ოღონდ საღ გადაზიდავდა, — ეს კიდევ სხვა სიმძიმე იყო. ამ სიმძიმემ მოხარა, ჩაადიქრა. საღ წაეღო, საღ შეეფარებინა. საღ დაეღაგებინა ეს ამდენი თამა თუ თამაშარი, ქვა თუ მარმარილო, ჩამოკვეთილი, ამოქერწილი? რა ვუყოთ თუ აღარც მოსწონდა ზოგი იმათგანი, თავის დროზე ზომ შთაგონებულყო, გატაცებულიყო და რომ შეესრულებინა, კვლავაც უღვივდებოდა ის გატაცება, ეს თუ არ მოსწონდა, შთაგონება მაინც უღვივოდა. უფრო უღვივოდა, უკეთესისაკენ ეწეოდა, ეწეოდა მშვენიერებისკენა.

ჰო საღ წაეღო... კარებთან მიაწყო, კარებთანვე იდგა, უნდა გაეტანა, უნდა გასულიყო, წასულიყო, ერთი ნაბიჯილა აკლდა. ასე იქნებოდა, როცა იქნებოდა დადგებოდა ეს ქამი, სამუდამოდ ზომ არ შემოკედლებულიყო, მაგრამ მაინც მოჰკიდებოდა სინანული, მიჩვეულიყო, გაშინაურებულიყო. რაც იყო, იყო, უნდა წასულიყო, სხვაგანაც მიეჩვიოდა, იქაც გაშინაურდებოდა, ეს სინანულიც დასტოვებდა რაიმე კვალსა, შეიძლება ვერც ამოეცნო, ვერ მიმხედარიყო, მაინც დასტოვებდა, როცა იქნებოდა თავის

შეახსენებდა, ყრუდა, უჩუმრადა, გაუგებრად, მაინც შეახსენებდა. სულ ყველაფერი დაემჩნეოდა, — რაც ერთხელ სულსა ზედ დაემჩნევის, საშვილიშვილოდ გარდაეცემისო. მაგრამ ახლა სად წასულიყო? ფიქრი ვერას ურჩევდა, თუმცა თვალწინ უდგნენ მეგობრები, არც თვალს არიდებდნენ, უჭირდათ თუ ულხინდათ, შეიკედლებდნენ, ოღონდ თვითონვე ვერ მიეკედლებოდა, თვითონვე არიდებდა პირსა; თუ აღვიღს ვერ გამოსძებნიდა, რომელიმე იმათგანს თუ უსათუოდ უნდა მიჰკედლებოდა, ამოდენა ყორეს მაინც ვერ მიაყენებდა, ვერსად დასტევდა. აქ კარგი იყო, აქ არც ემჩნეოდა, ჩაკარგულიყო დიდ თაროებში, კიდევაც ჩაიკარგებოდა, მაგრამ დღესვეო და შემომქმედი შემომქმედი, დღეს რაც უნდა გაკეთდეს, სახვალიოდ არ გადაიდება, თუ გადაიდება, სხვა რამ იქნება, სხვა რამ გამოვა, სრულიად სხვაი, ეგებ უკეთესი, ეგებ უარესი, — ოღონდ ვინ იცის, ეგება სწორედ უკეთესი იკარგება, ახლაც, ამ წუთშიც იკარგება უკეთესი, აი ამ წუთში, საზრუნველს რომ წაუღიხარ და ვერაფერი მოგისაზრებია, ეგება ზრუნვა გადაღობია, ეგება დიდი ფიქრი ჩამოწოლილა, ჭეშში უნდა გამოიკვეთოს, გამოიკვეთოს დიდებული რამ, ჟერ უნახავი, ჟერ მიუწვდომელი, ეგებ ის ეამია, მშვენიერს რომ უნდა მისწვდეს ხელოვანი, სწორედ ის ეამია, ეამი მშვენიერებისა, ეამი მიწვდომისა და თუ გადავიღს კვლავაც მიუწვდომელი იქნება, მიუწვდომელი სამარადისოდა. შემოქმედებაც სამყაროა, უსაზღვრო და უდასაბამო, ნიჭი ბრუნავს უდასაბამო სამყაროში. ბრუნავს მშვენიერიცა, იშვიათად მიუახლოვდებიან ერთიმეორესა, ერთი წამით მიუახლოვდებიან და ასცდებიან მაშინვე, მყისვე, ასცდებიან და ვინდა უწყის კვლავაც მიუახლოვდებიან თუ არა; ეგებ ეს წამია, ეგებ სხვა წამია, ვინ იცის, ვინ უწყის, ვინ გაცდის საამისოდა, უნდა გახვიდე, წახვიდე, შენს გზას ეწიო, ამას გაეცალო, საბაბად არ ექცე, ეგება სწორედ ეს უახლოვდება,

ვინ უწყის დარეკა ამისმა ეამმა, — უნდა გაეცალო, საბაბად არ გაუხდეს, თორემ მიმახლოვებელი აქამდისაც მიუახლოვდებოდა, ძალზე შორიდან მაინც მოჰკრავდა თვალსა, მცირე რამ სხივი მაინც მიენათებოდა, თუმცა შენ გაეცალე, შენ არ იყევ საბაბი, სხვა თვითონ იცის, თვითონვე იციან მაგისმა გენიამა და მშვენიერებამ, სამყაროში რომ დამქრიან და ეძებენ ერთიმეორესა ამ უდასაბამო და უთავებამო სამყაროში.

არა, არ უნდა შეუშალოს ხელი, იშვიათია, სასწაულებრივია, საუკუნეობრივია ასეთი შემთხვევები, არ უნდა შეუშალოს, გაიხვეტოს, გასახვეტელი გავიდეს და გაიკეტოს კარი. თუნდაც დაავდოს ღიად, ეგ არაფერი, ეგ არ შეუშლის ხელსა, ოღონდ გაეცალოს, ვამორდეს, რაც შეიძლება მალე, სწრაფადა, ძალიან სწრაფადა, უსწრაფესადა, თორემ ლანდიც რომ ჩარჩეს, ერთი წამითაც რომ ჩარჩეს, შუაში მოჰყვეს, ვეღარ შეხვდებიან ანუ ვინ იცის სამუდამოდაც ასცდებიან ერთიმეორეს გენია და მშვენიერება. ჰო უსწრაფესადაო... ცოტა ხანს მაინც მიატანიებდეს დიასახლისი. ერთი ბუზლუნა ქალი გამოადგა, ბუზლუნა, დუდლუნა, ღურღურა ქალი. არც არავინ მოიყვანო, არც არაფერი მოიტანო, თავიდანვე გაურიგდა, გოგოები ხომ თვალთ არ დამანახვო, თუ დამანახვებ, შენ აღარ დამენახო. გაურიგდა და ასრულებს განარიგებას, მაგრამ ამ ერთხელ მაინც მიატანინოს, ხომ არ გამოჰყენს, მიჰყრის სადმე, დერეფანში მიჰყრის ან შუშაბანდში, ცოტახანს მიჰყრის, ვიდრე აღვიღს გამოუძებნიდეს. მიჰყრის, მაგრამ ვინ მიაყრევინებს, ვინა, — კარს ვერ გამოაღებს. მღელვარებს, ცხარობს, თითქოს და რაო, შენი ბრალიაო, შენა ხარ, რაცა ხარო, ვერც გადამირჩებიო, ემუქრება და ეკაბუნება, ბურღავს და ღრღინს, წყევავს და ჰგვემავს, იმის მაგივრად, ერთბაშად რომ უთხრას, ჭირა უნდა მომი-

მატო; თუნდაც უთხრას, მერე და რაო, სტიპენდიას მთლიანად აძლევს და მეტიც არაფერი მოუხერხდება, არ მოუხერხდება და ისიც არაფერს შეატანინებს. ეგ კიდევ არაფერი, უარესი რამ არ მოიფიქროს, ემანდ იმანაც არ გამოაპანდუროს ამ ცამოწმენდილზე. საკვირველი არაფერია, ნათქვამიც არის, ერთი უბედურება კაცს არ მოჰკლავსო, სხვაც უნდა მოჰყვეს, ზედიზედ უნდა წაეწყოს უბედურებანი, ერთს გაუძლებს, რომ ვერ გაუძლოს, სხვაც უნდა მოჰყვესო.

მაგრამ ის ჯერ მოსალოდნელია, ეს კი გასატანია, ახლავე გასატანი. იქ, ზევით თითქოს ფანჯარა გამოიღო, თითქოს ვიღაცამ გამოიხედა, რაღა ვილაცამა, ბიბოშ თუ გამოიხედა, წავიდა თუ არა, დროა თუ არაო. დროა და ჩამოდი, აგერ ეზოში გაჰყრის, მიხვეტავს ენჭულში, გაგარიდებს, აქედან გაგაშორებს, იქიდანაც მალე წაიღებს თუ ვერსად შეატარა, ხევში ვადაჰყრის, მორჩა და გათავდა, კიდევ ბევრი ხევია თბილისის გარშემო, ბევრი და დიდნი, ხახა დაუღიათ, ერთს ამოიქშენენ და გადაყლაპავენ უეცრად, თითქოს ყოფილა, თითქოს არაო. პოდა გადაყლაპონ, ჯერ მაინც ეგება მოსძებნოს ადგილი.

ან ვითომ რა დიდი საქმეა, — ჩინებული ბინა აქვს დეიდა სალომესა, ვეებერთელა სარდაფიცა აქვსო. თუმცა მხოლოდ გაუგონია, ჯერ კიდევ იქ, სოფელში გაუგონია, ბავშობისას გაუგონია, იმის მერე როდისაქეთია წამოიზარდა, აგერ აქაც ჩამოსულა მეხუთე წელიწადი და იგივე ახსოვს, ბავშობისას რომ გაუგონია, არც გასაგონად მომატებია რამე, არც თვალით უნახავს. არა, ბინადრობა არ უნახავს, იქ არა სწვევია, თორემ თვით დეიდა სალომე როგორ არ უნახავს, — უნახავს და კიდევაც მოსწონებია, ენატკბილი ქალია, მოალერსე, სანდომიანი, სათნო, მოსიყვარულე, უშურველი, მოკეთე და მოჭირნახულე, მოსწონებია და მოხიბლულა, თუმცა მალე გადაუვლია იმ მოხიბლულობასა, მაგრამ ეს იმიტომ, იშვიათად

რომ შეხვედრია, ამ ბოლო დროს აღარც შეხვედრია. აქ ჩამოდიოდა... იქ ზევით სწვევია და აქაც ჩამოსულა, ატელიე დაუთვალეოებია. ბიბოს ახალ ნაწარმოებებს გასცნობია, ამასაც მაშინდა გასცნობია, გადახვევია, გადაუკოცნია, ცრემლიც წასკომია, რამხელა ვაჟაკი დამდგარხარ, ნუთუ აქამდის არ უნდა მცნობოდიო; ჩემთან რატომ არ დადიხარო, როგორ გემატიება ასეთი საქციელიო, სხვა საყვედურებიც მოუდევნებია, მჩქეფარე სურვილებიც გამოუთქვამს, თუ რამე გინდოდეს, ნუ მომერიდები, კიდევაც გამეხარდება თუკი რამეთი გამოგადგებიო. და აი, აჰა, უჭირს და ეს არის, არც დიდი რამ თავგამოსაღებია, მხოლოდ გაუღოს სარდაფის კარი, მხოლოდ გაუღოს, შეზიდავს და მიჰყრის... მაგრამ რომ არ იცის, დედამ რად არ მიიყვანა დეიდა სალომესთანა? იმ პირველ ჩამოსვლისას, ხელოვნების ინსტიტუტში რომ ეწყობოდა, დედა ჩამოჰყვია, იმ ბუზღუნა ქალთან დააყენა, ის იყო და ისა, აღარც ჩამოჰყოლია, აღარც ჩამოსულა, არც დეიდა სალომე უხსენებია, არც მაშინა, არც მანამდისა. ამას თუ რამე გაუგონია, სხვებისაგან გაუგონია, ნათესაებებში მოუკრავს ყური, მერე აქ გასცნობია, დედისთვის ვერ უთქვამს, გადავიწყებია თუ გადაჭართულებია, ვერ გამოსტეხია, უნებურადა, თავისთავადა, რაიმე ზრახვისა თუ რაიმე მიზეზის ბრალი არა ყოფილა. არცა სწვევია დეიდა სალომესა, ისეც არაფერს დაბრალდებოდა, მოუდლომებია, გადაუდვია და აგერ აქამდის გადაუდვია. ახალა მივიდოდა, გულდაგულ მივიდოდა, შესჩივლებდა გასაჭირსა. ისიც მიიღებდა გულისხმიერადა, ნაქანდაკეთთვისაც ბინას მიუჩენდა, თვითონ ამასაც მიუჩენდა ბევრად უკეთეს ბინასა, გამოაცლიდა იმ ბუზღუნა დედაკაცსა, სახელოსნოსაც აღმოუჩენდა, გაეგონა სიყოჩაღე დეიდა სალომესი, გაეგონა სჯეროდა, ისე გამოსცნაურებოდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა. მაგრამ დედა რაღას ეტყოდა, ეამებოდა თუ ეწყინებოდა, — ეს არ იცოდა, ხოლო

დედის უნებურს ვერას ჩაიდენდა, ჯერ ვერა, უნდა სცოდნოდა, ახლა რომ ეკითხა, გვიანდა იყო, ვიდრე ჩაეიდოდა, ვიდრე დაბრუნდებოდა, ვინ იცის რა მომხდარიყო ამასობაში, ვინ უწყის სწორედ ამასობაში გასწორებულიყო კოორდინატები გენიისა და მშვენიერებისა, დამდგარიყო ჟამი მათი შერწყმისა, შენივთებისა. დაყოვნება არ ივარგებდა.

ამხელა ხროვას მაინც არაფერი მოუხერხდებოდა, როგორმე უნდა შეემციობინა, მერეღა მიებარებინა რომელიმე მეგობრისთვისა ან ვინმე სხვისთვისა, ვინც უნდა ყოფილიყო, ოღონდ მიებარებინა. ჰო გადაარჩევდა და აგერ იქ, კიშკართან, ნაგვის მანქანა რომ ჩერდება ხოლმე, იქ მიჰყრიდა გადანარჩევთა, გამეტებულთა, მიჰყრიდა ასლებსა, ვარიანტებსა, ესკიზებსა, დეტალებსა. ბარემ არცერთი ემეტებოდა, ბარემ ყველა უნდოდა, მაგრამ სხვა რა ეღონა, სხვა რა გზა ჰქონდა, ეს გზა ეპოვნა, დასდგომოდა ნაპოვნ გზასა, ოღონდ მენაგვეები თუ იყაბულებდნენ, ნაგვის მანქანაში თუ ჩააყრევინებდნენ ამხელა ქვებსა, — თიხა იმდენი არაფერი, თაბაშირიც არაფერი, დამიტგრეოდა, ქვეც დამიტგრეოდა ბოლოსდაბოლოს, აგერა ჩაქუჩები, პატარებიცა, დიდებიცა, რა ზომისაცა გნებავს, ერთი აიტაცე, დარეიე, შემოსცხე ღონდაღონა, აბა თუ გაუძლებს. ოღონდ ჯერ გადაირჩეს, დამიტგრევა ადვილია, ერთმა მეკომბლემ აჯობა ას მექოთნესაო, ერთი მეკომბლე მით უფრო ადვილად მოურიგდება ერთ მექოთნესაო, — ჯერ გადაირჩეს; აგერა ბარელიეფი „გოგონები“, აგერ კოდევ, აგერ კოდევ იგივე ბარელიეფი, რომელი გაიმეტება? არცერთი არ დასრულებულა, არც ერთი არ გაიმეტება, ჯერ ვინ იცის თუ რომელს დაერქმევა ვარიანტი, სამივე იზიდავს, არ ეთმობა არცერთი, სამივეს დასრულება შეიძლება, დარჩეს სამივე, ჯერ დარჩეს, უნდა დარჩეს; აგერ „ჩახრუხადე“, ასლი, კარგი ასლია, კარგიც რომ არ იყოს, როგორ გაიმეტოს, ჩაქუჩი როგორ ჩასცხოს ჩახრუხადესა?! აგერ „აჯაკი“, ესეც ასლი, ზეცას შეჰყუ-

რებს მკერდგაღელილი, კარგად გამოუვიდა, თვითონ ნიკოლაძეც არ დაუწყუნებდა. ისეც მოსწონს მკერდგაღელილი ბუნების შვილი, შიშველი, წრფელი, უშუალობა განსახიერებელი. მაშინ უშუალობასა სწავლობდა, ამ ნაწარმოებთა სწავლობდა, ახლა ჩაქუჩი უთავაზოს? ჰმ! ასხლტება ჩაქუჩი, აბრუნდება, თვითონვე მოხედება, ჩაუქუჭყავს შუბლსა. ახიცი იქნება. თუმცა არ ემეტება შუბლი, არც ეს ასლი ემეტება; აგერ გოგონას პორტრეტი; ესეც მიიღეს საშემოდგომო გამოფენისთვისა, ოღონდ ერთ-ერთი აირჩიეო, უთხრეს ბოლოს და ის აირჩია... აგერ ასლი „მარადიული კერპისა“, ეს შეიძლება...

და სწორედ იმ წუთს გოგონები გადმოსჭრიან ეზოსა, ის გოგონებია, ბარელიეფზე რომ ამოუსახავს, — ლალო თავისი მეგობრებითა: ლილი, ნათელა. ნანა, მარინა, სულ ბოლოს ლალო, ეგრე გამოშლილან, თითქოს ბარელიეფს იმეორებენო. ლილი სწრაფია, ცოცხალი, მკვირცხლი, ტოლებთან შედარებით დასრულებული, ყველაზე თამამი, ყველაზე ბავშვური, ის წინწინ მორბის ტრიალითა, ისკუბებს, ყელზე ჩამოეკიდება, ფეხებს ასავსავებს, ვითომდა რაო, მე მოგასწარით, ჩემია, არავინ მოგვეკართო. ბავშვურია, ხალასი, წრფელი, სხვა არაფერი შერეულა ამ საჭკიელში, თუმცა თითქმის დასრულებულა, გადაუსწრია ასაკისთვისა. მეტნაკლებად მისდევენ სხვანიცა, სისრულითაცა, ხალისითაცა, სითამამითაცა, კისერზე თუ ვერა, მკლავებზე მაინც ჩამოეკიდებიან, ჩვენც აქა ვართ, ჩვენიც არისო. მისალმებადაც ითქმის ეს შემოხვევა, პატივისცემადაცა, აღტაცებადაცა, ყველაფრაც ითქმის, რაც კარგია, მიამიტი და ბუნებრივი. მხოლოდ ლალო მოშორებით შერეებულა, მორიდებულა, სიამეც უკრთის თვალებში, რაღაც ჩრდილიც გადავლებია, ჩრდილი იმისა, სითამამე რომ არა ჰყოფნის, ვერ უსწრებს ტოლსწორებსა, სითამამით ვერ უსწრებს, ოღონდ სკარბობს გრძნობითა, გონიერებითაცა სკარბობს, ოღონდ შებოქილა, შებოქი-

ლა სიჭარბითა. ბარელიეფშიც ასე გადასულა. პორტრეტში არ არის ასე, იქ მარტოა, მარტო სხვაგვარია, უფრო უშუალო, უფრო ზემომსწრაფი, სხეებში თუ მოხვდა, თუნდაც თავისიანებში მახლობლებში, ტოლსწორ მეგობრებში, ასე შეიბოჰება, აი ასე ბარელიეფზე რომ ამოსახულა და აგერ ცოცხლადაც წამომდგარა. ეს სიწრფოებაც გადასულა ბარელიეფზე, ეს ბავშვური სიწრფოება, ხალასი აღტაცება, ამასთან ერთად — რაღაც ზღვარი, რაღაც მოლოდინი, მოლოდინი ბავშვობის მოთავეებისა, აშკარად მოსჩანს, აზრიც ეს არის ნაწარმოებისა. ამიტომ უნდა „მოლოდინი“ და არქეის, „გოგონებსაც“ არაფერი უჭირს, ეგება უკეთესიც იყოს, ყოველ შემთხვევაში, ჭერ დასამთავრებელია, ჭერ კიდევ უნდა შეხვდეს ამ გოგონებსა, მაგრამ უნდა წავიდეს. თუმცა რაო, სხვა ქვეყანაში ზომ არსად მიდის, იქაც მიუვლენ, მაგრამ სად მიუვლენ? მაინც უნდა იჩქაროს, გოგონები კი ჩამოჰკიდებიან და შეეღურტულებენ. მხოლოდ ლალო დგას მოშორებითა, შესცქერის, თვალს არიდებს, შესცქერის და სევდით იბურება.

ეს იბურება ზრუნვითა, თუმცა აპყვება მოტკრიაცე გოგონებსაცა, მაგრამ აპყვება მხოლოდ ერთი წუთითა, ისევ ზრუნვა მოიცავს და ისევ აპყვება, არც ამით უნდა ატკინოს გული, არც დახანება შეიძლებაო, — წინააღმდეგობაა, როგორმე უნდა მოარიგოს, თუ შეიძლება მორიგება წინააღმდეგობათა. ლალოც მოღუშულა, ეს კიდევ სხვა წინააღმდეგობა თუ არის, ან ეგება იმიტომაც მოღუშულა მალე გამოეხსნას გოგონების მკლავებიდანაო. მალე თუ ვერა, დროზე მაინც გამოეხსნება, მივდივარო, განაცხადებს. მოულოდნელი განაცხადება, — „ჰაააა!“ შესძახებენ გოგონები, თითქოს არა სჯერათო, ისე შესძახებენ, ოღონდ თვალში მოხვდებათ კართან მიხროვილი ნაძერწები და ბოლო „ანი“ გაუგრძელდებათ გაუოცდებათ. მაინც არ უნდათ დაიჭრონ, ეურჩებიან, ბუზლუნებენ, რას ამბობენ, არ გაირკვევა, ერთბაშად ამბობენ, ნურც გაირკვევა.

ერთი რამ ცხადია, გავონება არ უნდათ გავონება, წასვლისა თუ რაღაც ამისი მსგავსისა, თუ გაიწია, არ გაუშვებენ, ყოველ დონეს იხმარენ, უფროსებსაც მოიშველიებენ, ხელითაც ჩაეჭიდებიან, კიდევაც გაებუტებიან, დაუმთავრებია თუ არა ბარელიეფი, სულერთია ახლაც ადარ გაეკარებიან, აბა წავიდეს, აბა გაადგას ფეხი! მხოლოდ ლალო არ იძვრის, არც არას ამბობს, არც არას ანიშნებს, იმისთვის თითქოს სულერთი იყოს, წავა თუ დარჩება, თითქოს წინასწარ გაეგოს ან თვითონვე გადაეწყვიტოს ამისი წასვლაო. შეცბუნდებიან გოგონები, ლალოს შემოებევეიან, რად მიდისო. ლალო აპყრის სუსტ მხრებსა, აპყრის ვიწრო, გრძელ წარბებსაცა, არაფერი ვიციო. არ ეცოდინებო, ვეიც აცხადებს, ამდღით გამომიცხადა ბატონ ბიბომა, დიდ კომპოზიციას ვიწყებ, მთელი დარბაზი და სრული მყუდროება მინდაო. გოგონები დაიბნევიან, მაშ რაო, გავლენიანია სიტყვა ბატონ ბიბოსი.

— ალბათ ცოტა ხნითა... — ლილი ამბობს.

— ცოტა... — უდასტურებს ნათელა.

— ვინ იცის? — ეპკობს ნანი.

— ვინ იცის! — ეთანხმება მარინა.

ლალო არაფერს ამბობს.

— ცოტა ხნითა! — მტკიცედ შესძახებს ლილი, — შორსაც არ გადავა...

— შორს არა... — უდასტურებს ნათელა.

— ვინ იცის? — ეპკობს ნანი.

— ვინ იცის! — ეთანხმება მარინა.

ლალო არაფერს ამბობს.

— ძია ბიბო ვერც შეელევა... — აცხადებს ლილი.

— ვერ შეელევა... — უდასტურებს ნათელა.

— ვინ იცის? — ეპკობს ნანი.

— ვინ იცის! — ეთანხმება მარინა.

ლალო არაფერს ამბობს.

რაც უნდა იყოს დღეს ვერაფერს ვაკეთებ და თავისუფალნი ბრძანდებითო. მიმოვდგები, ადგილს გამოვძებნი, დავზინავდები, შორს თუ არსად მოვხვდი, მოდი, თუ არა და ისედაც დავამ-

თავრებ, ბევრი აღარაფერი დამრჩენიაო.

— შორს იყოს, მოვალთ. — ამბობს ლილი.

— მოვალთ! — უდასტურებს ნათელა.

— გაგვიშვებენ? — ეჭვობს ნანი.

— რა ვიცი... — ყოყმანობს მარინა, ლალო არაფერს ამბობს.

— გაგვიშვებენ. — სჯერა ლილისა,

— უჩვენოთ არც უნდა დაამთავრო.

— ცხადია, არა. — უდასტურებს ნათელა.

— კიდევ ვკირდებით? — ეჭვობს ნანი.

— განა?! — ეთანხმება მარინა.

ლალო არაფერს ამბობს.

— კიდევ! კიდევ! კიდევ! — შესძახებს ლილი, შესძახებს მწყრალადა, რა არის ეს ამდენი ეჭვი, რა უცებ დაიბზარენით, აქამდის ხომ ერთსულოვნად მოვრბოდითო.

კიდევ იყოს, აუცილებელნი ხართ, კიდევაც გიხმობთ, ოღონდაო, ჯერ აგერ ეს ხროვა უნდა გადავარჩიო, თქვენც გაკვეთილებს მიჰხედეთო. საპასუხოდ რაღა ეთქმოდათ, — უნდა გაბრუნებულ იყვნენ, მაგრამ ვერც გაბრუნებულ იყვნენ ისე უცაბედადა, იღგნენ, ტორტმანებდნენ მხრებჩამოყრდინი, მობურუსებულნი, მერე ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი, გასწიეს ერთმანეთი, თითქოს ისე ფეხს ვერ გადასდგამენო, გასწიეს, წავიდნენ. შუაგზომდისაც არ მისულიყვნენ, ლილი მოსწყდა მეგობრებსა, მოსწყდა და გამოიქროლა, ხროვაზე ჩრდილმა გადაირბინა სახელოსნოში შევარდა ჩრდილი. ტელეფონის ჩხაკუნიც მოისმა, სიტყვებიც მოჰყვა, სიტყვები თხონისა, დაეინებინა, ალტაცებულ ტკრიაციც ავარდა და ყველაფერი გაიკრვა: ეზოში მანქანის სადგომი ჰქონია, ლილის მამასა, მანქანა კარგახანია გაუყიდია, სადგომი დაუქმებულა. მამა დაითანხმა, დაეთმო სადგომი. თუ ყოყმანობდა, არ გამოადგებო, მხოლოდ ამიტომა ყოყმანობდა ან ამითი იმართლებდა თავსა. გოგონა არ მოეშვა, თითქოს ეგრძნო, დრო არ იყო არჩევანისა,

არ მოეშვა და დაითანხმა. ამან აატყრიცა, ტკრიაცითვე გამოირბინა, გოგონებს ახარა, ჯერ გოგონებსა, რატომაუნდა, მერე ამასაც მოახსენა.

გოგონები ტაშს შემოჰკრავენ, ეივებივებენ, ხარობენ, ლალო არ ერევა იმათში, ლალო არაფერს ამბობს... ლალოს სძულს ლილი. პირველი ის იყო, ვისაც მიეთბო, მიეკრო, დაუახლოვდა, ვისგანაც ისწავლა, ვისგანაც გაიგო, მეგობრობა თუ რა ზილი ყოფილიყო; იმისგან დაიწყო, იმისგან მიესწრაფა, მიეჩაჰყვა სხვათაცა ანუ ამათაცა. მაგრამ ახლა სძულს ლილი, მეგობრობა ამით დაიწყო, სიძულვილსაც ამითი იწყებს, — სძულს. აქამდისაც არ მოსწონდა ლილი, არ ეჭაშინებოდა ზოგი საქციელი, ვთქვათ თუნდაც ესა, ამას რომ ჩამოეკონწილაებოდა ხოლმე კისერზე. სხვა რაღაცაც არ მოსწონდა. ჯერ მიუტევებდა, თავისთვის გულში მიუტევებდა, ახლა მორჩა, მოთავდა მიტევებანი ამიერიდანა. აღარც მიუტევებს, ვეღარც მიუტევებს, სძულს, უკვე გრძნობს თუ რა ყოფილა სიძულვილი, — სიძულვილია მიტევება არ იცის. ეს მოკლურტულე გოგონებიც შესძულდებიან, აი აგერ გრძნობს, რაღაც შრე ჩნდება გულის გარშემო, თითქოს ქარი უფლის გულსა, თითქოს ცივდება ბუდე გულისა, დაძრულა გული, შესძულდებიან თუ კვლავაც ასე ქარაფშუტულად აჰყვებიან ლილისა; ჯერ არა, ოღონდ ატყობს, შესძულდებიან, ჯერ მხოლოდ ესა სძულს, ეს პირველი მეგობარი, თავდათავი მეგობარი, ვისითაც ისწავლა მეგობრობა, ვისითაც სწავლობს... გამეორება აღარ უნდა, სიტყვა რაღა ბედენაი, აშკარად ემჩნევა ყველაფერი. თავის დაფარვა ჯერ არ უსწავლია ან ვერც ისწავლის, ყოველშემთხვევაში თუ არ უნდა ახლავე შეეჯახოს, ერთი საშვალეა მაინც იცის; თუ უნდა თავი იხსნას, ერთი საშვალეა მაინც დარჩენია, უნდა გაოქცეს, — და გარბის; იმათგან გარბის, ოღონდ გამორბის; ჯამათგან გამორბის, ამასაც გადაურბენს, სახელოსნოში შევარდება.

აქ ის ხშირი სტუმარია, უკეთუ მას-

პინძელია, მამის ერთადერთი მემკვიდრე გახლავთ, — სხვა ძე არ ესვა მეფესა. მარტოდენ მარტო ასულიო, — და უნდოდა ღირსეულ მემკვიდრედაც აღეზარდა, აქედანვე ჩაენერგა ხელოვნება მოქანდაკისა, აქედანვე გაელევიებინა ნიჭი, მამისგან სისხლით რომ გადმოსცემოდა. კიდევაც უღვივდებოდა, ბევრსაცა ცდილობდა, ბევრსაცა ბრაზობდა, აბრაზებდა მარცხი, იშვიათიც არ იყო მარცხი და გულმოსული ვარბოდა სახელოსნოდანა. სიძულვილი ამასობაში თუ ჩაესახა, სიბრაზე, გულმოსულობა, ლტოლვა ახლოა სიძულვილიდანა, მაგრამ აქ ჯერჯერობა ვერ ვაარკვია თუ რა შესძლებოდა, ხოლო თანატოლი ვოგონა აღვილი გასარკვევი იყო. ერთი რამ აქაც გამოერკვია, ხელის მტევანი შესძლებოდა. ეს ეუბნებოდა, ხელის მტევანი გამოძერწეო, აგერა ჩემი ხელი, დააკვირდი და გამოძერწეო ან შენივე ხელი გამოძერწეო, თუნდაც აგერ ასლი დონატელოს იერემია წინასწარმეტყველის ხელისა, სცადე გადაიღოო. არ უნდოდა, ამისი ხელი გამოეძერწნა, არც თავისი ხელი, ლამობდა გადაეღო იერემია წინასწარმეტყველის ხელი, ლამობდა, ცდილობდა, წვალობდა და სძულდა იერემია წინასწარმეტყველი ხელფეხიანადა. როდენი ასე სჭირდა თავის თანაშემწეებსაო, თავის მეუღლესაც ამითივე იშორებდა თავიდანა, მოქანდაკეობა თუ მოგონდომებია, ხელის მტევანით დაიწყეო: იმასაც მოენდომებინა და იწყებდა, ვინ იცის მერამდენად იწყებდა, ეწვალეობოდა, ეწვალეობოდა და ჩუმად იცინოდა როდენი. როდენიცა სძულდა, ცხადია აქ ესწავლა სიძულვილი, აქედან გაეტანა, ოღონდ ჯერ არ იცოდა, ჯერ ვერ შეეცნო ეს სიძულვილი, ის კი შეიცნო, შეძრწუნებულიყო, გამოჰქცეოდა. აქედანაც ხომ ვარბოდა ხოლმე, ისევე მოეტანებოდა, უნდა დაეძლია, აეტანა, გაეტეხა, ამ სუსტ ვოგონასაც უნდა გაეტეხა, ასე რომ დაჩაგრულიყო ულაშაზობითა, ასე რომ უნდოდა, რაიმეთი გამოეჩინა თავი. უნდოდა და გამოეჩინა, გაწაფულიყო, აგერა დიდებული

ატელიე, აგერა მამა, სახელგანთქმული მოქანდაკე, სახელგანთქმული ჰელაგოგი, აგერ ესეცა, ჯერ თუშქა შეგირდი, მაგრამ ნიჭიერად აღიარებული ახალგაზრდა, დაწინაურებული შეგირდი ამქრობის დროს უკვე ქარგლად მოიხსენიებოდა. მამაც უებნებოდა, გამოძერწე ხელიო, — ხელი მუშისა, ხელი კოლმეურნისა, ხელი სოციალისტური შრომის გმირისა, ხელი მეცნიერისა; ესეც ეუბნებოდა, ოღონდ სხვაგვარად ეუბნებოდა, — გახარებული ხელი, შეძრწუნებული ხელი, დამბლადაცემული ხელი, აღელვებული ხელიო. ის ეადვილებოდა, ეს გასძნელებოდა, გრძნობა ვერ ამოდიოდა თიხაში, თიხა მიწა იყო, მიწას გრძნობისა ვერაფერი გააგებინა, მიაგდებდა გაბრაზებული, მიაგდებდა და ვარბოდა. სახეს არ უჩვენებდა, — ვინ იცის რა ეწერა სახეზე, ვინ უწყის თუ როგორ უელავდა თვალები, ეგებ უფრო დაუშნოებულიყო, დამახინჯებულიყო, არ უჩვენებდა, ვაგარდებოდა სახეზე ხელუბრაზებული, თავის ოთახში შეიკეტებოდა, იქნა მოითქვამდა სულსა და მარტოდმარტო ხმამაღლა ედავებოდა: რატომ ვახარებული, რატომ მგრძნობიარე, აღელვებული, ელდაცემული? რატომ ისე არა მამა რომ ამბობდა, რატომ, რატომ, რატომ?! შენა ხარ შეგირდი თუ ისა?! ედავებოდა და არა სძულდა, ლილის არ ედავებოდა და სძულდა, მხოლოდ ლილი სძულდა, თუშქა არა, მხოლოდ ლილი არა, რათქმუნდა არა, დედობილიცა სძულდა, დედობილი და ლილი, სხვა არავინა. ხელის მტევანსაც თუ დასტყობია სიძულვილი? — დაჰყურებდა ხელებსა, უთრთოდა ხელები, დასტყობოდა, რადაც დასტყობოდა, ამოძერწავდა მძულვარე ხელსა...

IX

არ გამოუვიდა, ოღონდ ამჯერად აღარ გაბრაზებულა, — სიბრაზე რა იყო, სიძულვილს როგორ შეედრებოდა?! სიბრაზე უეტრად მოვარდებოდა, უეტრადვე გადაივიდა, სიძულვილი

იზრდებოდა, იმატებდა, ღრმავდებოდა, მწვავდებოდა, მერე გაშმაგდებოდა და რისხვა მოჰყვებოდა, ღვთიურ რისხვაზე უფრო საშინელი ან იმისი დარი მაინცა... არ გადაუგდია, გუნდად არ შეუზღვლია ნახელავი, იყოს ასე, მერე ეგება კიდევაც მომეწონოსო. არც გაკვეთილებიდან აუტრუებია გული, უფრო ბეჯითადაც შეება, სიტულებიმა იცის დაძაბვა შესაძლებლობისა, აზრისა, გრძნობის დაძაბვაც იცის, საარაკო ამბები მოუზღენია სიძულვილსა, დიადი შემომქმედნიც წაუქეზებია თუ შთაუგონებია, მხოლოდ სიყვარულს როდი, — სიტულებილსაც შთაუგონებია. ზოგჯერ სიძულვილი აუცილებელიცა ყოფილა, აუცილებელი, გარდაუვალი, ეთქვათ, სიძულვილი დამპყრობელისა აუცილებელი ყოფილა, მაშ რაო?! მაშინ სიყვარული თითქოს მიჰქრალა, თითქოს მიჩქმალული სიყვარული ერისა, გადარჩენისა, თავისუფლებისა, მხოლოდ სიძულვილი ანთებულა, ავირდნილა სიძულვილი, სიძულვილს გაუშმაგებია ქეშმარიტი მამულიშვილები და გადაურჩენია ერი, ეროვნული, წარსული, მომავალი. ზოგჯერ სიყვარული თილისმადაც გადაქცეულა, თილისმად ვერ გადაიქცევა სიძულვილი. დიდი რამ ყოფილა სიძულვილი, თუნდაც ამიტომაც ყოფილა დიდი და უკეთესი, კიდევაც იხაროს სიძულვილი. თუმცა ამ სუსტ გოგონას რად უნდა ესოდენი სიძულვილი, ვერც გაუგია, ვერც ვერავინ აუხსნის, თავისთავად დაეწყო, დაეწყო უნებლიედ, თანდათანობით გაეზრდებოდა და მერე ეგების გაეგო, აუხსნა მიზეზნი სიძულვილისა, ხოლო ჭერ არა, არაფერი იცოდა, თუ რამ იცოდა, მხოლოდ ეს იცოდა, მეგობარი რომ სძულდა, სძულდა დედობილიცა, ერთნაირადა სძულდა, სხვაობა არ იყო თუნდაც მცირედი. თუმცა დღეს იგრძნო სიძულვილი ლილისა, მაინც შეუტოლდა ცოტა აღრინდელ სიძულვილსა, უცებ, უეცრად გაუთანასწორდა. ამ უცნაურობას ეგება ჩაჰკვირებოდა, — მაგრამ არა, არ მოუხმობდა გონებასა, გრძნობად ქცეულიყო.

ისიც გრძნობისა იყო... სკოლას რომ მიდიოდა, დედობილი შეეფეთა დერეფანში, არც აუღია, არც დაუღია. შეჩერდა და თითქოს შესტირა, ფილონი წავიდაო, — ცხადია გრძნობისა იყო, უნებლიე იყო. რად უთხრა, რად აუწყა, ვინცა სძულდა სწორედ იმასა? ალბათ ვინმესთვის უნდა ეთქვა, ალბათ რაღაც მოითხოვდა თქმასა, რაღაც მალული, ფარული, უჩვეულო, თვითონვე რომ იჩენს თავსა, უეცრად წამოვარდება და ბევრიც რომ ეცაღო, ვეღარ მიაყრუებ; ვერც ეცდები, ძალაც აღარა გაქვს, მონა ხარ უნებურის, არსასურველისა. პო თითქოს შესტირაო, ხოლო დედობილს წარბიც არ შეუხრია, ვითომ ვერც მიმხვდარა თუ ხმა როგორ უკანკალებდა ღალოსა. ამან მაინც ვერ შეიკავა თავი: „დიდი ხნით წავიდა, ან სულაც წავიდა, მაშას უთქვამს მთელი დარბაზი დამკვირდებაო“, — ესეც მოადგენა. „მამამ თვითონაც იცის თავისი საქმე“. — აუხსნა დედობილსა, აუხსნა გულგრილად, ცივად, ნუთუ ამდენიც აღარ იციო. ამან ტუჩი ჩიკენიტა, რომ ემწვავა, მაშინდა მიხვდა, ტუჩი ჩამიკენტიყო. მერე თვალები დაჰხარა, სიძულვილი არ შემეტყოსო, თვალები დაჰხარა, თავიც დაჰხარა, ეგრე გავიდა, წავიდა, კიბეებზეცა, ქუჩაშიც ეგრე მიდიოდა თავდახრილი, თითქოს მიწაში რაღაცას ეძებო. ან ჩანთის სიმძიმეს დაუდრეკიაო. ზვიდან, ფანჯრიდან კიდევ უფრო დადრეკილი მოჩანდა. ეთერმა სიბრალული იგრძნო.

თვალთ ჩააცილა ქუჩის ბოლომდისა, მერეღა შეაღო კარი ქმრის ოთახისა.

— მუშაობ? — იკითხა.

— არა! — მოესმა.

სავარძელში ჩაქდარიყო ფანჯარასთან ახლოსა, გაზეთი ეჭირა ხელში, მუხლებზეც გაზეთები ეყარა.

— ვიმედოვნებ, ზედმეტი არაფერი თქმულა... — კართანვე შეჩერდა ქალი.

— უკვე მოგახსენა? — დამკინავე დიმილი შეუთამაშდა ბიბოსა, სხივი დასცემოდა სახეზე, სხივი შემოდგომის მზისა, უფრო მწვავედ მოსჩანდა დიმი დამკინავე.

10846

— ლალომ... — გულგრილად მიუგო ქალმა.

— თვითონვე რატომ არა?! — ღიმილი წაუხდა, გაწყრა ბიბოი.

— ლალომ-მეთქი, — გაიმეორა ქალმა, — ვიმედოვნებ, ზედმეტი არაფერი თქმულა...

— არაფერი. — შეირხა ბიბო, გაზეთები დაუცვივდა კალთიდანა, მოღაღდა იატაკზედა.

— ძალიან კარგი, — თითქოს მოუწონებდა ეთერი, — ოღონდ შენ თვითონვე უცნაურად თუ არ გეჩვენება...

— რატომ?! — უკვირს ბიბოსა, — გაზეთებს ჩაახედე, ვმუშაობ დიდ კომპოზიციასზე. — წახრება, ერთბაშად წამოხვეტს, გაუწოდებს, ჩაახედვო.

— გაზეთებს?! სახელოსნოში რომ არაფერი კეთდება?!

— ახლავე ვიწყებ... წავა და ვიწყებ.

— წასულა...

— ჰოდა ვიწყებ. — მიჰყრის გაზეთებსა, ჩქარობს, ფაციფუცობს, მაგრამ არ იცის თუ რა უნდა, თუ რას დაეძებს, უფრო სიბრაზის გამოხატულებაა, ვიდრე აჩქარებისა. შესაძლოა რაღაცა მოხდა სახელოსნოში, მღელვარება იქიდან თუ მოსდევსო, მაგრამ ამბობს, ზედმეტი არაფერი თქმულა, ამბობს და მჯერა, აქ სიცრუეს აზრი არა აქვსო.

— ჰოდა ამთავრებ, — ამბობს ეთერი, — აღარ გამეორდება ეს ბილწი ცილისწამება.

— აღარა!.. — ბიბო ყვირის.

— რა გაყვირებს?!

— აღარ გამეორდებათქი, — ხმას დაუწევს ბიბოი, — მაგრამ განა მე ძალმომის საზოგადოებრივ აზრს წინ რომ აღვუდგე?!

— ის ზომ ძალგმის, შეურაცხყო მეუღლდე; დაუფიქრებლად გაუმეორეო უგუნურთა თუ ბოროტთა ნათქვამი?! ძალგმის და დიდებულად ასრულებ, რაც კი ძალგმის.

— საზოგადოებრივი აზრი საზოგადოებრივი აზრია, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს, უგუნურთაგანა, ბო-

როტთაგანა, უზნეთთაგანა თუ სხვა ჯერის ზალხთაგანა.

— საზოგადოებრივი აზრმა გარყვეული რწმენაა და სიმართლეს უნდა ემყარებოდეს. ყოველგვარი ნაბოღვარი არ ჩაითვლება საზოგადოებრივ აზრად და ვისაც შენ დაახლოებიხარ, საზოგადოებანი უგვეგონება.

— ვისაც დაეახლოებივარ, მათზეა დამოკიდებული ჩემი გველენა, ჩემი სულიერი წონასწორობა, თუ გნებავს, ეს სიკეთეცა, — ხელებს გაშლის, — როგორნიც უნდა იყვნენ, რაც უნდა თქვან, ვერ წაუვალ იმათს აზრსა.

— შენი აზრი, შენი ნებისყოფა, შენი მეობა?!

— ყოველთვის ვერ გაუძლებს, ვინც უნდა იყოს, ვერ გაუძლებს, შეძახილი ხეს გაახმობსო. ჩემთვის როდი მოგონილა, ძველი მოგონილია, დიდი დაკვირვებებს შედგეია.

— სხვა დაკვირვებისა... ზნეობა უფრო წმინდა იყო, ადამიანი უფრო წრფელი, უბრალოც იყო, უშუალოც იყო; წრფელთა და ალაღთა, პატიოსანთა და გულისხმიერთა შეძახილი სხვა რამ არის, აეთა და ბოროტთა, ბილწთა და ზნედაცემულთა შეძახილი სულ სხვა რამეა.

— შეძახილი შეძახილია, შეძახილმა ხე გაახმოო, — ბიბო მოუქრის, ნათელი გამოსდის სიტყვა-პასუხი, ნათელი და მოსწრებული, ლოგიკურიც დაერქმის და მშვიდდება. ჩვეულებრივ სხვანაირ ყოფაში ჩავარდება ხოლმე, ეთერია ბევრად მოსწრებული, ბევრად ზომიერი და თავდაშერილი, ბიბო ღელავს, ბიბო ყვირის, ყვირილითა ჰფარავს ხოლმე გონივრულ მსჯელობას ეთერისა. იმდღესაც დაძვარა ყვირილითა, მოუზომავი, შეურაცხმყოფელი სიტყვებითა, ახლა არა, — იმდღესა, — ახლა ძალა მოუკრეფია, დადინჯებულა და იწვევს, თქვი ბარემო, თქვი ყველაფერი, შესაფერის პასუხსაც მიიღებო.

— თუ უკვე გამხმარხარ, სალაპარაკოც აღარაფერია... წყალს აღარავინ დაუხსამს გამხმარ ხესაო.

— ის ანდაზაა...

— ესეც ანდაზაა. ცხოვრება ანდაზაა. ანდაზები ცხოვრების ნატეხებია. ანდაზება სიავის გამოხატულებაა, სიკეთისაცა. ადამიანი უნდა იცოდეს თუ რომელი ანდაზებით იცხოვროს.

— მაგრამ ყველაფერი ხომ არ შეგვიძლიან.

— ცუდს რომ არ ავყვეთ, ეს მაინც უნდა შეგვეძლოს.

— განა ყოველთვის ნათლად მოჩანს კარგი თუ ცუდი? — ცოტა ხმას აუწევს ბიბოი, თითქმის შეუმჩნევლად აუწევს, — როცა გეუბნებიან თუ რა დაგმართინაო, ყველა შენი მოწაფე შენს გზას მისდევდა ღირსეულად მისდევდაო, ეს როგორი რა გამოგვივლიაო, სრულიად აცუდა, თითქმის გიპირისპირდებაო, რა მოგსვლია, რისგან არისო; ან ეს რა არის, რატომა მეორდება შენი მეუღლის სახე იმის ნაძერწებშიო, — რა ვუბასუხო, როგორ გავიგო თუ სად არის ცუდი, სად არის კარგი? ან ზღვარი სად გადის, შუალედი მაინც რომ ავირჩიო, მითხარი, აბა, სად არის, სადა?!

— მანდგეა, საძებარი არ არის, კარგიც მანდგეა, ცუდიცა, შუალედიცა, და დაკვირდება როდი უნდა, თვალში გეცემა, ოღონდ გაახილე თვალი. მაგრამ გირჩევენია, ბრმად ასყვე ავ ზრახვებსა; გრძნობ, შენზე ნიჭიერი რომ არის და გზებს უზღარათვ, არ გინდა, გაგისწროს არც მაგან, არც არავინა, სხვებს ვერ მისწვდენიხარ, შენს ხელთ ეგ არის და მაგას უზღარათვ გზებსა. დიდებულად მოგეხსენება, ცოდოს გაფიქრებაც რომ არ შეიძლება... იცი თუ რაოდენად ფაქიზი ყმაწვილია, შენს მეუღლესაც მშენიერად იცნობ, იცი რამხელა ზღვარია მათს შორის, ასაკისა, ცხოვრების გამოცდილებისა, სულიერი ავლადიდებისა და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოგეხსენება, დეიდა-შვილები რომ არიან, დიდებულად მოგეხსენება... მაინც გინდა დაიჭერო, უთუოდ უნდა დაიჭერო, რადგან გშურს იმისი ნიჭი და როგორმე უნდა იძიო შური, რითაც უნდა იყოს, ოღონდ შუ-

რი იძიო, დაე ვინც უნდა გაიწიროს, ვინც უნდა იყოს, რა მახლობელიც უნდა იყოს, როგორც უნდა... მაგვეცხოს ჩირქი, ოღონდ შური იძიო, მხოლოდ იმისთვის, შენზე ნიჭიერი რომ არის. განა არა ჩანს სად არის ცუდი, სად არის კარგი ან შუალედი სად არის ამათ შორისა? კარგად ჩანს, შუალედი შენა ხარ, აფორიაქებული სხვისი ნიჭიერებითა!..

— მეეეე?! — ბიბო ხმას აუწევს შესამჩნევად, ხელებსაც გაშლის, გაოცებულია, — მე მშურს ამ ტუჩზე რძე შეუმშრალისა? მე მიქელანჯელოსიც არა მშურს, რომ იცოდე, არც არავისი, არც ძველისა, არცა ახლისა. შური სენია ხელმოცარულთა. მე წარმატების მეტი არაფერი შემხედვარია ჩემს ცხოვრებაში. ყოველ გამოფენაში ვმონაწილეობ, ყველგან ჩემი ნაქანდაკეები დგას, მე მაქებენ, მადიდებენ, მაჯილოვებენ, შური საიდან მომეკარება? აქამდისაც წარემატებულვარ, ამიერიდანაც ასე იქნება, ნახე...

— გაზეთი?

— გაზეთი რატომ... დავამთავრებ შორეული ცურვის კაპიტანს და ნახავ, ეს იქნება საზომი ჩვენი ღროის ქანდაკებისა, მიღწევა იქნება ეპოქისა. ვისადმი აღმეძვრის შური, ვილაც უიდეო მძიებლისადმი? ჰმ! ჰა, ჰა, ჰა... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო.

— მართლაც!

— გააჩნია ვისთვის?

— ვისთვის?... ჰმ... არ შეიძლება არ იცოდე, ხელოვნებას ნიჭი რომ ჰქმნის და არა ჯილოვები; არ შეიძლება არ იცოდე და შურიც აქ იბადება. შენ პირველი არა ხარ, უკანასკნელიც არ იქნები. მაგრამ გონიერება გმართებს, სხვებზე უფრო მეტად რომ არ დაეცე; გონიერება გმართებს და გონიერების პირველი ნიშანი ის იქნება თუ არ ასყვები იმათ, ვისაც უკვე მორეგია შური, თვით შენდამიც მორეგია, აგრე რომ წარმატებულხარ, შენდამი უფრო გამძაფრებით შური და პირველადაც შენ შემო-

გიტყვენ, რადგან ადვილი მოსარევი ხარ... ნიჭი ძნელი მოსარევია.

— ეს როგორღა გავიგო?

— როგორც ვამბობ...

— ასე აფასებ მეუღლის ნიჭსა?!

— ვიცი მისი შესაძლებლობა, კარგად ვიცი, ეს შეუფასებლობა როდია.

— ვინც ეთაყვანება, სხვანაირად იცის.

— თაყვანისცემა გონებას აბნელებს, საბედნიეროდ იმ ასაკს გავცდი და ბევრი რამეც გავიგე წუთისოფლისა.

— კერპთაყვანისცემაზე არ მოგახსენებ, მაგრამ მეუღლეთა შორის უნდა იყოს რაღაც ამისი მინამგვანი.

— ეს ურთიერთ პატივისცემა და სიკვარულია. ქვეყნად ძალიან ცოტასა ბუოლია გენიოსი ქმარი, მაგრამ ბევრსა ჰქონია ტკბილი ოჯახი.

— მეცა მქონდა... — გადააკრავს, პირველ ოჯახსა ვულისხმობს ბიბოი, ხმასაც ისე მოუქცევს, წარბებსაც აქნევს ისეთნაირადა. ქალისთვის მწარეა, ამაზე მწარე არც არაფერი იქნება, მაგრამ არ შეიმჩნევს ეთერი, იქამდის ვითომც არ ჩაჰყვება, ვერც მიუწვდება, ის ვითომც არც არსებულებს, აგერ ამ დღეებამდის, ბოლო დღეებამდის გადმოიტანს სინანულსა:

— ვიდრე აჰყვებოდი ვიღაც უმსგავსთა ჩაძახილსა.

— გის ჩაძახილსა?! — ხმა ეცვლება ბიბოსა, — განა ვინ არის ისეთი, მე რომ ამიყოლიოს?! მე მხოლოდ ჩემს აზრსა და ჩემს ნებისყოფას ავდგევ. ამყოლი რომ ვიყო, ბევრ რამეს დავიჭერებდი. დავიჭერებდი, მაგალითად, თითქოს კვირაძალი, გამოფენის გახსნის წინა ღამეს. სამადლოში გავეტარებინოთ. მაგრამ დავიჭერე?! რათქმაუნდა არა! არც გეტყოდი, სიტყვას რომ არ მოეტანა. ვიცი, სადაც იყავი და რაც ვიცი, ვერც ვერაფერს ვადამატქმევიანებს. — დაბეჯითებით ამბობს, ამტკიცებს თავის ღირსებასა და ვერ ამჩნევს თუ როგორ შეკრთება ქალი, ოღონდ შეკრთება, ოღონდ მაინც არ გამოეპარებოდა, ვისაც უნარი აქვს დაკვირვებისა, ვინც მე-

ტისმეტად არ გატაცებულა თავისი ღირსებებითა; პო შეკრთება ქალი, ოღონდ არა იმიტომ, ვითომ ეს არა გუტყვანო, არა, მხოლოდ იმიტომ, — ნუთუ მზირები შემომჩენიაო, ნუთუ მითვალთვალბენო.

— თუ კარგად არ იცი, თუ მოგატყუეს... — უკვე ჩვეული სიშფიღით ამბობს ეთერი.

— ვინ მომატყუებს?! სიტყვებს ჩემთვის აზრი არა აქვს, თვალბში შევეყურებ ყველას და იქა გეიტხელობ თუ რასა ფიქრობს, რა განუზრახავს.

— მაინც... მაინც მოგატყუეს.

— ვიცი!.. არა მჭერამეთქი!..

— ვისიცა გჭერა... ლალომ მოგატყუა.

— ლალომ?!

— ლალომ! ოღონდ ნულარაფერს ეტყვი, მე უკვე ვუსაყვედურე. მაგრამ ბიბოე ბავშვია და მეტი საყვედური, მეტ დაღს დაამჩნევს. — ახალა გამოსწია სკამი, დაჯდა ეთერი, დაჯდა წელგამართულადა და თვალი თვალში გაუყარა.

სახე აელეწება ბიბოსა, თვალები გადაუტრიალდება, ჰყვირის:

— ყველანი მალატობთ... ცოლი, შეილი, მოწაფე... შეთქმულხართ, ჩემი განადგურება მოგიინდომებიათ... ვერ მოესწრებით!.. ჩემი ხელით დაგხოცავთ. — ჰყვირის და მისწვდება სანადირო თოფსა, ირმის რქაზე ჰკიდია თოფი, ლამის ჩამოგლიჯოს რქებიანადა.

ეთერი იცინის, მხოლოდ იცინის, თვალს არ აშორებს და იცინის.

— მეგონა, მწყერს რომ ესროდი, მაშინაც ვიკანკალებდა ხელი, სიბრალულით ვიკანკალებდა, — ამბობს ეთერი მშრალი სიცილითა, — თურმე არა მცნობიხარ, თურმე ადამიანსაც მოჰკლავ...

— უფრო ადვილდა, მოლაღატე თუა!.. — კვლავაც ყვირილით გამოსთქვამს, ოღონდ ისე მძაფრად აღარა, ეს განმარტებაა, სიმძაფრე არ იცის განმარტებაში, მაგრამ რაც უნდა იყოს, თოფი უკვე ხელთ უპყრია და სავაზნეში თუ

მხოლოდ სამწყყერე საფანტია, ეგ არაფერი, უჭრაში უწყვია სადათვე ტყვიები, მხოლოდ წაიხაროს, ერთი წაიხაროს. ეთერი არც ირხვევა, თვალსაც არ აშორებს, ეკითხება გულუბრყვილოდა, მიაშიტი ბავშვივით ეკითხება:

— მოლალატე თუ არ არის?!

— მამო რა არის?! — მწარედ იცინის ბიბო, არა, განა იცინის, სახე ეფშხალე-ბა და წამოგზნებულ თვალებს თითქოს ნამი გადაჰკურებიანო. ახლა უფრო შესაბრალოსია, ვიდრე საშიში, თუმცა იხრება, თუმცა ხელს იწვდის, ჩხაქუნობს სახელური უჯრისა, იქა სადათვე ტყვიები.

— ერთვული, ოღონდ გაოგნებულნი შეურაცხყოფისგანა... — განმარტავს ეთერი, დაე იმან იფოთილოს უჭრაში, მშვიდად განმარტავს, — ამას ჩემზე მოგახსენებ. ლალოს ცოდვა სიკეთის ნაკარნახევია. თუმცა სიცრუე დიდი დანაშაულია, მაგრამ ამ შემთხვევაში საყვედურზე მეტი სასჯელი აღარ ეკუთვნის. საყვედური უკვე მიიღომეთქი. ხოლო ფრიდონი არც არაფერ შუაშია, არც არაფერი იცის, ლალოს ოდენი ცოდვაც არ ადევს. ვინ არის მოლალატე, სად არის მოლალატე, ვისზე უნდა იძიო შური?! თუ ღრმად ჩაუტკვირდებით, შენივე თაგზე, რადგან შენგან მოდის მთელი ეს გაუგებრობა თუ აურზაური. ოჯახს ოჯახის თავი განაგებს და თავი თუ შეირყა, შეირყევა ოჯახიცა. ექვემა შეგანჯღრია, ბოროტმა ჩაძახილმა აგიყოლია და ახლა მოგნდომებია ერთბაშად გამოასწორო ყველაფერი, მოგნდომებია და გგონია, ტყვია გამოასწორებს ყველაფერსა. ამო ფიქრია, მუქარაც ამოა.

— ჰა, ჰა ჰა... გგონია ამოდ ვიძუქრები?! — ვაზნები ხელთა აქვს, ვაზნებს ათამაშებს.

— ამოდ... — ხელს წაიქნევს ეთერი, — ტყვიაც ამოა თუ მართლსა ჰკლავს. ჩემთვის მწარე იყო ის ცილისწამება, მწარე, მოულოდნელი, წარმოუდგენელი. ერთხანს ვერც მივხვდი თუ რას ამ-

ბობდი, მეგონა, ვილაცის ამბავს მიყვებოდი, გულისყურით ვიჭყენდი... მიხლოდა უფრო დაწვრილებით გამტყვავილათა ამბავი. მერეღა მივხვდი და ვერ ვიტყვი თუ რა განვიცადე. ცილისწამება საშინელებაა, ცილისწამებით აღამიანის განადგურება შეიძლება. ტყვია რაღა ბედენაა, როგორღა მოჰკლავ, ვინც უკვე მოგიკლავს?! ცილისწამება უმადლესი სასჯელია, ეგ უკვე შეწყყნარებაა, ლმობიერებაა, დაბნეულობით მოგდის... შენი მეუღლე ღამიან ქალაქგარეთ გასულა, უშენოდ გასულა, მარტოც არა ყოფილა, ვისთან ერთადა ყოფილა?! ტყუილიც რომ იყოს, ისიც მწარეა, მართალი რომ არის, მით უარესი. და აღარ იცი, რა ჰქნა, რა იღონო, აღარ იცი და აგერა თოფი ჰკიღია ირმის რტებზედა, სამკაულადა ჰკიღია, მაგრამ გამოსადეგიც არის. ვერ გაგამტყუნებ, გრძნობამ იცის ასეთი აფეთქებანი, გონებამაც იცის ჩაბნელება ასეთი, უარესი თუ არა... და შენც არავინ გაამტყუნო ოლადა. ერთ განაფიქრებს მეორეც მოადევნე, ფიქრი იმიტომაცა თქმულა ფიქრადა, უნდა გაიწეოს, მერე შეიხვეს, გაიწეოს და შეიხვეს. მართლაც და, როგორ მოხვდა სამადლოში, ხომ შეიძლება მტკვარში აღმოჩენილიყო?! განა არ შეიძლებოდა?! ახლა მაინც დაფიქრდი, შეიძლებოდა თუ არა?! სხვა რამეც შეიძლებოდა, მრავალი რამ შეიძლებოდა და იმ მრავალთაგან ერთი რამ მოხდა, სამადლოში აღმოჩენიდი, ვისთან ერთადა, ვერაფერს ვიტყვი, ოღონდ რომ არაფერი მომხდარა, ამას კი ვიტყვი, თვალს გაგისწორებ და გავიმეორებ, არაფერი მომხდარა; რომ მომხდარიყო, შინაც აღარ დაებრუნდებოდი. მაგრამ ხომ შეიძლებოდა მომხდარიყო? მერე და რატომო, რისთვისა, დაფიქრებულხარ? ვითხრეს და არ დაიჭრე, არც დაფიქრებულხარ, არ გინდოდა და არც დააჭრე, ვითხარი, დავიდასტურე და აფეთქდი, არ დაფიქრებულხარ, ისევე აფეთქდი და მისწვდი თოფსა... ჩამოჰკიდე თავის ადგილას,

ჩამოჰყიდე და ჩაუფიქრდი, რად ავიშა-
ლუნით, რად ავიწიწინით ან რა არის
მოსალოდნელი?

დადუმდება, დაელოდება, თვალი
აქამდისაც არ მოუწყვეტია, წამწამიც არ
დაუხამხამებია, არც ახლა ახამხამებს იმ
მსხვილ, ჩვეულებრივ ლამაზად მოხამ-
ხამე წამწამებსა. შუქი მატულობს
თვალში, შუქი ძაღვანის, არ შეიძლება,
არ მოინუსხო, არ შედრკე, არ დაჰყვე
ნებასა... და ვახნები ცვივა, თოფი ეყუ-
დება კედელსა. ჩაჩდება და ხელებს
ჩაჰყურებს, თითქოს რაღაცა მოსცხე-
ბაო, თითქოს სისხლი მოსცხებიაო, ჩა-
ჰყურებს და უყვირს, საიდან სადაო,
სად სისხლი და სად მოჭანდაყის ხელე-
ბიო. ოღონდ ეს თვალის გაკვირვება,
მხოლოდ თვალისა, გაყოფილა ადამიან-
ის, გაყოფილა თვალი და აზრი, თუ აზ-
რი გაყოფილა, — ხელებსაც დასჩერე-
ბია და ფიქრსაც აჰყოლია ან დაჰხვევია
ფიქრისა: მართალი უთქვამთ მეგობ-
რებსა, ვახვიალებით თუ უთქვამთ, უთ-
ქვამთ თუ უთქვამთ, მაშ რაო, მეგობრე-
ბი ვახლდნენ, უთქვამთ მეგობრული
მღელვარებითა. ესეც მართალს ამბობს,
ეს არც ახვიალებს, პირდაპირობით გა-
მოსთქვამს, უშეალოდა, წარფელადა,
აღალადა. თვითონ ხომ მართალია, მარ-
თალია ცამდისა, მაშ რა მომხდარა, რა
გამრუდებულა ამდენ სიმართლესა თუ
სისწორესი? რისგან დაბნეულან თუ
აწიწილან? რა ჩაბინდულა, რა ლანდები
დაფუთფუთებენ იმა ბინდბუნდში? აი
თუნდაც, რა მოსდებია ამ ხელებსა, მარ-
თლა სისხლია თუ ლანდები მოსდებია?
ჩაიჩრდილუბა და გადანათლდება, მოი-
ბურება და მოიკრიალუბს. უფრო თხე-
ლი ხელები ჰქონდა, დაბურცვია, შესუ-
ჭებია, ჩრდილებიც ნაკლები იყო-
და თხელმა ხელებმა, ჩრდილები
მომატებია, ზოლები მომატებია, თუ
უფრო მომატებულა, ჩაღრმავებუ-
ლა, ნაოჭები იკლევს გზასა, ჯერ
მხოლოდ ლანდებად მოსჩანს, — ჰო
ნაოჭებისა ეს ლანდები, მხოლოდ ნა-
ოჭებისა. სხვა არაფრისა, არც უნდა

იყოს, მაგრამ მაინც რა არის გაუგებარი,
როცა ყველა მართალია რა არის სადა-
ვიდარაბო, როცა არავინა ტყუის?!
ლალა? — ჰმ!.. გულუბრყვილობამ დას-
ძალა ბავშვი, სიკეთემ წასძლია, უღონო
ხელები შეაშველა გადაქანებულ უფ-
როსებსა, შეაშველა და ვერ შეიმავრა;
ვერ შეიმავრა და თუ რამე დაბრალდე-
ბა, დაბრალდება მხოლოდ ესა, — ვერ
შეიმავრაო. პატარა ლალო, ვისი შემიგ-
რება შეუძლიან უსასო ხელებითა! თვით
ვერ შეუმავრებიათ თავი, დიდებს ვერ
შეუმავრებიათ, ერთმანეთსაც ვერ მი-
ჰყუდებიათ, ირწვევიან, ირყვევიან, ჭან-
ობენ, ეწვევიან, დააქანებენ ერთმანეთსა,
უფსკრული რაა, უფსკრულის პირასაც
დააქანებენ — რაღა იღონოს პატარა
ლალომა, რაღა იღონოს პატარა ხელე-
ბითა და მოჭარბებული მგრძნობიარე-
ბითა, ვით შეეკიდოს აწყვეტილ ქროლ-
ვასა?! ჰმ!..

— კარგი ვქენი, რომ გავაგდე... —
ბურღღუნებს ბიბო, ძლივძლივობისას
გამოიჩრჩევა თუ რასა ბურღღუნებს ან
არც გამოიჩრჩევა: რისი პასუხია, რა და-
სკვნაა, საიდან სადაო, მაგრამ ეტყობა,
კმაყოფილია თავისი ნათქვამითა, კმაყო-
ფილებს გამოსთქვამს ან ეგება უკმა-
ყოფილოც არის და თავს იმართლებს? —
ჰო ძნელი გამოსარკვევია ამეთქი... თუ
ვინმე მართალია, ის ხომ ყველაზე მარ-
თალია ამით შორისა, ლალოზეც მართა-
ლია, თვით ლალოზე, ლალომ გულ-
წარფელობით მაინც იცრუა, იმას რაო,
იმას ამდენი დანაშაულიც ხომ არ მი-
უძღვის, იმან ხომ არაფერი იყოს, სრუ-
ლიად არაფერი, რომ უთხრან, ეგებ
ვერცკი გაიგოს, — ვერა, ვერც გაიგებს,
შეუბყრია მხოლოდ ერთ აზრსა, თუ
როგორ ამოჰყვეთოს ჭეშში სიმართლე
და მშვენიერება, ჭეშში ამოსთქვას, ამო-
სახოს, ამოიტანოს. სამწურო საჭმეს მო-
ჰყიდებია, ეგება მუსიკა უკეთესიც
იყოს, ფერწერაცა, პოეზიაცა, შედარე-
ბით ადვილი, ადვილად მისაწვდომი
მშვენიერებამდისა. ამას ჭეა ედო, ჭეაში
უნდა ამოესახა, ცივ ჭეაში. ჰანგი

თბილი ყოფილა, თბილი და ტბილი, ფერი — ლამაზი, მიმზიდველი, სიტყვა — ლალი, ფრთიანი, ქვას დასჯობნებიან, ცივ ქვასა, უსახოსა, გამოუთქმელსა. მაგრამ ცივი ქვაც მიხსოვებია მშვენიერებასა და მით უფრო შეძრწუნებულა, — საიშედოცაა და შესაზარიცა: როგორ, რანაირად მიხსოვებია, რა ჯადოქრობა გამოუყენებია, ვინ იყვნენ ის ვასაოცარი მოქანდაკენი, მართლა აღამიანები იყვნენ თუ ღმერთები, ადამიანთა სახით ჩამობრძანებულნი დედამიწაზე? თუ აღამიანები იყვნენ, საიშედოა, თუ ღმერთები — შესაზარი, შემამძრწუნებელი, როგორ იქნება, საღმრთო საქმეს შეეჭიდოს ადამიანი, ხალხელი ჭაბუკი შეუტოლდეს სამყაროს მბრძანებელთა, როგორ იქნება?! ხალხედან წამოსულა ნათელი იმედებითა, დედის ლოცვა-კურთხევითა, მამის მღელვარი სურვილებითა, ლალად წამოსულა, ხალისი გამოჰყოლია და შეძრწუნებულა, ე რა ყოფილა, ე რა მომინდომებიაო... პო რა მომინდომებიაო და ვერც მიეკარებოდა აუგი ფიქრი, სულმდაბლობისას ვერას ვაიგებდა სიძნელეთა და მშვენიერებით გაბრუნებულნი. მშვენიერება სადღაც იყო, ეპეევი, შორს, სადღაც იყო, იქ მდაბალ ეჭვებს რა მიაკარებდა! მხოლოდ წმიდა სული თუ უწევდა იქამდისა, წმიდა, უმტვერო, შეუბღალავი. სიმართლაც იქ იყო ან იქ იყო, ან... სადღაც იყო, ერთად იყვნენ, ან ცალცალკე იყვნენ, ცალცალკე მიჩქმალულიყვნენ და ერთად უნდა ეპოვნა ხელოვანსა, უნდა შეეერთებინა, შეენიეთებინა ქვაში, ცივ ქვაში, უგულო ქვაში. მელოდია მაინცა ყოფილიყო, ფერი მაინცა, სიტყვა მაინცა, ქვა იყო, ქვაი, გაქვაებულნი...

X

ასეთ განცდას გულუბრყვილობაც დიდხანს გასდევს, ზოგჯერ სიცოცხლის ბოლომდის გასდევს, დიადი შთაგონება ზესწრაფვა თუ ყოფილა, მდაბალი ზრ-

ხვანი ვერც ასდევნებია; დიადი შთაგონება ზესწრაფვა თუ ყოფილა, რწმენაც მტკიცე ყოფილა, სიჭიუტეც, წაუფალე ან შენივთებულა რწმენა და სიჭიუტე, დაცილება აღარ მოხერხებულა. ხელოვანი მოხიბლულა სიკეთითა და მშვენიერებითა, მოხიბლულა და გაოგნებულა, გაოგნებულა და ველარ მიმხვდარა თუ როგორა ფუთფუთებს სიავე, როგორ ამოდის ბოროტი სული, როგორ ეუფლება ხან ცოტას, ხან ბევრსა, ზოგჯერ მოიცავს უამრავთა და ყველანი ერთად სწვდებიან ყელში სწორედ იმას, დიად შთაგონებას, მაღალ მისწრაფებასა. მშინდა მიხვდება მისახვედრსა, გაიგებს გასაგებსა, სძლევს თუ დაიძლევს, ეს სხვა ამბავია, ხოლო ის სხვაა, მანამდის რომ მიდის გამგუნებელი, გაფანტული, გაოგნებელი, მიდის, მიისწრაფვის მთლად სიალავე, გულუბრყვილობა, სიკეთე და პატიოსნება. ხელოვანებასა სცოდნია ასეთი განწმენდა ადამიანისა, ამასაც მოჰყოლოდა საამისო ნიშანკვალი, თუმცა გაოგნებით ჯერაც არ გაოგნებულაყო, გულუბრყვილობა კი ჭარბად მოსდევდა. ეგება ამიტომაც ჯერაც ვერ გაშინაურებოდა დიდ ქალქსა; თუ სწავლობდა, ხელოვნებასა სწავლობდა, პოეზიასა სწავლობდა, ხოლო ავის მასწავლებელი არავინ გამოსჩენოდა. ავი მასწავლებლებიც ეყოლებოდნენ, რა თქმა უნდა, ეყოლებოდნენ, მაგრამ ხელოვნებას რომ ასწავლიდნენ, ჰფარავდნენ თავიანთ თვისებებსა, მშვენიერების იდეალებს ეფარებოდნენ. ხელოვნების ისტორიამ იცოდა სიავის მაგალითები, ოღონდ ის მხოლოდ ისტორია გახლდათ, ჩვენ დროში ასე არ შეიძლება მოხდესო, ჩასჩიჩინებდნენ და იხსომებდა ისტორიად, ისტორიად რჩებოდა იმის გონებაში, ვიდრე თვითონვე არ შეეხლებოდა მსგავსსა, ვიდრე თვითონვე არ გადაიტანდა მინამგვანსა, თუმცა უკვე შეპხლოდა, შესჯახებოდა ან უარესს რაღას შეეჯახებოდა, მაგრამ ვერ ჩასწვდომოდა ძირისძირობამდისა, თავისთავად ვერ მიმხვდარაყო, არც არავის აეხსნა და მთელი ამ ამბავის სიავედ

მხოლოდ ის მიეთვალა, ცოტახანს სამუშაო აღდილი რომ არ ექნებოდა, ჰო არ ექნებოდა და ისიც ცოტა ხანსა, ცოტა ხანსა... რათქმუნდა, იდეები ნათელი გახლდათ ბიბოსთვისა, გამოსახვაც ეხერხებოდა, დიდხანს აბა რა დააყოვნებდა? რა ვუყოთ თუ ერთიდაიგივეს იმეორებდა, რა ვუყოთ თუ ყალიბში იჯდა, შტამს რომ უწოდებენ, სწორედ იქ იჯდა, იქ გამოჰდილიყო, რა ვუყოთ მერე და მერე რაო, ეს არ გამოდგებოდა დაბრკოლებად თუ დამაყოვნებლად, პირიქით სასიკეთოდ იქნებოდა. ხელოვნებისათვის თუ სიავე გახლდათ, რა ვუყოთ—მერე, ამ შემთხვევაში მოსატანი არ იყო, ეს მაინც არას იტყოდა, არ დადგებოდა იმის მამხილებლად, ამას თავისი ფიქრები ეწეოდა, ხოლო თუ შესძლებდა, თუ განახორციელებდა, თქმაც ეს იქნებოდა დაბეჯითებული, გამართლებული, გარდაუვალი.

ხოლო მანამდის სხვა რა შეეძლო, ამჯერად მაინც მეტი არაფერი მოუხერხდებოდა, — მანქანის დაუქმებულ სადგომში შეჰყარა თავისი ნაკეთობანი და საშემოდგომო გამოფენას მიაშურა... ნაცნობ-მეგობრებსაც იქ შეჰხვდებოდა, — თუ ჰყავდა მეგობრები, ყოველ შემთხვევაში ნაცნობები მაინცა ჰყავდა, — იქვე გაიგებდა თუ ვის შეჰკედლებოდა დროებითა, რა თქმა უნდა, დროებითა, ჭალის პორტრეტსაც შეაგლებდა თვალსა. იქ სხვანაირად მოჩანდა, სხვა იერი და ღირსება შემატებოდა, სხვათა ნაქანდაკეთა შორის რომ გამოჩნდა, სხვანაირადაც გამოჩნდა. ეგებ თვით ავტორის თვადმა დაისვენა და შეჰხვდა სხვანაირადა, — შესაძლო არის ისიცა, ესეცა, სხვა რამეც არის შესაძლებელი, ხოლო სხვა რამეც ხალხის მოწონება იგულისხმებოდა... ხალხსაც გადაეყარა, ჭალის პორტრეტს შემოჰხვეოდნენ, მსჯელობდნენ, დაობდნენ, ვიდაცა ცხარობდა, სხვაც შეჰხმობდა ვაცხარებული, — უკეთეს შემთხვევას ვერც ინატრებდა, მაგრამ მოერიდა, დაირცხვინა, გამოერიდა, კარებშივე შემოტრიალდა და გამობრუნდა... იქვე სხვათა ნაქანდაკევიც

გამოეფინათ, გრაფიკოსთა ნამუშევარიცა, ფერმწერთაცა, ჰედლილობანიც იყო, ერთიმეორეზე მიწყობილიყო, რაც, ცხადია, ჩვეულებრივია სიეწროვის დროსა, ჰოდა ჭალიც ეგება სიეწროვისგან მოჰყოლოდა მოკამათთა თუ მოსაუბრეთა არეში, ეგება სხვა რამეზე მსჯელობდნენ, ვთქვათ, თუნდაც იმ ძველებურ სასმისებზე, სამთავროს ნატეხებიდან რომ აღედგინათ, — სალაპარაკო სწორედ ეს იყო და ექვიც აღეძრა, მაგრამ დიდხანსაც არ გაჰყოლია ეს ექვი, ახალგაზრდა მხატვრები ტორტმანებდნენ იქვე ჭაშუეთთანა, ხელი დაუქნიეს, თვითონვეც წამოესწრაფნენ, — ორი თუ სამი წამოესწრაფა, ერთბაშად მიესალმნენ, ერთბაშადაც უთხრეს, ვიდაცა სხვა დაუყრია „ჭალი“ უიდეოაო, ვიდაც ვიდაცანიც აჰყოლიან, შენ ნუ შეიცხადებ, ნურაფერი გეფიქრება, სადაც მტერი ჩაგისაფრდება, იქ მოკეთეც გამოგიჩნდებაო; ყოველ შემთხვევაში რა ხმეურიც უნდა მოჰყვეს, შენთვის სასიკეთოდ იქნება, ოღონდ გაუძეოლი, გულთან არ მიიტანოო; ასე მიიყარეს ერთბაშადა, მოჩქარებითა, მთავარ გუნდთან მიიყვანეს, შეიმატეს, წავიდნენ და წაიყოლიეს. დიდ მოედანს შემოუარეს, დადიანის ქუჩაზე ჩაუხვეეს და სახინკლეში ჩავიდნენ. ფსონი აეწყოთ, შენც ჩამოდი თუ რამე გაქვს, თუ არა და სტუმარი იქნებიო. მოიქექა ჭიბეები იმანაცა, ჩავიდა, რაცა ჰქონდა.

ჩავიდა და ამოეტუზა მაღალ მაგიდასა, სხვებიც ამოეტუზნენ აქეთ-იქიდანა. ერთი კუთხეში მოჰყვა, გულხელი დაიკრიფა, მღუმარედ მიმოატარა თვალები. დიდი რამ მიმოსატარებელიც არ გახლდათ: ვიწრო სახინკლეში, ვიწროსა და დაბალში მაღალი მაგიდები წამოეყუნებინათ. სკამი არსად იდგა, ფეხად უნდა შემოჰხვეოდნენ. დაბალი ვინმე ნიკაპით ძლივს თუ ასწვდებოდა. ამათგან დაბალი არავინ იყო, იქით, ბოლოში მოჩანდა ერთი, ისიც ფანჯრის რაფას მიჰყუდებოდა, ლუღსა სწრუპავდა ხინკლის მოლოდინში. ელოდნენ სხვანიცა, სასმელს იმარაგებდნენ თუ ჭერ არ მოე-



მარაგებინათ; ზოგს კარგახანია მოემარაგებინა, ქაფი ჩამწყნარიყო ლუდის კათხებში, ქაფი ჩამწყნარიყო და ჩაეარდნილიყო ლუდი. ამათ მორეოდა მოუთმენლობა, მაღმალე შეახსენებდნენ, რასა სწაღიხართ, მოიტათ მალე, ქვესა ხარშვით თუ ხინკალსაო. ახლავეო, აიმედებდნენ ისინიცა, ამოურევდნენ დიდ ქვაბსა, დიდი ქაფქირით ამოურევდნენ, ორთქლი გამოვარდებოდა სარკმელიდანა კომის ბრტყელების ხმაც იქიდანვე გადმოდიოდა. აქეთ ფეხებს აბაკუნებდნენ მომლოდინენი, ყველას აღბეჭვდოდა სახეზე ანთუ როგორი ამტანობისა იყო, ანთუ როგორ ენუგბარებოდა ხინკალი, ანთუ როგორ მოშვიწონდა... ამათგან ორნი დაფაცურებდნენ, ლუდი მოიტანეს, კონიაცი მოიტანეს, ხინკალი შეუკვეთეს, — ამჯერად რომ შეუკვეთეს, დაიბევეს შემდგომი ამოყრისთვისაცა, ერთბაშად არ უნდოდათ, გაცივებდნენ, მერეცა ვნახოთო. სულ ეს იყო, დასანახიც ეს იყო, აზრადაც მეტი არაფერი გამოიხლართებოდა, მაგრამ ის გულხელდაკრეფილი მაინც გულმოდგინედ დაატარებდა თვალებსა. ლუდსაც არ წაეტანა, სხეები წაეტანენ, ხინკალიც ახლავე იქნება, ყელი ჩაეიწმინდოთ, ჩაეიკოკლოხინოთო.

ამანაც ჩაიწმინდა ყელი... კათხები მიუჭახუნეს, ჩაეიწმინდოთო, მაშინდა ასწია თავისი კათხა, მოსვა ორიოდე ყლუპი; ალბათ უგერგილოდ მოსვა ან გადაჰკრა საეჭვო ფერფურმა, ისე აღმაცერად რომ აპხედ-დაპხედეს, ხოლო ერთმა იმათგანმა, ქაშუეთთან რომ მიეგება, კიდევაც ჰკითხა:

- რა თავიერი ჩამოგტირის?!
- გულთან არაფერი მიიტანომეთქი, ავი გითხარი. — მეორემ დაურთო.
- მისატანებელი თვითონვე მიეტანება... — ასე მიუგო.
- ნებისყოფაც იმიტომ არის, თავი ადვილად რომ არ დაიხაგრო. — მესამემ დასძინა.
- ზოგჯერ ნებისყოფა არ გვემორჩილება. — სხვამ დასძინა.
- ზოგჯერ ყველაფერი ხდება... —

კიდე სხვა მიატანს.

— ზოგჯერ არაფერი. — სხვამ აწმინდა ბრუებს.

— ბიბოს სახელოსნო სჭირდება, — ეს თავისას მოსთქვამს, — დიდ კომპოზიციასა ჰქმნის... ცოტახანს გარეთა ვრჩები.

— დიდხანს... — ის შეუსწორებს, გულთან არაფერი მიიტანოო, რომ არიგებდა, — ან იქ აღარც მოგიხდება მუშაობა, დიდი კომპოზიცია აქ არაფერ შუაშია.

— ასე მითხრა... — დაუეჭვებლად აცხადებს ფრიდონი.

— დიხაც, — იგივე არ ეშვება, — მაგრამ გამოფენაზე თუ არაფერს გამოიტანდი, იქვე იქნებოდი, იმის დიდ კომპოზიციას ხელს არ შეუშლიდი, არც ის შეგიშლიდა ხელსა.

— რახან გამოგქონდა, ბიბოს რომ ესმის, ისეთი უნდა გამოგეტანა, — განუმარტავს მეორე.

— იღეა მშვენიერებაა. — ამოიძახებს კუთხეში აყუდებული ყმაწვილი.

აქ ხინკალი შემოაჭვთ დიდი სინებითა, იმათაც ჩაუდგამენ ერთსა და საღდაც მიჰქრება მშვენიერება. ჰო ჩაუდგამენ ანუ მიუდგამენ ცხვირ-პირთანა, ცხვირ-პირით შემოსევნიან აყუყულ მაგიდასა, ორთქლი ეხვევათ სახეზედა, ღრმად ისუნთქავენ და ნესტოები ებერებათ. ხელებიც გაეხვევა ორთქლში, ხელები წაეტანება ხინკალსა, კალმახივითა სხლტება ხინკალი, ცხელია და სხლტება, კალმახი ცივია და სხლტება, მაგრამ სხლტებიან ერთნაირადა. ოღონდ რა წაუვა ხელსა, ადამიანის ხელსა, კალმახი ვერ წასვლია, ხინკალი სად წაუვა, დაიტაცებენ და უბერავენ, გაცივებაც არ შეიძლება, ცხელი რომ არის, ეშხიც ის არის ხინკლისა, პირს რომ ფუფქავს, ეშხი ის არის. თითქოს მღულარებაც არა კმარაო, წიწკაკ უნდა მოეყაროს, მწარე წიწკაკ, ყბები უნდა გამოგექლიტოს და ეშხიც ის არის ანუ ესლა დარჩენილა ეშხადა, თორემ წესით და ადამით გემოვნებით უნდა შეზღუდილიყოს, საუკეთესო გემოვნებითა, მაგრამ რაო,

ყველაფერიც რომ იქით გადავდოთ, აღარც აცილიან, აჩქარებენ, ჩქარობს ისიცა, ხოლო სიჩქარე უხეირობის დედააო, სიჩქარეში საცუღლუტოც გამოერევიაო. მაინც შერჩენილა ეშხი, ეშხი სიცხოვლისა, ეშხი წიწაკისა, ხოლო ხელები, ნიკაპიც რომ იწუწუება, ზოგჯერ ყელსაც რომ ჩასდევს წუწუები, გულისპირსაც ეღება და ლაქავდება, ეს კი ვეღარაფერი ეშხია, მაგრამ რას იზამ, გაცივებულს გემო არა აქვს, ცხელ-ცხელს დააცხრები, დააცხრები და იწუწუები, იფუფქები უღმერთოდა. ხინკალის მოყვარულებს პიჯაკებზე ეტყობათ. პალტოზეც უტყობათ, გულისპირი მოსჩითვით ლაქებთა. ესენი ფრთხილობენ, ქალაღს იშველიებენ, ხელები მაინც ამოგუნგლიათ, სინიდან პირამდის დაქანაობს ამოგუნგლული ხელები, სინზე ერთბაშად აირევა და ცალცალკე გაქანდება პირისკენა. ოდესღაც გობშიც ასე ერთბაშად თუ ჩადიოდა ხელები და მეგობრობაც ამას თუ მოჰყვია, ამ ერთბაშობასა, ერთგულობასა, ერთსულოვნებასა. დიახაც ერთსულოვნებასა, სხვაგან არც ითქმოდა ასეთი ერთსულოვნება, ჭამაში რომ არის, სხვაგან არც იქნება. ხინკალი მაინც ყველაზე სიჩქაროა და კუთხეში რომ ატუზულიყო გულხელდაკრეფილი, ახლა ისიცა ჩქარობდა.

მონაყრდებიან და ამოისუნთქებენ, ამოისუნთქებენ და ჭიქებსაც მიეტანებიან. კონიაკი სამეარსკვლავიანია, ცოტა არ იყოს არ მოსწონთ, მაგრამ მეტი რა ჩარაა, არც თანხა მოსდევთ, იქ სხვაც არ არის, ჭიქებს ასწევენ. და ალაპარაკდებიან. იჭითაც, ყველაგან ალაპარაკდებიან, აქამდის თურმე დადუმებულიყვნენ, აქამდის ხერებდნენ, წუწნიდნენ, ერთობლივად ხერებდნენ და წუწნიდნენ, ესღა გაისმოდა, ახლა ალაპარაკდნენ ერთბაშად. ხინკალმა დაიწია სინებზე, ორთქლმა დაიწია, სამაგიეროდ ჭიქები აიძარბა და სიტყვაც აპყვია, სახინკლე ამეტყველდა, აქაქანდა, აგუგუნდა. ამათგანაც თავდაპირველად ერთი აქაქანდა, — პირველად ვინც შეეგება ქაშუეთთანა, ის აქაქანდა, ხოლო კუთხეში

რომ ატუზულიყო, ისევე აიტუზა კუთხეში, ხელები შეიწმინდა, გულზე დაიკვირდა და მიეყუდა კუთხესს. ამათგან პირველი აქაქანებული მშვენიერების სადღეგრძელოსა სვამდა, თურმე განა გამქრალიყო მშვენიერება, მხოლოდ ჩაკარგულიყო ხინკლის ორთქლში ან თვითონვე განრიდებოდა, — სული მოითქვან, გული მოინაყრონ, მერე ისევე მომინატრებნო. გული მოენაყრათ და მონატრებოდათ, მშვენიერებას აღიღებდნენ, ხან აცდიდნენ ერთიმეორესა, ხან ჩაერევდნენ, ჩაურთავდნენ, ვერ მოითმენდნენ და ჩაურთავდნენ, ხან შესძახებდნენ ერთობლივად, თანაც ჭიქებს აქაზუნებდნენ, აქანავებდნენ და აქაზუნებდნენ, მერე პირისკენ გააქანებდნენ, მაგრამ ვინმეს კიდევ გაახსენდებოდა სადიდებელი მშვენიერებისა, ისიც უნდა ეთქვათ, არ უნდა მოეკლოთ სადიდებელი და ისევე აქაზუნებდნენ, აქანავებდნენ ჭიქებსა.

— ხელოვნება მშვენიერების გარეშე არც შეიძლება, — კვლავ იტყვის ვინმე იმათგანი და ჭიქები შეჩერდება ტუჩებთანა; თუ აღარას იტყვის, პირთავდება ჭიქები, თუ განაგრძობს, ჩამოიწევის ისევე. — მშვენიერება თვითარსობაა ხელოვნებისა, — განაგრძობს, — რაც მშვენიერია ხელოვნებაა, რაც ხელოვნებაა მშვენიერია.

— ბუნებაში მეტი მშვენიერებაა. — ურჩობს მეორე.

— მაგაზე იღავონ ფილოსოფოსებმა და ესთეტიკოსებმა, ჩვენი მშვენიერება ხელოვნების მშვენიერებაა. — სხვა მიაღვენებს.

— არ გაყოფილა...

— იმათ იღავონმეთქი!..

— ბუნების მშვენიერება ბედნიერებაა ბუნებისა, ხელოვნებას იღებები უნდაო...

— იმათ იღავონმეთქი!..

— იღვა სიძარბოლეა!.. — კუთხეში რომ ატუზულა ის ამოიძახებს. სიტყვას აღარ მიაღვენებენ, შეაქაზუნებენ ჭიქებსა, გადაპკრავენ და ხელი წაუვით სინისკენა. იქ ხინკალი კიდევ დარჩენილა,

იფერფლება ხინკალი, ცოდოა ხინკალი დაფერფლილი, იღებენ, კებენ, ისევე დუმდებიან მეგობრები. სხვანიც მიყუჩებულან, იქაც იფერფლება ხინკალი, იქ ის მეგობრები მიეტანებიან სინებსა; სინებს მიეტანებიან და მეგობრებად ვამბობთ, — უფრო მესინეებად ითქვიან, მაგრამ არ გამოვა, არა, არ გამოვა, რამდენნაირი ჭურჭელი შეცვლილა, ვინ უწყის რამდენნაირი, რამდენ ქვეყანას უსახელებია თავი ჭურჭლის სიახლითა, ვინ უწყის რამდენსა, საიდან არ შემოუტანიათ, ვინ იცის საიდანა, ოღონდ მეგობრობა მაინც ისა ყოფილა, გობთან რომ ყოფილან და, რაც მიმგვანებია, მეგობრობაც იმას დარჩმევია. რაც უნდა იყოს აყუყულ მაგიდებსა შორდებიან მეგობრები, ესენი არა, იქითა და იქითა შორდებიან, ესენი შემდგომ ამოყრას დალოდებიან. სინზე კიდევ დარჩენილა ხინკალი, მაგრამ ჩამქალა უკვე, ხელს აღარ მოჰკიდებენ. იქით, ბოლოშიც რჩებიან ვილაყანი, სხვანი აღიან, სხვანი ჩამოდიან, სხვანი ეხვევიან აყუყულ მაგიდებსა, ლუდი მოაქვთ, ლუდსა წრუბავენ, ხინკალს ელოდებიან, მალეო, აჩქარებენ მეხინკალებსა, იგივე მეორედუბა, მეორდება ანუ არაფერი იცვლება, ბრუნავს ასე დიდიდან მოკიდებული გვიანობამდისა, იცვლება დრო, იცვლება სამზადი დროის შესაფერისადა, — საუზმე, სადილი, სამზარი, ვახშამი, სხვაგან იცვლება, აქ არა, არაფერი იცვლება: ისმის ტყაბატყუბი, ბრტყელდება ლაფათები ხინკლისა, აღის ორთქლი, სარკმელში მისცურავს ორთქლში გახვეული სინები, მისცურავს ორთქლი, მაღალ მაგიდებზე დატრიალდება და აღის, აღის. ამათ მაგიდაზეც აღის, ამათ ჭიქები შეუმართიათ, ჭიქებს ეხვევა ორთქლი, ყვითელ ფერს ეხვევა და იისფრად აღის.

— სიმართლე ზოგადი რამ არის, — ისევ ის ამბობს, პირველად ვინც დაიწყო, კუთხეში რომ ატუზულა, იმას ედავება, თუ ვინმეს სხვასაც ედავება სულერთია, — ჭეშმარიტება უფრო ზოგადია, მარადიული ბურუსით მოცული. დაე ამაზეც იღავონ ფილოსოფოსებმა,

ყველა ჭურის მეცნიერებმაც იღავონ, ხელოვნების სიმართლე სხვა რამევე არც ზოგადია, არც ბურუსით მოცულია...

— ხელოვნების გზაც ჭეშმარიტებისა-კენ მიდის... — ედავება მეორე.

— ამაზე იღავონ მეცნიერებმამეთქი...

— მაშინ ჩვენ უღაო ვთქვათ, — ურჩევს მესამე.

— უღაოც ესაა, ხელოვნების საგანი ზოგადი არ არის, გამორკვეულია, სახიერია, ნათელია, იდეა ნათელია...

— იდეა ერია! — ამოიძახებს კუთხეში ატუზული ჭაბუკი, თვალები აღუპყრია, შორს გასახედათ აღუპყრია თვალები, მაგრამ დაბალია ჭერი სახინკლისა, შორამდის ვერ გადაწვდენილა თვალი. სხვებს სადაო აქვთ, მაგრამ აღარა დაობენ, როგორღაც ისეთ კილოზე ამოიძახებს, მოსჭრის სათქმელსა ან ახალს სადინარს მისცემს, საამისოდაც უნდა მოიკრიფოს აზრი, დადუმდებიან, ვიდრე აზრი მოიკრიფებოდეს, ჭიქებს გასწევენ იმის ჭიქისკენა, ერთობლივად მიუჭახუნებენ, თან უნდათ თვალი გაადევნონ იმის თვალსა, ელიმებათ ან თანაუგრძნობენ, უფრო ღიმილი ერევათ და უხმოდა სვამენ, რახან სადაო ფილოსოფოსთა თუ მეცნიერთათვის მიუგდიათ, ზოლო ამათვის ნათელია ყველაფერი; თუმცა ვაგლახ, რომ არ არის ნათელი, ან სავაგლახო რა უნდა იყოს, ახალგაზრდები არიან, იწრთობიან, იწაფებიან, თანდათან უფრო ნათლად შეჩხედავენ, თუმცა ზოგი რამ მაინც დარჩებათ გაურკვეველი, ზოგი მიუწვდომელი, ზოგი გულსაკლავი, ზოგიც აღიტაცებთ და ამასობაში დაცხრება ვნებანი, ბევრისაც დამცხრალა, მოკლე ყოფილა წუთისოფელი. ამათ წინ უდევთ წუთისოფელი, ადვილად ემზადებიან, ადვილად, იწუნებენ, მხოლოდ ეს არის, ვერაფერს იწყებენ ადვილად, რაღაც სხვა უნდათ, რაღაც ძლიერი და ყოველისმომცველი. წარსულის მინაღწევით აღტაცებულან, მაგრამ აღარ ეკმარებათ იმათი საშუალებანი, ან მართლა აღარა ემარა, ან ესენივე ვერ ჩასწვდებიან იმა-

თი ფერის, თუ ხაზის, იმათი შუქ-ჩრდილის იდუმალებასა; ან მეტი მოძრაობა უნდათ, მეტი სიცოცხლე უნდათ, ტილოა თუ ქვაა, უნდა მეტყველებდეს, უნდა მოძრაობდეს, ეგებ აზროვნებდეს კიდევ? მეცნიერებას მიუყვლება, მეცნიერება მიდის ამ საოცრებამდისა, ხოლო ეს ხელოვანთა ძველისძველი ოცნებაცა ყოფილა, — გაცოცხლება ქვისა, გაცოცხლება ფერისა. მეცნიერებს გაუსწრიათ ხელოვანთათვისა, მხოლოდ ისინი მშვენიერებას არ დაგიდევენ, ოღონდაც გაიანგარიშოს, გადათარგმნოს, ჩაძახილი გაიმეოროს. ჩაძახილივე გაიმეოროს ქვეამაცა და ფერამაცა, მაგრამ მშვენიერად უნდა გაიმეოროს, მშვენიერი უნდა იყოს, უნდა მოძრაობდეს, უნდა მეტყველებდეს მშვენიერადა. ეგება არის კიდევ რაღაც საშუალება, ძველ ოსტატებს რომ გამოჩინიათ, — ვერ მიუგნიათ, ან მიუგნიათ, ოღონდ დამარბულან და დაუშარბიათ. უნდა ეძიონ, უნდა იპოვნონ, — იპოვიან, ახალგაზრდობა იმედოვნებაა, მითუმეტეს თუ ადის იისფერი ორთქლი, ჭიქები ჭახუნებს და მერე ეღება გაფიცებულ ტუჩებსა.

— მშვენიერება თუ დაიკარგა, ხელოვნება დაჰკარგავს აზრსა, — აცხადებს ერთი.

— ხელოვნებამ დაჰკარგა აზრი... — მოსჭრის მეორე.

— მშვენიერება დაიკარგა? — სხვა იკითხავს.

— არ დაკარგულა...

— არ დაუკარგავს...

— დაჰკარგა, — ჭიუტობს იგივე და ასაბუთებს, ორ დიდ ტილოს ასახელებს საშემოდგომო გამოფენისა, — რა არის ამათში მშვენიერებისა?

— არც არაფერი.

— ჰოდა დაჰკარგა!

— მაგრამ ეგ ორი ტილოა და არა მთელი ხელოვნება.

— მთელი ხელოვნება რაღაა?

— ყველა ხელოვანი.

— ბუნდოვანებაა, ყველა ბუნდოვანებაა, დამისახელეთ საითათოდა, დამისა-

ხელეთ, ხოლო მანამდის მევე გიპასუხებთ, ყველა რაღაცას ეძებს და მშვენიერებასა ჰკარგავს.

— მშვენიერება არის ერი... — ამოიძახებს კუთხეში ატუზული ჭაბუკი, ისევე თვალაყრობილი ამოიძახებს, თითქოს სადღაც შორს იხედებო, მაგრამ დაბალია ჭერი საბინკლისა, დაბალია და დაორთქლილი. დარბაზები არც უნდა კამთხსა.

— შენ რაღა პითიასავით გამოიძახი, ახლოს მოდექი, დამისახელეთმეთქი!

დამისახელეთო და უსახელებენ ერთიდაიგივესაცა, სხადასხვასაცა, ეს ყველას უარპყოფს, ისინიც არ იცავენ თავგამოდებითა, ერთნი თუ იცავენ, მეორენი ეღავებიან, ხმები იყოფა, ირევა ხმები, აიწვეს ხმები ამ კუთხეში აიწვეს, იქითაც თუ სადმე აიწვეს, ჩაიფერვლება ხინკალი და წაეღენ, ავლენ, ამათ გადმოჰხედავენ და ისე ავლენ; გადმოიხედავენ სხვანიცა, ამსელუნიცა, ჩამომსელუნიცა, მერე კვლავ გაჩნდება ორთქლავარდნილი სინები და ესენი აღარავის ახსოვს, ამათ ხომ არც ახსოვდათ, არც ეხსომებათ, აღარც ხინკალი უნდათ, თუ მაინც მოიტანენ, ავარდება ორთქლი, იისფერი ორთქლი, ხელი როდიღა ეტანება, აღარა სცალიან ხელსა, პირის უბეს ხომ აღარა სცალიან და აღარა, წარმოთქმულს დამტკიცება უნდა, ყველას თავისი უთქვამს, ყველა იცავს თავისასა. იცავს გაცხარებითა, შორს გასულა სარბიელი სიტყვისა.

კუთხეში ატუზული აღარას იძახის. ამას ხომ არც არაფერი უთქვამს, გულთან არაფერი მიიტანო, რომ გაუმეორეს, არის მას მერე, არის იმათში და არის თავისთვისა, გულთანაც არაფერი მიაჭებს, დარიგებამ თუ გასჭრა, ან არც გასჭრა, მხოლოდ ყურს უგდებს, ეთანხმება ან არ ეთანხმება, ოღონდ არ ჩაურთავს სიტყვასა, მიუჭახუნებენ, მიუჭახუნებს, დალევენ, დალევენ. ხინკალშიც ჩაერია, აუბა მაღაი, მერე აღარა, ლაპარაკში აღარ აუბა, მხოლოდ მაღიმალ გადაჰქონდა თვალეზი, სიტყვას ვინც ჩაურთავდა, იმისკენ

გადაჰქონდა, ხოლო ერთბაშად თუ აქა-
ქანდებოდნენ, ვისთვის შეეხედა, აღარ
იცოდა, მაშინ თავს იხსნიდა, დაჰხრიდა
თავსა, თავის ფიქრებს ჩაედევნებოდა,
იქ გადაიტანდა ამ საკამათოსა, იქ შე-
ებმოდა. ამით ერთმანეთი უნდოდათ,
აზრთა ჰქიდილი არ გამოუვიდოდათ უერ-
თმანეთოდა, სხვადასხვა აზრი ჰქონდათ,
სხვადასხვა წაეკითხათ, გადაჰყროდნენ
სხვადასხვა რამესა, ვისთანმე უნდა გაე-
სინჯათ, გამოეცადათ, დაედსტურებინ-
ათ თავიანთი, თავიანთთვის მიანიც დაე-
დასტურებინათ. ამას არავენ უნდოდა
საამისოდა, რახან იყვნენ ყოფილიყვ-
ნენ, აიტანდა, ისე, მარტოდაც იოლს გა-
ვიდოდა, თვითონვე შეებმოდა თავსა
ანუ თავისსავე ფიქრსა, დაუთმობლად
შეერკინებოდა, მიიკვლევდა უფრო
სწორის, უფრო ნათელის, უფრო მარ-
თლისკენა. ოღონდ მასში ყველაფერი
სასიკეთო იყო, სასიკეთონი იყვნენ საპი-
რისპირონიცა, წინააღმდეგობაც სხვა
არაფერი ვახლდათ თუ არა არჩევა უკე-
თისისა კარგთა შორისა და ამიტომაც
ვერ არჩევდა ავთა ზრახვათა, გულთანაც
აგრერიგად ახლოს ვერ მიეტანა, ვერც
ისა, საბელოსნოდან რომ დაითხოვეს,
ვერც ესა, უიდეობის ხმა დაგიყარესო.
ეს არ ითქმოდა იოლ ნათქვამადა, იოლ
გადასალახავადაც არ ითქმოდა, გადაუ-
ლახავი რამ ბრალდება ვახლდათ, ბევ-
რიც შესწირვოდა, ახალგაზრდაცა, ხან-
დაზმულიცა, გამოცდილიცა, გამოუც-
დელიცა, ბევრიც შეძრწუნებულიყო,
დაჰკარგვოდა ნებისყოფა თუ მთავარი
გონება, მაგრამ ამას ჯერ გულთანაც არ
მიჰკარებოდა. მშვენიერებას უნდა მის-
წვდენოდა, იმედი ჰქონდა, ხოლო თუ
ვერ მისწვდებოდა, იმედი თუ დაეღეო-
და, მაშინდა აუტყდებოდა გულის ფრი-
ალი.

XI

ჯერ თითქოს საამისო არაფერი მოჩან-
და, თუმცა ვინ უწყის მოჩანდა თუ არა,
მეტრც იყო, მაგრამ ამისთვის გაუგებ-
რად დარჩენილიყო, — ეგრემც ყოფი-
ლიყო, გაუგებარი ვერც შეაშფოთებდა.

სახინკლეში კიდევაც შეხალისდა... ერთი
ახალგაზრდა მხატვარიც გადაეყარა ასე
შეხალისებულსა, — ბატონი გენადი
გკითხულობდაო, იმან მოახსენა და ესეც
გაეშურა ბატონ გენადისკენა, გაეშურა
შეხალისებულნი. გენადიც ხალისიანად
დახვდა, თუმცა სასიამოვნოს არაფერს
გაახსენებდა, მაინც გაიხსენებდა ხალი-
სიანადა: ბიბოს დაუთხოვნხარო, ნურც
გედარდება, ნურც გაგიკვირდება, კიდე-
ვაც დიდხანს შეგიფერათ. ეგრეთი ხსი-
ათისა, ბოლომდის ერთგულემა არ შე-
უძლიან, არც მეგობრებს გაიტანს ბო-
ლომდისა, არც მოწაფესაო, მალე მოიმ-
წვანილებს, სხვას მიეკედლება თუ მი-
იკედლებს, იმასაც მალევე მოიმწვანი-
ლებს, გადასცვლის სხვაზედაო. ყველას
რალაცა ნაკლი დაჰყოლია, ბიბოს ნა-
ლიც ეს არის და ნუ ვიწყენთ, მივუტე-
ვითო... შენთვის მიანიც არ არის ღიდი
გასაჭირი, იოლად გაიკვლევ გზასა, მაგ-
რამ მაინც მხარდაჰქერა თუ გინდოდეს
ვინმესი, აგერა მე და აგერა ჩემი ატე-
ლიყო. — ხალისიანად უთხრა, სამხი-
არულოდ უთხრა. გაიხარა ამანაცა, ხა-
ლისს ხალისი დაერთო და გაიხარა.
აღტყინდა თუ აცუნცრუკდა, ღიდი
მადლობა მოახსენა და რამდენჯერმეც
გაუმეორა, ღიდი მადლობელი ვარო; სა-
ხელოსნოც შემოიარა, ძველი თუ ახალი
ნაკეთობანი შემოათვალიერა, რამდენ-
ჯერმე შემოიბრინა და შემოათვალიერა.

ეს ატელიე თუ არა სჯობდა, არ ჩა-
მოუვარდებოდა ბიბოსასა; არ ჩამოუ-
ვარდებოდა არცა სიდიდითა, არცა სი-
ნათლითა, არცა მოპირკეთებითა, ნაკე-
თობანით კიდევაც სჯარბობდა. გელი
ყოველთვის გამოირჩეოდა ნაყოფიერე-
ბითა, ამ ბოლო დროს თუ შეყოვნებუ-
ლიყო, ეგეც არაფერი, სხვანი ჯერ კიდევ
დიდხანს ვერ დაეწეოდნენ, ხოლო მანამ-
დის, ვნახოთ, რა იქნებაო, იტყოდა
ხოლმე, სახეზე ხომ ეტყობოდა და ეტ-
ყობოდა, ცოტა ამპარტანულ, ცოტა
ცბიერ, ცოტა კმაყოფილ, ცოტა ეჩინან
სახეზე. ჰო ვნახოთო, ოღონდ მერე რა
იქნებოდა, ვინ უწყის, ხოლო ახლაც ბევ-
რი რამ იყო სანახავი, გატანილთა თუ

გადანახულთა შესახებ რომ არც არაფერი ითქვას, იქაც ბლომად ეწყო, შემორიგებულები თაროებზე, — თუნდაც მხოლოდ პორტრეტებზე ითქვას, — უამრავი პორტრეტი დაწინაურებულთა, აღმატებულთა. მაგრამ ზოგი შებრუნებულიყო, ზოგსაც საბურავი ჰფარავდა. ეგება სწორედ ბედის სწრაფცვალებადობა გამხდარიყო მიზეზი მისი ნაყოფიერებისა? — შესაძლოც არის, ოღონდ მიზეზი რაც უნდა იყოს, იმისი შინაგანი მოწოდებაც უნდა დამთხვევოდა, ხოლო ეს დამთხვევა, ფილოსოფოსთა გამონათქვამს თუ გამოვიყენებთ, აბსოლუტური ვახლდათ. მაგრამ შედეგი ქვეულებო უბრალო სიმართლედა, უბრალოდა, ჩვეულებრივად, აქ ფილოსოფოსთა ტერმინები საჭიროც არ იყო. თუმცა ბევრი პირშებრუნებულიყო, მაინც ვერ გამოაკლდებოდა სიმართლესა.

მხოლოდ თვალს არ იტაცებდა არაფერი, ამიტომაც თუ უვლიდა გარშემო, ვერსად შეჩერებულიყო, ვერაფერს დაჰკვირვებოდა მოწონებითა თუ ოსტატის ეჭვითა. ჰო ეჭვიც კარგი რამ იყო, ეჭვი ახალგაზრდა მოქანდაკისა ხანდახმული მოქანდაკის სახელოსნოში, კარგი იყო, მაგრამ იქ არაფერი ვახლდათ საექველი თუ დამაფიქვრელი: ზუსტად გადატანილიყო სახეები, კანცელარიის ენით ითქმოდა, — ასლი დედანთან სწორიაო. დედანთან სწორი ხელოვნებად გამოცხადებულიყო. კეთილი, მაგრამ ლამაზი დედანიც იცოდა ბუნებაში, იცოდა სახე ლამაზი, წარმტაცი, მომხიბლავი, ურიგო არ იქნებოდა იმისი ასლი, გადატანილი თუნდაც ასე ცუდადა, შთაუგონებლად, მართლაც ასლადა, ლამაზი მაინც ლამაზად გამოცხადდებოდა. ძველ მოქანდაკეთა საიღუმლოებაც სილამაზე ყოფილა, სხვა არაფერი, — სილამაზე და ოსტატობა სწორუბოვარი. მაგრამ მეტი და მეტი მოუნდომებიათ მერე და მერე, მოუნდომებიათ ვადმოცემა ბუნების მრავალსახეობისა, პოეზიასაც მოუნდომებია, მეცნიერებას ხომ მოუნდომებია და მო-

უნდომებია, აპყოლია ხელოვნებაცა და აქ, მრავალსახეობისა თუ სრულყოფის ძიებაში, თავი დაეანებოთ სხვათა, მოქანდაკენი დაბნეულან, დაბნეულან თუ შეფერხებულან. გზადაგზა კიდევ აღორძინებულა ქანდაკება, მიჰკარებია თუ არა სილამაზესა, მაშინვე აღორძინებულა; სილამაზეც ხომ სინამდვილეა, ვერც ვერე ადვილად წაუვიდოდა, მაგრამ მაინც უცნაურია ჟინი მრავალმოსხვევისა, კვლავ გაპყოლია მრავალსახეობას სინამდვილისა, კვლავაც დაბნეულა თუ შეფერხებულა. ქანდაკება სხვა რამე ყოფილა, მრავალმხრივობა არა ყოფილა იმისი საქმე.

იმისი საქმეც სინამდვილე ყოფილა, ლამაზი სინამდვილე. ესა სცოდნიათ უძველეს ოსტატებსა, თუნდაც ლაოკოონის ოსტატებსა, იმათ კარგადა სცოდნიათ, იმათ გამკილავებს კი არცთუ მაინცდამაინც კარგადა. ბევრჯერ გაუკილავთ, გაუკილავთ რეალისტური ხელოვნების თავგამოდებულ დამცველებსა: ვეება გველი შემოჰხვევიათ, გველი აბრჩობთ ლაოკოონსა და იმის უსუსურ შეილებსა, მაგრამ აბა თუ ხმა ამოუღიათ, პირი მოუკუმიათ და მღუმარედ იტანენ ტანჯვასაო. პოეტები სხვანაირადა ჰხატავდნენ, ლაოკოონი რომ ჰყვიროდა, მთები იძვროდნენო, აბა რითი გამოუხატავთ ესოდენი ყვირილიო. იცოდნენ დიდებულმა ოსტატებმა, ყვირილი დაღებული ზახაა, ყვირილი ფოსოა, ზერელია ქვაში, ხოლო ზერელი ქვაში სიმამხინჯეა. სიმამხინჯე არ ივარგებდა, არ გამოდგებოდა ტანჯვის ვადმოსაცემად, არა, არ ივარგებდა, იცოდნენ დიდებულმა ოსტატებმა და პირი აუკრეს საშინელ ტანჯულებსა. ტანჯვასაც სილამაზე ვადმოსაცემად, ყველამ თავისი იცის, ქვამაც თავისი იცისო: ბუნებრივი ისაა, ბუნებაში როგორცა ვღია კლდის მონატები, თუ ნამდვილი გინდა, ეგდოს ისევე, უფრო ნამდვილი რალა იქნება, ეგდოს ისევე, ხელს თუ მოჰკიდებ, სილამაზე უნდა შთაბერო... აქ ყველა უშნოა, ყველა შეუხედავი. ცხადია ტანჯულნი არ არიან, აღზევების.

დროს დახატულან, მხოლოდ აღზევებისასა, — სხვა თემა არ იცის, არც მოსწონს, — თუ ითქმიან, მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერად ითქმიან, მაგრამ ესეც არ ეტყობათ, — ეგება ბედნიერება არც ამოდის ქვაში? — შეჭხედავს გენადისა, ამისი პასუხი არ აწერია სახეზე, ილიმის ამაყი ღიმილითა, აი რამდენი მიშრომიათ.

შრომით უშრომია, ვერავინ იტყვის, არ უშრომიაო, თაროებზე ხომ ბევრი აწყვია, ფოტოსურათებიც ბევრისაა გამოკიდული, ეს სხვადასხვა პირთა თუ დაწესებულებათა მიერ შესყიდულთა ფოტოსურათებია. ბევრია, უამრავია, ოღონდ მსგავსივე სახეებია და თუ თავზიანობის გამო რომელიმეს მაინც უნდა დააკვირდეს, ფოტოთა დაკვირვებას ისევე თვალისჩინოთა დაკვირვება სჯობიან. ვთქვათ აი ამ გენერალს დააკვირდება, სილამაზისთვის არა, სილამაზე არც აქ გამოკრთის, — დააკვირდება სიმართლის თვალითა, რათქმუნდეს სიმართლის თვალითა; სილამაზისთვის თუ გილალატია, გილალატია თუ აგიტყვევია გვერდი, მართალი მაინც უნდა იყვე, და რა არის მართალი გენერლის პორტრეტში? — სახით ემგვანება, ალბათ ემგვანება, სხვა რაღა არის ხელოვნება გენადისა თუ ვერც დაამგვანა, — ემგვანება და ძალიანაც ემგვანება, მაგრამ უთუოდ გენერალია? ეგება მეცნიერი არის? ბევრი მედალ-ორდენი დამაგრებია ფართო გულმკერდზე, ოღონდ მეცნიერთაც მიუღიათ ბევრი ორდენი, მოცეკვავეებსაც ბევრი მიუღიათ, ორდენებით ვერავინ გამოირჩევა, ხოლო გულმკერდი ფართოდ თუ დაუჭერია, ეს მხოლოდ იმიტომ, ყველა ჯილდო რომ დატეულიყო, მხოლოდ ამიტომ გაუფართოებია გულმკერდი, სხვა არაფრისთვისა, არ იგრძნობა არცა სუნთქვა, არც ძლიერება, მოქნილობისა არა ემჩნევა რაი, ისეა, ბრტყელია, გაწეული საგანგებოდა, გაბრტყელებული, ყველა რომ დაეტიოს ბუნებრივი ზომითა...

მაშ რაო, ცხოვრებისეული სიმართლე დარქმევია ამასა თუ ამისთანათა, თვი-

თონვე გახლდათ გაბედული მებრძოლი ცხოვრებისეული სიმართლისთვისა... დიას, თვითონვე, ბატონო გენადი, იაკობ ნიკოლაძესაც უკიყინებდა, ეგ რა არის, ეგ გულმოდელილი აკაკის ძეგლი, გულმოდელილი აკაკი ვის უნახავსო, ლოგინში თუ ყოფილა გულმოდელილი ნუთუ გამზირზეც ეგრე გამოვიდოდაო. რათქმუნდა არ გამოვიდოდა, ვერც ვერავინ შეედავებოდა, ცხოვრებისეული სიმართლის თეორია თუ სწამდა, არ შეედავებოდა, სხვა რამე თუ სწამდა, კინიტსაც ვერ დასძრავდა, სიმართლე დაღებდა, ხელოვანიც სიმართლისაკენ მოუწოდებდა. ისეთს არც იტყოდა, ვინმეს შეეხებდა, ეგრე არ არისო. ისიც მოესხენებოდა, ლაოკონისად რომ შეენიშნათ: შიშველი ლაოკონი, შიშველი ქურუმი, ძე მეფისა შიშველი, სად გაგონილაო. ძველადვე შეენიშნათ, ახლა საუკუნეებსაც გადმოსწვდენოდა. ეთქვათ საპირისპიროცა, ქურუმის სამოსი სხეულს დაჰფარავდა, ტანჯვას ველარ გავიგებდითო, ხოლო სიმართლე ტანჯვას, სამოსი ჩვიარიაო. ეგება ამდენიც მოესხენებოდა, ეგება ესოდენ ღრმადაც ვერა სჭვრეტდა ან ეგებ არ ეთანხმებოდა? — შესაძლო არის, არ ეთანხმებოდა, ყოველ შემთხვევაში იაკობ ნიკოლაძეს მაინც არ ეთანხმებოდა, სად გაგონილა შიშველი პოეტიო. თვითონ სადღოდ არაფერს გაიხდიდა, ამირანსაც შემოსავდა, ხალხსაც შემოსავდა ქულაჯებითა, ჩოხებითა, ნაბლებითა, თუმცა ვინ უწყის თუ მაშინ რა ეცვათ, როგორ ეცვათ, რანაირად შემოსილიყვნენ, — ვინ იცის, ვინ უწყის, მაგრამ ეგეც არაფერი, მთავარი სხვა არის, ერთობლივობა და უძლეველობაა მთავარი... აქაც შეავლო თვალი. ის თავს უქნევდა, თითქოს უდასტურებდესო, უფრო თავს იწონებდა, ოღონდ ეგრე გამოდიოდა, უდასტურებდესო.

უცებ შენიშნა, ბრტყელი გულმკერდი ყველა პორტრეტში მეორდებოდა. ეგებ აქ იყო თავისებურება ხელოვანისა, აქ იყო სტილი, აქ ებოვნა შესაძლებლობა ადამიანის ძლიერების გამოხატვისა, — გულმკერდი მოძრაობდა, მოქნილობა

გადმოიცემოდა გულმკერდითა. მაგრამ არ იძვროდა აქ არცერთი მკერდი. მამ რაღად მოხაზულიყო ერთნაირადა? ეგება რაიმე შტრიხი ჩასდევდა, სუნთქვა რომ გადმოეცა თუ ეგრძნობინებინა, ისეთი შტრიხი, — უნდა შეემჩნია, არ გამორჩენოდა, ამიტომაც ჩაჰყვა დაკვირვებითა. აგერა „სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი“, — აღრინდელი გამოფენებიდანაც ახსოვს, ოღონდ მკერდის თავისებური მოხაზულობა ახლად გამოარჩია, ამ ერთნაირობასა და ერთობლივობაში გამოარჩია. დაერქვას თუნდაც ერთობლივობა, სტილის მაგვარი რაღაც გამოდის, — გამოდის თუ არ გამოდის, მაინც რა გამოდისო. და დაეძებდა, სტილს დაეძებდა გულმოდგინდა, თითქოსა პპობდა, უფრო — ვერასა პპობდა და ეგონა, ძალა არ შემწვეს, განეკვირვო თავისებურება ხელოვანი-საო. ნიშნების ამოსახაზავად გაბრტყელებულიყო გულმკერდი, შეტი არაფერი, მოძრაობისა თუ მოქნილობის ნიშანვალი არ ეტყობოდა; არ ეტყობოდა და ეძებდა, ეძებდა და თვალში ეცემოდა ყაბალახი, თავსაბური ჩახრუხაძისა. ამასაც იგივე ეხურა, არა ჰგავდა ჩვეულებრივ ყაბალახსა. იაკობ ნიკოლაძეს შემთხვევით აღმოეჩინა ასეთი დასახური: სველი პირსახოცი „ჩახრუხაძის“ თავზე დაეგდო, თინა არ გახმესო, მოშორებით მიმჯდარიყო მუშაობით დაღლილი, შორიდან შეჰყურებდა, აკვირდებოდა... უნდოდა დაესვენა, ვერც მოეწყვიტა თვალი, რაღაცა მოსდიოდა თვალში, რაღაც მოსწონდა, ვერც გაეგო ისეთი რა გაეკეთებინა.. ვიღაც მოსწვდა სველ პირსახოცსა და მოისმა შეშინებული ძახილი ოსტატისა, — „იყვეს!... იყვეს!...“ მოისმა და მიჰყვა ძახილსა, გამოსტაცა პირსახოცი, იქვე დაავდო, სადაც იყო, შეასწორ-შემოასწორა, გაბხედ-გამოგხედა, კვლავ შეასწორა და აცმუქდა მოხუცი, ასე აღმოჩენილა თავსაბური ჩახრუხაძისა. სხვებსაც მოსწონებიათ აღმონაჩენი, კარგი აღმოჩენაცა ყოფილა, სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატსაც მოხდენია, ბრტყელ გულამდე

ჩამოსწვდენია ბოლო ყაბალახისა ანუ ჩახრუხაძის თავსაბურავისა, მკერდე-სხვდასხვა ნიშნები ჩამწკრივებულსა, ესა კი სტილს ეძებდა, მოძრაობასა თუ მოქნილობას ეძებდა.

თუმცა ბრტყელი მკერდი საფლავის ძეგლებზეც გადაეტანა, — ეგება სტილიც იყო, სტილი გენადური თუ ვინმე გაიმეორებდა, ეპიგონები თუ გამოუჩნდებოდნენ; გამოუჩნდებოდნენ და იქნებოდა სტილი... არ მოსწონდა „მწუხარე საქართველო“. სხვა ძეგლი უნდა დაიდგას ილიას საფლავზეო. პროექტიც წარადგინა, ილია რომ ნათელ მომავალსა სჭვრეტს, იმისი პროექტი. მხარის დამკერნიც აღმოუჩნდნენ, მაგრამ ეტყობა კარგადაც ვერ დაუჭირეს მხარი, ვერ ჩამოანგრიეს „მწუხარე საქართველო“, ხოლო ილია თუ როგორა სჭვრეტს ნათელ მომავალსა, ეგ სხვაგან გამოვიყენოთო. თუმცა მეწყერმა მაინც დაუჭირა მხარი გენადისა, გაიბო „მწუხარე საქართველო“, ჩამოინგრა და ჩამოიშალა, მაგრამ მაშინ უკვე სხვანაირადა ფიქრობდნენ და აბორკეს მეწყერი, შეჭურეს რკინაბეტონითა, „მწუხარე საქართველოც“ აღადგინეს. გენადი ამბობდა, მაინც არ გასძლებს, რახან ერთი დიძრა, კვლავაც წამოვა, ჩამოინგრევაო. კარგიც იყო ასე რომ დაიჯერა, თორემ არ დასთმობდა, იბრძოლებდა, მალე დადგით ჩემი ქმნილება თუ როგორა სჭვრეტს ილია ნათელ მომავალსაო, — დაიჯერა და არ იბრძოდა, ელოდა კიდევ როდის აიშვებდა მეწყერი: არც „მწუხარე საქართველოს“ დაჰკარგავდა გენადი, არც აქამდის დაუკარგია, ჭირისუფლებს შეუკვეთიათ ძეგლები თავიანთ მიცვალებულთათვისა, გამოუყენებია „მწუხარე საქართველოს“ მოტივები. მწუხარების სიმბოლო უნდოდათ ჭირისუფლებსა, კარგი მწუხარებისათვის კარგადაც უხდიდნენ. მორეცენზიებმა არაფერი იცოდნენ, სწერდნენ სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატზე, მოწინავე მეჩაიებზე,

იდეურობაზე, ორიგინალურ მიგნებასა და გადამწყვეტაზე, ხოლო „მწუხარე საქართველოსი“ არაფერი გაეგებოდათ.

ამათ საპირისპიროდ ნათელი ჰქვრეტა არ გაეგებოდათ ჭირისუფლებსა, არ გაეგებოდათ და ვერც გააგებინა, ბევრს ეცადა, ვერ გააგებინა, თორემ სასაფლავოზეც შეიტანდა ოპტიმისტურ განწყობილებებსა. გაკვრპებულიყვენ ჭირისუფლები, მხოლოდ სევდის, მხოლოდ მწუხარების გამოსატყა უნდოდათ. ეს ბრტყელ გულმკერდსა და შემართულ ყელ-კისერსა სთავაზობდა, ესა სთავაზობდა, ისინი უარობდნენ, ეს ურჩევდა, ისინი თავს იქნევდნენ ჯიუტადა, მერე სულაც გაურბოდნენ; ბიბოსაც გაეთქვა სახელი, ნესტორსაცა, იმათვე მირბოდნენ და სხვა რაღა ეღონა, უნდა დაეყრა ფარხმალი, ნებას დაჰყოლოდა, იძულებით მოჰკიდებოდა სევდისა და მწუხარების მოტივებსა. თავისი რწმენა მაინც არ ამოულია გულიდანა და აქაიქ მორჩილ ჭირისუფლებს თუ ჩაიგდებდა ხელში, შეაპარებდა საჩინმედლო გულმკერდსა, ესეც იცოდეთ, მარცხენა მხარე ბევრად განიერი იყო მარჯვენაზედა. მიუხედემა მომავალი ისტორიკოსი, საფლავის ძეგლებს ვინც შეისწავლის, ის მიუხედემა, ხოლო მორეცენიებებმა დაბეჯითებულად უწყიან თუ რაოდენ უჩრდილოა გენადის შემოქმედება. მხოლოდ სწყინთ, აწუხებთ და აშფოთებთ, ბოლო დროს გამოფენაზე რომ აღარაფერი გამოაქვს. ვილაც-ვილაცებს გამოაქვთ, ვილაცანი ჩნდებიან, იმათ ახსნა უნდათ, მიხვედრა უნდათ და უბრალოდ გაუგებარნი არიან. ეს დიდხანია გამოორკვეულა, ადვილად მიუღდება ყველა გაერკვლებული ფორმულა თუ ციტატა ან მიდგომა რა სათქმელია, ამაზეა ზედგამოჭრილი, ამაზეა და რამდენიმე ამისთანაზე. უამისოდ არც შეიძლება და რაღა ბედენაა გამოჰდენს თუ არა რაიმე ახალსა, მაინც ამისი სახელით დაიწყება ყველა მიმოხილვა, ყველა წერილი, ყველა მოხსენება, ამისი და რამდენიმე ამისთანასი. ზოგს ეს ემართება გულწრფელი უეცილობითა, ზოგსაც, კი ზოგსაც.

იშვითად მაინც, მოხერხებულობითა, — მიეუყრი ძელებსა, აღარ გამომედეგნებაო. ამასაც მიუყრის, რამდენიმე ამისთანასაცა და აღარ ინალელებს, დანარჩენები თუ აუყავყავდებიან, აღარას ინალელებს, თუმცა ხროვია დანარჩენი, მაგრამ ხროვია ხროვია, არც ამოდენა ეშვები აქვს იმათში ვინმესა, არც ამოდენა ძალა დევნისა. ძალა აქაც ნათლად ელვარებს, სტილითა თუ შემოქმედებითი თავისებურებით არა, ამოდ დაეტებს, ვერას იპოვნის, სადაც არაფერია. არც არაფერი იპოვებო, — რაოდენობითა ელვარებს, ძალისგანაა ამდენი ნაშრომი, ღონიერი მარჯვენისგანაა და ღონე ქვისმთლელებისა ძველთაგანვე განთქმული ყოფილა.

რაც უნდა ყოფილიყო ატელიეს მაინც არ დაედებოდა წუნი. ცოდო გამხელილი სჯობიანო და: ბიბოსაცა შურდა, შურდა ნესტორსაცა. მოგახსენებთ მხოლოდ უახლოეს მეგობრებსა, თორემ მოშურნე სხვაც ბევრი ეყოლებოდა, არ გამოელეოდა გულწრფელი აღტაცებულნიცა, თუმცა ვინ იცის, ვინ უწყის, მაგრამ ასე ითქვას ყოველ შემთხვევისთვისა; ოღონდ ამას არ უგრძნია არცა შური, არცა მოწონება, არც მონდომებია, ნეტავი მეცა მქონდეს ასეთიო, მხოლოდ ის უკვირდა, თითქოს მივაგენი თავისებურებას გენადის სტილისა, მივაგენი და სად დამეკარგაო. გედის არ გაეგებოდა ეს შექირვება, ატელიეს შუაში ჩამომდგარიყო, თვალს მიაღვენებდა თავის სტუმარსა და უხსნიდა თანმიდევნებითა თუ როდის რა გაეკეთებინა, რა წარმატება მოეპოვებინა, როგორ აღფრთოვანებულიყვენ მორეცენიები, პირლებოდა, ეჩვენებინა პერსონალური გამოფენის შთაბუქდილებათა წიგნი, ამონაწერები მოსკოვის გამოფენის წიგნიდანა, ერეენის გამოფენის წიგნიდანა, ტაშკენტის გამოფენიდანაცა; კიდევ რაღაცასა ჰპირდებოდა, მეტ სიახლოვეს მეტ სითბოსა და კიდევ რაღაცასა. კითხვით არაფერს ეკითხებოდა, არც არაფერსა სთხოვდა, მხოლოდ ჰპირდებოდა, აღუთქვამდა, განა მკაფიოდა, ხმის კი-

ლოთი აღუთქვამდა, სიბოოს უმატებდა ხმასა, სახეც მოერთო სათნოებითა, უფროდაუფრო მოირთობდა, რახან სტუმარი არაფერს იმჩნევდა, არ მოწუსხულიყო, არ მოხიბლულიყო, არც არას ელოდა.

არც ფეხი ჩაუფერხნია...

ველო, ეთვალე რებნია.

XII

ბოლოს ჩამოჯდა, სკამი მიიდგა შორიახლოსა და ჩამოჯდა, დაელოდა, რას მიბრძანებდნენ. ნახა, სანახავი არც იყო, სტილის-იმედი გაუტყუვდა, ხოლო სილაპაპის ნიშატი ხომ არც არაფერს ედო, არაფერი იტაცებდა თვალსა, ჰოდა დაელოდა, ოღონდ გრძელი გამოდგა ეს ლოდინი, მასპინძელი არაფერს ამბობდა, ამიტომ გამოდგა გრძელი. აღმათ ეგონა თავის შთაბეჭდილებას გამოიზარებსო, — აღმათაო და ასეც უნდა ყოფილიყო, გამოცდილი ოსტატის სახელსწრთში მოხვედრილიყო შეგირდი, აღტაცება ვერ უნდა დაეფარა, უამრავი შეკითხვა უნდა გასჩენოდა, ოსტატს განემარტა მოთმინებითა, ხოლო აღტაცება მიეღო ღირსეული სიამაყითა, გამოსარჩევი დარბაისლობითა ამას საამისო არაფერი ეტყობოდა, თითქოს არაფერი უნახავსო, თუ უნახავს, არ მოსწონებიაო. მიუხედა გენადი არ ღიდი მიხვედრა უნდოდა, ესოდენ გულმოდგინედ რომ დაგითვალე რებენ ნამუშევარსა და არას გეტყვიან, ცხადია არ მოსწონებათ, თუმცა არიან ფარისევლებიცა, ენას მაინც მოიჭარგავენ, ცაში აგუყვანენ და იქვე მიგატრევენ უფრთებოდა, უჩრაოდა, არიან და ისინი ერჩივნა გენადისა, ფრთხილადაც აყეუებოდა, ფრთხვსაც გაიყოლებდა, წამოვიდოდა ნელ-ნელა, ლივლივითა, შემოინავარდებდა ათასჯერ თუ უთვალავჯერა, ამოიხედეთ, ეს მე ვარო, დღეს მე ვარ და მე ვიქნებიო. ეს არ აქეზებს საამისოდა, მორჩილად ზის, თვალებს არ ასვენებს, ხან ისევ ნაქანდაკეებს გადახედავს, ხან იმასვე მიჩერდება თვალიანადა, მიხმე,

გეახელი, მიბრძანე თუ რამეს მიბრძანებო.

თავიდათავი უკვე უბრძანა, აგერ მე და აგერ ჩემი სახელოსნოო, თავიდათავი ითქვა, უნდა თქმულიყო დანარჩენიცა, წინამძღვრობა რახან ითავა, კიდევაც უნდა წასძლოლოდა, დაე ნურას იტყოდა, მერე რაო, ეგება ისე მოხიბლულიყო, თანაც ისე მოკრძალებულიყო, მოწონების გამოთქმაც უჭირდა, უნდა მიხვედროდა ოსტატი, სულგრძელი უნდა ყოფილიყო ოსტატი, — სულგრძელიც იქნებოდა.

— მინდა მეტიც შემოგთავაზო... — ამბობს გენადი, სულგრძელად ამბობს.

— მეტიცა?! — იკითხავს ფრიდონი.

— მეტიცა!.. აბა თუ მიხვდები!.. — თვალებს ათამაშებს გენადი.

ფრიდონი აკვირდება, რას მანიშნებს თვალებითაო, ვერაფერს მიხვდება. მხრებს აიჩეჩავს.

— როგორ მიხვდები? — იტყვის მხრებაჩეჩილი.

— უნდა მიხვდე, — თითქოს იწყინა გენადიმაო, — უნდა მიხვდე...

— ვერა... — იღიმის ფრიდონი, ბავშვობანა აგონდება, ან აგონდებო რა მოსატანია, განა დიდიხანი გასულიყო, რაც ბავშვობანას დაშორებოდა? მაგრამ აქ მაინც აგონდება უფრო უბრიანია, ჰოდა გამოცანობანა აგონდება: თუ ვერ გამოიცნობდნენ, მომიცია ქალაქიო, განაცხადებდნენ და ფარხმალს დაჰყრიდნენ. იგივე მოადგა ენაზე, დამითმია ქალაქიო, უნდოდა ეთქვა, ამიტომაც ელიმებოდა. მაგრამ შეიკავა თავი, ვერ გაუთამამდა, ღიმილიც გადაიკრიფა ნელნელა.

— მეკი მეგონა, გამოიცნობდი, — იმედგაცრუებულივით ამბობს გენადი, — მაგრამ არ უნდა გამოიკვირდეს, კარგად არ მიცნობ და გაგიკვირდება მიმიხვდე თუ რა კეთილშობილური რამ განმიზრახავს. დიდიხანია გამიჩნდა ეს განზრახვა, ოღონდ არ შემეძლო აქამდის მეთქვა, ბიბოს კალთას ამოფარებოდი, ბიბო სხვანაირად ჩამომართმევდა, ეჭვიანი აღამიანია, სიკეთის გაგება უჭირს...

მაგრამ რაც არის, იყოს, რაღა აზრი აქვს იმის ეჭვიანობასა, ჩამოგიცილა და შენთვის უკეთესიც არის, აღრევე თუ ჩამოგიცილებდა, ბევრად უკეთესიც იქნებოდა, ახლაც არ არის დაგვიანებული..

— აყოვნებს გენადი, ცალი წარბი აუწყევია, გაჰყურებს, ერთი ვნახოთ თუ რა მოთმინება აქვს ამ ყმაწვილსაო. ასე ადვილად არ უნდა გაიზომებოდეს, ყოველშემთხვევაში მოუთმენლობა მაინც არ ეტყობა, თუ შეჰყურებს, შეჰყურებს თავაზიანდა, მელაპარაკები და გისმენო. — ზოგი ჭირი მარგებელიაო, — ოდნავ იცინის გენადი, — გაგიგონია?

— გამიგონია...

— რა თქმა უნდა... გაწბილდება შენი ძვირფასი მასწავლებელი. თუმცა არც მინდა იმისი გაწბილება, მხოლოდ შენი დახმარება მინდა, ხოლო იმისთვის ეს თუ გაწბილება იქნება, იყოს, არასა ვნაღვლობ, სიკეთე ვისაც ამხელს, კარგი არაფერი უნდა ბუღობდეს მასში. ეს ანდაზაც თუ გაგიგონია?

— არა, — ამბობს ფრიდონი, — თითქოს არცა ჰგავს ანდაზასა, ანდაზასავით არ გამოთქმულა. მხოლოდ ბატონი ბიბო ასე მკაცრადაც არ მომქცევია, დიდი მადლობელი ვარ მისი და თუნდაც დროებით არ გამოვესტუმრებინე, მაინც მადლობელი ვიქნები.

— ეს შენს გულწრფელობასა და სიკეთეს ადასტურებს, ამიტომაც გენდობი.

— გმადლობთ!..

— და გეტყვი, რაც გამიზრახავს... ვიმედოვნებ, გაგეხარდება. შენ როგორ ფიქრობ?..

— რა მოგახსენოთ...

— როგორთუ რა, თანავტორობა რომ შემოგთავაზო, არ გაგეხარდება?!

ფრიდონი არაფერს იმჩნევს, ეგება არც განუცდია სიხარული, გაკვირვებაც არ მიჰკარებია, თითქოს იცოდა თითქოს ელოდა, ან ვერც გაიგო თუ რა შესთავაზა დიდმა ოსტატმაო. გარეგნულად ასეა, ხოლო სიტყვით ასე ამბობს:

— რა უნდა გავაკეთოთ, ან მე რა შევალბა? — ყველაფრისათვის მზად-

ყოფს რომ შეჰფერის, ისეთნაირად ამბობს.

აყოვნებს გენადი, ტუნჯბს წამოსწევს და ჩაიკეცავს, კვლავაც წამოსწევს, თითქოს ეს არის, უნდა უთხრასო, ისევე ჩაიკეცავს, აყოვნებს, ალოდინებს. მერე საუბარი გადააქვს, ალბათ სურვილის გასაღვევებლად.

— „ქალისათვის“ რა მასალა გამოგიყენებია?

— თიხა...

— თიხა?! — უკვირს გენადისა, ეჭვით ევსება სახე თუ თვალები.

— თიხა... — იმეორებს ფრიდონი.

— სპილოს ძვალსა ჰგავს.

— ჰგავს. არის ცოტა მუქიცა.

— თიხა?!

— თიხა...

— ჩვეულებრივი...

— რა მოგახსენოთ, ჩვეულებრივი ან არაჩვეულებრივი, მიწაა, მტვერია, ბრწყვიალა, გამჟვირვალე, იზილება, იწელება და ქვევდება.

— სად იპოვება?

— არ ვიცი.

— ვერ გაიგე...

— არ ვიცინებოქი!..

— მაინც არ მესმის, — თვალს არ აცილებს გენადი, უნდა მიუხვდეს, ხუმრობს თუ მართალს მეუბნებაო. ასე ვერ მიუხვდება, ვერც გაუბედავს წახუმრებასა, მართალსაც არ უნდა ჰგავდეს, ყოველშემთხვევაში რაღაც სხვა რამ მასალა რომ არის, ეს მაინც დასაჯერებელი უნდა იყოს.

— მამაჩემმა იცის, — უხსნის ყმაწვილი, — მამაჩემი იყენებდა ხოლმე ახლა აღარაფერს აკეთებს. ჩემთვის ჩამოუტანია რამდენიმე, მეც გამოვიყენე. კარგი მასალაა, საოცრად გამძლეა, მხოლოდ სწრაფად უნდა დამუშავდეს... დაყოვნებას ვერ იტანს, სხვა მხრივ შეუღარებელი რამ არის.

— არ ვიცოდი, — გენადი ამბობს, — ბიბოს არ უთქვამს.

— ბიბოს არც უკითხავს.

— არ იცის?

— არა მგონია.

— განა არ გითქვამს?!
 — არ უკითხავს, ხოლო თუ მკითხავდა, ამისივე თქმა შემეძლო, მეტი არაფერისა.
 — აჰა, — მიხედვითილივით ამბობს გენადი, — ახლა მესმის თქვენი უთანხმოების მიზეზი, არ გაუმხილე და გაგულისხმა. ეჭვიანი კაციაშეთქი, ვინ იცის რა არ მოეჩვენა... თიხა კი ყოფილა, ჩვეულებრივი მტვერი, უნდა გეთქვა.
 — არ უკითხავსშეთქი.
 — ბიბო ამაყი კაცია, თავს არ დაიმდაბლებდა მოწაფის წინაშე, უნდა გეთქვა. შენ თურმე მალავ, რა საჭიროა ეს იღუმალება?!
 — მამაჩემმა იცის, ჩემთვის არ უთქვამს, ეს არის მთელი ჩემი იღუმალება.
 — მოინდომებდი და გეტყოდა.
 — თავისი ნებაა...
 — მოხუცია?
 — არა, მაგრამ გატეხილია...
 — მართებს აჩქარდეს. ნუკი მიწყენ, ოღონდ რა ვიცი...
 — ბიძაჩემმა იცის, ის უმცროსია.
 — ხიფათიც არსებობს.
 — რაღა ერთად გვეწვევა...
 — საიდუმლოება მაინც შეუფერებელია ჩვენი დროისათვის. ეს ძველი კარნაქტილობაა. ძველად კიდევაც შეიძლებოდა, მაგრამ ახლა რა დაფარულა, რომ ეს დაიფაროს, ჭიმიას სად წაუვა?! დანაშაულიც არის. მამაშენს ალბათ პატიოსან კაცად მოაქვს თავი, სახელმწიფოს კი მიწასა ჰპარავს.
 — არა... აღარაფერს აკეთებს.
 — რას აკეთებდა?
 — ორნამენტებსა ძერწავდა, ძველ ქართულ ორნამენტებსა.
 — ამ თიხითა?
 — ამ თიხითა.
 — მერე?
 — დაილა... მოტყდა...
 — მაინც არ გამოტყდა?
 — რატომ... მეტყვის, ადათს მისდევს, ჩვენი გვარის საიდუმლო ყოფილა, განთქმული მეჭურჭლენი ყოფილან ჩვენი წინაპრები. ხელიც გაუთქვამთ, მასალა-

ცა. მასალა მხოლოდ თვითონ იცოდნენ, არ გაუტანიათ გვარის გარდა; თაობადან თაობაზე გადმოსულა, მოქმედებამამაჩემამდისა. ისიც ადათს იცავს, ფიცსა და აღთქმას იცავს, თორემ ისე გვარს რაღაში გამოადგება?!
 — სახელმწიფოს გამოადგება...
 — თვითონ იპოვნის...
 — მაშ რომ იცოდე, შენც არ აღიარებ?
 — არ ვიცი...
 — შე ჩემდათვად ეგ მასალა არაფრად მილირს, მაგრამ ვთქვათ ძალიან კარგად გამოდგა, ძალიან, ძალიან აუცილებელი, ნუთუ არ იტყვი?!
 — მე ზომ ჯერ არ ვიცი...
 — რომ იცოდემეთქი!
 — არ ვიცი! რაც არ ვიცი, არ ვიცი... კბილი კბილს დააჭირა გენადიმა, კბილი კბილს დააჭირა და ისე გამოსცრა:
 — ასეთი ახალგაზრდა და ასეთი ნებისყოფა!
 — ეს ადათის სიმტკიცეა.
 — პროგრესი მსხვრევა ადათებისა.
 — ადათების მსხვრევა თუ რღვევა, რღვევაა ერისა.
 — საიდანაა ეს ციტატა?
 — ვერ გეტყვით. შეიძლება დასკვნა, ვთქვათ ვაჟის პოეზიიდანა.
 — შეიძლება. მაგრამ ნაკლოვნება ყოველ ხელოვანს მოეძებნება, ჩვენ ყველასაგან დადებითი უნდა გამოვარჩიოთ, პროგრესული ამოვიღოთ... არავისა და არაფრისათვის გამოსადეგი რამ ადათიც აღარ არის, აზირებაა, ავადმყოფობაა ან რაღაც ამისი მსგავსია. თუ კარგია სხვასაც უნდა გადაეცეთ. გამოცდილებათა გაზიარება მოქმედებას ადვილებს და პროგრესსა ბადებს; რაც უფრო მეტის მიცემა შეგიძლიან, მით უფრო მოწინავე ხარ, მით უფრო გემაყება. სულ არაფერი, სულ არაფერი, მაგრამ ვამაყობთ „ბორჯომს“ მთელი მსოფლიო რომ სვამს.
 — ჩვენ რაღა დავლიოთ?
 — ჩვენ?! ჩვენც გვეყოფა და,

ვიდრე გვეყოფა... ნუ ვიქნებით ეგოსტები.

— ჩვენ არც გვეკითხება, ოღონდ თავიდათავი ეგოიზმი არ უნდა იყოს.

— მაგრამ რას იცავს მამაშენი?

— ბევრს არაფერსა, ფიცის ტყვეა, ადათის ტყვეა.

— მაგას მოგახსენებ, ოღონდ შენც თუ...

— მე არ ვიციმეთქი!

ჩაიციენებს გენადი, წამოდგება, გაივლ-გამოივლის, იცინის, იმ განზრახვას შეს-ციინის, ახლა რომ გაუჩნდა, უნდა თქვას, ოღონდ აყოვნებს, ყველაფერს აყოვნებს, დაყოვნება გამოცდის საშვალებად გადაუტყვევია, მაგრამ ეს სხვია, სიამოვნებაა, აყოვნებს და ტკებება.

— ბიბო ვერ არის კარგი პედაგოგი, — სინანულით ამბობს გენადი, — არც-თუ დიდი განათლების პატრონია, მაგრამ რაღაცა მაინც იცის, პროგრესისა და ცივილიზაციის საკითხებში ერკვევა, იდეურად ჩამორჩენილი არ ეთქმის, ოღონდ მოწაფეებს არაფერს ასწავლის, მოცლაც არა აქვთ იმის მოწაფეებსა, უფრო შემსრულებლებადა ჰყავს, ვიდრე შეგირდებდა, ერთი სიტყვით თავისი საქმის გასაადვილებლადა ჰყავს. მამაშენმაც იცის რაღაცა, იცის, მაგრამ შვილისთვის არ ემეტება. არც მამას ემეტება, არც მასწავლებელსა, ხოლო მე, მხოლოდ შორიდან რომ გიცნობ, შენი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის დამფასებელი რომ ვარ, ერთბაშად ემეტება ყველაფერი, ჩემი გამოცდილებაცა, გავლენაცა, თემა, სიუჟეტი, ყველაფერი შემეტება, გამოიყენე, როგორც გინდოდეს.

— გამდლობო! — მიუღებს ფრიდონი და ფეხზე დგება.

— დაქექი, — მხარზე ხელს დაადებს გენადი, — ჯერ არ იცი თუ რასა ვგულისხმობ და თავშეკავებულ მადლობას ამიტომაც მეუბნები, მადლობა არც მინდა, არც თავშეკავებული, არცა მხურვალე, მე მინდა მხოლოდ ერთგული თანაავტორი... მე მინდა მხარში ამოვიდგე... მე თითქმის მზადა მაქვს „ამი-

რანი“, მინდა თანაავტორობა შემოგთავაზო.

— მზად თუ გაქვთ როგორღაცა? — მძიმედ გამოსთქვამს ფრიდონი.

— დაჯექიმეთქი!

დაჯდომა არა სურს ფრიდონსა ან მუხლი აღარ იღრიკება, მაგრამ ხელი აწვევა, არცთუ ძლიერი ხელი, ძლიერი არა, ოღონდ თითქოს ჯადოსნური, აწვება, დასდრეკს, დასვამს.

— როგორღა? — ლულულედებს ფრიდონი.

— როგორმე, შეუძლებელი არაფერია... კარგი იყო, ადრევე მცოდნოდა, მაგრამ რაც იყო, იყო, დაგვიანებული ახლაც არ არის. გვიანი არც არასოდეს არის. ჩვენ ჩვენს ჩანაფიქრს გავუზიარებთ ერთიმეორეს, საუკეთესოს შევაერთებთ და გამოვა ერთი ნაწარმოები.

— ჩანაფიქრსა თუ... მზადა მაქვსო?...

— მაინც ძლივძლივობისას გამოსთქვამს ფრიდონი.

— მზა თუა, ჩანაფიქრის შედეგია, ჩანაფიქრიცა და მზაობაც ერთია... — და ჰყვება გენადი თუ რა განუზრახავს, თუ როგორ განუხორციელებია, მიმოდის და ჰყვება, ოდნავ ათამაშებს მარჯვენა ხელსა, თითქოს ლექციისა კითხულობსო, თითქოს ვინმე დაეჰყვებულა, თითქოს საბუთები აღარა ჰყოფნისო. თავდაპირველად ამდენი დამტკიცებაც არ უნდოდა ფრიდონსა, თქვა და მიუხვდა: ფიგურების ჯგუფი წარმოუდგენია ან უკვე შეუსრულებია. ამ ჯგუფიდან ერთი ნაწილი მაშინვე იცნო, — გაურთიანებია დავითი და მონები მიქელანჯელოსი, შუაში დავითი, აქეთ იქით მონები; იმათ უკან კიდევ რამდენიმე ფიგურა, დიდი ჯგუფი ანუ მასა, მასობრივი ერთობლივობადა სწორედ ეს იყო, ვეღარ გაეგო ეს ერთობლივობა საიდანღა გამოსულიყო, ამიტომაც მისჩერებოდა დაფიქრებული თვალითა, ამიტომაც ამტკიცებდა და ამტკიცებდა გენადი, — ვგონებ, გასაგებია!.. — თქვა ბოლოს, ბევრი მტკიცების შემდეგ დასძინა.

— გასაგებია, — მიადგენა ფრიდონმა, თუმცა მაინც ვერ მიიტანა გუმანი

თუ საიდან შემომატებულოყო გარს მოხვეული ჭგუფი; ასე ზეპირ გადმოცემით ეერ მიიტანა, თორემ დაინახავდა თუ არა იცნობდა, ამიტომაც ამბობდა გულმოდგინედა, გასაგებიაო.

— ალბათ შენც შენსას გამიზიარებ, ჩემი ნდობის შემდეგ, მიზეზი აღარა გრჩება, უნდობლად მომეკიდო.

— უნდობლად რატომ...

— ისე, ყოველშემთხვევისათვის ვამბობ, თორემ ჩვენში უნდობლობას რა უნდა.

— ცხადია! ოღონდ როგორც ვაგიგე, თავდაპირველად სხვანაირად განვიზრახვით თუ კიდევაც შეგისრულებით... როგორღაც ლაოკოონის მსგავსადაო, მაგრამ განსხვავებულადაო, თავისებურადაო, ახლებურადაო, პაექრობაა ლაოკოონთანაო. — და იქვე პატარა მავიდაზე პლასტილინის გუნდას შეავლო თვალი, წამოხტა, მიირბინა, მოჩქარებით ჩაზილა გუნდა, ჩქარჩქარადვე აათამაშა თითები, ვეება მკლავები ამოზილა გუნდიდანა, მკლავებს გარშემო კაცუნები შემოურეგა. მხარი-მხარს მიედგათ კაცუნებსა, ხელი ხელს გადაეხვიათ, უძლეველობად შესდგომოდნენ იმ ვეება მკლავებსა. ზევით ვეება თითებშივე უშველებელი გველი მომწყვდეულოყო, სულსა ლაფავდა უსასო, უნიათო და უმსგავსი. სწრაფად გამოსახა, თვალის დახამხამებაშიო, რომ იტყვიან, ისე სწრაფადა. ლამაზად მოყვანილი თითები ჰქონდა, გრძელი, მოქნილი, სწრაფად, იოლად იმორჩილებდა ისედაც მორჩილ პლასტილინსა. — ასე გადმომცეს, მე ასეთად წარმოვიდგინე. ახლა სხვანაირადა ბრძანებთ. — და თვალი მიატანა, კიდევ უნდოდა გუნდა პლასტილინისა, დაეითი, მონები და ის უცნობი ჭგუფი უნდა გამოესახა, არა სჩანდა სხვა პლასტილინი, ვეღარც მოითხოვა.

— სხვასაც ვაიგონებდი...

— სხვა არ გამიგონია.

— ვაიგონებ. დიდხანია ვმუშაობ, არაფერი განმიცხადებია, ისინი ეჭვობენ, თავიანთ ეჭვებს ავრცელებენ. ძალიან შორეულია იმათი ეჭვები, ახლოსაც არ

ეკარება ჩემს განზრახვებსა. ყველაზე ახლოს შეიძლება შენ იყვე, რახან ეს თემა ამოვირჩევია. უფროსი რბილად მისწვდებოდი და ეს ღრმა წვდომა და გვაახლოვებს. — მხარზე გადასდო ხელი, თუმცა გენადი საკმაოდ დაბალი გახლდათ გადასდოო, არ გამოვი, უკეთესი იქნება, ჩამოვიკიდაო, ითქვას. ოღონდ აქ თანხმობისა თუ შეკავშირების ნიშანი იყო ეს ჩამოკიდება, აჭობებს ისევ გადასდოო, რომ ვავიშოროთ: პო გადასდო, წიაჩა და წაიყოლია. ბოლოში ფარდა გაკიდულოყო, იქამდის მიიყოლა, ხელიც ასწია, თითქოს ფარდა უნდა გადასწიოსო, თითქოს ძეგლი უნდა უჩვენოსო.

— არა!.. — შესძახა ფრიდონმა, თითქოს შეეშინდა, მართლა არ გადასწიოს, მართლა არ დაეინახოთ, — არა, სხვანაირადა ვფიქრობ.

— როგორ? — ხელი წაეტანა ფარდასა.

— სხვანაირადა...

— მაინც?

— გამოთქმა მიჭირს, წინასწარ ლაპარაკსაც ვერიდები... არც ვაკვადნიერდებოდი, სადილობო თემა რომ არ მოეთხოვათ. ვანვაცხადე და თითქოს რაღაც დავეარგე. მაგრამ რაც იყო, იყო, მეტის თქმა ვეღარ მომიხერხდება.

— ერთნაირი ხასიათი გექონია, — თბილად იცინის გენადი, — მაგრამ თანავეტორი სხვა აღარ არის, გინდ გიფიქრია, გინდაც გისაუბრია თანავეტორთან. უფიქრელად ხომ არ შეიძლება, ამასაც ხომ არ იტყვი, ფიქრი მიშლის ხელსაო?

— ფიქრი არა...

— პოდა იფიქრე, მეტსაც არაფერსა გთხოვ. დათქვი რა დროც გინდა, აირჩიე რომელი ადგილიც გინდა, აგერ მთაწმინდიდან მოკიდებული მთელ ამ ქედზე, სადაც უკეთესი იყოს, საიდანაც უფრო დიდებულად გამოჩნდება. საკმაო გავლენა მაქვს ყველა ინსტანციაში, ყველაფერს მივალწევ, თვით ლაურეატობის იმედი გქონდეს.. ასე იგულე, დიბლომი უკვე უჭრაში გედოს. გე-

ქნება შენი ატელიე და ყოველივე სიკეთე. მეტის მოცემა ღმერთსაც აღარ შეუძლია. — იცინის გენადი, მოსწრებული სიტყვა გამოივიდაო, შემოაბრუნებს, პირისპირ დაიყენებს, შესცქერის თვალბში.

მფრთხალი თვალები აქვს, გაურბის თვალი, მაგრამ თუ შეჰხედა, შეჰხედავს მკვეთრად, გაუდრეკს ხედვასა.

— ხმამალა ფიქრი არ შემიძლიან, — იტყვის და შეჰხედავს თვალი რომ გაუსწოროს, უჭირს გენადისა, გაფრთხება თვალი გენადისა. მაშინ ფრიდონი მოერიდება, საცოდავია კაცი, რომ ვერც გარწმუნებს და თვალსაც ვერ გისწორებსო.

— გულში იფიქრე, — ეთანხმება გენადი, — ოღონდ ჯერ თქვი, გადაეწყვიტოთ, მერე იფიქრე რამდენიც გინდოდეს, ვიდრე მუშაობას შევეუდგებოდეთ.

— ვინმესთან ერთად მუშაობა არ შემიძლია...

— მაშ არა გცოდნია მუშაობა, ყველგან და ყველა პირობებში უნდა შეგეძლოს.

— არ შემიძლია...

— გამოუცდელიობის ბრალია.

— იყოს... არ შემიძლია.

— გამოიცდები.

— ასე არა...

— საუკეთესო შემთხვევასა ჰკარგავ. შემთხვევამ ბედი მოგიგდო და ხელუკუღმა ისერი. ჩემი ჯონის იმედი თუ გაქვს, არ გამოგივა. ჩემზე უკეთესი ძეგლიც რომ ააგო, შენზე ადრე მე დაედგამ, ხოლო თბილისში ორ ამირანს ვერ აიტანენ, ჯერ ერთიც საკითხავია. დაფიქრდი, შენთვის გეუბნები, როგორც მამა შეილს, ისე გირჩევ, მამაზე უფრო ერთგულად გირჩევ, შენს მასწავლებელზე ხომ აღარც არაფერი ითქმის. მიიღე რჩევა უფროსი მეგობრისა. დღეს გამარჯვება ძალიან ძნელია ვინმეს დახმარების გარეშე, მიიღე ჩემი დახმარება, გამოიყენე ჩემი გავლენა.

— გმადლობ!

— ასე ძლიერი გგონია შენი თავი?!

— არ შემიძლია... არ ვიცი, ძლიერება ეს თუ უმწეობა, არ შემიძლია, აქ შეჰხედა და აღარც მოუწყვეტო... ლი, შეჰხედა და გასდრიკა გენადი, გასდრიკა თვალი თავგამოდებული მრჩეველისა. ალმური შეეცვალა გენადისა, აქამდისაც ასდიოდა ალმური, მაგრამ სხვა იყო, სხვანაირად ასდიოდა, ელფერიც სხვა ჰქონდა, გულოვნებაცა, ახლა სიძულვილის ალმური აეკიდა, ბევრად ძლიერი, ბევრად ცხოველი, თითქოს თვითონაც იბუგებოდა, იქაობასაც გადასწვამდა, ახლომახლოსაც არავის გააქაქანებდა. გათავდა ის თბილი საუბარი, ის მამაშვილური თუ სხვა რამ სიკეთე, მოთავდა, მორჩა. ეგება მართლაც სიკეთე გამოსულიყო ამ ბედისანაბარა ახალგაზრდა ხელოვანისთვისა, ეგება სწორედ ეს იყო ბედი? სამაგიეროდ თვითონაც უნდა დაეთმო, რალაც ძნელად დასათმობი უნდა დაეთმო, მაგრამ რას იზამ, ეგება ბედიც მოითხოვდა სახლურსა, სჩვეოდა და მოითხოვდა, ვინ უწყის აღარც ეწვეოდა, უფრო დიდი სახლურიც რომ შეეთავაზებინა, პო ვინ უწყისო და მართლაც ვინ უწყოდა თუ რა იქნებოდა მის შემდეგა. რაც იქნებოდა, იქნებოდა, ახლა მაინც არ შეეძლო, ასე ვერავის დაუახლოვდებოდა, ვერავის გაანდობდა ფიქრებსა, თუ გაანდობდა, ვეღარც იფიქრებდა, თუ არ იფიქრებდა, ვეღარც შეჰქმნიდა, თუ ვერ შეჰქმნიდა, აღარც იქნებოდა, აღარ იარსებებდა; ჰოდა თვითონვე ვერ უარყოფდა თავსა, ვერ უარყოფდა სიცოცხლესა, საკუთარი ატელიესა თუ რალაც ასეთებისათვის ვერ უარყოფდა; მშვენიერებას რომ შესტრფოდა, მშვენიერება სიცოცხლისა იყო, ვერ უარყოფდა. ამოოდ იღწეოდა გენადი, ამოოდა ცდილობდა, ამოოდა ჯახირობდა, ვერაფრით მოხიბლავდა, მოხიბლულიყო მშვენიერებითა, სარგებლიანობით ვეღარ მოხიბლავდა, გაბრუნებულიყო, შთაგონებულიყო, ვერა თილისმა ვეღარ იხსნიდა შთაგონებიდანა. ძალაც ეს გახლდათ, უმწეობაცა. გენადის სხვა ეგონა, მე მიპირისპირდებო, ასე ეგონა და მძინეა-

რება, — ტუჩებზე ხსენი არ შეშრო-
ბია და მე მიბედავს დაპირისპირებასა,
კეთილი, იყოს, ვნახოთ ერთი რა ბი-
ჭიაო.

— მაშინ... — გამოსცრის გენადი.

— გასაგებია, — დაატანს ფრიდონი,

— აქ არც გადმომესვლება.

— კაცი რომ თავის თავს უზამს, მტე-
რი არ მოეკიდებაო.

— ეგეც გამიგონია.

— კარგად უნდა დაგესწავლა.

— რაც დაგვისწავლია, ყველაფერს
ვერ ვასრულებთ.

— სჯობდა კი...

— ვინ იცის...

და გამოემშვიდობნენ ერთმანეთსა,
ერთი წრფელადა, ხალასადა, როგორც
ეახლა ისევე ხალასადა და უჩრდილო-
და, მეორე ტუჩებს იკვნეტდა.

□ ზაზრომლება იმნება □

ს ი ზ მ რ ე ბ ი

ო, ეს სიზმრები, ღამის სიზმრები
ანგელოზების ფრთებით რომ ჰქრიან,
ხან კი დემონებს მიმოაქვთ ვნებით,
მივიწყებული და დაღვრილი
გულის სიღრმეში სუნთქავენ ალბათ
ჩემივე ფიქრები.

მოვლენ ფარულად და შეარხევენ
რადაც ხილვებით სულს აღუესებელს,
ხან ყორნის ფრთებით თავს დამჩსავინ,
ხან სილამაზით მსიბლავენ ბებერს.

მოვლენ ფარულად, მიმაქროლებენ
ხანდახან თითქოს სადღაც უფსკრულში,
ხშირად ნატვრის თვალს მაძლევენ ხელში —

ძმათა სახენი მონატრებულნი
შემოჰყავთ გულში,
ესარობ: მგონია, ვარ სამოთხეში.

მოვლენ და ღამის მყუდროებაში
მიჯადოებენ მიხუჭულ თვალებს
და აღვიძებენ სულში ჩაძირულ,
ასალგასრდობის მთვლემავ გრიგალებს.

იქნებ იმიტომ მიყვარს სიზმარი,
რომ მინარჩუნებს მყობადთან კავშირს,
რომ მწვინება ძილში ნახული,
სინამდვილეზე უფრო ნამდვილი
და რომ მთელდება წამს გულის ბზარი.
სიზმარმა მომცა ბედნიერება —
მან დამანახა დედის მანდილი.

ჯიჟობს ვინა...

რა დღე გათენდა!
ჯიჟობს ლაქვარდი.
მზემ ფარშავანგის გაშალა ფრთები,
დიდო სიცოცხლე, დიდება შენდა!
თითქოსდა, ღამით გაზრდილან მთები.
ესხედავ მთაწმინდას,
ესხედავ ზედაზენს
და სისხარულის ცეცხლი მედება —
სხვა სალოცავი მე რაღად მინდა.

რა ღამაზია დღე დღევანდელი,
დღე ხვალინდელიც მემედება.

ესხედავ, აენტონ უცხო ფერები.
და მათი ელგა ანათებს ქუჩებს,
მოდო და მიწას, ჯიჟიან მიწას,
ნუ მოეხვევი, მოეფერები,
ნუ დაუკოცნი საყვარელ ტუჩებს,
რა დღე გათენდა!
თავზე მესხმება მე მზის ჩქერები,
ჩემო მამულო, დიდება შენდა,
გზას გინათებენ ჯადო ფერები.
ჯიჟობს ლაქვარდი,
ჯიჟობს მიწა,
მე მზე განცხრომით გულში ჩამიწვა.

გვიანი შექორეზვა



კარგა ხანია დასრულდა
 ზაფხულის აღმური,
 შეწყდა ზეიმი მწვანე ფოთოლთა,
 აღარ უბერავს სიო საამური,
 და მალე თრთვილი
 ფანჯრების შინებს ზღაპრულად მორთავს,
 ვხედავ მოდუნდა ბუნების ძარღვები
 და დაეშრიტათ სიცოცხლის ძალა,
 სადღაც წალკაეს დაცვენილ ფოთლებს
 თავსხმა, წვიმების ნიაღვარები.
 მიწყდა ელ-ჭექა და მისი შიშით
 ხეებს სხეულში აღარ აჭრყოლებს.


მზე მიწას ველარ მოავარდულებს,
 თეთრი ღრუბლები აღარ დაივერცხლება,
 მსუსხავი ქარი უკვე ასკდება
 გათოშილ სართულებს
 და ჩემს სხეულშიც შემოდის იგი
 ცივ ნაკადულებად,
 მცივა... შენს იქით თავშესაფარი
 არ მეგულება.

კარგა ხანია, რაც გადაფრინდნენ
 ჩემი გულიდან სადღაც მერცხლები.
 რატომ გაფრინდნენ?

ეს მე ვიყავი

ეს მე ვიყავი,
 გადაუღებლად ასე რომ ვწვიმდი,
 თვალში ჩამდგარი რომ მქონდა ბინდი,
 ცრემლებით ვწვიმდი.
 შენი ჭრილობით ვიყავ დაჭრილი,
 შენ რომ გხედავდი ასე დაწეწილს
 და ვერ უძლებდი სუსხიან ქარებს...
 როგორც გრიგალი, მოვარდა შუქი,
 ეს იყო ნანატრ ოქტომბრის შუქი,
 მომხვდა და უმალ გავნათდი მისით,
 მომხვდა და უმალ გამოვიდარე,
 მომხვდა და გული ღრმად შეანძრია,

რწმენით, იმედით დამაჯილდოვა,
 ფრთები შეისხა ძველმა ოცნებამ,
 შუქში ჩამდგარი მოჩანს ვარძია —
 ეს სასწაული წარსულთა დროთა,
 გხედავ გმირობის, ყვაველთა მთოვარს,
 მწამს, უფრო დიდი დღეები მოვა.
 მათობს ალერსი
 შენ კეთილ ხელთა,
 შორსმხედველ თვალთა,
 შენი მთა-ველი როგორ დამშვენდა!
 ლამის წამლეკოს დიდმა ტალღამ
 მზის ნიაღვართა,
 დიდება შენდა!



ყირბიზული ჩანაწერები

ჩოჩია — სალამურის დაი

უყურე! —

მზით დაწინწკლულ ფრთებს შლის
ივლისის მშვენიერი დარი,

უსმინე! —

ალა-ტოოს მთებში

წკრიალებს სალამურის დაი —
ჩოჩორე.

ჩოჩორე!

მის ტკბილ ხმაზე აღმა
არბიან ყვავილები ცეკვით,
კაბა არ დაიხიონ,
ვაკმე,
ლოყა არ გაიკაწრონ ეკლით.

მის ხმაზე აწკარუნებს წყარო
ტალღების პაწაწინა ეყენებს,
მოგორავს ცისარტყელის რკალი
ამ მთებში ამომავალ გზებზე.

თაფლივით მეწვეთება სულში
ჩოჩორეს უნაზესი ხმები;
...ამ მთებში მაგონდება სულ შენ,
შენს სახეს დავლანდავ და ვკრთობი.

ბარიდან გამოვექუც სიცხეს,
შენს თვალებს გავეჭყევი საით...

ცხრება ცა — ფოცხვერივით ფიცხი,
ფიცხდება სალამურის დაი —
ჩოჩორე.

ჩოჩორე ალა-ტოოს მთებში
ბროლივით აწკარუნებს დუმილს,
მდელოზე სუფრასა შლის მწყემსი,
მამალებს ახსაყალი კუმისს.

სუფრასთან მზე მსურვალე მხრებს შლის,
მზის შუჭი კუმისივით შევსვი;
ჩოჩორეს ალა-ტოოს მთებში
აკენესებს უწვერული მწყემსი.

ცხერის ფარა ძოვნით ჩასდევს ფერდობს,
ცრემლი სდის გადანამულ ველობს,
კამკამებს ცის მაღალი ერდო,
ხახხახებს ალბიური მდელო.

სისველეს ბატკნებივით სწოვენ
ღრუბლები ჩამოთოვლილ მწვერვალს.
ოცნება ბალახივით ვძოვე
და ახლა მწვენიანზე ვწევარ.

სხივს მაწნავს მთეარედაკრულ თმებში
ივლისის მშვენიერი დარი,
მამღერებს ალა-ტოოს მთებში
ჩოჩორე —
სალამურის დაი.

ჩ უ

— ჩუ!..

— ჩუ!..

— ჩუ!..

ჩამწურჩულებს ჩუ.

აედევნა ნიაჯქარს
ნებიერს და ჩუმს,
ველად ჩამოივარა
მთების შვილმა ჩუმ.

— ალვის ხეთა თანხლებით,
მოხვალ, მოემდორები,
ყირგიზული მდინარევე,
შე იორის დათ,
თუ არ დამეთანხმები.
ნულარც მომემდურები:
აქ რა გინდა? —

შობილხარ

მთებთან საჭიდაოდ...

— ჩუ!..

— ჩუ!..

მითხრა და

ბროლის ტალღის რხვევითა
ვაშლის ბალებს შესცინა,
ბრინჯიანშიც შევიდა.

თიხის მტვერში გარბიან
მანქანები გზაზე,
კვლავ მივყვები ბამბიან
ბაღნარიან ველებს,
მზით, სიმღერით, სითეთრით

სულის სურას ვაგებებ,
გზა-გზა ვკრეფავ აზიის
ფერებს საკვირველებს.

თურმე ღრუბელს ტიანშანზე
ასხლტომოდა ფეხი,
უცებ შვინდის სიმსხო წვეთი
დაგვიშინა ცამა;
მხრები ლალად გაეშალნა
დამძიმებულ ხეხილს,
ტიანშანი იშპადებდა
ცისარტყელის ქამარს.

მერე მიწას დაარტყა
ქარმა ქარვის ხელები,
მოიქნია შოლტებად
თეთრი ალვის ხეები,
ატორტმანდნენ ბალები
როგორც ზღვაზე გემები.
ვიღზე დაფრთხნენ ალვები —
გუნდი სირაქლეშების.

სამღერალად გულის კარი
ნულამ ღია გქონდეს! —
ვბუტბუტებ და მოძმის გზაზე
მივალ, მივიჩქარი;
განა ჩუმად ჩურჩულებს-ლა,
ჩუ ყვირილით მომდევს, —
მოფიტაცე ყირგიზეთის
მზე, წვიმა და ქარი.



მ ი თ რ ი ლ ა ტ ე

კ ო მ ა ნ ი

5. პირველი შეყრა

ვიდრე ქაბუჯი მითრიდატე ბედან-კოლხისა და ტარიელ უმცროსის თანხლებით ქვესაქარძელს მიიღწევდა, შედგა და ბედანს მიჰმართა.

— მე ის ბაღლი აღარა ვარ, შენ რომ მიცნობდი, სულ ცოტა ხნის წინააღმდეგ ვით დამგესლა ზღვამ და ხმელმა... რამდენჯერ მომიხნდა ხელახლად თვალის ახელა... მე არ ვიცი — ვისთან მივალთ?.. ვინ და როგორ შეგვეყრება? ვხედავ ყველა მსცოვანია... თუკაც უკვე დავრწმუნდი — დალატის ქია და ანგარება ყველგან კპოულობს ბუდეს... ვანურჩევლად ჰასაკისა, სქესისა და, ვგონებ, ტომისაც!

სხვა დროსა და სხვა პირობებში, ენების რიტორიკოსსა და მოძღვარს გაედღიმებოდა, თავისი უღვაწმოუკითხავ ნაწუთონის ასეთი „ჰასაკმოჭარბული“ სულისკვეთება, მაგრამ ახლა სად იყო ამისი თავი და გული. უხმოდ დადგა და სევდიანი თვალებით შეჰხედა ლტოლვილ უფლისწულს.

— ვის მოვლიან? — ახლა პირდაპირ შეეეითხა ქაბუჯი, — იციან ჩემი მოსვლა თუ არა?

— არა, კეთილშობილო! ჯერ არა, მითრიდატე-მამას მოვლოდნენ, მისი სახელით წვეულნი — ნათესაობით ქართველი და ქართველური ტომების უხუცესნი... უღალატობის თავდები კი მე გახლავართ — მითრიდატე მვერგე-

ტის ანდერძის მცველი! — ბედანმა მარტყენა ხელი ასწია.

— მამის ანდერძისა? — შეცხოველდა უფლისწული... — მეც გენდობი! მაგრამ გარკვეულობას ვიბოვო!

მან ამ ბოლო დროს ბევრი რამე გამოსცადა, ბევრიც ინიშნა, მაგრამ ასეთ მსცოვანთა თავშეყრის მიზეზი და მიზეზი ვერასგზით ვერ წარმოედგინა.

...წუხელ მთელი ღამე ხოფების მოსმაში გაათენეს. ტარიელ უმცროსმა გეზი და სად მიდიოდა იცოდა, უფრო დაწვრილებით კი ვედარაფერი უთხრა...

— ირგვლოვ დიდი დაბნეულობა და უფრო დიდი გამცემლობაა — ყველამ მხოლოდ ის უნდა იცოდეს, რაც მას ეხება! დანარჩენი ბედან-კოლხის ხელისაა!

...დილით მზე რომ ამოვიდა, ტარიელმა სველი ტალავერი და პერანგი გაჰხადა უფლისწულს და ბედან წამოღებულნი თევზის ვაჭრის შავი ლაბადა წამოასხნა, ტალავერი კი მზეზე გაჰფინა. თავად ისევ ხოფებს მიუჯდა და ნაპირზე გამოჩენილ მთებს უპირდაპირა...

ქაბუჯი დილის სიგრილემ აიტანა, მაგრამ არ შეიმჩნია, ლაბადაში უხერხულად მოკალათდა, ძალამოუზომელად მოუედა, ლაბადას ზურგი ჩაერღვა და ბეჭები გამოუშინებლად.

— აბა რა ვიცოდი, რომ ცხენით დააპირებდი ზღვის გადაცურვას! — ატა-

ცებულად შესძახა ტარიელმა, — შენი ბედი, რომ თბილა! ერთი თქმით — შიშველ მეფის — აბჯროსანი მენავე ვარ! ასე აირია ქვეყანა! დაისვენე, დაიძინე... ვინ იცის, აწ რამდენი უძილო ღამე გვიწევს!

ტარიელი უფლისწულზე უფროსი იყო, მაგრამ ჯერ არც იგი იყო ოცი წლისა. ტანად კი ოდნავ უმცროსიც იყო. მათ შორის გულწრფელი მეგობრობა და ურთიერთ ვაგება ათენში სწავლისას დაიწყო, ახლა კი ასე უეცრად გაგრძელდა.

— არა უშავს... დავალაგებთ ქვეყანას! — დავაგვიანებით უბასუხა უფლისწულმა და თვალები დახუჭა. მაგრამ ვარინდებს ვერ გადასცილდა... ვერასგზით ვერ დაიძინა... სულ შავ-ქაჩი მოსდევდა, ტორებს უქნევდა, ყალყზე დგებოდა, უნმოდ ჭიხვინებდა და ძილს უფრთხობდა. ბოლოს თვალზე გვირგვინი ჩამოიფხატა და მაინც წასთვლიდა.

თვალი რომ გაახილა, სამხრეთით ქედი უკვე ახლოს მოსჩანდა.

— აბა, მოემზადე უფლისწულო, აღარც შორსა ვართ!

ქაბუკმა გამშრალი ტალავური ჩაიცვა, გვირგვინი სულ მოიშორა და ყაბალახი ინატრა, მაგრამ ყაბალახმა, ჩანს, ბედღურის ბედი გაიზიარა. ისევ დახეული ლაბადა წამოისხა.

— მსცოვანთა მსცოვნებს უნდა ეახლო, უფლისწულო! რაც მოხდა, ყველაფერი უნდა უამბო... ქართველ მოდგმათა სინდის-სიბრძნე ახლა აქ არის და შენგან მოელის სიტყვას!

— ჩემგან?

— მაშის მაგიერ!

მძიმედ ჩაფიქრდა ქაბუკი... აქ, ბნელში ნაბამ შავ-ქაჩზე ჯომარდი კი აღარ კმარა! უნდა შეეყაროს „მოდგმათა სინდის-სიბრძნეს“ ჯერ უღვაშმოუკითხავი ახალგაზრდა, თანაც მაშის მაგიერ! და მეყვსეულად ერთი საოცრება მისთვის სულ ნათელი გახდა — მა-

მამ — დაუდგრომელმა, მცდელმა და მოუცლელმა კაცმა ახლა მოესვენა და ამიერით მას და მხოლოდ მას! უწინეს მოუსვენრობა, სულმოუთქმელი დალაობა და ლალაობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში...

— ეახლეთ ბაპებს და გამოსთხოვეთ უელვაშოსი და არა სრულწლოვანისა, მათთან ზღების ნება-დასტურში ერთი ვინმე, ტუბალი, დიდგვაროვანი, ათენს სწავლის განსაჯრცობად წარგზავნილი, შინ დაბრუნდა, მაგრამ სინოპეში ველარ დაღვა-თქო!

ბედანს სურდა აეხსნა, რომ სულ ერთია არ მოტყუვდებიან ტომთ უხუცესი ბრძენ-ბაპები... მაგრამ თავის ნაწურთნის თავნება ხასიათიც იცოდა, და, ვგონებ, ჯერ ასეც სჯობდა. უმაღლესი ნაწინაურდა, ქვასავარძელას შუა კალოზე გამოდგა და ხელი აღმართა:

— მსცოვანთაგან ზღების ნება-დასტურს ითხოვს „სწავლული ქაბუკი“!

ბაპებმა ურთიერთს შხარტუცულად გადაჰხედეს, თვალები მოკუბრტეს და თავი დასტურად წვერებში ჩარგეს.

ბედან-კოლხი გამობრუნდა და „სწავლულ ქაბუკს“ უკან ჩამოუდგა, მიჰყვა.

— არც გამარჯობას გეტყვით, არც მშვიდობას! არც ერთი არ გვახლავს. ღმერთები გვრისხავენ და აღამიანები აღარ ვენდობით ურთიერთს! — თავიდანვე მიმართა ქვის სავარძლებში მსხდომთ „სწავლულმა“... მერმე შუაში შევიდა და კერპს თვალი შეაელო. ტვიფრული ასოები ვერ ამოიკითხა, წარბები გაკვირვებით შეკვარა და თავის ენათმუერთნელს შემოუბრუნდა, ბაპებსაც გადაჰხედა.

— თუ ჩემი პირველი სიტყვა, ისეთივე გაუგებარია თქვენთვის, ვით ეს მკვეთრსახოვანი წარწერა ჩემთვის, მაშინმე და უმაღლეს ბერძნულად მოგახსენებთ, ან არამეულად, თუ ფალაურად. სომხურად თუ სხვა ენაზე! ყველა ენა მომკითხეთ, გარდა ერთისა — რომაულისა, ისიც არა იმიტომ, რომ არ

ვფლობ, არამედ იმიტომ რომ მძაგს — ენიან, ჭილაგინან, სახსენებლიანად!

ბაჰეზმა თავები დაყვავებით დაჰხარეს.

ჰაბუკმა იგრძნო, რომ ყველამ ყველაფერი გაიგო, გულში იწონა, მაგრამ ნაადრევ თქმასა და აზრის მკლავებას თავი ვაარიდა. მათ იგრძნეს, რომ აქ რთულზე რთულად არის საქმე და ელოდნენ... მაგრამ სდუმდა „სწავლული ჰაბუკი“.

ბოლოს აბიო-იბერმა ჰოქოზა წვერი შეიფაფრა და სიტყვა დასძრა:

— აგრე! ჰაბუკო, სწავლულო! ვინაობას არ გკითხავთ და პატივი დაგვდე მსცოვანთ — მარცხენა ხელის გული კი ჩამოგვიტარე... გიმისნებთ, ჩვენც ვინიშნებთ რასმე... მერმე მძიმე ამბავიც მოჰყევი წვრილად, შენმა თანამგზავრმა რომ მოგვიტანა და შეგვზარა!

— ორივე ხელი იყოს! — ჰაბუკმა მკლავები ტყუბად წინ წასწია. თითებგაშლილად გადააბრუნ-გადმოაბრუნა და ჰქვასაეარძლეები დინჯად, ჩერებ-ჩერებთ ჩამოიარა. თან თავის მხრივ მსცოვანებს — აკვირდებოდა. გულისყურის მიღმა კი მათი ზრინწიანი თქმა, კენეტლი სიტყვა თუ ფიქრიანი ჩურჩული ესმოდა...

— ჯერ სულ ნორჩი ყოფილა!.. ხელი კი იღბლიანი თუ ილათიანი ჩანს!

— ახლავე „კლდეზე ჯაჭვულის“ ხელი ჰქონია, კვლავაც დაუმეკრივდება... მაგრამ ფიცის ნიშანი კი არ გააჩნია!

— ვაჟკაცური, მაგრამ ჯერ ნებიერი და დიდკაცური... თუმცა ჯერ ბალღია!

— თანაბრად ეხერხება საწერი წვირაცა და ხოფის ტარიც...

— ბრძოლის ხელია მომავალში! ხასიათიან-ნაკეთიანი!

— ცერს დამიხედე! დაუნდობელი ცერი აქვს — მთვარენამგალა!

— დაშნის ხელია... მძიმე, აცალეთ გამოვავკაცდეს!

— ამირანის ხელია — კაცს გაჰკრავს

და ავთ ცეცხლს დაანთებს — პონტოს გადასწვდეს!

— თითები ხელოვანისა და სელონისა ერთად! მარმარილოს მოქანდაკისა და ქვის მკოდავისა!

— ეჰ! ჯერ სარკესავით ხელია... და ენახოთ ცხოვრება რას დააწერს!... რას ჩააღენინებს!

კიდევ დიდხანს იჩურჩულეს და ხმა-მალა იდარდეს მოხუცებმა. თვალსაც აყოლებდნენ და ისე სჩხრეკდნენ, როგორც სასყიდელ მონას.

— არა, ასეთ ხელების პატრონს, მოთმინება ჯერ არ ექნება!

— ერთი ამანაც სცადოს გახურებულ რკინის ეამთსაფიკარი!

— ვაცალოთ, ჯერ ამბავი გაევიგოთ, მერმე ვინაობაც სთქვას... მერმე უკვე...

— ვინაობა!?!... ყოველ ნაკვთსა და ყოველ სიტყვაში არ აწერია ვინაობა!?

— რომ აწერია — ეს სხვაა... და თქმას რომ გადაწყვეტს — ეს კიდევ სხვა!

მსცოვანებმა ზოგი რამეც უთქმელად, ფიქრებსა და მოჭუტულ თვალეში შეათათბირეს და ვიდრე ჰაბუკი ჰქვასაეარძლას კალის ერთობლივ შემოუვლიდა, მსხდარნი ყველაფერში შეთანხმებულნი იყვნენ.

უფლისწულმაც აღარ დააყოვნა და ყელში მობჯენილი სათქმელი ერთი ამოსუნთქვით ამოაგდო...

— პონტოს სახელოვანი მეფე მოჰკლეს ღალატით, ფარულად, თავისივე სასახლეში, დედოფლის ახლოს და, როგორც ჩანს, ანდერძის გამო... რადგან არაფერი არ დაკარგულა სწორედ ანდერძის მეტი.

ახლა კი აღელდნენ და აფორიაქდნენ ბაჰეზი.

— ვისზეა ეჭვი? დახე რა ქმნილა როდის? ნუთუ რამ გერში არ არის!?

— ვინ მოივერაგა ესე! ანდერძი იყო კია ნამდელიად!

— ვის სწაღდა „უანდერძობა“... ვინ განაგებს ახლა სამეფოს?

— საზღვრებზე რა ამბავია?

უფლისწულმა დააცალა ყველას გმინვის ამოღება, სიტყვა უფრო დაზომა.

— ვინ მოივერაგა ესე, ჯერ კიდევ ბევრისათვის გაურკვეველია... ეს უბედურება სწორედ გასულ დღეისწორს მოხდა... გუშინ საგვარეულო აკლდამაში შემებრევეს მეფე... ანდერძი კი ნამდვილად იყო... და როგორც ერთმა ყოვლად უღალატო მხედართმთავარმა იღუმალი სიტყვა აწვდინა — ორი ერთნაირი ანდერძი ყოფილა!

ჭაბუკი დადუნდა, თითქოს სხვას დაუთმო სიტყვის ბოლო.

— თვად სად გახლავთ, მხედართმთავარი იგი? — ბედან-კოლხმა ახლა ტარიელს გადაჰხედა. მაგრამ შეკუმზარაღოსანმა კრიტი არ დასძრა, ვიდრე „სწვლულმა ჭაბუკმა“ არ მისცა ნიშანი.

— მოგესხენებათ, როქის სპის საწვევად იყო ელადის კუნძულებზე და რა ვაიგო ეს ამბავი, დრომდე იქვე დარჩენა იჩინა!

— ჩვენ კი თქვენი ადგილსამყოფელი გვამცნო... — დაურთო სწვლულმა. — საზღვრებზე ჯერ თითქოს სიწყინარება, სამეფოს დედოფალ-გვირგვინოსანი განაგებს და... — აქ კი ხმა შეუფერხდა და უხერხულად დადრკა...

— ...და უფლისწული? — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— არა!.. და „საქურისთა საბჭო“, ზარიადრე ასურის მოთავობით.

ყველა შეძრწუნდა და საბტად დარჩა. მაგრამ აღარაფერ აღარ შეეკითხა, მიჯვრებისა და ხელჯობების მოშველიებით ყველა წამოდგა და მარცხენა ხელი ასწია. ბედან-კოლხიც წინ წამოდგა და იმანაც მარცხენა აღმართა.

კერპის ირგვლივ ახლა ბებრები კი არ იყვნენ, არამედ შერქვები.

უფლისწულს თვალში მოხვდა, რომ ყველას მარცხენა ხელზე ერთნაირი ნიშანი ჰქონდა ამომწვარი.

— მე ჯერ არ ვიცი რაის „ფიცის ხალხი“ ხართ, მაგრამ ერთ მიმე ამბავსაც ვაგვიხელთ — უფლისწული მამის სულთა დაღობის დროს, ავ გან-

ზრახვით, ბნელში ნაბამ შეეჭაჭზე შესვეს... ცხენმა გაიტაცა ზღვაში... იმის შემდეგ აღარ ჩანან — არც ცხენი, არცა კაცი... ჩანს, დაიღუპნენ!

მაგრამ ამ მოხუცებს სულ უკუღმა გრძობები ჰქონდათ... შვებით ამოისუნთქეს, ხელები ნელა დაუშვეს...

— ღმერთებმა მისცენ შვება და შველა!

— ღმერთები შეეწიონ ზღვაშიაც და ხმელეთზედაც!

თითქმის ერთბაშად, მაგრამ როგორცა დაყვავებით ახმინდნენ და თავთავისი ქვასავარძლები მონახეს, ჩამოსხდნენ და ბედან-კოლხს მიბორკვით მიანჩრდნენ... მანაც არ დააყოვნა:

— „სწვლული“ სწორს ბრძანებს — ორი ერთნაირი ანდერძი ინება აწ განგირულმა შეფემა... ბერძნულად და ჩვენებურად, ქართულ ანბანით. ბერძნული, ჩანს, გაუტაცნიათ მკვლელებს...

— ან აღარ გამოუჩენია, ვისაც უნდა გამოეჩინა! — ხმადაკლებულად დასძინა ჭაბუკმა.

ბედან კოლხი შემობრუნდა და დიდხანს უმზირა „სწვლულს“, თითქოს უნდა განეჭვრიტა — რა მოხდა დედასა და შვილს შორის? მერმე დამარცვლით ყველას გასაგონად დასძინა, — მეორე კი ჩვენთან არის და გამოვაჩენთ... ჩვენთანვე არის „მატიანე სპერისაი“ წიგნად და უხუცესთა ერად.

...მაგრამ ახლა კი უმცხოვანესი, ხალღუ-მისანი წამოიფაფრა, ჩავარდნილი და ჩამქრალი თვალები წამოკაკლა, ძვალტყავა ხელი თავსზევიდან გადმოატარა.

— მზე ჩავიდა... ჩვენ არ გვეცალა მზისთვის! მზის ლოცვა შეგვიკამა წუთისოფელმა... ჩასკვარამდა ზღვა, ხმელეთზე ჯერ კიდევ ლანდავს თვალი! არც ცეცხლი ავგინთია, არც ღმერთების ხსენებაში ვართ!... ვაუკითხავი სიკედილი ჩამოთესილია პონტოსი მეფე უფალი სპერთა სარეცელზე დასაარეცელეს! სულთაობის შავცხენი ზღვაში შეჭრილა! ბრძენ-ნაფიცებს — უფიცარნი შემოგვერიგნენ და სულ აგვრიეს კილო-

კნეტელი თხრობით! თავი ქვას ვახლოთ, ფიქრში ჩავჯდეთ, აი ამ ქართუკერპს დავემსგავსოთ, დავმუნჯდეთ და ვილოცოთ ძველნი და ახლნი ღმერთნი! — მერმე ხმა ჩაუწყდა და გაბზარულ ხავილით დაამატა, — ვიდრე ვირინდებთ, ჩვენში უმცროსთ-უმცროსთა... უკეთუ მათ ხელზე თანამეტომეთა სისხლი არ სცხიათ — ცეცხლი აგვინთონ! ვაგვიტობონ სული, ძვალი და და ლოცვა! დაღუბულ სულთა მოხსენიებაც გვმართებს... გაისარჯოს ჩვენი მომწვევი. ბედან, ზღვიდან მოსულნიც — რაც სათქმელია, სთქვან, წვრილად, ბრძნულად, მიუღვამლად! მისნობა და ქვრეტა კი ჩვენზე იყოს!

ტომთა ბერები და ბაბები ისევ გირინდნენ.

ბედან-კოლხი წარუძღვა „უმცროსთ-უმცროსებს“ და ახლოვე კლდის მუხლში გამოჩენილ ვიწრო ხეობაზე მიუჩვენა...

— ცოტაც აპყევით, ფიჩხის გუღურებს ნახავთ ჩამოტანილს... კიდევ რამ იქნება. გაისარჯენით, ჩამოიტანეთ, ცეცხლი აუნთეთ ბაბებს... ერთიც — ნუ აჩქარდებით, ცოტა გონზე მოვიდნენ! არც თქვენ გაწყენთ ოდნავ მაინც გამოყოფება!

ბედან-კოლხი უკან გაბრუნდა. ახალგაზრდები ახალა მიხვდნენ, რომ მსცოვანებმა განგებ გამოგზავნეს. პირველი ურთიერთსათქმელი მოსულთ გარემოდ სწადდათ.

ჩაბინდებულ ბილიკს აპყვენ. მალე კლდეს მიადგნენ. პიტალოდ იყო ამდგარი. მისი თავი აღარ ჩანდა. უფლისწულს იგი ვეება, ყალბზე შემდგარ, მუცელგაბერილ, შავქაჯად წამოელანდა... ხელი შეახო კლდეს და მოლანდება გაჭრა. ახლა ხეობას აპხედეს და შორს, ალბათ ხეობის თავში, ჩამოდენიმე კოცონი შენიშნეს.

— ან სოფელია, ან ამ ბაბებს ახლავს ვინმე!

თვალი რომ შეაჩვიეს, მალა, პიტალოს პირებშიც, თითქოს ვარსკვლავები ბეუტავდნენ.

— ქვაბები ყოფილა! — მაგრამ შორს აღარ მოუხდათ წასვლა. ბილიკზევე გამზადებული ფიჩხის გუღურებში უწყო. ორი კოკაც იდგა.

— გუღურებს მე წაიღებ! — ფიჩხს ხელი წავლო ტარიელმა.

ქაბუქს პირმრუდედ ჩაელიმა:

— მე კოკებსაცა და გუღურებსაც... შენ გავიწყლება, რომ ამიერით უფლისწული კი აღარა ვარ, არამედ უთვისტომო და „უფიცარიც“! თუმცა რას გჩქარობთ... ვაცალოთ! — ქაბუქი კოკას მოუჯდა და აზომ-დაზომა, — არ დაეფარავ, თავისუფალი წყალი მწყურია!

მაგრამ ტარიელმა არ დაანება...

— ჯერ მე! თემესტე მკურნალმა დამარიგა... წამლებიც გაახლათ... ნავში მაქვს, სულ დამავიწყდა! — ტარიელმა მოსვა პირველ კოკიდან, — უჰ, ღვინო ყოფილა!

ახლა მეორე კოკიდან მოსინჯა და ხარბად მოსვა:

— ეს კი წყაროს წყალია, ჩინებული და უებარი! — კოკას თავი გადაუქციო და მიაწოდა, — სად არის შენი მზეთაბროლა სამწდე!

„უფლისწულმა ტურმუჩგვეად მიიყუდა, ლაშებზე გარდიდინა წყალი, მაგრამ დაწაფებით შესვა, პაერიც ღრმად ამოიღო...“

— თავისუფალი წყალი! ჩემი ნები-სა და წყურვილისა! — ისევ მოსვა და თითქოს პირველად, ცაზე ვარსკვლავები შეამჩნია... მთელი ზომლები ვარსკვლავთა. ერთ-ერთს მაშინვე შავქაჯის თანავარსკვლავი უწოდა... აი გუშინ ამ დროს სწორედ ერთად სცურავდნენ ზღვაში... და მაშინ ჩანდენ თუ არა ვარსკვლავები, სრულიად არ ახსოვს... თავისი ჩირადი ახსოვს, ცხენის ანთებული თვალბებიც, როდესაც მოსდევდა... აი ვარსკვლავები კი არა! ნუთუ ასე ბევრი რამ განზე რჩება მხედველობიდან! „მორჩა, ამას მე ჩემ თავს აღარ ვაბატიებ!“ — მერმე აქეთ-იქით გუღურები მოიგდო იღლიებში, კოკებიც აიღო და თავქვე შემოტრიალდა...

— ვგონებ, საკმაო ხანია! ჩავიდეთ!

ტარიელმაც გუდურები მოიგდო ზურგზე და ფეხდაფეხ მიჰყვა...

— უფლისწულო...

— უფლისწული ზღვაში დაიხრჩო... რით ვერ დაიჭერე?

— უთვისტომოვ... — შეესწორა ტარიელმა. მაგრამ კვლავ გაუცუდდა ნათქვამი.

— ჩვენი ტომის კაცი უთვისტომო არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება!

— მაშ რაგორ... ჰო — სწავლულო! მაგრამ გუდურები არც ისინი არიან... განა ვერ მიხვდნენ!

— იმასაც მიხვდნენ, რომ მაინც ასე სჯობს...

ფეხთარეულად იარეს და, როდესაც ქვასავარძელას გადაჰხედეს, სულ შედგნენ.

მსცოვანები ზეზე იდგნენ და ყველანი ერთად ყაყანებდნენ. ახალგაზრდების დანახვაზე ისევ „დამუნჯდნენ“ და გაქვავდნენ...

ქვასავარძელას კალოს შუაში ნაცეცხლური ეტყობოდა. ბედან-კოლხის მიწისშენებით აქ დატეხეს ფიჩხი ახალგაზრდებმა, ბედან-კოლხმა ტალ-კვესი მისცა და ახლა თავად წავიდა, აღმა ბილიკს გაჰყვა.

— ახლავ ჩამოვალ, ჩამოვიტან!

„სწავლულმა“ ხმელი გვიმრა მოხელთა ახლომახლოში... ტალს კვესი ჩამოჰკრა და ნაპერწკლები მოახვავიანა... მაშინვე შეატყო, კვესი ხალობური იყო, ტალი — ტუბალური... გვიმრა უკვე იბოლებოდა...

— დაკვესე! დაკვესე! ისეთი ცეცხლი უნდა დაანთო, სწავლულო, ყველა ჩვენებურ ტომის მოხუცს რომ ეთბოს!

ქაბუკმა მოიხედა. ირგვლივ მოხუცები ქვასავარძლებში, მისკენ გადმოწეულად ისხდნენ და ერთობლივ, საკმაოდ შორიდან, შეკვამლებულ გვიმრას სულს უბერავდნენ. ერთა ხის ჯამი ეპყრო ხელში.

— დაკვესე და დამისხი კიდეცაც! სიბრძნე მოთმინების შვილია, მოთმინება კი სიბრძნისა, და არის ასე! სიმ-

ტყიცე სულისა — მარად ახალგაზრდობის ნიშანია!

გვიმრას ცეცხლი აელანძვ. ერთბაშად გამოტეფრა სახეები.

ახალგაზრდებმა ფიჩხიც მიუმატეს და ცეცხლის ძირი მოაძლიერეს. სიტყვის ძალაც იგულისხმეს.

სწავლულმა ახლა კოკას მიამურა და ღვინო დაუსხა ჯამის მომწოდებელს. მოიხედა და ყველას ეპყრო თითო ჯამი...

— ყველას გაქვთ?... მამა-პაპანო — უბერებელნი!

— ჩვენ აქ საკუთარი ჯამებითა და ნუშლით მოვედით, თავებიც საკუთარი გვაბია... მაგრამ ფიქრი ერთიანი გვაქვს და ერთი ცეცხლით ვიწვით ან ვთბებთ!

„სწავლულმა“ ჩამოატარა კოკა, თან სმენა დაძაბა... ეს ბერ-მამები სულ მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდნენ და ყოველ ნათქვამში აზრის მადანი იყო საძებარი.

ყველა ცეცხლის დაბადებას უმზერდა. ეს ჩუმი ლოცვა იყო მსცოვანთა. მალე ცეცხლის ენა ამოეპარა ფიჩხსაც. ჯერ ჭალარა უღვაშა კვამლად აკლაკნა, მერმე შევწითელ ალად. ბოლოს ცეცხლი შეუდგა კოცონს და მისი ნაპერწკლები ციციანთელებად მოეფინენ ქვაკალოს.

— შენ — სწავლულო, იცი რომ ცეცხლი, ტალი და ღვინო ჩვენი ტომების ღვაწლია! ჩვენ მივეციტ ყველას... თუმცა ოჭროს ვერძი რომ მოგეტაცეს გაიძვერობითა და ღალატით იმითი უფრო გვიცნობენ... ასეთია წუთისოფელი!

— ვიცი... გზის რუკასაც დავუმატებ!

— დავმატე! ცეცხლსაც გიზგიზი მიეცე! — შემოსძახეს აქეთ-იქიდან.

მერმე შეგიზგიზებულს მარცხენა ხელი მიუფიცხეს და ჯამები იმარჯვეს...

— უღრტვინეულ ცხოვრებაში ჩვენი შესანდობარი მიუვიდეს ახალგანგმორულს!

— ტანკვა ენეტაროს და მიწა —

ზღვისპირეთი, სამყოფელი წინაპართა და შთამომავალთა — ემსუბუქოს!

— გაიკითხონ ღმერთებმა... ცაო ცისაო, სამართალო სამართლისაო, მისაზღველი მიეზღოს ვერაგთა და მზაკველთა!

— ცეცხლის საღებნი, ღვინის მადლი და სვეტი ცხოველი — კედარისა, წმიდა ხისა — ნურამც მოაკლდების!

ჯამში ჩაჩენილ ღვინის წვეთებს ცეცხლში აპკურებდნენ და აღზე ხელვადატარებით, მიწიერისაგან იწმინდებოდნენ... და ვიღრე შესანდობარი ქვასაგარძელას შემოუვლიდა, ბედან-კოლხიკ მობრუნდა და ფორეჯა ხალთა ჩამოიტანა. დიდი და მომცრო გრაგნილი ამოიღო. ერთსაც ემთხვია და მეორესაც. მერმე ყველას თაფლის სანთლები ჩამოუტრიაგა. თავადაც პირდაპირ ცეცხლზე აანთო და უქაბუქესს გადასცა...

— შენი ანთებული ცეცხლისა არის. უზიარე ყველას, დღეს შენა ხარ ცეცხლისუფალი!

„უქაბუქესი“ დატრიალდა და ცეცხლი ყველას უზიარა.

კერპის კალოზე გამონათლდა არე.

ბედან-კოლხი წინ წამოდგა და მცირე გრაგნილის თაურნაწერი ჩაიკითხა:

— ნებითა ღმერთებისათა!

— ნებითა ღმერთებისათა! — ხმადაბლად, თითქმის ერთხმად აღმოხდათ ბაპებს და ეს დაბალი ხმა ცეცხლის შიშინს ემსგავსებოდა. ყველა წამოდგა. სანთლის კალოც შემალღდა და გაიზარდა.

— „ჩვენ — მითრიდატე მეხუთე, ევერგეტე — მეფე პონტოსი, ზღვის კაპადოკიისა პათლაგონიისა, მთავართ მთავარი ტუბალთა დიდი ტომისა, ხალდთა და ხალიბთა, მესხთა და მოსინიკთა, ჭანთა და სპერთა და სხვა მრავალ ქართ-ნათესავთა და შემოთესლილ ტომთა... მფარველი და მპყრობელი ბერძენთა ქალაქთა და ნავთსადგომთა, მესაკუთრე მამა-პაპეულისა ტახტისა ჩვენისა, საბლთა და საბლეულთა, მხედართა და მონათა და მფლობელი ხალდე-

ლიბანის წმიდა კედარის. ტყისა, ვერცხლისა და რკინის მადნეულისა, ძველთა და ახალთა ღმერთთა, მეოხ, მებრახეთ ესრეთ, რამე თუ ჩვენ შეგვემთხვეს უეცარი განტეგება სულისა, რომელ არს სიკვილ — იქმნეს მეფედ და ყოვლისა ჩვენისა მბრძანებლად და მესაკუთრედ, ჩემს შემდეგ დაუყოვნებლივ — ჩემი მემკვიდრე უფლისწული მითრიდატე ევატორ, ფრიადისა ნიჭითა და ქველობითა აღსავსე... რომლის განსწავლისათვის თავიდანვე ვიგულოდგინეთ. ხოლო თუ შეუპირდა მას — მითრიდატეს მეექვსეს, ევატორს — სრულწლოვანობის მიღწევამდე, თანაებტოს — დედა მისი — ლაოდიკე დედოფალი, ტარიელ-მხედართმთავარი და ბედან-კოლხი ფილოსოფოსი.

ვინც დაჟფაროს, გაამრუდოს, არ აღასრულოს, ან ადრევე გაამჟღავნოს — იყოს წყველ, პყრობილ, წამებულ... და არცა შეინდოს ძემან ჩემმან“.

ბედან-კოლხმა დინჯად ჩამოიარა რკალი და სანთლის შუქზე ყველას მეფის ხელრთვა და ბეჭდის ტვიფარი გაასინჯვინა.

— ნახეთ და ირწმუნეთ ყველამ, თვისტომთ უხუცესნო... და თქვენცა არაბჭენო და ჯერ ჩვენთვის უთვისტომონო!

ყველაზე ბოლოს „სწავლულ უთვისტომოსთან“ შეჩერდა, და კვლავ მოხებდა ყველას.

— ვინმე იტყვის რასმე, რომ არც ყველაფერი ვთქვათ და ყველაფერიც ითქვას!?

— მახუნჯაგმა სთქვას!... მახუნჯაგმა! ტაოელმა დევებრმა!

— მაგან იცის წაღმა-უქელმად ფარცხული ლაპარაკი! მერმე მაინც შეგვედაგება!

— აბა რაღა ვაფწყობა! — წინ წამოდგა მახუნჯაგ ტაოელი, ვეება ტანი და ახოვნება სიბნელიდან გამოაჩინა. კოკონისა და სანთლების შუქი მკერდის საკინძემდე ძლივს სწვდებოდა, კვლარა წვერის ბოლოს უნათებდა და თითქოს თავი არ ება ამ დევტანს.

— რაღა მეტქმის ყველაზე ენამიამიტს თქვენს შორის!? — ხმაც ზეციდან მოისმოდა, დაყვავებულად მგრავინავი და ჩოთირა, — ჰოდა, მაშა და... ახლა ყველაფერი გასაგები გაგებულნი გვაქვს, ერთის გარდა... ესეც ნისლათქორად... ჰოდა ჩვენ — აქ ვინც ვიყავით თვისტომთუხუცესნი, ყველანი მშობლებგარდასული ობლები ვართ, აი იმ ორ „ჭერ ჩვენთვის უთვისტომოთა“ გარდა... ჰოდა, მინდა გავიგო, ვიდრე ვიტყვადი რასმე?... — ცაში ქუხილი შეწყდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. სდუმდნენ ბრძენნიც და „სწავლულიც“. მაშინ ტარიელმა ასწია თავი და მიღლა ასძახა:

— მე მამაცა მყავს და დედაც... ჩემს ახალგაზრდა თანამგზავრს კი — მხოლოდ დედა!

— არა! — გააწყვეტინა „თანამგზავრმა“ — მე არც მამა მყავს და აღარც დედა! მშობლების მხრივ თქვენსავით ობოლი ვარ, საპატიონო! — სანთელი მიღლა ასწია და ლოცვასავით სთქვა, — მაგრამ საშობლო და საშურისძიებო კი დიახაც დამრჩა!

ცაზე ისევ გაისმა გუგუნნი და ამობორკილი სიტყვა:

— ჰოდა... ახლა ვიცი, რაც ვიცოდი და... სათქმელიც აღარაფერი მაქვს — ყველასათვის ყველაფერი გასაგებია... წაღმაც ეს არის, უკუღმაც!

ირგვლივი ნამებები ქოშინი და ყრუ ბუბუნნი, მახუნჯაგ ტაოელის დასტურად გაისმა.

„უთვისტომომ“ იგრძნო, როგორ „გაითვისტომეს“ ამ გულთმისანა ბერკეთილებმა და „უთქმელად“ ყველაფერი ათქმევინეს. დაირცხვინა კიდევაც, მაგრამ ფიქრი სხვაგან იბრძოდა... წედან ანდერძი რომ აჩვენა ბედან-კოლხმა, მაშის ხელი კი იცნო, სულ აფორიაქდა, მაგრამ უფრო აიღეწა, როდესაც „ფრიადისა ნიჭით აღსავსემ“ მამის ხელნაწერის ვერც ერთი ასო ვერ გააჩნია. მწესიერებამ უშველა და მიახვედრა, რომ ანდერძისა და ქვესავარძელას კერპის ანბანი ერთი და იგივე იყო.

— ერთს მეც ვიკითხავ, საპატიონო! ყველაზე უმცროსი და გულუბრყვილო! სანთელი მოიჩრდილა და მიმოიხედა... ყველა ფეხზე იდგა, მას სახემეტყველად უმზერდა და უსმენდა. „უბერხულა ამდენი ფარვა“ ანდერძად თქმულმა.

— დაბრძანდით და მოგახსენებთ... თუ თვისტომად მთვლით!

მაგრამ მოხუცებმა ურთიერთს გადახედეს, არამც თუ დასხდნენ, უცრად დაიძრნენ კერპისაკენ და მის უკან მიღებულ მოგრო ლორფინს ერთად შეეკვიდნენ, დასძრეს, ცეცხლთან ახლო მოიტანეს, ქვები შეუწყვეს და ქვატახტად დადგეს.

მახუნჯაგმა თავისი გრძელბეწვა, არსიანული ღართი დაუფინა...

— დაბრძანდით და ახლა კი ჩვენც დავსხდებით და გვკითხვ... თვისტომო! ბედან-კოლხმა ხალთაც ლორფინზე გადმოიტანა და თავისი ნაწურთნიც იწვია. მოხუცებიც დაწყნარდნენ და დასხდნენ.

— რა ანბანი ამ კერპზე? ანდერძიც რა ანბანით არის ნაწერი? ალბათ ეს დიდი გრაფილიც „მატიანე სპერისაი“... მე ვგონებ, ყველა ანბანი მასწავლა ჩემმა მწურთნელმა!

— ამასაც გასწავლის... მაგრამ ჭერ სხვა!

— ჭერ სხვა! ჭერ სხვა! — აერიამულდნენ მხცოვნებიც.

მაგრამ უფლისწულმა ველარ გაუძლო ამდენ „ჭერ სხვას“... ჭერ ანდერძის მოპოვებამა და წაკითხვამ მეტად ააღვლეცა. შეხურებულ საფეთქლებში ათასი ფიქრი ბორიალობდა... აქამდე იქ ერთი ცხენ-ქაჯი ღებობდა ყალყზე, ახლა მრავალი ბერიკაცი და ქაჯია ყალყზეც და, ვგონებ, თავყირაც!

— თქვენ რამდამ შეგყარათ აქ... ასე მხცოვანნი, ბრძენნი და უნდოდ მკაცრნი!

— ამასაც მოგახსენებთ... — ისევ ბედან-კოლხი წამოდგა და ბაპებს თვალე გადაავლო, თითქოს უსიტყვოდ უთთბირებოდა.

- ახლავე...
- ცეცხლიც აქ არის და ზღვაც...
- მთვარეც ამოდის...
- წვერმაკრატელა ისრებიცა მაქვს...
- მალამოც არის...
- ჰოდა, ღმერთებს დიდება!
- თუ ფიცია — თანახმანი ვართ! —

უფლისწულმა უმალ ინიშნა და ორივეს სახელით თავი გამოიღო.

— ფიცი გახლავთ მთვარისა და ამირანისა, თანაც ხასიათის სამოწმებელი! — ბედანმა მარცხენა ხელი ისევ დაანახა.

მერმე ყველაფერი სწრაფად მოხდა. წვერმაკრატელა ისარი, ორი ერთად, ჩადეს ნაკვერცხლებში, ვიდრე ტარს ცეცხლი არ წაეკიდა, ხოლო წვერმაკრატელა საქგერებელი რკინა არ გავარვარდა.

მოხუცებმა მთვარისა და ამირანის, უცეცხლო ღმერთისა და ცეცხლიანი ადამიანის ნაგალობელი წამოიწყეს. ბედან-კოლხმა ხელისგულის ოდენა სიბიქვა გამოანახა, წვერმაკრატელა ცეცხლიდან სათბედით ამოიღო, ქვაზე დადო და უფლისწულს შემოუბრუნდა:

— ჯერ ასეთ ახალგაზრდას, არ მიუღია ასეთი მძიმე და იღუმალი ფიცი ქართველ ღმერთებს ვეაჭოთ — გაგვიმართლებდე! — მერმე მარცხენა ხელისგულზე ღვინო აკურა, მთვარეს დაანახა და ცეცხლთან მიიყვანა... — აიღე ქვა და რკინა ერთად, ზღვაზე ჩაიტანე, ხელიც განიბანე — აწ შეწირული ამირანის თავგანწირვისა და უდრეკობის ნიშნით! — მერმე სულ ჩუმად უთხრა, — არ დაავდო, სულწასულობა არ გამოიჩინო!

უფლისწულმა ხელი დასტაცა „საფიცარს“ და თავქვე დაეშვა... თან ესმოდა თავისი ხელის ხორცის შიშინი. გულზე აფთრად ეცა დაწვის ტკივილი...

შუაგზამდე არ იყო ჩასული, რომ ტარიელი, ასეთივე „ტვირთით“ წელ-კავგამჭდარი დაეწია და გაასწრო კიდევაც.

— უკან! გვიმბერენ ბერ-ბაპები! კრიქა შეიკარ ფიცის კაცო, განა დო-

ღია! — ჩუმად შესჩურჩულა და უფრო უდინჯა სვლას.

ტარიელიც უკან ამოუდგა და ასე მიჰყვა.

ზღვაში რომ ხელები ჩაჰყვეს, რკინა გაგრილდა, მაგრამ მალე წყალმა უფრო აუწვავთ დაფუთქულ-დამწვარი ადგილი. სიმწრის ოფლი იწმინდეს და კრინტაუძვრელად გამობრუნდნენ.

ცეცხლთან ისევ გალობდნენ მოხუცები. ხელებიც ვაუსინჯეს. ორივეს მკაფიოდ ჰქონდათ დაჭდეული „წვერმაკრატელა“ და ახალგაზრდებმა მართლაცდა ხელსახებად იგარძნეს, რომ აწ და ბოლომდე დიდ საქართველოში საქმის მონაწილენი გახდნენ.

ბერ-ბუქებმა მიულოცეს ახალგაზრდა „ფიცის ძმებს“, სიმტყიცე და გამძლეობა უქეს. ხელეზზე ისევ „მთვარეს დაახედეს“ და მალამოც დასცხეს.

ყველაფერი რომ ჩათავდა, ისევ ცეცხლთან მოდგნენ და ბედან-კოლხმა ყველა ფარული ფრჩხილი და საიდუმლო გახსნა...

— ახლა კი გეტყვით — ეს უნობი წერილი — იღუმალი ქართუ-ანბანი! ჩვენ ნათესაურ, დაქსაქსულ ტომებში, ხშირად სხვადასხვა კილო და კილოკავია... ხანდახან თითქმის ურთიერთგუგებარიც — ანბანი კი საერთოა — ქართუ! ეს არის მთვარისა და ამირანის ფიცის ანბანი!... ხოლო აქ შეყრილნი „ფიცის ძმანი“ ვართ, ყველა ქართველ და ქართველურ ტომთა უხუცესნი, ბანნი, ზევისბერნი, გვართაპაპანი, ერის ბუნენი... ქვასაგარძელა გახლავთ ჩვენი ტომთსაყოვლადო იღუმალი — უხუცესთა ბჭობის კარი. იგი საგანგებო ეამს იკრიბება...

ამ ჯერად იგი შეჰყარა მამაშენმა, რომელიც დიდ თავდაცვით ომს იწყებდა რომთან... ვაგლახ, მტრებმა დაგვასწრეს, თავზარი დაგვცეს... და აი მამის მაგიერ — ახალგაზრდა ძე მოვიდა, მამულეთიდან ლტოლვილი... მაგრამ ჭეშმარიტად ტახტი იქ არის, სადაც მეფეა და ამირანის ფიცის ერი!

იმ ღამეს მეტი აღარ უბჭიათ. ანდერძის მეფეს, ჯერ უწლოვანსა და უგვირგვინოს, დაწყნარებისა და დასვენების საშუალება მისცეს.

ბერიკაცებსაც თავთავისთვის სურდათ ღამის ძილფხიზლად ტეზა და ფიქრის ჩაძიებული წვლილვა.

სულ სხვას ელოდნენ და სულ სხვა ვითარება დაბორილდა. ყველაფერი ძირფესვიანად იყო საქვრეტი და თავსატეხი. ახლო გამოსაქალისა და შორს სავარაუდოს ძებნა. ბერიკაცებს კი მარტოსულობა მოსდგამდათ და დრომდე მარტოფიქრობაც ერჩიათ.

ქვასაგარძელასთან ადრევე გამოშრიტეს კალის ცეცხლი. დაღუპულ მეფის დაშნა შავ ლაბადაში გახვეიეს და მიცვალებულივით წაასვენეს, ბილიკს დაწალიკებით აპყვენენ.

ხეობის ვიწრო ზღუდესთან აბჯროსნები გადმოდგნენ. აქ ბილიკი ფრილოში ამოკვეთილად ვიდოდა, ბოლოს კი სულ იხშობოდა სავალი, კლდეზე აქრული კოშკითა და ვეება ლოდით.

— ჰეჰეი! ნათელი მთვარისა ვინ მოდის!

— ჯაჭვი ამირანისა! ჩვენა ვართ! — ასძახა წინმავალმა. და მართლაც ჯაჭვი ახმაურდა, ლოდმა ვიწრო სავალი დაიდო.

მგზავრები გასცდნენ კოშკის ხერგლს და კვლავ ბილიკზე მოხდნენ. ცოტა განიც მისცა ხეობამ. მთვარეც გადმოსწვდა კლდეს და მის პირებში ქვაბები გამოაჩინა.

აქ ყოველ ტომს თავისი ქვაბი ჰქონდა.

თავ-თავის ქვაბებში წისკლის წინ, კვლავ ერთად შექუჩდნენ და ურთიერთს მდაბალი სალაში სცეს, მშვიდობა უსურვეს.

— მაშ ვეახსოვდეს, რომ „სწავლული მკურნალი“ გვეწვია თავისი შეგირდით! — დაიჩურჩულა ბედანმა.

— თანაც მკურნალი ტარიელია, მე კი მიტრო-შეგირდი! — ჩაახუსტა ჭაბუკმა.

— ასე უფრო მართებულია!

— აგრე იყოს! — აჩურჩულდნენ ბერიკაცები და თავ-თავის ქვაბებში წავიდნენ.

ბედან-კოლხმა „ახალმოსული მკურნალი და მისი შეგირდი“ თავის ქვაბში წაიყვანა.

ბონტოს მეფისათვის ცალკე, მდიდრული ქვაბი ჰქონდათ გამზადებული, მაგრამ ახლა „შეგირდის“ საიდუმლო რომ არ გამჟღავნებულყო, მეფის ქვაბი სულიერთაგან ცარიელი დასტოვეს. მხოლოდ მისი დაშნა შიგ შეიტანეს და კლდის განძსაცავეში შეინახეს.

განდობილების გარდა არც ვინ იცოდა ფარული „ტომთ საქურქლის“ არსებობა და მისი ადგილმდებარეობა.

ბონტოს მოკლულ მეფის დაშნის იქ შეფარვაც არვის სხვას არ გაუგია და დაუნახავს, გარდა მთვარისა... მაგრამ მთვარე ხომ თავის შეფიცულთა და წილხედომილ ტომთა მფარველი და მესაიდუმლე იყო.

6. მატიაშე სპირისაი

ქვაბში პირდაპირ კლდეში იყო გამოყვანილი ქვის სარეცლები. ზედ ირმის ტყავები და ნაბდები ეფინა. უსწორო ჰერის ნაპრალებში კაუჭა კოტა იყო აქედებული, ზედ ზეთის ბაზმა ეკიდა. ქვაუჭრედა თაბოებზე ხისა და თიხის ჯამებისა და კოტოშების გარდა, ტყავებიცა და სამგზავრო ხალთები ეწყო...

ცალკე, ზევით კი — გაშლილი და დახვეული ეტრატ-გრაგნილები.

ბედან-კოლხმა ჭაბუკს თანაგრძნობით შეჰხედა:

— აქ ეს არის ჩვენი სასახლე... ამირით შევეგუოთ ქვაბურსა და ტყიურ ცხოვრებას, ვიდრე... — მაგრამ სიტყვა აღარ დაასრულა, ხელი მეტყველად

ასწია და ანდერძი უფლისწულს გადასცა, — ჩვენ მალე მოვალთ, მერმე შევიწახოთ, ახლა კი შენთან იყოს, ანდერძი მამის უთქმელი სიტყვა და ალერსია! — მერმე ტარიელი წაიყვანა და გარეთ გავიდა... ქვაბის პირში, ღრმა თახჩიდან ზუჩი, ხელშუბი და ფარი გადმოიღო... — რომელიც დაგვირდეს... აიღე! აქ დადექ! უჩემოდ არ ვინ არ შეუშვა... სიფრთხილეს თავი ქვაბშიაც არ სტიკვია... მე სახემსოს მოვიტან რასმე! წესად შემოვიღოთ — ან მე ან შენ — სულ განუყრელად მასთან!

თავად დამთვარულ ბილიეს გაჰყვა. ტარიელს მოეჩვენა, რომ მთვარესთან ერთად წავიდა კლდოვან ბილიცზე.

როდესაც მაწვნიით, ერბოთი და სპარხვო ხემსით დამარაგებული ბედან და ტარიელ შებრუნდნენ ქვაბში, კაბუეს თავჩაახობილად ეძინა. ანდერძიც ასევე ჰქონდა ხელში შერჩენილი.

ბედანმა აღარ გააღვიძა. აღარც მათ იწებეს ხემსი. კოლხმა მთვარის სალოცავზე გაღვა ყოველი, ტარიელსაც მიუჩინა ქვესარეცელი და ნაბადი. თავად კი ზღურბლთან დაიგო ქილობი, ნაბადში გაეხვია და დიდხანს იბრუნა გვერდიდან გვერდზე.

იგი, მწიგნობარი და აზრის კაცი, საერთოდ არ ეშურებოდა დიდ ძილს. მაგრამ გარინდებული ფიქრი კი იცოდა და ეს იყო მისი სიზმარი. ახლა კი რაღა დააძინებდა ამ ვაიუშველებელი შარცხის გამგებს. აი იმ ლტოლვილ სამეფო კაცს კი სძინავს! დალილია და მისი ბედი, რომ ახალგაზრდაა! მაგრამ ბედანმა ლაკადელ მეტივის შეიღმა, აწ მხკოვანმა სწავლულმა, რა უსაშველოს საქმეს!... თითქოს მთელი თავისი ცხოვრება — ტიეებს ჰკრავს და ისევ ეშლება!

პირველად მაშინ... მოვარდნილმა შდინარემ ფაცხა რომ მოარღვია და მთელი ოჯახი იმსხვერპლა... აი სწორედ უფლისწულის ხნისა იყო. ზათქში ახაოეს — მამამ ღედას დაუთმო კარის ძელი, ღედამ შვილს — ბედანს... იგიც

ჩაებდაუჭა და კარის ძელმა, შორს სიცოცხლეში გაიტანა.

დაიწყეს

როინის პირიდან იბერიელ მეტაფიზიკურ ნეთ გაჰყვა მეადვირედ. მერმე მცხეთის მოგვთა უბანში შეიკედლეს ხატის მონად და წიგნთა ყდების მბეჭველად. მუყაითმა, უმაღლესწავლა წერა-კითხვა, კეთილი ხელით გადმოღება. მალე ისე დახელოვნდა, რომ მოენედ წაიყვანეს ტრაპიზონს, სპერის მხარეს... აქედან როქის სპას გაჰყვა ბითინიას, მერმე პერგამს... აქ ისწავლა ეტრატის კეთება და ბერძნული. დახელოვნდა რიტორიკაში. ათენში უკვე დაუახლოვდა ფილოსოფოსებს... ჯერ დაემოწაფა, მერმე თავი აღარ დაუღო და „ბარბაროსი პაექარი“ იძულებული იყო გასცლოდა ათენს. კვიპროსზე გაჰყვა სინოპელ სოვდაგრებს. აქ კიდევ ერთხელ დაეშალა ტივი, ხომალდი დაეღუპათ და ბედან-კოლხი კვლავ „კარის ძელზე“ დარჩა.

აქ დიონისეს ტაძარს მიეკედლა უკვე ეტრატის ოსტატად და მწიგნობრად. პირველი დიდი წიგნიც აქ დასწერა ბერძნულად, საბაექროდ „ბერძნულ-ქართულ ტომთა ერთობისათვის რომთან ბრძოლაში“. ერთი ხელნაწერი მითრიდატე ევერგეტს გაუგზავნა. მან აინოპეს იწვია და მეფის საწოლთმწიგნობრობა ჩააბარა.

ამის შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი ერთად იოცნებეს და იღვაწეს, ბევრი რამ გამოთარგეს, გამოამთელეს და ახლა ისევ დაირღვა ტივი... ისევ პირველ „კარის ძელთან“ არის! მაგრამ თავისას არ ჩივის, ჭართველ ტომებისას და ამ ლტოლვილისას, რომელსაც სძინავს, ჩივის ბრძენი მწიგნობარი.

კარგა ხანს გაგრძელდა ტომთუხუცესთა იღუმალი შეყრა. ყოველდღე ჭართუ-კერპთან, ქვასავარძელას კალოზე ჩაჯდებოდნენ მხკოვანნი და ორაახალგაზრდა.

ჯერ რაც კი იცოდნენ, რაც გადახდათ, ბებრული ჩაძიებით გამოჰკითხეს. მერმე დიდხანს, ღეჭვით, გამეორებით,

შეკამათებით, ათასერთ დასაბუთებით ითათბირეს, გზადაგზა ლოკულობდნენ, მკითხაობდნენ, მისწობდნენ, ნიშნებს არ კვებდნენ...

ქვესავარძელას ქვაბებს ზევით ზედა ქიმის ზერელთანაც, კლდეზე დარაჯები იდგნენ. ზერელს იქით კი რცხილთა და კობიტის უღრან ტყეში, მხცოვანთ მომყოლთა კარავ-ბანაკი იყო შეფარული. ბანაკიდან შორს არეინ გადიოდა, არც ვისმე უშვებდნენ ახლოს. არც ის იცოდნენ, რა ხდებოდა ქვა-ზერელის იქით.

ბანაკიდან აღარც ზღვა ჩანდა. არც ქვაკერბა.

ამ ბოლო დროს კი ვახშორდა იდეალ შიკრიკთა და ფარულ მაცნეთა წასვლა-მოსვლა.

მათ გამოჩენისას ბედან-კოლხი, რომელსაც ყველა იცნობდა თავისი ცისფერი თვალებითა და შავი წარბებით, უმალ გამოჩნდებოდა ქიმის ზერელში, პირ-წვერზე ხელს მიიფარებდა... ეს სრული „დუმილისა და უნახველობის“ უტყვი ბრძანება იყო... მერმე ერთ-ერთ მხცოვანთაგანს, რომელ ტომისაც იყო იდეალური შიკრიკი, თან იახლებდა, განმარტოვებდნენ ტყეში და ყველაფერი მიჩუმდებოდა.

საგზალი მართლაც ყველას თან ჰქონდა მოტანილი და, გარდა მონადირეებისა, არვის არაფერი არ მოჰქონდა გარედან.

მაგრამ ერთხელ დაჭრილ ჩუმ მაცნეს, ამ ბიამან ადგილშიაც მოჰყვენ მღვერებე. მაცნე დაწინაურდა, ცხენი პირველი კარავის ახლოპირს გაუსწორა, ლასტდაფარებულ თხრილს შეადილა, მაგრამ აღარ გააჩერა...

— მღვერეო! — გადასძახა დარაჯას და თავად განის ბილიკს გაჰყვა... თუმცა მალევე ჩაიკეცა. ცხენიც ისარნაკრავი იყო და მხედარიც.

ხელად ჩასაფრდნენ დარაჯანი. ლასტდაფარულ თხრილს შემოსასვლელი მოუფარგლეს.

სულის მოთქმაც ძლივს მოასწრეს და სისხლიან კვალზე მღვერეიც გამოჩნდა.

მძორნაგრძნობ ყორნებივით მოჰქროდნენ. ცოტაც და სამივე მღვერე უგებდა მიწაყარულ ლასტის მახეში...

იპერეს, გაკოქეს და თვალახვეულნი, დათვის ნაბუნაგარში ჩასვეს. ახლა დაჭრილი მონახეს და კარავში მოიყვანეს.

ამ ჭერად, ბედან-კოლხის გარდა, ქიმის ზერელში სამად გაკეცილი მახუნჯავი ძლივს გამოეტია, თანაც ორა ახალგაზრდა გამოჰყვა... საწვლული მკურნალი და მისი შეგირდი. ორივე შავ, გრძელ კუშტულიან ახალუხებში იყვნენ, შეგირდს კი ცალი თვალი სულ ახვეული ჰქონდა.

მძიმედ დაჭრილი ფარული მაცნე, მახუნჯავის დანახვაზე შეირბა...

— იწე, გედე! ვაჟკაც ყოფილხარ... სამი უსურმაგ ჩაგვაგდებინე! საიდან მოგყვენ?

— გზაში გადამიდგნენ! დასინილუბენ... რალაცას დაქებენ! — მერმე მახუნჯავის მომყოლთ შეჰხედა და ხმა გაიკმინდა.

— სთქვი... სწავლულ-მკურნალები მოგიყვანე! მომეცი, თუ რაზე ვაქვს...

— ლალის წყალზე მიყელეს, ისრები მკრეს ნეცა და ცხენსაც... სისხლის კვალს მოჰყვენ! — მერმე სული მოიბრუნა და თითქოს ვიდაცას შეედევა, — აკი ვეუბენ — ხელით წავიდებ-მეთქი! არა, ფეხებზე დაგახვევთო!... დამახვიეს ორთავ წვივზე და ველარ გავერიდე ბანაკს — სადმე სხვაგან რომ ჩავმკვდარიყავი... ხომ იპოვნიდნენ გრავნილებს?

გედე თითქოს თუ თითქმის ბოდავდა.

„მკურნალის შეგირდმა“ ხელი შუბლზე დაადო და თავი გაიქნია. პგრანგი გულისპირიდან ჩაუჭრა და ჩაახია. სავი იარა უნახა. თვალის საფარი იშორა და ბეჯითად გაუსინჯა.

არც თუ ღრმა, მაგრამ სისხლნაღვარი ჰრილობები ჰქონდა.

ერთ იარას შეაწინწკლა ზოლი ვასჩენოდა ირგვლივ.

— ერთი ისარი ნაგესლი ყოფილა! — ბერძნულად შეესიტყვა ბედანს, — აბა, წყალი... ჰრაქიც ანთეთ ზეთისა!...

ცხენის ამბავიც გამოიგეთ შესამოწმებლად.

ყველანი დატრიალდნენ. თავად, მკურნალიც. მახუნჯავმა კი დაჭრილს თავისი ხელით ჩააძრო ქეჩის პაჭიჭები და პირდაპირ წვიგვებზე დახვეული გრაგნილები შესხსნა.

— უჰ, ახლა კი აღარა მიშავს რა! — აღმოხდა მისუსტებულ გედეს.

ცხენი უკვე დაღუპულიყო. ნაისრი აღვილი შავ სოკოს ჰგავდა.

ახლა კი ინატრა მითრიდატემ თავისი თემესტე-მკურნალი... მაგრამ აქ თვალწინ ეღუპებოდა კაცი!

ხელად მოუბანა იარა, მოუმშრალა და ბასრი დანა ჭრაქზე გაახურა, გამურა, შავწინწკლა ზოლი გაბედულად შემოაჭრა... იარას ძირიც ამოუწვია, თავისი შხამსაწინააღმდეგო მოაყარა და წყალშიაც გაახავა, ტარიელს მისცა...

— მერმე ასე... შენი მოტანილი მადლია! თორემ მე სადღა მქონდა!

გედეს სიცხის ოფლის გარდა, სიმწრის ოფლიც გადასდიოდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

— არა გტყვივა?

— არც იმდენად, რომ მახუნჯავ ბაბთან და ამდენ უცხო ვაკაცებთან თავი შევირცხვინო! თუნდაც ამ სიკვდილის ეპოს! ერთსაც ვთხოვთ — ჩემ ცხენთან ნუ დამაშორებთ!

— როდესაც შორჩება, მე მიმეგობრეთ! — მიუბრუნდა მახუნჯავს „შეგირდი“, — მით უფრო, რომ ცხენი მეც დაძვლებდა და მგასაც!

— შორჩა! — აბუტბუტდა მახუნჯავდევი, — სიკვდილისკენ გზა გადაჭრილი გაქვს და მკურნალის ტყვე ხარ!

მკურნალებმა კი ახლა მრავალძარღვას ფოთლები მოატანინეს, დაჭრილს იარაზე დაადეს, მსუბუქად შეუხვეის და ტყვეში განმარტოვდნენ.

გრაგნილები — ერთი ტარიელ უფროსისაგან იყო, სინოპეს გზით მოსული, ჭართულად ნაწერი. მეორე არამეული ასოებით ნაწერი — მოგვთა მრგვისა იყო. თუმცა სიფრთხილისათვის ხელს არც აწერდა.

მითრიდატემ იგი უმაღლ წაიკითხა:

„დიდება ძველსა და ახალ ღმერთებს! პოსეიდონსა და სპეროზას — და მკურნალსა, ლოცვაში მოსახსენებლად...“

არ მიიღეს მსხვერპლი კაცთაგან, უბოროტესად განწირული!

შავ-ბედაური გამოირიყა ზღვამ... შავ-ყაბალაბიც. ახლა იგი დევს ტალავრად და დასატირებლად ტაძარსა მითრისა და ჰგოდებს ხალხი და სასახლე და ტომი მრავალი... ჰგოდებენ და არა სჯერათ... ღმერთებთან წასულად რაცხვენ! და დესპანნი წარგზავნეს პერგამს, რომის კონსულთან... ბაზუკ პერგამელივე და როსებ ნატუბალარი... და ამათ მოციქულობას მძევალი არც დასჭირვებიათ, მით უფრო „უფლისწულის მარცხის“ შემდეგ.

დედოფალ-გვირგვინოსანი ლაოდოკე მორქმით შეფობს. მცირედი რამ უკვე დასთმო — ფრიგია ერთობლივ, პათლაგონია — სადაო ნაწილი და კიდევ სხვა წვრილმანი ეგვიპტარნი... მგლის ქალაქს ანდერძით სურს ჩვენი ქვეყანაც და თუ დარიგდნენ საბოლოოდ... რომის უძლიერესი წყობილსპანი თანაშეეწვევიან „ანდერძის მომცემს“. საბაბსა ან წვევას ელიან. ხოლო „მითრულნი“ დაითხოვა სასახლემ და წაიღო — მოვიდნენ ტომ-ტომ და გვარ-გვარ. ახლა „ლაოდოკური“ იკრიფებიან, უფრო ბერძენ, სირ, კილიკ, გალატ, შიგადა-შიგ, რომაელ და სხვა იტალიკ... და აღარ დაბრუნებულ დოკილა-უფროსის გრძელ მოკითხვას ვაგზავნი თანავე. სხვანიცა დიდნი პონტოსანნი კარშიეკეტნენ თვის-თვის ციხეს. არც თავი უდეს სირთა როქის სპის ზეობას, არც დიად აღუდგნენ — უფლისწულისა ვედარ დაბნისა გამო.

ხოლო დაძრწიან დაბა-სოფელ ზარი-აღრისანნი, ეძებენ, ყნოსავენ... არა მკვლელთა მეფისა, არამედ დედოფლის მეფობის არ მოსურნეთა... და მანც ათასგვარ კორ-მართალით აღივსო ქვეყანა... და თუ დედოფალს ახლა გაუჩნდა მოდავე — უმაღლ არევა მთელი პონ-

ტო, რომის სარგოდ. მოთმინება და სიბრძნე გვიკარნახონ ღმერთებმა!

— აბა, მეორეც ვნახით და მერმე შეპყრობილნი ვლამაზარკოთ... — ისევ ბედან-კოლხმა შეაჩქარა წერილით გულმოკლული „ღმერთებთან წასულად შერაცხული“.

მან იცოდა ტარიელ მხედართმთავრის პირამტქმელობა და ბარემ ერთბაშად, ერთი მოსმით სურდა ორი ცეცხლის გამოწვლა.

ტარიელ უფროსის „გრძელი მოკითხვა“ მართლაც უფრო მხედრულად იყო დაწერილი. აქ ყველაფერს თავისი სახელი ერქვა.

„ბედან-ბრძენო და ზღვის ქვეყნის მოამბევე ახლა შენ ერთად-ერთი ხარ ანდერძის ბჭე, ახალგაზრდა მეფის მხარში მდგომი. ქვეყანა იმედის არის, თუმცა დიდი მარცხი განვიცადეთ.

ახლა თითქმის ყველაფერი გარკვეულია — გმირი მეფე მოკვლა „მეგობარმა და მოკავშირემ“ რომმა! ამ მკვლელობაში სასახლის ზოგი დიდიც ჩარეულია, ზარიადრე-მესაწოლე — უპირველეს ყოვლისა. ამიტომ უსარკოდ და უშედეგოდ ეძებს მკვლელებს. ვაი რომ უფრო დიდი ეჭვიც მაქვს... დროა ყველაფერი ვთქვათ — ლაოდიკე დედოფალი ყოველთვის სელევკურ სირიისაკენ იხრებოდა. თვითმფეთხის მსურველიც იყო. გარდა ამისა, ანტიოქ სირიელი, უშიშრო ძმა ლაოდიკესი, სულ მიუძღურდა. რომაელებმა აქ დაბლანდეს მათთვის ჩვეული ქსელი. შეპირდნენ ლაოდიკესს, თუ პონტოსი გამეფდება, რაშიც ხელს მოუმართავენ, და ღალის წყლის მარცხენა ნაპირს სენატის სასარგებლოდ ანდერძად დასწერს, წინადად ფრიგიასაც ახლავე დასთმობს, ყოველგვარ შეელას მისცემენ, სპასაც გაუწურთნიან და სირიაშიც გაამეფებენ. ყველაფერს ამას ვააკეთებენ, რომ შემდეგ ეს ყოველივე — ანდერძით თუ უანდერძოდ, ისევ მათ დარჩეთ.

ერთი სიტყვით — ორი „სანისა“ და ორი „ხენის“ ცრუ საყენითა და გულგორბობით შენაპყარმა ლაოდიკე სე-

ლევემა, სულ ცოტა — ვერაგული განზრახვა არ გაანდო თავის მეუღლეს, როემელსაც, როგორც მოგვხსენებდა სულ სხვა მიზნები და ზრახვები ჰქონდა. იმ უბედურების დროს არც მე ვიყავი მეფესთან, არც შენ... იქნებ ამიტომაც შეარჩიეს მკვლელებმა ეს დრო!

...მერმე დედოფალმა დაძვარა მკვლელებიცა და ანდერძიც... მან არ იცოდა, რომ არსებობს მეორე, საიდუმლო ქართუ ცალიც!

შემდეგ უფლისწულის მოშორება სწადდა, ან ცოცხლად — რომის მძევლად, ან უფრო მკაცრად — ზარიადრეს თარგით, შემთხვევით მარცხით... ცხენიც კი შეურჩიეს, ჩასაფრებულნიც იყვნენ... ღმერთებმა სხვაფრივ განსაჯეს! უფლისწულიც გმირი და გამჭირაბი გამოდგა! მე ვფიქრობ, მან თუმცა ახალგაზრდამ, უკვე ყველაფერი უნდა იცოდეს... არაფერი ისე არ ამწიფებს ადამიანს, როგორც დიდი უბედურება!.. მაგრამ არამც და არამც არ გამქლავდეს, რომ ცოცხალია, თორემ მკვიდრი ტომები მაშინვე აღდგებიან. შეიქნება შიდა ბრძოლა, რომელსაც ელის, სულწასულად ელის რომი!

ასეთ ვითარებაში ჩვენი დამარცხება და განადგურება ვარდუვალია.

ვითმინოთ, ველოდოთ და ახალგაზრდა მეფე ჩვენ იმედად და მხსნელად დავაფაქვაცოთ. მუხლს ვიდრეც ზღვაში ცხენით გაჭირლის წინაშე!

ღმერთებო ცისა, ზღვისა და ხმელისა! თქვენ დაიფარეთ იგი, მიანიჭეთ სიბრძნე მონდიასი და ფიცი-მტკიცე ამირანისა!

ტარიელ უფროსი.

ჩემს ძეს, სახელის მოზიარეს, აწ საქმის მოზიარესაც — ვუწონებ გამბედაობასა და უნარს... ეძოს, ეყმოს და ემოყვროს — ვინც აღნიშნულია მზითა და მთვარით...“

„ზღვაში ცხენით გაჭირლი“ კი თავჩაქინდრული იჭდა გადაჩეხილ ვეება ბერ-მოყვზე და ტყის შებალახებულ შავმიწის ჩაპყურებდა.

წერილის კითხვა რომ ჩაათავა, ბედან-კოლხიკი გაჩუმდა, დაახანა და ჩუმი ხენუნით დასძინა.

— ვგონებ არ უნდა წამეკითხებინა... ძნელია ყველაფერი ერთად!

— არა, ყველაფერი ერთად — როგორც ზღვა, როგორც ყალფზე შემდგარი შავ-ქაჭი, როგორც მებების ხალხი! — ყივანა ხველასავით წამოაძახა ჭაბუკს, მერმე ხმა ჩაიკლო, — ეს ვეღარ გამიგია — რა „ორი სანი“ და „ორი ზენი“?

— სელეგვიდან — სინოპემდე... ან ზღვიდან — ზღვამდე!

— მამაჩემს, რამდენად ვიცი, სხვა ზრახვა ჰქონდა!

— დიახ... სხვა... არა დაპყრობა, არამედ გაერთიანება კაბადოკიისა, ყველა აქაურ ქართველურ ტომთა ერთად შეკვრა, ისე ერთობლივ დახვედრა და შებმა მძვინვარე მტერთან...

— ახლა ვგონებ აღარც ეს კმარა! — ჩუმად, თავისთვის, ფიქრიანად აღმოხდა ჭაბუკს. მაგრამ ფიქრი ცეცხლაკიდებულ აფრასავით სულ წერილებს უბორბალდებდა. საშინელი, თავშეკაფებული სიბრაზე ყელში სწვდა და აბრჩობს, აბრჩობს. ახლა, როდესაც ყველაფერი გამოშიგნულად იცის, უტყუარად და უეპველად... გაშიშვლებულად. შანაგანი ლტოლვების სახეით, ერთბაშად ცეცხლი ეღება და შეასკდება გულს... ორი სახელი მაინც აღაგზნებს შურისძიებად... ერთი — რომია, უფრო ცეცხლიანი, თუნდაც ახლავ საბრძოლო, მაგრამ მეორე უფრო სტკივა და ნუთუ ზელს ააღებინებს ადამიანობაზე? იმაშიც ოთხი ასოა, მაგრამ ვეღარ ამოთქვამს ვერც ერთს... იხუთება... თვალთ უბნელდება...

ზღვას გადაურჩა და ახლა სიბრაზე აბრჩობს!

ზედაც მახუნჯავი მოვიდა და უთხრა, რომ პყრობილნი მოჰყავთ.

მკურნალებმა სახეები შეიბრუნეს. ყველანი ბანაკის წინა მდელიაზე ჩავიდნენ. შეპყრობილებს ხელები უკან ჰქონდათ გაკრული, კისერზე საერთო

სახევი ედოთ. ორი შავკუმეტა და მზედამწვარი სირიელი აღმოჩნდა. ტარიელმა ხმა გასცა და მაშინვე იცნო:

— „დამწვარი სირვალანი“ არიანი!... — ტუბალნი გაიღვივით ასე ეძახდნენ სირიელებს, კანის ფერისა და სირსვალა ლობიოს სიყვარულისათვის.

ზარიადრეს როჭის სპისანებს, ჯაჭვხლართები ეცვათ, ღალის წყალთან მოდარაჯე ჯგუფისა იყვნენ, გარდა კაცის კვლისა, ბევრი არაფერი იცოდნენ.

მესამე კი ქერა და საშუალოზე მაღალი იყო. სამეგრდე კეთილშედური აბჯარი ეცვა, საწვივეებიცა და სამკლავეებიც სქელი გამოყვანილი ტყავისა. ქერა თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, უღვაში სულ გაპარული. ვალატს ჰგავდა.

ბედან-კოლხის არაერთგზის შეკითხვაზე არც უპასუხა.

— შენც როჭის სპისა ხარ თუ მონა ზარიადრესი? — ბოლოს ბერძნულად შეკითხა ტარიელი...

— არა, მონა არა! — უცხო კილო დაკრული ბერძნულით, არც უამაყოდ უპასუხა.

წერილების ბურანსა და სიბრაზეში გაგუდული მითრიდატე უსმენდა და ვერც უსმენდა გამოკითხვას. მერმე რაღაც ენიშნა:

— ერთი ამათი იარაღი და თავსარქველები მომიტანეთ?

ხელად მოიტანეს ორი სირიული შუბი და მშვილდ-ისრები... ერთი სათხელი, მოკლე დაშნა, ტარამოკრული მშვილდისარი და ლითონის თავოფოფა მუზარადი.

ჭაბუკმა მაშინვე იცნო და ისევ ამოეკიდა სიბრაზე, მაგრამ კუნთებში აილურსა და ისარიც გაუსინჯა...

— ის არის! მგლის ქალაქელი ყოფილა! ისარ-გესლიანი! ამას დამიხედეთ! ბლომად ჰქონია ჩვენთვის! — და ისრები ამოჰყარა კაპარჭიდან.

— იტალიკ? — წინ გადადგა და შეკითხა ტარიელი.

— არა, მე მხედართწოდების რომელი ვარ! გამაშორეთ ეს ბარბაროსე-

ბი! — წიხლი ერთ სახივში მყოფთ მოუქნია.

— რომელი — მძიმელ ჩაირბინა ჩურჩულმა.

— რომელი, თუ გაიგეთ? მაგრამ ამ ტყეში და ველურებში ვის ეცოდინება ეს კეთილშობილი ენა?

— რატომ, ვიცით? — საშინელ სიღინჯით ლათინურად გასცა პასუხი „მკურნალის შევირდმა“.

რომაელი მთელი ტანით შემობრუნდა.

— მაშინ, რატომ არ მისცემ განკარგულებას, მომავლონ ბარბაროსები, შემიხსნან ხელები და პატივბაც მოხვონ შეპყრობისათვის?

— მაშინ ყველაფერს იტყვი, რამ მოგიყვანა რომიდან ასე შორს?

— რასაც საჭიროდ ჩავთვლი — ვიტყვი, როდესაც გაიგებ — ვინ ხართ? ხოლო იცოდეთ, რომ რომი არც თუ ისე შორსაა... რომ...

ბედან-კოლხმა შეჰხედა გაფითრებულ ჭაბუკს, რომელის ამაყი კილო გააწყვეტინა და მახუნჯაგს ნიშანი მისცა.

— ის ორი შენი ტყვეა... წაიყვანე... როგორც გერჩიოს, ოღონდ ბანაქის საიდუმლო არ გაიტანონ!

მახუნჯაგმა სახივი გადახსნა და სირიელები წააყვანინა.

— ახლა ხელები შემიხსენით! — უფრო გამაყვებულად შემობრუნდა ტყვე — პონტო ჩვენი „მეგობარი და მოკავშირეა“... მაინც ახლა — ლაოდიკე ქვრივმა გვირგვინოსანმა მოგვიწვია ლაშქრის საწურთანაღ.

— ვის წინააღმდეგ?... რა ომს აპირებს? — ძლივს შეკავებულ რისხვით, კბილებში ვასცრა ჭაბუკმა.

— ბარბაროსების წინააღმდეგ!

„დახე ამ უტიფარს!“ — თვალთ უკვე უზნელდებოდა ჭაბუკს, ხელები აიფარა, მაინც უთხრა:

— მისი მეუღლე? სტქვი და გაგიხსნი ხელებს! გამხედავი ყოფილხარ!

— ის პირველი ბარბაროსი იყო!...

ჩვენზე სურდა ხელის აღმართვა... აქი მიიღო!

— შენც მიიღებ... — უმტყუნა ჭაბუკს, როგორც ბაღღურად სწვდა ტყვეს მოკლე თმაში და სახეში ხელუკუღმი, თავისთვისაც მოულოდნელად მიანარცხა. თავადაც სახიდან საბურავი ჩამოვარდა.

ტყვე შეაკვირდა, მისი ჭაბუკობა შეიცნო და უფრო გაგულსდა, თავი მოიამაყურა:

— ხელები რომ შეხსნილი მქონდეს, ვერ გამიხედავდი ამას, ტანტალა ლაწირაკო! ყურებს დაგაგლეჯდი მერმე მიგცემდი ძაღლებს!

...საშინელი სიწითლე მოეკიდა სახეზე ჭაბუკს...

— შენ მართალი ხარ! გამაცოფა შენმა სიტყვებმა! საქციელი შემირცხენია! მიეჭრა, ჩამოვკლავა სახივი, ხელების კოჭურები... მერმე შემობრუნა და ერთი გაშტებით გასცხო.

რომაელი გადაყირავდა და როგორც ადგომასაც აღარ ჩქარობდა.

— აღეჭ, ბაქიავ! აჰა, თავი დაიცავი — და გაცეცხლებულმა მითრიდატემ ერთი სირიული შუბი რომაელს გადაუგდო, მეორე თავად აიტაცა.

— რას ჩადიხარ! — შესძახა ტარიელმა და წინ გადაეფარა... მაგრამ მახუნჯაგმა და ბედან-კოლხმა გააჩიდეს.

— რამდენი მებრძვით? ეს არ არის ვაჟაკური წესი! — რომაელმა აღარ აიღო შუბი.

— სარეცელში მძინარის მოკვლავა ვაჟაკურის მე მართო გებრძვის... აილე, თორემ შენსავე ისარს გაძგერებ... ხომ იცი, რომ გესლანია! — მითრიდატემ რომაელის მშვილ-ისარს დასტაცა ხელი და აქეთ-იქით მიმოიხედა...

— ეს რაა? ყველანი აქ მოსულან... მხცოვანიცა და მობანაკენიც! ერთიანად მთელი საქვასავარძლო!... მაგრამ ახლა გვიან არის უკან დახევა! შეგქვივით ყალუხვა შემდგარს!.. გესლა ისარი გააწყო და მძიმედ აღმართა... სწორედ გესლზე დასვა რომაელის უტიფარი, უხმოდ ღია ხახა...

რომელმა ხელი ჩასწია და შუბი აი-
ლო, ნახტომი მოზომა და წუთს ელო-
და...

ქაბუკმა მშვილდი გააგდო და შუბს
დასტაცა ხელი, ვეფხვივით მიეჭრა,
გამზადებულ შუბს არ შეეებუა, არც
კენწვლით გაჭრა, უეცრად განზე გა-
უხტა და კი არ აძგერა, შუბი მთელ
სიგრძეზე, დიდჯობურად ბოლოდან მო-
იგდო, აწვდინა და თავში გამეტებით
დასცხო, დააბორიალა... ახლა კი შუბ-
ზე გაუჭრა, მომოკლებული შუბი და
პირდაპირ მკერდის აბჯარს ოდნავ ალ-
მაცერად უძგერა. იკვლა ლითონმა,
აისხლტა და ასხლეტილი შუბი სწორედ
უანყრატოში მოხვდა რომაელს, კეფის
ძირშიაც თავი გამოჰყო...

რომაელი ხროტივით უკან გადაიზ-
ნიქა და, როდესაც მითრიდატემ ხელი
გაუშვა... კაცი წაიქცა და შუბი შეეუ-
ლად ადგა.

მითრიდატე მოტრიალდა, სახე შეი-
ბურბა და ქიმის ხერელისაკენ გაიჩქარა.
მხცოვანნიც თან გაჰყვნენ მხოლოდ მა-
ხუნჯავი ჩამორჩა:

— გაათრიეთ, დაჰფალით! ის ორიც
ამის გზას გააყოლეთ!... — და მერწე
დაყვავებითა და ვეება მხრების ჩეჩვით
აღულუნდა, — ჩვენ სწავლულ მკურ-
ნალს კი კარგა მარჯვე შეგირდი ჰყო-
ლია! შუბის ასე ჯობურად მოქნევა არც
მინახავს, არცა მსმენია! გავებას არა
ვარ — ვინ შეთხზა ასეთი ფანდი!?

იმ დღეს „შეგირდი“ თავის ქვაბში
დარჩა. მხცოვანთ აღარ გაჰყვა ბჭობის
კარზე. ამიერიტ მას ცალკე ლოცვისა
და ხელთგანბანვის გარეშე აღარ შეეძ-
ლო წმინდა ცეცხლის ანთება.

ახლა მან საერთოდ ბევრი რამ ახა-
ლი იცოდა, კაცის კვლაც კი, „სისხლის
იქითაც“ გადაიხედა. მაგრამ ეს ცოდნა
და ცხოვრების წვდომა, მარტო ამირა-
ნის ფიცად კი არ მოვიდა, ცეცხლისა
და რკინის დაღად რომ ესეა მარცხენა
ხელის გულზე, და რომელიც ასე მა-
ლე მოუშუშდა... არამედ ამირანის ჯაჭ-
ვადაც, ვეებერთელა მოვალეობად.

ახლა უკვე ისიც იცოდა, რომ წინ
„შესაძენი წვდომა“ ჯერ უსახლდებოდა
და შეიძლება წიგნი კარგად იცავებოდა,
წარჩინებულად იპაექრო, უცხო წიგნ-
ებში ვერ ნაოვნი ამბავიც გაიგო ნათე-
საც ტომებსა და ფილოსოფოსთა შო-
რის, მაგრამ სამეფო ვერ წარმართო!
მას კიდევ სხვაც სჭირია — წიგნის გარ-
და!

მან უკვე იცოდა, რომ ქართულ სამ-
ყაროს, ამ ქამად, ორი დიდი აკვანი შე-
მორჩა. ამიტომ თუ ირჩიეს „ერთობ-
ლივ მხცოვანთა“ ხელის ნიშნად, ორ-
კაბა, წვერმაკრატელა ისარი ამირანი-
სა... ერთი მისი პონტოა, სპერის ზღვა,
თავისი ახლო და შორი შემოგარენით,
მეორე კი — კავკასიონი. თავისი პირ-
აქეთა და პირიქითა არით. ერთი ლიბა-
ნისა და ხალდეს კედარის აკვანი, ხოლო
მეორე სამშობლო მუხისა თუ ჭყონისა
და მისგან გათლილი აკვნისა!... და ამ
დაღარულ, დატყვევებულ, დახეობე-
ბულ და დაწალკოტებულ მხარეთ —
ტომთა სიმრავლე, სიკეთე და სიმამ-
ცე ახლავთ და ასულდგმულებთ, ოღონდ
ფრიადი დაქსაქსულობაც და კილოკავ-
თა სიმრავლეც სჭირთ... და არის მათ
შორის სრულსაერთო ხედ — ვენახი და
ანბანად — ქართულ!... წიგნი შეჰპირდნენ,
სადაც უფრო წვრილად სწერია ესე,
„არა უცხო სიტყვებითა და ასოებითა,
არამედ საკუთრივითა!“... და ისიც
მიხვდა, რომ ეს ფიცის ანბანია და არც
შესაწავლა მამამ, თუ მწუროთნელმა, ვიდ-
რე არ მიადებინა ფიცი. მაშინვე შეუდ-
გა ამ ანბანის შესწავლას და სხვის ან-
ბანთა მცოდნემ უმალ შეისწავლა თავი-
სი — ღვიძლი.

უკვე წაიკითხული ჰქონდა, ზეპირა-
დაც იცოდა, ქვასავარძელას კერპის
წარწერა.

„ილოცე მზე და მთვარე და მიწა შე-
ნი წინაპართა. ილოცე ქვა და წყალი,
ხე ცხოველი, ცეცხლი ამირანისა და
ენა შენი — ქართულ — აქა წერილი,
ილოცე და ღმერთებისგან დალოცვილი
ხარ.“

„არა, აღარ გაჰყვა ტომთბუქებს.

მსცოვანებში თავჩაბრილად, უსიტყვოდ, მაგრამ მიმხედურად ჩაუარეს და კლდის მუხლს გაეფარნენ.

ამ ბეობათა შორის, ბევრი ასმინეს უჩვეულო, დიდი სიმაართლე, ვერაგული ზრახვების ბაღე გააჰყრეტინეს. ტომთა ლტოლვეები და სურვილები გააგებინეს. შიდა დუხტირიც არ დაუფარავთ, მაინც მდაბიორთა და მონათა, რომ მხოლოდ კეთილი ზრახვანი და წირვა-ლოცვანი არ შევლის საქმეს... რომ „ღმერთებს სწყურიათ; ხოლო ადამიანებს — შშიათ!“ და ყველაფერს სჭირდება საოცარი შეთანაბრება! მაგრამ ჩანს, ინდობდნენ ჯერ ქაბუქს... შორს გადაკრულბში უნიავებდნენ მწარსათქმელს. ახლა ამ წერილებში კი ყველაფერი გააგებინა.. მართლაც შეგირდი ყოფილა და არა მეფე! ისიც ცუდი შეგირდი — თავის სიბრაზე და უწურთნელობა ვერ დაჰფარა, ვერ დააბა და კაცი მოჰკლა! მართალია, რომაელი... მაგრამ განა ეს იყო მამის მავიერი.. ან შესაფერი შურისძიება?

„მაინც ეს რა სიბრაზე მცოდნია!“

ბედან-კოლხმა ოღნაე ფეხი აითრია...

— შენ პირველი რომელი მოჰკალი! ომი რომთან უკვე დაიწყე... — ფორეჯებიანი ხალთა ქვათაროდან გადმოიღო და წინ დაუდო, — აჰა, შენი მთავარი იარაღი ჩვენ კი იქ — ბეობის კარზე ვიქნებით... კაცის მოკვლა ადვილია — ტომთათვის სწორ და საერთო გზის პოვნაა ძნელი! — მერმე წავიდა და ტარიელიც გარეთ გაარიდა.

— ჩემი მთავარი იარაღი?... რას გულისხმობს? — ხალთა გაშალა და დიდი გრავნილი ამოიღო... — „მატიანე სპერისიაი“... მე გადამრევენი ეს ბერიკაცები!

მერმე დიდხანს, დიდხანს გარინდებულად იფიქრა და თავადაც ვერ ვაიგო, როგორ თავისთავად აუხიბდნენ და თვალბში ანკესებად აჰყვენენ ქართულ ასოები. ჯერ საკუთარი ფიქრი და ამონაკითხის აზრი გასწვრივ, ურთიერთ ბორჯვით და ბორჯვით ვიდოდნენ... მერმე ასოები და მათ უქან ნამალი აზ-

რი გულისყურს ჩაეჭიდა და აღარ გაუშვა... ხანდახან ხმაც კი ამოაღებინა... და მალე ისე განიმსჯეალა, თითქმის ქვა-სავარძელს ქვაბში, დაგუბული ნიით, ზემირად და ხელახლა განცდილად მოუთხრო „მატიანე სპერისიაი“... ძუნწად, ხარვეზიანად, ხანდახან გაუგებრადიც, მაგრამ მკაფიოდ.

...„პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ შუმერ იყო დედათა დედა და მამათა მამა და კერა დიდი უძველუ და უპირველუ ყოველთა ჩვენთა ნათესავთა და მათგან წარბოსდგნენ ტომნი და ტომნი, ნათესავნი — ქართუხ-ტაოხნი, ხალდ-ხალიბნი, კულხ-მაკრონ-ეგრესნი, აფხ-ჩერქ-ქაშაგნი, სპერ-გურ-იბერნი, ჯავახ-გოვარ-კლარჯნი, კახ-ჰერ-კამბეჩო-ვანნი, ბეხირ-ბიძენნი, მუშკ-მოსინიკ-მესხნი, დრილ-გენიოხნი, თობელ-ტუ-ბალ-ტიბარნი, ლაზ-ჭან-სვანნი, ჯიქ-ძურძუკ-ალბანნი, მარდ-აფშილ-სანიკნი და სხვანიცა მრავალნი.

...და ჰქონდათ ენა-დედა ერთი და წეს-ღმერთნი ერთობლივი ოდითგანვე. და მტრის სიმძლავრისა და თავისი სიმრავლის გამო იყარნენ ვით ფუტკარი და განაწილდნენ სპერის, ანუ ზენა-ზღვის ნაპირ-ნაპირ, მდინარე-მდინარე თუ ხევ-ხევ კავკასიის მთა-მთა, კალთა-კალთა — კერძო-კერძო... და შეიქნა კილო და კილო და კილოკავი მრავალი, ხოლო დამწერლობა ერთი, ულამაზესი, უმკაფიოესი და უიდუმალესი ყოველთა ლურსმულთა, ხატულთა, ტვიფრუთა შორის.

ხოლო სალოცავნი და ღმერთნი ძველნი და ახალნი... მზე და მთვარე, ცეცხლი, წყალი და ხე წმინდა — ცხოველი — კედარი, ხე — წმინდა — მძლე-თა-მძლე მუხა, და კენახი — ღმერთების წილი — რომელიც არს ღვინის ხე!

ხოლო უძველესნი ღმერთ-კერანი... ადად — მბრძანებელი წარღვნა-წვიმის და მებ-ქუხილისა.

არურუ — ქალღმერთი — ადამიანთა შემქმნელი.

იშთარ — ნაყოფისა, სიყვარულისა... შეუღლების კვიმატი ღმერთი!

იშხარა — აღამიან-ღმერთი, ქალბუნე-
ბოვანი, პილგამეშის სატრფო, მფარ-
ველი კავკასიონის სევანთა!

ჰეა — აია — ღმერთი და ქვეყანა!
წყლისა და ზღვისა! მფარველი კოლხ-
თა! ესევე — სპეროზა — მფარველი
ზღვათა და ზღვის სპერთა!

ხოლო ძველ-ახალნი ღმერთნი — ტომ-
ტომად წაღებულნი და განდიდებულნი
არმაზ და თეთრა-მითრა, ჭეგე-მისრა —
ზადენი გაც და გა და ითრუშან... აინა-
ნა და დინანა, აგუნა და კობალე...
სხვანიცა თვის-თვისნი, ზოგი სხვა ტომ-
თაგან შეღწეულნი და აღიარებულნი...“

„და შტერი გამოვიდა ურიცხვი. დრო
და დრო ებრძოდა ნათესავთა ჩვენთა.
და აღუდგებოდნენ ტომ-ტომ და ნა-
ერთ და უერთ... და ველარ აღუდგებოდ-
ნენ ფრიად ძლიერთ, რამეთუ იყვნენ
უფრო დაქსაქსულ და კერძო-კერძო...“

„და იქმნა ძლიერ ბაბილონ, მერმე
ასურ, ხეთ, ურართუ, შიდ და პართ...
და მოსულნიცა — სკვით, კიმერ... მო-
ისრნენ და იტყვევნენ, შეირივნენ მრავ-
ალნი ნათესავნი ჩვენნი, დამპყრობთა
შორის... და მათთან ერთად იხიზნენ
და შეირივნენ ძველმეზობელნი ჩვენ-
ნი სომეხ და არაბ, ისრაელ და ბერ-
ძენ და სხვანიცა...“

„...და ერთსა დღესა დაიწვა ეფესოს
ტაძარი, ქვეყნის შვიდ საკვირველბა-
თაგან ერთ-ერთი... და იშვა ალექსანდ-
რე, შემდეგ დიდად წოდებული.“

და გამოვიდა მაკედონით ესე ალექ-
სანდრე დიდი ძე ფილიპესი, იპყრა ერ-
თობლივ საბერძნეთის ქალაქნი და ქა-
ლაქნი, მოიბრკივა და თანაწარმოემარ-
თა სპითა დიდითა აღმოსავლეთით.

ამან — ალექსანდრე, დაიპყრა ყო-
ველი კიდენი ქვეყნისანი და ყოველი
ტომნი ჩვენიცა, თვინიერ კავკასიის
კოლხთა და იბერთა... და უფრო მოძ-
ლიერდა ალექსანდრე, რამეთუ მან გა-
მოიყვანა ბრძოლად ჩვენი ტომთაგანიცა
მამაკობაში პირველ, ხოლო პირველ
ბრძოლაში შეუღარებელი...“

„ტუბალთათვის. ხოლო ტომი ესე
დიდი და ძლიერი, მკვიდრი ზღვის პი-

რად და შიდა კაბადოკიასა და წილმრავ-
ლად ფრიგიასა, კილიკსა და სირიას-
კერძო, ლიბანის მთიდან, სადაც ირს-
წმიდა ტევრი კედარისა, ვიდრე ხალდეს
წმიდა კედარის ტევრამდე.“

„...ხოლო უზუცესნი და უძლიერესნი
ტომთუფალნი, განდიდებულნი გვარ-
მთაერთობითა და სახლეულის სიმრავ-
ლითა — სახელდებიან ორნი — მითრი-
დატენი და არიარატენი. სათავით ერთი
გვარტომისანნი, სახლისკაცნი, არამედ
განაყარნი და ველარს თვისნი დიდი კა-
ბადოკიის გვირგვინთ მოცილენი.“

„...ხოლო რა გადავლო გზად და
ბრძოლად კაბადოკია, ალექსანდრემან
დათრგუნა მითრიდატენი, ვით მებრ-
ძოლნი თავისთავადობისათვის ტომთა,
შეიერდომა და აღამამდლა არიარატენი.
რომელთა იწამეს ალექსანდრე ღმერ-
თად — დიონისედ. მანაც დაადგინა
მმართველ მეფედ მუნვე.“

„...ხოლო მრავალნი ტუბალნი, ხალ-
დნი, მუშენი და სხვანი თანაწარიტანა-
ბერძნეთა შორის, ლაშქრობად სპარსთა
და ინდოთა.“

ხოლო პერდიკამ, მმართველმა ამ-
პყრობილ მხარეთა, ალექსანდრეს ლაშ-
ქრად ყოფნის ეამს, იეჰვა განდგომა
ტუბალთა, შეიპყრო და ჩამოახრჩო
მმართველი მეფე კაბადოკიისა — არი-
არატე, ხოლო ძენი არიარატესანნი, სახ-
ლეულითა და მამამძუქეთა ილტვოდნენ
კავკასად — სპერსა და მცხეთას.

„ხოლო ალექსანდრეს სიკვდილის
შემდგომად ურთიერთს აღუდგნენ დი-
ადოხნი ანტიპატრე, ანტიგონე, პერდი-
კა, სელევკე, ლისიმახ, პტოლომე და
სხვანიცა.“

ხოლო ანტიგონე ცალთვალას ოდეს
ეპყრა დიდი კაბადოკია, დიდი ფრიგია,
სირია და სპერის ზღვის კერძო, თანა-
ახლდა ტუბალთა დიდგვაროვანთაგა-
ნი — მითრიდატე — კაცი მებრძოლი და
თავის ტომისათვის თავდადებული.

ცალთვალამ იზრახა სიკვდილი მითრი-
დატე ტუბალისა. ხოლო უგრძნო მით-
რიდატემ და ექვსითა ცხენოსნითა გა-
ნერიდა თავის ტომთ სამლოცველო-

ში — მოგვციხესა — მითრიაისს, ფიცხელ კლდოვანსა და უვალ ადგილსა კაბადოკიისასა, სპერის ზღვის სამხერს.

...და იხმო ამან — მითრიადატე — ტომი თვისიცა და არიარატისნიცა და სხვანიცა ნათესავ და მამშველ — ადგილსა სახერხოსა — ქვასავარძელას. და ვითარცა მოუვიდნენ მრავალნი თობელტუბაღნი, ხალღ-ხალობნი, ლაზ-ჭანნი, მოსხ-მაკრონნი, იპყრო კაბადოკია ზღვის კერძო და ველარ შემძლე მეტისა დაღვა მუნევე.

მაშინ განიყო დიდი კაბადოკია — იქმნა სპერის ზღვის სამეფო მითრიადატეთა, რომელიც ბერძნულად არს პონტოს კაბადოკია, ხოლო სომოვლასათვის — პონტო.

„ხოლო ანტიგონეს სამეფოს დამხობის შემდეგ, უფრო გაძლიერდა პონტო. მით უფრო დიადოხ-მეფის სელევკის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ვერა იქნა შეერთება ზღვისა და მთისა, ერთად — დიდ კაბადოკიად. ჯერ ამა ზემოთ თქმულ მტერთა ვერავობის გამო, აგრეთვე შიდა განხეთქილების მიზეზით.

მომორჩილების მიზნით მპყრობლებმა, შიდა კაბადოკიაში მოიპოვეს არიარატეს მისხის მისხი, დასვეს თავის ჩრდილად და პონტოს საპირისპიროდ.

...მაშინ კოლხეთ-ეგრისს, ციხე-გოჯს იყო, ფრიად განდიდებული — ქუჭი, ხოლო მცხეთას — ფარნაოზ — გმირი და მწიგნობარი.

...პონტოს მითრიადატენი იყვნენ თანისთან ოთხნი... ბაბუ და მამა და ძე და ძის ძე და ჰქონდათ მათ მეორეცა სახელი — უმთავრესად ბერძნული, საეროდ და საქალაქოდ წოდებული, რამეთუ პონტოს ნაპირზე მრავალი ქალაქი არს ძველი და მდიდარი... ელინურნიცა უმეტეს და აწ მკვიდრნიცა ყველგან შირთულნი, ზოგვან უკვე მოჰარბებულნი. პონტოს მეფეთ იპყრეს ესე ქალაქი და იმტიციეს, თანდათან. თვინერ ჰერაკლესა და სინოპესა.

„ხოლო მითრიადატე — ფარნაკემ იპყრო სინოპეცა და ჰყო იგი პონტოს სამეფოს სატახტოდ.

...ხოლო დასავლით აღმთავრდეს ახალი, უმძვინეარესი მტერთ-მპყრობელი, მონოხის უღლის დამდები, ძლიერი თავისი ვერავობითა და ვერავი თავის განსწავლულობითა და წყობითა, რომელმან ჯერეთ იპყრო და იმონა თვისტომნი, მერმე მოივერაგა მეზობელნი თვისნი, მონდობილნი. დაამხო და გადახნა კართაგენ. იპყრო კელტიბერი და სრულიად დასავლეთი. დათრგუნა თვით ალექსანდრე დიდის მამული — მაკედონია, დაიპონა და გაძარცვა საბერძნეთის ქალაქნი და კავშირნი, ხელჰყო შეგებტე — პტოლომეთა.

დიდ ხმელეთზეც იყო შემოღწევა — ბრძოლითა, ქრთამითა, მუქარითა და სხვა ქვებუღანური ხერხებითა. და უპირველესად შემოიჭრა პერგამს, კილიკს, პროპონტიდას, ბოსპორს... და უფრო ღრმადაც გაიდგა თავისი ფესვი თუ ქსელი.

და ესე არს არა კაცი და ტომი, არამედ მგლის ნაზარდათა და ნამსვავსთა ქალაქი — რომი.

...ხოლო ფარნაკეს შემდეგ, პონტოს მეფედ არს მითრიადატე მეხუთე — ევერგეტ, კაცი მხნე და შემმართებელი, გამჭირაბი და ყოვლის მცოდნე. თანამოაძლიერა პონტო, სპაც სწურთნა ბერძნულ წესზე, ხელი შეუწყო გარემშვიდობსაც, მეგობრობაც სცადა ავად გამეზობლებულ რომთან. შევიდაც კი მისცა ხომალდებითა და მეზღვაურებით, კართაგენთან უკანასკნელ ზღვისა და ხმელეთის ომში, ხოლო უფრო დიდი სპა — არისტონიკეს ამბოხის წინააღმდეგ პერგამის სამფლობელოში. ამისა ეამედ საზოძვრად რომაელებმა „დაუმტიციეს“ ფრიგიისა და პათლაგონის ნაწილი, რომელთაც პონტოს მითრიადატენი, რომაელთა გამოჩენამა და ჰფლობდნენ.

„ხოლო შიდა კაბადოკიაში ხელუმწიფად მეფობდა, რომით მიძალეებული, შიშითა მითრიადატეთა, რომისავე შემყურე არიარატე მეხუთე, ფილოპატო-

რი. იგიც მოიკლა პერგამელ მეამბოხეებთან ბრძოლაში, და ქვეშაირიტად არეინ უწყის, ვინ უფრო შეუწყო ხელი მის სასიკვდილო ისარს, მფარველმარომმა, თუ მეტოქე — პონტმა, მსურველმან კაბადოკიის გაერთიანებოა.

„პერგამის სამეფოსათვის კი ითქმის, საოცრება რომელთ ახალი ხერხია. შეეწივნენ და გააძლიერეს პერგამი, განადიდეს და განავრცეს, შიგნიდან კი გამოსჭამეს. მისსავე მეფეს — ატალ ნესამე-ფილომეტორს, მფრთხილსა და უპიროსა, თავისი მრჩეველები და ერთგულები, სახლიკაცობით ამოაწყვეტივნეს და მხოლოდ მეფის სიკვდილის შემდეგ გამოირკვა ყოველი მისი ანდერძით პერგამი — რომის სენატს დარჩა.

„...და კვლავ იმძლავრა ვერაგობამ — მოიკლა მეფე პონტოსი მითრიდატე მეხუთე-ვეერგეტ. იქმნა ესე შინა და გარე შეთქმულებითა სირთა და რომთა. ხოლო სირთა ზურგს უმაგრებდა დედოფალი ლაოდოკე სელევკიანთა მოდგმისა. და იყო იგი უფლებამოყვარული და ქვეგამხედვარე, თანამეტოქე თავისი ძისა უფლისწულისა მითრიდატე ევპატორისა, ჭერ არასრულწლოვანისა.

დაძფარა ანდერძი მამისა, ძისათვის ბოძებული და ტახტი იპყრო თავად, თანამოიგულვა „საქურდთა ბჭენი“ და რათა არადირს არიან, სახელდებით მოსახსენებლად, დავიღუპებდეთ.

სწაუღათ ან რომს გამქველება, ან მოსპობა უფლისწულისა. უგრძნეს უფლისწულმა და მისმა მრავალმა მომხრემან... და დალაობა დღეს, ცხენდაცხენ ზღვაში შეიჭრა უფლისწული მითრიდატე და დაიღუპა თუ გადაიკარგა.“

...ეტრატის დაწერილი ნაწილი ხელში ჩაათავდა... გავრძელება მან უკვე თავად, ზეპირად იცოდა. უფრო მეტიც, გულდაგული მონაწილეც იყო. უნებურად ხელს დაჰხედა; ზედ ჭერ „ამირანის ფიცის“ გარდა ვინ იცის რა დაიწერებოდა.

კაბუქს შემადრწუნებელ ძალის მეხ-

სიერება ჰქონდა. ერთხელ წაკითხული „მატიანე სპერისაი“ ახლა სულ თვალწინ ედგა და არა მელნისა, მისი, საკუთარი გულის სისხლი უღუღღა ფურცლებში.

აქამდე როგორღაც, გაურჩევლად, საოცარი სისწრაფითა და სიზუსტით სწავლობდა ყველაფერს, მრავალ ენას, რიტორიკას, ბერძნულ სიბრძნისმეტყველებასა და მწერლობას, მხედრულ ჯომარდს, შხამთმკურნალობას, საერთოდ ყველაფერს რასაც შესთავაზებდნენ მამის მიერ ბრძნულად და უხვად შერჩეული მწურთნელები. მაგრამ ეს სწავლა და შეთვისება იყო, ან სეფურ ნიჭის განვითარება-დაუფლება. ახლა კი მისი მოდგმის პირველსაყოვლადო ძირის მოპოვება იყო, თითქოს ერთხელ, ოდესღაც ყრუდ ნაცოდნისა, ბრმად განცდილისა და მივიწყებულისა... ახლა ყოველი ახალი ფურცელი გულღვიძლს ედებოდა და ათასს ძველის შესახებსა თუ ახლის სავარაუდოს იწვევდა. მაგრამ ნაჩქარევ დასკვნებს უკვე ერიდებოდა, რამეთუ თუნდაც ძლიერი სურვილი, იოტის ოდენად ვერ შესცვლის, გაუთვალისწინებელსა და მოუშვითებელ საქმეს! ამიტომ დიდი სურვილი, დიდი სიბრძნე, დიდი ბეჯითობა, დიდი სიყვარული, ყველაფერი დიდი და თავშემოვლებული, უზომო დამაბულობასთან ერთად, უზომო ფიქრთან ერთად... და თურმე, რაც მთავარია, უზომო სიმატლესთან ერთად, დასჭირდება მას, რომ რბევისა და მონობის აჩრდილს გადაარჩინოს თავისი და არა მარტო თავისი ქვეყანა!

ამისათვის აუცილებელია არა ერთი ქვასავარძელა სცივითონ მსცოვანებმა და ახალგაზრდებმა, განურჩევლად თობებისა, დეაში, პაექრობაში, ბჭობაში, რომ ჩავონებას — შთავონებაც მოკყვეს და დიდი თვითშეგნებაც გამომწიფდეს... რაღაც უფრო დიდი, ვიდრე სურვილი და საერთო სულისკვეთება! თუნდაც ბრძოლის ოსტატობა და გამბედაობა!

არც ტომთა უბრალო გაერთიანებაა საქმის ყოველ ბჭობაზე მოიარებინათ თუ პირდაპირ რომ აგონებენ მას. — ქართულ სამყაროს ერთ-ერთ „ჭერ უგვირგვინო გვირგვინოსანს“.

არც ყველა „მატიანეთა“ წაკითხვა და ზეპირად ცოდნა კმარა, არც კოშკის თავზე გადმოდგომა და თავისი ნების გადაძახება, არც ცხენ-ბედაურით ზღვაში შეჭრა, და რაღა თქმა უნდა, არც ერთი ტყვე რომელის მოკვლა. რაღაც მეტზე მეტია საჭირო და აქ იბნევა... თითქოს ცალ-ცალკე იცის და გრძნობს, მაგრამ ერთად და მთავრად არ იცის... და ვგონებ, არც ბერეკაცებმა იციან და მისი იმედი აქვთ!

დიდხანს იბორჯა მარტოვად. ქვაბს შუბლი ახლა. ფიქრებიც ქვაბებივით იყვინენ — ხაროსთან ნათელი, მერმე კი ბინდი, უბინდესი და ბინდის ბინდი!

ბოლოს ქვასავარძელაში წასვლა გადაწყვიტა და გარეთ გავიდა. ქვაბის ძირში ტარიელი დახვდა... გალანდა, მაგრამ შეჭერებულად არ დაუნახავს... ახლა თითქოს ყველაფერი გამჭვირვალე იყო... ქვასავარძელს კლდეები, შორეთში მოგვ-ციხე... ზღვა... ყველაფერი გამჭვირვალე კედარის ტყიდან — კავკასიონამდე... ვარდა ერთისა — იმ პირ-შებურულ ფიქრის ვარდა!

„სკურნალთ შეგვირდო“ თვალი მოგონებია? — გაფრთხილა ტარიელმა. „შეგვირდმა“ ჭერ ვერც იაზრა. მერმე თვალზე ხელი გადაისვა...

— ჰო! თვალსახვევი კიდევ დამაფრუდა... „ცალთვალს“?... მაგრამ ვგონებ ორიც არ მყოფნის! — შებრუნდა, თვალი აიხვია და ბილიც სწრაფად გაჰყვა.

ტარიელი ძლივს დაეწია. კლდეკართან, ქვანვრელში არ გაატარეს.

— უბრძანო არის! თქვენც ჩვენსავით ახალგაზრდები ხართ! იქ კი მხოლოდ ბაბები არიან და მოჩჩა!

— ჩვენც იქ ვიყავით! — სიტყვა შეუბრუნა ტარიელმა.

— როდესაც დაგვიბარებენ, ჩვენც კი ვართ ხოლმე!

— მე უკან არ დავბრუნდები! — უეცრად იწყინა „შეგვირდმა“.

— აჰ, ისრები მანვე... დაწყნარდები! მე რომ შენი ბრძოლა ვნახე, ნიშანიც გეყოლინება! — ღიმილით მიუგო დარაჯამ და ვეება „სასარევე“ კლდეზე მიუჩვენა, ისრებიც ბლომად გამოუტანა.

„შეგვირდი“ უცხად მოღბა, ისრები გამოართვა და „სასარევე“ კლდეზე დაჭდა. რკინის წვერებს ფხის აწყობა დასწყობდა თან „ცალთვალურად“ შეეკითხა:

— კი მაგრამ, რამე რომ მოხდეს — ვერ შეუთვლით ქვასავარძელს?

— დიხაბ! თუ მტერია და აი... — ხის საჩრეველა გამოაჩინა კლდის საფარში.

— თუ სხვა რამეა... და მაშინ კი მკირდება ისრები... — დარაჯამ მშვილდი მოზიდა, ერთი პირწამახველი ისარი ზედ გააწყობა და ქვეით აიღო სამიზნე.

„სკურნალეზმა“ თვალი გააყოლებს და სწორედ ქვასავარძელს თავზე, კლდის ჩეროში, ასეთივე საჩრეველა დაინახეს. თვით ქვასავარძელა კი არ ჩანდა აქედან... დარაჯამ სტყორცნა, მაგრამ ისარი კლდეს მოხვდა.

— ახლა მივხვდი, საიდანაც გაქვამდენი ჩლუნგი ისრები! — ჩაელიძა „შეგვირდს“.

— ჰო და ასეა, შორია... ზეით აუწყევ და ზღვას მოარტყამ, ქვევით — და კლდეს. ახლა რომელია უმჯობესი, სწორეთ არ ვიცი! — თავი იმართლა დარაჯამ:

ახლა მეორემ სტყორცნა... — ზღვაშია! ზღვაში! — შესძახა ტარიელმა და მშვილდს მისწვდა. მაგრამ მანაც დააცილა. ახლა კი „შეგვირდმა“ მოჰკიდა ხელი.

— მშვილდი დუნეა! — თითო-თითო-ჭერ ზედა-ქვედა კოტას შემოუხვია ლარის თასმა, ახლა ისარი აირჩია, გააწყობა... — ზღვა სკრის თვალს, მაინც როდესაც ერთიდა გაქვს სალი! — დარაჯთ „ცალი თვალი“ ჩაუკრა და ნიშანს ვაჰხვდა. ქვა, კლდე, საჩრეველა, ზღვა, ყველაფერი გამჭვირვალე იყო... „რა გწადს? ზუსტი მიზანი უნდა იცოდე კაცმა! მიზანი, რომ მთელი ცხოვრების მიძღვნად ღირდეს და მთელი სიცოცხლის განმაგლობაში გეყოს!“

ფიქრთან ერთად სუნთქვა მოიგუბა და სტყორცნა ისარი, საჩრეველს ზუსტად აძგერა და ხმა გამოაღებინა.

— დახე ცალთვალსა! — არობრობდნენ დარაჯანი, — მაგას რომ ორივე თვალი სალი ჰქონდეს... არ დაიპყრობს ქვეყნიერებასა!

ნებარ არიან მორფუნენი

მ მ თ ხ რ მ ა

დღის ორი საათი იყო, როცა კარებზე დააკაკუნეს. ერმილო იმ დღეს არავის ელოდა და უკრმა მომატყუაო, გაიფიქრა. ისევ მუყაითად განაგრძო წერა. ის-ის იყო, ახალ კინოსცენარს ამთავრებდა. მაგიდაზე ქაღალდები და წიგნები ჰქონდა მიმოფანტული, წინ შავი ნაწიწვებით სავსე საფერფლე ედგა, ზედიზედ აღრჩოლებდა და არეულ-დარეული, ისედაც მოწრუტული ოთახი თამბაქოს კვამლით იყო ავსებული.

კარზე უფრო გაბედულად დააკაკუნეს.

„ეინ ოხერია ნეტავი, ყველამ მე უნდა შემეშალოს ხელი“ — ჩაიბუზღუნა ერმილომ, ზანტად წამოდგა და სახედაღრეჯილმა კარებისკენ გასწია, თან თავისი მარადიული ჩვეულებისთვის არ უღალატია, რამდენჯერმე ნაძალადევად ჩაახველა, ვიდრე რაზას გამოსწევდა.

ერმილო უკვე ორმოცდახუთ წელს მითანებული კაცი იყო. პატარა ოთხკუთხა ოთახი, ძველისძველი, დაჩრჩილული გარდერობი, უბრალო ჭურჭლის კარადა და მაგიდა, აი, მთელი ის ავლადიდება, რომელიც მის ოთახს „ამკობდა“ და, რომელიც თავისი ამ ქვეყნად არსებობის მანძილზე გამოსტაცა მან ცხოვრებას. ეს იყო და ეს, ცოლი იმას არ გააჩნდა და შვილი. ოთახში ცხვირის შეყოფისთანავე თვალში გეცემოდათ უწყსრიფობა, ყოველ ნივთს სიღარიბის ელფერი გადაჰკრავდა, ყველაფერს ქალის გამრჩე ხელი აკლდა.

— შეირთე ცოლი! — ურჩევდნენ ნა-

ცნობები და მოკეთენი ერმილოს და ის კიდევ მზამზარეულ. წლობით გატყეპნილ პასუხს იძლეოდა.

— რა მეცოლება!

— მაშ როდემდე გინდა იყო უშატრონოდ?

— ცოლისთვის სად მცალიია, ჯერ საქმე მაქვს გასაკეთებელი.

— მერე ცოლი რას გიშლის?!

— როგორ არ მიშლის. თქვენ რა იცით!

პირდაპირ ესიკვდილებოდა ერმილოს პირად საქმეში სხვისი ჩარევა. აბა, იმით რა იცოდნენ, რაში იყო საქმე, რა მიზნები ჰქონდა, ერმილოს ცოლიც უნდოდა და შვილიც, მაგრამ... მაგრამ ბარე ორი ათეული წელია ელის იმ ნანატრ დღეს, როცა მისი სახელი პირზე ეყერება ყველას, როცა ქედს მოუხრიან ისინი, ვინც გაჭირვების ქამს ზურგი აქციეს ვინც ამჟამად ცხოვრებით ყიმყიმებენ და აღმაცერად უყურებენ ხელმოკლედ მაცხოვრებელ ერმილოს.

ორი ათეული წელია იგება და იმსხვრევა, იმსხვრევა და იგება ოცნებები თუ იმედები.

ზუსტად ოცი წლის წინ ჩაუჯდა გულში შემოქმედების კია და ღრღნა და ღრღნა, სამუდამოდ დაუკარგა მოსვენება. მშობლიურ სოფელში დაწყებითი სკოლის მასწავლებლობა მიატოვა. ასე უჩინრად ხომ არ მოკვდებიო, ნიჭს გასაქანი უნდა და აქ საამისო ასპარეზი არ არისო, გაიფიქრა და დედაქალაქს მოაშურა. მოაშურა და მყისვე იმ დღეში ჩაება, სადაც ბევრია დიდების მ-

ძიებელი და მინდორიც დიდი უღვეთ
წინ.

ერთიხანობა ნათესავს მიეკედლა, ცო-
ტახანს შემეფერეთ და მერე მე ვიცით.
ნათესავმა ორივე კარი გაუღო, აბა შენ
იცო თუ გვასახელებო, მაგრამ სულ მოკ-
ლე ხანში იმ ნათესავს რწმენა შეერყა.
მიხვდა, რომ საქმე არცთუ ისე გაიოლე-
ბული იყო. ერმილოს ისეთ მორავეში შე-
ეტოპნა, საიდანაც რჩეულთ და ძლიერ-
თაც კი უჭირთ ამოტივტივება. ატყობ-
და, ერმილოს საამისო ფხა და კლანჭი
არ გააჩნდა, ჭეშმარიტად ენანებოდა
თავის ფავეში ბრმაღ და რწმუნებული,
ბუნებით კეთილი ბიჭი, და რამდენჯერმე
ფრთხილად შეაპარა: დაიწყე სამსახური
და ოჯახს მოეკიდეთ. მაგრამ ერმილო
ცივად პასუხობდა: ჯერ სამაგისოდ არ
მცალიაო.

ბოლოს მან ველარ აიტანა პირად საქ-
მეში სხვისი ჩარევა, ნათესავს განერიდა
და ქალაქის განაპირას ერთი იაფფასიანი
ბინა იქირავა. სამი თვის მანძილზე,
ნახევარჯერ მშვიერი, გატაცებით სწერდა
პიესას და წინდაწინ განიცდიდა იმ ნეტა-
რებს, რომელიც პიესას უნდა მოეტანა.
წერით მოქანცული დაწვებოდა და ძი-
ლი უფრთხობდა, სულ ტკბილ ოცნებაში
იყო, თვალწინ ედგა ორმოსავით ჩადრ-
მავებული ბნელი პარტერი, სულგანა-
ბული მაყურებლები... სპექტაკლის დამ-
თავრების შემდეგ იგი პროექტორებით
გაჩახჩახებულ ავანსცენაზე გამოჰყავ-
დათ, ტაშის გრიალი იქაურობას აყრუ-
ებდა... ამის წარმოდგენაზე ცრემლი
ერეოდა და ის ნათესავ-მოკეთენი ახსენ-
დებოდა, ვინც ურწმუნოდ იყვნენ მი-
სადმი ვანწყობილნი. აი, მაშინ კი მიხვ-
დებოდნენ თავიანთ დანაშაულს ისინი,
თავადვე მიეტმანებოდნენ უკვე სახელ-
მხოვეტილ დრამატურგსა და მწერალს.
გარდა სახელისა, პიესა ფულსაც მოუ-
ტანდა და მერე კი ერმილო ოჯახისა და
მემკვიდრეობის საკითხსაც მოაგვარებ-
და. მანამდე დაოჯახებაზე ფიქრი ზედ-
მეტყო, მომავლისთვის ბრძოლაში
ხელს შემოშლისო, ფიქრობდა.

სახლის პატრონი გაოცებული იყო

თავისი მდგმურით, სულ რომ სწერდა
და სწერდა, და თანდათან პატრებისკე-
მით იმსჯელებოდა მისადმი. ჩემი მღვ-
მური დღეს თუ ხვალ სახელოვანი კაცი
დადგებაო, ფიქრობდა და ცოტა არ
იყოს ეჭვი ღრღინდა. ავი ეტყოდა ხოლ-
მე კიდევ: მერე საწყალი გოლა აღარ
გაგახსენდებო. ამ სიტყვებით გულაჩუ-
ყებული ერმილო ეფიცებოდა, შენ არა-
სოდეს დამავიწყდებიო. მართლაცდა,
აბა, რა დაავიწყებდა გოლას, ის იყო
ჯერჯერობით ერთადერთი კაცი, რო-
მელსაც მისი მომავალი სწამდა. გოლას
უხსნიდა გულს, თავის უახლოეს მიზ-
ნებს მას ანდობდა, დღეს თუ ხვალ მე
ჩემს მიზანს აღვასრულებ და ვინც რო-
გორ მემართლება, იმის მიხედვით ვუზ-
ღავ სიკეთესო. გოლაც თავს უწნევდა,
ენაზე შეჭარს იყრიდა. ბოლო დროს ბი-
ნის ქირაც შეუმცირა და ჭიქა ჭიქაზე
მიუტრყა.

— შენ მალე ბევრი ფული გექნება,
კეთილი გოლა დაგავიწყდება.

და ხელახლა რწმუნდებოდა გოლა,
რომ მას თავისი მდგმური არ დაავიწყ-
ებდა.

სწორედ იმ ხანებში დაამთავრა ერმი-
ლომ პიესა და ერთ-ერთ თეატრს ჩააბა-
რა. მოუთმენლად ელოდა პასუხს, თი-
თქმის ყოველდღე აკითხავდა. და ერთი
თვის თავზე მობოდიშებული უარით გა-
მოისტუმრეს. მართალია, ნიჭი გაქვთ,
მაგრამ თეატრს ნაკლებ იცნობთ,
მართლწერის საკითხებში კი სულ ვერ
ერკვევითო.

სამი დღე ჭუჩებში დახეტილობდა და
შუალამისას ბრუნდებოდა შინ. მაგრამ
ისევ მოიკრიფა ძალა, ხელახლა აღივსო
ხვალინდელი დღის იმედით, თეატრებში
უმეცარი ხალხით, ფიქრობდა და ამჟა-
მად რომანის წერა დაიწყო. გოლამ კი
იომინა, იომინა და ბოლოს იმასაც შე-
ერყა რწმენა.

— დაიწყე, ერმილო, მუშაობა, ქალი
მოიყვანე, ცოდო ხარ: სიცოცხლე მოკ-
ლეა, კაცო!

ასე დაიწყო ერმილოს ბობოქარი
ცხოვრება. ვერც გაჭირვებამ და ვერც

წარუმატებლობამ ვერ შეურყია რწმენა. რატომღაც მტკიცედ სწამდა, დიდი საქმისათვის ვარ მოწოდებული და საამისო ძალაც ინახება ჩემს სხეულშიო. თვალწინ ედგა დიდებული მომავალი, იმის იქით აღარაფერსა და ვეღარაფერს ხედავდა. ბრმა რწმენით ჯიუტად მიიწევდა იმ მომავლისაკენ. დროებით დააგლო მან ყოველგვარი მიწიერი, დათრგუნა, დააოკა ადამიანური ვნებები. ჩაახშო ყოველი, ადამიანთა მოდგმისათვის საარსებო საუკუნოვანი ინსტინქტებიც კი, რათა დროზე მიედწია მიზნისთვის და მერე ერთბაშად მისცემოდა ამქვეყნიურ ტკბობას, ერთბაშად აენახლაურებიან თავისი წილი ამ ცხოვრებიდან.

ბინიდან ბინაში გადადიოდა, სამსახურს სამსახურზე იცვლიდა. ხან საბავშვო პიესებს სწერდა, ხან მოთხრობებს. უცრუვდებოდა იმედი და ხელახლა ივსებოდა იმედით, ბოლოსდაბოლოს, ბედი გამიღიმებსო, ფიქრობდა. ასე გადიოდა დრო, დღე დღეს მისდევდა, წელიწადი წელიწადს. ერთხანობა ბიბლიოთეკაში მუშაობდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი ურიგო არ ჰქონდა, მაინც ზურგი აქცია, შემოკმედებითი მუშაობისთვის ცოტა დრო მრჩებო. ღამის დარაჯად ირჩია მუშაობა, სამი დღიდან ორი დღე ჩემ ხელთაა და უფრო ნაყოფიერად ვიმუშავებო.

სიბეჯითით წვეთი ქვას ხვრეტს!

ორი ათეული წლის მანძილზე, სისხლის ფსად იმას მიადწია, რომ რამდენიმე საბავშვო პიესა და მოთხრობა გამოქვეყნებინა. მაგრამ ამას არც სახელი მოუხვეჭია მისთვის, არც ფული. პირიქით, ზოგიერთის თვალში ფასიც დაეწია. რადგან უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ მასზე. და ფარხმალს მაინც არ ყრიდა. როგორც მღელვარე ოკეანეში განწირული მიფართხალობს შორეულ ხმელეთზე მოციმციმე შუქისკენ, ისე მიიწევდა ერმილო დიდი მწერლობისაკენ. ნამდვილი მიზანი ჯერ შორს არისო, ფიქრობდა და თავგადაცკული მუშაობდა. როგორც იყო, საკუთარი ოთახიკი მიიღო და სამსახურს სულ გაა-

ნება თავი, საამისო დრო სადღა მაცქსო.

ამ ორი ათეული წლის მანძილზე, ვინ იცის, რამდენჯერ ჰქონდა დაოჯახების მანსი, ზოგი მდიდარი ეძლეოდა, ზოგიც ღარიბი, ზოგი ბინიანი, ზოგიც უბინაო. რამდენჯერმე სიყვარულმა ზედ გულზე დაუკაკუნა, მაგრამ მაშინვე გაახსენდებოდა თავისი დიდი მიზანი და ყოველგვარ ცდუნებას სძლედა.

„ვაი თუ!...“ — გაუელეებდა თავში და დანარჩენს თვითონ წარმოიდგენდა. ვაი თუ დაოჯახებამ ხელი შემიშალოს და მიზანს ველარ მივაღწიო.

ისევ იმ ტკბილი ოცნებით ცხოვრობდა, ხვალინდელი დღის იმედით, ორი ათეული წლის მანძილზე ერთხელ არ შეპარვია ეჭვი თავის თავში, ერთხელ არ გაუცლია გულში ფიქრად მიწიერი ცხოვრებისკენ შემოვბრუნდე და ისე ვიცხოვრო, როგორც ათასები და ათიათასები ცხოვრობენო. ხედავდა, მის თვალწინ, მის გვერდით, მისი შემდგომი თაობებიდან ზოგი საიმედოდ იკიდებდა ფეხს მწერლობაში და ქმნიდნენ ოჯახებს, ზოგიც დროულად იღებდა ხელს და ცხოვრების სხვა სახსარს ეძებდა. ამ უკანასკნელთ დასცინოდა, სახელის მოპოვება იოლად უნდოდათო.

ხვალინდელი დღის მოლოდინში ორმა ათეულმა წელმა გაიბრინა და აჰა, ორმოცდახუთ წელს მიატანა უკვე ერმილომ. მისი ზუსტი წლოვანება ნაცნობთაგან თითქმის არავინ იცოდა, ოცდახუთმეტ წელზე მეტს არავინ იმეტებდა მისთვის და ხანდახან თვითონაც არ ეჭვრა თუ ორმოცდახუთი წლის უკან მოველინა ამ ქვეყანას და დრო ჰქონდა ასაშური.

ბოლო დროს შიში შეუჩნდა, ჯანმრთელობამ უცაბედად არ მიმუხთლოს ამ შუა გზაზეო. განსაკუთრებით უცაბედი სიკვდილისა ეშინოდა, რომელიც მეტად მოხშირებული იყო. ხანდახან შუალამისას გაღვიძებულს ეჭვი შეიპყრობდა, იქნებ უკვე მკვდარი ვარ და ის, რასაც ახლა მე შევიგრძნობ, სხეულიდან განტვირთული სულის არსებობაა და არა ნამდვილი სიცოცხლის გავრძელებაო.

მერე, როდის-როდის, გაიგონებდა ქალაქის ქუჩებში მორიგე ტრამვაის ხმაურს და შემზარავი ეპიე უქრებოდა.

თავისთავს ზედ დაფოფინებდა. სამედიცინო წიგნებში მითითებული წესებით ცხოვრობდა და სასარგებლო მცენარეულობით იკვებებოდა.

და აი, ორმოცდამეხუთე წელს მაინც დასძლია ცდუნებამ. ორი ათეული წლის მანძილზე დაოკებულმა ვნებამ ერთბაშად გადმოხეთქა, გათოშლი სისხლი გალხვა, ახმაურდა და აყვილდა. ყველაფერი კი იმ სანატორიუმის ბრალი იყო, სადაც ჭანმრთელობის აღსადგენად ისვენებდა ერმილო გასულ წელს. რამდენს ცდილობდა არ აპყოლოდა გრძნობას, აბა ამის ღრო სადა მაქვსო, მაგრამ როგორც ხავსი ხეს, ისე ბეჭითად ეკიდებოდა სიყვარული მის გულს.

ეს ამბავი სულ უბრალოდ დაიწყო: უცაბედად გაციებული ერმილო სანატორიუმის პალატაში მარტოდმარტო იწვა და თავის მომავალზე ფიქრობდა. მაგიდაზე ახლად დამთავრებული საბავშვო ზღაპარი ედო: „ოინბაზი ციყუენიები“. მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში სრულიად ახალგაზრდა, ტანთხელი ქალიშვილი შემოვიდა. ოდნავ ელაში, შავი თვალები უცნაურად უციმციმებდა.

— ერმილო ფერაძე თქვენ ბრძანდებით? — გაუღიმა ქალიშვილმა — აბა, როგორ არის საქმე, რა დაგემართათ?

ბუნებით მოკრძალებული, მანდილოსნებთან ურთიერთობას უჩვევი ერმილო, ქალიშვილის ასეთმა სითამამემ სულ გააბრუა. ექიმი თვალებში ჩამტერებოდა, თამამობდა და ენაწყლიანობდა. მერე მას თვალი გაექცა მაგიდაზე დალაგებულ ხელნაწერებისაკენ და ერმილოს გაოცებულმა შეხედა.

— ფერაძე... გამიგონია ეს გვარი, მარტო ზღაპრებს წერთ? — ქალიშვილს თვალები გაუბრწყინდა.

— არა, ეს ისე... ხანდახან. — ძლივს ამოილულულა ერმილომ და უცებ ხურვილი დაებადა ქალიშვილისათვის მთელი მიზნები გაენდო, მაგრამ ისევ

გადაიფიქრა, სხვა ღროსთვის იყო.

ამის შემდგომ თითქმის ყოველდღე ნახულობდა ექიმი ავადმყოფს, ოთახში შემოსვლისთანავე ღიმილით ჰკითხავდა:

— როგორა ხარ?

და ერმილო ერთსა და იგივეს პასუხობდა:

— არა მიშავს რა!..

მერე კი უხერხული ღუმილი დგებოდა.

როგორც ერმილო ვარაუდობდა, მას სალაპარაკოდ უნდოდა ხოლმე დარჩენა, მაგრამ რაკი თვითონ სითამამეს ვერ იჩენდა, სტუმარი გულდაწყვეტილივით მიდიოდა.

ამოდ ცდილობდა ერმილო თავიდან ამოეძიკვა ქალიშვილზე ფიქრი. ერთთავად თვალწინ ედგა მისი მოგრო, ნახი სახე, ოდნავ ელაში, სევდიანი თვალები, რომელნიც თითქოს ზეციური ღიმილით უბრწყინავდნენ.

დაღონდა ერმილო, კაეშანს მიეცა. ერთი წამით გადახედა განვლილ ცხოვრებას და თავისი არსებობის მანძილზე პირველად გაეცნლა. საზარელმა ექვმა თუ სინანულმა. თვალწინ დაუდგა პატარა ღარიბული ოთახი და გაიფიქრა, განვლილი ორი ათეული წელი წყალში გადაყრილი ხომ არ არისო. მაგრამ ეს იმდენად შემზარავი ფიქრი იყო, მყისვე უკუ იქცა. იგი გულში ცოდვად და წმიდათა წმიდა საქმის დალატად ჩათვალა, გადაწყვიტა, თავი შორს დაეჭირა და ქალიშვილი გულიდან გადაეგდო, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ, როგორც კი ლოგინიდან წამოდგა, რალაც უჩინმა ძალამ უბიძგა და თავისი ნების გარეშე სრულიად უსაქმოდ იმ ტლანში გაიარა, სადაც ექიმის კაბინეტი იყო. კაბინეტის კარი ერთთავად ღია იყო, ისე ჩაუარა, კაბინეტისკენ წამით არ გაქცევია თვალი.

— ფერაძე! — მოესმა ზურგიდან. ეს მისი ხმა იყო, იმ ქალიშვილისა. აბა, რაღა უნდა ექნა ერმილოს, რაკი დაუძახეს, ხომ არ წაუყრუებდა. გასაუთოებელი შარვალი ეცვა და კაბინეტში შესვლას

მოერიდა, კედელს ამოფარებულმა, მარტო თავი შეყო.

— მოდი ერთი წუთით? — სთხოვა ექიმმა:

— სხვა დროს მოვალ. — დაიბნა ერმილო და გამობრუნება დააპირა, მაგრამ ქალიშვილი აღარ მოეშვა. სკამიდან ფიცხლად წამოხტა, ნაზი თეთრი ხელი მკლავზე მოკიდა და კაბინეტში თითქმის ძალით შეიყვანა დაბნეული ერმილო.

— როგორ ხარ? — მზრუნველი, ანლობელი ადამიანის ხმით ჰკითხა ქალიშვილი და სევდიანი თვალები მიაშტერა.

— არა მიშავს რა! — ძლივს ამოიღულღულა ერმილომ.

— კარგად ვარო, არასოდეს არ გითქვამს. — ექიმმა გაიღიმა. შერე აღმაცურად გადახედა ერმილოს და განაგრძო — მოდი, წნევა გაგიზომო. აგერ, სკამზე დაჯექი.

ერმილო ხანტად დაეშვა სკამზე და სახელო დაიკაპიწა.

„ახლა ვეტყვი“, გაუელვა თავში, მაგრამ თვალწინ დაუდგა პატარა, ღარიბული ოთახი, გაახსენდა თავისი წმინდათა წმიდა საქმე, კვლავ ექვმა თუ სინანული — მაკაენწლა და იარაღი აპყარა. ექიმი შავ ტოლულს გულდაგულ ახვევდა მკლავზე და რაღაც იდუმალი ხმით ეკითხებოდა.

— სად ცხოვრობ?

— თბილისში.

— მშობლები სადა გყავთ?

— მშობლები არა მყავს.

ქალიშვილი წამით დადუმდა. შერე ისევ განაგრძო:

— წარმოშობით საიდან ხარ?

— ლეჩხუმიდან.

— თბილისში ვისთან ცხოვრობ?

— არავისთან, მარტო ვარ.

ერმილოს ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თითქოს ორივენი საღდაც ბნელ სარდაფში იყვნენ მიმაღლლები და გულის კანკალით ჩურჩულებდნენ.

— შვილები არა გყავთ? — ექიმმა ზმას უფრო დაუწია, მღელვარება დაეტყო.

— ცოლი არა მყავს, შვილები საიდან შეეკოლება?!

— ცოლი რატომ არ შეიერთეთ?

— რა ვიცი, დავრჩი ასე.

— მაინც რატომ?

— არ შემირთავს... — და ერმილოს უცაბედად ბრაზი მოერია. თითქოს წელანდელ, წამით დაბადებულ შემზარავ ექვს ვიდაცამ ჩაკიდა ხელი და სამზეოზე გამოიტანაო.

ქალიშვილი კიდევ რაღაცის კითხვას აპირებდა, მაგრამ გადაიკუნება, ღიმილის ნაცვლად თვალებში სევდა ჩაუდგა, თანაგრძნობით მიაჩერდა ერმილოს და უთხრა:

— თუ რაიმე დაგჭირდეს, უსათუოდ მნახე, არ მოგერიდოს, შენ ყოველთვის შეგიძლია მოხვიდე ჩემთან, ყოველთვის...

ძირ-ფესვიანად შეძრა ერმილო გულთბილმა მოპყრობამ. ამ დღიდან სამუდამოდ დაეარგა მოსვენება და ქალიშვილი მის წარმოდგენაში რაღაც ღვთიურ არსებად იქცა. ყოველთვის, ძილში თუ ცხადში, მისი მართოლაღი ხმა ესმოდა, თვალწინ ედგა თეთრი, სუსტი თითები, ოღნავ ხეტი წაბლისფერი თმა და თანაგრძნობის გამომხატველი, სევდით დანისლული თვალები. ყველაფერს, რაც კი მას გააჩნდა, თავის ახლობლად თვლიდა ერმილო. მართალია, მან ზუსტად არ იცოდა, რა ამოძრავებდა ქალიშვილს, უბრალო ადამიანური თანაგრძნობა თუ ნამდვილი სიყვარული, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, ერმილო მაინც ვეღარ ერეოდა თავს და თანდათან ფსკერისკენ ეშვებოდა.

ექიმმა ორი დღის შემდეგ კიდევ მოდი წნევის გასაზომადო, და იმ ორ დღეს ცალკე ფიქრმა მოჭანცა ერმილო. ცალკე სურვილია. ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. ისევ ძველებურად ფიქრობდა — ცოლის მოყვანის დრო ვერ არა მაქვსო. მართალია დააპირა, ყველაფერი გაემხილა ქალიშვილისათვის, იქნებ მანამდე მომიცადოს, ვიდრე მიზანს მივალწევო. ორ დღეს ამოდ იმტერია თავი, ვერაფერი გადა-

წყვიტა და ბოლოს ხელი ჩაიჭნია, რაც იქნება, იქნებაო, ალაღბედად მიენდო ბედს. მესამე დღეს იგი ექიმთან გამოცხადდა, მაგრამ ქალიშვილი რატომღაც უგუნებოდ შეხვდა და ველარაფერი გაუბედა. ესლა ჰკითხა: გამგზავრებისას თქვენთან უნდა გამოვცხადდე თუ არაო. ქალიშვილმა: ექთანთან მიხვალთო, და ამით დასცილდნენ ერთმანეთს.

ტანჯვით გაატარა დარჩენილი დრო ერმილომ. წამოსვლისას გული სწყდებოდა. ნეტავ შეიძლებოდესო, ფიქრობდა, ჩემი წილი სიცოცხლიდან ათასი დღე წამართვან და ნაცვლად იმისა, აქ ყოფნის დრო ხუთი დღით გამოიგრძელოსო.

გამომგზავრების დღეს მოკამული ამინდი იღვა. დილიდანვე სცრიდა. ციოდა, ერმილომ ადმინისტრატორისაგან პასპორტი დაიბრუნა და სანატორიუმის ეზოში უმიზნოდ დაიწყო ხეტიალი. სევდა ლოდივით აწვა გულზე, მთელი ქვეყანა ეპატარაებოდა, თავისი ადგილი აღარსად ეგულებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სამგზავრო გემიდან გადმოვსვათ და უკიდევანო ოკეანისთვის მიენდოთ მისი ბედი.

სიგარეტს მოუკიდა და ალაღბედად ჰიშკრისკენ გაიხედა. ჰიშკარში ვიღაც მაღალი კაცი შემოდიოდა, ცალი ხელით რაღაც სანოვავე მიეხუტებინა გულზე, ცალით ჰოჩორს ისწორებდა. გადაჯრულში ჩანდა და მთელი ქვეყანა თითქოს საკუთარი მხრებით მოჰქონდა.

ერმილოს ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე ბუფეტისკენ გასწია. ორასი გრამი არაყი სულმოუთქმელად გადაჰქრა და გამობრუნდა. გრძობდა, თანდათან როგორ უჭრებოდა კეფანი, თითქოს ოკეანის ფსკერიდან მაღლა მოტივტივებდა. მალე ბაჭალო გუნებაზე დადგა, გაამაყდა და განდიადდა. თვალწინ დაუდგა თავისი დიდი მომავალი. თავის გარშემო მყოფნი ბუზებად ეჩვენებოდა. ესენი ჩვეულებრივი მოკვდავნი არიანო, ფიქრობდა და, ეცოდებოდა ისინი. სიგარეტს მოუკიდა და არყით გამბრუებულმა, ტალანში დაიწყო სეირნობა. მოუ-

ლოდნელად ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. მოიხედა. ექთანის იყო.

— ექიმმა, ჩემთან მოდო.

— ეინა?

— ექიმმა.

— ექიმთან რა საქმე მაქვს, სანატორიუმი წიგნაკი უკვე ავიღე.

თვითონაც ვერ ახსნიდა ერმილო, ასე უცებ უარი რათ მიახალა ექთანს, იმიტომ ხომ არა, რომ სიამაყემ შეიპყრო?

— არა, რაღაც საქმე აქვს, უნდა მიხვიდე.

— ჩემთან რა საქმე უნდა ჰქონდეს?

— მობრძანდით, მობრძანდით. — ექთანმა ექიმის კაბინეტში შეიყვანა.

ექიმი ვიღაც ავადმყოფს სინჯავდა.

— პასპორტი უნდა დამიტოვოთ. — მოუბრუნდა ექიმი ერმილოს.

— მე მივდივარ და პასპორტიც თან უნდა მქონდეს.

— სანამ წახვალთ, პასპორტი ჩემთან იყოს.

— არა, მე მჭირდება. — ჭიუტობდა ერმილო.

— კარგი, რაკი ასე გინდათ...

ექიმს აღარაფერი უთქვამს. შუბლი შეიკრა და ისევ ავადმყოფს მიუბრუნდა.

ერმილო გამობრუნდა. ნახევარ საათს ხეტიალობდა სანატორიუმის ეზოში და ბოლოს ისევ ტალანში ამოყო თავი. ექიმი კაბინეტიდან გამოვიდა.

— ჩემთან საქმე ხომ არა გაქვთ? — მოწყენილი ხმით ჰკითხა მან.

— არა, ისე შემოვიარე.

— თუ საქმე გაქვთ, მითხარით.

— არა.

— ნუ გერიდებათ...

— არაფერი. უბრალოდ, მინდა გამოგემშვიდობოთ, თუ ნებას მომცემთ...

— აჰ, მიდიხართ უკვე?

— დიახ, კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად იყავით. არ დაგვივიწყოთ! — ქალიშვილმა მაგრად ჩამოართვა ხელი.

თქვენ არასოდეს არ დაგივიწყებთ. — უთხრა ერმილომ და ზანტად, უხალისოდ გამობრუნდა.

ნახევარი საათის შემდეგ ის უკვე მა-

ტარებელში იჯდა და გული სწყდებოდა თავის გაუბედობაზე. გული სწყდებოდა, რომ მატარებელი თბილისისაკენ მიდიოდა და არა იქით, საიდანაც წამოვიდა.

იმ დღიდან ერმილომ მეორე ხატი გაიჩინა სალოცავად და საოცნებოდ. სანატორიუმიდან დაბრუნებული, ძალაგანახლებული მუშაობდა და უახლოესი იმედით ცხოვრობდა. ეს იმედი კინოსკენარი იყო. უეჭველად გამიმართლებს და ერთი ხატიც ხელში მეჭირება, მეორეც, ყველა გზა გაიხსნება და მიზანიც მიღწეული იქნებაო, ფიქრობდა.

სანატორიუმიდან დაბრუნებულ ერმილოს სიყვარული უფრო გაუცხოველდა. ორიოდვე თვე იტანჯა და ბოლოს წერილი გაუგზავნა. შიგ თავისი დაბეჭდილი საბავშვო მოთხრობები ჩადო, დიდი კი არაფერია, მაგრამ მაინც გაეცანო. მართალია, ექვობდა, ეს ბავშვური საქციელი ხომ არ არისო, მაგრამ სულმა მაინც წასძლია. წერილში გაკვრით გაანდო ქალიშვილს თავისი გრძნობა და უახლოესი მიზნები. მაგრამ პასუხი არ მოუღია. ნამდვილად ბავშვურად მოვიჭეციო, ნანობდა და ახლა მეორე წერილი დაწერა, რითაც ბოდიშს იხდიდა პირველზე. ეს წერილი ისევ უკან დაუბრუნდა, კონვერტზე გაკრული ხელით ეწერა, აღრესატი მიღებაზე უარს ამბობსო. ამან კი განარისხა და შეაეჭვა ერმილო. ასეთ ამბავს სრულიად არ მოელოდა. რით უნდა აეხსნა მისი საქციელი, არ იცოდა. ათასი ეჭვი და ფიქრი უტრიალებდა თავში. შეურაცხყოფილმა თავს სძლია, თავმოყვარეობის, სიამაყის გრძნობა გამოიხმო და სწორედ ამ გრძნობის კარნახით დაწერა მესამე წერილი. თქვენი თავი, ბოლოსდაბოლოს, ვინა გგონიათო, დრო მოვა და თქვენისთანები ჩემს სახელს მოწიწებით ახსენებენო.

ამის შემდეგ აღარც პასუხი მიუღია და აღარც თვითონ გაუგზავნია წერილი. მაგრამ გრძნობდა, რომ ის ქალიშვილი გულში ეჯდა და მოსვენებას აღარ აძლევდა. და მაინც მისთვის არ ეცალა. სკენარის დამთავრებას ჩქარობდა, ეს

იყო ახლა მისთვის ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი ორივე ასპარეზზე, უნდოდა დროულად ჩაებარებინა კონვერტულიისათვის, გაერკვია ბედი და მეორე მეორე ბედის გასაარკვევად ისევ იმ სანატორიუმში წასულიყო.

ერმილომ ერთი-ორჯერ კიდევ ჩაახველა და კარი გააღო. კარის უკან ორი უცნობი იდგა. თმაქალარა ქალი და მსუქანი მწითური მამაკაცი. არცერთს ნაცნობი იყრი არ ჰქონდა და ერმილომ იფიქრა, შეიძლება საბინაო სამმართველოდან არიან ბინის გამოცვლის თაობაზეო.

— ერმილო ფერაძე თქვენა ხართ?

— მე ვარ.

— შეიძლება თქვენთან?... — ჰკითხა ისევ ქალმა. ვიდრე პასუხს მისცემდა, ერმილოს როგორღაც ეცნაურა ქალის გამომეტყველება, მაგრამ მენსიერებაში ვერ აღადგინა. შეეჭვა. საბინაოს ხალხს არა ჰგვანანო.

— მობრძანდით! — როგორც იყო მოახერხა, კიდევ ჩაახველა და დაბალი ტანის, ბეჭებში ოდნავ შეხრილი ერმილო უცნობებს ოთახში შეუძღვა.

ქალი ყურადღებით ათვალთვრებდა არეულ-დარეულ, ვიწრო ოთახს.

— ყველა პატიოსანი კაცი ასე ცხოვრობს. — თქვა ქალმა და კაცს გადახედა.

— ჰო, — კვერი დაუქრა კაცმა.

— ჯერ-ჯერობით ცოტა ღარიბულად ვცხოვრობ. — მოიბოდიშა ერმილომ და ისევ თავის ადგილას დაჯდა, საწერ მაგიდასთან.

— აჰ, მაგი არ გამაგონო, — შეიცხადა ქალმა. — ასეთები ცოტანილა გვხვდებიან საზოგადოებაში და ისინი დასაფასებელნი არიან. ასე არ არის, ბუხუტი?! — ქალმა ისევ კაცს გადახედა და ბუხუტიმაც თავი დაუქნია, სრული ჭეშმარიტებაო.

ქალმა ხელჩანთა მაგიდაზე დადო, სკამს სული შეუბერა და ფრთხილად დაჯდა. ბუხუტი პირდაპირ ტახტზე დაეშვა.

— რატომ ცოლი არ შეგირთავთ? —
დაინტერესდა ქალი.

ერმილომ მხრები აიჩეხა.

— რა ვიცი, ვერ სამაგისოდ არ მცა-
ლია. ეგეც არ იყოს, აბა, აქ ქალი მოიყ-
ვანება?!

— უნდა შეგერთოთ ცოლი, ერთმა-
ნეთს მხარს მისცემდით და უფრო კარგ
ოჯახს შექმნიდით. — დაამტყიცა ქალ-
მა. — სად მუშაობთ? — ჰკითხა მერე.

— არსად, ისე...

— როგორ არსად? — რა პროფესიისა
ბრძანდებით...

— ისე, ვწერ რაღაცებს... — ერმი-
ლომ უცებ თავი შეურაცხყოფილად
იგრძნო, — ვინ ბრძანდებით?

— მე პედაგოგი ვარ, ლეილა სადუნი-
შვილის დედა.

ამის გაგონებამ ერმილოს თავზარი
დასცა. მთელ სხეულში ერთანტელმა
დაურბინა და სადღაც, მუხლებთან შე-
ცივდა. ფეხზე წამოდგა, უნდოდა სტუმ-
რებისთვის ხელი ჩამოერთმია, მაგრამ
ველარ მოახერხა. ისევ სკამზე დაეშვა,
ოთახს თვალი მოავლო და წუთიერად
კვლავ იმ სინანულმა თუ ეჭვმა გაკენწ-
ლა, რომელიც ამ ბოლო დროს შეეჩვია.

— რაშია საქმე, — განაგრძო ქალ-
მა, — ჩემს ქალიშვილს თქვენ წერილებს
სწერთ, ერთი წერილი კიდევ დაგიბრუ-
ნათ უკან.

მაგრამ ერმილოს პასუხის მისაცემად
ჯერ არ ეცალა. ხან ნაშფვებით სავსე,
დიდი ხნის გაუწმენდავ საფერფლეს გა-
დახედავდა, ხანაც კუთხეში მიმდგარ
ნარეცხი წყლით სავსე ალუმინის
ვარცლს.

— რაში იყო საქმე? — განმეორებით
იკითხა ქალმა.

„მორჩა, დაიღუბა ყველაფერი, ალა-
რაფერი გამოვა...“

— ჰო, მაშინ რაღაც ვრძნობა მამოძ-
რავებდა მისადმი, — უპასუხა ერმილომ.

— მაშინ გამოძრავებდით და ახლა
არა?... აბა, თუ მასეა, ჩემს ქალიშვილს
ამ ასანთის ღერად არ უღიზარ, — და
ქალმა კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო.

— კარგი ქალბატონო... თავს მივანე-

ბებ. — ძლივს ამოიღულღულა ნირწამს-
დარმა ერმილომ, მერე კალამი აიღო და
თავისდაუნებურად, როგორც ნაწვევი
იყო, ქაღალდზე ლას წერა დიწყო, —
ლეილას პირველი ასოსი. ამას სრულიად
ინსტინქტურად აკეთებდა. ქალი და კაცი
გაკვირვებულნი მისჩერებოდნენ. მაგრამ
ერმილო აზრადაც არ მოდიოდა, ზედი-
ზედ სწერდა ლეილას პირველ ასოებს.

— პატიოსანი კაცი დასაფასებელია,
პატიოსნები ცოტანი არიან საზოგადოე-
ბაში — თქვა ისევ ქალმა, მერე ბუხუ-
ტის გადახედა, ბუხუტიმ დაამთქნარა
და თავი დაუქნია.

— პატიოსანს არავინ აფასებს, — ჩაი-
ლაპარაკა ერმილომ.

— როგორ გეკადრებათ! — შეიცხადა
ქალმა.

— როგორ გეკადრებათ! — ჩახლეჩი-
ლი ხმით დაუდასტურა ბუხუტიმაც.

— ეს არის ყველაფერი? — ერმილოს
ალარ გაუგრძელებია, უბრალოდ ხელი
ჩაიქნია, ამით დაამთავრა სათქმელი.

დუმილი ჩამოვარდა. ერმილო თავჩა-
ლუნული იჭდა და კვლავ გულდაგულ
გამოჰყავდა ასო ლ. მერე აზრად, რასაც
აკეთებდა და ქაღალდის დამალვა დააპი-
რა, მაგრამ ეს უფრო უხერხულად ჩათ-
ვალა და ზედ ხელი დააფარა.

ელექტროქუთრაზე ჩაიდანით შემომდ-
გარი წყალი დულდა, ჩაიდანის სახურავი
მალა-მალა ხტოდა და გულის გამაწ-
ყალბლად გაჰქონდა რაკენი. დაბნეულ,
დამცირებულ ერმილოს ელექტროქუ-
რის გამორთულ ვერ მოეხერხებინა.

— მითხარით, ხომ ალარ მისწერთ წე-
რილებს? — ისევ ჰკითხა ქალმა.

„შინც ყველაფერი ჩაიფუშა...“

— არა, არ მივწერ — უპასუხა ერმი-
ლომ.

— ასე. შენ პატიოსანი კაცი ხარ, შეგ-
ნებული და მაგეთ რამეს, რა თქმა უნდა,
არ იკადრებ. არც მაშინ უნდა გეკადრი-
ბინა.

— იქნებ ისე ვაძლევა არ შენეძ-
ლო? — გამოტყდა ერმილო.

— მერე?! მოსულიყავი ჩვენთან,
უნემოდ ის ვერაფერს ვაღაწყვტს...

ახლა კი, რა თქმა უნდა, გვიან არის, ეგ საქმე არ მოხდება, მაგაზე ნულარ იფიქრებ. შენ შენი შესაფერისი უნდა ნახო...

ერმილომ მოულოდნელად თვალი დააღვა თავის ნაწერს, ის-ის იყო, სცენარის ბოლო გვერდს ამოაერებდა. და ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა, წუთიერად დაბნეული, გათქერილი ერმილო ერთბაშად აღზევდა, ის, რაც მან ცოტახნით დაკარგა, ისევ დაიბრუნა. დაიბრუნა ძველი სიამაყე, თვალწინ დაუდგა გაციისკროვნებული დიადი მომავალი და იცნო თავი თვისი, იგი დინჯად წამოიღა სკამიდან.

— ბოლოსდაბოლოს, ვინა მყავს თქვენი ქალიშვილი, ეგლა მაცლია მაგისტანებზე ვიფიქრო, მაგისტოსის სად მცალია, მე ჩემი საქმე მაქვს...

ბუხუტიმ, თითქოს ძილ-ბურჯანიდან გამოერკვაო, თავი წამოწია და ჩაახველა.

ქალი წამოიღა, წამოიღა ბუხუტიც.

— კი, ბატონო, იყავი შენთვის, სწერე და ინახე — თქვა ქალმა და ისევ იმ ქალღალდს დააჩერდა, რომელზედაც ჩამწე-

რივებული იყო ასო ლ. — გისურვებთ ახალი ბინის მიღებას და წარმატებას!

ქალი და კაცი ოთახიდან გავიდნენ. გარეთ გასული ბუხუტი ისევ შემობრუნდა.

— კარგად იყავი, ძმაკაც!

მაგრამ ერმილოს ხმა არ გაუცია. მან კარები ისევ ჩაკეტა. მერე ელექტროქურა გამოთიშა და ტახტზე წამოწვა.

„მეშინები — ფიქრობდა ის — ყველაფერს დღევანდელი ცხოვრებით ზომავენ, ან რაში მჭირდებოდა, სად მეცალია ახლა სამაგისტოსო, ათასი საქმე მაქვს გასაყვთებელი...“

წევს ტახტზე ერმილო და თვალწინ უდგას დიდებით გაციისკროვნებული ზვალინდელი დღე, შორს აღარ არის ის დრო, როცა მისი სახელი პირზე ეყერება ყველას, სახელიც ექნება და სიმდიდრეც, მაშინ მიხვდებიან ურწმუნონი, რომ ცოტა წინაც უნდა გაიხედონ. მაშინ ყველა სიამოვნებით მიეტმასნება ერმილოს, გაწყობილ სუფრას ყველა ხალხით მიუჯდება...

და ზვალინდელი დღის იმედით ისევ აღივსო და განდიადდა ერმილო.





მ ქ რ მ ს პ ა რ ღ ი

ბურბუხელის ქვაკვლიანი

მწერლურ შრომაში გამოვლილ გზას როცა ვაგვიტყობს, ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: როდის ამოყოლია ამ გზამ? რამ ამაღლებინა პირველად კალამი, სიცოცხლის უქანსაყნელ დღემდე ხელთ რომ უნდა შევტყუას?

ჩნელად მოსაგონი ამბავია. ეტყობა, მწერლურა ტინი, როგორც სულიერა მდგომარეობა, იდამიანში გაცილებით ადრე ჩნდება, ვიდრე ის დანატარ-დანატარ ჭაღალდს აპტრელებდეს. ვერ კიდევ ყრმობის ეას ჩნდება ან, იქნებ, ბავშვობაშიც.

სიყმაწვილეში სულ სხვანაირს ვხედავთ სამყაროს, ვიდრე მოწიფულობის წლებში. პატარაობაში მზე უფრო მცხუნვარეა, ყანასაც უფრო შვენიის მზეკაბანი, შხამუნა წვიმას მეტი ეშხი აქვს, ეას მეტი შუქი, და ვინდა, რომ უოველ ადამიანს სულში ჩაუტყრე.

ყმაწვილს უოველი მოზრდილი ცოტაოდენ იღუმალ არსებად ერგვება — ვინდ ღურგალი იყოს, რომლის ხელსაწყოებს ბურბუხელის სენი დაქრავს, ვინდ მეცნიერი, ხელად რომ გეტყვის რატომ არის ბალახი შვეწანე ფერისა.

სიცოცხლის, ჩვენი ვარემომცველი ცხოვრების პოეტური აღქმა — იშუათი მადლია, ბავშვობის დროიდან გამოყოფილი.

ამ მადლს ეკვი ყამთა სულში თუ არ დამკარავებს, ის ან შვოსანია, ანდა შწერალი. ბოლოს-და-ბოლოს, მგოსანსა და მწერალს შუადიდი ზღვარი არა დევს.

ცხოვრების შეგრძნება როგორც უწყვეტი სიხალისა — აი მოხიერი ნიადაგი, უშათიან ხელოვნების რომ ასაზრდოებს.

ვიმნაზიელი რომ ვიყავი, ცხადია, ლექსებს ვწერდი, თანაც იმდენს, რომ ერთ თვეში სქელ საერთო რვეულს თავიდან ბოლომდე აეპტრელებოდა ხოლმე.

ლექსები არაფრად არ ვარგოდა — მეტისმეტად იყო გაპარანტული, თუმცა, როგორც მაშინ შეჩვენებოდა, სიღამაზე არ აკლდათ.

ახლა აღარც მახსოვს ის ლექსები. მხოლოდ ეალეველ სტროფებს თუ ვიგონებ ამ, შავალითად, ერთი სტროფი:

ქილი გუფერთხა ჩაქინდრულ ყვეილს!
მინდორში წვიმა წამოვა ავი,
მზე ჩავა ჩემად, ჩაქრება ალი,
და ყვითელ ფითლებს წაიღებს ჭარა...

სულ უფრო ბრტყელ-ბრტყელი, ვატყარ-ქული სიტყვების ზედახორას ვაყენებდი: და რისხვასავით ბრწყინავს ნაღველი. წინარ დღეებს ვფერცლავ; ვეჭვბ საადის...

რატომ ბრწყინავს ნაღველი „რისხვასავით“ — ამას ვერც მაშინ აგხსნიდი და არც ახლა არ მესმის. გამიტაცებდა სიტყვის ეღერა და ეკიყო, აზრს არ ეუკვირდებოდა!

უფრო მეტად ზღვაზე ვწერდი ლექსებს. ზღვა კი რა იყო, არც ვიცოდი.

იმ ლექსებში ლავივებდა არა რომელიმე ნამდვილი ზღვა, ეთქვათ, შავი, ბალტიის ან ხმელთაშუა, არამედ „ზღვა საერთოდ“. ის ზღვა შეიცავდა ყოველნაირ ფერს, საყსე იყო რომანტიკით, ცხოვრებას, დროსა და რეალურ ვეოგრაფიულ სივრცეს მოწვევითი, აფრებამეებელი რომანტიკით.

ის იყო აქეთებული, ხალისის მომგვრელი ზღვა — ფრთიანი ხომალდებისა და მამაკე ზღვაოსნების სამშობლო, რომლის ნაპირებზე ზურმუხტისფრად ენთო შუქურები, ნავსადგურებში უზრუნველი ცხოვრება დღდდა. მზეთუნახავი შეგვრემანი ქალბო ავტორის ნებისამებარ ავ ენებებს შეევეტო.

გადიოდენ წლები და ჩემს ლექსებში თანდათან კლებულობდა პრელა-ქრელა სტრიქონები. ნელ-ნელა ეგზოტიკასაც ეღებოდა ბოლო. თუმცა, მართალია რომ ითქვას, სიყმაწვილის წლები ვერასოდეს ვგერდს ვერ აუღლიან ეგზოტიკას, ვინდ ტროპიკული ქვეყნების ეგზოტიკა იყოს და ვინდ სამოქალაქო ომისა.

ბავშვობაში ეის არ შემოურტყამს ალყა ციხე-კომშებისათვის, ვინ არ დღღუბულა აფ-

რადაგლეჯილ გემზე მაგლანის სრუტესთან თუ ახალი ზელანდიის ნაპირებთან, ვის არ უქროლია ჩაბაყვის ფორნით იმიერურალის ტრამპულუმში, ვის არ უძებნია ის განძი, სტუდენტონმა ესოდენ მარჯვედ რომ გადაშალა საიდუმლო კენძულზე, ვის არ სწენია ზორიოდინოს ბრძოლაში აფრიალებული დროშების შრიალი ან ვის არ გაუწოდებია დახმარების ხელი ინდოსტანის გაუვალ ტყეებში მოხეტიალე მთვლისათვის? ეგზოტიკა არაჩვეულებრივობის იმ წილ-კერძს ანიჭებს ცხოვრებას, რაც პატივით აუცილებელია ყოველი ნორჩი და ცნობისმოყვარე ძე ხორციელისათვის.

დიდრო მართალი იყო, როცა ამბობდა, ხელოვნება ის არის, რომ არაჩვეულებრივი იპოვნო ჩვეულებრივი და ჩვეულებრივი — არაჩვეულებრივივით.

არა, სრულებით არა ენანობ, ბავშვობაში ნეტავ რათ ვიყავი ეგზოტიკით გატაცებული-მეთქი.

ეს გატაცება, ცხადია, ერთბაშად არ გამჭრიალა, დადბანს ვასძლო, როგორც ბაღში იასამინის მძაფრმა სუნმა. წარმოდგენა გარდაქმნილს, გადასხვაფერებულს დამიყენებდა ხოლმე თვალწინ კიევეს, ზემო ხუთი თითივით რომ ვიყოდი და ახლა, ცოტა არ იყოს, უკვე მობუზრებული მქონდა. კიევის ბაღებში დაისის ოქრო ვნით. დენარს გადადამ წამლაუწმი ელეა ბზარავდა წყვილადს. მეჩვენებოდა, რომ იქ იყო უცნობი ქვეყანა, ქვეაქმილით დასერილი და ნოტიო, ქარს აყოლილი ფოთლების შრიალით სავსე.

გაზაფხული ბღეჯა-ბღეჯა აყრიდა ქალაქს წითლად დაწინწკლულ მოყვითლო წაბლის ყვავილებს. ყვავილო იმდენი იყარა ყველგან, რომ გზაჩაკეტილი წვიმის წყალი ერთ ადგილას გუზდებოდა და ზოგიერთი ქუჩა პაწაწინა ტბას ჰგავდა.

კიევის ნაიდრალ ცა ხელად მოკრიალებობდა, როგორც მთვარის ქვით ნაგები თალი.

პირველი მოთხრობა

მდინარე პრიპიატით გემს ჩერნობილიდან კიევიში მივყვებოდი. ზაფხული ჩერნობილის მოკრიახლო გავატარე, გადამდგარი გენერლის ლეკოვიჩის გავერანებულ ადგილ-ამბულში. ჩვენი კლასის დამრიგებელმა შინამასწავლებელად მომამწყო ლეკოვიჩის ოჯახში. გენერლის ოტროველა ბიჭი ორი სამუშაოდგომო გამოცდისათვის უნდა მომემზადებინა.

შემატონის ძველი სახლი დაბლობში იდგა. საღამოობით ირგვლივ ცივი ნისლი ჩამოწვებოდა ხოლმე. ახლო-მახლო ქაობებში ბაყაყები ყოყნიით თავებს იხოცავდნენ, პაქრო წყლის იგლის სუნით იყო გაქლენილი.

საღამო ხანს აივანზე ჩაას რომ მიირთმევდნენ,

და უცაბედად ერთი ლექია წამომავრუნებოდა გაზაფხულია. იდუმალ ბალანს **КРИВЕНУЛ** მიმოუხატავს ქვეყნიურება **ЗЕМЛЕУПРІТОН** ნაზი ხარ, ნაზი. მიცავ და მფარავ. შენით მოველი ბედნიერებას.

ამ დროსთან არის დაევეშორებული ჩემი პირველი ტრფობა — ის საოცარი განწყობილება, როცა თითქმის ყველა ცირა მწვენიური მუნვევებოდა, სადაც არ უნდა ეყოფილიყავი, — ქუჩა იქნებოდა, ბალი თუ ტრამვაი, ქალიშვილი რომ ჩამივლოდა, თვალს უნდა გამეყოლებინა. 'ყველაფერს ვგრძნობდი, ვამჩნევდი, არაფერი არ გამომეპარებოდა, არც მორცხვი, მაგრამ ყურადღებიანი მზერა, არც თმის სურნელი, არც ბოლოვით თეთრი კბილების ელვაირება, არც ქარსაგან ოდნავ გამიშვლულ ბაჭარა მუხლისთავი, არც თითები, ცივად რომ მეხებოდნენ. ყველაფერი მხოლოდ ერთს მახსენებდა — ადრე თუ გვიან სიყვარულის მორევში უნდა მოვქცეულიყავი. მჭეროდა, ეჭვი არ მებარებოდა. მიწილიდა, რომ ასე მეფიქრა, და ვფიქრობდი კიდევ.

რამდენ ვინმესაც თვალს გავაყოლებდი, იმდენაქვრ ამოუცნობი რომ ნალევლი შემეპყრობოდა.

ლექსების წერასა და ბუნდოვან მღელვარებაში გაიარა ჩემი ხელმოყლე და, კაცმა რომ თქვას, საკმაოდ მწარე ყმაწვილკაცობის უმეტესმა ნაწილმა.

მალე ლექსების წერას თავი მივანებე. მივხვდი, რომ რასაც ვწერდი — ზიზილ-პიბილა, კარგად შეფერადებული ბურბუშელის ყვავილი და მოჭოქროვილი კილატა იყო.

ლექსების მაგიერ ერთხელ პარველი მოთხრობა დაწვერე. ამ მოთხრობას თავისი ისტორია ჰქონდა. ამას შემდეგ თავში მოვითხრობთ.

გენერლის ანც ბიჭებს თან გვერდით თოფები ეწყის და წარამარა გარეულ იხვებს ესრიაუნენ.

თვითონ ლეკოვიჩი — ჩირკივით ჩადგმულა, ქალაქულენამიანი, ღრძო, შეუთვალვადმოკარკლული კაცი — მთელი დღე აივანზე იჯდა რბილ სავარძელში; და ასთმისაგან სული ეხუთებოდა. ხანდახან ხრინწიანი ხმით აყურდებოდა:

— ოჯახი კი არა, უსაქმურების ხროვა ხართ! დუქანში ვარ, დუქანში! ყველას წარდაბაში გუკრავთ თავს! თითვე გადისახვევს არაფერს დაგიტოვებთ! მაგრამ ძველი გენერლის ხრინწიან ყვირილს

აინუნშიაც არ ავლებდნენ. მამულსა და სახლს „მადამ ლეკოვიჩი“ განაკებდა, თავშენახული, კოხტაროჟი და ძალზე წუწურაქი ქალი, მთელ ზღვრულ კოხტეტემოპერტილი რომ ატარებდა.

გარდა ცუდღელა ზივებისა, ლეკოვიჩის ოცოდე წლის ქალიშვილი ჰყავდა. გოგონას „ქანა დარჩა“ ეძახდნენ. დილიდან საღამომდე წახლა ელაცს დაჰქენებდა ვაჟურად ამხედრებულ, ჭლი კი არა, ჭეჩიო, იტყოდით.

გივივით ჰქონდა ამოჩემებული ერთი სიტყვა — „მეზობლებო“, და ვისაც არ უნდა შეხვედროდა, ყველას ამას ეუბნებოდა.

პირველად რომ გამანესს, მაშინაც ცხენზე იჯდა, ერთი შემოხვებდა თუ არა, მეზობლებო, მომასხა.

სული კბილით მკვირია, სინამ ამ თავგასულ ხალხს გავეცლებოდა, და, იცით, რა შვება უკარჩენი, რაღა ერთბელაც ფორანში ფარდაგადაფრებულ თივაზე მოვირთხი ფეხი, შეეძლე „ეგნატე ლოილამ“ (ლეკოვიჩები ყველას რამე ისტორიულ სახელს ატყევენდნენ), ჩვეულუბრივად კი ეგნატემ, სადავე რომ მოსწია, და წელს დავიპარით ჩიწრობილისაკენ.

როგორც კი ალაყაფის კართდან გვევლით და იმ კამბილამს გავცდით, წერილიანში ჩაბედებულმა მღუმარებამ წაგვიღო.

ჩერნობილში მხოლოდ შხის ჩასვლისას ჩავაღწიეთ და ღამის გასათევად ფუნდუკში დავდევით. ხმაალდი იგვიანებდა.

ის ფუნდუკი ერთი ხანშიშესელი ებრაელისა იყო, გვარად კუშერისა.

კუშერმა პატარა დარბაზისმადგარ ოთახში შემოყვანა დასაძინებლად. ოთახის კედლები საყვ იყო წინაპართა პორტრეტებით — ბერიკაცებს ჭალარა წვერი ჰქონდათ და აბრეშუმის არახინებში ეხურათ, პარატიან დედაკაცებს კი შავი ჰაქმანიანი შალუბი წამოესხათ.

სამზარეულოდან, სადაც ჭრაქი ენთო, ნავთის სუნი გამოდიოდა. ბუმბულის გაფუხებულ ლოგინში ჩაეწეკი თუ არა, ბაღლინჯო დამეხვა.

რა გამაჩრებდა, წამოგზტი, ტანთ გადავიცვი და ვართუ გამოვედი. სახლი მდინარის შორიახლო იდგა. პრიპიატი უსიციხლოდ კროლდა. ნაპირზე ხორა-ხორა ეყარა ფიკრები.

პარშალზე რომ სვამი იდგა, იქ ჩამოვკეკი და გინაზიური ფარაჯის საყვლო ავიწიე. ცოცხლ მე იყო. ტანში მაგრეკოლებდა.

პარშალს კიბეზე ორი უცნობი კაცი იქდისინებულში კარგად ვერ ფარჩავდი. ერთი წყობს ახრჩოლებდა. მეორეს თავი მუხლებში ჩაერგო და თითქოს ეხინა. ეზოდან ეგნატე ლოილას გამბული ზერინვა ისმოდა, — ეგნატე თივაზე იწვა ფორანმა. რა ბედნიერა-მეტიჰ შეენატრადი.

— ბაღლინჯოებმა შეკვამეს? — ხმაალდა შეშვითხმა ის კაცი, წყობს რომ ახრჩოლებდა. ხშირ დიანსი. ამ ტანმოჩრილ, პირქვე ებრა-

ელს შიშველ ფეხებზე კალოშები ეცემა. მე დავგნატე ლოილა რომ ჩამოვედით, კუშერმა მან გაველო და ვისამრჯელოდ დი კადია გვითხრევა. ჭიბეში ორმართიანი ჩაეღღე. კუშერმა თივარი მოკრა ამ ამზავს და ფინჯრიდან დაუკვირო:

— ვაჟთრიე მანდედან, შე შარვალგამობული რამდენჯერ უნდა გითხრა!

მავრამ კალოშებიან კაცს კუშერისკენ არც მიუხვებავს. თივალი ჩამიკრა და მითხრა:

— ვაგონე? ყოველი სხვისი ორმართიანი ძილს უფრთხობს. ახ ნახე, თუ შავ სხარბეს-არ გადასყვეს, კარვად დახსომე ჩემი სიტყვი! კუშერს რომ ვკითხე, ეგ კაცი ვინ არის-მეთქი, უნდომანდოდ მიპასუხა:

— იოსკას ეძახიანი ვინ იქნება, ვადარეული-სერთია. მესმის, ძნელია, კაცს თუ გვიტოს, მავრამ აღამიანის პატივისცემა მიიწე არ უნდა დი-კარგო. შეეფ დავითიჰ რო იყო, არ უნდა გაიმღინწო.

— იმ ბაღლინჯოებისათვის, — მითხრა იოსკამ და, ნდვაში რომ დაარტყა, ლოყებზე გაუგამი შეეამჩნიე, — ერთ-ორ გროსს კიდევ დომეტზე კუშერს, ეგრება, კაცი რომ გამდიდრების-მოიხდომებს, აღარაფერს არ ეროდება.

— იოსკა! — უცაბედად გულბრძოდ წამოიძახა წაქუხულმა კაცმა. — რა გინდოდა, რატომ დაღუბე ქრისტინე? მეორე წელია ძილად არაა მავქს...

— ჰუეა ხომ არ წაგვრთვია, ნიკიფორე, ეგრეთებს რე ლამარაკობ! — ბრაზიანად შეეყვირა იოსკამ. — მე დავღუბე? წადი ამ შენს წიხიდა მამა მიხედილან და ჰკითხე, ვინ დაღუბათო. თუ ვინდა, სუხარენოსთანაც მიდი.

— ვაი ჩემს თავს უბედურს! — სასოწარ-ვეითი ამოავიძინა ნიკიფორემ. — ჩემი მზე აღარ ამოვა, მოსაკლავად მავქს საქმე.

— გეყოფა! — შეუყვირა იოსკამ.

— ტირილის ნებასაც აღარ მაძლევენ, ხალხი! — თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკიფორემ. — კიევში წაველ, მიტროპოლიტამდე ვივლი. არ მოვეშვები, სინამ არ შემიწყალებენ.

— გეყოფა! — გაუმფრია იოსკამ. — ის გოგო სოცოცხლს მერწინა, ლამარაკობ რა!

ამის თქმა და ასლუკუნება ერთი იყო. უციხედად ველი ამოეჯდა; ტირილი მორთო.

— იტრე, რეგვენო, — შშვიდად უთხრა ნიკიფორემ. თითქოს მოსწონდა კიდეც, რომ მტრალს ზედავიდა. — უკუდო ამპარტაენი ხარ, ი გოგოს რე არა ჰყვარებოდი, ამდენ ხანს არც გაცოცხლებდი. ქანდაბას, თუ წიფიწყმიდებოდი.

— მოჩი! — შეკვირა იოსკამ. — მოკალო, რაღას უყურებ! ჩემი ადგილი მიწაშია.

— ბრუევი იყავი და ბრიუვად დარჩი, — ნაღვლიანად უბასუხა ნიკიფორემ. — აი ჩემოებრუნდები კიევდან და მოგივლი. შეყო-

რაც გული მომიწამლე. როდემდე ვიყო ამ დღე-ში!

— სახლი ვის დაუტოვე! — პეთხა იოსკამ და თან ცრემლი შეიშრაღა.

— არავის. კარ-ფანჯარა ავეყვე და წამოვე-ღი! ის სახლი ახლა ისე მინდა, როგორც მი-ვაღებულს — ბურნეთო.

ყველაფერი შესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერა ვამეგო რა. პრინციპს ნისლი ჩა-მოაწვა. სველი ფიცრები წამლის სუნად ყარდა-აქა-იქ ძაღლები იყეფებოდნენ.

— ვიცოდე მინც, როდის მოვა ის ოხერი ეშმაკის ტაშტი, გეგია თუ რალაც ოხრობა! — სველანად თქვა ნიკიფორემ. — ცოტ-ცოტას გადავკრავდი, იოსკა. გულზე მოგვეყვებოდა. ვამბობ, თორემ ის ცოტა გადასახეცი რა არა გვაქვს!

ფარჯაში მალე ჩავთბი, კედელს მივეყრდნე და წაეთვლიე.

ღილით გემი არ ჩამოდგარა. კუშერმა თქვა, ნისლში ვგრა იცი, სადმე დაიღამებდა. ისა-ღელევებელი არაფერია — ის გემი ჩერნობილ-ში მინც რამდენიმე საათს იღებოდა.

ვაერი ჩაზე ამოვიყარე — აღარ მახსოვს, რამდენი ჭიქა დავლე. ეგნატე ლოილა წაიღა. ერთ ადგილას ჭლომა მომეწყინა და დაბაში გავდი საფალიად. მთავარ ქუჩაზე ღვწნები ჩა-ეშქრივებინათ. იქიდან დამაროლებული ქაშა-ყისა და საჩუცი საპნის სუნი მცემდა. სადალა-ქო კარებში აყუდებული კორჯლიანი დალაქი მხესტშიზას აცნატუნებდა.

სხვა რა საქმე მქონდა, შევედი, წყერს-შინც გაეპარასაუ-შეთქი. დალაქმა ერთი შემომხენე-შა, ცივი ჭაფით გამეჯღისა და, სოფელ ადგილის სადალაქოებში რომ იციან, ჩვეულებსამებრ თაყაზიანად დამიწყო გამოყოთხვა — ვინა ხარ, აქ რომელმა ქარმა ვადმოვაგდლო.

უცებ ფანჯარასთან სტეენითა და ერთამულთ ბიჭებმა ჩაიბრინეს, და იოსკას ნაცნობი ხმაც შემომქნა:

არა, ძილს არ დაუფრთხობ
ჩემი გულის სიხარულს.

— ლაზარე! — ქალის ხმა მოისმა აფიცრუ-ლიდან. — მალე, ურდული დაადე კარს! კიდევ დამთურალა იოსკა. რა უბედურებაა, ღმერთო ჩემო!

დალაქმა კარს ურდული გაუჭარა და ფარდა ჩამოსწია.

— როგორც კი სადალაქოში ვინმეს დაინ-ახავს, — ზენეით ამიხსნა ლაზარემ, — აუცი-ლებლად უნდა შემოვიდეს. ვისა აქვს შავის ცკვეის ან სიმღერისა და ტირილის თავი.

რა დაემართა-შეთქი, ვითხე.
მაგრამ დალაქმა პასუხის გაცემა ვერ მოას-წრო. აფიცრულიდან თმაგაჩეხილი, სახეგაოცე-ბული ძაღვარდა ქალი გამოვიდა.

— აბა, ყური დამიგდე, კლენტო? — თქვა ქალმა. — ვერ ერთი, გამარჯობათ! მეორე ის არის, რომ ლაზარე ევრატრის თქმას ვერ მო-ისაზრებს. კაცებს არ შევიძლიათ ვულის დარღ-ვაუვით ქალს. რა?! თავს ნუ იქნევ, ლაზარე! ყური დამიგდე და კარგად ჩაუფიქრდით, რა-საც ვეტყვით. ქალიშვილი ქალი ყოფიხეთმ-ცა შევა საყვარულის გულისათვის.

— მინა, — დალაქმა ხმას აუწია, — ენა ნუ ამოიღვი.

იოსკას ხმა უკვე შორიდან მოისმოდა:

როცა ჩამდებთ სამარეში,
გულზე მიწას დამაყრით,
ჩამატანეთ, თან წაიღო
ცოტა მწარე არავი.

— ვაი ამ მოსწრებმა! — თქვა მინამ. — უბედური იოსკა! საწყალი ბიჭი ფარშალი უნ-და გამხდარიყო, კიეცში აპარებდა სწავლას. მაგის დედისნაირი კეთილი ქალი მთელ ჩერნო-ბილში არ იყო. მადლობა ღმერთს, რომ ახ-სიტხეილს არც შეესწრთ. აბა, წარმოიღვიენ-კლენტო, ჩანთარად უნდა ეფარდეს ქალს კა-ცი, რომ იმის გულისათვის საყვდილსაც ვი არ მოვიდიოს!

— რა აქიციკიდი, მინა! — შეუფერია და-ლაქმა. — მუსტარმა რა იცის, რას ლაპარაკობ!

— აქ ბაზრობა იმართებოდა ხოლმე, — და-იწყო მინამ. — ერთბელ ამ ბაზრობაზე კარ-პალოკელი ქვრივი მერტყევე ნიკიფორე ჩამოვი-და თავისი დედისეკათა ტრისტინეთი. მართლა-ერთ რამდე ღირდა იმ გოგოს ნახვა! გონებმა დაგვაკრავიწყებდა, ისეთი იყო! აი ის ცა რომ არი, იმფერი თვალები მქონდა, თმაში კი თითო-ქონ ოქრო ერია. სინაზეს ხო ნუღარ იტყვი! ტანწერილი გოგო იყო, არ ვიცი, როგორ გე-თხნას თვალი მოქერა თუ არა, ტყუა დეკარვა საცოდავმა ბიჭმა. შეუფერადა. იოსკა იოსკას აღარა ჰგავდა. მართალი რომ ვითხრა, არც ვა-ყვირებოდა. ნიკიფორეს ქალი მეფსაც კი თავს დაეფიწყებდა. საყვირველ ის არის, რომ გოგო-საც შეუფერადა ბიჭი. ხო ნახე რაც არის? ცო-ტა ახერხარი ვინმეა, ჭერა, ვი არ ლაპარაკობსა წრიაინებს. ერთი სიტყვით, ჭრახტუნე მამას ვა-მოექცა და იოსკას დაუჭდა სახლში. ნეტავი გაიწევა შიან რა სახლამ თავი კუდს ვერ მო-იქნევს, სამნი რას დაუტეოდნენ. ერთი კი-ა სულ კრიალი გაქმონდა ყველაფერს, ერბო აკე-რილებოდა. იტყვი, მეფის ასულიაო, პესიამ ისე. მიიღო რძალი იოსკა სახეგაბადრული დაღიო-და. ცოლად კი ვსეა ის გოგო, მაგრამ ეზრავლს აბა გვარს ვინ დასწყრდა ტრისტინან? მთელ ჩერნობილს დადღადან გაქმონდა. მივიდა იოს-კა ეკლესიაში და შამს მიბეილს შეევედრა, მომ-ნაოლო. წმინდა შამსს მეყხედ ეთქვა: სინამ! ტრისტინან გოგოს ჩაეხუტებოდი, ვერ უნდა მო-ნათლულიყავიო. ჩამან ვგერე ტენი, თუ შიტ-

რომელიც ნებას არ დაძრთავს, იერუსალიმელ აზნაურს მიიხიზს ვერ მოეცემა. იოსკას მწარე სიტყვა ეთქვა და გაშოსკოდა. მაშინ ჩვენი რაბინი ჩაერია საქმეში. რაკი ვაგო, იოსკა მანათელას აბირებსო, სინაგოგაში საქვეყნოდ შეაჩვენა. ახლა ნიკიფორეც ჩამოვიდა, მუხლებში ჩაუფარდა თავის გოგოს, ან მომავალი, ან შინ წამოდიო. ქრისტიანე ციე უარზე დადგა, ტირილით კი ბევრი იტრია, მაგრამ არ გაუყვა. ეტყობა, პატარა ბიჭებიც ფეხის ხმას ახყვენ. როგორც კი ქრისტიანეს დანახაიდნენ, აუცილებლად მიაძახებდნენ: „მაქერმა შეტლის ტყვილი იცის, ქრისტიანე ტარეფას არ მიირთმევ?“ ჭრხში ვერ გაველო სწყალს, ხალხი თვალშით სვამდა, ხანაც ზოგიერთი ნების გუნდასაც კი ესრთდა, შენერსამოფარებულს. პესოს სახლი კუბრით შეთხუპნეს, წარმოიდგინე?

— ვიარა ქალი იყო! — ამოიხრა დალაქმა.

— დამაცადე, რა პირში მწედები! — შეუყვირა მანამ. — დეიდა პესოს რაბინმა დაუძახა და უთხრა: „ეგ რა საყადრისია, პესია, შენს ოჯახში სიძვის მოაკიდებინე ფეხი. მეტი რაღა უნდა ქნათ, წესი და ადამი აბუჩად აივდეთ. გწყველო და დეე იღოვამ შეგაჩვენოს, ვარა-შაყებულო დედაკაო, ნუთუ შენი ჭლარა მანაც არ გეცოდებოა“. მერე იცი რა პასუხი ვასცა პესიამ! შენ რაბინი კი არა, ჩაფარი უოფილბარო. რა შენი საქმეა, თუ ახალგაზრდებს ერთ-მანეთს უყვართ, მაგ ქონიან თათებს რასა სჩრიო. შიადერთახა თურმე და წამოვიდა. მაშინ რაბინმა ისიც შეაჩვენა სინაგოგაში. აი რა დღეში აგდებენ აქ ადამიანის შვილს. არ გინდა, ნურავის ნუ ეტყვი. მთელ ამ არე-მარეს მაგის მეტი არც საქმე ქონდა და არც სალა-ბარაკო. ერთხელაც იოსკას და ქრისტიანეს თვითონ სამართო პოლიციის უფროსმა სუხარენკომ დაუძახა და უთხრა: „შენ, იოსკა, ჩვენი ბერძნულ-რუსული ეკლესიის მამის მღვდელ მოხელის შეურაცხყოფასა და შებღიწვისათვის ვერ სამართალში უნდა მივცე და მერე კატორღაში ვიკარე თავს. ქრისტიანე კი ძალით მივგერი თვის შიშს. სამი დღე მომიცია მოსადიქრებლად. მთელი მარხა ამომხდრეთ და ამოლაპარაკეთ. ფქვენი გულისათვის ბატონ გუმბერ-ნატოჩისაგან, ვიცო, მათრახი არ ამცდებოა“.

სუხარენკომ ხელდა ვირის აბანოში ამოაყოფინა თავი იოსკას, — მერე ეთქვა, ცოტა უნდა შეგმინებინაო. ამ ამბავს რა მოჰყვა, არ იკითხავ? არ დაიჯერებ, მაგრამ მაინც გეტყვი — ქრისტიანე დარღმა გადაიყოლა. ჩამოდნა საყო-დავი. კარგა ხანს ცრემლად იღვრებოდა, მერე ცრემლიც გაუშრა და თვალში ამოუღებდა, საქმელს გემოთაც აღარ ნახულობდა. მარტო ერთს ითხოვდა, იოსკა მაინვიეთო. სასამართლოს წინა დამათ კი დამეა და ადარ გაუღებოძია, რამ ჩაუგდო გულში იოსკას სიყვარული სპ-ცოდავს? ვანა ხალხი დილია დუნიაზე? სუხა-

რენკომ მაშინვე გამოუშვა იოსკა, მაგრამ რად გინდა, რა ჰქუაშეგაქებულმა იმ დღიდან სმასა და მათხოვრობას მიჰყო ხელს.

— მაგის ადგილს თავს აღარ უცოცხლებდი? — ჩაოლაპარაკა დალაქმა. — ტყვიას ვიკრავდი შებღში.

— ვიცო თქვენი გულადობის ამბავი! — შეპყვირა მანამ. — საქმე საქმეზე რა მიდგება, ისევე სიცოცხლეს არჩევთ. თქვენ რა იცით, რა ცეცხლს უკიდებს სიყვარული ქალის გულს.

— გული გეღია, ვინდა ქალის იყოს, ვინდა კაცისა, — შეეპასუხა დალაქმა და მხრები აიკრია, — რა ბედენაა!

სადლაქოდან პირდაპირ ფუნდემში წავედი. იქ აღარც იოსკა იყო და აღარც ნიკიფორე. გაცრეცილოლეტიანი კემშირი ფანჯარასთან მიმჭლარაყო და ჩაის მიირთმევდა. ოთახში ბზუილი გაქრონდით გატიყნულ ბუხებს.

პატარა გემი მხოლოდ სადამო ხანს ჩამოვდა. ჩერნობილში დაღამებამდე იდგა, ადგილი საი-ლონში მიმიჩინეს, ერთ მუშაშიამოფხტრეწილ საფარძელზე.

დამით ისევე ჩამოწვა ნასლი. გემი ზედ ნაპირს მიაწყდა. ადგილიდან არ დაძრულა, ვიღრე დი-ლით ნოსლი არ გაიფანტა. ნიკიფორეც ვერც გემზე ვიპოვნე. აღმათ იოსკასთან ერთად სვამდა სადმე.

ჩერნობილის ამბები ასე დაწერილებით იმ-ტომ მოვეყვი, რომ კიევში დავბრუნდი თუ არა, რაც კი რამ ძველი ლექსებით სავსე რუკულები მქონდა, ყველაფერი დაწვი. შეუბრალებლად დეცქეროდი, როგორ იფერფლებოდნენ ნატი-ფი სტრაქონები და საუბდამოდ იღუმებოდნენ „პროლა-მინანქრები“, „საფორთხის ცანი“, სამი-კიტნოები და ცეცხლოვანი შროკავი ესანელი ბონა ქალები.

ერთბაშიდ გამოფხიზლდი. სიყვარულს თურ-მე შიოს შრომასს კი არა, ნების გუნდას ეს-როდნენ, გულს უკლედნენ სიყვარულით დამ-წვარა თვალმშენიერ ქალს.

ამ ფიქრში ვიყავი, რომ გადაწყვეტიტე დამე-წვრა პირველი, როგორც მაშინ ეამბობდი. „ნამდვილი მოთხრობა“ ქრისტიანეს ბედობლა-ზე.

დაღბანს ვიჭახირე, ბევრი ვიქამე და მივირ-და, რომ, მთხედვავლ ტრავიკული შინაარსისა, მოთხრობა მაინც დუნე, უეცეცხლო გამოდიოდა. მერე მივხვდი. ქერ ერთი, მოთხრობა სხვის მო-ნაყოლს ეუდოვით გამოვები, მეორე კი ის იყო, რომ მარტოდნენ ქრისტიანეს სიყვარულის ამ-ბავმა გამოტაცა და თვითონ ჩერნობილის სულის შემხუთელო ყოფა-ცხოვრება ვანზე დამჩრა.

მოთხრობა ხელმეორედ გადაწვირე. საკი-რ-ველს ვიყავი, რომ ნატიფსა და ლამაზ სიტყ-ვეებს „ადგილს“ ველარ ეუქებნიდი. მოთხრობა-სიმაართელსა და სისადავეს ითხოვდა.

როგორც იყო, დავსვი წერტილი და იმ ეტრნალს რედექციას მივადექი, სადაც ადრე ლექსებს მიბეჭდვადნენ. რედაქტორმა გულდასმით გადაათვალიერა-გადმოათვალიერა და მითხრა:

— ტყუილად დავიხარვავთ თოფის წამალი, ქაბუცი. ამ მოთხრობას არაეინ არ დაბეჭდავს. მარტო საშაზრა პოლიციის უფროსის გულისათვის ციხეში აქვთ დაჯავჯავებინებენ. ისე, რა მეთქვის, ძარღვიანიდ დაიწერია. სხვა რააშე შემოვიტანე- თანაც ფსევდონიმი მოაწერე აუცილებლად, თორემ გინაზიიდან კინწის კრით გამოგვადებენ.

წამოვიღე მოთხრობა და უკრახი ჩავიდე. მხოლოდ მეორე გაზაფხულზე ამოვიღე, გადავიკაბე და კიდევ ერთ რამეს მიგვხდო: მოთხრობაში არ იგრძნობოდა ავტორი. იქ არ იყო არც ავტორისეული გულსწყრობა, არც აზრები, არც თავყანისცემა ქრისტიანის სიყვარულის წინაშე.

მაშინ კვლავ გადავკეთე მოთხრობა და რედაქტორს წავუღე — დასაბეჭდოდ კი არა, შესადგინებლად.

რედაქტორმა ჩემ იქ ყოფნაში წაიკითხა, წამოვიღა, მზარზე ხელს დამკრა და მხოლოდ ერთი სიტყვა მოთხრა:

— დამილოცინხარ!

თი პირველად ასე დავრწმუნდი, რომ მწერლისათვის მთავარია, რაც შეიძლება სრულად და უხვად გამოხატოს თავისი თავი ყოველ ნახელაშე, თუნდაც ესოდენ პატარა მოთხრობაში, და ამით თავისი დროისა და თავისი ხალხის გამოსატყვე შეიძლოს. თავისი თავის გამოხატვაში მწერალს არაფერმა არ უნდა აათრეინოს ფეხი — არც იმის შიშმა, ის სხვა მწერლებმა ერთხელ უკვე თქვესო. არც კრიტიკებისა და რედაქტორების ქვერბა.

საწერად რომ დაქდები, ყველაფერი უნდა დაივიწყო, თითქოს შენთვის, ანდა ქვეყნად ყველაზე მჭირფსა ადამიანისათვის წერდე.

შენს შინაგან ბუნებას სული უნდა მოაქმევირო, ვხა უნდა აპოყნინო, ფრთება უნდა შეა-სხა და, რაღა ბევრი გავაგრძელო, სახტად დარ-ნება, სად, გულის ან გონების რომელ კუნძულში მქონდა ამდენი აზრი, გრანობა და პოეტური ძალაო.

შემოქმედებითი პროცესი ვხადავხა ახალ თვისებებს იძენს, რთულდება და მდიდრდება კიდევ.

როგორც გაზაფხულმა იცის, ისე სწორედ.

შვის სიტბო უცვლელია. მგვრამ თოყუნს აღნობს, ჰაერს, ნადავსა და ხეებს ათობს. დედამიწა ილენს, იყვება წვეთებშია და წამ-დნარე წყლის ზამურით — ვახანდუნსისარამი რამ წინით, მაშინ რიცა, ეიმეორებ, შვის სი-თბო უცვლელი რჩება.

შემოქმედებაშიც ასეა. ცნობიერება არსებითად უცვლელი რჩება, მგვრამ მუშაობის ეამს ახალი აზრებისა და სახეების, შეგარძნებებისა და სიტყვების ნიადაგს იწვევს. ამიტომ არის, რომ ადამიანს ხან თვითონვე უყვირს თავისი დაწერალი.

მწერალი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვისაც რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი და საგულბს-ურო აქვს სათქმელი ადამიანებისათვის, ვინც ბევრ ისეთს ხელდას, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ.

ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, გამოტეხილად უნდა ვთქვა, სულ მალე დავრწმუნდი, რომ ძალიან ცოტა რამ მქონდა სათქმელი, იმასაც მიგვხდო, რომ შემოქმედებითი ცაცხლო, თუკი საზრდოს არ მივაწედი, ხელდახელ ჩანადვ-ბოდა. მეტისმეტად მცირე მარავი მქონდა ცხო-ვრებისა, მცნობარად არ გამოვდგებოდი.

იხანად ჩემს თვალში ცხოვრებას წიგნი მქონდა აფარებული და არა ცხოვრება — წი-გნს. სკირო იყო, თუ შეიძლება ითქვას, ცხოვ-რებით ვავლოცოლებულიყავი.

რაკი ამ ამბავს მიგვხდო, წერას ათი წლოთ მივაწებე თავი — და, როგორც გორკი იტყო-და „ხალში ვავედი“, მთელ რუსეთს მოვედუ, ათასი რამ ხელობა გამოვიცეალე და ათას-ნარი ხალხს შევხვდი.

მგარამ ეს ხელოვნურად შექმნილი ცხოვრე-ბა როდ იყო. არა, პროფესიონალი დამკვირვე-ბელი ან ფაქტების შემგროვებელი არ ვყოფილ-ვარ.

ჩვეულებრივად ეცხოვრობოდი, როგორც ყველანი, არც მიცდია რაიმე ჩამეწერა ან და-მემახსოვრებინა — მერე სიღმე გამოვიყენებ-მეთქი.

ვიყავი, გმუშაობდი, მიყვარდა, ეტანყებო-დი, ვიმედოვნებდი, ვოცნებობდი და ერთი რამ ვიყოლი — ადრე თუ გვიან, მოწიფელო-ბის ეამს, ან, აქნებ, სიბერეშიც, ხელში ეალმი უნდა ამელო, იმიტომ კი არა, რამ ჩემს თავს ეუთხარა, რადაც უნდა დამიქდეს ასე უნდა იყოს-მეთქი, არამედ იმიტომ, რომ ამას მთელო ჩემი არსება მოითხოვდა. და კიდევ იმიტომაც, რომ მწერლობისთანა მადღმოსილი მოყუნეა მეორე არ მეგულებოდა ქვეყნად.

ი ლ ზ ა

როგორ იხადება ჩანაღვიქრი? თითქმის არ არსებობს ორი ნახელეები რამ, ერთად რომ წარმოიშვას და ერთნაირად გან-ვითარდეს. პასუხი ამ კითხვისა, თუ როგორ 6. „მნათობი“, № 2.

იხადება ჩანაღვიქრი, ცხადია, უნდა ვეძიოთ არა საერთოდ, არამედ უოველ ცალკეულ რომანთან ან მოთხრობასთან დაკავშირებით. გაცილებით ადვილია პასუხის ვაცემა იმ კი-

ერთ სამხატვრო გამოფენაზე თითქოსდა ფრთხილად შეყვანილი და თმადახეული პუშკინის ქანდაკებასთან უფრო მოკვარი დედა-შვილის საუბარს. პატარა გოგო კარგა ხანს შეუბღვრებულ ნული ეტყვირადა ამ პუშკინის „შთაგონებულ“ სახეს და მერე დედის შევეითება:

— დედა, ეგ რა, ოცნებას ოცნებობს?

— პო, შვილო, ძია პუშკინი ოცნებაშია, — ღმილით უმასუხა დედამ.

ძია პუშკინი „ოცნებას ოცნებობს!“ ის პუშკინი, თავის თავზე რომ თქვა: „მოდლიერ ხალხში დაფიქვირდუ ტრფობა, სუფეგა, რამეთუ კეთილს ვაღვიმებდი გრძნობებს ჩანგურება, რამეთუ ბნელში ვემღეროდი თავისუფლებას და შევიბრალებ კაცი ჩაგრული“.

და თუ „წმინდა“ შთაგონება „მოველინა“ (აეცილებლად „წმინდა“ და აეცილებლად „მოველინა“) კომპოზიტორს, მაშინ ის თვალბაყრაობილი მარჯვლად იქნებს სადირიერო ჟიბს თავისთვის, ვინაიდან სული მომხიბლავი ბეგრებით უფდერს, — ზუსტად ამასვე ამბობს ჩაიკოვსკის დათფლული ძეგლიც, ახლახან მოსკოვში რომ დადგეს.

არამც და არამც! შთაგონება მკაცრი სამუშაო მდგომარეობაა კაცისა. სულიერი აღფრთოვანებისა თუ უბადალბუღი „შემოქმედებითი წეისა და დავვის“ გამოსახატავლად სრულიად არ არის საჭირო არც თეატრალური პოზა და არც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები.


მეტად უბრალოდ და ზუსტად დახასიათა შთაგონება პუშკინმა: „შთაგონება ვანწყობაა სულსა. შთაგონებელი სული ცოცხლად ხორც-შესხმულია ყოველი შთაბეჭდილებისა, ფიცხლავ გამჩრევეთა ყოველი ცნებისა, რაიც ცხოვრებას განმარტავს და თვალნათლავ დასანახს ხდის“. კრტიკოსნი შთაგონებას აღტაცებაში ურევენო, დასძენდა იგი, ზოგჯერ ავი მეთხველთავე ემართებით ეგრე — სიმართლესა და სიმართლისნაირს ერთმანეთში აურევენ ხოლმე.

ამას კიდევ იტანს კაცი. მაგრამ როცა ზოგიერთი მხატვარი და მოქანდაკე შთაგონებას „ქენტრუმში“ ურევს ეს ამბავი სრულ უშეცრებად და მწერლის მხიმე შრომას უმატეცემლობად გამოაუერება.

ჩაიკოვსკი ამბობდა, შთაგონება მდგომარეობაა, როცა კაცი ხარივით მუშაობს და სრულიადე არა კომპოზიტორს.

ცოტა არ იყოს, საბოდიშოდ მაქვს საქმე — სათქმელს თითქოს გადაუხევე, მაგრამ რაც ზემოთ ვთქვე, ფუქვად როდი მითქვამს. ეს იმის ნიშანია, რომ დღესდღეობით კიდევ ბოგინობს მუბღვრისაფაჩევეტილი და ობივატილი ხალხი. იშვიათია ადამიანი, სიცოცხლეში ერთხელ მინიმუმ რომ არ შეეპყროს შთაგონებას — სულიერ მღელვარებას, როცა თავის თვალში უყრი სინამდვილეს, აზრს ფრთები ესხმის და

გრძნობს, რომ შენც რაღაცა შეგიძლია ქვეყნად.



დაიბ, შთაგონება მკაცრი სამუშაო მდგომარეობაა, მაგრამ თავისი პოეტური ელფერიცა აქვს, ანუ, შეიძლება ითქვას, პოეტური ქვეტქესტია.

შთაგონება ისე ეუფლება ჩვენს სულს, როგორც ზაფხულის სისხამი დედა, ეს-ეს არის წყნარი ღამის საბურველი რომ ჩამოუხსნია და სველი ფოთლების ნაშთი დაცვარულა. ის ფრთხილად სუნთქავს და სახეს ეუბარს სიოთი გვიგირალებს.

შთაგონება თითქოს პირველი სიყვარულია, როცა გულს ბაგა-ბუფი გააქვს საოცრად ტუბილი შეხედვარების, წარმოუდგენლად ღამანი თვალების, ღმილისა და დუმლინარევი ჩურჩულის მოლოდინით ვასავათებულს.

მაშინ ჩვენი სული მომართულია შეუმცდარად, ჭადოსნური რამ საკრავივით, და უველაფერს გრძნობს, ცხოვრების ყველაზე იღუმალ ხმასაც კი.

შთაგონებაზე მრავალი შესანიშნავი სტიქონი დაუწერიათ პოეტებსა და მწერლებს: „და მარტოოდენ ღვთიური სიტყვა შეაკრთობს უმალ ჩემს ყურთასმენას“ (პუშკინი). „მაშინ დაცხრება მშფოთვარე სული“ (ლურმონტოვი). „ხმას გაიგონებს, ცით ჩამოლწეულს, და აღდერდება სული დაღლილი“ (ბლოკი). ძალზე ზუსტად თქვა შთაგონებაზე ფერმა:

ერთი ხელისცვრით დაიჭრის ნავი, დასტოვებ ნაპირს, ტალღაგადავილის, რომ ზღვაში უკვე სხვად იგრძნო თავი, და ქარებს შთაქეთ ფიქრის ნადავლი.

ტუბილ ოცნებაში წაიღებს რული, ნაღვლიან სიზმარს მოჰყვება ღზენა. ის აიარა ხარ, მოათქვი სული და სხვისი უირო იგრძენი შენად.

ტურგენევი ამბობდა, შთაგონება „ღვთის მოახლოებაა“, აზრებითა და გრძნობებით ადამიანს გაიცისკროვანებაა. ვინ იცის, რა გუგონარი ტანჯვა მოელის მწერალს, როცა ამ გაიცისკროვანების სიტყვებად ჩამოსხმას იწყებსო. ის შიშით ღამარაკობდა ამას.

ყველაზე უბრალოდ მინც ტოლსტოიმ თქვა: „შთაგონება ის არის, რომ უცაბედად აღმოაჩენრის ძალაც შეგწევს. რაც უფრო ღრინიერია შთაგონება, მით უფრო მეტი რუდუნება უნდა ხორკის შესახმულად“.

მაგრამ, როგორც არ უნდა განმარტადუნენ, ერთი ცხადია — შთაგონებამ პირნახტული კარგი იცის და უნაყოფოდ არ უნდა გაიფლანგოს, თავისი მაღლი უნდა სცტოს ადამიანს.

გვირაბის ჯანყი



ბევლად, როცა ვინმე ბინას იცვლიდა, ბარგი-ბარჩანის გადასატანად ზოგჯერ აღვილობრივი ციხიდან ტუსალებს ქიარობდნენ.

ბავშვები ყოველთვის ველის ფანჯრალით და სობრალდლის გრანობით ველოდით ამ დაქირავებულ ტუსალებს გამოჩენას.

ხელოვნების განვითარების ტუსალები უღელმთიან თემებში მოჰყავდათ. ქიარობი ყველას ვეაზრებოდა და მბარა ერქო. იმ დამბახებს „ბუღლოვებს“ ეძახდნენ. პატივებს პატარა ნაყრისფერი ქვლები ეხურათ. ზოგიერთს ქს-მარზე ხელბორკლი ჰქონდა თანხით ჩამოშვებული. ბავშვები სწორედ ხელბორკლიან ტუსალებს ავიღებდით ხოლმე.

ყველაფერ ამას იღვწავდა იერი დაქრავდა. მაგრამ უფრო მეტად ის გვიყვარდა, რომ თითქმის ყველანი ჩვეულებრივი დაღლილი ადამიანები იყვნენ და არც კეთილშობილება აცლდათ. ხათრანად, თავიზიანად იქცეოდნენ. ავეჯი რომ გადაჰქონდა, სული კბილით ეჭობათ, ფრთხილობდნენ ან არაფერი გაგვითყუდეს ან არაფერს დაეზიანებოთ.

ბავშვებს, უფროსებთან შეთანხმებით, ჩვენი ემსაყურო გეგმა გვექონდა. დედას ზედამხედველები სამზარეულოში მიჰყავდა ჩაის დასალევად, ჩვენი კი ამ დროს პურს, ძეხვს, შაქარს, თუთუნსა და ხანაც ცოტადღენ ფულს ჩავეუბნებდით ხოლმე ტუსალებს ჭიბებში. ფულს, რასაკვირველია, მშობლები გვაძლევდნენ.

ჩვენი პატივი, ძალზე სარისკო საქმეს მოგვიადებოდა, ცოტა არ იყოს, ამ ამბით თავივე მოგვწონდა, და აღტაცებისაგან აღარ ეცივოდით რა გვექნა, როცა ტუსალები ჩუბჩულით გვეუბნებოდნენ შადლობას, ხან თვალსაც ჩაგვიყრავდნენ, ფრთხილად იყავით, ისინი სამზარეულოში არიანო, და ჩვენს ძღვენას თუ მოსაკითხავს ხალაქებშია ჩიბებში იტყვიანო.

ტუსალები ხანდახან უჩრებდა წერტილებს გვამოკვდნენ. ამ წერტილებს მარკებს ვაწებებდით და მერე ყველანი ერთად მივდიოდით საფოსტო უბანში ჩასაყრელად. ვიდრე წერილებს უბანში ჩაყვრიდით, ვერ ცოტა ხანს აქეთ-იქით უნდა გვექიარა: სიფრთხილეს თავი არა სტყავა, ბოქაული ან ბოქაულისტრია ვინმე ხომ არ გვეთვალთვალდებოდა. თითქოს, რაჟი დაგვიინახავდნენ, აუცილებლად მიგვიხედებოდნენ, რა წერილებსაც ვაგზავნიდით.

იმ ტუსალებთან დღესაც მახსოვს ერთი ქალბატონი-წერილანი კაცი, ყველანი მიმასახლისს ეძახდნენ.

იგივეს გადატან-გადმოტანისს ყოველთვის ის იძლეოდა ვანკარგულებებს. ზოგიერთი ნივთი, მტკადრე კარადა ან პიანინო, კარებში ვაიჭი-

დებოდა ხოლმე. შებრუნებულნი ვიყავით ილარაფერი გამოდიოდა, კარგა ხანს ატრიალებდნენ წაღმა-უღელმა, ზოგჯერ კი, რამდენიც არ უნდა ეჯახინათ საწყალ ტუსალებს, დასადგმელ ადგილს შინც ვერ პოულობდნენ, ნივთს თავისი ვაიჭონდა, აღამიანის ხელს აღარ ეფიქრობოდა, იტყვი, ახალგანეთენილ ადგილას დგომი არა სურსო. თუ ამ ამბავს მიმასახლისს მოჰქრავდა თვალს, უშველად იტყვოდა:

— სადაც თითქონ უნდა, იქ დადგით. ნუღარ აწველებთ! ხუთი წელიწადია მათგან გადატან-გადმოტანებით ვერ და გვეუფე ხასიათი. თუ შინდ დგომი არა სურს, ბავშვი რომ იცე თავისი, მაინც ვერაფერს მოუხერხებ. დაიმტყვავა და შენასს არ გაგატანინებს.

ძველი ტუსალის ეს შეგონება მწერლურ გეგმებთან და ლიტერატურული გმირების საქციელთან დაკავშირებით გაეცხენდა. ნივთებისა და ამ გმირების ქვეყანაში არის რაღაცა საერთო. გმირები ხშირად ებრძვიან ავტორს და თითქმის ყოველთვის ამარცხებენ. მაგრამ ამ ამბავს მერე ვიტყვი.

რასაკვირველია, თითქმის ყველა მწერალი ადგენს თავისი მომავალი წიგნის გეგმას. ზოგიერთმა ზუსტი და დაწერილებითი გეგმა იცის. სხვანი ძალზე მახლოებით ადგენენ. მაგრამ არიან მწერლები, რომელთა გეგმაც სულ რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, თანაც ამ სიტყვებს თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმეორესთან.

და მხოლოდ იმპროვიზაციის ნივით დაწვრილებულ მწერლებს შეუძლიათ წერა წინასწარი გეგმის უქონლად. რუს მწერალთაგან ამგვარი ნივით უხედა იყო მომადლებული პუშკინი, ხოლო ჩვენი თანამედროვე პროზაიკოსებიდან — ალექსი ტოლსტოი.

ჩემი გეგმით, არც გენიალურ მწერალს უჭირს რამე გეგმის უქონლად წერა. გენიოსი იმდენად მდიდარია შინაგანად, რომ ნებისმიერი თემა, რომელიც გინდა აზრი, შემთხვევით ან სავანი ისიცაიციოთა უშრეტ ნაკლს აღუძრავს ხელად.

ერთხელ, ახალგაზრდა ჩეხოვმა კორპორაციის უბანში:

— თუ თქვენ მაგადაზე საფერფლე ვიდგათ, თუ გნებავთ, ამ წუთსაც დაწერე მთავარი მოთხრობას.

დაწერით, რასაკვირველია, დაწერდა. ადვილი შესაძლებელია, რომ კაცმა გზაში დატყუებული მანეთიანი იპონოსის და მერე სწორედ ამ ამბით დაიწყო თავისი რამანი, დაიწყოს უბრალოდ, თითქმისდა ხუმრობით. მაგრამ მალე ეს რამანი სიღრმეშიც ვაიწევს და სიგანეშიც, იყვება ადამიანებით, ამბებით,

შეით, ფერებით და წარმოსახვის კანკაქში მოქცეული, მარტო ღღად კი არა, მძლავრადაც წარმოიდგება, სულ ახალ და ახალ მსხვერპლს გააღებინებს მწერალს, გულისა თუ გონების სიღრმეიდან ძვირფას მადანებით ამოაზიდინებს სახეებსა და სიტყვებს.

და აი სრულიად შემთხვევით დაწყებულ თხრობაში გაჩნდება აზრა, დახლართება ბედობლი კაცისა. მწერალს ამ დროს თავის მღერეობასთან გამკლავების უნარი აღარ შესწევს. ის დიკენსივით დასტორის თავისი ბლანაწერის ფურცლებს, ფლობერივით კენესის ტყვიელებსაგან, ანდა გოგოლივით ხარხარებს.

მთაშიც ეგრეა... გაისვრის მონადირე თოფს, აქამდენიან ხე-ხუეები და ფერდობებზე შხინავ ზოლად დაიძვრის თოვლი. მალე ეს ზოლი გაიხერა, მთით დაქანებულ თოვლის მდინარედ დაქცევა, ცოტაც — და ჩაზავდება ბარად, გრუხნით გააყრუებს ხეობებს, თერთავად დღეებს ჰაერს.

გენოსებს და ამასთანავე იმპროვიზაციის ნიჭით დაჯილდოებულთ ესოდენ ადვილად რომ ფუფუნება შემოქმედებითი ცეცხლი, არა ერთ მწერალს აღენიშნება.

ტყუილად როდი თქვა ბარატინსკიმ პეშინზე, რომლის მუხასაც კარგად სცნობდა:

...გაიხუმრებდა, შეახებდა რაიმეს კალამს და ხუმრობაში ჩაუდგამდა ლეითურსა ძალას... ერთხელ ეთქვა, ზოგიერთი გეგმა სიტყვების გროვას წაავსებს-მეთქი.

აი ერთი პატარა მაგალითი. მე მაქვს მოთხრობა „თოვლი“. ვიღაც ამ მოთხრობას დეწერდი, გეგმით მთელი ერთი ფურცელი ავატრულე და სწორედ ამ ჩანაწერიდან იშვა მოთხრობაც, როგორ გამოიყურება ეს ჩანაწერი?

„მიეწყებულა წიგნი ჩრდილოეთზე. მთავარი ფერი ჩრდილოეთისა — ფოლგა. ორთქლი მდინარეზე. ქალებს ყინული ამოუტრიათ და თერთრულს ავლებენ წვალში. კვამლი. წარწერა აღქსანდრა ივანოვის კარის ზარზე: „აქ ვარ, განა შეგმალდვარ, ჩამოშრევი მხიარულად!“. ომი. ტანია. საღ არის ახლა, რომელ მიყრუებულ ქალაქში? მარტია. მთავარ ძღვესდა ანათებს დრუბლებიდან. ცხოვრება ლაფის მკრთალი შუქის ბაწაწინა რკალიში მომწყვდეული. მთელი ღამე გუგუნი გააქვთ კედლებს. ტრტები თითქოს ქაწრავენ მინებს, ფოტონიან. ზამთრის ამ პირქუშ ღამეში ძალიან იშვიათად თუ გამოვალთ სახლიდან გარეთ. შემოწმება უნდა... სიმარტოვე და მოლოდინი. ბუბური უმადური კატა. ფერადი ვერ მოუგებ გულს. თითქოს ყველაფერი ჩანს — როიალზე შედგმული დეკორილი სანთლებიც, შავგარე ჭკრჭკრით მერი არაფერია. როიალიან ბინან ეძებდა (მომღერალი ქალი). ევაკუაცია. მოთხრობა მოლოდინზე. სხვისი სახლი. ძველებური, თავისებუ-

რად მყუდრო, ფიქსება, მთელი თუთუნის სუნი იყო, ცხოვრობდა ბერკაცი და ღდა არის. კაცის საწერი მავიდის მწვანე მადეს, ვეითელო ლაქები ეტყობა. გოგონა. შიმა. ჭკრჭკრით მთი არაიერ არა ჩანს. ამბობენ, სიუვარულმა მანძილად არ იცისო. მხოლოდ მოლოდინზე შეიძლება დაიწეროს მოთხრობა. რა უნდა? ვისთვის უნდა? თეითონაც არ იცის. გზაჯარედინებზე აღამიანები შემთხვევით ხედებიან ერთმანეთს და წარმოდგენაც არა აქვთ, რომ ამ შეხვედრას თავიანთი გინჯილი ცხოვრებით ამზადებდნენ. აღმათობის თეორია. მიუესადაგო აღამიანის გულს. ბრიყვათთვის ყველაფერი იოლია. მთელი ქვეყანა თოვლს დაუფარავს. საცა აღამიანი გამოჩნდება. გარდაცევილის სახელზე ვილაცისაგან წერილები მოდის. ამ წერილებს დასტა-დასტა აწყობენ შავიდაზე. აი აქ არის ვასალები. რა წერილობია? რა სწერია შიგ? მეზღაურეი. ეაქიშვილი. ვაი თუ, მართლა ჩამოვიდესო. მოლოდინი. ქალის გულის სიკეთემ საზღვარი არ იცის. წერილები სინამდვილედ იქნენ. კვლავ დაგრუხილი სანთლები. ახლა სხვანაირი იფი აქვთ. ნორტები. პირსაბოტზე მუხის ფოთლებია ამოჭარბული. როიალი. არყის ხის ბოლი. მომმარტველი, — ჩეხები კარგი მუსიკოსები არიან. სახემობურდული. ყველაფერი ნათელია!“

აი ის „გროვა“ სიტყვებისა, რასაც გავირვებით თუ ვეწოდებთ „თოვლის“ გეგმას. ვინც ჩემს მოთხრობას არ იცნობს და ამ ჩანაწერს წაიკითხავს, მიხედება, რომ, მართალია, დუნედ და არაყაფივად, მაგრამ მაინც ჯიუტად მოვისინჯე თემა ჯა სიუვეტო.

რა ბედი ეწვეათ ხოლმე უღარესად ზუსტ, ათასჯერ აწონილ-დაწონილ და შემოწმებულ მწერლურ გეგმებს? სიმართლე უნდა ითქვას, რომ უმეტესად დიდი დღე არ უწერიათ.

ახლად დაწყებულ თხზულებაში როგორც კი აღამიანები გამოჩნდებიან და ავტორის ნებისამებრ გზიარებიან სიტუაციებს, ისინი მაშინვე წინაღუდლებიან გეგმას და სახედისწეროდ შეებმან. თხზულება თავისი შინაგანი ლოგიკით ვითარდება. ამ ლოგიკას, რასაცვირველია მწერალი უღებს სათავეს. გმირებიც თავიანთი ხასიათის შესაბამისად მომქედებენ, თუმცა გმირის ხასიათს მწერალი ქმნის.

თუ მწერალი გეგმის ჩარჩოებში გამოაწყვედვს თავის გმირებს და ნაწარმოების შინაგანი ლოგიკის მიხედვით მოქმედების საშუალებას არ მისცემს, გმირები სისტლისაგან დაიცლებიან, ორფება სქემებიდ, რომოტებად გადაიქცევიან.

ეს აზრი ძალზე სადად გამოთქვა ლეკ ტოლსტოიმ.

ერთხელ იასნაია პოლიანაში სტუმრად ჩასულითაგან ვილაცამ საყვედური უთხრა ტოლს-

ტოის, შენი ბრალია, ანა კარენინა რომ მატარებელს ჩაუვარდა, სად გავიხილა ვერეთი სისასტიკეო.

ტოლსტოის თურმე გაეღიმა და მიუგო:

— ევ აზრი ბეშქინის ამბავს მახსენებს. ერთხელ რომელიღაც თავის შეგობარს უთხრა: „შეხე, რა ოინი მიქნა ტატიანამ, გამოითხოვდა. ამას კი არაფრით არ მოველოდიო“. არც ანა კარენინას უციათხავს ჩემთვის რაიმე... საერთოდ ჩემი გმირები ხანდახან ისეთ ოინს მიზამენ ხოლმე, რომ საბტად ვრჩები ისინი ცხოვრების შეიღები არიან, ცხოვრებას მისდევენ და არა ჩემს ნება-სურვილს.

მწერლებმა კარგად იციან გმირთა ამ დაუჩერებლობისა თუ დაუყოლებლობის ამბავი. „გაზრდებულ მუშაობაში რომ ვარ, — ამბობდა ალექსეი ტოლსტოი, — არ ვიცი, რას იტყვის გმირი ზუთი წუთის შემდეგ ყოველთვის გაცებული ვადევნებ თვალურს“.

ზოგჯერ ისიც ხდება, რომ მეორე რიგის გმირი დასჯაბნის დანაჩენებს, თვითონ იჭყევა

მთავარ გმირად, თბრობას კალაპოტს შეუყვლის და თავის გუნებისად წარმართავს.

ნაწარმოები მხოლოდ მაშინ იწყებს მწერლის ცნობიერებაში მთელი ძალიან სიცოცხლეს, როცა მწერალი უკვე მუშაობს ამ ნაწარმოებზე. ამიტომ გვეგმების მსხვრევესა თუ რღვევა-შლაში არაფერია არც განსაყუთრებული და არც ტრაგიკული.

პირიქით, ბუნებრივად კია უა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ცხოვრება შეიჭრა, ამოავსო მწერლისეული სქემა, გასწი-გამოსწია და ერთი დაკერით დაღეწა თავდაპირველი გეგმის ჩარჩოები.

მაგრამ ეს ამბავი არამც და არამც სახელს არ უტეხს არც გეგმას, ვინაიდან მწერალს მართო ის კი არ აკისრია, რომ ყველაფერი მხოლოდ ცხოვრების კარნახით ჩაწეროს. ნაწარმოების მხატვრულ სახეთა სიცოცხლე ხომ მწერლის ცნობიერებით, შეხსიერებით, წარმოსახვით, შემოქმედი კაცის მთელი შინაგანი ბუნებით არის შეპირობებული.

თარგმანი გურამ გომიანოვილისა.

□ ზაგრძელება იმნება □



ვიღრე ეს მთები ღვანან

ვიღრე ეს მთები ღვანან,
ო, სიყვარულო, იცოცხლებ მუდამ,
ჩიტებო, იფრენთ გუნდად და გუნდად,
ვიღრე ეს მთები ღვანან.

ვიღრე ეს მთები ღვანან,
აყვავილდება ბარაქით მიწა,
საქმე ექნება ნამგალს და ფიწალს,
ვიღრე ეს მთები ღვანან.

ვიღრე ეს მთები ღვანან,
ენძელავ, ვიცი იხარებ მარად,
ჭერმის ხევ, ჭკნობა არ გელის, არა,
ვიღრე ეს მთები ღვანან.

ვიღრე ეს მთები ღვანან,
ბუხარში ცეცხლი ყვავილებს გაშლის,
ვერ შემოაღწევს სამთარი სახლში,
ვიღრე ეს მთები ღვანან.

ვიღრე ეს მთები ღვანან,
ქალებს ექნებათ მშვიდობის დილა,
იტიტინებენ ბავშვები ტკბილად,
ვიღრე ეს მთები ღვანან.

ვიღრე ეს მთები ღვანან,
ჩემს ლექსს ექნება აზრი და ძალა,
მზეო, იქნები მარად და მარად,
ვიღრე ეს მთები ღვანან!



იქ იდგე, სადაც არავინ მდგარა,
გზას უკვალავდე მომავალს მარად, —
აი, რა არის პოეზია!

სხვათა ტყვილი მიგაჩნდეს შენად,
მწუხარე სხვისთვის გადიქვე ლხენად, —
აი, რა არის პოეზია!

იყო დაჭრილი. დელავდე ზღვისებრ,
სხვა დაჭრილებზე ფიქრობდე ისევ, —
აი, რა არის პოეზია!

გული გაუყო თანაბრად ყველას,
მთას, ადამიანს და ჭიანჭველას, —
აი, რა არის პოეზია!



სულ უსამართლოდ
აღაჩიანი
გავანაწყუნე...
გიჟი ვარ, ხელი...
ო, მეგობრებო, არ გამიცინოთ,
არ ჩამომართვათ მე ცოდვილს ხელი

დანაშაული მიმიძღვის, ხედავ,
ო, დედაჩემო, არ დამამშვიდო,
არ პონეფერო, იცოდე, დედა.

გულმართალ მოძმეს
გული ვატკინე,

ნუ იშრიალვებთ, კაკლის ხეებო,
თქვენი შრიალის ღირსი არა ვარ,
მდინარეებო,
ნუღარ ჩხრიალებთ
ჩემი წუბილის დასაფარავად.

დღეს მე რაც ვიყავ, ის აღარა ვარ,
 არა, არ არის ეს დღე მზიანი, —
 ჩემს უნებურად,
 სულ უმიზეზოდ
 გაგანაწყენე ადამიანი.

და მინდა,
 სულაც მარტომ ვიტვირო, ანაქინსული
 მარტომ ვათიო ეს დამე-გრძელი...
 ო, მეგობრებო, არ გამიცინოთ,
 არ ჩამომართვათ მე ცოდვილს ხელი.

ჟანიონ ქვაზე

როცა მომაქციეს არად
 სადღაც, უცხოეთის გზაზე,
 შენ შესიზმრებოდი მარად,
 ყვავილო,
 ამოსულო ქვაზე.

ფერფლში ნაბერწყალი ვძებნე
 სადღაც, უცხოეთის გზაზე

და კვლავ ვისწრაფვოდი შენსკენ,
 ყვავილო, ამოსულო ქვაზე.

ისევ გადმოვლახე მთები,
 ვდგავარ ბალყარეთის გზაზე,
 კვლავ ჩემს ავგაროზად რჩები,
 ყვავილო,
 ამოსულო ქვაზე.

• • •

- მითხარით, მთებო, სიხარული გაქრება,
 ჩქარა?
- ვიდრე ვარსებობთ სიხარული იქნება
 მარად!
- მითხარი, ზღვაო, სიხარული გაქრება
 ჩქარა?
- ვიდრე მერთვიან მდინარენი, არა და
 არა!
- მითხარით, ხენო, სიხარული გაქრება
 ჩქარა?
- ტყე იმრიალებს მარად და მარად!
- მერცხალო ტკბილო, სიხარული გაქრება
 ჩქარა?
- ვიდრე ჩიტები ჭიკჭიკებენ, არა და არა!
- მითხარი, ღელევ, სიხარული გაქრება
 ჩქარა?
- ვიდრე ბავშვები ჟღურტულფებენ, არა
 და არა!
- მითხარი, მიწავ, სიხარული გაქრება
 ჩქარა?
- ვიდრე მზე ბრწყინავს, არა და არა!

თარგმანა მორის ფოცხივილიშა.



შორილები

დედაბუნებას ცეცხლოვანი წალკაგს დისკო,
და თვალებს მხოლოდ სიყვარული გამიჩირადდნებს,
ნორჩი ყვავილი თუ ვიხილე, გაწვდილი მზისკენ,
მოწყურებული სხივს და სინათლეს.

თამაშ-თამაშით თუ კი ფარა იშლება ველზე,
თუ მღერის ჩიტი და მივდივარ ტყის ბილიკებით,
სული საჭბა მწუსარებით და ნუგეშს ვეძებ,
მინდა ტირილი, გული მიკენესის.

მაგრამ მინდორში როცა ხმება ბალახის ღერი
და ჩემს ფეხებთან ცვივა ტყეში ხმელი ფოთლები,
ხუნდება ვარდი და კაბადონს ეცლება ფერი, —
მე მნასავს მლოცველს და მუხლმოდრეკილს.

მე იმ ხმელ ფოთლებს, მომანიჭეს რომლებმაც შევბა
და შეურიგდნენ ბედისწერას, მე ახლა იმათ
ვეჭურჩულები, ვეფერები: ო, ჩემო დებო!
და ათრთოლებულ ტუჩებთან მიმაქვს.

ხმელი ფოთოლი დაა ჩემი და მე მომესმა
თუ ქარი როგორ მოეხვია გველეშაპივით...
ხომ არ ჩავდივარ სამარეში ახლა, როდესაც
ჩემი სიცოცხლის დგება აპრილი?

იქნებ ჩემსავით ეს ყვავილი, ძლივს რომ უღიმის
მზესა და მზისკენ მიისწრაფვის ყველა უჯრედით,
გადასწვა მკერდში აღვზნებულმა სულის დუდილმა,
რადგან ვკიდა ცეცხლი უშრეტი.

თუ კი ხუნდება ყოველივე, რაც გვეალება
რომ ადასრულო, ადასრულე! სიცოცხლის შემდეგ
სიკვდილი მხოლოდ სიზმარია, სულს მღელვარებით
მოღლილ-მოქანცულს დაეხსენ, თვლემდეს!

ო, დედაჩემი!.. მეგობრებო, მწუსარეს გლოვა
შეუმსუბუქეთ, მე მივდივარ და გვეფდრებით,

როცა ომი დამთავრდა

ჰაინრიხ ბიოლი ომის შემდეგ მოვიდა ლიტერატურაში და გასაკვირი როდია, რომ მისი პირველი მოთხრობა „მაცნე“ სწორედ ომს შეეხებოდა. მოთხრობის უსახელო გმირი ფრონტელი ამხანაგის ოჯახს, უფრო სწორად, მარტოდ დარჩენილ მეუღლეს, ქმრის სიყვლილს აუწყებს და ფრონტზე დაღუპულის ნივთებს გადასცემს. ჰაინრიხ ბიოლის ეს პირველი მოთხრობა იმდენად შთაბავთვებელი და რეალისტური იყო, რომ მომავალმა შვედრალმა მამინავე მიიქცია უფრადღება. ერთი გარემოებაცაა აღსანიშნავი, ეს მოთხრობა, თითქოს ნიშანდობლივი და სიმბოლური იყო ჰაინრიხ ბიოლის შემოქმედებისათვის, რადგან მეორე მსოფლიო ომის მთელ მანძილზე იგი ჯარისკაცის მახარბთა და შესხანიტ ხელში თანამემამულეების ბედს იზიარებდა.

...და აი, დენტის კვამლით ამორებულ ნაჯარისკაცული და ტყვედყოფილი გაპარტახებულ სამშობლოში დაბრუნდა და თან მოიტანა განუყურნელი ტყვილი, სულიერი და ფიზიკური ტრავმა, დაბრუნდა უმეგობროდ და თანამებრძოლის სისხლშიც საიშედო არაფერი დახედა...

ასე შემოაბიჯა ლიტერატურაში თანადროულობის ერთ-ერთმა დიდმა შვედრალმა — ჰენრიხ ბიოლი. ეს მოხდა ოცე წლის უკან და დღეს, როცა შვედრალი დაბადების 50 წლისთავს ზეიმობს (დაბ. 1917 წ. 21 დეკემბერს) მის ლიტერატურულ სახელს აშვენებს: როპანება, მოთხრობები, პიესები, რადიოპიესები და ესეები. იგი თარგმნის კიდევ. მეუღლესთან — ანეშარისთან ერთად. მაგალითად: მათი თარგმანით იცნობს გერმანია სელინჯერს და სხვა.

ჰ. ბიოლი რვა სხვადასხვა ლიტერატურული პრემიის ლურჯატია; მისი ნაწარმოებებია მსოფლიოს ოცდახუთ ენაზეა თარგმნილი. მიმდინარე წელს შვედრალმა გეორგ ბიუჰნერის პრემია მიიღო.

ის იყო ირიერაჟა და ჩვენც გერმანიის საზღვარს მივადექით; მარცხნივ ფართო მიდინარე, მარჯვნივ ტყე მოჩანდა; ტყის პირს რომ შეხედავდით, იმწუთსავე მიხვდებოდით, ტყე როგორი უსიერიც იყო; ვაგონში სიჩუმეს დაესადგურა; სახელდახელოდ გაწმენდილი ლიანდაგზე მატარებელი ნელა მიდიოდა, უკან იტოვებდა დანგრეულ სახლებსა და ტელეფონის დაღუწილ ბოძებს. ჩემს გვერდით დაყუცულმა ბიჭუნამ სათვალე მოიხსნა და მზარუნელობით გაწმინდა.

„ღმერთო ჩემო“, — ჩურჩულით მითხრა მან, — „წარმოდგენა თუ გაქვს, სად ვიმყოფებით?“

„როგორ არა“, ეუბასუხე მე, „მიდინარეს, რომელიც შენ ეს-ესაა დაინახე,

ჩვენში რაინს უწოდებენ, ტყეს კი, რომელსაც შენ მარჯვნივ ხედავ, რაიპსვალდი ჰქვია — ხოლო ახლა კლევეში შევდივართ“.

„შენ რა, აქაური ხარ?“
„არა“. ბიჭუნამ თავი მომაბებრა; მთელი დამე უფროსკლასელის გაწვრილებული ხმით ტყინი წაიღო, მიყვებოდა, როგორ წაეკითხა მალულად ბრეჰტი, ტუხოლსკი, ვალტერ ბენიამინი, აგრეთვე, პრუსტი და კარლ კრაუსი; რომ სოციოლოგიის სწავლა ნდომებოდა, თეოლოგიისაც, და ფიქრობდა, გერმანიაში ახალი წყობილების დამკვიდრებაში მონაწილეობა მიედო; ხოლო, როცა ჩვენ განთიადისას, დილის ბინდ-ბუნდში ნიიმევეგენში გავჩერდით და ვილაცამ

თქვა, სულ მალე გერმანიის საზღვარს მივადგებითო, შეშინებულმა ბიჭუნამ ყველას ჰკითხა, ორი პაპიროსის ნარჩენში ვინმე ძაფს ხომ არ გამოიკვლითო; როცა არაფერი გაეპასუხა, მაშინ ბიჭუნას მე თვითონვე შევთავაზე ჩემს საყულოზე მიკერებული ემბლემაები, რომლებიც, ჩემის აზრით, ღილაკ-კილოებად იწოდებოდა, მოერღვია და მუქ-მწვანე ძაფად ექცია; გიმნასტურა გაეხიხადე და შევეცქეროდი, ბიჭუნა თუნუქის ნაჭრით როგორი გულმოდგინებით აკეთებდა თავის საქმეს; მან ჯერ ძაფი დაახვია და შემდეგ ჯარისკაცის სამხრეებზე მართლაც შეუდგა იუნკრის სირმების მიკერებას. ბრჭუნას ვკითხე, ეს ხელსაქმე ბრჭეტის, ტუხოლსკის, ანდა კარლ კრაუსის გავლენით ხომ არ დაგიწყია, ან იქნებ იუნგერის გაუთვითონობიერებული გავლენის შედეგია, რომელიც გავლუიანებს ცეროდენას იარაღით შენიწოდება აღადგინო-მეთქი; ბიჭუნა გაწითლდა და მითხრა, იუნგერთან აღარაფერი მესაქმება, მასთან ანგარიშები გასწორებული მაქვსო; როცა კლევეს ვუახლოვდებოდი, ბიჭუნამ კერვას თავი მიანება და ცეროდენას იარაღით ხელში ჩემს ახლოს დაყუცდა.

„კლევეს შესახებ არაფერი მახსენდება“, მითხრა მან, „სრულებით არაფერი, შენ?“

„მე კი“, ვუთხარი მე, „ლოენგრინის მარჯის მარგარინი „ვედის ცისფერ სალტში“ და კიდეც, ანა ფონ კლევე, ჰაინრიხ მერვეს ერთ-ერთი ცოლთაგანი“.

„მართალია“, მომიგო მან, „ლოენგრინი — მაგრამ ჩვენს ოჯახში „ზანელას“ მარგარინის ფხმარობდით. ნამწვავები არ გინდა?“

„არა“, ვუპასუხე მე, „მამაშენს წაუღე. იმედი მაქვს, იუნკრის სამხრეებით საბლში რომ მიხვალ, მამაშენი ერთს კარგად გაგასილაქებს“.

„შენ ამის ვერ გაიგებ“, მითხრა ბიჭუნამ, „პრუსია, კლასიკი, ოდერის ფრანკფურტი, პოტსდამი, ჰომბურგის პრინცი, ბერლინი“.

„მერე“ შევეპასუხე მე, „კლევე-

ვფიქრობ, უკვე კარგა ხანი პრუსიელია — ხოლო სადაც მის მოპირდაპირედ, რაინის მეორე მხარეს, ძვეს ვერაუ პატარა ქალაქი, რომელსაც ვეზელი ეწოდება“.

„ლომერთმანი“, თქვა მან, „როგორ არ გამახსენდა, შილი.“

„რაინი პრუსიელებს ნამდვილად არასოდეს არ გადმოუტლახიათ“, მივმართე მე, „მათ მხოლოდ ორი პლაცდარმი ეკავათ, ბონი და კობლენცი“.

„პრუსიელები“, მითხრა ბიჭუნამ. „ბლომბერგი“, მივუგე მე. „კიდევ გჯირდება ძაფი?“ ბიჭუნა გაწითლდა და გაჩუმდა.

მატარებელი ნელა მიდიოდა, ყველანი ვაგონის ღია კარებს მისწყდომოდა და კლევეს გასცქეროდნენ; ბაქანზე ინგლისელი გუშაგები იდგნენ; ისინი აჩაჩულ-ჩაჩაჩულები, წარბებზეკრულნი და გულგრილნი გამოიყურებოდნენ, მაგრამ ფხიზლობდნენ, ჩვენ ხომ ჯერჯერობით ტყვეები ვიყავით; ქუჩაში ისარი ვზას კოლნისკენ მიუთითებდა. შემოდგომის ხეებს შორის, ზეუთ, ლოენგრინის ციხე-კოშკი მოსჩანდა. ოქტომბერი რაინის ქვედა წელში ჰოლანდიურ ზეცას მოგაგონებს. მომაგონდა ბიძაშვილი გოგონები ქსანტენში, დეიდა კეველაერში; საუბარი იქაურ დილაქტზე და კონტრაბანდისტების ჩურჩული ლუდხანებში; გამახსენდა აგრეთვე წმინდა მარტინის საპატრიარქოლოდ გამართული პროცესია, ხაბაზები, ბრეიგელის სურათებს მიმსგავსებული კარნავალი, და ის რომ ყველგან პიტნის სუნი იდგა, იქაც კი, სადაც არაფრის სუნი არ სცემდა.

„რა იქნება, ჩემიცი შეისმინო“, მითხრა ჩემს გვერდით დაყუცულმა ბიჭუნამ.

„მომასვენე“, ვუთხარი მე; მართალია, ბიჭუნა ჯერ ბავშვი იყო, მაგრამ მალე დაკაცდებოდა და ამიტომაც მეჭაერებოდა იგი. ბიჭუნა განაწყენდა, გვერდზე გადაჯდა და სირმების მიკერება განაგრძო; ბიჭუნა სრულებითაც არ მეცო-

დებოდა: მოუხეშავი, ნემსის ჩხვლეტი-საგან დასისხლიანებული თითებით იგი ცისფერი მუღის საზაფხულო ფორმას ნემსით ჩხვლევდა; მისი სათვალის შუ-შები ისე იყო დაორთქლილი, რომ ვერ-ასახვით ვერ მიხვდებოდით, ბიჭუნა ტიროდა თუ მხოლოდ მე მეჩვენებოდა; არაფერი მაკლდა ატირებას: ორი საათი, დიდი-დიდი, სამი საათი დავ-ვეტირებოდა კოლნამდე, იქედან კი სულაც არ იყო შორს იმ ადგილამდე, სა-დაც ცხოვრობდა ის, ვისზედაც ჭვარი მქონდა დაწერილი, და რომლისგანაც ცოლ-ქმრობაზე გადაკრული სიტყვა არასოდეს გამოვიგონია.

უცაბედად საბარგო საწყობის უკანა მხარეიდან ვიღაცა ქალი გამოვიდა, ვიდრე გუშაგები გონს მოვიდოდნენ, იგი უკვე ჩვენი ვაგონის წინ იდგა და ცისფერ თავსაფარში შეხვეულ რაღაცას აქანავეებდა; თავდაპირველად ვიფიქრე, ბავშვი უპირავს-მეთქი, თურმე პური იყო; ქალმა იგი მე გადმომაწოდა და მეც ავიღე; პური მძიმე იყო, წამით წონას-წორობა დაგვარგე და მიშავილი მატარებლიდან კინალამ არ ვადავარდი; პური შავი იყო, ჭერ კიდევ თბილი; მსურდა ქალისთვის „მადლობა“, დამეძახებია, მაგრამ ეს სიტყვა ძალიან სულელური მეჩვენა, მერედა მატარებელიც უკვე ჩქარა მიჰქროდა, ასევე დაჩოქილი დავრჩი პურით ხელში; დღემდე იმ ქალის შესახებ არაფერი ვიცი, ვარდა იმისა, რომ შავი თავსაფარი ეხურა და არც მაინც და მაინც ახალგაზრდა იყო.

როცა პურიანად წამოვდექი, ვაგონში აღრინდელზე უფრო დაესადგურა სიწყნარეს; ყველა პურს მიშტერებოდა და მათი მხერით პური სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა; კარგად ვიცნობდი ამ თვალებს, ვიცნობდი მათ პირებს, რომლებიც ამ თვალებს ეკუთვნოდნენ, და მე თვეების მანძილზე დღენიადაგ იმაზე ვფიქრობდი, სად იდო საზღვარი სიძულვილსა და ზიზღს შორის; მაგრამ მათი გამყოფი საზღვარი ვერ ვიპოვე.

ერთხანს ისინი მიმკერებლებად და არამიმკერებლებად დავყავი, ეს ჭერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ ამერიკელები ვართ, კიდან (სადაც წოდების აღმნიშვნელი ნიშნის ტარება აკრძალული იყო) ინგლისელებთან (სადაც წოდების აღმნიშვნელი ნიშნის ტარება ნებადართული იყო) გადაგვიყვანეს. მე არამიმკერებლებებისადმი გარკვეული სიმპათიით ვიყავი გამსჭვალული, ვიღრე დავადგენდი, რომ მათ არავითარი წოდება არ ჰქონდათ და არც არავითარი ნიშნების მიკერება არ შეეძლოთ; ის კი არადა, ერთ-ერთი მათგანი, ეგელჰეხტი, ეცადა ჩემთვის რაღაცა პატიოსნების სასამართლოს მაგვარი რამ მოეწყო, რომელზედაც უარყოფილი იქნებოდა ჩემი გერმანელობა (და მე სურვილი მქონდა, იმ სასამართლოს, რომელიც არასოდეს არ შემდგარა, ისეთი ძალა ჰქონოდა, ჩემთვის გერმანელობა ნამდვილად ჩამოერთვა). მათ არ იცოდნენ, რომ ნაცისტები და არანაცისტები მძულდნენ არა მკერაობისათვის, ანარადა თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებისათვის, არამედ იმისათვის, რომ ისინი მამაკაცები იყვნენ, მამაკაცები, იმავე სქესისანი, რომლებთანაც ექვსი წელი მქონდა გატარებული; მცნებანი: „კაცი“ და „სულელი“ ჩემთვის თითქმის იდენტური გახდნენ.

სადაც ვაგონის კუნჭულიდან ეგელჰეხტის ხმა მომესმა: „პირველი გერმანული პური და ისიც სწორედ მას ერგო“.

მის ასლუკუნებას აღარაფერი აკლდა, მეც მომინდა ტირილი, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ მიხვდებოდნენ, რომ მე პურის გულისთვის კი არ ატირდებოდი, ანდა იმისთვის, რომ ჩვენ ის-ის იყო გერმანიის საზღვარი გადავეკროთ, არამედ ამის მთავარი მიზეზი იყოს ის რომ, რვა თვის მანძილზე პირველად წამით იგრძნო ჩემმა ხელმა ქალის ხელის შეხება.

„შენ“, წყნარად მითხრა ეგელჰეხტმა, „ნამდვილად უარყოფ, პური გერმანული წარმოშობისააო“.

„ღიას“, ვუთხარი მე, „მე მივმართავ

ტიბიურ ინტელიგენტურ ტრიუქს და საკუთარ თავს დავეკითხები, ის ფქვილი, რომლითაც ეს პური გამოაცხვეს, ხომ არაა პოლანდიური, ინგლისური ანდა ამერიკული წარმოშობის. მოდი აქ, მივმართე ეგელჰესტს, „და თუ სურვილი გაქვს, პური გაანაწილე“.

მათგან მეტი წილი მძულდა, ბევრის მიმართ გულგრილად ვიყავი განწყობილი, ხოლო ბიქუნა, რომელიც უკანასკნელი შეუერთდა მიმკერებელთა ფრონტს, მომამბეზრებელი ხდებოდა ჩემთვის, და მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიმაჩნდა, ეს პური მათთვის გამენაწილებინა, დარწმუნებული ვიყავი, რომ პური მართო მე არ შეკუთვნოდა.

ეგელჰესტი ზანტად მოიწვედა წინ: იგი მაღალი და გამხდარი იყო, ისეთივე მაღალი და გამხდარი, როგორც მე; იგი ოცდაექვსი წლისა იყო, იმდენივე ხნის რამდენისაც მე; ეგელჰესტი სამითვის მანძილზე ცდილობდა ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ ნაციონალისტი ეს კიდეც ნაცისტი არ იყო, რომ სიტყვება პატიოსნება, ერთგულება, სამშობლო, ღირსება არასოდეს თავიანთ ფასს არ დაკარგავდნენ. ხოლო ჩემის მხრივ, ეგელჰესტის სიტყვების ნიაღვარს ყოველთვის მხოლოდ ხუთ სიტყვას ვუპირისპირებდი: ვილჰელმ II, პაპენი, ჰინდენბურგი, ბლომბერგი, კაიტელი, და ეგელჰესტი ცოფდებოდა, რომ მე არასოდეს ჰიტლერზე არ ვლაპარაკობდი, არც მაშინ ვამიღია ხმა, როცა 1 მაისს ბანაკში გუშავი შემოიჭრა სირბილით და რუპორით იქაურობას მოჰფინა: „Hitler is dead, dead is he“. (ჰიტლერი მოკვდა, იგი მოკვდა — ინგ.).

„აჰ, ვუთხარი მე, „გაანაწილე პური“, „გაითვალე“, მიმართა ეგელჰესტმა. მე პური ეგელჰესტს მივეცი, მან მაზარა გაიხადა, ვაგონის იატაკზე სარჩულით ზევით დააფინა, სარჩული ხელით გაასწორა, პური ზედ დასდო, ამ დროს კი ჩვენს ირგვლივ ითვლიდნენ. „ოცდამეთორმეტე“, დაიძახა ბიქუნამ, შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. „ოცდამეცამეტე“, თქვა ეგელჰესტმა და მე შემომხედა,

რადგან ოცდამეცამეტე მე უნდა მეთქვა; მაგრამ მე რიცხვი არ წარმომიტყუებია, შევბრუნდი და გარეთ დავიხეხე. მართლაც: შარავზას ბებური ხეები მიუყვებოდა: ნაპოლეონის დროინდელი ალვის ხეები და თელები; ამ ხეების ქვეშ შევისვენებდით ზოლმე მე და ჩემი ძმა, როცა იაფფასიანი შოკოლადისა და სიგარეტების საყიდლად ველოსიპედებით ვეცეოდან პოლანდიის საზღვრამდე მივმგზავრებოდით.

ვგრძნობდი რომ ჩემს ზურგს უკან მყოფნი საშინლად ნაწყენი იყვნენ; ქუჩის გასწვრივ ყვითელი ფერის გზის მახვენებლები იდგა: კალკარისაყენ, ქსანტენისაყენ, გელდერხისაყენ. ზურგს უკან ეგელჰესტის თუნუქის დანა ხმაურობდა, ვგრძნობდი მათი ბოღმა საწვიმარი ღრუბელივით თანდათან იზრდებოდა; ისინი ყოველთვის რაღაცის გულსთვის განაწყენდებოდნენ ზოლმე, ისინი ასეთები იყვნენ, ნაწყენი რჩებოდნენ, როცა ინგლისელი გუშავი სიგარეტს აჩუქებდა, სწყინდათ ისიც, როცა არ აჩუქებდა ხოლმე; ისინი ნაწყენი იყვნენ, როცა მე ჰიტლერს ვავიხებდი, ხოლო ეგელჰესტი საშინლად შემომწყურებოდა, როცა ჰიტლერს არ ვავინებდი. ბიქუნა საიღუშლოდ ბენიამინსა და ბრეტს. პრუსტს, ტუხოლსკისა და კარლ კრაუსს კითხულობდა, ხოლო როცა ჩვენ გერმანიის საზღვარი გადავკერით, იგი გიმნასტურას იუნკრის სირმებს აკერებდა. ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე, რომელიც შტაბის ეფრეიტორის სამხრეთში გადავცვალე, შემოვბრუნდი და ბიქუნას გვერდით დავკეჭი. ვუყურებდი ეგელჰესტი პურს როგორ ანაწილებდა: შუაზე გასჭრა, შემდეგ ნახევრები გაათხა, ისინი კიდეც გაამერვედა. ამრიგად, თვითველ მათგანს მშვენიერი სქელი პური ნაჭერი ერგო, შავი პურის კუბიკი, რომელიც, ჩემის აზრით, სამოცი გრამი მაინც იქნებოდა.

ეგელჰესტი, თავის საქმეს განაგრძობდა და როცა მან უკვე პურის უკანასკნელი მერვედი ოთხად გასჭრა, თვითველმა იცოდა, ვისაც შუა ნაჭრები შეხვდებოდა.

ბოდა, სულ ცოტა ათიდან ხუთ გრამამ-
და მეტ პურს მიიღებდა, რადგან შუა
აღვილას პური ამოწნეწილი იყო, ხოლო
ეგელაქებმა პურის პატარა ნაჭრები ერ-
თნაირი სისქისანი დასჭრა. შემდეგ მან
პურის შუა ადგილს ამოწნეწილები ჩა-
მოსჭრა და თქვა: „ოცდაცამეტი —
ყველაზე უმცროსი დაიწყებს“. ბიჭუნამ
მე შემომხედა, გაწითლდა, დაიბარა, ერ-
თი ნაჭერი პური აიღო და თვალის და-
ხაზბაშებში პირში ჩაიტენა; ყველაფერა
კარგად მიმდინარეობდა, ვიდრე ბუვიემ,
ყოველთვის რომ თავის თვითმფრინავებ-
ზე ლაპარაკობდა და ამით ჭკუიდან მშ-
ლიდა, თავისი კუთვნილი ნაჭერი პური
არ აიღო; ბუვიეს შემდეგ ჩემი რიგი იყო,
ჩემს შემდეგ ეგელაქების, მაგრამ მე
არც გავნძრეულვარ. სიამოვნებით მოე-
წყნედი სიგარეტს, მაგრამ ასახით არ
მჭონდა და არც არავინ არ მომაწოდა.
მათ ვისაც პური უკვე აღებული ჰქონ-
დათ, შეშინებულებმა ლეკვას თავი დაა-
ნებეს, ვისაც აღებული არ ჰქონდა, ვერ
გაეგოთ რა ხდებოდა, მაგრამ შემდეგ
მანინც მიხვდნენ: რომ მათთან ლეკვის
გაზიარება არ მსურდა. ისინი შეურაც-
ხყოფილად გრძნობდნენ თავს, მაშინ
როცა სხვები (რომლებსაც კუთვნილი
პური უკვე აღებული ჰქონდათ) შეცბუ-
ნებულები იყვნენ. ვცადე გარეთ გამე-
ხედა, მეცქირა ნაპოლეონის დროინდე-
ლი ალვის ხეებისა და თელებისათვის,
ხეივნისათვის, რომელშიც სინათლე
ატანდა, ხოლო სინათლის იმ ნაგლეჯში
პოლანდიური ზეცა გამოკრთოდა, მაგ-
რამ ჩემი ცდა, ვითომ მათთან არაფერი
მესაქმებოდა, უხეროო გამოდგა. შიში
მჭონდა მუშტი-კრივი არ გამართულიყო,
რაც ადვილი მოსალოდნელი ჩანდა; ვე-
რაფერი მოწხუბარი ვიყავი და კიდევ
რომ ვყოფილიყავი, ბევრს ვერაფერს
მიშველიდა, ისინი ისევე მიმბეგავდნენ,
როგორც მაშინ, ბრიუსელთან მდებარე
ბანაკში, როცა ვთქვი, მირჩევნია მკვდა-
რი ებრაელი ვიყო, ვიდრე ცოცხალი
გერმანელი-თქო. პირიდან სიგარეტი გა-
მოვიღე, ჯერ ერთი, მოწვევა სასაცილოდ
მეჩვენებოდა, და მეორეც, არ მსურდა

სიგარეტი მუშტი-კრივი დაამეკარგა, და
ბიჭუნას შევხედე, სულ მჭიდვად ეპყრ-
ხლებული ჩემს გვერდით დაეყრდნობო-
ყო. ეგელაქების შემდეგ ბუგელერის
რიგი იყო, მან თავისი ნაჭერი პური აი-
ღო და თვალის დახაზბაშებში პირში
ჩაიტენა, დანარჩენებმაც თავთავიანთი
ულუფა აიღეს; ჯერ კიდევ სამი ნაჭერი
პური იყო დარჩენილი, როცა წინ გამო-
ვიდა კაცი, რომელსაც კარგად არც კი
ვიცნობდი, იგი პირველად ჩვენს კარავ-
ში ბრიუსელთან მდებარე ბანაკში მოხ-
ვდა; უკვე მოხუცი იყო, თითქმის ორ-
მოცდაათი წლისა იქნებოდა, პატარა ტა-
ნისა იყო, ჩაშაყებული, ნიაჩარევი სახე
ჰქონდა, როცა ჩვენ კამათს აეტეხდით,
არასოდეს კრინტს არ სძრავდა, კარავი-
დან გავიდოდა და მავთულხლართიანი
ლობის გასწვრივ დაიწყებდა სიარულს;
ეტყობოდა, ასეთ სეირნობას იგი დაჩ-
ვეული იყო. მე მისი სახელიც არ ვიცო-
დი; მას გახუნებული კოლონიალური
ჯარების ფორმა და სამოქალაქო წაღები
ეცვა. იგი ვაგონის სიღრმიდან პირდა-
პირ ჩემსკენ გამოემართა, ჩემს წინ გა-
ჩერდა და არ მოველოდი ისეთი სათუ-
თი ხმით მომმართა: „აიღე პური“ —
ხოლო როცა პური მანინც არ ავიღე, მან
თავი გააქნია და მითხრა: „დაწყველილი
ნიჭი გაგაჩნიათ იმისათვის, რათა ყვე-
ლაფერს სიმბოლური მნიშვნელობა
მიანიჭოთ. ეს პურია და მეტი არაფერი,
მერედა ქალმა შენ გაჩუქა, ქალმა —
მოდი და აიღე“. მან ერთი ნაჭერი პური
აიღო, უმწეოდ ჩამოკიდებულ მარჯვე-
ნა ხელში ჩამიტენა და თითები მაგრად
მომაჭერინა. თვალები სულ მთლად მუ-
ქი ჰქონდა, მაგრამ შავი მანინც არ იყო,
ჩანდა, მისი დღე და მოსწრება სულ ცი-
ხეში ჰქონდა გატარებული. მე თავი და-
ევქნე, ხელის ძარღვები დავძაბე, რომ
პური არ დამვარდნოდა; ვაგონს ღრმა
ამოთხვრამ გადაუარა, ეგელაქებმა თა-
ვისი კუთვნილი პური აიღო, შემდეგ
კოლონიალური ჯარების ფორმაში ჩა-
მულმა მოხუცმაც იგივე მოიმოქმედა.
„წყველიმც იყოს“, თქვა მოხუცმა, „უ-
კვე თორბეტი წელიწადია გერმანიიდან

გადახვეწილი ვარ, მაგრამ თქვენი სიგიჟის უკან რაც იძალდება თანდათან ვხვდები“. ვიდრე პურს ბირში ჩავეიდებდი, მატარებელი გაჩერდა და ჩვენ ჩამოვედით.

თვალუწვდენელ ქარხლის ველზე ერთი ძირი ხეც არსად მოსჩანდა; რამდენიმე ბელგიელი გუშაგი ქუდზე და საყელოზე მიკერებულ ფლანდრიული ემბლემებით, რომელზედაც ღომი იყო გამოსახული, მატარებლის გასწვრივ დარბოუნენ და ყვიროდნენ: „გამოდით, ყველანი გამოდით!“

ბიჭუნა ჩემს გვერდით ატუზულიყო; იგი სათვალეს წმენდდა და თან საღვურის წარწერას უყურებდა: „ვეეცე — ამის შესახებაც რაიმე გავიგონებ?“ მკითხა მან.

„ღიას“. ვუთხარი მე. „იგი მღებარეობს კეველაერის ჩრდილოეთით და ქსანტენის აღმოსავლეთით“.

„ოჰ“, თქვა მან, „კეველაერი, ჰაინრიხ ბაინე“.

„ქსანტენი კი: ზიგფრიდი, იქნებ ესეც დაგავიწყდა“.

დედა ჰელენე გამახსენდა. ვეეცენეტავე კოლნამდე რატომ არ მივედი? ვეეცედან ბევრი აღარათფერი იყო დარჩენილი, გარდა რამდენიმე აგურისფერი ნანგრევებისა, რომლებიც ხეების ქეწურებებს შორის მოსჩანდა. დედა ჰელენეს ვეეცეში დიდი მალაზია ჰქონდა, ნამდვილი სოფლური მალაზია და ყოველ დღით იგი ფულს ჩაგვიკუპავდა, რათა ნირსზე ნავეებით გასეირნება შეგვძლებოდა, ან არადა ველოსიპედით კეველაერში ვავმგზავრებულიყავი. მომაგონდა კვირაობით გამართული წირვები ეკლესიაში: როცა წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ კონტრაბანდისტებს და ავხორცებს.

„რას უყურებთ“, გაიმახოდა ბელგიელი გუშაგი, „გადაადგიო ფეხი, თუ სახლში წასვლა არ გსურთ?“

მე ბანაკში შევედი. პირველად ინგლისელი ოფიცრის წინ ჩავიარე, რომელმაც ოც-ოც მარკიანები დაგვირიგა,

ტყვეებს კი ხელი უნდა მოგვეწერა. აქრს შემდეგ ექმთან უნდა გამოვცხადებულყავით. ექიმი ახალგაზრდა გერმანელი იყო და რალაცნაირად იღრიჭებოდა. იგი იცდიდა ვიდრე ოთახში თორმეტოთხუთმეტი კაცი არ მოგროვდა, შემდეგ კი გვითხრა: „ვინც ისე ავადაა, რომ სახლში გამგზავრება არ შეუძლია, ხელი ასწიოს“, ამ სულელურ და სასაცილო ობუნჯობაზე რამდენიმე ჩვენთაგანს გეეცინა; შემდეგ ჩვენ სათითაოდ ექიმის მაგიდასთან მივდიოდით, ბეჭედდამსულ განთავისუფლების ქაღალდს ვიღებდით და მეორე კართი გარეთ გავდიოდით. რამდენიმე წამს ღია კარში ვაჩერდი რადგან ექიმის ხმა შემომესმა: „ვინც ისე ავადაა, რომ...“ შემდეგ გზა განვაგრძე, სიცილი შემომესმა, როცა დერეფნის მეორე ბოლოს მივაღწეე, და შემდეგ ინსტანციის მივამუხრე: ეს გახლდათ ინგლისელი ფელდფებელი, რომელიც ყამირ მინდორში ფეხსადაგილისთვის ამოთხრილ და გადაუხურავ ორმოსთან იდგა. ფელდფებელმა გვითხრა „წარმოადგინეთ თქვენი ჯარისკაცის წიგნაკები და საერთოდ, ქაღალდისმაგვარი თუ რაიმე გაგაჩნიათ ყველაფერი ამოაწყვიტო“. ეს მან გერმანულად გვითხრა, ხოლო, როცა ჩვენ ჯარისკაცის წიგნაკები ამოვიღეთ, მან ფეხსადაგილისთვის ამოთხრილ ორმოზე მიგვიითთა და გვიბრძანა შიგ ჩაგვეყარა, თან გერმანულადვე დაუმატა: „ჩაყარეთ, ნუ დაიზარებთ“. ამ ზემორობაზე ბევრს ვაეციინა. საერთოდ დავადგინე, რომ გერმანელები ობუნჯობის აზრს უცებ ჩახვებოდნენ, თუკი ობუნჯობა უცხოური იყო: წარმოადგინეთ, ბანაკში ერთხელ ეგელჰეხტმაეც გაიციინა, როცა ამერიკელმა კაპიტანმა ეკლიან მავთულხლართზე მიათითა და თქვა: „Boys“, (ბიჭუნა ინგლ.) ტრაგიკულად ნუ აღიქვამთ, ბოლოს, როგორც იქნა, თავისუფლება გელირსათ“.

ინგლისელმა ფელდფებელმა მეც მომკითხა ქაღალდები, მაგრამ განთავისუფლების ცნობის გარდა არაფერი ქაღალდი მე არ მქონდა; ჩემი ჯარისკაცის

წიგნაკი ვილაცა ამერიკელს ორ ცალ სიგარეტში მიეყიდვება; ფელდფებელს მხოლოდ ეს ვუთხარი: „არაერთიარო ქა- ლალდები არ მაქვს“ — ამ სიტყვებმა იგი ისე გააბრაზა, როგორც ერთხელ ამერიკელი ფელდფებელი გაამბრაზდა, რადგან მის შეკითხვაზე „პიტლერიუ- გენდის, SA-ს წარმომადგენელი ხარ თუ პარტიისწევრო?“ „NO“ (არა! ინგლ.) ვუთხარი. ფელდფებელმა დამიღრიალა და სასჯელიც მტკუცა, თან მლანძღავდა და ბებიაჩემს რაღაცა სექსუალური და- ნაშაული მიაწერა, რომლის ბუნებაც ამერიკული სლენგის არასაკმარისი ცოდნის გამო ჩემთვის გაუგებარი და- რჩა. ისინი ცოფდებიან, როცა ვინმე მათ მიერ გამოჭრილ თარგს არ მოერგება. ინგლისელი ფელდფებელი სიბრაზისა- გან გაწითლდა, წამოვარდა და ჩხრეკვა დამიწყო; ხელის ფათური დიდხანს არ დასჭირვებია, მაშინვე იპოვნა ჩემი დღიურები: დღიურები სქელი იყო, ქა- ლალდის ტოპრაკებისაგან ერთხომაზე დაჭრილი ფურცლები, მათეულის დასა- მაგრებლებით, რვეულივით მქონდა აკინძული. დღიურებში ყველაფერს აღ- ვანიშნავდი რაც შუა პერიოდის სექტემ- ბრის ბოლომდე თავს გადაძნდა: მოყო- ლებული იქედან, როგორ დამატყვევა ამერიკელმა სტივენსონმა და დამთავრე- ბული უკანასკნელი ჩანაწერით, რომე- ლიც უკვე მატარებულში ჩავიანიშნე, რო- ცა პირქუში ანტეერპენი გავიარეთ და ერთ კედელზე წავიკითხე: Vive le Roi! (გაუმარჯოს მეფეს! ფრანგ.) ჩაწიწიწე- ბული ნაწერი დღიურები ას გვერდზე მეტი იყო. გაცოფებულმა ფელდფე- ბელმა დღიურები წამართვა და ფესხა- დ- გილისთვის ამოთხრილ ორმოში გადაუ- ძახა, თან დააყოლა: „მე ხომ გკითხეთ, ქაღალდები გაქვთ თუ არათქო?“ შე- დგე კი წასვლის ნება მომცა.

ჩვენ მკიდროდ შეგვფუფულები ბანა- კის ქოშკართან ვიდექით და ბელგიელე- ბის საბარგო მანქანებს ველოდებოდით. როგორც შევიტყვეთ, მანქანებით ბონში უნდა ჩავყვავნეთ. ბონში? რატომ მაინცა 7. „მნათობი“, № 2.

და მაინც ბონში? ვილაცა ჰყვებოდა, კოლნი დაეტილია, რადგან გვაქვითა აესებულო, მეორე კე... ვახანგრძობდა, ოცდაათი-ორმოცი წლის მანძილზე ნა- გავი უნდა ვთხაროთ, ნანგრევების ნაგა- ვი უნდა ვზიდოთ, „ვაგონეტებსაც არ მოგვეცემენ, ნაგავი კალათებით უნდა გა- დავზიდოთო“. საბედნიეროდ, ჩემს ან- ლოს არაეინ იღვა ისეთი, რომელთანაც ერთად კარავში მეძინა, ანდა ვაგონში ჩემთან ერთად მგზავრობდა. იმათი ლაქ- ლაქი, ვისაც არ ვიცნობდი, ისე არ მგვრი- და ზიზღს, როგორც ნაცნობების პირ- მორღვეული ლაყობა. ამ დროს საღ- ლაც ჩემს წინ ვილაცამ თქვა: „მაგრამ მან ხომ ებრაელს პური გამოართვა“. მეორემ დაუმატა: „ღიახ, ეს ის ტიპე- ბია, რომლებიც ტონის მიმცემა იქ- ნებიან“. ზურგიდან ვილაცამ მჭილი წამ- კრა და მკითხა: „ას გრამ პურს მოგცემ და სიგარეტი მომეცი, რას იტყვი?“ და მან ზურგს უკნიდან გადმოწვდილი ხე- ლი ცხვითან მომიტანა; იმ კაცის ხელს დავხედე, ეს ის პურის ნაჭერი იყო, რომელიც ეგელჰებტმა ვაგონში გაანაწილა. მე თავი გავაქნიე. ვილაცამ თქვა: „ბელ- გიელები ერთ ცალ სიგარეტს ათ მარკად ყიდნიან“. ძალიან იაფი მომეჩვენა: ბა- ნაკში გერმანელები ერთ ცალ სიგარეტს ასოც მარკად ყიდდნენ. „გინდა სიგა- რეტი?“ — „ჰო“, ვუთხარი მე და ჩემი ოცმარკიანი ვილაც უცნობს ხელში ჩა- ვუქაშე.

ყველანი რაღაცით ვაჭრობდნენ. ეს იყო ერთად-ერთი, რაც მათ სერიოზუ- ლად აინტერესებდათ. ორიათასი მარკის და გაცვეთილი ფორმის საფასურად, ვილაცამ სამოქალაქო კოსტუმში იშოვა; გაცვლა და გადაცმა იქვე, მომლოდინე ბრბოში მოხდა, და უცებ გავიგონე, ვი- ლაცა აყვირდა: „ქვედა საცვალიც ამას ეკუთვნის, ეს ხომ დღესავით ნათელია. ჰალსტუხიც, აგრეთვე“. ვილაცამ მაჯის საათი სამიათას მარკად გაყიდა. მაგრამ ვაჭრობის მთავარი საგანი მაინც საპო- ნი იყო. მათ, ვინც ამერიკელების ბანაკ- ში იყვნენ ნამყოფი, ბევრი საპონი ჰქონ- დათ, ზოგიერთს ოცი ნაჭერიც კი წამოე-

ლო, რადგან იქ ყოველ კვირა იძლეოდნენ საპონს, სამაგიეროდ არასოდეს დასაბანი წყალი არ იყო, ხოლო მათ, ვინც ინგლისელთა ბანაკებში იყვნენ ნაყოფი, საერთოდ არავითარი საპონი არ გააჩნდათ. მწვანე და წითელი საპნის ნაჭრები ხელიდან ხელში გადადიოდა. ზოგიერთს სკულპტორის პატივმოყვარეობა გამოეჩინა, საპნისაგან პატარა ძაღლები, პატარა კატები, ბაღის მოსართავი ქონდრისკაცები გაეკეთებინა, მაგრამ ახლა გამოარკვია, რომ მოქანდაკის პატივმოყვარეობამ ვაჭრობის ფასი დასცა: გაუფორმებელი საპნის ფასი მეტი იყო, ვიდრე გაფორმებულისა, ეწინოდით გაფორმებული საპონი წონაში ნაკლები იქნება.

უცნობის ხელი, რომელშიც მე ოცმარკიანი ჩავეჭუქე, მართლაც ერთხელ კიდევ გამოჩნდა და მარცხენა ხელში ორი სიგარეტი ჩამიღო; ასეთმა მომეტებულმა პატიოსნებამ გული კინალამ ამიჩუყა (მაგრამ გულის კინალამ აჩუყება იმდენხანს გამყვა, ვიდრე გავიგებდი, რომ ბელგიელები თითო სიგარეტს თურმე ხუთ მარკად ყიდდნენ; როგორც ჩანს, ასი პროცენტი მოგება ჰონორარად ითვლებოდა, განსაკუთრებით „ამხანაგებს“ შორის). ჩვენ დაახლოებით ორი საათი ვიდევით ჯგუფთაში და მე მხოლოდ ხელები მახსენდება: მოვაჭრე ხელები, რომლებიც საპონს მარჯვნიდან მარცხნივ გადასცემდა, მარცხნიდან მარჯვნივ, ფულს მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ; ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გველების ბუდეში შემავადეს; ხელები ყოველი მხრიდან მოძრაობდნენ, ყოველი მხრიდან, ჩემს მხრებსა და თავს ზევით. ყველა მიმართულებით მიმოდით და საქონელი და ფული.

ბიჭუნამ იმდენი იმარჯვა, კვლავ ჩემს ახლოს მოახერხა მოსვლა. იგი ბელგიურ საბარგო მანქანაზე ჩემს გვერდით დაეკოსა; მანქანა კვევლაერში მიდიოდა, კვევლაერის გავლით კრეფელში, შემდეგ კრეფელს შემოუვლიდა და ნოის-

ში მივიდოდა; მინდერებში და ქალაქებში სიჩუმეს დაესადგურა, დადამიანებს თითქმის ვერ ვხედავდით, კონტარდენ საქონელს მოვკარით თვალი, ხოლო შემოდგომის ცა ძალიან დაბლა ეკიდა ძირს. ჩემგან მარცხნივ ბიჭუნა იჯდა, მარჯვნივ ბელგიელი გუშაგი და ჩვენ მანქანის ქმიდან შარავზას გავტყუროდით, რომელსაც მე ძალიან კარგად ვიცნობდი: ჩემი ძმა და მე ხშირად დავდიოდით ამ გზაზე. ბიჭუნა ისევ და ისევ საუბრის გაგრძელებას ცდილობდა, რათა თავი ემართლებინა, მაგრამ ყოველთვის სიტყვას ვუჭრიდი, იგი კი ისევ და ისევ საუბრის განახლებას ცდილობდა, რათა თავისი სულიერი სიმდიდრე გამოეჩინა. არადა, თავისას არ იშლიდა. „მაგრამ ნოისის შესახებ“, მითხრა მან, „არაფერი არ გაგახსენდება. რა შეიძლება ნოისის შესახებ გაგახსენდეს?“

„ნოვეზიას შოკოლადი“, მივუგე მე, „მეავე კომპოსტო და კვირინიუსი, მაგრამ თებეს ლეგიონის შესახებ შენ ნამდვილად არასოდეს არაფერი გექნება გაგონილი“.

„არა“, თქვა მან და კვლავ გაწითლდა.

ბელგიელ გუშავს შევეკითხე, მართალია თუ არა, რომ ამბობენ, კოლნი დაკეტილია და გვამებითაა ავსებულიო; მან მიპასუხა: „არა, მაგრამ არც საბარბიელოდ გამოიყურება, შენ რა, წარმოშობით იტალიური ხარ?“

„ჰო“, მივუგე მე.

„მაშინ რაღაცაზე დაფიქრება გმართებს... საპონი კიდევ გაქვს?“

„ღიახ“, გუპასუხე მე.

„აბა, შეზედე“, მითხრა მან და ჯიბიდან კოლოფი თუთუნის დააძრო, გახსნა და ლიყავისფერი, სურნელოვანი დაჭრილი თუთუნის ცხვირთან მომიტანა, „ორი ნაჭერი საპონი მომეცი და ეს შენი კუთვნილება იქნება — განა პატიოსანი წინადადება არაა?“

მე თავი დავექნე, შინელის ჯიბეში საპონი მოვებნე, ორი ნაჭერი გუშავს მივეცი და თუთუნის ჯიბეში ჩავიდე. გუშავმა თავისი ავტომატი მე მომაჩვენა,

თვითონ კი ჯიბეებში საბონი ჩაიწყო; მან ამოიბრა, როცა ავტომატი უკან დავეზბრუნე. „ეს დაწყველილი ნივთები“; თქვა მან, „ცოტა ხანს ალბათ კიდევ იქნება საჭირო იარაღის ტარება. თქვენ არც ისე ცუდად გრძნობთ თავს, როგორც გგონიათ. მერედა რაღა გატირებს?“

მე მარჯვნივ გავიშვირე ხელი და რაინი დავინახე. ჩვენ დორმაგენისაკენ მივდიოდით. დავინახე, რომ ბიჭუნა პირის გაღებამ აპირებდა და სწრაფად ვუთხარი: „თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი, ბოლოს და ბოლოს, დააჭირე ენას კბილი“. მას უეჭველად სურდა ეკითხა, რაინმა თუ რაიმე მომავონა. მაღლობა ღმერთს, ბიჭუნა ძალიან განაწყენებული იყო და ბონამდე ხმა აღარ ამოუღია.

კოლწმი მართლაც რამდენიმე სახლი-ლა იღგა; საღდაც მიმავალი ტრამვაი დავინახე, ადამიანებიც, წარმოიდგინეთ — ქალებიც: ერთმა ქალმა თავიც კი დაგვიქინა; ჩვენ ნოისერშტრასეზე ხეივნი-საკენ შევუხვიეთ და მის გასწვრივ განვაგრძეთ გზა; მთელი ეს დრო ყოველ წამს ცრემლების წამოცვენას ველოდებოდით, მაგრამ არა და არ მომდიოდა; სადაზღვევო სააგენტოს შენობები ბულვარის გასწვრივ დანგრეული იყო, შოპენშტაუფენების აბანოსაგან გადარჩენილი რამდენიმე ლიაცისფერი ფილადა დავინახე. მთელი ეს დრო იმის იმედით ვიყავი, საბარგო მანქანას იქნებ მარჯვნივ შევხვია, რადგან ჩვენ კაროლინგების ხეივანში ვცხოვრობდით; მაგრამ მანქანამ არსად არ შეუხვია, ხეივნის გასწვრივ ქვევითკენ მიჰქროდა: გავიარეთ ბარბაროსას მოედანი, საქსების ხეივანი, ზალიერის ხეივანი, მე ვცდილობდი თავი ზევით არ ამეწია და არც აწევდი, რომ ხლოდევის მოედანზე საბარგო მანქანების კოლონაში ჩვენი მანქანა არ გაჩხერილიყო და სწორედ იმ სახლის წინ არ გაჩერებულყო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით; სხვა გზა არ იყო, ზევით ავიხედე. მცნება „სრულიად დანგრეული“ შეცდომა იქნებოდა; მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ახერხე-

ბენ ხოლმე სახლის პირწმინდად დანგრევას: სამჯერ, თხზჯერ უნდა მოახვედრო მიზანს და საიმედოდ რომ იყო საბოლოოდ ხანძარიც უნდა გაუჩინო; სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, სრულიად დანგრეული ტექნიკური თვალსაზრისით კი არ იყო, არამედ ოფიციალური მნიშვნელობით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახლის ცნობა მაინც შევძელი: გადარჩენილიყო სადარბაზო შესასვლელი და ზარის ღილაკი, და მე გგონია, სახლი, რომელსაც სადარბაზო შესასვლელი და ზარის ღილაკი შერჩენია, არ შეიძლება ტექნიკური მნიშვნელობის მქატირ აზრითაც სრულიად დანგრეულად მივიჩნიოთ; რომელ სახლშიც ჩვენ ვცხოვრობდით, სადარბაზო შესასვლელზე და ზარის ღილაკზე უფრო მეტი გადარჩენილიყო: სარდაფის ორი ოთახი თითქმის უვნებელი იყო, პირველ სართულზე რაღაც სასწაულად სამი ოთახი გადარჩენილიყო: ერთ დანგრეულ კედელს მესამე ოთახი ეყრდნობოდა, საკმარისი იყო წყლის ნაკადი მიგეშვათ, რომ ისიც ჩამოიქცეოდა; ჩვენი ბინიდან მეორე სართულზე კიდევ ერთი ოთახი გადარჩენილიყო, მაგრამ წინ, ქუჩის მხრიდან ჩამონგრეულიყო. მასზე მაღალი, ვიწრო ფრონტონი იყო აჩხორილი, შიშველი, ცარიელი ფანჯრის ნახვრეტებით. მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო ორი კაცი, რომლებიც ჩვენს სასადილო ოთახში ისე დასეირნობდნენ, თითქოს ფეხქვეშ მყარ ნიადგს გრძნობდნენ. ერთმა მათგანმა კედლიდან სურათი ჩამოხსნა, ეს იყო ტერბორხის რეპროდუქცია, რომელიც მამაჩემს ძალიან უყვარდა. ის კაცი, რომელმაც სურათი ჩამოხსნა, სურათიანად წინ გამოვიდა და ვიღაც მესამე კაცს დაანახა, რომელიც ქვევით, სახლის წინ იღგა, მაგრამ ამ მესამე კაცმა თავი ისე გააქნია, თითქოს აუქციონზე გასაყიდი ნივთი არ აინტერესებდა, ხოლო ის კაცი, რომელსაც ტერბორხის რეპროდუქცია ეჭირა, უკან დაბრუნდა და სურათი ისევ კედელზე ჩამოკიდა; მან სურათი გაასწორა კიდევ; კაციბ ასეთმა უმწიკლო მოქმედებამ გული

ამიჩუყა — ის კი არადა, მან უკან დაიხია, რათა დარწმუნებულიყო, სურათი ნამდვილად სწორად ეკიდა თუ არა, შემდეგ კმაყოფილების ნიშნად თავი დაიქნია. ამ ხანში მეორე კაცმა სხვა სურათი ჩამოხსნა კედლიდან; ეს იყო ლონხერის ტაძრის გრავეურა, მაგრამ მესამე კაცს, რომელიც ქვევით იდგა, ჩანდა ეს გრავეურაც არ მოეწონა. ბოლოს პირველი კაცი, რომელმაც ტერბორხის სურათი თავის ადგილას დაქინდა, წინ გამოვიდა, ხელები რუპორივით პირზე მიიღო და დაიყვირა: „პიანინო არის“. ქვევით მდგომმა კაცმა გაიცინა, თავი დაქნია, მანაც ხელები პირთან რუპორივით მიიტანა და დაიყვირა: „მე თსმას მოვიტან“. მე პიანინოს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი, სადაც იდგა: მარჯვნივ კუთხეში, რომლის დანახვაც მე არ შემეძლო, სწორედ იქ, სადაც ლონხერის სურათიანი კაცი ვაჭრა.

„სად ცხოვრობდი კოლნში?“ მკითხა ბელგიელმა გუშაგმა.

„იქეთ, სადაც“, ვუთხარი მე და გაურკვეველი ექსტით სადაც დასაველეთის მიმართულებით მივანიშნე.

„მადლობა ღმერთს, მგონი დავიძარით“, თქვა გუშაგმა. მან ძირს დადებული ავტომატი აიღო და ქუდი შეისწორა. გუშაგის ქულზე გამოსახული ფლანდრიული ლომი საკმარისად გაქუჩყიანებულიყო. როცა ჩვენ ზლოდვიგის მოედანზე შევუხვეით, მაშინ მივხვდი, მანქანების ქედვის მიზეზს: აქ საბუთების გასინჯვის მაგვარი რაღაც მიმდინარეობდა. ყველგან ინგლისის პოლიციის მანქანები იდგა, აქვე იყვნენ ხელებაწეული მოქალაქეები და ირგვლივ ადამიანების ნამდვილ ჯგროს მოეყარა თავი, ყველანი წყნარად იყვნენ, მაგრამ შემფოთებული ჩანდნენ: მოულოდნელი იყო ასეთ წყნარ და დანგრეულ ქალაქში ამდენი ადამიანი ერთად.

„ეს შავი ბაზარია“, თქვა ბელგიელმა გუშაგმა, „და დრო და დრო აქაურობას წმენდენ“.

ვიდრე კოლნიდან გავიდოდით, ჭერ კიდევ ბონერშტრასეზე უკამეტინადა სიზმარში დედაჩემის ყავის საფუძველ ვნახე: ყავის საფუძველს თსმებით ძირს უშვებდა ის კაცი, რომელმაც ტერბორხი ამაოდ შესთავაზა, მაგრამ ქვევით მდგომმა კაცმა ყავის საფუძველზე უარი სთქვა; მეორემ ისევ ზევით აიტანა, დერეფნის კარი გამოაღო და ეცადა ყავის საფუძველი იქ დაემავრებინა, სადაც იგი ყოველთვის ეკიდა: იქვე. სამზარეულოს კარის მარცხნივ, მაგრამ იქ კედელი აღარ იყო, რომელზედაც მას ყავის საფუძველის მიხრახენა შეეძლო, მაგრამ კაცი მაინც ცდილობდა და არ უშვებოდა (წესრიგის ასეთმა სიყვარულმა სიზმარშიც კი ამიჩუყა გული). მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით კაცმა კაცი მოსინჯა, ვერ იპოვნა და გაბრაზებულმა რუხი ფერის შემოდგომის ცას მუშტი მოუღერა, რომელიც ყავის საფუძველს დასაყრდნობს არ აძლევდა; ბოლოს კაცს ბედს შეურჩიდა, თსმა ისევ შემოაჯრა საფუძველს, წინ გამოვიდა, ყავის საფუძველი ძირს ჩამოუშვა და მესამე კაცს შესთავაზა, მან კვლავ უარი თქვა, პირველმა კვლავ ზევით აიტანა ყავის საფუძველი, თსმა შემოხსნა და როგორც ძვირფასი რამ ნივთი ქურთუქში დამალა. ამის შემდეგ მან თსმა დაახვია, ბურთივით დამარგვალა და მესამე კაცს, ქვევით რომ იდგა, შიგ სახეში ესროლა. მთელი ეს დრო მოსვენებას არ მაძლევდა ერთი საკითხი, რა დაემართა იმ კაცს, რომელიც ასევე ამაოდ სთავაზობდა ლონხერს, მაგრამ იგი ვერა და ვერ აღმოვაჩინე; რაღაც მიშლიდა ხელს ის კუთხე დამეთვალეურებინა, სადაც პიანინო და მამაჩემის საწერი მაგიდა იდგა, ამიტომ უბედურად ვგრძნობდი თავს, როცა წარმოვიდგენდი, რომ იმ კაცს შეეძლო მამაჩემის უბის წიგნაკები წაეკითხა. კაცი, რომელსაც ყავის საფუძველი ეჭირა, ანლა უკვე სადარბაზო ოთახის კარებში იდგა და კარის ლირსზე ყავის საფუძველის დამავრებას ცდილობდა, ჩანდა მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ყავის საფუძველისთვის ადგილი

მოეძებნა, და მე მანამდე დავაპირე იმ კაცის გულთან ახლოს მიტანა, ვიდრე აღმოვაჩენდი, რომ იგი ჩვენი ერთი იმ მრავალი მეგობართაგანი იყო, რომელთაც დედაჩემი ყავის საფუძვავით ანუგეშებდა ხოლმე, ერთი იმათგანის მსგავსი, რომელიც ომის დაწყებისთანავე დაბომბვის დროს მოკლეს.

ჭერ კიდევ ბონში არ ვიყავით შესული, როცა ბელგიელმა გუშაგმა გამაღვიძა. „აღდექი“, მითხრა მან, „თვალეში მოიფშვინტე, თავისუფლება ახლოსაა“; მე წელში გავსწორდი და ბევრ რამეზე დავიწყე ფიქრი, მათზე, რომლებიც დედაჩემის ყავის საფუძვავთან იყვნენ მიმჯდარი: სკოლის გამცდენი ბავშვები, რომლებსაც დედაჩემი საკლასო სამუშაოების წინაშე შიშს უქარწყლებდა, ნაცისტები, რომლებსაც ჰკლას არიგებდა, არანაცისტები, რომლებსაც ძლიერების გრძობას უნერგავდა: ყველა ისინი ყავის საფუძვავის ირგვლივ სკამებზე ისხდნენ და თბოულობდნენ ნუგეშსა და ბრალის დადებას, დაცვასა და დროის გადაწევას, მწარე სიტყვებით ინგრეოდა მათი იდეალები და თავაზიანი სიტყვებით უმასპინძლებოდნენ მათ, ვინც ამ დროებას გადაიტანდა: თანაგრძნობა სუსტებს, ნუგეში — დევნილებს.

ძველი სასაფლაო, ბაზარი, უნივერსიტეტი, ბონი. კობლენცენის ტიშკარით სამეფო ბაღში შევედით. „ნახვამდის“, მითხრა ბელგიელმა გუშაგმა, ხოლო ბიჭუნამ დაღლილი ბავშვური სახით მთხოვა: „წერილი მომწერე“. — „კი“, ვუთხარი მე, „მთელ ჩემს ტუბოლსკინ გამოგიგზავნი“.

„ბრწყინვალეა“, მითხრა მან, „კლასტასაც გამოგიგზავნი“.

„არა“, მივუხე მე, „მხოლოდ იმას გამოგიგზავნი, რომელიც ორი ცალა მაქვს“.

ეკლიანი მავთულის ღობურის წინ, საიდანაც ჩვენ საბოლოოდ გავგანთავისუფლდეს, თებრეულის ორ დიდ კალათას შორის ერთი კაცი იდგა: ერთ კალათში

ძალიან ბევრი ვაშლი ეწყო, მეორეში რამდენიმე ცალი საპონი; იგი გავტყვიროდა: „ვიტამინები, ამხანაგებო, ერთი ვაშლი — ერთ ნაჭერ საპონში“, და მე ვიგრძნენი, პირზე ნერწყვი მომადგა; უკვე წარმოდგენაც აღარ მქონდა, ვაშლი როგორ გამოიყურებოდა; კაცს ერთი ნაჭერი საპონი მივეცი, ერთი ვაშლი მივიღე და იმავე წუთს, იქვე ჩავეპირე; გავჩერდი და ეუყურებდი, სხვები როგორ გამოდიოდნენ. კაცს უკვე ყვირილი აღარც სჭირდებოდა; უსიტყვო ვაჭრობა განაღდა; კაცი კალათიდან ერთ ვაშლს იღებდა და ერთ ნაჭერ საპონს ღებულვობდა, საპნის ნაჭერს ცარიელ კალათში ავღებდა. როცა საპონი ეცემოდა ყრუ, მაგრამ მტკიცე ხმას გამოსცემდა. ყველა არ იღებდა ვაშლს, ყველას არ ჰქონდა საპონი, მაგრამ მომსახურება ისე სწრაფად ხდებოდა, როგორც ეს თვითმომსახურების მაღაზიაშია ხოლმე, და როცა მე ვაშლი შევჭამე, კაცმა კალათი უკვე ნახევრად დასცალა. ყველაფერი სწრაფად, ხელშეუშლელად, უსიტყვოდ კეთდებოდა, თვით ისინიც კი, რომლებიც ძალიან ხელმოშვორნე და ანგარიშიანები იყვნენ, ვაშლის დანახვისას ვერ შესძლეს საკუთარი თავისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ და მე მათ მიმართ თანაგრძნობით განვიმსჯევე. სამშობლო ასე აღერსიანად ეგებებოდა შინდაბრუნებულებს.

დიდი დრო მოვანდომე, ვიდრე ბონში ტელეფონს ეიპოვიდი. ბოლოს ფოსტაში ერთ გოგოსაგან შევიტყვე, რომ ტელეფონი მხოლოდ ექიმებსა და მღვდლებს დაუტოვეს და იმათაც, ვინც ნაცისტები არ იყვნენო. „მათ შიშის ზარს სცემს ვერვოლფები“, მითხრა გოგონამ. „შემთხვევით სიგარეტი ხომ არ გექნებათ ჩემთვის? მე ჯიბიდან თუთუნის კოლოფი ამოვიღე და ვუთხარი: „თუ ნებას მომცემთ გაგიხვევთ?“, მაგრამ გოგონამ უარით მიპასუხა, ეს თვითონაც შემძლიათ და შევცქეროდი, როგორ ამოიღო მან პალტოს ჯიბიდან პა-

პიროსის ქალაღი და ძალიან მარჯვედ და სწრაფად გაახვია მსხვილი სიგარეტი. „ვის გინდათ დაურეკოთ?“ მკითხა მან და მეც მივუგე: „ჩემს ცოლს“, გოგონამ გაიცინა და მითხრა, ცოლიანის შესახებ დაობა სრულებითაც არ გაქვთო. სიგარეტი ჩემთვისაც გაეახვიე და გოგონას შევეკითხე, აქ ხომ არ შეიძლება ვინმეს ერთი ნაჭერი საპონი მივყიდო-მეთქი; მე ფული მჭირდებოდა, სამაგზერო ფული და ერთი პენიცილიც კი არ მქონდა. „საპონი“, მითხრა მან, „აბა, ერთი მაჩვენეთ?“ შინელის სარჩულიდან ერთი ნაჭერი საპონი ამოვიღე, გოგონამ საპონი ხელიდან წამგლიჯა, უსუნა და თქვა: „ღმერთო ჩემო, ნამდვილი „პალმოლივე“ — ეს ღირს, ეს ღირს, — მე თქვენ ორმოცდაათ მარკას ვაძლევთ“. გოგონას განცვიფრებულმა შევხედე და მან მითხრა: „ღიახ, მე ვიცი, თქვენ ამისთვის ოთხმოცი მარკაც შეიძლება მოგცენ, მაგრამ მე ამისი საშუალება არა მაქვს“. მე ორმოცდაათი მარკა არ მიინდოდა, მაგრამ გოგონამ დაივინა, აიღეთო, შემდეგ შინელის ჯიბეში ჩამიკეჭა ქალაღის ფული და ფოსტიდან გარეთ ვიჭკრა: გოგონა ძალიან ლამაზი იყო, შიმშილისაგან გაღამაზებული, ეს კი გოგონების ხმას რაღაც განსაკუთრებულ სიმკვეთრეს ანიჭებდა.

რაც ყველაზე უფრო თვალში მომხვდა, ფოსტაშიც და ბონშიც ხეტილაფსას იყო ის გარემოება, რომ ვერსად თვალს ვერ მოჰკრავდით ჭრელბაფთიან სტუდენტებს და აგრეთვე ის, რომ ყველგან ქუჩის მცემდა: ყველა ადამიანს ცუდი სუნი ასლიოდა და ყველა სახლიდან ცუდი სუნი გამოდიოდა; მაშინდა მივხვდი, ის გოგონა რატომ ასე შეიშალა სანის გულისთვის; მე ვოგზლისაკენ გაწვიე, ვცადე როგორმე შემეტყო, რა გზით შემეძლო ობერკერ/შენაზში მივსულიყავი (იქ ცხოვრობდა იგი, ვისზედაც მე ჭვარი მქონდა დაწერილი), მაგრამ პასუხი ვერავინ ვერ მითხრა; ამ ადგილის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ საღდაც ბონიდან არც თუ ძალიან

შორს, აიფელთან მდებარეობდა; რუკაც არსად არ იშოვებოდა, რამდენხელდაც დახედეა შემეძლებოდა. შესაძლებელია ისინი ვერვოლფების გულისთვის აკრძალეს. ყოველთვის მსიამოვნებდა ზუსტად იმის ცოდნა, რომელი ადგილი სად მდებარეობდა, მოსვენებას ვკარგავდი, რომ ამ ობერკერ/შენაზის შესახებ ზუსტად არაფერი არ ვიცოდი და ზუსტად არც არაფრის შეტყობა შემეძლო. ვეცადე მომეგონებინა ყველა ბონელის მისამართი, რომლებსაც ვიცნობდი, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ იყო ექიმი და მღვდელი; ბოლოს ერთი თეოლოგიის პროფესორი გამახსენდა, რომელთანაც, ომის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ერთ ჩემ მეგობართან ერთად სტუმრად ვიყავი. თეოლოგიის პროფესორს ინდექსის თაობაზე რომთან უთანხმოება მოუვიდა და მასთან იმისთვის მივედი, რომ უბრალოდ ჩვენი სიმპათიები გამოგვეცხადებინა; ქუჩის სახელწოდება უკვე აღარ მახსოვდა, ვიცოდი მხოლოდ საღაც მდებარეობდა და პოპელსდორფის ზეივანს ქვევით დავუყვიე, შემდეგ მარცხნივ გადავხვიე, ერთხელ კიდევ გადავხვიე მარცხნივ, სახლავი ვიპოვე და შევხვით ამოვისუნთქე, როცა კარზე გვარი წავიკითხე. კარი თვითონ პროფესორმა გამიღო; ძალიან მოხუცებულიყო, გამხდარყო, წელში მოხრილიყო და სულ მთლად გათვრებულიყო. მე ვუთხარი: „თქვენ კარგად არც გეცნობებით, ბატონო პროფესორო, მე თქვენთან მაშინ ვიყავი, როცა რომთან ინდექსის თაობაზე შეხლა-შემოხლა მოგიხდათ — შეიძლება წუთით თქვენთან ლაპარაკი?“ შეხლა-შემოხლის ხსენებაზე მან გაიცინა, სათქმელი ბოლომდე მომისმინა, და მითხრა: „მობრძანდით“ და თავის სამუშაო ოთახში შემიძღვა; პირველი რაც შევნიშნე იყო ის, რომ, ოთახში თუთუნის სუნი აღარ სცემდა, დანარჩენი ყველაფერი ხელუხლებლად იწყო, წიგნები, კარტოთეკის ყუთი და ფიქსები. მე პროფესორს ვუთხარი, ყური მოვკარი, ტელეფონები თურმე მხოლოდ მღვდლებს და ექი-

მებს აქვს, და თან დაუფრატე, რომ აუცილებლად მსურდა ცოლისთვის დამერეკა; მან კვლავ ბოლომდე მომისმინა, რისი თქმაც მსურდა, რაც ძალიან იშვიათად ხდება და შემდეგ მითხრა, მართალია მღვდელი ვარ, მაგრამ არ ვეკუთვნი მათ, რომლებსაც ტელეფონი აქვთ, რადგან: „მე სულგზე არ ვზრუნავ“. „ჩვენებ ვერვოლფი ხართ“, ვუთხარი მე; პროფესორს თუთუნი შევთავაზე და გული დამეწევა, როცა შევხედე, როგორ უყურებდა თუთუნს; ყოველთვის გული მტყვივა, როცა მოხუცი ადამიანები რაიმეზე უარს ამბობენ, რაც მათთვის სასიამოვნოა. პროფესორს ხელები უკანკალვდა, როცა ჩიბუხს ტენიდა; მერე და ხელები მხოლოდ მოხუცებულობის გამო როდი უკანკალვდა?! როცა მან, ბოლოს და ბოლოს, ცეცხლი მოუკიდა — მე ასანთი არ მჭონდა და არ შემძლო დავხმარებოდი — მითხრა, მხოლოდ ექიმებსა და მღვდლებს კი არა აქვთ ტელეფონი, არამედ „იმ კაფეშანტანებშიც დგას, რომლებსაც ყველგან ხსნიან, სადაც კი ჭარისკაცები არიან“, და მეც იმ კაფეშანტანიდან უნდა ვცდნილიყავი დამერეკა; ერთი ასეთი კაფეშანტანი აქვე კუთხეშიაო. პროფესორი ატირდა, როცა გამომშვიდობებისას საწერ მაგიდაზე კიდევ რამდენიმე მწიკვი თუთუნი დაუყარე, და თვალცრემლიანმა მკითხა, ნეტავი თუ გესმით, რას აკეთებთო? მე მიუხედავად, დიხატე, და ვთხოვე; რამდენიმე მწიკვი თუთუნი ნაგვიანებ ძღვნად მიეღო იმ სიამაყისათვის, რაც მან მაშინ რომთან კამათისას დაამტკიცა. მე მას სიამოვნებით ვაჩუქებდი ერთ ნაჭერ საპონს, შინელია ჯიბეში კიდევ მჭონდა ხუთი თუ ექვსი ნაჭერი, მაგრამ შემეშინდა, სიხარული საგან გული არ გაუსკდესთქო; იგი ძალიან მოხუცი და სუსტი იყო.

„კაფეშანტანი“ ასეთი დაწესებულებისათვის ძალიან კეთილშობილური სახელწოდება იყო: მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია — „კაფეშანტანის“ კარის წინ ინგლისელი გუშაგი რომ არ

მდგარიყო. იგი ჭერ: კიდევ ახალგაზრდა იყო და როცა მის წინ გაეჩერდა მეცრად ამთვალ-ჩამათვალეთრა. მან ფირნოშზე მიმითითა, გერმანელებისთვის ამ კაფეშანტანში შესვლა აკრძალულიაო, მაგრამ ვუთხარი, ჩემი და მუშაობს აქ, მე ეს-ესაა ჩემს ძვირფას დედასამშობლოში დავბრუნდი და სახლის გასაღებები დას აქვსთქო. გუშაგმა დის სახელი მკითხა და უფრო საიმედო რომ ყოფილიყო გერმანელთა შორის გოგონას ყველაზე უფრო გაერცელებული სახელის თქმა ვამჯობინე და მივეუბნე: „გრეტჰენი“; ჰო, მითხრა მან, ეს ის ქერათმინია, და შიგ შემოშვა. თავს დაეიზოგავ და აღარ გამოვედგები სახლის შიგა ნაწილის აღწერას, მხოლოდ მივითითებთ „ქალიშვილების“, კინოსა და ტელევიზიის შესახებ არსებულ ლიტერატურაზე. თავს დაეიზოგავ და არც გრეტჰენის აღწერას შევეუდგები (იხ. ზევით); მთავარი მხოლოდ ის არის, რომ გრეტჰენს განსაცვიფრებლად სწრაფი მოსაზრების უნარი აღმოაჩნდა და მზად იყო ერთი ნაჭერი პალმობლივეს საფასურად კერშენბახის სამრეველოსთან (მე ვიმედოვნებდი, რომ ასეთი ადგილი საერთოდ არსებობდა) სატელეფონო კაშშირი დაგვემყარებინა და ის, ვინც ცოლად მყავდა შერთული ტელეფონთან გამოეძახათ. გრეტჰენი ტელეფონში ინგლისურად უშეცდომოდ ლაპარაკობდა, ამისხნა, რომ მისი მეგობარი სამოსამსახურო ხაზით დაკავშირებას ეცდებოდა, ეს უფრო მალე იქნებოდა. ვიდრე ვიცდიდით, გრეტჰენს თუთუნი შევთავაზე, მაგრამ მას უკეთესი ჰქონდა; მინდოდა ჰონორარის სახით შეპირებული ერთი ნაჭერი საპონი წინასწარ გადაეხება, მაგრამ გრეტჰენმა — არა — მითხრა, ასეთ რაიმეზე უარს ვამბობ, ამისთვის გასამრჯელოს არ ავიღებო, ხოლო როცა გადახდაზე ვაგჭიუტდი, მან ტირილი დაიწყო და გამანდო, რომ ჩემი ერთი ძმა ტყვედ არის, მეორე კი მოკლესო. სიბრალოლი გამოვთქვი და ვუთხარი, ლამაზი არაა, როცა გრეტჰენისთანა გოგონა ტირისთქო. იგი აგრეთვე გა-

მომიტყდა, რომ კათოლიკე ვარო, და ის იყო ყუთიდან თავისი პირველი ზიარების სურათის ამოღება გადასწყვიტა, ტელეფონშიც დარეკა. გრეტჰენმა ყურმილი აიღო და თქვა „ბატონი მღვდელი ბრძანდებით“, მაგრამ მე უკვე გავიგონე, რომ ეს კაცის ხმა არ იყო. „ერთი წუთით“, თქვა გრეტჰენმა და ყურმილი გამომიწოდა. ისე ვიყავი აღელვებული რომ ყურმილის დაჭერაც არ შემეძლო. მართლაც ხელიდან გამივარდა ყურმილი, საბედნიეროდ გრეტჰენს კალთაში ჩაუვარდა; მან ყურმილი აიღო, ყურზე მომაღო და მე დავიძახე: „აალო, შენა ხარ?“

„ჰო“, თქვა მან, „შენ, შენ სად ხარ?“

„ბონში ვარ“, მიუხედავად მე, „ჩემთვის ომი დამთავრდა“.

„ღმერთო“, თქვა მან, „არ მჯერა, არა — ეს არაა მართალი“.

„მართალია“, ვუთხარი მე, „მართალია, ჩემი ღია ბარათი მიიღე?“

„არა“, მიპასუხა მან, „რომელი ღია ბარათი?“

„როცა მე ტყვედ ჩავარდი — მაშინ ნება გეჭონდა ერთი ღია ბარათი დაგვეწერა“.

„არა“, მითხრა მან, „უკვე რვა თვეა შენს შესახებ არაფერი ვიცი“.

„ის ლორები“, ვთქვი მე, „ის დაწყებული ლორები, — ჰო, კარგი, მხოლოდ კიდევ ერთი რამ მითხარი, სად მდებარეობს კერძენიბაი“.

„მე“, იგი ისე ძლიერ ატირდა ლაპარაკის გაგრძელება ველარ შესძლო, მესმოდა სლუკუნი და ნერწყვის ყლაპვა, ბოლოს ჩურჩულით განაგრძო: „ბონის ვოგზალზე იყავი, მე მოგაკითხაე“, შემდეგ მისი ხმა აღარ მესმოდა, ვილაცამ ინგლისურად რაღაც თქვა, რაც მე ვერ გავიგე.

გრეტჰენმა მილი ყურთან მიიტანა, წუთით ყურს უგდებდა, თავი გააქნია და ყურმილი დასდო. მე გრეტჰენს შევხედე და ვიციოდი, რომ საპნის შეთავაზება უკვე აღარ შემეძლო. არც „მადლობის“ თქმა შემეძლო, ეს სულელურად მომეჩვენა. უმწეოდ ავწიე ხელი და გარეთ გამოვედი.

მე ვოგზალში ვბრუნდებოდი, ყურებში ქალის ხმა ჩამესმოდა, რომლისგანაც ცოლ-ქმრობაზე გადაკრული სიტყვა არასოდეს გამეგონა.

გერმანულიდან თარგმნა

ნოდარ რუსაძე

ლენინგრადისა და კრონშტადტის მისაღვრომებთან

თადარიგის მესამე რანგის კაპიტანი გიორგი ხვედელიძე თავის მხატვრულ ნარკვევში მოგვითხრობს ლენინური კომკავშირის მიერ წარგზავნილთა გმირობაზე დიდ სამამულო ომში. ნარკვევში მოთხრობილია ლენინგრადის ბლოკადის მძიმე დღეები, მუხღვეურთა ზღაპრული თავდადება, მათი უსაზღვრო ვაჟკაცობა საშობლოს დაცვისათვის.

გბეჭდავთ ერთ თავს ამ ნარკვევიდან.

• • •

დაიწყო ჩვენი ნამდვილი სალაშქრო ცხოვრება. ასეთ საგანგებო ვითარებაში სამხედრო მზადება გააღვირებელი ტემპით მიმდინარეობდა. ონის დაწყებიდან უკვე ერთი კვირის შემდეგ დავიყავით ასეულებად და თითქმის დაღმებამდე საველე პრაქტიკულ მეცადინეობას გავდიოდით ცის ქვეშ. იარაღის საქმე ძალზე ცუდად იყო. ჩვენს განკარგულებაში არსებული ზოგი შაშხანა სათამაშოდაც არ გამოდგებოდა. ერთს საკეტი არ ჰქონდა, მეორეს დამცემი, მესამეს მიმწოდებელი კოლოფი აკლდა. ერთი სიტყვით, შაშხანების აწყობა დაშლამ და ნაწილების დეტალურმა აღწერამ ლამის სული ამოგვართვა. საჭირო იყო მიზანში სროლა, ყველა სახეობის იარაღით პრაქტიკული ვარჯიში, მაგრამ დღეები გადიოდა, და მდგომარეობა ამ მხრივ არ იცვლებოდა...

ყველას გვესმოდა ვითარების სერიოზულობა. მატროსები ნოითხოვდნენ ღამე სანგრებში გაგვეთია, რათა თავიდანვე შევეგუებოდით ნამდვილ საბრძოლო ცხოვრებას. ზოლო ი. ბ. სტალინის სამი ივლისის გამოსვლის შემდეგ გადაჭ-

რით მოითხოვდნენ ფრონტზე გაგზავნას.

გერმანელები სულ მალე ლენინგრადის ოლქს მოადგნენ. ერთბაშად კატასტროფულად შემცირდა კვების რაციონი. მთელი დღე ტყუებსა და მინდვრებში სწრაფი ლაშქრული გადასვლებით დაღლილ-დაქანცული მებრძოლები ორასორმოცდაათ გრამ პურს ღებულობდნენ. დაიწყო პროლოგი ისტორიაში ცნობილი უდიდესი სიძნეელებისა, რომელსაც შემდეგში „ლენინგრადის ბლოკადა“ ეწოდა.

ჩვენი ასეულებისაგან საგანგებოდ შეიქმნა მე-2 საწყობრო მოსამზადებელი ბატალიონი, სადაც სასწავლებლის მსმენელებმა სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე დაყვავით, ხოლო შემდეგ კრონშტადტში გადაგვისროლეს.

ბალტიის ზღვაში ფაშისტები გვავიწროებდნენ. ჩვენი მოქმედების არე ძალზე შეიზღუდა. ზედიზედ განოდინდა მწყობრიდან სამხედრო გემები, სანაპირო მძიმე არტილერია. იქმნებოდა მუხღვეურთა დამკვრელი სახმელეთო ბრიგადები, საგანგებო რაზმები, მაგრამ პირველ ხანებში არ გვყოფნიდა იარაღი...

გერმანელები კი კვლავ წარმატებით მოიწვედნენ წინ. ნათ ზედიზედ აიღეს

პეტერგოფი, სტრელნა, მარტიშენო, შლისელბურგი და მთლიანად შემოარტყეს ალყა ლენინგრადს. გერმანელთა სარდლობა აღარაფერს ერიდებოდა. გერმანელთა მხარეზე იყო რიცხოზობივი უპირატესობა, როგორც ზღვისა და ხმელეთზე, ისე ჰაერში, მაგრამ ლენინგრადი მაინც არ ნებდებოდა. აქ იბრძოდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა.

ჩვენი სიმაგრეთა ზღუდეებთან უკვე მრავალმა რჩეულმა გერმანულმა დივიზიამ და პოლკმა ჰპოვა სამარე.

გასათვარი იყო ის გარემოება, რომ 22 ივნისიდან 22 სექტემბრამდე ფაშისტებს ერთხელაც არ დაუბომბავთ კრონშტადტი, არც ჰაერიდან და არც შორსმსროლელი არტილერიიდან, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოზიციები ჩვენგან რაღაც 7-10 კილომეტრით იყო დაშორებული. ეს იმიტომ, რომ გერმანელებს მთელი ძალები გადასროლილი ჰქონდათ ლენინგრადის რკალის ირგვლივ და არ ეცალათ ჩვენთვის.

მაგრამ აი დადგა 23 სექტემბერი. მშვენიერი თბილი საღამო იყო. მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა. უცებ მეწამულისფერ ცის ფონზე რაღაც შავი წერტილები გამოჩნდა. ისინი ძალზე მალე ნიფრინავდნენ. შორიდან კაცს ეგონებოდა, ძერების გუნდიაო.

საპაერო თავდაცვამ დაუყოვნებლივ გახსნა საზენიტო ტყვიამფრქვევთა გადამლობი ცეცხლი. აგრუხუნდა საზენიტო არტილერია. მალე პეტერგოფისა და ლისი ნოისის მხრიდანაც გამოჩნდნენ „ძერები“. სამივე ჯგუფი კრონშტადტისაკენ მოეშურებოდა. გაისმა აფეთქებათა გუგუნე. ერთბაშად გაჩნდა ხანძართა უზარმაზარი კერები.

პირველხანს ჩვენი მებრძოლები არაორგანიზებულად შეეგებნენ ამ თავდასხმას. ზოგი დაიბნა და აქეთ-იქით დაბორილობდა თავგზააბნეული. ზოგი ხანძარს აქრობდა, ზოგი დაჭრილებს შველოდა, ზოგი კი თავშესაფარში გარბოდა. მაგრამ მალე მოიკრიბეს გონი.

„მესერშიმდტა“ პირველმა ჯგუფმა

დასცალა თავისი ტვირთი და ახლა მეორე ჯგუფი შეუდგა პიკირებას საოცარი ის გაზღდათ, რომ თვითმფრინავთა სამივე ჯგუფს იერიში მიჰქონდა ნავისადგომზე, სწორედ იქ, სადაც სახანო გემმა „მარატმა“ ჩაუშვა ღუზა. ხოლო როცა დაარწმუნდნენ, გემი უკვე განადგურებული იყო, მთელი ძალით დაიწყეს ქალაქის დაბომბვა, ამასთან ერთად მცირე კალიბრის ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით ცხრილაგდნენ ქუჩებსა და შენობებს.

ჩვენი ბატალიონი სასწრაფოდ გადაისროლეს ნავისადგომთან, „მარატის“ მისაშველებლად. თავდაცვით ოპერაციას ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი ტატარინოვი. იგი ჯერ კიდევ გერმანელთა თვითმფრინავების შემოჭრამდე გავიდა ერთ-ერთ ხიდზე და გასცა სათანადო განკარგულებები. სწორედ ამ დროს მიეუახლოვდა ამ ხიდს. გენერალი უცებ მომიბრუნდა და დამიყვირა:

— დააგდე იარაღი და ნიეშველე ამხანაგებს, რაც შეიძლება სწრაფად შეაგორეთ ხიდქვეშ საწვავიანი კასრები!..

სწორედ ამ დროს გაიშა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. უცებ რაღაც ძალამ ამიტაცა და მიმახეთქა ხიდის კედლებს. მე დრო არა მქონდა, ყურადღება მიმიქცია ამ ამბისათვის. მაშინვე თავი აფრე და გავიქეცი კასრებისაკენ. ხუთი ნახევრიც არა მქონდა გადადგმული, რომ კვლავ გენერალ ტატარინოვის მტკიცე მბრძანებლური ხმა წამომეწია:

— სდექ! ხიდისაკენ!

მე მოვბრუნდი და ისევ ხიდისაკენ გავიქეცი.

— შეაფარე თავი ხიდის თაღს! — ჩამესმა გამაყრუებელ ზრიალში.

მე ხიდქვეშ შევედი და დაველოდე შემდეგ ბრძანებას.

არ გასულა საღი წუთი და გენერალი ჩემს გვერდით დავინახე.

— რა გვარი ხარ, მეზღუაურო? — მკითხა ტატარინოვმა.

— ზვედელიძე, ამხანაგო გენერალო!

— როგორ ფიქრობთ, ცოცხლები ვართ?

— მგონი, ცოცხლები ვართ, ამხანაგო გენერალო.

ამ დროს ელვის სისწრაფით ჩაგვიქროლა „მესერშიდტმა“ და, სადაც ჩვენი ვიდექით, კედლები სულ ერთიანად დაიკბრილა ტყვიებით. მერე ისიც დავინახე, ჩვენგან ექვსი-შვიდი მეტრის დაშორებით როგორ ჩავარდა აუზში ყუმბარა. უცებ აუზიდან წყლის შადრევანმა ანოხეთქა, ეს ყუმბარა უთუოდ ბიდისათვის იყო განკუთვნილი, ეტყობა, მფრინავმა მიზანს ვერ მოახვედრა.

გენერალმა თავი ასწია, ხელი სახეზე მოისევა და უცებ შინაურულად მომმართა:

— ბიჭო, ჩემი ხელთათმანები ხომ არ გინახავს?

მე კინალამ განეცინა.

— არა-მეთქი, — მოვახსენე.

— აბა, დაათვალიერე, ზემოთ რომ ვიდექი ხიდზე, მაშინ გავიძვრე და მგონი, აფეთქების ტალღამ წამგლიჯა ხელიდან.

მე გამოვედი თავშესაფრიდან და სულ ახლოს გენერლის ახალ-ახალი ტყავის ხელთათმანები დავინახე. დავტაცე ხელი და მიუვრბენინე.

— ვმადლობთ, ამხანაგო ხედვლიძე-თქვენ, მგონი, ქართველი უნდა იყოთ, არა?

— ქართველი ვახლავართ, გენერალო.

— რაღაც მეცნობით, სადღაც მინახავხართ, მაგრამ სად, ვერ მომიგონებია.

— სამაგიეროდ მე ძალიან კარგად გიცნობთ, ამხანაგო გენერალო.

— ასე მე მთელი საზღვაო ფლოტი მიცნობს, — გაიცინა გენერალმა, — ალბათ ნემდურთან მეზღვაურები, მკაცრიო, ესაო, ისაო, ხომ მართალია?

— არა, ამხანაგო გენერალო, არ გემდურთან. მე კი ძალიან კარგად გიცნობთ. მახსოვს, ერთხელ ჩვენი მწყობრი შეაშოწმეთ და ჩემს გვერდით მდგარ ამხანაგებს სასტიკად გაუწყევრით, რატომ გაქვთ უღვაშები მოშვებულიო. მერე გაეციოთ ბრძანება, ხუთ წუთში გაეპარსა ყველას. კურსანტი ნიკიტინი კი საგანგებოდ გამოლანძღეთ — რას გავიშ-

ვია ეგ ქეციანი სამი ღერი ბალახი ყაზახელი ყულივითო. მეცქერავდები მითხარით.

— ჰო, მე მართლაც არა ვარ უღვაშების მოყვარული. რაში სჭირდებათ კურსანტებს ასეთი ინვენტარი. მაგრამ გამონაკლისი მაინც უნდა დავუშვათ. მაგალითად, კავკასიელებისთვის უღვაში წმინდათაწმინდა რამაა. ქართველები ძალიან კარგი ხალხია. ორჯერ თუ სამჯერ ნიმიწვიეს საქართველოში ილიკო სუბიშვილმა და ნინო რამიშვილმა, მაგრამ წასვლა ვერ მოვახერხე...

გარშემო გამაყრუებელი გრუბუნით სკდებოდა ყუმბარები. დედამიწა ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლისაგან ზანზარებდა, ჩვენ კი თავშესაფარში ისე ვსაუბრობდით, თითქოს ამ წუთებში ხელთათმანებზე და უღვაშებზე მნიშვნელოვანი ამ ქვეყანაზე არაფერი იყო. მე საოცრად დამამშვიდა ამ საუბარმა. „რაკი ასეთი საუბრისათვის მოუტლია გენერალს, მაშასადამე საშიში მაინცდამაინც არაფერია“, ფიქრობდი გუნებაში.

— ამხანაგო გენერალო, — მივმართე ტატარინოვს, — რაღა სულ „ნარატს“ დაუსია გერმანელთა ეს მთელი ესკადრილიები. სხვა ვერაფერი ნახეს?

— ფაშისტებმა შური იძიეს „მარატზე“. ეს სახაზო გემი ლენინგრადის აულებელი ციხე-სიმაგრე იყო. მას არაერთხელ ჩაუფუშავს გერმანელთა შემოტევები, არა ერთი პოლკი გაუნადგურებია, დაუნგრევია მტრის გამაგრებული პოზიციები. დიდი შეცდომა იყო „ნარატის“ ბაზაში შემოყვანა, სადაც არავითარი მანევრირების შესაძლებლობა არ არის. აგერ „კრასნი ოქტიბრი“ რეიდზე დგას და მისთვის ერთ თვითმფრინავს არ გადაუვლია თავზე, ერთი ყუმბარაც არ ჩამოუვდიათ მის ახლო.

ჩვენი საუბარი კვლავ შეწყდა. გერმანელებმა გრიგალისებური ცეცხლი დააყარეს ხიდს და მის ახლო-მახლო განლაგებულ კასრებს. გენერალი ტატარინოვი შეშფოთებით აღევნებდა

თვალს, თუ რით დამთავრდებოდა ყველაფერი.

ასე ვიყავით ერთხანს. როგორც კი ოდნავ შემსუბუქდა მდგომარეობა, დაუყოვნებლივ დაჭრილებს წიხედეს. ყველას აღმოუჩინეს პირველი დახმარება. მე კი გენერალმა გამოყოლია. როდესაც გემ „მარატთან“ მივედი, მარტო მისი უკანა ნაწილია გაეარჩიეთ. გემს ცხვირი წაყვეთილი ჰქონდა (30-40 მეტრის სიგრძისა), ხოლო კიჩო ჩარღვეული — ქვემეხების კოშკსა და შუა კოშკს შორის. „მარატი“ ნაწილებად დაიშალა. ნისი აღდგენა აღარ შეიძლებოდა. უკვე კარგად ჩამობნელდა. ვინც ცოცხლები გადადგინით, დაებრუნდით ყაზარმებში. იმ დღეს „მარატის“ გარდა მწყობრიდან გამოვიდა კრეისერი „მაქსიმ გორკი“, სამხედრო გემი „მარატი“ და რამდენიმე სატორპედო კატერი. ამ ერთმა საპაერო და სახმელეთო თავდასხმამ დიდი ზიანი მიაყენა კრონშტადტს. დაიწყო უსწრაფესი მზადება, ხმელეთზე გადასახეს მესაზღვრეთა ბრიგადა გერმანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. არც ამის შემდეგ გვაკლებდნენ ფაშისტები მძიმე საავიაციო ყუმბარებს. მდგომარეობა ძალზე გართულდა. გაგვითავდა სურსათი. დაიწყო შიმშილობა. ყველა ფრონტზე გაგზავნას მოითხოვდა. კრონშტადტის საპაერო სიფრცეს მხოლოდ საზენიტო ქვემეხების და ტყვიამფრქვევების გაძლიერებული ცეცხლი იცავდა.

ერთი კვირის შემდეგ — 30 სექტემბერს — აგვარჩიეს 80 კაცი და გამოგვიცხადეს, მზად იყავითო. ოთხმოცი იმითმ, რომ ლენინგრადსა და კრონშტადტს შორის ღანით მხოლოდ ერთი სამოქალაქო გემი „კრასნოფლოტეცი“ მიმოდიოდა. იგი ოთხმოც კაცს იტევდა. ძალზე ველუადი ბიჭები, მაგრამ ყველანი მხნედ შეეუღლებით მზადებას. საღამოს ათი საათისათვის ყველაფერი მოეაწესრიგეთ. ჭკუთის მეთაურად უფროსი ლეიტენანტი ბროდოცკი დაგვინიშნეს. იმ ღამეს მთელი ჩვენი ბატალიონი უნდა გადასულიყო ქალაქ ორენინბაუმში (ახლანდელი ქალაქი ლომო-

ნოსოვი) და იქ მოგვეცადა შემდგომ ბრძანებამდე. გადასვლა ძალზე ძნელ პირობებში გეხდებოდა. ჩვენი გზა ვადიოდა პეტერგოფ-მარტიშკინოს ხაზზე, რომელსაც ადგილ-ადგილ გერმანელები უწყევდნენ კონტროლს. მათი პროექტორები სწვდებოდა ჩვენი გზის თითქმის ყოველ უბანს. საკმარისი იყო ოდნავ მოეკრათ რაიმესთვის თვალი, რომ დაიწყებოდა ჯოჯოხეთური კანონადა. ოთხი-შვიდი კილომეტრის მანძილზე ყუმბარის მოხვედრება კი ძალზე ადვილი რამაა! ორენინბაუმის ტერიტორია თუმცა ჩვენს ხელში იყო, მაგრამ ხმელეთის ეს მომცრო ნაგლეჯი გერმანელებით გარშემორტყმული გახლდათ. ამიტომ მას მეზღვაურები „პიატაროკს“ ეძახდნენ. ჩვენ სწორედ ამ პიატაროკზე უნდა გადავსულიყავით.

საღამოს 10 საათი იყო, როდესაც ჩვენი ჯგუფი უფროს ლეიტენანტ ბროდოცკის მეთაურობით კრონშტადტის ლენინგრადის გემისაბმელს მიადგა. ტვირთი ძალზე ბევრი გვქონდა. თოფებით მხოლოდ ნაწილი ვიყავით შეიარაღებული. მე პირადად — საწვავლო შაშხანა მომცეს, თვითუღს ასოცი ვაზნა დაგვირიგეს, სამ-სამი ტანკაწინააღმდეგო ყუმბარა და რამდენიმე ხელის გრანატა, ცოტაოდენი ორცხობილა და თითო დიდი შაქრის ნატეხი. ასეთი მარაგით მივედიტ გემისაბმელთან და ველოდით ბრძანებას.

საღამოს 11 საათი იქნებოდა. ნავმისაბმელის გარშემო ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითსაც ვერ მიიტანდი. ცა ღრუბლებს დაეფარა. ერთი ვარსკვლავიც არ ჩანდა, რომ მისი ყურებით ველი გადაგვეყოლებინა. ნესტიანი ღამე იყო, ცივი ქარი ჰქროდა, რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა. ეს კარგს არაფერს გეოქადდა.

— ამინდი იცვლება, ბიჭებო, — წაიჩურჩულა ჩემმა მეგობარმა კრუტკოვმა, — დაგვინახავენ, ო, მაგათი დედა!..

— ეე, ძმაო, ზომ გესმის, რას ამბობს გე ბიჭი, შენი საჭმე წასულია, — მიმარ-

თა ვოლკოვმა ხუმრობით იაკობ ბესპალოვს.

— თუ ჩემი საქმე ასეა, შენი რითაა უკეთ?! — უპასუხა ბესპალოვმა.

— ჩემი ვარსკვლავი, ხომ ჩედავ, ხანდახან გამოჩნდება ზოლმე აბა, შენი მაჩვენე, სად არის?

ბროდოცკიმ შენიშვნა მისცა ბიჭებს. ისინიც, მეტი რა გზა ჰქონდათ, დადუმდნენ. ასე გავიდა ერთი საათი. ზოგიერთმა ზვრინვა ამოუშვა. რომელიღაც ჩაძინებული მეზღვაური ცხვირში საოცრად სტვეენდა. ბროდოცკის ეგონა, ვიღაც უსტვეენსო და ის იყო შენიშვნის მიცემას აპირებდა, რომ მეზღვაურებმა ხარბარი ატეხეს მეთაურის შეცდომის გამო...

ნალე ბიჭები დადუმდნენ. ყველა თავის ფიქრს მიეცა. ხანდახან თუ გაიგონებდით ხუმრობით წამოსროლილ კვიმატ რეპლიკებს, რომლის ინიციატორი მუდამ ვოლკოვი იყო. დრო ისე მალე გადიოდა, რომ ვერც კი ვამჩნევდით. ზმირად ირღვევოდა ღამის სიწყყარე. დროდადრო ელვასავით გადაგვიქროლებდა ყუმბარა და ცეცხლოვან კვალს გაავლებდა ღამის ცაზე. შემდეგ სადღაც ახლოს მოისწოდა აფეთქებათა ყრუ გრუხუნი. უეცრად ვიგრძენით, რომ გემი გვიახლოვდებოდა. ვიგრძენით—მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ მართლაც ვერაფერს ვხედავდით. ამას გვაგრძნობინებდა მხოლოდ ოდნავგასაგონი ხმაური ძრავებისა, წყლის შხაპუნი... არსად სინათლე... ცოტა ხნის შემდეგ ჩაგვესმა ნიავივით ფრთხილი ხმა გემის კაპიტნისა, რომელიც ბრძანებას ვადასცემდა.

ასეთმა მდგომარეობამ წამსვე შეგვიცვალა განწყობილება. შეიქნა ჩურჩული. მეზღვაურებმა გაისწორეს ქამრები, შეამოწმეს ფეხსაცმელები, ზურგჩანთები, იარაღი.

გემიდან ბრძანება გაისმა — „ისროლეთ ბავირი“. „არის“, — იყო პასუხი. „ჩაუშვით ტრაპი“, — მოისმა კვლავ მბრძანებლური ხმა. ასეთ დაჭიმულ ვითარებაში ბიჭები მანაც პოულობდნენ ხუმრობის საბაბს.

— ჩქარა, ბიჭო, გაანძრე ფეხი, სილედროთან ხომ არ გგონია ფაფეკ ბლინდებით გაწყობილ სუფრაზე? ჩემი კირქილებდნენ მატროსები... და ყველას ემატება მხნეობა. ქვეყანა რომ დაიქცეს, წარღვნაც რომ მოვიდეს, მეზღვაურები ჯოჯოხეთშიც კი მოახერხებენ ხუმრობას.

— სად არის თქვენი მეთაური? ამოვიდეს სასწრაფოდ ჩემთან, — გაისმა კაპიტნის ბოგურიდან.

ყველამ ბროდოცკის დაუწყობილ ძებნა, იგი არსად ჩანდა. ჩამოუშვეს ტრაპი, მეზღვაურები ყოველგვარი ბრძანების გარეშე შეუდგნენ გემზე ასვლას. კაპიტანს არაფრად ეპიტანავა ჩვენი უდისციპლინობა. უფროსი ლეიტენანტი ბროდოცკი ვერსად ნახეს, თუმცა ყველა მეზღვაური თავის ადგილზე იყო. ქარი გაძლიერდა. წამოვიდა წვიმა. ღელვამ ოთხ ბალამდე მიადწია. ჩვენი მომცრო გემისათვის ესეც კმაროდა, მით უმეტეს ბრმად უნდა გაგვევლო სიბნელეში სანაპირო ადგილები, რომელთაც მტერი უწყევდა კონტროლს. კაპიტანმა ერთი კი შეივიანა ხმამაღლა ბროდოცკის მისამართით და გასცა ბრძანება, აელოთ ტრაპი. რამდენიმე წუთის შემდეგ დაეძლია ორენიენბაუმის ნავსადგურისაკენ მიმავალ გზას. მივიღო დით ძალზე ნელა. ირგვლივ ქარის ზუზუნისა და ტალღების ტლაშუნის გარდა ჩამიჩემიეც კი არ ისმოდა. ფრთხილობდნენ მეზღვაურები. მათ კარგად ახსოვდათ კაპიტნის გაფრთხილება: — მტერი ყოველი მხრიდან გვითვალთვალებს, ზღვა ღრმია, გარშემო სიბნელეა, ყველანი ტვირთითა ვართ და სულ ცოტა წინდაუხედაობა კმარა, რომ დავიღუპოთ. სიცოცხლე კი ჩვენთვის აუცილებელია, იგი საშობლოს სჭირდება.

მართლაც, ყველანი გატრუნულნი ვიყავით. გავცქეროდით იმ მხარეს, საიდანაც ფაშისტების თავდასხმას ველოდით. გვარიანად დაესველდით. ქარის ზუზუნისა და ტალღების ხმაურს ახლა გაძლიერებული წვიმის შხაპუნიც დაერთო. ამ ხმაურში ხანდახან ოდნავ გასაგონად ჩა-

გვესმოდა კაპიტნის საოცრად ფრთხილი, ერთნაირი მომგვრელი ხმა: — „საქე მარცხნივ, გეზად! შემობრუნე, მარჯვნივ“. ასე გავიარეთ თითქმის გზის ორი მესამედი. კუნავეტ სიბნელეში ტყიანი სანაპირო ზოლი გავარჩიეთ. აქა-იქ ჩურჩული გაისმა. ბიჭებმა დაიწყეს მზადება გადმოსასვლელად. სწორედ ამ დროს ჩვენს თავზე მოწყვეტილი ვარსკვლავივით გაიღვია მანათობელმა შუშუნამ. წამიც და ჩვენი გემი პროექტორების ჟვარდინ შუქში მოემწყვდა. როგორც დღის სინათლეზე, ისე გამოჩნდა მთელი სანაპირო. ეს იმას ნიშნავდა, რომ გემი მიზანში იყო ამოღებული. „სრული სვლა!“ — ისეთი ხმით დასკვექა კაპიტანმა, რომ პირველად ჩვენი არტილერიის შორეული გრუზუნი გვეგონა. გემი მაქსიმალური სიჩქარით გაეშურა წინ. ნაგრამ იგი ახლა ორენიენბაუმის ნავსადგურისაკენ კი არ მიეშურებოდა, არამედ დაბალი, ტყიანი სანაპიროსაკენ. ჩვენთვის ყველაფერი ნათელი გახდა და აღარ დავვიცდია კაპიტნის ბრძანებისათვის. როგორც შეგვეძლო და გვესმოდა, ისე მოვეშადეთ. მეთაური ჩვენ არა გვეყვოდა და ვისაც როგორ უნდოდა, ისე იქცოდა. ასეთმა მდგომარეობამ მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანა.

უცებ პეტერგოფის მხრიდან დაიგრგვინა ქვენი გემი. ყუბარებმა თავზე გადავიჭროლეს. სულ მალე გემი აფეთქებათა რკალში მოექწყვდა. ეს რკალი ყოველ წუთს სულ უფრო ვიწროვდებოდა. პროექტორთა ბრიალა თვალები გადაჩრჩინის ყოველგვარ იმედს გვიკარგავდა. ბესპალოვმა და ვოლკოვმა ზედმეტი ტვირთი ზღვაში გადაყარეს. სწორი იყო თუ არა მათი საქციელი იმ წუთს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ფაქტი იყო, ეს მათ გააკეთეს ყოველგვარი ბრძანების გარეშე. ბრძანების გარეშე მოხდა ისიც, რომ ბიჭებმა გაიხადეს ფესსაცემლები, გადააბეს ერთმანეთს და მხრებზე გადაიკიდეს. იმ წუთში, დიახ, ისინი მოქმედებდნენ ინსტინქტის კარნახით, მაგრამ თვითული მათგანი მზად

იყო შეესრულებინა ყოველგვარი ბრძანება. მოხდა ის, რასაც მოველოდით. ყუბარა გემს გვერდში მოხვდა. იქცა რილა წყალში. ამან დიდი დაბნეულობა გამოიწვია. ექვსი-შვიდი წუთის შემდეგ გარდა გემის ეკიპაჟისა აღარავინ დარჩენილა. ერთდროულად გადავეშვიტ წყალში. როგორც იქნა, გამოვალწიეთ ნაპირზე. ჩაქრა პროექტორები. აღარ ჩანდა გემი. ველარაფერს ვამჩნევდით გარშემო. ასე გასტანა რამდენიმე ხანმა, ვიდრე თვალს სიბნელეს შევანვევდით. მალე მოვხახეთ ერთმანეთი, ყველამ მოვიყარეთ თავი. ზოლო როცა გათვალა ვიხიდა საქმე, აღმოჩნდა, რომ ოთხმოცი კაციდან სამოცდაცხრამეტი დავრჩენილიყავით. ბევრი ვეძებეთ ის ერთადერთი დაკარგული ამხანაგი, მაგრამ მიწამ ჩაყლაპა თუ წყალმა, მისი ასავალდასავალი ვერ გავიგეთ. როცა დავრჩემუნდით, რომ ძებნა უშედეგო იყო, შევუდექით ლაშქრობის სამზადისს.

ყველა ამხანაგმა ჩემს გარშემო მოიყარა თავი, რადგან სხვებზე აღრე გამოვედი ნაპირზე. ასეთმა შემთხვევამ უნებურად რაზმის მეთაური გამხადა. მოხდა წარმოუდგენელი რამ! ეს თავზეხელაღებული, საომარ პირობებში დისციპლინას ჭერ კიდევ მიუჩვეველი მეზღვაურები ერთბაშად გადაიქცნენ ნამდვილ ჯარისკაცებად. ისინი ისე მისმენდნენ, თითქოს მათთვის ხმელეთზე მოულოდნელად მოვლენილი გენერალი ეყოფილიყავი.

ჩაჩუმდა გერმანელთა ქვემეხების ხმა. ჩაქრა პროექტორები. ჩვენ ტყე-ტყე გავუდექით გზას. ნახევარი საათის შემდეგ ნივადეჭით სახლის ნანგრევებს, რომელსაც ღრმა სარდაფი ჰქონდა. ჩავედით სარდაფში და დავანთეთ ცეცხლი, ოღნავ სული მოვითქვეით. მე, როგორც რაზმის მეთაურმა, დასაზვერად წავიყვანე სტეფანოვი და ვოლკოვი. საპირო იყო დაგვეზუსტებინა, სად ვიმყოფებოდით. ორენიენბაუმის ადგილმდებარეობას მე აღრევე კარგად ვიცნობდი, მაგრამ ახლა ძნელი იყო ორიენტაციის აღება, რადგან ქალაქი მრავალ-

გზის დაბომბვისაგან თითქმის მიწასთან იყო გასწორებული. გარდა ამისა გვე-
შინოდა, გერმანელებს არ წაეწყდომო-
დით, მით უმეტეს იმათ ეკავათ მარტი-
შენო, რომელიც ძალზე ახლო მდებარეობდა ორენინბაუმის ნავსადგურთან.
გუზი ქალაქის ცენტრისაკენ ავიღეთ, მა-
გრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. ანასობაში
გათენდა კიდეც. იძულებული გავხდით,
უკან დავბრუნებულიყავით. მივედით
თუ არა ჩვენი რაზმის ადგილსამყოფელ-
თან, სწორედ იმ დროს მოადგა სახლის
ნანგრევებს მსუბუქი მანქანა. იქიდან
საშუალო ხნის ჩასმული მაიორი ვად-
მოვიდა. მან მწყარალად მოავლო თვალი
გარემოს და მერე გაჯავრებულმა დაგ-
ვიყვირა:

— რა ეშმაკმა დაგანთებინათ ცეცხ-
ლი? კიდეც კარგი, ბოლი ჩვენსკენ წა-
მოიღო ქარმა, თორემ ვაყურებივებდ-
ნენ სეირს. ახლაც ჩაქრეთ ცეცხლი და
მოაყარეთ მიწა. — მაიორი ძლივს ქში-
ნავდა სიბრაზისაგან. მე ავუსხენი ნე-
ზღვაურების მდგომარეობა და იგი ოდ-
ნავ დამშვიდდა. დრო აღარ დაუკარგავს.
სასწრაფოდ დაგვაწყო ორ შწკრივად.
ბიჭებმა მანიშნეს, შენ უპატაკეო. მეც
გამოვედი და მოვახსენე.

— ტყუილად ისაწყლებდით წელან
თავს. მეთაური მანდა გყოლიათ, — მი-
მართა მაიორმა მეზღვაურებს. მერე მე
მომიბრუნდა და მითხრა:

— მე გნიშნავთ ასეულის მეთაურად.
წამოიყვანე ბიჭები, ვზა აქეთ გიღვეთ.
მოდით ჩემთან, დაგასვენებთ, ტანსაც-
მელს გამოგიცვლით და იარაღსაც მოგ-
ცემთ. მხოლოდ ყოჩაღად იყავით, გერ-
მანელებისა არ შეგეშინდეთ. ჩვენთვის
მეტად სასიხარულოა, რომ სახელოვანი
კრონშტადტელი მეზღვაურები ჩვენს
გვერდით იბრძოლებენ. შეასრულეთ,
ამხანაგო ხველიძე!

მე შეხამუშა ჩემი გვარის დამახინჯე-
ბა და აბლადმოვლენილ მეთაურს მო-
რიდებით გავუსწორე:

— ბოდიშს ვიბდი, ამხანაგო მაიორი,
ნაგრამ მე ხველიძე ვარ და არა ხვე-
ლიძე.

მაიორი შეიშმუშნა, არაფერი უთქ-
ვამს, ჩაჭდა მანქანაში და წავედა.
მიფარა თუ არა თვალს: მიფარვის
მანქანა, ბიჭებმა ერთი სიცილი, გინება
და ხორხოცი ატეხეს.

— არ გეწყინოს, ეორა, ახალი ნათ-
ლობის გვარი, ჩვენი მაიორი, რაც არ
უნდა იყოს, მართლმადიდებელია და
ნათლიად ვერ დაიწუნებს შენისთანა
ქრისტიანი.

ვოლკოვი, რის ვოლკოვი იქნებოდა,
რომ კვიმატი ენა დაეყენებინა.

— მშვიდობით საზღვაო ფლოტო!
ვაბლდვიროთ და ვამტკეროთ გზები,
ზონ ვავიგონია, თუ ქვეითად არა ზილუ
მტკერიო, ნადირობას ჩავაშხამებს მტე-
რიო.

— ეორა! — შემომძახა ნალივიკომ,
— წაგვიყვანე, ბოლოს და ბოლოს, ვნა-
ხოთ, რას ეძახიან ფეხსახვევებს. ერთ
კვირას აღმათ მაგის კურსების ვავლას
მოვუნდებით!

— კმარა, — წამოიძახა კრუჟკოვმა, —
წავიდეთ, ჩიის მაინც დაგვალევინებენ.
თუ დავიგვიანეთ, ხახამშრალნი დაერჩე-
ბით.

მაიორმა საგანგებო შეხვედრა ნოვ-
ვიწყო. ჩაი უკვე შზად ჰქონდათ. თავ-
საყრელი იყო ადუღებული წყალი, ხო-
ლო შაქარი არსად მოიძვეებოდა. ყო-
ველ შემთხვევაში, თეთრი პური მაინც
მოგვეცეს. სანამ ამ საქმეს მოვრჩებო-
დით, პოლიტხელმა გაგვაცნო ფრონტ-
ზე არსებული მდგომარეობა. მისი ნა-
ლაპარაკევიდან შევიტყვეთ, მე, სტეპა-
ნოვს და ვოლკოვს ერთი ათი-თხუთმე-
ტი წუთი კიდეც რომ გვევლო პირდაპირ
იმ დამეს, გერმანელთა მიერ დაკავებულ
ტერიტორიაზე აღმოვჩნდებოდი. ამ
ამბავმა, ცოტა არ იყოს, შეგვაცბუნა
და საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ
მომავალში უფრო ფხიზლად ვიქნებო-
დი. დაგვირიგეს ტანსაცმელი. თუნცა
ახალი არ იყო, მაგრამ ამაზე დავა არა-
ვის აუტეხია. საქორწილოდ კი არ მივ-
დიოდით! ხოლო როცა ბიჭებს ფეხსახ-
ვევები დაგვირიგეს, გაჭირვებით შეუდ-
გნენ „ათვისებას“. ბევრმა მაინც ვერ

იგუა და ისევ მეზღვაურის ტანსაცმელი ირჩია.

უკვე კარგად დაბინდდა. მაიორმა აგვისხნა, საით უნდა წავსულიყავით. ჩვენი საბოლოო პუნქტი იყო სოფელი კაშენკა. მაიორმა ბარათი გაგვაცანა იქაური სამხედრო ნაწილის უფროსთან, რომელიც თურმე მისი კარგი მეგობარი ყოფილიყო.

— როგორ გაუხარდება ჩემს ბორისს. იგი გუშინ დაბრუნდა შეტევიდან და ბევრი ხალხი დაეღუპა. თქვენი მისვლა ნაწილში მისთვის მისწრება იქნება. ამხანაგო ხველი... ხვედელიძე, თუ განებებ თაგს ზღვას, უმჯველად ბევრს მიადწევ. ყველაფერში გეტყობა, რომ ყოჩაღი ბიჭი ხარ. აბა, გზა ვამარჯვებისა. ბიჭებო! — მოგვაძახა და დაგვემშვიდობა.

გავეშორეთ დანიშნული მარშრუტით. აბა, მეზღვაურები, რის მეზღვაურები არიან, თუ არავის უკბინეს. გავიარეთ თუ არა, ცოტა, ზინოვიევმა წამოიწყო:

— ბიჭო, ამაზე მეტი გულახდილობა გინდა?! კაცმა პირდაპირ გვითხრა, აქ ისეთი ბრძოლაა, რომ ნახევარ შემადგენლობას აღვიღზე სტოვებენო! ჩვენ კი მათთვის ნამდვილი მისწრება ვიქნებით! აბა, როგორ გეგონა, ძმაო, ომმა ასე იცის...

კიდევ აბირებდა რალაციის თქმას ზინოვიევი, რომ სტეპანოვმა შეუტია.

— კაცო, ამისთანა ყოიამყრალი გინახავთ სადმე? რა ყვავივით დაგვჩხავი, შე ღმერთთაღლო, შენა! აღარ დააყენებ ენას?

ზინოვიევმა გადაიხარხარა. გაიცინეს ბიჭებმაც. ცოტა ხნის შემდეგ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. გზადაგზა მძინედ დატვირთული სამხედრო მანქანები გვზვდებოდა. ერთგან დაბურულ ტყეში შევედით და ნახევარსაათიანი შესვენება მოვწყვეთ. ფარაქების საფარში თითო-თითო წიკო გავაბოლეთ და კვლავ განვაგრძეთ გზა. ყოველწუთს ანათებდნენ რაკეტები შიდამოს. მტრის არტილერიისა და ავიაციის შეუწყვეტილი თავდასხმისაგან სული გვეონდა შეწყუბული. გათენებამდე ვიჭექით კამენ-

ის ტყეში. განთიადისას გამოვედით და ფერდობზე ბუჩქებს შევეფარეთ. გავსენით კონსერვები, ამოვიღეთ ირცხობილები. ის იყო, ჭანას უნდა შევდგომოდით, რომ გერმანელებმა სოფელ ვასტელიციდან შეგვინშნეს და დაგვიწყეს ნალმტყორცნიდან სროლა. ბევრისათვის ეს ამბავი პირველი იყო და დაიბნენ. ორი ამხანაგი მძიმედ დაიჭრა. როცა დაბნეულობამ გაიარა, შეეკრიბე ბიჭები, დაჭრილებს დახმარება აღმოუჩინეთ და ზოხვით გავუყევით ღრმა ჭაობს, საითაც ტელეფონის კაბელი გადიოდა. სული კბილით გვეჭირა. ამას ისიც დაერთო, რომ ფაშისტებმა როგორღაც მოგვაკვლიეს და კვლავ ნალმტყორცნიდან გავგინსნეს ცეცხლი. საოცარი ის იყო, რომ ყველანი უცნებლად გამოვედით. ამან გავგაშხნევა. როგორც იქნა, მოვლიეთ ჭაობი და გაუვალ ტყეში შევედით. გავიხადეთ ტანსაცმელი, გავწმინდეთ, გავწურეთ, ცოტახანს დავისვენეთ და სულმობრუნებულნი ისევ გაუუყევით ტელეფონის კაბელს. აქ კინალამ მარცხი შეგვემთხვა, მაგრამ შენთხვევამ გვიხსნა. აი, როგორ იყო საქმე: ერთგან ტელეფონის კაბელი ნალმტყორცნის ყუმბარებს გაეგლიჯა. ხაზის შესაკეთებლად ორი მეკავშირე გამოგზავნათ ჩვენებს. იმ წუთში ჩვენ ტყეში ვიჭექით ვატრუნული. მეკავშირეებმა ვერ შეგვინშნეს. ამ დროს ერთი ჩვენი თანაგებრძოლი, გვარად მინცი, საქიროებისათვის გავიდა ცოტა მოშორებით. დაკუნტდა და თანაც აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. მეკავშირეები მიეპარნენ და ხელად გაკოჭეს შარვალჩახდილი მინცი. საწყალს შიშისაგან ისე შეეკრა კრიჭა, რომ მთელი ორი დღე ხმას ვეღარ იღებდა. ჩვენ ყველაფერი დავინახეთ, მაგრამ სერიოზული სახე მივიღეთ, ვითომც არაფერი ვიცოდით. მერე კი, იცოცხლე, აგვიტყდა სიცოლი, ვოლკოვს ნამდვილი აღდგომა გაუთენდა, მეხვეწებოდა, მინცის გვერდით დამაყენე მწყობრში, იქნებ გული ვიჭერო მაგის გაამაპულეებითო.

კვლავ გაუღდექით გზას. მივაღწიეთ

დანისშეულების ადგილამდე. წინ მაიორი შემოგვეგება (გვარი აღარ მახსოვს, სახელად კი ბორისი ერქვა). სიხარული-საგან აღარ იცოდა, რა ექნა. მე გადავეცი ბარათი, წაიკითხა და დიდი მადლიერებით მოიხსენია თავისი მეგობარი. სულ რაღაც ხუთ წუთში მაიორმა ყველაფერი გამოარკვია. გაცნო შენადგენლობას, ყველას გამოგვკითხა გვარი და სახელი. დაგვანაყრეს, დაგვასვენეს. ერთი საათის შემდეგ გამომიძახა და მიბრძანა, ჩამებარებია ჩვენი ასეულისათვის განკუთვნილი ბლინდაყები და გამენაწილებია იქ მეზღვაურები, გამაყოლა თავისი ადიუტანტი და ასეულის ზემდეგი, რომლებიც დამეხმარნენ მეზღვაურების განაწილებაში. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს მიერ დაკავებულ პოზიციაზე მოვიდნენ მაიორი და პოლიტბელი. მათ დეტალურად გაგვაცნეს ფრონტზე არსებული მდგომარეობა. დაგვიჩვენეს იარაღი: გამოვყავით ათეულის მეთაურები. ვოლკოვსა და კრუჟკოვს გადავეცით ტყვიამფრქვევები, რომელიც სულ სისხლში იყო ამოსვრილი.

— ამხანაგო ვოლკოვ, — მიმართა მას მაიორმა. — მეგ ტყვიამფრქვევის ყოფილი პატრონი ნამდვილი ვაჟკაცი იყო. იგი დაიღუპა ფაშისტთა ოცეულის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში. მან მრავალი ფაშისტი გამოასალმა წუთისოფელს, იყო რამდენიმე ორდენის კავალერი და, რაც მთავარია, ამხანაგების ჭირში გამტანი და კარგი გულის ბიჭი. ეგ ტყვიამფრქვევი წმიდათა წმიდაა ჩვენი ნაწილის ყველა ჭარისკაცისათვის. იგი სახელოვანი იარაღია. ეხლა შენ იცი, მოუარე, გაწმინდე, მოაწესრიგე ისე, რომ არასოდეს გიმტყუნოს. შენც კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, თორემ ამ ტყვიამფრქვევს არ განდობდი...

ვოლკოვი შეიმშუმუნა, წელში გასწორდა და ჯიქურ შეხედა მაიორს. ეს უკვე ყველაფერს ნიშნავდა. მაიორიც მიხვდა ამას და ახლა ჩვენ მოგვიბარუნდა.

— ათეულის მეთაურები უკვე გყავთ. ასეულის მეთაური იქნება უმცროსი

ლენინგრაფი კიტკი, ასეულის პოლიტბელად გეყოლებათ თქვენი ამხანაგი გიორგი ზეველიძე, ორი დღის შემდეგ შეტევაზე გადავალთ. მოეშაღდეთ ამხანაგებო! — თქვა ეს და დაგვემშვიდობა.

მე პირადად მაიორმა გადმომცა ერთი ავტომატი და პისტოლეტი. მეორე დღეს კომისართან გამომიძახეს. იგი შესანიშნავი, გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა და ჩვენ ძალზე სწრაფად გავუგეთ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ მე ჯერ კიდევ არ ვიყავი პარტიის წევრი, უყოყმანოდ მომანდო პოლიტბელის პასუხსაგები მოვალეობა ასეულში.

საე დაიწყო ჩემი ახალი პროფესია, რომლისთვისაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე აღარ მიმტყუნია.

1941 წლის ოქტომბრის თვე იდგა. საკმაოდ ციოდა. ზშირი იყო წვიმიანი დღეები. ჩვენი ადგილსამყოფელი დაბურულ ტყეში ვახლდით. მშვიდობიანობის დროს აქ შესანიშნავი აგარაკი გამართვა შეიძლებოდა. კარგადაც ვისვენებდით. გარემო მეტად ლამაზი და მიწიღველი იყო. ტყე უმთავრესად ციმბირის ნაძვისა და ფიჭვისაგან შედგებოდა. აქვე ნახავდით მშვენიერ არყს, ვერხვს, რცხილას, რომელთა შეყვითლებული, ოქროსფერი ფოთლებით მოჩითულიყო იქაურობა. იგრძნობოდა სველი ნეშოს მძაფრი სურნელება. ყოველივე ეს როგორღაც ვერ ვეუბნოდა საოწარ განწყობილებას. მაგრამ დაიგრვენიებდა ქვემეხი, ატყდებოდა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ქუხილი და წამსვე გავიჭირებოდა „იდილიური“ გრძნობები. ხოლო როცა ბლინდაყებში შევლაგდებოდით, მთელი სიმკაცრით დგებოდა ჩვენს თვალწინ ომის სინამდვილე. ალბათ ყველას მოეხსენებოდა, ლენინგრაფის ოლქის საეკაოდ დიდი ნაწილი ჭაობებს ეკავა ომამდე. როგორც კი ამოვთხრიდით მიწას ერთი მეტრის სიღრმეზე, წამსვე ბუხბუხით გამოჟონავდა წყალი. ამიტომ ბლინდაყებს აქ შედარებით „მაღალჭერიანს“ ვაკე-

თეზით. მოკლედ, ძალზე მძიმე დღეში ვიყავით. ჩვენი ბლინდაყი საოცრად ჭუჭა და მოუხერხებელი იყო. დამით მიწაზე ტოტები რომ არ დაგვეფინა, მეორე დღეს კაცს გვერდები აღარ აყვეზბოდა. ხოლო როცა ამის სამშალეობა არ გვექონდა, დაქანცული მეტროლოები მოძებნიდნენ ქვებს, გაიკეთებდნენ იმით „სასათუმალს“ და ასე იძინებდნენ. მაგრამ ამასაც მალე მივეჩვიეთ. მით უმეტეს ლენინგრადის ბლოკადის შემდეგ ისეთ მდგომარეობაში ჩავცვივდით, რომ მაშინდელი ყოფა სამოთხედ გვეჩვენებოდა.

უნდა მოვახსენოთ, რომ ლენინგრადსა და ჩვენს „პიატაჩოკს“ ორენიენბაუმის ამ პატარა ნაწილს, ვარდა კრონშტადტთან დამაკავშირებელი გზისა, ყოველმხრივ ალყა ჰქონდა შემორტყმული, ე. ი. ლენინგრადი და ორენიენბაუმის ეს ნაწილი იზოლირებული იყო ერთმანეთისაგან ასე, რომ არც ლენინგრადს და არც კრონშტადტს არ შეეძლო რაიმე დახმარება აღმოეჩინა ჩვენი „პიატაჩოკისათვის“. სულ მალე პატარა პურის ნატებიც კი სანატრელი ვაგვიხდა ყველას. ყველგან შიმშილი მძინვარებდა. მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელი შეიქმნა მას შემდეგ, რაც თოვლი დადო. ახლა უბრალო ბალახიც კი ძნელი სამოვნელი იყო. არყის ხის წვენიც ვაგვექონდა თავი. რაც შეეხება თამბაქოს, ბიჭებს მისი სახელიც კი გადააოწოყდათ. თუ სადმე მოვახლებდით და რომელიმე ხის კენწეროზე შერჩენილ ფოთლებს წაგაწყდებოდათ, გავიხდიდით ჟენს თოვლში, ავცოდებოდით ხეზე, ფოთლებს ფრთხილად დაკრეფდით და თითო-თითო მწიკვად ვინაწილებდით ერთმანეთში. გერმანელთა წყალობით ქალაქი უამრავი გვექონდა. ოქტომბრის დამდეგს ფაშისტები ჩვენს ტერიტორიაზე ფურცლების ჩამოყრის მეტს თითქმის არაფერს აკეთებდნენ. ახლა ვისლა სცხელოდა სასაცილოდ, მშვივებსა და მწყურვალებს, მაგრამ როგორც კი გაიშლებოდა ფანტელებით პაერში თვითმფრინავიდან გადმოყ-

რილი ფურცლები, ვოლკოვი გადახედა და ჩასანგრებულ მატროსებს უფრო თვალს ჩაუკრავდა:

— აბა, მწვევლებო, ვადით ქალაქის მოსამარაგებლად, — თქვენ კი, — ახლა ბესპალოვსა და მინცს მიუბრუნდებოდა, — იზრუნეთ ჰიგიენაზეც...

ატყდებოდა სიცილი. მინცი კი პირქუშად შეაჩერდებოდა და ესროდა:

— მერე, ბატონო ვოლკოვ, ნახმარი ქალაქები თქვენ ჩაგაბაროთ? უღარავე მაგ შენი ტყვიამფრქვევით?

ასეთი საუბარი, სამწუხაროდ, სრულიად არ იყო შემთხვევითი. ჩვენ დღეში მხოლოდ 100-150 გრამ გამომშრალ პურს ვღებულობდით. ეს სულის მოსაბრუნებლადაც არა გვეყოფინდა. კოპტონს ვშოულობდით და სიამოვნებით ვჭამდით. ამის გამო ბევრს ავშალა კუჭი.

ასეთ ყოფაში ვიყავით, მაგრამ მტერი მაინც ვერაფერს გვაკლებდა. არერთხელ სცადეს ჩვენი „პიატაჩოკის“ აღება, მაგრამ ამაოდ.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში საოცარი სიწყნარე ჩამოვარდა ჩვენს ფრონტზე. ეს ძალზე გვიყვარდა. ამა-სობაში მე ჩვენი ბატალიონის ერთ-ერთი ოცეულის მეთაურად დანიშნეს. ჩემმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, ეშოვათ რაიმე სურსათი. ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, სოფელ პოროშკას მოსაბლეობამ ისე მიატოვა კარტოფილის ნათესები, რომ იქიდან ერთი ბუჩქიც არ ამოუთხრიათო. კარტოფილით დათესილი მიწის დორი ახლა თოვლით იყო დაფარული. გადავწყვიტეთ, გავსულოყავით მიწის დორზე და ამოგვედო ეს ძვირფასი ბოსტნეული. დანიშნულ ადგილას მთელი ოცეული გავეშურეთ. ადგილზე მატრორი ამხანაგი დავტოვეთ. მიფარაინი დამე იყო, გაყინული მიწა ხელს გვიშლიდა კარტოფილის ამოთხრაში, მაგრამ საოცარი ის გახლდათ, რომ ჩვენგან კარგა მოშორებით გერმანელებს მიწის დორზე ამოთხრილი კარტოფილი დაეხვავებინათ: ისინი სულ ხუთნი იყვნენ. ალბათ ტყეში ეყენათ გუშაგები. ამას

ისიც გვაფიქრებინებდა, რომ იქიდან რამდენიმე კაცი ტომრებით მოდიოდა და გაქონდათ კარტოფილი.

იარალი კი ყველას გვემონდა, მაგრამ გადავწყვიტეთ, სროლა არ დაგვეწყო, არც ხმაური აგვეტეხა. საჭიროდ დაინახეთ, იქაურობას საფუძვლიანად გავცნობოდით და შემდეგისათვის გამოგვეყენებინა. ხუთ კაცთან შებრძოლებით კი, აბა, რა სარგებლობა უნდა მოგვეტანა ჩვენი სარდლობისათვის. გერმანელები წაიდინენ. ის იყო, უნდა შევდგომოდით კარტოფილის თხრას, რომ მოგვესმა: „რუსი, რუსი, ბრატ, ბრატ, კარტოშ-კა... მი ნე სტრელია, ვი ნე სტრელია, ეტო ჩესტნო, კუშატ ნადო, ვალოდნი, ვალოდნი...“

სწრაფად გავეკარით მინდორს. ერთ წამს დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. მერე მინდორზე ერთი გერმანელი გამოჩნდა და დაიწყო კარტოფილის შეგროვება. მაშინ ჩვენც გავგზავნეთ ერთი მზვერავი — მიშა სტებანოვი, რომელმაც დაიწყო კარტოფილის თხრა. რამდენიმე წუთის შემდეგ მინდორზე კიდევ ერთი გერმანელი გამოვიდა. ჩვენც გავგზავნეთ ბიჭები და მალე ორივე მხრიდან ხუთ-ხუთი კაცი შეუდგა მუშაობას. ვმუშაობდით საოცრად დაძაბულნი, ყოველ წუთს ველოდით თავდასხმას, თანაც სურვილი გვეკავდა, გავეწყვიტათ ფაშისტთა ნაშვირები, რომლებიც ჩვენს ცხვირწინ თხრიდნენ კარტოფილს.

კარგა მაგრად ვიმუშავეთ და რამდენიმე ტომარა ავაგეთ. მინდორი, რომელზედაც კარტოფილი ეთესა, თითქმის მთლიანად გერმანელების ხელში იყო. ამიტომაც დიდი სიფრთხილე გვმართებდა. მათ შეეძლოთ მოულოდნელად დავესხმოდნენ თავს, მაგრამ მეზღვაურთა ბუშლატებში გამოწყობილი ბიჭების წინააღმდეგ ხელის აღება არც ისეთი ადვილი საქმე იყო. ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რასაც ვაკეთებდით. ეს ამბავი იმავე დღეს მოვახსენე შტაბში უფროსებს. ჭერ გავგადერთხილეს, აღარ ვაჯსულოყავით კარტოფილის სათხრელად, მაგრამ მერე თვითონვე დაგვა-

ლეს, სხვა ნაწილებისთვისაც გვემოვნა ეს ძვირფასი საკვები. ძალზე გვეკვირდა ის ამბავი, რომ გერმანელებმა ერთი ტყვიაც არ გამოისროლეს აქამდე ჩვენსკენ. მაგრამ მალე გამოირკვა ყველაფერი. თურმე სამხრეთში საბჭოთა არმიამ დიდი შეტევა განახორციელა ტაგანროგის მიმართულებით. პიტლერელებს გაუჭირდათ და ლენინგრადის ფრონტიდან საჩქაროდ მოხსნეს შენაერთები, რომ დაეფარათ სამხრეთის გარღვევამ. იმ დღეებში კი ცხადად ჩანდა, არც გერმანელებს ჰქონდათ კარგად საქმე კვების მხრივ, თუმცა იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ, შორიდან დაგვიანახებდნენ ხოლმე გრძელ ჯოხზე წამოკმულ პურს, ძებვს, კარაქს, მერე, ეშმაკმა უწყის. საიდან მოყვანილ გოგოებს დაავუნებდნენ, კაბას აუწევდნენ და თეძოებზე ხელებს უტყუაუნებდნენ, თან გვანიშნებდნენ, გადმოდით ჩვენსკენ და ეს ყველაფერი თქვენი იქნებაო.

რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ მოგვიდუნებია სიფხიზლე და დაკვირვებით ვუთვალთვალდით გერმანელებს. დავაზუსტეთ, როდის მიდიოდნენ კარტოფილის სათხრელად, რამდენი გუშაგი ეყენათ მუშაობის დროს. როდესაც გულდამშვიდება და უდარდულობა ძვალბილიში გაუქდათ და დარწმუნდნენ, რომ ჩვენ მათ აღარას ვერჩოდით, ბატალიონის მეთაურმა გვინჩაძანა, წამოგვეყვანა „მოენე“. სამოსილ ორი დღის ვადა მოგვეცეს. რამდენიმე საათში შევადგინეთ სამოქმედო გეგმა. პირველ რიგში საჭირო იყო ერთადერთი გუშაგის მოხსნა, მერე ყველაფერი იოლად მოხერხდებოდა. იმ დამეს მთვარეს გვიან ველოდით. ძალზე ყინავდა. გვინდოდა ისე წამოგვეყვანა ტყვე, რომ გერმანელებს ამაზე ეჭვიც არ აეღოთ, ესე იგი, თოფის გაუსროლულად უნდა მოგვარებულყო საქმე.

მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ უხმაუროდ მოგვეხსნა გუშაგი. გერმანელები აავსებდნენ ხოლმე თხუთმეტოცკილოგრამიან პატარა ტომრებს, აიკიდებდნენ და მიდიოდნენ,

ადგილზე კი გუშავს სტოვებდნენ. საჭირო იყო იმ წუთებში მოგვეხსნა გუშავი, სანამ ისინი კარტოფილის წისაღებად შემობრუნდებოდნენ. ჩვენ ვიცოდით გუშავის ადგილსამყოფელი და წინასწარ დაეკავეთ მოხერხებული პოზიცია. გუშავის მოხსნა დავავალეთ ზღობოზოვსა და ნალივიაკოს. იმ შემთხვევაში, თუ გერმანელებს იმ ერთი გუშავის გარდა სხვაგანაც ეყოლებოდათ ფარული ჩასაფრება, მაშინ ყველანი სროლით უნდა გავცლოდით იქაურობას. ყველაფერი დეტალურად იქნა მომზადებული, ყველაფერი ზუსტად ავწონდავწონეთ. აი, გერმანელებმა აიკიდეს ტომარები და წავიდნენ. გავიდა რამდენიმე წუთი და შიშისაგან კრიჭაშეკრული გერმანელთა გუშავი ზღობოზოვმა და ნალივიაკომ სულ გინებითა და თრევით მოიყვანეს!

— გინახავს ასეთი ბოთე? — ამბობდა გაცხარებით ნალივიაკო, — ვეუბნები, მოკლავ, შე ძალიშვილო, წამოეთრიე, ხმა არ ამოიღო-მეთქი. ის კი იხლავება გველივით, მეურჩება. ვინა გგონივარ მე შენ? — შეუღრინა ნალივიაკომ დატყვევებულ გერმანელს.

ამ დროს მანათობელმა შუშხუნებმა გაანათა ჩვენი ადგილსამყოფელი. ატყდა ქვემეხების გამაყრუებელი ქუხილი, მაგრამ გერმანელებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. უკვე გვიან იყო. ერთი საათის შემდეგ მივალწიეთ ჩვენი ბატალიონის განლაგებამდე. ტყვე უვნებლად მივთყვანეთ შტაბში. მალე იქ ბრიგადის კონტრდაზვერვის რწუნებული მოვიდა და დაიწყო დაკითხვა. მიღებული ცნობები მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

სულ მალე ჩვენთან ბრიგადის კომისარი მოვიდა. იგი ხანგრძლივად მესაუბრა. მერე ბატალიონის მეთაურს — ბოროის უბრძანა, ოთხ ოქტომბერს დილით ადრე დროულად დაეკავებინა პოზიცია სოფელ პოროშკას მარჯვენა ფლანგზე. იქ ჩვენ შემოგვიერთდებოდა მეორე და მესამე ბატალიონიც. შეტევაში ჩვენს გარდა მონაწილეობა უნდა მიეღოთ მეზღვაურთა მეორე და მე-

ოთხე ბრიგადებს. შეტევა დაიწყებოდა საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენი ტანკების მოსვლისთანავე, ასეთი იყო ბრძანება. სოფელი პოროშკა ყოველ მიზეზ გარეშე უნდა გავგეთავისუფლებინა. მაგრამ სულ სხვაგვარად წარიმართა საქმე. ჩვენი ბატალიონი დანიშნულ ადგილას ადრევე მოვიდა და დაიკავა საწყისი პოზიცია. სოფელი პოროშკა ორი კვირის წინ ჩვენ გვეკავა და შესანიშნავად ვიცნობდით მის ადგილმდებარეობას.

სოფელში შესვლა მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა. ჩვენც იმ გზის მისასვლელები დაეკავეთ. სხვა მხრიდან სოფელს შემოვლებული ჰქონდა ფართო ტანკსაწინააღმდეგო თხრილები და ჭებირები. მაშასადამე, გვრჩებოდა ერთი საშუალება — გავყოლოდით ჩვენს ტანკებს იმ გზის მიმართულებით და ამრიგად გვეცადა სოფლის განთავისუფლება.

მე არასოდეს არ დამავიწყდება ის დღე, სწორედ მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავს ომში თუნდაც ოდნავი დაუდევრობა, მტრის ძალების შეუფასებლობა და, რაც მთავარია, უზუსტობა და ურთიერთ შეუთანხმებლობა.

მთელმა ბრიგადამ ერთ ადგილას მოიყარა თავი. ღამით საშინელი სიცივე დაიჭირა. მთლად გაითოშნენ მეგრძოლები. ჩვენ ველოდით საერთო ბრძოლის დაწყების ნიშანს — წითელ შუშხუნებს აღმოსავლეთის მხრიდან, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ჩვენი არტილერიის შეტევა, ტანკების იერიში და ბოლოს ერთობლივი დარტყმა. ეს უნდა მომხდარიყო დილის ხუთი საათისათვის, აი, საათის ციფერბლატზე ისრები უკვე კარგა შორს გასცდა ხუთს, წამოგვეპარა დილის ნაცრისფერი ბინდებუნდი, მაგრამ არასდ ჩანდა ბრძოლის დაწყების ნიშანი, დუმდა ჩვენი არტილერია, ხოლო ტანკების შორეული ხმაურიც კი არსად ისმოდა. ბიჭები ვაწვებოდნენ, ყურს დაადებდნენ მიწას, მაგრამ ამაოდ. ტელეფონისტს ღამის ჩაეხლიჩა ხმა ყვირილისაგან. მაინც გარ-

კვეული პასუხი ვერ მივიღეთ. ამას ისიც დაერთო, რომ არავის გაუცია ბრძანება შენიღბვის თაობაზე, არც იცოდნენ მეომრებმა, როგორ უნდა ემოქმედათ ამ მხრივ! ეს მაშინ, როცა მთელი ბრძავა ერთ ადგილას იყო თავმოყრილი. ყოველივე ამას სხვა უბედურებაც დაერთო: არავინ იცოდა კონკრეტულ მომენტში, რა უნდა გაგვეკეთებია... საქმე იქამდე მივიდა, რომ მებრძოლებმა თოფები ხეებზე მიაყუდეს და თითონ გაყინულ ხელებს იორთქლავდნენ. ზოგიერთს დაეშალა ტყვიამფრქვევი და აწყობა ვერ მოასწრო. ასეთ მდგომარეობაში ვიყავით დღის თერთმეტ საათამდე. ჩვენ გვიკვირდა, თუ რატომ არ იწყებდნენ ბრძოლას გერმანელები. ნუთუ აქამდე ვერ შენიშნა მტერმა ჩვენი ასეთი მდგომარეობა?! მით უმეტეს გასაკვირველი იყო, რომ ჩვენი წინა პოზიციები ასი, ასორმოცდაათი მეტრით იყო დამორბეული მტრის მეწინავე პოზიციებს, ხოლო სოფლამდე დაახლოებით ხუთასი მეტრი იქნებოდა.

მაგრამ გერმანელები თურმე ყველაფერს ხედავდნენ. ისინი მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. როდესაც ჩვენი ერთი სამუალო ტანკი და ექვსი პატარა ტანკეტი სოფელ პოროშკინსკენ მიმავალ გზაზე შეიჭრნენ, ჩვენ უკან გავყევით. გავყევით, მაგრამ იმ წამსვე ვიგრძენით ჩვენი არაორგანიზებულობისა და ყველა დაშვებული შეცდომის შედეგი. გერმანელებმა ერთბაშად გაგვიხსნეს მეწინავე პოზიციებიდან ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების გრიგალისებური ცეცხლი. ხოლო ქვემეხებითა და ნაღმტყორცნებით გადავიჭრეს უკანდასახევი გზა. შემოგვიარეს ფლანგებიდან და ახლა პირდაპირ თავზე დაგვაყარეს ყუმბარები. პირველი ტანკი სწრაფად გამოიყვანეს მწყობრიდან. დაიწყო არეულობა. ბევრი იყო დახოცილი და დაჭრილი, ყველამ თავშესაფარს დაუწყო ძებნა. ამოეფარნენ პატარა ტანკეტებს. მაგრამ ტანკეტებმა უკან დაიხიეს და გადათელეს უკან მიმყოლი ჩვენი მებრძოლები. ეს

იყო შემზარავი სურათი. სწორედ ამ დროს დაიღუპა ჩვენი მათერნი, რომელსაც ყუმბარის ამასხვრევისასავე მოთხილმა უზარმაზარმა ხის ნაპობმა თავი წააცალა.

მეზღვაურები მთლიანად ალყაში მოვხვდით. ბრძანება გავეცი, რომ ჩემს გარშემო მოეყარათ ბიჭებს თავი. და მე იმ წუთში დაერწმუნდი, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა ჯარისკაცი. ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლში, ასეთ დაბნეულობასა და შიშვე წუთებში მეზღვაურები წელში გაიმართნენ, ირგვლივ სკდებოდა ყუმბარები, სეტყვასავით მოდიოდა ტყვია, მაგრამ ისინი გაქვავებულივით იდგნენ და ელოდნენ შემდგომ ბრძანებას.

მეზღვაურები ბატალიონში უმთავრესად მზვერავებად ვიყავით გამოყოფილი. და ახლაც, როცა ალყის გარღვევის აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდით—ნებაყოფლობით ვიკისრეთ, მოგვენახა მტრის შედარებით სუსტი ადგილი და პირველს ჩვენ გავკერძოთ ალყა. მერე როგორი ელვისებური სისწრაფით, მარჯვედ და ზუსტად შეასრულეს ჩემი ბრძანება მატროსებმა! ისინი ჭიქურ გადავიდნენ შეტევაზე, და თვალისდახამხამების უმაღლ გამოვიდნენ ალყიდან. მტერი ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, რომ სხვებიც გავიყვანეთ სამშვიდობოზე. აი, ვდგავართ მწყობრში, თოფის კვამლით გამურულნი, კუსტი და დაღლილი სახეებით. ყველას არაქათი აქვს გამოცლილი. ლამის ფეხზე სძინავთ. გავეცი ბრძანება, დაეწყოს გათვლა. სულ 76 მეზღვაური აღმოვჩნდით. სამი ამხანაგი ბრძოლაში დაგვეღუპა. მათი ხსენებისას ბიჭებმა ქუდები მოიხადეს, იარაღი გაისწორეს და გაქვავდნენ. მე ცრემლებს ვცლაავე. კრიჭა შეკრული მაქვს. ვეღარაფერი მითქვამს. და მაშინ მთელი არსებით ვიგრძენი, როგორი შვილები აღზარდა ჩვენმა სამშობლომ. ამ უბრალო ბიჭებს, ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქოსდა დაუღვევართ, საკუთარი სიცოცხლე ფეხებზე ეკიდათ, მაგრამ საოცარი სინაზითა

და სიყვარულით იცოდნენ ამხანაგებისადმი ერთგულება. ის სამი დაღუპული ამხანაგი მეორე დღეს გამოვიტანეთ ბრძოლის ველიდან და სამხედრო პატივით დავეკრძალეთ.

შვედრავები სხვა გვარეობის ჯარებთან შედარებით ბევრად უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩაცმულობასა და შეიარაღებაზე. მაგრამ საერთო შეიარაღების მხრივ ბევრი რამ არ იყო კარგად. ძალიან ცოტა გვექონდა ზარბაზნები, ტანკები, თვითმფრინავები. ხშირად იტყოდა ხოლმე ვოლკოვი: „ნებ, ბიჭებო, ზარბაზნებს ამ ბოლო დროს სადღესასწაულოდ თუ გაიყვრიან, თორემ დაყრუებულია აქაურობა. ესეც ომია რაღა!“

რაც უფრო შედიოდა ძალაში ზამთარი, მით უფრო გვიჭერდა მარწუხებს შიმშილი და სიცივე. მომარაგება უკიდურესობამდე გაძნელდა. ანდა რა უნდა მოგვემარაგებინა ქაობებსა და გაუვალ ტყეებში? — ისიც მებრძოლთა ზურგებით? ამიტომ იყო, რომ სადღაც გაქრა სასწაულით გადაარჩენილი რამდენიმე ცხენი. ცხადია, მათ მებრძოლები ჰკლავდნენ. ანდა, რა უნდა ექნათ?.. ჩვენი ძირითადი საჭმელი ისევ არყის წვენი და რცხილის ქერქი იყო. ხის ფოთლები კი, აქა-იქ რომ შემოარჩენოდა კენწეროებს, თოვლმა სულ ერთიანად გააქრო და მოსაწვევიც აღარაფერი გვექონდა. გაძლიერდა გერმანელთა აგიტაცია. სულ უფრო ხშირად ჰყრიდნენ პროკლამაციებს, მოუწოდებდნენ ჩვენს ჯარისკაცებს, გადმოდიოდა ჩვენს მხარეს, სიცოცხლეს შეინარჩუნებოდა და საუკეთესო პირობებსაც შეგიქმნითო. მაგრამ გერმანელთა ანკესზე ჩვენთაგანი არავინ წამოგებულა.

რიგითი ჯარისკაცები და მეთაურები ერთნაირად ვიტანდით გასაჭირს. მეთაური ბრძანებდა, ხელქვეითი კი ასრულებდა, ეს იყო და ეს. კვების, ჩაცმის, ბინის მხრივ ყველანი ერთნაირ პირობებში ვიყავით. ამან ძალიან დაგვაახლოვა ერთმანეთთან და დამყარდა ნამდვილი ფრონტული დისციპლინა.

ჩვენი მეზღვაურთა რაზმი უმოკლეს დროში გადაიქცა ნამდვილ მებრძოლ ერთეულად, რომელიც არაფრის წინაშე არ დაიხევდა უკან. ჩვენ გვესმოდა მდგომარეობის მთელი სერიოზულობა. ერთი წუთითაც არ გვაფიქვდებოდა ბალტიის საზღვაო ძალების სარდლის ამხანაგ ტრიბუნის სიტყვები: „კრონშტადტი ლენინგრადის გასაღებია. თქვენ დგახართ დიდი ლენინის ქალაქის, პროლეტარული რევოლუციის აკვნის კარიბჭესთან. თქვენთან არიან ლენინგრადის მშრომელები, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვიან მშობლიური ქალაქის დასაცავად. წარმოიდგინეთ ერთი წამით, რომ თქვენ ვერ შესძლოთ გამხეცვული მტრის შეჩერება. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ ფაშისტებმა აიღეს კრონშტადტი, და დაიწყეს ტრიუმფალური სვლა ლენინგრადისაკენ! რა მოჰყვება ყოველივე ამას, ამხანაგებო? ჰიტლერელები მხეცურად აწამებენ თქვენს მშობლებს, დედებს, ძმებს, ცოლებს და ბავშვებს. ტალახში ამოსვრიან ჩვენს ღირსებას, ნამუსს ახდიან ჩვენს ქალებს, მოსპობენ ყოველივე ძვირფასს, რაც კი შეუქმნია საბჭოთა ხალხს წლების მანძილზე. ირგვლივ გერმანელები გვარტყიან, უკან ბალტიის ზღვაა, რომელსაც ზურგით ვერ დაეყრდნობი. დარჩენილია მხოლოდ ერთი გზა — წინ!

გაფიქვდებით, მაგრამ უკან არ დავიხევთ, ასეთია ჩვენი დევიზი. ეხლა ნება მომეცით, გადმოგცეთ ჩვენი მთავარსარდლის რადიოგრამა. „მეზღვაურებო! ჩვენი საბჭოთა ხალხი ამყობს თქვენი, გმირული შემართებითა და ბრძოლის უნარიანობით. გერმანელებმა, მართალია, მძიმე პირობებში ჩაგვაყენეს, მაგრამ ეს დროებითია. სულ მალე მოწმენი ვიქნებით ფაშისტთა მწიკრე დამარცხებისა. იდეებით კლდესავით, შეტევისათვის ემზადდეთ და არც ერთი ნაბიჯი უკან! ერთი წუთითაც არ მისცეთ მტერს მოსვენების საშუალება. მეზღვაურები ყოველთვის იყვნენ ბრძოლაში მოწინავენი. ამ სახელოვანი ტრა-

დიცების მატარებელი დღეს თქვენა ხართ და მას ვერაინ წაგართმევთ. გისურვებთ ამრავლოთ ჩვენი სახელოვანი ზღვაოსნების სახელოვანი ტრადიციები...“

ბალტიის საზღვაო ძალების სარდალი გულთბილად დაგვემშვიდობა. მეზღვაურებმა სავანებზე ესკორტით გაეცილეთ ჩვენი აღმირალი.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქნა ჩვენი ფრონტის წარმომადგენელთა კონფერენცია. იგი უნდა შემდგარიყო „პიატაჩოვის“ აღმოსავლეთით მდებარე სოფელ ლეზიაჟში.

ჩვენი ბატალიონიდან მიწვეულ იქნა ორი კაცი, მათ შორის მე. ჩვენი ნაწილის ადგილსამყოფელიდან სოფელი ლეზიაჟი ძალზე დაშორებული იყო და ამიტომ სამი დღით აღრე უნდა გავმგზავრებულიყავი. წასვლისას მზვერავებმა და ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ გულთბილად გამაცალეს. ყველაზე ბოლოს ჩემი მოადგილე მომიხლოვდა და წყნარად, ნაღვლიანად მოთხრა:

— ეპ, უორა, ვინ იცის, ველარც კი გნახო. გამოხვალ შენებურად სიტყვით კონფერენციაზე და უფროსებიც წამსვე შტაბში გიკრავენ თავს. წადი, ძმაო, არ შეგვარცხვინო. კაცურად, როგორც მეზღვაურს შეეფერება, ისე ილაპარაკე. გადაეცი ჩვენი მეზღვაურული სალაპი ფრონტის წარმომადგენლებს. არ შეგეშინდეს, მიეცი სარდლობას პირობა, რომ ჩვენ ყველა, ვისაც მეზღვაურები გვჭია, აწარბშეუხრელად შეგწირავთ სიცოცხლეს სამშობლოს. ყველანი დავიღუპებით, მაგრამ მტერს გზას არ მივცემთ ლენინგრადისაკენ.

ის იყო, ხლობოხოვს უნდა გამოვემშვიდობებოდი, რომ გვერდით ვოლკოვი ამეტუნა. მან ეშმაკურად ჩამიკრა თვალი და მოთხრა:

— აბა, მეთაურო, ერთი რამე არ დაგვიწყდეს, არაყს რომ მოგართმევენ,

ჩვენს მაგიერადაც გადააკარით. ბიჭები არ დაიფიქრო, უორა!

საქონეული

მე გული შემეკუმშა. ვოლკოვიც ვოლკოვი, რომელიც ჯოჯობეთშიც კი სიცილით დახოცავდა ეშმაკებსა და ქაჩებს, რაღაც დაღლილი, მოდუნებული და ნაღვლიანი მეჩვენებოდა. პირგაუპარსავი, სახე ჩამუჭებული, უბებებმოლურჯებული წყნარად იცქირებოდა სადღაც, ჩემს ზემოთ. ეტყობა, ბევრი რამ დარჩა უთქმელი. უნდოდა, ძალზე უნდოდა ეთქვა ჩემთვის გულითადი და თბილი სიტყვა, მაგრამ მისი მტაცე, უხეში ხასიათი ამის საშუალებას არ აძლევდა. მე მივუხვდი. უცებ მოვხვიე კისერზე ხელში, მივიზიდე და ვაკოცე გაუპარსავ სახეზე. ვოლკოვი გაიჩინდა, თითქოს გაქვავდა. ჩანს, ამას არ მოელოდა და უცებ თვალები აუწყლიანდა. არასოდეს დამავიწყდება მისი მაშინდელი შემოხედვა, რომელიც საესე იყო სითბოთი და მადლიერებით.

და მაინც თავისებურად დამითავრა გამოშვებობებმა: შებრუნდა, ერთი მაგარად შეიგინა და წავიდა.

ვიდრე სოფელ ლეზიაჟში ჩავიდოდით, არა ერთი დაბისა და დასახლებული პუნქტის გავლა მოგვიხდა. მივდიოდით სულ ქვეითად. სოფლები უეცარიელ უდაბნოს დამსგავსებოდა. აზრადაც არავის მოუვიდოდა, თუ იქ ვინმე ცხოვრობდა. აქა-იქ თუ დავლანდავდით ხოლმე პირშეფუთულ ქალებს, რომლებიც ხანხალით მიათრევდნენ წყლით საესე ვედროებს, ანდა ზურგზე აკიდებულ პატარა ტომრებს. არც ერთი მათგანი არ ამქდავენბდა სურვილს დაგვლაპარაკებოდა. დაღვრემილად და მოტეხილად გამოიყურებოდნენ. ასე იყვნენ არა მარტო დიდები და მოზრდილები, არამედ ბავშვებიც. არსად უბრალოდ ყურიც კი არ მომიკრავს ბავშვის ხმაშალი სიცილისათვის. შიმშილი, გაჭირვება, წუხილი და საშინელი დაღლილობა დასადგურებელიყო მათ თვალებსა და გამომეტყველებასში.

ბევრგან მოგვიხდა დამის გათევა. სოფლებში სტუმართმოყვრულად გვდებუ-

ლობდნენ. დამეს სიამოვნებით გვათე-
ვინებდნენ, თანაც ბოდის იხდიდნენ,
რომ არაფერი გააჩნდათ საქმელი კარ-
ტოფილის გარდა. მასპინძლები ერთდე-
ბოდნენ ბევრი ლაპარაკით ჩვენს შეწუ-
ხებას. ბავშვები კი მუდამ თავს დაგე-
ტრიოლებდნენ. ცნობისმოყვარეობით
ათვლიერებდნენ ჩვენს ავტომატებს,
პისტოლეტებსა და დანებს.

— მოიცა, გავიზარდო ერთი! მეც
შექნება ავტომატი და ჰიტლერს საყუ-
თარი ხელით დავიჭერ.

— ბიჭოს, ასე ყოჩაღი თუ ხარ, ჩქა-
რა მაინც გაიზარდე, რომ მალე დაიჭი-
რო ის დამთხვეული!

— დავიჭერ კიდეც და აი ამ ნიჩბითა
ვეცემ! შევამწყვდევ გალაში და სულ
კარდაჯარ ვატარებ, სულ ვცემ და
ვეცემ...

მივივრდა, როგორ დაისადგურა ასე
პატარა გულებში ამდენმა ზიზღმა. და
მწამდა, ასეთ საყოველთაო ზიზღს ნამ-
დვილად მოჰყვებოდა ქარიშხალი, რომე-
ლიც მიწის პირისაგან აღგვიდა ჩვენს
მიწა-წყალზე შემოჭრილ ფაშისტურ
სამხედრო მანქანას.

ჩავედით ლეზიკში. ჩვენ იმ დღესვე
ავიყვანეს აღრიცხვაზე. მოგვეცეს საშ-
ვები, უბის წიგნაკები და ფანქრები. მე
არ ძალმიძს ავიწეროთ იმ წუთებში ჩე-
მი განცდები, როცა სასადილოში შეგ-
ვიყვანეს. ასე დამშუღლი ვიყავი, დიდი
მადლობელი ვიქნებოდი, ორასი გრამი
პური და თბილი წყალი სადმე მო-
ეტანათ ჩემთვის, თუნდაც ხის ძირას.
ხოლო ერთი კვინჩი მარილიც რომ ზედ
მოეყოლებინათ, ნამდვილად ბედნიერად
ჩავთვლიდი თავს.

ლეზიკში კი თეთრად გაქათათებულ,
თბილ სასადილოში მიგვიწვიეს. მაგი-
დაზე იდო თეთრი, ფუნთუშა პური! ეს
რალაც ზღაპარსა ჰგავდა, სიზმარში ხი-
ლულ ოცნებას. არა, მე არ ძალმიძს დაე-
ფარო მაშინდელი ჩემი საქციელი, რა-
ზედაც, მგონია, მკითხველიც არ დამძ-
რახავს. პირველი აზრი, რომელმაც თავ-
ში გამიელვა, ის იყო, რომ არავის მო-
ესწრო მაგიდის იმ კუთხესთან დაჯდო-

მა, სადაც პური იდო. მაგრამ ეს აზრი,
როგორც ჩანდა, ჩემზე ადრე სხვებს დაე-
ბადებოდათ და იმათ მომასწრეს დააჩი-
სწორედ ახლა ვიგრძენი, როგორ დავ-
ძაბუნებულვარ ფიზიკურად და სული-
ერად. თავი ლამის შემძვავდა. რალა უნდა
მექნა, როცა ნამდვილად მძიმე მდგომარე-
ობაში ჩავვარდი? უხალისოდ მივეუ-
ჯექი მაგიდას რომელზედაც უკვე გამქ-
რალიყო პურიცა და საქმელ-სასმელიც.
ნამცეცები რა არის, ისიც არსად ჩანდა.
ის იყო, ადგომას ვაპირებდი, რომ სასა-
დილოს გამეგ მოვიდა ჩემთან, თავისი ხე-
ლით მომიტანა კოხტად დაჭრილი შავი
და თეთრი პური. მერე ვასცა განკარგუ-
ლება, კერძი მოეტანათ ჩემთვის.

— თქვენთვის საჩუქრებსაც ვამზა-
დებთ, პირადად ამხანაგი ედანოვი და-
ესწრება კონფერენციას. — მითხრა მან.

ჰოდა, ზოგიერთი წარმოგზავნილი,
რომელსაც თვეობით არ ენახა ნამდვი-
ლი პური, დაუხარბა საქმელს. ეს კი
გამოუესწორებელი შეცდომა იყო. ერ-
თბაშად ბევრი საკვების მიღება ზანგრ-
ძლივი შიმშილის შემდეგ მომაკვდინებე-
ლია. ბევრი დღეუგატი ავად შეიქნა და
ველარ დაესწრო კონფერენციას.

ჩვენი ფრონტის წარმოშადგენელთა
კონფერენცია საღამოს 5 საათზე შეიკ-
რება.

მე სიტყვით გამოვედი. ამხანაგებს
მოეწონათ ის, რომ მეზღვაურების
საბრძოლო განწყობილება, მიუხედა-
ვად მძიმე მდგომარეობისა, საკმაოდ
მაღალი იყო. ჩვენ ფიცი დავდეთ, რომ
ცოცხალი თავით არ მიეცემდით ნებას
ფაშისტ დამპყრობლებს, გაერღვიათ
ჩვენი ფრონტი.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ
დაგვიორგეს საჩუქრები: თამბაქო, პირ-
საპარსი მოწყობილობა, პატარა სარკე-
ორი ხელის საბონი, კბილის ფხენილი და
ჯაგრისი, თითო დასტა კონვერტები და
საწერი ქაღალდი, ორი ცალი ფანქარი.
გარდა ამისა, რაც მთავარი გახლდათ,
ერთი მთელი თეთრი პური, კილოგრამი
შაქარი და კამფეტი. თანაც ორი დიდი

კოლოფი ნამცხვარი. ყველაფერი ეს ჩვენთვის მეტად ძვირფასი რამ იყო, მაგრამ ძალზე დაგვწყდა გული, რომ კონფერენციას არ ესწრებოდა ა. ა. ჟდანოვი. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ იმ დღეებში გერმანელებს დიდი შეტევა დაეწყოთ ნარვის მიმართულებით. საქმე იქამდე მისულა, ნარვის კარიბჭე, თურმე, რამდენიმე მტრის ტანკს ვადმოულახავს. მაგრამ ა. ა. ჟდანოვის ზელმძღვანელობით ჩვენები კონტრშეტევაზე გადასულან და განუდევნიათ მოწინააღმდეგე სტრელნამდე.

აღნიშნული კონფერენციიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი დეტალი. წამოსვლის წინ ბატალიონის კომისარს წინასწარ შევეუთანებე თეზისები მოხსენებისა, რომელიც აგებული იყო ჩვენი მზევრავების ცნობების სისტემატური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. საბჭოთა სარდლობის დავალებით, პირველ ხანებში, მტრის ზურგში ვრცელდებოდა ფურცლები. სადაც აღნიშნული იყო ფაშისტების ავაციისა და არტილერიის მიერ ლენინგრადის ბარბაროსული დაბომბვის შედეგები. ფურცლები მოუთხრობდა მკითხველს დანგრეულ საბავშვო ბავებზე, დაზოცილ უმწეო ბავშვებსა და ქალებზე, განადგურებულ საავადმყოფოებსა და მიწასთან გასწორებულ ჰოსპიტლებზე. თავდაპირველად ვფიქრობდით, ასეთი ცნობები გავლენას მოახდენდა გერმანელთა ჰუმანურ გრძობებზე, მაგრამ მოვტყუდით. ეს ცნობები თურმე სიხარულს ჰგვირიადა გამხეცვბულ ფაშისტები. საჭირო იყო ჩვენი პროპაგანდა გაგვეხადა უფრო მახვილი და მკაცრი. ფურცლებში აღგვენიშნა არა ჩვენი დანგრეული ობიექტები, არამედ ტყვედ შეპყრობილი გერმანელების ფოტოსურათები, მათი ზუსტი ბიოგრაფიები, მისამართები. აი, ეს კი ნამდვილად მოახდენდა გავლენას. დაარწმუნებდა ჰიტლერის მიერ გაბრიყვებულ გერმანელთა მხედრობას იმაში, რომ ყველას სიკვდილი ელოდა, ვინც კი

ეცდებოდა ლენინგრადში შესვლას.

ასეთი იყო ჩემი მოხსენებების შენაჩრისი კონფერენციაზე, რამაც გაციოვედებული მსჯელობა გამთიწვია. არ ვასულადიდი ხანი და ასეთი პროპაგანდის ნაყოფმა მალე იჩინა თავი. ძალზე იმოქმედა გერმანელებზე თავიანთი მოკლეული, დაჭრილი და ტყვედშეპყრობილი თანამოძმეების სურათების ხილვამ. ძინი დარწმუნდნენ, რომ ჩვენთან ზუმრობა არ შეიძლებოდა. ამას ისიც დაერთო, რომ ჩვენ შევძელით მტრის ზოგიერთ ადგილსამყოფელში რადიოქსელის შეყვანა და გადაცემების მოწყობა. ამის შემდეგ ძალზე ზშირი ვახდა გერმანელი ჯარისკაცების ვადმოსვლა ჩვენს მხარეზე.

კონფერენციამ საერთოდ ძალიან დიდი საქმე ვააეთა. მან ამაღლა ჩვენი ფრონტის მებრძოლთა მორალური და საბრძოლო სულისკვეთება, დასახა ლენისძიებანი ლენინგრადის დაცივის ვალიერების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

კონფერენციის დეღუგატები დაუყოვნებლივ ვაეშურეთ მშობლოური შენაერთებისაკენ. ჩვენ ძალიან სწრაფად მივდიოდით. გვინდოდა დროულად ვადაგვეცა ჩვენი მებრძოლებისათვის კონფერენციის მონაწილეთა ფრონტული სალაში და ძვირფასი საჩუქრები. ჩვენ მხოლოდ ერთი დამე ვავათიეთ ზურგის მუშაკებთან, რომლებმაც უხვად მოგვამარაგეს საგზლით.

როგორც იქნა, მივადწიეთ ჩვენი ნაწილის ვანლაგებას. მე პირდაპირ ბატალიონის მეთაურსა და კომისარს მივაშურე. ისინი სიხარულით შემხვდნენ და მისინინეს ჩემი მოკლე პატაკი.

მერე მიბრძანეს, დაუყოვნებლივ წასულიყოვი ამხანაგებთან, რომლებიც, კომისარის ვადმოცემით, მოუთმენლად მელიოდნენ. კომისარსა და მეთაურს ვთხოვე, მიელოთ რაიმე საჩუქრებიდან, მაგრამ მციეროდენი კამფეტის ვარდა ხელი არაფერს ახლეს.

— წადი, ბიჭებს წაუღე საჩუქრები, ნულარ აყოვნებ, — მითხრა კომისარმა და მიწურის კარებამდე მიმაილა.

გამოვედი ვარეთ. ნათელი, მთვარიანი

ღამე იყო. კაშკაშებდნენ ვარსკვლავები, რძისფერი მოჰყენოდა შორეულ პორი-ზონტსა და ალაგ-ალაგ წამომართულ ბორცვებს. გული როგორღაც ხალვათად მიცემდა. მიმიხაროდა ჩემს ბიჭებთან, ჩემს განუყრელ მეგობრებთან. აი, უკვე ღამის ბირველი საათია. ალბათ სძინავთ მთელი დღით ნაჭაფ, შიმშილისაგან და-ოსებულ ჭაბუკებს. მე იმ წუთებში არა-ფერი არ მინდოდა, ყველაფერს გავწი-რავდი, ოღონდ დამენახა მათ დაღლილ, განაწამებ სახეებზე შეგების ღიმილი.

მივადექი მიწურში ჩასასვლელს, ღრმად მოვიხარე წელში და წყნარად შევალე კარები. წამსვე მწვავე კვამლის სუნი მყუა. თვალები ამეწვა, მაგრამ ნა-ხევრად ბნელში მაინც დავიწახე ხლო-ბოზოვი და კრუეკოვი, რომლებიც ცე-ცხლს მოსხდომოდნენ და ფეხსახვევებს აშრობდნენ.

— ეორა!.. ეორა ძვირფასო, მოხვე-ლი?! — ერთი კი დაიძახა კრუეკოვმა და ფეხშიშველა წამოიჭრა ზეზე, წამით შემომაქტერდა სახეზე, მერე უხმოდ გადამეხვია.

მის ზურგსუკან კი ვხედავდი ნამძი-ნარევ, პირგაბანჯალულ სახეებს, რომელთაც ოდნავ ანათებდა სუსტი ცეცხ-ლის ანარეკლი.

— მოსცილდი, კაცო, ერთი მეც შეე-ხედო მაგ გასუფთავებულ ტიპს, — და-იძახა ვოლკოვმა, მაგრამ წამსვე გაჩუმ-და. მის ხუმრობას ამჯერად არავინ გა-მოხმურებია. ბიჭები სდუმდნენ და ოდნავ შესამჩნევი, საოცრად თბილი ღი-მილით შემომცქეროდნენ. მე ხმაშლია გავიციე. მივედი ვოლკოვთან და გადა-ვკოცნე.

ბიჭებმა აანთეს ამერიკული კონსერ-ვის ქილებისაგან დამზადებული ჯარის-კაცული ჭრაქები და მიწური წამსვე გა-ჩახჩახა. დიდის ამბით გადმოვალაგე საჩუქრები. ჩემი ხელით დავეკრა პური, გავხსენი კონსერვები, ამოვიღე კარაქი და ერბო, კარტოფილი ბიჭებს გავაფც-ქენევიანე სასწრაფოდ და მოლაშქრეთა კვალობაზე დიდებული ვახშამი მოვამ-

ზადეთ. ხორცის სურნელებამ გაამგელა მებრძოლეები. სიმწრით ყუაპავდნენ ლუკმას, თანაც დროდადრო დარცხვენე-ლი შემომცქეროდნენ. რცხვენოდათ ჩემს ბიჭებს სულსწრაფობისა, რცხვე-ნოდათ გაჭირვებისა, ზებუნებრივი ადა-მიანური ტანჯვისა, რომელსაც მუდამ ხმაამოთლებლივ იტანდნენ.

ოდნავ დანაყრდნენ თუ არა, თვა-ლებში შუქი ჩაუდგათ, სახეზე ნაოჭები გაეშალათ, წელში გაიმართნენ, როგორ-ღაც დამშვიდნენ და კვლავ აღებუქდათ ჩემთვის მარად ნაცნობი და ახლობელი გამომეტყველება, რომელიც მხოლოდ მეზღვაურებისთვისაა დამახასიათებელი, ამაყი, გამომწვევი, რალაცნაირად აღე-სილი და ჭიუტი.

— მოეწიოთ, — ხმადაბლა მომმართა კრუეკოვმა.

ბიჭებს წინ დავუღე „ბელომორსა“ და „მახორკის“ კოლოფები. მიწურში სქელი ბოლი გაიძენა. ახოლებდნენ და ვერ იქნა, ვერაფრით ვერ დაიშოშმინეს მოწვევის სურვილი. ანდა რა გამეტყუ-ნებოდათ?! ორ თვეზე მეტი იყო თვა-ლითაც არ ენახათ, უბრალოდ, ყნოსვი-თაც არ ეყნოსათ ნამდვილი თამბაქო.

ხლობოზოვი ადგა და მიწურის კუ-თხისაკენ წავიდა. იქიდან წყნარად მო-იტანა სუფთა ტილოში გახვეული რა-ღაც და წინ დამიდო. ბიჭებმა თავი და-ხარეს. მე იმ შეხვეულს შემოვაცალე ტილო და დავიწახე კოვზჩარჩილი ფა-ფით სავსე ჩემი ჭაბუხა, რომელზედაც ოთხი პატარა ნაჭერი პური იდო. ეს გახლდათ ჩემი ოთხი დღის ულუფა. ჩემს მებრძოლებს იგი ხელუხლებლად შეენახათ.

გავა ალბათ კიდევ მრავალი წელი. შეიძლება ბევრი რამ შემხვდეს ცხოვ-რებაში საყურადღებო, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი, მაგრამ ჩემს სი-ცოცხელში არასოდეს დამავიწყდება იმ საშინელი შიმშილის დღეებში ჩემი თა-ნამებრძოლების მიერ ჩემთვის სათუ-თად შენახული ფაფა და პური...

ნოდარ ჩხეიძე

კრიტიკოსებზე საერთოდ ერიდებიან წერას. ჟიულ რენარი ენამწარობდა კიდევ — კრიტიკოსების მიმართ მოწყალენი უნდა ვიყოთ, ისინი ყოველთვის ლაპარაკობენ სხვებზე, მათზე კი არაფერი არაფერს ამბობს.

თუმცა არც სულ ასეა.

ნოდარ ჩხეიძეზე ბევრს ლაპარაკობდნენ. იგი არ განაწყობდა ადამიანებს თავისი პიროვნების მიმართ ნეიტრალურად — ან უყვარდათ, ან არა. მაგრამ ყველა პატივს სცემდა, როგორც უადრესად ერუდირებულსა და პრინციპულ კრიტიკოსს.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პრინციპულობა ერთი მთავარი ცნებათაგანია კრიტიკოსისა, თუმცა მას ხშირად არღვევენ ხოლმე.

ნოდარ ჩხეიძეს ამ მცნებისათვის არასოდეს უღალატია.

მე მინდა ნოდარ ჩხეიძეზე ვილაპარაკო როგორც ცოცხალზე, თუნდაც იმიტომ, რომ გურამ რჩელიშვილისა არ იყოს, იგი კარგა ხანს მოახდენს გაუღენას ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის აზროვნებაზე, გემოვნებაზე და, ასე განსაჯეთ, ცხოვრების წესზეც.

ნოდარ ჩხეიძეს თავის წერილთაგან ყველაზე მეტად ორი უყვარდა: ანა კალანდაძეზე და რეზო ჭეიშვილზე. ერთ-ერთ მათგანში წერდა: „ყოველი ლიტერატურული თაობა, თუ მას რამდენიმე ძლიერი, ზედმიწევნით ორიგინალური წარმომადგენელი არა ჰყავს, ხელოვნურადაა შექმნილი, ფიქციაა“ და „თაობიდან თანდათან გამოირჩევიან ყველაზე ნიჭიერი შრომისმოყვარე ინდივიდები, რომლებიც თავისი ორიგინალური მწერლური სახის შექმნასთან ერთად, ერთპიროვნულად წარმართავენ საერთო ლიტერატურულ პროცესებს“.

ნოდარ ჩხეიძე ასეთი ინდივიდი გახლდათ და მართალია, მისი ლიტერატურული ინტერესები მრავალმხრივი იყო, — იგი ოსტატურად ამუშავებდა თეორიულ საკითხებს. ხალისით იკვლევდა ძველი თუ ახალი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, მაინც იგი, როგორც შემოქმედი, უშუალოდ სამოციან წლებში მოსულ ლიტერატურულ თაობასთან იყო დაკავშირებული.

კრიტიკული წერილი, ლექსთან თუ მოთხრობასთან შედარებით, ადრე ბერდება და ადრევე კვდება, რადგან მომენტი ხშირად განსაზღვრავს მის აქტუალობას. მე წავიკითხე ნოდარ ჩხეიძის წიგნი, რომელიც „საბჭოთა საქართველოში“ უნდა გამოსცეს, ვნახე ათი წლის წინათ დაწერილი წერილები. ისინი დღეს გვეგონებათ დაწერილი.

და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მხატვრული ნაწარმოებებია და არა კომენტარები ნაწარმოებისა, არამედ იმიტომ, რომ მათში ავტორი მხარს უჭერს იმ ტენდენციებს, რომელთაც განსაზღვრეს და ალბათ კიდევ კარგა ხანს განსაზღვრავენ ჩვენს ლიტერატურულ აზროვნებას.

კრიტიკოსი არ უნდა ფასდებოდეს მხოლოდ კარგი თუ ცუდი წერილებით, მისი ღვაწლი უნდა განიხილოს იმითაც, თუ ვინ შემოიყვანა მან მწერლობაში, ვის ამოუდგა მხარში და ვის დაუპირისპირდა.

ნოდარ ჩხეიძემ კი თავისი სიტყვა ბევრს შეაწია, მეტიც, მან ბევრისთვის იბრძოლა. ბრძოლა კი უკომპრომისო და დაუნდობელი იცოდა. იგი ერთნაირად ფლობდა

წერისა და პოლემიკის ხელოვნებას და ხშირად ალტაცებაში მოუყვანია მსმენელები. მისი მოწინააღმდეგეებიც კი, გამანადგურებელი, მაგრამ ლამაზად ნათქვამი პასუხით:

კრიტიკოსობა საკმაოდ ძნელი და იქნებ უმადური პროფესიაცაა. პროფესიონალი კრიტიკოსი კარგი ფილოსოფი და კარგი მოქალაქე უნდა იყოს. ლიტერატურა ხომ უსაზღვრო ქვეყანაა, რომლის უკიდველობას, რაც უფრო წინ მიდისარ, მით უფრო ხედავ, ლიტერატორი ხომ ფილოსოფოსი, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიც უნდა იყოს, იგი ხომ ადამიანებსაც უნდა იცნობდეს და ზოგჯერ გერწვნება, რომ ერთი ადამიანის ცხოვრება არ კმარა ამ ტვირთის ასაწევად.

ნოდარ ჩხეიძე ახერხებდა ამ ტვირთის აწევას.

მან თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ ასპირანტურა კრიტიკისა და ესთეტიკის ისტორიის სპეციალობით. და შესანიშნავად დაიცვა დისერტაცია „ლიტერატურული სახის ზოგიერთი საკითხი“. მართლაც, მის წერილებში იგრძნობოდა თეორეტიკოსის თვალი და ფილოსოფიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ლტოლვა სიზუსტისადმი.

მაგრამ მისივე თქმისა არ იყოს, ხომ არის ბევრი რამ, რაც ცოდნით არ მიიღწევა, ხომ არის მომენტები, როცა ცოდნა ვერ ცვლის ალღოს?

მას ზედმიწევნით ჰქონდა განვითარებული ის პროფესიონალური ალღო ფილოსოფოსისა, რომელიც საკმაოდ იშვიათია და შეუცვლელი. იგი ერთნაირად გრძნობდა პროზისა და პოეზიის საიდუმლოებას, იგი ხედებოდა სიტყვის დაბადების მიზეზს და თუ მისი ყური ყალბ ბეგრას მოკრავდა ყურს, მოურიდებლად და გულახდილად იტყოდა, თუმცა მოურიდებლად კი? იგი ხომ ფრთხილი იყო ნიჭიერ კაცთან, პროფესიონალ მწერალთან, იგი ხომ განიცდიდა ასეთი კაცის ყოველ მარცხს და უჩვენებდა ძიების სწორ მიმართულებას, მაგრამ მას გულწრფელად უყვარდა მწერლობა და ტკიოდა ყოველი მისი სატკივარი. ამიტომაც იყო, რომ ვერ იტანდა უნიჭობის პრეტენზიულობას და ლიტერატურაში თავმოსაწონებლად შემოსულთ არასოდეს ერიდებოდა.

ასეთი იყო იგი პირველი წერილიდან უკანასკნელ წერილამდე.

1950 წლიდან დღემდე ნოდარ ჩხეიძეს რამდენიმე ათეული წერილი აქვს დაბეჭდილი, წიგნები, მაგრამ ყოველთვის წერდა, რომ ცოტა აქვს გაკეთებული: იგი, უპირველესყოფისა, თავის თავს თხოვდა ყველაზე მეტს. კრიტიკოსისათვის ორმოცი წელი ძალიან ცოტაა. იგი ფიქრობდა რომ ეს წიგნი, რომელიც წელს უნდა გამოვიდეს. მისთვის იქნებოდა შეჯამებაც და დასაწყისიც მისი მოღვაწეობისა. თურმე დასაწყისად ჰქვეა ამ წიგნს არ ეწერა.

და როდესაც იგი დაისტამბება, მაშინ იქნება კიდევ დრო და საშუალება ნოდარ ჩხეიძის შემოქმედების სრული შეფასებისა, მაგრამ გაკერით მინდა შევნიშნო: მისი წერილის კითხვა მართლ გონებას კი არა რგებდა, გულსაც ალღელებდა, ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებდათ. მისი წერილი არ იყო კომენტარი ამა თუ იმ ნაწარმოებისა, იგი მწერლის გვერდით იდგა, ესაუბრებოდა მკითხველს და ითრევდა მასაც ამ საუბარში. და ყველა ამის მიზეზი, ცოდნასა და ალღოსთან ერთად, ვფიქრობ, მისი პიროვნების ორიგინალურობაც იყო, რადგან მისი სიტყვებისა არ იყოს — „ყოველი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ კარგ მკითხველს თამამად შეუძლია თქვას, რამდენად საინტერესოა კაცი, რომელმაც ეს ნაწარმოები დასწერა. ეჭვგარეშეა, მკითხველზე გაღვინას ახდენს სწორედ საინტერესო, მნიშვნელოვანი პიროვნება — იქნება ეს პერსონაჟი თუ ავტორი“.

გავა წლები და ნოდარ ჩხეიძეს მისი წიგნებითა თუ წერილებით წარმოიდგენენ. ასეთი წარმოდგენა ყოველთვის ნაკლებია, მით უფრო, მის მიმართ. ნოდარ ჩხეიძის ენერჯია საარაკო და ძნელად სათქმელი იყო. მას შეეძლო ეთქვა: არა არისო საქართველოში კუთხე, სადაც არ დამიდგამსო ფეხი. ჭირსა თუ ლხინში უნდა გენატრა, მეგობრებისათვის თავვადაკლული იყო, თავისი ოჯახისათვის კი საარაკო მამა და პატრონი.

ყველაფერს ასწრებდა, ყველგან იყო, ღამეებს წიგნებზე ათენებდა და თვალის ერთი მილულვა ყოფნიდა, რომ ისევ ათი კაცის ენერგიით გაქვლინდილიყო. შეხედავდით ერთი სამუალო ტანის კაცი იყო, ხმელი, ნერვიული, სიმეტრიული სახით, შუბლზე წამოშლილი ქოჩორით და გამჭოლი მწერით.

მწერალთა კავშირის დარბაზს ალბათ დიდხანს ესმოშება იგი კათედრაზე ასული, ოდნავ თავდასრილი რომ ელოდება ხალხის დაწყენარებას, თან უმზაკურად მოუკუშავს ტუჩები და არ იცი რას იტყვის. მას ქმონდა ადამიანებზე ზეგავლენის, ადამიანების დაპყრობის უნარი და ამ ნიჭს იგი ადამიანების სასიკეთოდ იყენებდა.

მე მასსოფს იგი კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ დისკუტებზე, ბაკურიანის თათბირებზე. მას გულთან ახლოს მიქმონდა ყოველივე, რაც ეხებოდა ახალგაზრდობას, ჩვენი ქვეყნისა და ლიტერატურის მომავალს. ამიტომ იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ნეკროლოგში რომ სწერდა: „ჩვენ ვხედავდით მასში დიდი გაქანების და დიდი მომავლის ადამიანს, დიდად პატივს ვცემდით და გვიყვარდა იგი“.

იგი დიდხანს ემასსოვრება უნივერსიტეტს, სადაც 1955 წლიდან ზრდიდა ახალგაზრდა ეურნალისტებს და ახლა, ალბათ არც ერთი გაზეთი არაა საქართველოში, სადაც მისი სტუდენტი არ მუშაობდეს—ყოველ მათგანს მისცა მან თავისი სიტბო და გადასდო თავისი გზნება.

ადამიანი გადადის არა მარტო თავის შვილებში, არამედ ყოველ მათგანში, ვისაც თავისი სულის ნაწილი უწილადა. ნოდარ ჩხეიძე მდიდარი სულის კაცი იყო და ბევრი, ძალიან ბევრი ხანდაზმული თუ ახალგაზრდა, ატარებს მისი სულის ნაწილს. იგი კი ამით უფრო მდიდრდებოდა.

დასაფლავების დღეს, მწერალთა სახლში, მე მომცეს ნოდარის სურათი. იგი გურამ რჩელიშვილთან ერთადაა გადაღებული. ისინი ცხენებზე სხედან. გურამს შავები აცვია და შავ ცხენზე ზის, ნოდარი—თეთრზე. სურათის ფონი ირიალურია, არამქვეყნიური.

აი სურათიდან იცქირებიან ისინი: გურამი რაინდული შემართებით, ნოდარი თავდახრილი, თითქოს ნალვლიანი ღიმილით. ამ უცნაურმა სურათმა შემოინახა ჩვენი ლიტერატურის, ვაი რომ ორი დაღუპული იმედის სახე.

სული?

სული მათ შემოქმედებას შემორჩა, რადგან ეტყობა ჩვენს შემოქმედებაში ჩვენ მართლა „ფქერწავთ საკუთარ სახეს. იმ დღისათვის, როცა აღარ ვიქნებით“.

მან, აბსურდული სიკვდილით დაღუპულმა, „თავის ხალხზე, თავის მიწაზე, წარსულსა და აწმყოზე თავდავიწყებით შეყვარებულმა ქართველმა“ თავისი სიკვდილითაც საქმე გააკეთა— მისმა თაობამ დაამტკიცა, რომ მას მარტო დიდი იდეალებისათვის ბრძოლა კი არ ძალუძს, არამედ სულიერ ტკივილთა ღირსეული გადატანაც. და დიდუბის პანთეონში ნოდარ ჩხეიძის დაკრძალვა იყო არა მარტო მისი პატივი, არამედ იმ თაობის დამსახურების დადასტურებაც ქართული კულტურის წინაშე, რომლის მოსვლასა და დადგინებასაც იგი თაობდა.

კობა ივალიშვილი



ნომერი ჩხიძე

ლ ე მ ქ ი ა ჩ ე ლ ი

„იშვიათია ადამიანი, რომელიც ასე ღირსეულად ატარებდეს მწერლის წოდებას: იმ გარემოებას, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე მწერალია სამშობლოში და მის გარეთ, რომ მის ნაწერებს თბილისშიც კითხულობენ და ერევანშიც, მოსკოვშიც და კიევშიც, ლონდონშიც და ტოკიოშიც, სიდნეიშიც და ბუენოს-აირესშიც, მისთვის არასოდეს წონასწორობის გრძნობა არ დაუკარგვინებია. მისი დევიზია პორაციუსის სიტყვები: ნურაფერი ნუ გაგაკვირვებს. ის მხოლოდ ზშირად სინანულს გამოთქვამს, რომ იმდენი ვერ გააკეთა, რამდენის ვაკეთებაც შეეძლო“.

გერონტი ქიქოძის ამ სიტყვებში მშვენივრადაა შეფასებული ლეო ქიაჩელის ხასიათი და ბუნება. ეს შეფასება ჩვენს საუკეთესო ლიტერატურული ინტელიგენციის საერთო აზრია.

ლეო ქიაჩელი თავის თანამედროვეთა და კოლეგათა შორის ერთერთი ყველაზე დახვეწილი, კეთილშობილი, უმაღლესი კულტურის ადამიანი გახლდათ. მისი ბუნებისათვის სრულიად უცხო იყო წერილმანობა და განდიდების ძიება, იაფი პოპულარობა და საკუთარი პერსონის ირგვლივ ამტყდარი ხმაური; ლეო ქიაჩელი დღემდე რჩება თავმდაბლობისა და პატიოსნების მაგალითად. სწორედ ამ თვისებების გამო იყო ის, ყველგან და ყოველთვის, გულწრფელად პატივცემული და დაფასებული.

თუ პირობითად მაინც შეიძლება ლაპარაკი პოეტურ პროზაზე, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობა-

ში ერთერთი მეტად პოეტური, ლეო ქიაჩელის პროზაა. მის რომანებსა და ნოველებში უმთავრესი და ძირითადია ადამიანთა სულიერი მდგომარეობის მხატვრობა. ყოველი დანარჩენი — მატერიალური სამყარო, პეიზაჟი, ამბავი, პორტრეტი, — ადამიანთა სულიერი ცხოვრების, სიხარულისა და ტკივილის გადმოცემას ემსახურება. თავის ადრინდელ მოთხრობებსა და ნოველებში, ის მართლაც „უფრო პოეტია, ვიდრე ოსტატი“, უფრო ზელოვანია, ვიდრე სტილისტი, მისთვის მთავარია ხილვა და აღმოჩენა, და არა ამ ხილვისა და აღმოჩენის გულმოდგინე დამუშავება.

ამჟამა შეცდომაა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გავრცელებული აზრი, რომ თითქოს მწერალი შეგნებულად გაუბრბოდა ნაწარმოების სტილისტიკურსა და ენობრივ ორიგინალობას, როგორც მანერულობას. მანერულობა ყოველთვის არ ნიშნავს სტილურსა და ენობრივ ორიგინალობას. და თუ ქიაჩელის შემოქმედებაში ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც, რაიმე იწვევს გულისტკივილს, ისევე მწერლის ენა და სტილი.

ქიაჩელი აღიარებულია კლასიკური პროზის ტრადიციათა ერთგულ, ამ ტრადიციათა გამგრძელებელ მხატვრად. ამ ტრადიციებში იგულისხმება არა მარტო ქართული კლასიკური პროზა, არამედ მსოფლიო მწერლობა, რომელსაც შესანიშნავად იცნობდა ლეო ქიაჩელი. ის სამართლიანად ითვლება აგრეთვე ახალი საბჭოთა სოციალისტური პროზის ერთ-ერთ ფუძემდებლად. და მას

მსოფლიოს არც ერთი მწერლის უშუალო, ეპიგონური გავლენა არ განუცდია. მაგრამ სიცოცხლეშივე მოუხდა ასეთი, აშკარად უმეცარი ბრალდების იძულებითი უარყოფა. არც მისი შემოქმედების მასალა, არც მის მიერ დახატულ პერსონაჟთა სოციალური და მორალური სახე, არც მასალასა და პერსონაჟებთან მისი მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური დამოკიდებულება არ იძლეოდა ამის უფლებას. და ამ უმთავრესში ის ორიგინალური, თავისთავადი, პირველმხილველია.

მისი შემოქმედების საგანი, წყარო, მასალა მთლიანად ახალი იყო. ის წერდა იმაზე, რაც თვალით ენახა, რაც განეცადა, რაც ზედმიწევნით კარგად იცოდა, ან ჭეშმარიტად დიდი ხელოვანის ძალით, დამაჯერებლობითა და სიმართლით ქმნიდა თავის საკუთარ, ამდღებულსა და დრამატულ სინამდვილეს; ის წერდა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანზე, თანადროულზე, ეპოქისათვის არსებითსა და დამახასიათებელზე. მისი შემოქმედება ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის თავისებური მატინია 1905 წლის რევოლუციიდან მოქიდებული დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე.

თავის ნოველებსა და რომანებში ლეო ქიაჩელი შეგნებულად გაურბის ხელოვნების ყველაზე დიდ მტერს — შიშველ ტენდენციურობასა და სუბიექტურობას. ის მხოლოდ მოქმედებით, ამბის განვითარებით, სხვა პერსონაჟთა თვალითა და სიტყვით ახასიათებს თავის გმირებს. ამით აღწევს ზემოქმედებას მკითხველზე. ეს განსაზღვრავს მისი გმირების რელიეფურობასა და დამაჯერებლობას. ის ზედმიწევნით მძაფრი, დრამატული სიტუაციების მხატვარია. მისი ნოველების გმირები, უმეტესად, ტრაგიკულად იღუპებიან. ფიზიკური ძალით, ახოვანებით, ხასიათის სიმტკიცით მისი გმირები მიქელანჯელოს ქანდაკებებს გაგონებთ. მისი მამაკაცები ფოლადისაგან ჩამოსხმულს გვანან — სხეულითაც და სულითაც. ისინი უმადლესი ვნებთაღელვის

ცეცხლში იწვიან, მათ ფანატისკური გოგულება, სიყვარული, თავგანწირვა შეუძლიათ; ისინი რევოლუციურ თავდადებას, სამშობლოს ერთგულებას, მეგობრობას, შვილის სიყვარულს, ანდა უცნაურ და დაუძლეველ, ძვალსა და რბილში გამჭდარ ადათწესებს ეწირებიან. ლეო ქიაჩელი ამ გრძნობათა მეხოტბე, მისი პოეტი და მოქანდაკეა.

ლეო ქიაჩელი, როგორც მწერალი, არსად არ ჩერდება შუა გზაზე, და არა იმიტომ, რომ მკითხველის იმედი არა აქვს, არა იმიტომ, რომ მკითხველს არაფერს უტოვებს საფიქრად და დასამთავრებლად. მისი ბუნებისათვის საერთოდ უცხოა ამორფულობა, დისპარმონია, დაუმთავრებლობა. ყოველი მისი ნაწარმოების სიუჟეტი კლასიკურ ნორმებზეა აგებული: იწყება, ვითარდება, აღწევს დაძაბულობის უმაღლეს წერტილს და მთავრდება. მისი კომპოზიციები იშვიათი სიმტკიცით, დახვეწილობითა და მონოლითურობით გამოირჩევა. მისი მწერლობის ტექნიკური საშუალებები, მასალა და მიზანდასახულობა მუდამ შეხამებულნი, კლასიკურად შერწყმულნი არიან ერთმანეთთან.

ლეო ქიაჩელი ფართო დიაპაზონის შემოქმედი. მისთვის ერთნაირად ორგანულია როგორც ლირიკული სიტუაცია და პეიზაჟი, განცდა და ფიქრი, ასევე ენებააშლილი და დაძაბული კოლიზიები. ხოლო თავის საუკეთესო ნოველებსა და რომანებში ის ხშირად მალღდება ტრაგიკულის შექმნასა და განცდამდე. ეს არის მწერლის არა მარტო მრავალფეროვნება, არამედ მისი სიმდიდრეც. მისი აზროვნებისა და განცდის სიღრმეც.

* * *

ლეო ქიაჩელმა ნიკო ლორთქიფანიძესა, მიხეილ ჭავჭავაძისა და სერგო კლდიაშვილთან ერთად, შექმნა ახალი კლასიკური ქართული ნოველი, თანამედროვე ქართული მოთხრობა. მის მოთხრობებსა და ამ მოთხრობებით განპირობებულ ტრადიციის დამკვიდრებასთან

ნაა დაკავშირებული თანამედროვე ქართული ნოველისტიკის წარმატება, გადაქარბებული არ იქნება. თუ ვიტყვი, რომ „აღმასვიარ კიბულანი“, „პაკი აძბა“ და „თავადის ქალი მიაი“ სამი შედეგურია ქართული მოთხრობის ისტორიაში. სამივე მოთხრობა დიდი კულტურის, გემოვნებისა და მოულოდნელად ძლიერი ტემპერამენტის დადასტურებაა. აქ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შენარჩუნებულა ზომიერების გრძნობა, რაც მხოლოდ გაკვირვებას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ „პაკი აძბას“ სამართლიანად ჰქვია პაკი აძბას სახელი, რადგან მოთხრობა სწორედ მის უცნაურ, მაგრამ გასაგებ ფანტიკურ ერთგულებასა და სიყვარულზე ამხვილებს ყურადღებას, მე მაინც მგონია, რომ მწერლობის თელსაზრისით გაცილებით დიდი გამარჯვებაა კაბიტან კუშმასა და უჩუშ ემხას სახეები. მოთხრობის იშვიათი ზემოქმედების ძალას ისიც განსაზღვრავს, რომ მწერალი განგებ არ ამუქებს უჩუშ ემხას პიროვნებას. და თუ ის სამართლიანადაა გამოცხადებული კლასობრივ მტრად, ასევე მართალია მწერალი, როცა მას, როგორც პიროვნებას მოქმედების შინაგანად მართალსა და სწორ გამოსავალს უტოვებს. ემხას უნდა მოეკლა ვასკა-პირატი. და ის, უჩუშ ემხა, უნდა ჩაბარებოდა კიდევ კრეისერ „შმიდტის“ მეთაურს. ეს შინაგანი სიმართლე, პერსონაჟთა ხასიათის ძალა და მათი სიამაყე განაპირობებს ქვეშეობრივ მხატვრობას.

„პაკი აძბას“ მსგავსად „თავადის ქალი მიაი“ სოციალურ პრობლემატიკაზეა აგებული. მაგრამ ლეო ქიანელი სოციალურ ფონზე აღმოცენებულსა და გამოღობულ ადამიანურ ტრაგედიას გვიხატავს. თავადის ქალი საინტერესო და ორიგინალურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ფიქრი და მოქმედება მდგომარეობითაა განსაზღვრული, ის საინტერესოა თავისი ხასიათით, რომელშიაც ყოველგვარი შესაძლებელი ქალურობაა გამოხატული; მისი თავგადასავალი, მისი სიყვარული, მისი ვნება და შურისძიება

საერთო ადამიანური, თუმცა მოულოდნელი, მაგრამ ყველასათვის გასაგები და საცნაურია. და მის ქალურსა და შემძირავ შურისძიებას ამაღლებს მისი თვითმკვლელობა; ეს ამთლიანებს მის ხასიათს, აძლევს მას ძალას, ენერჯიას, და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიდიადესაც. ასეთი მთლიანი და ძლიერი ხასიათი, ასეთი ვნება ანტიკური ტრაგედიის ასოციაციას იწვევს და არა წერილმანი, ყოფითი და მეშინური მელოდრამის ანალოგიას. ხოლო მიაისა და დაფინეს ურთიერთობა, მათი საუბარი ურემზე — ღრმა ფსიქოლოგის ხელითა დაწერილი.

— უკანასკნელად ბონდო რომ ნახე, რა დამაბარაო მითხარი? მომავონე: კარგად არ მახსოვს... — თვალევი საცდელად დაიბატარავე სიჩუმის შემდეგ მაიმ და ნელი, შემპარავე ხმით შეეკითხა შემკრთალ დაფინოს.

— ან იქ დაგხვდებითო... ან მეორემესამე დღეს მაინც უთუოდ ჩამოვალო! ასე მითხრა მაშინ.

— ასე თქვა: დაგხვდებითო, თუ... დაგხვდებითო? კარგად მოიგონე!

— დაეხვდებითო, ქალბატონო, შემეშალა.

— მეტი რა გელაპარაკა?

— მეტი არაფერი.

და დაფინო სახეზე ახლა უფრო შეწყითლდა.

— სულ, სულ არაფერი?

— არაფერი ქალბატონო.

— პირდაპირ გელაპარაკა ხომ?

— კი.

— მერე?

დაფინო გაჩუმდა.

— არ წაგხუმრებია?

— ბატონ ბონდოს ხუმრობა უყვარს, ქალბატონო.

— პო და, როგორ წაგხუმრა-მეთქი?

— აქ ორი თითი წამითათუნა... — და დაფინომ ნიკაპის ქვეშ ოდნავ მოხაზულ ღამაბზე თითი მორცხვად მიიღვა.

სული ვერ მოითქვა მაიმ. სიტყვაც გაუწყდა უცებ. თითქოს თვალეშიც დაუბნელდაო.

მაგრამ არ შენძრეულა, სახეც არ შე-

უცვლია, ისე ნელა, მოღუწებით ამართა ხელი და სალოკი თითი ნიკაპს ქვეშ მოისვა.

თითქო რაღაცა მოინახულა და ვერ კი იპოვნაო, გულდაწყვეტილად ხელი ისევ ძირს დაუშვა.

— მაჩვენე, აბა, შენი... — მიმართა მერე ჩუმი ხმით გოგოს.

დაფინომ შინაური შვლის ნუკრივით ქალბატონს ყელმოღერებული სახე გაუწვიანა.

სწრაფი შეხებით, ელვის ხაზივით, გაითამაშა მაიას თითმა დაფინოს დაბაბზე.

— ბედნიერი ხარ, გოგო, რომ ახალგაზრდა ხარ... — თქვა და თვალები დაფინოს მიტმა სადღაც შორს სივრცეში შეაჩერა. უცნაურმა სევდამ სახე დაუჩრდილა*.

როგორც ყოველი ქეშმარიტი პოეტური ნაწარმოები, ლეო ქიაჩელის ნოველებიც ხშირად აღძრავენ მუსიკალურ ასოციაციებსა და შთაბეჭდილებებს.

„აღმასვირ კიბულანი“ ვაჟკაცური მოთქმა თვალწინ დაღუბულ შვილზე, იმის ტრაგიკული შეგნებაა, რომ უძლური ხარ როგორც მამა და მშველელი, მაგრამ იმის შეგნებაცაა, რომ შვილის სიყვარული სიკვდილივით ძლიერი და უძლეველია. და არა მარტო „დალაი“ მოთქვით, ბიჭებო, დალაი“ ეხმიანება ამ მოთხრობას, მისი ლაიტმოტივი გასდევს მრავალ სვანურ ვაჟკაცურსა და ნაღვლიან სიმღერას.

მწერალს აქვს სხვა ნოველებიც, როგორც ამდღებულები, ისე მინორული ხასიათისა, სადაც დიდი ადამიანური სიყვარულითა და თბილი ფერებითაა დახატული სრულიად სხვადასხვა სიტუაციები, სულიერი მდგომარეობანი, ერთმანეთისაგან პორტრეტულად და ბუნებითაც მკვეთრად განსხვავებული ადამიანები.

მაგრამ მინდა შევჩერდე მწერლის აღრინდელსა თუ რამდენადმე მივიწყებულ მოთხრობაზე, მათს ხასიათსა და სტილზე. ამ მოთხრობებში მხატვრული აზროვნებისა და ზილვის მეტად თავისებური, დღემდე ხაზგაუსმელი და შეუს-

წავლელი სპეციფიკა გამოვლენილი. ეს სპეციფიკა მოდის იმ თვალუწვდენელი ველების, ქაობებისა და ხალხისგან, რომელთაც ბინა შეეზღვესა და ვაჟკაციონის ქედს შორის დაედვათ, და მათი სულიც, სრულიად გაუგონარი და უცნაური, ტკივილებით დასიციხული და გრძნეული, ყვითელი ქარივით ერთო კოლხეთის დაბლობზე.

ხანდახან მგონია, საკმარისია გაირინდო, გაირინდო ტკივილამდე და მანამ, სანამ სხელის შეგრძნებას არ დაჯარავებ, მაშინ გაიგონებ შენსავე სისხლის ხმას და სულის ჩურჩულს, რომელიც უძველეს კოლხურ მითს, ლეგენდასა და ზღაპარს გაიმბობს. ეს ისეთივე ჩვეულებრივი რამ არის, როგორც ამ ქალბატონის ხელით შეგრძნება, ამ ფიქრებისაგან გამორკვევა მოულოდნელი დაძახებით, ანდა კაჟუნით, ან იმის მიხვედრა, რომ ვიღაც გიყურებს.

ალბათ არ არსებობს კოლხური პროზა ან ლექსი, რადგან კოლხური ხასიათის არსებობა ამისთვის საკმარისი არ იქნებოდა, ანდა იქნებ არც ხასიათი უგრძნია ვინმეს ასეთი?! იქნებ ეს არის დიდი და უმრავალფეროვანესი ქართული სულის, ხასიათისა და ბუნების ნაირსახეობა?! (ალბათ მალე გამოჩნდება კაცი, რომელიც, სანამ დროა და გვიან არ არის, ხელს მოჰკიდებს ქართული მითოლოგიის პოეტური შესწავლის საქმეს).

ქიაჩელის აღრინდელი მოთხრობებსა კოლხური მითოლოგიის გვიანდელ ვარიაციებს გვანან. შეიძლებოდა ცალკე ციკლის შედგენა წარმართული და ქრისტიანული მსოფლშეგრძნების ჭიდილზე დაწერილი მოთხრობებისაგან, შეიძლებოდა იმათი ცნობაც, ვინც მითოსიდან მოვიდა და უეცრად აღმასვირად, თავადის ქალ მაიად, ბეკოდ, ესტატედ, ტაგულ იქცა (ჩვენ გვინახავს მათი ღვიძლი ძმებიც გამსახურდიასა და შენგელიას სამყაროში).

ქიაჩელის სამ შედეგს მე მუდამ ვუმატებდი რამდენიმე მოთხრობას და გან-

საკუთრებით „ჯადოსანს“-ა და „ესტა-ტეს“.

ყოველი ნაწარმოები ფასდება ან ხილის ხასიათით, ან აზრის სიღრმით, ან ვნების სიძლიერით, ან პრობლემის მნიშვნელობითა და სიახლით. ანდა ყველაფრით ერთად. მაგრამ თუ ნაწარმოების შეფასება შეიძლება იმითაც, თუ როგორ პასუხობს ის თავის ამოცანას, როგორ ასრულებს თავის ფუნქციას, თუ რამდენად არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც უნდა იყოს, რამდენად სრულქმნილია და დასრულებული, მაშინ „ჯადოსანიცა“ და „ესტატეც“ მუდამ გვერდში უნდა ედგნენ მთიას, ჰაკისა და ალმასიგის. ოსტატობითა და გემოვნებით ეს ორი შრომრობა იქნებ დანარჩენებზე მაღლაც კი დგანან, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელოვან ამბავსა და საზოგადოებრივად გამოწვევის ან იშვიათ შემთხვევას (არა გროტესკს ან ჰიპერბოლას, რაც გავრცელებულისა და თითქმის ყოველდღიურის გავზიადება მხოლოდ) არ შეუძლია მუდამეამს გაგახსენოს თავი.

ალმური და ხვატი, ჭაობი და შმორი, სიყვითლე და ციგებცხელეა, ბოდვა და პალუცინაციები შეშლიდა არაერთ კოლხელ მღვდელსა და მის მრევლს, და მისტიკა არა თუ ყოფის შედეგში, მის საფუძველშივეა მოცემული.

ლეო ქიაჩელი ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, არაფერი რომ არ უქვირთ, ვერაით რომ ვერ გააოცებთ, იოლად რომ არ აღელდებიან და წვრილმან ადამიანურ ვნებათა, პირადულ ინტერესთა ჭიდილს მხოლოდ სურდოს შემყრელ გამჭოლ ქარად თვლიან. ამას გიკარნახებს არა მარტო საშინელი და უცნაური იუმორით ზავსე „ბერი და ყორანი“, არამედ მშვენიერი პოეტური გროტესკი „კრიმანჭული“.

ყოველი ლიტერატორი, ვინც ქიაჩელის „მკვლელობა კონტა გორაზე“ და „მე და ჩემი ორი მე“ ახსენა, თავს ვალდებულად თვლიდა დაეგმო ამ მოთხრობებში გამყდარებული მსოფლმეგრძნება, როგორც უიმედობისა და დეკადენტობის აპოლოგია. მაგრამ სწორედ

ასეთი დამოკიდებულების გამო ვერ შედავდნენ ან უვლიდნენ გვერდს იმ მორალურსა და ფილოსოფიურ პრობლემას, რომელიც სწორედ ამ მოთხრობებში დასვა მწერალმა. არც „მე და ჩემი ორი მესა“ და არც „მკვლელობის...“ პრობლემატიკა არ მომკვდარა. მათი დასმისა და დროის, ეპოქის შესაფერი გადაჭრის გარეშე არ წარმოადგინება არცერთი ლიტერატურული მიმდინარეობა თუ მიმართულება. ალბათ საკირო არაა ძველი მაგალითების გახსენება, ისიც ცნობილია, რომ უმეტეს აზრდილთა გამოხმობა, სხვა არა იყო რა. გარდა „მე“-ს ვაორებისა, საკუთარ ეჭვთან, ფიქრთან და თავთან ბრძოლისა. მხოლოდ ერთ პატარა ნაწყვეტს მოვიტან თანამედროვე დანიელი მწერლის მიუღერის რომანიდან—სტუდენტის თავგადასავალი: „დაუსრულებელი ფიქრი არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ რაიმეს მივალწიო. უფრო მეტიც, მე ვფიქრობ სხვადასხვა დროს გაჩენილ საკუთარ ფიქრებზე. მე იმაზეც კი ვფიქრობ რომ მათზე ვფიქრობ, და ჩემს თავს ვყოფ თანდათან დაბატარაებულ უსასრულო „მეებად“, რომლებიც ერთმანეთს სწავლობენ. არ ვიცი რომელ ერთზე შეეჩერდე, როგორც ნამდვილზე. იმ დროს, როცა მე ერთზე ვჩერდები, ყოველთვის ჩნდება კიდევ ერთი „მე“, რომელიც იმაზევე ჩერდება“. მომავალშიც, ალბათ, მრავალჯერ დაისმება მსგავსი საკითხები, სხვადასხვა სფეროში, სიტუაციაში, ახალი ფორმების, ხერხისა და საშუალებების გამოყენებით.

მოთხრობებში, სადაც ბოლშევიკურ ორგანიზაციებზე, გაფიცებზე, არალეგალურ სტამბებსა თუ პროკლამაციებზეა ლაპარაკი მწერალი გავს იმ მებადეს, რომელიც უკვე მხრებგაშლილი ხის ფესვებს ჩიჩქნის, აპოხიერებს და ზრდის, მაგრამ, ცხადია, არ იგონებს მათ.

მას აქვს სუსტი მოთხრობები, თავშესაქცევი ექსპერიმენტები, ამითაც არის ის დიდი და ძლიერი, რადგან მხოლოდ ნამდვილ ტალანტს შეუძლია წერდეს

საკუთარი რწმენისა და სიამოვნების კარნახით. საშუალო ნიჰისთვის მეტად დიდია რისკი, რომ საკუთარი სიამოვნებისათვის დაწეროს რამე და თვითონაც გაიცინოს თავის სისუსტეზე.

მისი მოთხოვნები, ისევე, როგორც რომანები, არ გამოირჩევა ვენებათა სიუხვით. თითებზე ჩამოთვლება ის ვნებები, რომელთა გამოხატვა მას უყვარდა, მას კი მხოლოდ იმის გამოხატვა უყვარდა, რისიც შეეძლო, და მან მშვენიერად იცოდა რა შეეძლო.

მუდამ მეგონა, რომ ის თხზავდა, თხზავდა ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, როგორითაც მას ამ წუთში ეზმარობ. მე ახლაც ვხედავ მას ქვიშხეთში, ყიფიანების ჭადრებ ქვეშ, როცა ახლო-მხედველი თვალებით გაპყურებდა ქართლის ველებზე გაწოლილ ლურჯ ნისლს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს არა წინ მდებარე სივრცეს, არამედ თავის მოგონებებსა და ფიქრებს ხედავდა; როგორ ჩაივლიდა ხოლმე რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის პირდაპირ და თითქოს მარტო იყო ამ ზღვა ხალხში, არაფერსა და ვერავის ხედავდა. მას არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი, არც პირად ამბებზე, არც შემოქმედებაზე. ის იყო თავშეკავებული, ურთიერთობაში მანძილის, წინდახედულებისა და მოწიწების მომთხოვნი. იქნებ მას რომ ზმაური და ორომტრიალის შექმნა შეეძლებოდა, მოეგო კიდევ. მაგრამ თვითონ მწერალმა და მისმა მშვიდმა, უწყინარმა ღმერთმა უკეთ უწყოდნენ.

• • •

თანამედროვე ქართული პროზის ისტორიაში ლეო ქიაჩელის რომანებმა ეტაპები შექმნა. ამ რომანებში ასახულია ქართველი და საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ძვრები და პერიოდები მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. 1905 წლის რევოლუცია, თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, კოლექტივიზაცია და დიდი სამამულო ომია მისი ოთხი რომანის თემები.

„ტარიელ გოლუა“ მწერალმა ენევეში დაწერა. ეს იყო მისი პირველი ნაწარმოები, რომელმაც სულ მალე პოპულარული გახადა ლეო ქიაჩელის სახელი: და საქართველოში უკვე სახელმწივეკილი და ცნობილი მწერალი დაბრუნდა.

1905 წლის რევოლუციაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის „ტარიელ გოლუა“ ერთ-ერთი ყველაზე მეტად ორიგინალური და მხატვრულად ძლიერი რომანია. მისი სიძლიერე ისაა, რომ ისტორიის შემოქმედად აქ ხალხია გამოყვანილი. მისი ღირსება ისიცაა, რომ თავისუფლების სიყვარული, თავისუფლებისათვის ბრძოლა, მშრომელი ხალხის საუკუნოვან და ტრადიციულ მისწრაფებადაა აღიარებული. რომანის გამარჯვება განაპირობა თვით ტარიელ გოლუას სახემ, რადგან სწორედ ასეთი ადამიანები, ჭკვიანი, მართალი, პატიოსანი, ამაყი და მამაცი ადამიანები უნდა ედგნენ სათავეში ეროვნულად და საზოგადოებრივად ყოველ მნიშვნელოვან წამოწყებასა და მოძრაობას. ტარიელ გოლუას სახით რევოლუციასთან იყო ტრადიცია, რევოლუციასთან იყო სიმართლე, რევოლუციასთან იყო მამათა სიყვარული და შვილთა ბედნიერება.

„ტარიელ გოლუა“ რეალისტური პროზის ტრადიციებს აგრძელებს, მაგრამ საესეა ქეშმარიტად პოეტური რომანტიკით. და ეს რომანტიკა ნაწარმოების პერსონაჟთა სახეებშიც, მათს ურთიერთობებშიც, ხშირად საერთო სტილსა და ავტორის მსოფლშეგრძნებაშიც შედგენდება. „ტარიელ გოლუამ“ ქართველ ხალხს რევოლუცია აჩვენა არამარტო თავისი გარდუვალი აუცილებლობითა და ტკივილებით, არამედ დიდი სილამაზითა და რწმენით აღსავსეც. ამ რომანის მაღალ მხატვრობას თან ერთვს ავტორის მოქალაქეობრივად სწორი მსოფლმხედველობა და პოზიცია. ამ რომანში პირველად გამოჩნდა ლეო ქიაჩელის, როგორც რომანისტი მისწრაფება: შეექმნა ზედმიწევნით დამა-

ბული, დინამიური, დამინტერესებელი და მოულოდნელობით აღსაყვს სოუჟეტი. ეპეგარეშეა, რომ მისი რომანების ეს თვისებაც განაპირობებს მწერლის შემოქმედებისადმი ფართო მკითხველის ინტერესს.

ტარიელ გოლუა ხასიათის მონოლითურობითა და პარმონიულობით, ინდივიდუალურობითა და ქართველი კაცი-სათვის დამახასიათებელი ტიპური თვისებებით ამდიდრებს ქართულ მწერლობაში დახატულ პერსონაჟთა გაღერას. ამავე დროს, ის არის სრულიად ახალი ტიპი, ორიგინალური ხასიათი ქართული მწერლობის ისტორიაში.

1905 წლის რევოლუციის შემდგომ-დროინდელ პერიოდს, ქუთაისის ციხიდან ცნობილ გაქცევას, რომლის მონაწილე თვითონ ლეო ქიაჩელიც იყო, პარტიულ უთანხმოებასა და ბრძოლებს ასახავს მწერლის მეორე რომანი „სისხლი“.

„სისხლის“ შეფასებაში ორი აზრი არასოდეს ყოფილა. მიუხედავად მრავალი ღირსებისა, რომანი არ ჩაითვალა მწერლის მიღწევად. საყვედურები და გულისტყვილიც, ეტყობა გამართლებული იყო. „ტარიელ გოლუას“ შემდეგ „სისხლი“ არ წარმოადგენდა იდეურად წინ წადგმულ ნაბიჯს; რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მისი მთავარი გმირები რევოლუციის იმ ჯგუფს ეკუთვნიან, რომელიც ფაქტიურად ჩამოშორდა რევოლუციურ მოძრაობას და, ნებით და უნებლიედ, მისი იდეური მტრების ბანაკში აღმოჩნდა. გარდა ამისა, ავტორის მხატვრული ძალა და ტემპერამენტი უმთავრესად უარყოფით, თანაც არა განზოგადებულ სახეებს შეეწირა.

სამაგიეროდ, ნამდვილი ტრიუმფით შემოიარა საქართველო, საბჭოთა კავშირი და მთელი მსოფლიო ლეო ქიაჩელის შემდეგმა ახალმა რომანმა „გვადი ბიგვამ“. „გვადი ბიგვაზე“ მრავალი და ბევრი ითქვა. სინამდვილე, რომელიც რომანში აისახა, წინააღმდეგობებით იყო აღსაყვს. მასში გარკვევა და სწორი

ორიენტაცია დიდ ცოდნასთან ერთად, დიდ ალღოსაც მოითხოვდა.

რომანი დაწერილია ადამიანის სულიერ განახლებაზე, ყოველგვარ უარყოფით და დამამკიცრებელ თვისებათა დაძლევაზე, საერთო საზოგადოებრივისა და კერძო მესაკუთრულის დაპირისპირებასა და მათ ბრძოლაზე.

ამ რომანში ახალი ძალით გამომღვანდა მწერლის ხალასი და უხადო ტალანტი. მან დასძლია მხატვრისათვის ძნელზე-ძნელი ამოცანა, აჩვენა გმირის ფერისცვალება, მისი ხასიათის მთლიანი გარდასახვა. ეს ამოცანა მით უფრო ძნელი იყო, რომ ავტორმა დროის მეტად მკირე მონაკვეთი აიღო ამბის განვითარებისა და დასრულებისათვის.

მართალია, გვადი ბიგვა არ ეკუთვნის რევოლუციის შემოქმედი ხალხის წრეს, ის რევოლუციით გაოგნებული, მერყევი ადამიანია, მაგრამ იმ ადამიანთა რიცხვი გლეხობასა, მუშებსა და ინტელიგენციაში, რომლებიც ავრთვეე მერყეობდნენ, მრავალი იყო. გვადი ბიგვა ამიტომაცაა განმზოგადებელი სახე.

ის არ შეუქმნია ახალ ცხოვრებას. ის ისეთივე იყო წლებისა და საუკუნეების მანძილზე. ახალმა ცხოვრებამ გარდაქმნა და აქცია იმად, რაზეც არც უოცნებია. მას არც მეტი, არც ნაკლები, სული გამოუცვალეს, სული ჩაუდგეს, დროის, ეპოქის და ადამიანის რწმენით, ღირსებით საყვს ადამიანის სული. გარეგნულად, ჩვევებითა და ყოფით, ის ეროვნული ხასიათია. სოციალურად კი განმზოგადებელი ტიპი, რომელიც შლის ეროვნულის საზღვრებს. ის არ არის ახალი ადამიანი, ახალია მისი ფერისცვალება. ზოლო გარდაქმნილი, — უკვე ახალი ლიტერატურული სახეა. რამ შექმნა ასეთი ფერისცვალების ილუზია და დამაჭრებლობა? ცხადია, მწერლის ტალანტმა და კიდევ უფრო მეტად ეპოქისა და დროის ხასიათმა, ცხოვრებამ უარყო მწერლის მიერვე აღრე გამოთქმული. სენტენცია: „ძველი კაცი ძველი წარმოადგენებით და ცნებებით აზროვნებს“.

ქიაჩელის უკანასკნელი რომანი სამამულო ომზეა დაწერილი. მას უნდოდა ვალი მოეხადა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ალბათ პირადი ტრავმებიც უნდოდა გადმოეცა, გაესხვისებია. მან მართლაც პირნათლად აღსარულა სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობა, მაგრამ პირადმა ტრავმამ მხოლოდ უარყოფითად იმოქმედა მხატვრობაზე. თუ ეს რომანი ნაწილობრივ მაინც მარცხია, მიზეზებიც მეტისმეტად ნათელი და გასაგებია, იმისთვის, რომ მისი ახსნა და შეფასება არ დავიწყოთ. სხვათა ტრავმების ბრწყინვალე მხატვარი, უძღური აღმოჩნდა საკუთარი ნაღველი და დარდი მაღალ მხატვრობად ეთქვა. მეტად საკუთარი და პირადული იყო და ალბათ იმიტომ. მართალია რომანში, როგორც მაშამ, თავი მოიკლა და შეილი ცოცხალი დატოვა, მაგრამ ეს ილუზია იყო, მასალისა და ქარგის ილუზია. ერთ-ერთ საბავშვო მოთხრობაში მწერალი კითხულობდა: „რით არის სინამდვილე ზღაპარზე უფრო დასაჯერებელი?!“, მაგრამ სხვაგან ამბობდა: „გაგიჭირდეს, თუ სინამდვილეს ცივი თვალით ვეღარ შეხედო“.

• • •

ყმაწვილთათვის დაწერილი ქიაჩელის მოთხრობები მთელი საბავშვო ბიბლიოთეკაა. „ხეთიანის საიდუმლოება“

იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ ეძლევა ბავშვს ცნობისმოყვარეობის, ვამბედაობის, ერთმანეთით არსებობის, ნდობის, ერთგულებისა და აღმოჩენის ცნებებთან ერთად სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარული. ამ ბიბლიოთეკაში მრავალი წიგნია: ცისფერი წიგნები, ვარდისფერი წიგნები, მუქი ლურჯი წიგნები. მათში უწმინდესი ლოცვები და საგალობლებია ჭეშმარიტებასა და პატიოსნებაზე, უანგარობასა და კეთილშობილებაზე, მაღალ კულტურასა და უზადო გემოვნებაზე.

• • •

ლეო ქიაჩელმა თავისი მოსაზრებები გამოთქვა კულტურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებზე. მისი წერილები ზშირადაა მხოლოდ კონსტატაცია სიმპათიებისა, ზშირად მოქალაქეობრივი ვალის მოხდაა. მიძღვნილ წერილებში ის მუდამ გაურბის ანალიზსა და მსჯელობას. მაგრამ უზადოა მისი წერილები, რომლებიც ცალკეული ნაწარმოებების ანალიზს ისახავენ მიზნად. თუ როგორ ესმოდა ლეო ქიაჩელს კაცისა და ხელოვანის ცხოვრება, როგორ მსხვერპლს მოითხოვდა ის ადამიანისაგან, — კარგად ჩანს მისი ერთი მოთხრობის ბოლო სტრიქონებიდან: „გულს თუ არ უჭირს, ცხოვრება არაფრად ღირს, იცოდე“.





კოლაუ ნადირაძის პოეზია

ჩვენი საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ქართული პოეზიისათვის ნიშანდობლივი იყო ტრადიციული პოეტური აზროვნებისა და ფორმების უარყოფა, პოეტური ექსპრესიის ახალი, გაუქმლავი გზების ძიება, რაც თანადროული ევროპული და რუსული პოეზიის მიღწევების გაზიარებისა და შესრუტვის მეშვეობით ხდებოდა უპირატესად. ეს იყო ძირეული ტენდენცია, რომელიც ბევრ შემთხვევაში დაზღვეული არ იყო ერთგვარი გადაჭარბებისაგან. უცხო ლიტერატურული მიმდინარეობის მოძალემა განსაკუთრებით საშიშო გახდა ჩვენთვის არაორგანული თემატიკისა და XIX საუკუნის ქართული პოეზიის ეროვნულ-იდუური შინაარსის უგულებელყოფაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში გამოქვეყნებული ლირიკული ნაწარმოებების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ძველქართული კლასიკური პოეტური კულტურის თითქმის სრული იგნორაცია, რაც თვალსაჩინოდ ეტყობოდა მათ პოეტურსა და ენობრივ სტილს. მაგრამ არსებითად ეს იყო ქართული პოეზიის განახლების ხანა და ეს მკვეთრად იგრძნობოდა საუკუნის დასაწყისში პოეტური ფორმების გამოფიტვისა და გადაგვარების საერთო ფონზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ქართული პოეზია ამ ძირეული სახეცვლილების ბევრი ელემენტი თავისი უნიკალურობის გამო უკუგდებულ იქნა და მომდევნო ხანაში, განსაკუთრებით „მიწასთან დაბრუნების“ ცნობილი ლოზუნგის შემდეგ, ჩვენი პოეზია თან-

დათანობით ეროვნულად დახვეწილ იერს იღებდა, როგორც ფორმისმიერ, ისე იდეურ-შინაარსობრივ ასპექტში...



კოლაუ ნადირაძე გასული საუკუნის 90-იან წლებში დაბადებული დიდი ლიტერატურული თაობის წარმომადგენელია. თანამოკალმეთაგან იგი ექსპრესიულ საშუალებათა შედარებითი კონსერვატიზმით, ან უფრო სწორად, ზომიერებით გამოირჩეოდა და ამის საფუძველი მისი პოეტური სტილის ადრე მოწიფებაში უნდა ეძიოთ. კოლაუ ნადირაძის პირველი წიგნი „ბალდაზინი“ (1920 წ.) თავის საუკეთესო ლექსებში, როგორც სტილით, ისე მსოფლშეგრძნების ძირითადი იმპულსებით, გათიშვასა და შეუთრგებელ წინააღმდეგობას არ ამკლავებს მის შემდგომ შემოქმედებასთან, რომელიც, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო კრისტალური და ღრმაა. შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის მანძილზე მისი პოეტური გზა არსად არ ავლენს მძაფრ შემობრუნებას ან მკვეთრ მსოფლმხედველობრივ ტეხილებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ განუცლია აღმავლობა და ჩავარდნები, „შინაგანი ამინდის“ ფერისცვალება და სხვ.

კოლაუ ნადირაძის პოეტური ტემპერამენტისათვის მთლიანობაში დამახასიათებელია მედიტაციურობა, დახვეწილი ლირიზმი და ეს თვისებები განსაზღვრავს მისი პოეზიის სიღრმესა და გამკვირვალობას, მისი პოეტური ფრაზის სისადავეს. იგივე თვისებები განაპირობებენ პოეტის მეტრული ფორმების,

სახეთა სისტემისა და პოეტური აქსესუ-
არის შედარებით სტაბილობას ხანგრძ-
ლივი დროის მანძილზე. 1916 წელს
არის დაწერილი მისი მშვენიერი „აღა-
ჯიო“:

მე მაღალ ხეებს გადაესხა და დასველა.
მთის მწვერვალები ჩაესვენენ ცაში თავებით.
ვარ ბედნიერია: ჩემს გულშიაც ჩასვენდა
ყველა...
შორს მებღაურნი მისცურავენ ცისფერ
ნავებით.

ანგელოზებად ჩაფრინლან ღრუბლები
ზღვაში,
ზეცის კიდური გარინდული კრთის
და თეთრდება.
მე ვგრძნობ სიმშვიდეს, მყუდროებას
მეფარდნილ ქვაშიც...
დიდო სიჩუმეც, ჩემი გულიც შენ ვივითდება.

თითქმის ოცდახუთი წლის შემდეგ
იწერება მისი ლექსი „ზღვასთან“, რო-
მელიც არსებითად იგივე აღაჯიოა,
ოღონდ განწყობისა და პოეტური ექს-
პრესიის განუქმორებლობის ძალით რამ-
დენადმე სახეცვლილი:

მატარა ბავშვი თამაშობს ზღვასთან,
ზევითგობს სუნთქვა შორიდან ისმის,
აღვის ხე ჩრდილით ისვენებს გზასთან
და მოშრიალე სიგრილეს ისვრის.
გზივარ ზღვის პირას, დრო უხმოდ მიდის,
მზე დარბა ქვებზე და ბავშვის თმებში...
სადამოედება. სიჩუმე დიდი
როგორც ნათელი შემოდის ჩემში.

ორივე ლექსში მიწურული მზე, სა-
ღამო ხანის სიმშვიდე და წყნარი ზღვაა.
ქვეყანაზე მოფენილი ეს ნათელი სიმ-
ყუდროვე იპყრობს გულს, რომელიც
სამყაროს დიდ სიჩუმეს უერთდება.
ორივე ლექსში უსახლგრო სივრცე და
სიშორეა, მაგრამ ამასთანავე ორივეში
მღუმარე, გარინდებული ლანდშაფტი
აღამიანებითაა გაცოცხლებული და ეს
შემთხვევითი არ არის.

კოლხუ ნადირაძის მსოფლმეგრძნები-
სათვის ორგანულია მარადისობაზე ფი-
ქრის აღმკერელი საღამური პეიზაჟების
დანელებული, დამცხრალი ფერი და
ჩმიერება. „ვარსკვლავების მტევნებით

დატვირთული“ ცის „იისფერი თაღე-
ბი“, საიდანაც „ზავერდის კრბის საფე-
ხურებით დიდი სიჩუმე ჩამოდის ცი-
დან“. პოეტის ბევრ ლექსში ასეთი პე-
იზაჟი აუცილებელი ფონია მედიტაცი-
ური წიაღსვლისათვის, რომელშიც იგი
თავისი გულის უღრმესს ზრახვებსა და
მიმართებებს გვიცხადებს. სამყაროს ში-
ნაგანი წყობის ამსახველი ეს ფონი
ღრმად პარამონიული და სრულყოფი-
ლია, მასში „ყოველი ფერი და ნივთი
საკუთარ სახეს პოულობს“ და ეს პო-
ეტის მიერ განიცდება როგორც სასწა-
ული. წუთიერი და წარშავალი ქჩრება
და იგი „პარამონიის უძირო წყაროს ეზი-
არება“, რომ „უზენაესში ეძიოს თვისა
მსგავსება“...

მაგრამ რაც სუფევს ზემს ვაჩემე —
ჩემშია ისევე...
სიკვდილიც იგივე სიცოცხლეა, რადგან
ფიქრია.
მხოლოდ სად არის თვით სიცოცხლის
დასაბამისი,
სად დავდგე ლოცვად თუ ტაძრისთვის
ვერ მიმვიწია?!

მედიტაციური პერეტით აღბეჭდილი
ლექსები (პირობითად ამას ფილოსო-
ფიური ლირიკა შეიძლება ვუწოდოთ)
უხვად გვხვდება კოლხუ ნადირაძის შე-
მოქმედებაში; უნდა ითქვას, რომ ასეთი
ფაქიზი დანაწევრებითა და სისავსით
ამგვარი ხასიათის ლექსები განსაკუთ-
რებით მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ
სტრუქტურულად მდიდარი სახესხვა-
ობის შემცველ უახლეს ქართულ პო-
ეზიაში.

• • •

1916-24 წლებში გამოქვეყნებული
ქართველი მოღერნისტი პოეტების
არცერთი წიგნი არ ამქდავენებს ქართუ-
ლი სიმბოლიზმის ლიტერატურული
სკოლისათვის ნიშანდობლივ წინააღმ-
დეგობებს და ეკლექტიზმს ისე მკაფი-
ოდ და სრულად როგორც კოლხუ ნა-
დირაძის „ბალდახინი“. ვალერიან ვაფ-
რინდაშვილის „დაისებთან“ (1916) და

გალაქტიონ ტაბიძის „არტიტულ ყვა-
ვილებთან“ (1919) ერთად, „ბალდახი-
ნი“ (1920) მრავალმხრივ მნიშვნელო-
ვანი წიგნია. წიგნში დაბეჭდილი ლექ-
სები ძირითადად პოეტური აპერეცეცი-
ის ორ ნაკადს მოიცავს. პირველი ორგა-
ნულად არის დაკავშირებული კლასიკუ-
რი მწერლობის ფესვეულ ხაზთან, პო-
ეტის ინდივიდუალური ტემპერამენტის
მთელი სისავსით ვლინდება და ამიტომ
ბუნებრივი უშუალობით იმოსავს ფორ-
მას. მეორე — პოეტისათვის გაუშინაგ-
ნებელი უცხო მსოფლშეგრძნების ელე-
მენტებითაა დამძიმებული და ხშირად
შთაგონების იმიტაციური ფორმით
არის გამოსატული. რა თქმა უნდა, გა-
მონაკლისები ორივეგან გვხვდება, რაც
მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ჰემ-
მარიტ პოეტურ ქმნილებას ღრმა ინტე-
ლექტი და უშუალო განცდა შობს.

ბევრი რამ, რაც მთელი სერიოზუ-
ლობით იწერებოდა ამ ორმოცდაათი
წლის წინად, დღეს მიამიტურად გამო-
იყურება ან გაუმართლებელ ეგზოტი-
კალ ჩანს, შავალითად:

შვეალ „Notre-Dame“-ში მოღუნული,

როგორც თუდა,

დიდი ქუჩების ავზორციობით ტანდადაღული...

მაგრამ ამ პოეტური ფრაზის კონსტ-
რუქცია, ტექნიკური მოქნილობა და თა-
ნადროულობა მაშინ მოღერნიტული
კულტურისა და გემოვნების მიმანიშნე-
ბელი იყო. ეს გემოვნება XIX-XX სა-
უკუნის ფრანგი და რუსი პოეტების
გაცნობის შედეგად იყო ჩამოყალიბე-
ბული და იგი შეგნებულად ნერგავდა
ჭართულ ლექსში ევროპის დიდი ქალა-
ქებისათვის შესატყვისს, მაგრამ ჩვენი
ყოფისათვისა და კულტურისათვის უნი-
ადავო განწყობილებებს, ეს მისწრაფე-
ბა ერთი მხრივ, პროვინციული ფსიქო-
ლოგიის დაძლევის, ხოლო მეორე მხრივ,
პოეზიის ტრადიციული ფორმებისა და
შინაგანი ასპექტების განახლებით იყო
სტიმულირებული. „ბალდახინის“ მე-
ორე ნაწილში (კეთროვანება) ლექსები
„ნერვასთენია“ და „ავზნიანი ქალაქი“

სწორედ ასეთ განწყობილებებს გამო-
ხატავს, შავალითად: „დანერწყვეცს და-
შე და გამოურავს დაქანცულ ქალაქს“
შვეალ კაფეში განისლული“, ან „ავად-
მყოფ სახლებს, ათამანგით პირდაჭმულ
ქუჩებს აგმევეებს სურნელს სამიკიტრო
ღვინით და ხაშით“... და სხვ.

ამავე ნაწილში გვხვდება ვალერი
ბრიუსოვის ორი სტრიქონით ეპიგრაფი-
რებული „თეთრი მირაჟი“ და მისი მო-
ნათესავე „ფრთები წმინდა“:

მწვანე ვარსკვლავების უცვარ ანთებით
ქუჩები ავსო ღალ-ბრილიანტებით.

იყო ელფარება, კითხვა უცნაური
და შესწავლა იღუმალ სიცოცხლის ხმაურა.

ქქროდა სურნელმა ძვირფასი ქვებისა
და საღღაც იმშოდა ხმა წმინდა ფრთებისა.

როდესაც გათენდა არავინ იცოდა
ქალაქი ალისფრად თუ რისთვის იწოდა.

მზეს მისჭვრებოღუნენ თვლებამღვრეული
ეყარენ სახლები დამწვარ-დანგრეული.

მოსჩანდნენ ზეგები გარუქულ მკვდრებთან-
და კიდეც იმშოდა ხმა წმინდა ფრთებისა.

ეს ლექსი კარგად ამქლავნებს ათიანი
წლების მიწურულში ახალგაზრდა შე-
მოქმედის პოეტური კულტურისა და
ინტერესების ზოგად მიმართულებას,
რომლისთვისაც უცხო არ იყო ფილო-
სოფიურ-რელიგიური ხასიათის ეკზერ-
სისები. კოლაც ნადირაძის მსოფლშეგ-
რძნებისათვის საერთოდ ნიშანდომ-
ლივია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთ-
გვარი მეტაფიზიკურობა და პოეტური
განწყობილების მისტიზაცია. მაგრამ
ამავე დროს სწორედ იგია ოსტატი ცინ-
ცხალი, ზუსტი რეალიებისა და მეტაფი-
თვალსაჩინო ლეტალებისა.

კოლაც ნადირაძის პირველსავე წიგ-
ნში გვხვდება ინტიმურად განცდილი
ბუნების შეუბღალავი სურათები და
ფლამანდიური ნატურმოორტის მსგავსი
ფეროვნება;

ლდეი და ყურძენი, შემწვარი სიმინდი,
ყვითელი ბიზე, ხაყერდის ატმები,

და მონადირისთვის კეთილი ამინდი:
მსუქანი მწვერებზე, ჩქარი ტყის ქაღმებზე.

ზანტად ბუნდებიან ჯოგები საღამოს,
თვინიერ დამუდლით, ზარების წყარუნით...

აქვეა შუაეცხლთან განწყობილი სამ-
ხარი და კეცის ქაღმების ცხელი სუნი,
თუმცა ასეთი დეტალები გარკვეული
განწყობილების შექმნას ემსახურება
მხოლოდ. ეს განწყობილება ჩვეულებ-
რივ, პოეტისათვის დამახასიათებელ გან-
ცდების დახვეწილობას აძლავნებს:

თქვენც, შეყვარებულო იქმარეთ დარღები!
დასტოვეთ ქალაქი, მწვეთ ქაღმებს.
მოგელით ლევეკადი, მინდვრები, ვარდები.
იხილავთ სიწმინდეს და შთის მწვერვალებს.

ეს მშვენიერი ბუკოლიკა ისევე, რო-
გორც კოლაუ ნადირაძის მთელი პო-
ეტური გზა, საცნაურსა ზღის „ბალდა-
ხინის“ პირველი ნაწილის ორგანულო-
ბასა და თავისთავადობას მომდევნო ორ
ნაწილთან შედარებით. 1935 წლით
დათარიღებულ ლექსში „შემოდგომის
სტუმრობა“ ერთხელ კიდევ გაიღვგე-
ბენ პოეტის მიერ სიჭაბუკეში ხილული
ვიზიონები, როდესაც იგი „აბურღულ
თმებში ვაზის ფურცლებით“ შემკულ
შემოდგომას გაჰყვება ბალღობის სიზ-
მარეული ადგილების მოსახილველად.

მაგრამ ასეთ პეიზაჟებსა და განწყო-
ბილებებზე ხანგრძლივად არ ჩერდება
მისი შთაგონება. უფრო ხშირად ეს ფე-
როვანი და გემოვანი განცდა ადგილს
უთმობს ნაღვლიან ფიქრებს, რომლე-
ბიც პოეტს ინტროვერსიითა ან ზნეობ-
რივი პათოსით დამუხტული წიაღსვლი-
საკენ უბიძგებს...

...ისეთი ღრმაა და წმინდა ზეცა —

ოღრსით სავსე,

თითქოს ღვთისმშობლის კრებლი დამეცა
ლოცვის დროს თავზე.

ო, ღმერთო ჩემო, ეს საფე გულო

შენ ჩავაბარე,

და მას ეს დამე ბროლით ქარველი

გადაფარე.

თავითა და ინტელიგენტური შთაბეჭ-
დილებების სიფაქიზით. მისი ლექსებზე
შინგით ზნეობრივი სიწმინდის *ღმრთა*
თილშობილი თავშეკავების ატმოსფე-
როა. ისინი დაზღვეული არიან გაუბ-
რალოებელი ოპტიმიზმის ბანალური
ელურტულისაგან, ბრძნული დილაქტი-
კისა და ვადაქარბებული მგრძნობიარო-
ბისაგან.

„ბალდახინში“ აღსანიშნავია ავტო-
რის პოეტური ხედვისათვის დამახასი-
ათებელი ისეთი ელემენტები, რომლე-
ბიც არაპირდაპირ მისი განცდის კამე-
რულ მასშტაბზე მეტყველებს. ეს უკა-
ნასკნელი თავისთავად გულისხმობს პო-
ეტური შთაგონების მყუდროებით აღ-
ბეჭდილ არეში გაშლას, სადაც შესაძ-
ლებელი იქნებოდა განწყობილებების
უფაქიზესი ვიბრაციის დაჭერა. მე ვფი-
ქრობ აქედან უნდა იღებდეს სათავეს
„ბალდახინში“ აღსანიშნავი ოთახების
რომანტიკა: „ხეხილის სურნელით სავ-
სე ოთახები“, „ზამთრის მხატვრობა ჩემ
ოთახის ვიწრო მინაზე“, „დიდ ოთახებ-
ში ჩვენ ორნი ვართ და დაღამებას ში-
შით მოველით სიხუმეში, როგორც წა-
მებას“, „ქალწული დოფინი კრთის დიდ
ოთახებში“, „შევიბარები როგორც ქურ-
დი მე ჩემს ოთახში“, აღსანიშნავია აგ-
რეთვე „ბალდახინის“ ავტორის დახვე-
წილი მუსიკალური სმენა, უფრო სწო-
რად, მუსიკალური ჩვევა, რომლის მე-
ოხებითაც მისი შინაგანი განცდის ორ-
ბიტაზეა მოქცეული „შუმანის ხმები“,
„სენ სანსის Dans Macabre“, „ბახის ვე-
დრება“. ამოდ არ ვგვხდება ამ წიგნში
მუსიკალური ინსტრუმენტების სახელი
და მუსიკალური ტერმინები. როდესაც
პოეტი ლექსის სათაურად სვამს „ადა-
ჯიოს“, იგი არა მარტო მოცემული ლექ-
სის შინაარსზე ამახვილებს ჩვენს ყუ-
რადღებას, არამედ ნართაულად საკუ-
თარი შთაგონების და გემოვნების თეი-
სებაზედაც მიგვიითთებს. „ადაჯიო“
კარგი მოდუსია „ბალდახინში“ მოთავ-
სებული ლექსებისათვის.

კოლაუ ნადირაძის ამ პირველი წიგ-
ნის შედევრია სანდრო ცირეკიძისადმი

კულაუ ნადირაძე თავიდანვე გამოირ-
ჩეოდა სულიერი ინტერესების სიფარ-

მიძღვნილი „ოცნება საქართველოზე“ (1916). ათიანი წლების ქართულ ლირიკაში ამ ლექსს მხოლოდ ვალაკტონის „მამული“ შეედრება. ლექსში სტატიკური სურათოვნებითა და მელანქოლიური ინტონაციით არის გამყვანებული ძველი საქართველოს უკანასკნელი ხილვა: სასტიკი გარდუვალობის წინაშე მთელი თავისი იდილიურობითა და შემკრთალი გარინდებით მდგარი ქვეყანა, რომელიც დროთა ახალი ქროლვის გამო მიყრუებულ თუ მივარდნილ სავანედ ქცეულა. პოეტის თვალში ამ ქვეყნის მიერ წარსულში შექმნილი ცივილიზაციის აწ უკვე მოძველებულ ღირებულებებს წარუხოცილი მშვენიერება გააჩნია... შეუმღვრეველი ტონი, თავისი სიზუსტით იშვიათი დეტალიზაცია და შეუმცდარი გემოვნებით შერჩეული სიტყვიერი ფაქტურა კლასიკურ გამჭვირვალობასა და სრულყოფილებას ანიჭებს ამ, მე ვიტყვადი, რომანტიზმის სულით გაყვანილ ბრწყინვალე შედეგს...

დავიწყებულ ძველ ფონები,
შავი კედლები დიდ ციხეების,
ჩვენი დიდება მოსაგონები,
და ფართო ჩრდილი ცაცხვის ხეების.

შედობარ ზემოთ. გრილი ტამარი...
მოთაფლისფერო სახე მამების.
და საეცებლურში ცოტა ნაქარი
და შავი ხატი წმინდა სამების.

ნიშანი ბედის — კარზე ნალები.
სახურავები დახვსებულნი.
და ღეთისმშობელის მოგრაძო თვალები
უშანყო სვედით ამოვსებულნი.

* * *

თავისი პოეტური მოღვაწეობის შეაგზაზე (პირობითად შეიძლება ასე ითქვას) — 1935 წელს, დასწერა კოლხუ ნადირაძემ ლექსი „გზასთან“. მასში ავტორისათვის ჩვეული ლანდშაფტია: მართო დაჩენილი პატარა ღრუბელი, სილაზე დაჩნეული მისი მსუბუქი ჩრდილი, კრიალა, შხით განათებული სივრცე, გრილი ნიაგი და ა. შ. მავრამ ცხადია,

რომ ამ ლანდშაფტს რაღაც შინაგანი კავშირი აქვს მჭვრეტელთან: „დასითქოს წამით, წვეთად ქცეული, ზეცა-დასივრცე გულში მეღვრება“. ლექსის დასასრულს მთელ ამ განწყობილებას უცნაურ განზომილებას აძლევს ლექსის სუბიექტის სტატიკური სილუეტი: „ვზივარ უძრავად, ვარ თავდახრილი, დიდ გზას გავყურებ და მელიშება“.

პოეტური ინტროვერსიისათვის ხელსშემწყობი ბუნების მშვიდი ხედი (სულერთია მინორული თუ მაკორული განწყობით გაყვენილი), რომელიც მასთან თანაზიარობის საშუალებას იძლევა, ეს დიდი გზა და ქვრეტაში დანთქმული კაცის ღიმილი უადრესად ნიშანდობლივია კოლხუ ნადირაძის პოეზიისათვის. „დიდი გზა“ ერთ მის საუკეთესო კრებულსაც ერქვა და ეს სათაური მრავალმხრივ გამართლებული იქნებოდა პოეტის რჩეული ლექსების წიგნისათვის.

„ღიმილთან“ დაკავშირებული კონტექსტის შინაარსი კოლხუ ნადირაძის პოეზიაში მნიშვნელოვანია და ზოგჯერ გამოუცნობიც, — „გამოუცნობი და სანატრელი ვით ჭიოკონდას ღიმილი მკრთალა“, „ვინ იცის ღედოფალს რად გაელიმა“ (ბალდახინი). უფრო გვიან ეს სიტყვა ღრმავლანოვანი ფილოსოფიურ-პოეტური ნააზრევის ერთერთ ელემენტად იქცა. ორიოდე სიტყვა ამის შესახებ.

კოლხუ ნადირაძის მაკროკოსმოსი „ღიადი და ღეთაებრივი სავარსკვლავეთია“, სადაც „ციურ მნათობებს გადაუბამთ სათუთ სიშებად შენი პირველი გულისცემა და გაღიმება“. აქვე პლატონური მიღმაცოფენით არსებობს აზრი და გრძნობა: „ო, აღზად ფიქრი და სიყვარული აქ განისვენებს და აქვე ჩნდება, — შემდეგ გადმოდის სულდგმულის გულში, მპოულობს სიტყვებს და აღარ კვდება“. აღამიანი „სავარსკვლავეთის“ ბეჭდით არის დაბეჭდილი და ამიტომ უცთომლადა გრძნობს თავის ვარსკვლავს. ღიმილი — კოსმოსურსა და ადა-

მინერს შორის უგულთაღესი თანაკავშირის ფორმაა:

ერთი ვარსკვლავი მინათებს მუდამ, სხვა
ვარსკვლავთ შორის მას ვერბო და ვარჩევ,
იგი ღიმილით მივზავნის სხივებს, შეალერსება,
მეტრანეს და მარჩენს,
ერთი ვარსკვლავი ღამეში თითქოს
ესაუბრება უხილავ გამჩენს!

ხანდახან „...ადამიანი უეცრად იგრძნობს, რომ მის გვერდით ვიღაცა დგას და მას გარკვეული ადგილი უქაფავს სივრცეში, რომ იგი განსაკუთრებულად უხილავი ფორმით არსებობს და რომ იგი ყველაზე ინტენსიურ რეალობაზე უფრო რეალურია, თუმცა უხილავი. უსმენელი, შეუხებელი და გრძობათა ზღუთი ორგანოსათვის შეუვალა“ (უ. ჯემსი. რელიგიური ცდის მრავალგვარობა. მოსკოვი, 1910. გვ. 52). კოლაუ ნადირაძე უჩვეულო გუმანით ძეგრწავს პოეტურ სახეს, რომლის განცდა ჩვენ გაგვიძნელებოდა, რომ არ ვგრძნობდეთ მის უშუალობასა და სპონტანურ ნამდვილობას:

ვიგრძენი უცებ: თითქო ღმერთი დგას —
შორიახლო,
ღიმილით უსმენს ჩემს გულისთქმას და
მავეირღება.

ამ ღიმილით არის დაკავშირებული ადამიანი, ბუნება და შემოქმედი და ამ უკანასკნელის მიმართ აღვლენილა მათი ძახილი:

შენამდე აღწევს ფრინველთა ლოცვა, ყვავილთა
სუნთქვა, ტყუთა შრიალი,
ზღვათა და ქართა ჭმუნვა და ოხვრა და
მთვარის შექვე ცვათა ცილი,
ბავშვის ბავთა ღიმილი ნაზი და ღიმი
სევდა ადამიანის.

იმავე „ნაზი ღიმილით“ იღება სინათლის კარი ადამიანში, როდესაც სულის სიღრმეში დაუეჩიყარ არსებათა ხმა გაისმება, სანამ კაცის გულს „ასულღმეულებს ეს დიდი ტანჯვა და სიყვარული“ ამოი არ არის მისი სიცოცხლე. „მღუჭარების ბაღებს ეწვია“ იგი, ვინც პო-

ეტისათვის სიცოცხლის წყარო იყო, უკვე დიდი ხანია, რაც დატრუნებული უკანასკნელი მეგობარი და დღემდე აუხდენელია „განუკურნებელი ოცნება“, მაგრამ შემოქმედი დგას როგორც გარდასულის ქურჩველი, რომ სიყვდილის ხელი არ მიავაროს მათ ხსოვნას...

ალარ ვაჭარებ შეგვედრას შენთან:
ეაში ამისთვის არ დაქარვულა!
შე მინდა სიყვდილს წერ ვიფელავლა
და გულში მიზნად მიქვს დასახული:
ცოტა ხანს დაერჩე როგორც ქურჩველი,
სადაც შენ კიდევ ხარ შენახული...

კოლაუ ნადირაძის ლექსებში გამეღაწეებული მსოფლშეგრძნება სიცოცხლის ბალისიანი თრთოლვით არის აღსავსე. სიცოცხლე პოეტის მიერ განიცდება როგორც „თავზარდამცემი სიღიადე“, რომელიც ქვაშიც კი ფეთქავს. იგი განიცდება როგორც ტყვიულებამდე მისული სიყვარული, როგორც უკვდავებისა და მარადისობისაკენ ლტოლვის აუცილებელი პირობა და ამდენად, უდიდესი ღირებულების შემცველი არსებობა.

ზემოთ ითქვა, რომ ადამიანით გაცოცხლებული ლანდშაფტი შემთხვევითი არ არის პოეტის ისეთ პირწმინდა პეიზაჟურ ლექსებშიც კი, სადაც მათი გამოჩენა თითქოს ყველაზე ნაკლებ იყო მოსალოდნელი. მაგრამ იგი ჩნდება და ადამიანის თანდასწრება უჩვეულო განათებას აძლევს ლექსში განხმული უკაცრიელი ბუნების სურათს. სიცოცხლისა და ადამიანისადმი ვანცხადებული ეს ღრმა რწმენა, რომელიც ფაქტობრივად კოლაუ ნადირაძის პოეზიის ღერძი იყო იმთავითვე და რომელიც მის პირველ წიგნში ემბრიონის სახით, ზოლო შემდეგ თანდათანობით ხორცშესხმულ მთლიანობად გამოჩინდა, გადააღზვინებს პოეტს დროისა და პიროვნული განკერძოების ზღუდეებს და უნივერსალური ნიშნის მქონე მსოფლგაგებამდე მიიყვანს.

1940-45 წლებში კოლაუ ნადირაძე აქვეყნებს ლექსებს, რომლებშიც დიდი დრამატიზმით არის გადმოცემული პო-

ეტის დამოკიდებულება სამშობლოსადმი, როგორც უზენაესი ეთიკური ინსტიტუციისადმი, სიკვდილისა და სიყვარულისადმი (პოეტის შემოქმედებაში ნათლად გამოსჭვივის შუქჩრდილით მდიდარი, ანტინომიური წინააღმდეგობით აღსავსე ადამიანური განცდა). უნდა ითქვას, რომ გრძნობის ასეთი ძლიერი ერუპციით აღბეჭდილი ლექსები იშვიათია XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. ოცმარცვლოვანი (10-10) ტერცინებით დაწერილი ეს ლირიკული ქორალები („სამი აჩრდილი“, „შენ ჩემში ცოცხლობ“, „მე მიყვარს დილა“, „ჩემი ვარსკვლავი“, „წიწამურიდან საგურამომდე“) ახალი შუქით აღრმავებენ კოლალე ნადირაძის პოეტურ მსოფლმხედველობას.

არცერთ ქართველ პოეტთან არ გვხვდება სამშობლოს ისეთი ტრაგიკული და მტკივნეული განცდა, როგორც კოლალე ნადირაძესთან. სამშობლო მისთვის ბედისწერა და უკანასკნელი განსასვენებელია. სამშობლო — მიწა, ადამიანი და უკვდავი სულია. ეს ზედროული, უკვდავი, დაუძლეველი სული ტრაგიკული შიშებით არის წარმოდგენილი:

ისეთი ცოდვა რა ჩაიდინე, ჩემო სამშობლოც,
 ნებაჲ მიცოდე
 რომ ამოდენი ცეცხლი დაგვირღა და შეც
 ამ ცეცხლით უნდა ვიწოდე,
 რომ განთხევებს სისხლი ამდენი, არ
 შეგიბრალეს, არ შეგიცოდეს?!
 (სამშობლო წარმოდგენილია როგორც წარუდინებელი არსის სახე, რომლის წიაღში პანთეისტური გარდაცვალების განუწყვეტელი მისტერია მიმდინარეობს. სამშობლო თითქოს მითოსური ცხოვრების ხეა, რომლის ფოთლებში კვლავ იმოსავენ ახალ სიცოცხლეს უკვე გარდაცვლილი სულები:

განა არ ვიცი რომ მოვა ეამი და ვერ ვიხილავ
 შენს მთებს და ქალებს?
 მინდვრის ყვავილში ან ზის ფოთოლში ოდესმე
 მაინც ვაეახლე ოვალებს,
 განა არ ვიცი, რომ მოვა ეამი და ვერ ვიხილავ
 შენს მთებს და ქალებს?

ქვეყანაც ჩემო ყველაზე ტყბილად შენ
 მომისვენებ და დამაძინებ,
 თვით შენი მიწა იქნება თბილად
 არასდროს არ დამამძინებს.
 ქვეყანაც ჩემო ყველაზე ტყბილად შენ
 მომისვენებ და დამაძინებ.

ამ სტრიქონებით თითქოს მიწით შობის და მიწადევე მიქცევის უძველესი სიბრძნე ცხადდება. უნდა აღინიშნოს, მიწად მიქცევის აზრს აღძრავს პოეტის ამგვარი სტრიქონებიც: „სალამოცდება. მზე შორდება იისფერ თალებს. სხივებს — თავთავებს დამწიფებულს — მიწაზე აცვენს“. თავთავი უბრუნდება დედამიწას და ეს დედა მიწა იგივე სამშობლოა.

სამშობლო როგორც ტრაგიკულის გამოვლინება და გარდუვალი ბედისწერა პოეტისათვის ქართველი გმირების მეშვეობით ცნაურდება. კოლალე ნადირაძის წარმოსახვაში განსაკუთრებული მტკივნეულობით არის ჩაბეჭდილი შუბლგახვრეტილი ილიას სახე: „შენ ხომ გნიშნავდა მაღალი ზეცა და გზრდიდა შენი მშობელი ერის მამ, ვინ გავწირა როგორც ზვარაკი, ვინ გახდა შენი მოსისხლე მტერი, რომ ნატყვობაში შენა შუბლისა ქარი გასწივის, მოთქვამს და მღერის!“ და აქ ახალი, კიდევ უფრო ღრმა მნიშვნელობით გამოჩნდება სამშობლოს სახე როგორც ზვარაკის მიმღები სამსხვერპლო. ამ სამსხვერპლოზე მოუტანიათ ზვარაკად: ცოტნეს მოძმეთა ზიარი ტანჯვა, ქეთევანს რწმენის სიმტკიცე, მოხუც ბაგრატიონს თავისი უკანასკნელი ბრძოლა, ილიას ერის ტვინი და სინდისი... „წიწამურიდან გულის კარამდე ერთი გზა მოდის — გზა სისხლიანი“ და პოეტი მიდის იმ მარადიულ ქვეყნისაკენ, რომლისკენაც ეკლიანი და უდაბური გზა გმირებმა და მგოსნებმა გააყვეს.

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი
 და ბატარა გზაა.
 წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა
 ნეტავი რაა?
 წიწამურიდან საგურამომდე დიდი მთები და
 უპირო ცაა.

კოლაუ ნადირაძის პირველსავე ლექსებში იჩინა თავი კლასიკურ პოეზიასთან ორგანულმა კავშირმა, რაც „ბალდახინში“ მხოლოდ მცირე დოზით გამოვლინდა. პოეტის მსოფლშეგრძნება თანდათანობით იხვეწებოდა და ბუნებრივი სახით გამოიჩინას ლამობდა. ქმედითი ნების სრულყოფასთან და განმტკიცებასთან ერთად, იგი თავისუფლდებოდა უცხო დანაშრევებისაგან, რითაც უფრო და უფრო ღრმად აჩენდა პოეტისათვის ნიშანდობლივი შინაგანი სამყაროს მოდელს, რომელიც თავისი სტრუქტურით უფრო ენათესავებოდა, ვიდრე განსხვავდებოდა ტრადიციული პოეზიისაგან. გვიანი სიმბოლიზმის პოეტების მსგავსად, მას თავიდანვე ჰქონდა მიღრეკილება კლასიკური სიცხადისა და ორგანიზებულობისაკენ. ოცდაათიანი წლების მიწურულიდან კოლაუ ნადირაძე სავსებით უბრუნდება კლასიკურ სინტაქსსა და სტროფიკას, რომელთა რამდენადმე მნიშვნელოვანი სახეცვლის ტენდენცია მას ფაქტიურად არც გამოუმკლავებია. პოეტისათვის უცხოა და ყოველთვის უცხო იყო მეტრული სქემის მანერული დამახინჯება, ფორმალური ელემენტების წინა პლანზე წა-

მოწევა და ექსპერიმენტირება. მისი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებში კლასიკურად გამჭვირვალე და სადაა, მაგრამ დაზღვეული ყოველგვარი გაუბრალოებისაგან. კოლაუ ნადირაძისათვის საერთოდ მშვიდი ინტონაციებია დამახასიათებელი, თუმცა მაღალ და მღვლეარე რეგისტრებსაც შესანიშნავად ფლობს.

არსებობს პაოლო იაშვილის მიერ ახალგაზრდობაში დახატული კოლაუ ნადირაძის პროფილი: კორძიანი შუბლისა და ვატეხილი ცხვირის ნებისყოფით აღბეჭდილი ხაზი უცნაურ კონტრასტს ჰქმნის სემსორული ტუჩების სირბილესთან („ქვეყნიერებას მოვევლინე ცხვირგატეხილი ფერმკრთალი სახით, ხორციანი სქელი ტუჩებით“; ლექსი „ავტობორტრეტი“, ბალდახინი), და ეს დამახასიათებელია კოლაუ ნადირაძის ტემპერამენტისათვის. ამ სომატურად ძლიერი კაცის დღემდე შეუბღალავი მოქალაქეობრივი ზნეობა და გულის სიწმინდე კარგად გამოხატავს მისი ნებისყოფის შეუდრეკელობას, რომელმაც შეაძლებინა მას ორმოცდაათი წლის განმავლობაში „პირველნარისხოვან და უზადო ლირიკოსად“ (პასტერნაკი) დარჩენილიყო.





ხელნაწერი გავითიხის ისტორიიდან

XIX საუკუნეში საქართველოში ბეჭდვითი საქმის განვითარებას უთანაბრო ხასიათი აქვს. მართალია, თბილისს გარდა სტამბები რამდენიმე სხვა ქალაქში კიდევ არსებობდა, მაგრამ პერიოდული გამოცემების საქმე მანც ძირითადად მოუგვარებელი იყო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეფის მთავრობა, საერთოდ, ეურნალებსა და გზებითვის გამოცემის საქმეს (განსაკუთრებით ეროვნულ ენებზე) აფერხებდა, არ იყო დაინტერესებული მათი რიცხვი მოზარდულთა, ხელაგონრად უქმნიდა მათ სიძნელეებს. ყოველივე ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის ვითარება, რომ საქართველოში ფართოდ გავრცელდა ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების გამოშვება. ამ წერილში ჩვენ გესურს შევაჩამოთ ის მცირე ცნობები, რომლებსაც მივაკვლიეთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ისინი უდავოდ გარკვეულ ინტერესს გამოაჩვენებენ საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და კლასთა ბრძოლის საკითხებით დაინტერესებულ ისტორიკოსებში, და, რაც არაკლებ მნიშვნელოვანია — ქართული ლიტერატურისა და ქართული ეურნალისტიკის ისტორია შეუძლებელია სრულყოფილად იქნას შესწავლილი, თუ არ იქნა გათვალისწინებული ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების საკითხი. მართალია, ლიტერატურაში აქამდე გვხვდება ცნობები ხელნაწერი ეურნალების შესახებ, მაგრამ ხელნაწერ გაზეთებზე მასალები თითქმის არ მოიპოვება. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეს პრობლემა, სპეციალური კვლევის საგნად ქერქერობით, სამწუხაროდ, არ გამხდარა.

ამ უკბტზე, რომ ქართული ეურნალისტიკის ისტორიის მკვლევარები ერთგვარად უგზავნიდნენ ყოველ ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების საკითხს, მიუთითებს ბიბლიოგრაფიული გამოკვლევებიც კი. ასე, მაგალითად, გ. ბაქრაძის მიერ შედგენილი ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში (თბილისი, 1947 წ.), რომელშიც შესულია 1819-1945 წ. წ. გამოსული ქართული პრესის ორგანოები, აღწერილია მხოლოდ 8 ხელნაწერი ეურნალი (იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1819-1945, შედგენილი გ. ი. ბაქრაძის მიერ, ვანოფილიები: „პეტიოგრაფიული და ხელნაწერი ეურნალები“ (1873-1918)),

გვ. 205). ქერ ერთი, ეს ციფრი მიხბლოებითაც ვერ ასახავს სინამდვილეს, ხელნაწერი ეურნალები გაცილებით მეტი იყო, და მეორე მხრივ, სრულიად გამოჩინილია ხელნაწერი გაზეთები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მუზეუმებსა და წიგნსაცავებში განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი ხელნაწერი ეურნალ-გაზეთები. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გასული საუკუნის 80-იანი წლების ხელნაწერი პრესა. ამ წერილში, ბირველყოელისა, განვიხილავთ კონკრეტულ საკითხს — ხელნაწერ გაზეთებს.

გეოგრაფიულად ჩვენს მიერ მიკვლეული მასალები ორ ჯგუფად განიყოფება. ბირველ ჯგუფს განეკუთვნება ქუთაისში გამოშვებული ხელნაწერი გაზეთები, ხოლო მეორე ჯგუფს — ქ. თბილისში.

ქუთაისის ხელნაწერი გაზეთებში ამ პერიოდში ძირითადად ევათა გიმნაზიაში გამოდიოდა და, რთგორც შემდგომ დაეინახავთ, მათში ბევრი ცნობილი პოლიაწე იღებდა მონაწილეობას.

ბირველ რიგში აღსანიშნავია ხელნაწერი გაზეთი „ი“, რომელიც 1880 წელს გამოდიოდა გიმნაზიაში. დაცულია სულ 10 ნომერი (№ 1-4 თებერვალი, № 2-11 თებერვალი, № 3-18 თებერვალი, № 4-25 თებერვალი, № 5-3 მარტი, № 6-10 მარტი, № 6 (დამატება) — 10 მარტი, № 7-17 მარტი, № 8-9-24 მარტი) გაზეთი დაცულია სახალხო განათლების მუზეუმში (ფ. 5, ს. 11). გაზეთის სათაურის ქვეშ ასეთი წარწერია: „მოთავსებულია: „სალიტერატურო გაზეთი, გამოდის ორშაბათობით“. ხელნაწერი გაზეთი ნაბეჭდ გაზეთს ბაძავს იმითაც, რომ გვერდები სვეტებად აქვს დაყოფილი: ზოგიერთი ნომერი ორსვეტიანია, ხოლო ნაწილი — სამსვეტიანი (ფორმატი — 22 სმ X 35 სმ), გაზეთს რედაქტორობდა პ. მირიანოვი — პეტერ მირიანოვილი (1860-1940), რომელიც შემდგომ თანამშრომლობდა „ივერიაში“, „მწევრქვში“, „აჭაილში“ და სხვ. მუშაობდა ქართული სიტყვიერების შეკრების დარგში. იგი ზ. ფალოშვილის ოგრა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორია.

რედაქციის განცხადებაში (№ 1) აღნიშნუ-

ლია, რომ „თუ დამბარკლებელნი მიზეზები არ შეგვხედნენ, ვეცდებით რომ ყოველ ორშაბათობით გამოვიდეთ“. როგორც ვიცით, განხორციელების მასალების შეგროვება პირდაპირ აქტივობის თითქმის ყოველ ნომერში ვახდებდა განცხადება რედაქციისა, რომელშიც ნათქვამია: „რედაქცია უშორჩინლესად სთხოვს ბატონთა თანამშრომელთა, რათა კეთილსინდისიანად აღსარულად მათ თვითნათი მოვალეობის საქმე, რედაქტორი პ. მირიანოვი“, ხოლო № 3-ში ამ განცხადებას ასეთი დრამა აქვს დამატებული: „...ვიინადგან ამ უკანასკნელ ხანებში ჯულჯილად დაუწყეს ცეკრა ამა საქმეს“.

ყურადღებას იპყრობს „იის“ შექვეყნებ (დამატებით) ნომერში მოთავსებული „განცხადება რედაქციისა“. მასში ნათქვამია: „ჩვენზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო იძულებულ არს რედაქცია გამოსცეს მე-6 ნომრის დამატება, კინაღამ პირველ რომ კორესპონდენცია საქალუბო ვიზნაზიდან მივიღეთ მაშინ, როდესაც მე-6 ნომერი იყო გათავსებული და დაწერას კომიტეტულად თხოვლობდნენ, ამისათვის პირივედგებაში მივიღეთ ეს სტატია, მეორე, რომ „სვეტის“ (როგორც ჩანს, ვიზნაზაში გამოდიოდა ხელნაწერი გაზეთი „სვეტი“ რუსულ ენაზე, ამჟამ ნომერში მოთავსებულია პ. მირიანოვის წერილი სათაურით: „პეტრო ჭარბიელ შვი-ვარიანს რუსული „სვეტის“ რედაქტორს“.

„სვეტის“ შესახებ ცნობებს იძლევა აგრეთვე პ. მირიანოვის „ხელი“, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. — შ. გ.). სტატიამ ძლიერ აღგებ-
შფოთა და პასუხი რომ არ მიგვეცა, გულ-
ქულნი დავჩივებოდით. რედაქცია“ („იის“ №6 (დამატებით).

გაზეთ „იის“ ფურცლებზე თავსდებოდა ძირითადად ლექსები, ე. წ. „ფელეტონები“ პოლიტიკური წერილები და სხვ.

მეორე ხელნაწერ გაზეთს „სამშობლოს“, რომელიც ამავე ვიზნაზიში 1880 წელს გამოდიოდა, რედაქტორობდა სილოვან ხუნდაძე (1860-1928), პოეტი, პედაგოგი და გრამატიკოსი. № 1-ს აწერია „საყოველთაო ეურნალი“, ხოლო დანარჩენ ნომრებს — „საყოველთაო გაზეთი“ (№ 1-2 მარტი, № 2-9 მარტი, № 3 მარტი (რიცხვი არაა ნახვევები), № 4-23 მარტი). გაზეთი გამოდიოდა სამსვეტიაში, ოსბ გვარდზე (სახალხო განათლების მუზეუმი, ფ. 5, ს. 8); ფორმატი — 22 სმX35 სმ. საინტერესოა „სამშობლოს“ № 1-ში მოთავსებული სარედაქციო წერილი, რომელსაც ხელს აწერს „სილოვანი“ (აღმათ თვით სილოვან ხუნდაძე). მასში ახსნილია, თუ რა მიზეზები ვანაძობებდა ვიზნაზაში ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების გამოშვებას.

...თქვენ, ახლავარდა ყმაწვილები, რადგანაც ზედეთ, რომ სასწავლებელში თითქმის არ გესმია სამშობლო ენა, გმართებთ ეკადროს თეთილზრდას, აქიდაამე შეეჩვიეთ წერას და

გამოიჩინეთ თქვენი ამ ცრემლის დაფრულნი ტილანტი. თუმცა ჩვენი ეურნალუბს არ ექნებოდა ამისთანა შიშართულება და მნიშვნელობა, როგორც აქვს ნაბეჭდო ეურნალ-გაზეთებს, მაგრამ მოსწავლეები მისთვის ვეძიებენ ჩვენ, რომ უისწავლოთ ჭერ და მოვეზნადით მომავალ მოქმედებისათვის („სამშობლო“ №1).

„სამშობლოში“ პრაქტიკადაა ლექსები, ფელეტონები, კორესპონდენციები, პოლიტიკური წერილები (მაგალითად, ყმათი ვიზნაზის ერთ-ერთ ხელნაწერ ეურნალ „ციციანთელასთან“ რომელიც № 3-შია მოთავსებული). აღსანიშნავია, რომ „სამშობლოს“ მასალების დიდი ნაწილი თვით სილოვან ხუნდაძის მიერ არის დაწერილი.

ყურადღებას იმსახურებს ვიზნაზის მესამე ხელნაწერი გაზეთი „დროში“, რომელიც 1882 წელს გამოდიოდა დაცულია 4 ნომერი (№ 1-2 თებერვალი, № 2-23 თებერვალი, № 3-2 მარტი, № 4-9 მარტი), გაზეთის ფორმატი — 22 სმX33 სმ (სახალხო განათლების მუზეუმი, ე. 5, ს. 11). სათაურს ქვემოთ ასეთი წარწერა აქვს გაეთვებული „სალიტერატურო-სამოსწავლო გაზეთი გამოდის ყვირისა ვრთველი სამაზათობით“. ხოლო ჩარჩოში მოთავსებულია რედაქციის განცხადება: „რედაქციას აქვს ნება გააწეროს, შეამჯიროს გამოგზავნილი სტატიები, დაუბეჭდელიობისათვის პასუხს არ აგებს“. ყველა ნომერზე, იქ სადაც რედაქტორის ხელმოწერა კვდება, ყოველგვარი ტიტულის ვარაუზითხვე ნომერის ხელს აწერს ა. ლორთქიფანიძე. ეს გაზეთიც სამსვეტიაში და შეიცავს ოთხ-ათხუთს გვერდს.

„დროშის“ ყოველ ნომერში მოთავსებულია ფელეტონი რუმბიკით: „დროშის“ ფელეტონი“. საერთოდ ეს გაზეთი რუმბიკებს უხვად ხმარობს („შენიშვნები“, „ვიზნაზის ამბები“ და სხვა). გაზეთი ძირითადად სტატიებით არის შედგენილი. აქვს მოწინავე და სარედაქციო წერილები, იშვიათად ვახდებდა ლექსები. ისევე როგორც „სამშობლო“, „დროშიც“ პოლიტიკის წარმოებს ეურნალ „ციციანთელასთან“.

ჭუთაისის ვიზნაზიაში ეურნალ-გაზეთების გამოშვების საკითხზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის დავით მუსხი (1860-1942) თავის მოგონებებში. იგი აღწერს იმ აუტანელ პირობებს, რაც ჭუთაისის ვიზნაზიაში იყო შექმნილი მოსწავლეებისათვის და დასძენს, რომ „...ასეთი მუსხი რევიმი ვერც ჩვენს გამოვლენას ეშლიდა ხელს. პატრიოტულ განწყობას აფერხებდნენ, სდევნიდნენ კიდევ, აბრუნებდნენ, მაგრამ ეს გრძნობა მათ უფრო მეტად ლიებდებოდა ქართულ მოწაფეებში. ჩემს დროს ვიზნაზიაში იყო (?) ხელნაწერი გაზეთი გამოდიოდა. უფროსი კლასის მოწაფეები: ნიკო მარია, სოლო ხუნდაძე, პეტრე მირიანაშვილი, მის. მღვდელიშვილი და სხვ. ცალკე სემებდნენ გაზეთს. (სინამდვილეში თვითთელი ცალკადაც თავის ეურნალს

ან გაზეთის სტემა» შ. გ.). ჩვენც დაბალ კლასიკებს ჩვენი ხელნაწერი გაზეთი ვუქონდა...» (ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი № 12865-ს გვ. 6 და დაეთი მესხი, მოგონებანი, 1940 წ. თბილისი, გვ. 67-68).

ზოგიერთი უზუსტობანი დ. მესხის მოგონებებში, ჩვენი აზრით იმითაა გამოწვეული, რომ მან ეს მოგონებები 70 წლის ასაკში დაწერა და, აღბრუნებულ, ზოგიერთი რამ მტკიცედ აღარ ასსოვდა.

გ. ლასხიშვილიც ადასტურებს ქეთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ხელნაწერი ეურნალი-გაზეთების გამოცემის ფაქტს (გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1865-1915, თბილისი, 1934 წ. გვ. 3-4) იგი ხაზს უსვამს ნიკო მარის აქტიურ მონაწილეობას მათში. «ნიკო მარმა, — წერს გ. ლასხიშვილი, — მაშინ შემდეგ კლასის შევარძელს მოათავსა სტეფანიო¹, რამდენიმე ლექსი...» (იქვე, გვ. 4 «სტეფანიო» — ხელნაწერი ეურნალი იყო, რომელიც გამოდიოდა ქეთაისის გიმნაზიაში გ. ლასხიშვილის რედაქტორობით. როგორც გ. ლასხიშვილი «მემუარებში» აღნიშნავს, ეურნალში ბრუნავს ვადრობდით ლ. ტოლსტოის, მაშინდელ პლეემოსილ მინისტრს, კატოვს და ბისმარკს...» იქვე, გვ. 3).

ყველაზე საინტერესო მასალებს ქეთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ეურნალი-გაზეთების შესახებ შეიცავს ნიკო მარის ხელნაწერი ეურნალი «ბედი», რომელიც 1880-1881 წ.წ. გამოდიოდა.

თბილისის მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში ნიკო მარის ხელნაწერი ეურნალი ვერ აღმოვაჩინეთ, თუმცა ამის შესახებ ცნობები ლიტერატურაში არსებობდა. შავალთაძე, ვ.ა. მიხანკოვა წერნია: «ნ. ა. მარმა» შემდეგს წერდა: «Знание иностранных языков помогло ему и при издании гимназической газеты беди («Судьба»). Сохранилось несколько номеров этой рукописной газеты, первые — журнала (лишь №№ 1 и 2 имеют внешность газеты, остальные оформлены как журнал) за время с ноября 1880 г. по март 1881 г. В каждом номере журнала имеются статьи, заметки и стихотворения Н. Я. на грузинском языке, подписанные его инициалами.

В подготовлявшемся Н. Я. в 1932 г. «Автописке работ», который остался в черновых набросках, он следующими словами определяет эти юношеские свои произведения: «Первые всходы без дифференциации — публицистические, политические, литературные, научные — в организованном с товарищами на грузинском языке ученическом органе воспитанников классической гимназии в гор. Кутаисе беди («Судьба»). Орган возник в период бурных внутренних переживаний, антирели-

гиозного настроения и ряда нарушений дисциплины крайними выходками против пансионского режима и против тонений на грузинский язык. Общая установка — за грузинский язык и поднятие его престижа в своей общественной среде, за изучение его, говорящего на нем населения и им населенного края».

В № 1 журнала от 17/XI-1880 Н. Я. рассказывает в редакционной статье историю возникновения журнала. Он был предпринят по совету А. И. Стоянова¹, рекомендовавшего ученикам использовать каникулы для этнографических наблюдений и записей. Это им не удалось, но мысль А. И. Стоянова о литературной работе им понравилась, и они решили издавать школьную газету. В ней помещены переводы Н. Я. из французских научно-популярных журналов, первый его опыт исследования топонимики Кавказа (объяснение названия Батума), переводы стихотворений Пушкина («Поэт») и Лермонтова («Колыбельная песня»), а также перевод под названием «Карамзин о русском, французском и испанском языках». В журнале появляются и оригинальные стихотворения Н. Я. на грузинском языке: «Пансионеры», где Н. Я. высмеивал склонность гимназистов к попойкам и серенадам под окнами пансиона женской гимназии; «Сазандар», посвященное трем поэтам — Церетели, Чавчавадзе и Эристову — с характеристической особенностью творчества каждого из них. В том же гимназическом журнале 5 марта 1881 г. помещен ответ Н. Я. на стихотворение Акакиа Церетели «Весна», написанное при получении известия об убийстве Александра II...» (В. А. Миханкова, Н. Я. Марр, 1949, Москва—Ленинград, 33, 10—12).

ვ.ა. მიხანკოვას მასალა თვალნათლევ მეთოდებდა, რომ ნიკო მარის «ბედი» მის პირად არქივში უნდა ყოფილიყო დაცული. მართლაც იგი თბილისის ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაის ს. ლეიშვილის მიერ იქნა მოკვლეული ქ. ლენინგრადში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივში. სახელწოდებდა მან თბილისში ეურნალის მეტროფორი ჩამოიტანა და ჩვენ საშუალება მოგვეცა ნიკო მარის «ბედს» გაეცნობოდით. აღსანიშნავია, რომ ნიკო მარის «ბედის» ყოველ ნომერს (განსხვავებები სხვა ხელნაწერი ორგანოებისა-ვან) აწერია: «ნებადართულია მოთვრობის მიერ».

¹ ა. ი. სტოიანოვი — გიმნაზიის დირექტორი, ვონოვრატი.

პარტეი რიგში ჩვენ დაგვიანტრავსა ცნობებმა, გიმნაზიის ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების შესახებ. ამ მხრზე უფრადლებას იმსახურებს „ხეობურის“ (ჩვენი ვარაუდით ნ. მარის ფსევდონი-ში უნდა იყოს) ხელნაწერით, მოთაყვებული წერილი „შერი ქუთაისის მოსწავლეთა შორის გიმნაზიაში“ მოგვყავს იგი მთლიანად.

„მკითხველსა კი იცის რამდენიმე გაზეთები იყო ჩვენ ლემნაზიაში მარშან, 1879 წ., ახლა კი, ე. ი. 1880 წელს ერთი არ სიზმრობას, რა მახეზია? მინეზი ამისა შერი არის: დაარსდა თუ არა ჩვენ გიმნაზიაში „ციციანთელა“, მანინევი ნაოგარდა შერი გაზეთ „ციციანთელის“ და ამის რუსული გაზეთებიც „სვეტ“ და „ნეონატონე ბერი“, მაგრამ რა გაეწყობა? რაც მოხდა-მოხდა! ახლა კი, 1880 წ. დაეხედეთ, რა ამბები ხდება? გამოვიდა ეურნალი „ვარჯაში“. მეტონია, რომ ამ ეურნალის საშუა კარგად წავიღვად, რომ ზოგიერთი მოსწავლეთა საშუალება არ გაეხმით ძირი. პირველი მოშინე გახლდათ ამ ეურნალის ერთი ეფროსკლასიანი მოსწავლე (რომლის გვარის გამოცხადების არ ვრცხვავ საჭიროთ). მივარდება ეს მოსწავლე ერთთან, შივარდება მეორესთან და ეუბნება: „მართ ეს ასეთ არ შეიძლება, უნდა დავხეროთ, ფული არ მიეცეთ შირია-ეს (პეტრე შირიანოვს — შ. გ.), არ გაეწყრესთ ლმერთი (ამდროს უნდოდათ მოეკრიფათ ფული მეორე ნომრისათვის) თორემ შეგვემს, პირველ ნომრში ასე სასაცილოდ ავივარდ, ე. ი. გლახა სტრეტიში ჩაწერა და აწი უარეს გვახმისო“. ამ მოშინეზე ჩაგონა მართლა ბევრ მოწაფეებს და ისეთ მკითხველს შენს მტერს მოგვრბობს ვისერი, როგორც ამ ეურნალს გაუხვენ ძირი. ახლა კი გამოდის ეურნალი „ბედის“—ვაი ჩვენი ბოლო, თუ ამასაც აუღერ წესი, ეს სულ წარბისდება შერთი, ვინ ვართ ჩვენ? თუ გსურთ მშანი კარგათ წავიდეს „ბედის“ საშუა, შურს განეშორდეთ და ერთობითი შირიანს ხელი მიტყეთ“ („ბედი“ № 2, 1880 წ. 24 ნომბერი. გვ. 2 შდრ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივი ქ. ლენინგრადში, ფ. 800, აღწ. 4, ს. 11).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „ბედის“ თითქმის ყოველ ნომერში თავსდება წერილები მუდმივი სათაურით „ეურნალ-გაზეთობა“, რომლებიც მოსწავლეთა ხელნაწერ ეურნალ-გაზეთების შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავდა. ი ერთი მოთვანი: „ფრეს ეურნალ „ვარჯაშის“ რადგან მოაკლდა თანამშრომლებიც და მასლებიც ძლიერ ცოტა აქვს, ამის გამო შემდეგში გამოვა მხოლოდ მაშინ, როდესაც მასლას ყოფად მოაგროვებს. სატირულ-იუმორისტული 10. „ნათობი“, № 2.

ფურცელი „კოლო“ მიცვალბულია“ („ბედი“ №5, 1880 წ.) ეურნალის №6-ში მოთაყვებულ „მიმოხილვაში“ ლამარაია იმს. შესახებ წერს: „ქალთა გიმნაზიაშიც ეურნალ-გაზეთობის“ ცხებლბა: „საქალბეო გიმნაზიაში, როგორც შეიციყვეთ გამოსულა უკვე ერთი მათი გაზეთის ნომერი, მაგრამ მისი შივან ჩვენთვის უკვადებებს წყაროზე ვარჯი საშოვარი ყოფილა... „ბედის“ რედაქციამ კი ვაგაზანა თაისი ნომრები საქალბეო გიმნაზიაში, ვასაკერიდა სამაგიერთოთ რათ არ გვალისრენ ერთი ნომერი მინც“. „ბედის“ №6-ში (1881 წ. 29 იანვარი) გამოპვეწებულა წერილი „გაზეთ „ჩვენი კლასის“ გამოცემასზე“, რომლიდანც ცხადი ხდება, რომ შეშედი კლასის მოსწავლეები ამირებენ ახალი გაზეთის გამოცემას. წერილში გაკრიტიკებულია აგრეთვე „ია“ და „ციციანთელა“ ცუდი გაფორებისა და უშინაარსო მასალის გამო.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ხელნაწერი გაზეთები თბილისშიც გამოდიოდა. პირველ რიგში აღსანიშნავია თბილისის რეინოვის სახელოსნო სასწავლებელი, რომელშიც მოსწავლეები რამოდენიმე ხელნაწერ ორგანოს სემებდენ. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ნაპერწყალს“ (ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 20581-6 საქრო საფაროვის მიერ შემოტანილი), რომლის რედაქტორი იყო ივ. მუქელიშვილი (ფსევდონიმი — ენობისმოყვარე). ეს ხელნაწერი გაზეთი, რომელიც 1886-1887 წლებში გამოდიოდა იმითაა საინტერესო, რომ გარდა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა, მასში უხვადაა მასალები სოციალურ საკითხებზე. ფერო მეტრიც, მის ფურცლებზე ადვილს მოუღობს ბეცდეთი ორგანოებში ეცნურის მიერ ამოღებული ნაწარმოებებიც. „ნაპერწყალს“ ამ მხნით სოციალური რუბრიკი ექმონდა შემოღებული, რომელსაც „ეცნურის დარღვეული“ ეწოდებოდა (იხ. № 1, № 2, № 3 — 1886 წ. № 17 — 1887 წ. და სხვ.). აქ იბეჭდებოდა ბეცდეთი პრესაში ეცნურის მიერ დაკავებული ნაწარმოებები. რომელთა შორისა აღსანიშნავია ვეა-ფშეველს რამდენიმე ლექსი. თავისუფლება, მუშებია აუტანელი მღგობარეობა ფაბრიკა-ქარხნებში, ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ და სხვა — ასეთია გაზეთის შირითადი თემატიკა. „ნაპერწყალს“ 1886 წლის № 17-ის სათაურის ქვეშ ასეთი წარწერაც კი აქვს გაყეთებული: „სოც. რეველ. სალტ. გაზეთი“.

რეპრესიების შიშით იყო, ალბათ, გამოწვეული ის გარემოება, რომ გაზეთის თითქმის ყველა მასალა ფსევდონიმებით არის ხელმოწერილი. სხვა ხელნაწერ ეურნალ-გაზეთების გამოცემის შესახებ საინტერესო ცნობას ვაწვდის „ნაპერწყალს“ 1886 წლის № 13-ის სარედაქციო წერილი, რომელშიც შემდეგი სწერია:

„ქერჯერობით ჩვენ ახალგაზრდობას ვვაქვს სამი გაზეთი: „ნაპერწყალი“, „ბურუსი“ და სხვა-

ჩანს რედაქტორობით (როგორც ირკვევა „ნაბიჯიან“ ზაქარია საფაროვის ფსევდონიმი უნდა იყოს). შირს. იოსებ იმედუშვილის ბიოგრაფიული მასალები ზ. საფაროვეს, თეატრალური მუზეუმი ფ. 1, ს. 16) და საყოველღეო, საკრიტიკო გაზეთი „ნიაღვარი“. როგორც სანდო პირისგან ვაივავით, ამირებს ეურნალ „წყაროს“ გაგრძელებას იგივე რედაქტორი. ზევნ გაქმდისაც უერ მშეშეხდარავათ „ნიაღვარი“ გაზეთია თუ ეურნალი, რადგანაც ფორმატი ეურნალისა აქვს. ესე იგი რვეულის შავვარ და სათურად კი გაზეთი აწერია. ბატონ შამჭორს „ნიაღვრის“ რედაქტორს ევონებ კარვად უნდა მოეხსენებოდნენ, რომ გაზეთი გამოცემის თაბახობით და არა ევრელის ფორმატით. რვეულის ფორმატს ეკუთვნის სახელად: ეურნალი და არა გაზეთი (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ საქმეში თვითონ „ნაბერწყალის“ რედაქციაც სცოდავდა. მისი ზოგიერთი ნომერი რვეულის მაგვარი ეურნალია და არა გაზეთი — შ. გ.)

ამ ხელნაწერი გაზეთის შინაარსის ანალიზი ნათელს ხდის, რომ იგი პროგრესულ იდეებს ქედავებდა. ასე, მაგალითად „მოლოცვაში“ ამჟებად არის ნათქვამი: „ერთს ბედს გვემა ვართ: ჭრათველი, სომეხნი, პოლიაკნი და შალორისნი. მიეცეთ ხელი ერთმანეთს ზევნ „ნაბერწყლებში“ და ვადავებუცვით არა თუ „ნაკვერჩხალათ“ არამედ მუგუზუბათაც...“ ხოლო ცოტა გვემოთ: „მოვიყოთ ხელი პროშენადობას: შთავაგონით ხალხს მამულის სიყვარული, თვისებულებას სარგებლობა, მონობის სისამაღლე, სწავლა-განათლების აუცილებლობა“. ხოლო წერილში „ნეტავი ჭქარ-ჭქარა მოვიდეს ახალი წელი“ ნათქვამია: „...მამინ თამამად შეუძლიათ (სიამართლს მუდავებულებს“, რომლებიც ახალ წელს კიდევ უფრო გამრავლებიან. — შ. გ.) — ამჟებად თვისებულების დროება და დამახონ: „თავისუფლება“, „რესპუბლიკა“. მამ მოლით მმართ ჭრათველობის ახალგაზრდობამ მივსკეთ ხელი რუსისს და უფრო თამამად დავიძახით ზემოსხსენებული სიტყვები“ („ნაბერწყალი“ 1887 წ. № 17).

მეფის მოთხოვნის ორგანოების შექმნეველი არ ღარჩენიათ მოსწავლეთა გატაცება ხელნაწერი ეურნალ-გაზეთების გამოცემით და, რა თქმა უნდა, მათში მოთავსებული თავისუფლებისმოყვარეობის სულისკვეთებით ვაღვინითი წერილები მათ მოეხსენებს უკარგავად. აღბათ, ამათ იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ სპეციალური გადაწყვეტილებები ის იქნა მიღებული ამ საკითხზე. ასე, მაგალითად, გაზეთი „დროება“ 1882 წ. 12 ივნისის ნომერში (№ 120) გამოვეყენებულ „დღიურში“ წერდა:

„ამავე ეურნალისაში დაბეჭდილია ბ. ზომერტელის კარგაგულება, რომელშიაც მოხსენებელია, რომ ზოგიერთს საშუალო სასწავლებელში, როგორც შეეიტყუეთ, შავირდები ხელნაწერი ეურნალებს სცემენ და ამ ეურნალებში

ჩანდისხან ისეთ პირებს და საგნებს პეტრეავენ, რომელნიც სრულებით არ არიან. გაციეცხის ღარსია. რადგან ამგვარი მიმართულება შავირდებისა სანატრელი არ არის, ამის გამო შექმნილი ხელნაწერი ეურნალების გამოცემის უფლება შავირდებმა პედაგოგიურ რჩევას უნდა სთხოვონ და რჩევა ეურნალის ცენზორად გამოცდილ პირს დანიშნავს თავის შორისა“.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ვასული სუვენის მშ-იან წლებში საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაში ნაყოფიერი იმავაჟს პოულობს პროგრესული იდეები და იაკ შთავარია ისინი არა მარტო ეროვნული საკითხით დაინტერესებს იჩენენ, არამედ ფართო მნიშვნელობის ანიჭებენ სოციალურ ჭრობილებსაც, რაც ასე შინაარსიანად აისახება მათ მიერ გამოშვებულ ხელნაწერ გაზეთებში. თამამად შეიძლება თქვას, რომ ისინი საქართველოში მარქსიზმის გავრცელების პერიოდამდელი ციხურგაუფლებელი რევოლუციური სულისკვეთებით ვაღვინითი პრესის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ.

ცალკე მინდა შევხერდე ხელნაწერ გაზეთ „ნაბიჯი“, რომელიც თბილისში გამოდიოდა 1884 წელს (ხელნაწერი გაზეთი „ნაბიჯი“ დაცული ჩვენს არქივში — 1884 წ. № 3-2 სექტემბერი, № 4-5 სექტემბერი, № 5-9 სექტემბერი, № 6-16 სექტემბერი, № 7-23 სექტემბერი; № 1 და 2 დავარგულად უნდა ჩაითვალოს). იგი გამოდიოდა ჯერ კვირამა ორჯერ (№№ 3, 4, 5) ხოლო შემდეგ კვირამა ერთხელ (№№ 6, 7). გაზეთი სამსუვერდია, №№ 3-4-არგვერდია, №№ 5, 6, 7-თხვერდია. ფორმატი — 22 სმ X 35 სმ. „ნაბიჯი“ მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენს მიერ ზემოთ განხილული გაზეთებისგან. პირველყოფისა, აღსანიშნავია, რომ მას სცემდა არა ავტორობის გვით, რომლებიც ერთ კლექტივში (სასწავლებელში) იყვნენ თავმოყრილი, არამედ ცალკე პიროვნება და იგი გაზეთის ყველა მასალის ავტორად გვევლინება. ამსთახვე თვითონვე იყო ვადაწერი. თუ მოსწავლეთა გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ სასწავლებლების ცხოვრების საკითხებს, „ნაბიჯი“ ამ „სპეციალიზაციისგან“ თავისუფალი იყო. მისი დიამახონი უფრო ფართოა და მის მიერ განხილული საკითხების წრეში შედის არა მარტო თბილისისა და საქართველოს, არამედ რუსეთისა და უცხოეთის ცხოვრებიდან აღებული მასალებიც კი. უფრო ზუსტად რომ თქვათ, „ნაბიჯი“ ნამდვილი პროფესიონალური და არა მოყვარულთა მიერ შედგენილი გაზეთია.

როგორც ჩანს, გაზეთი განკუთვნილი იყო მკითხველთა ფართო წრისათვის, იგი კეთდებოდა ისე, როგორც ნაბეჭდი გაზეთები. „ნაბიჯის“ პროფესიონალრობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მას ფისი ქქონდა დადებული ყოველ ნომერს აწერია „ცალკე ნომერი „ნაბიჯისა“ ღირს 3 კაპ“. გაზეთის № 4, 5, 6 ნომრებში რედაქცი-

ის ასეთი შენიშვნა: „ნაბიჯის“ ფასი სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 1 მანეთით, ხოლო № 7-ში: „ნაბიჯის“ ფასი 1-ლ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე 40 კაპ“. ვახუთი რომ ვაიყენებ წესით ვრცელდებოდა, ამაზე მიუთითებს აგრეთვე მასში მოთავსებული განცხადებებიც. ყველა ნომერს სათაურის მარჯვნივ, ხან მარცხნივ მიწერილი აქვს: „განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზედ“, რაც შეეხება თვითონ განცხადებებს, ისინი აშკარად კომერციულ ხასიათს ატარებენ. მოეიყენებ რამოდენიმე მათგანს:

1. „იმდღეა ქირით რამოდენიმე ოთახი ჩითახოვის სახლებში, ვოლოფენისკის პრასპექტი № 12, პირველს და მესამე ეტაჟში“ (ელსანიშნავია, რომ ეს განცხადება ვახუთის ყველა ნომერზე გვხვდება, ალბათ იმიტომ, რომ რედაქტორს სახლის პატრონი ვინმე ჩითახოვისათვის ესთამოვნებინა „ნაბიჯის“ რედაქცია იმყოფებოდა ვოლოფენისკის პრასპექტზედ, ჩითახოვის სახლებში № 12“ — მიწერილია ყველა ნომერზე).

2. „ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი ცაცი ეძებს პრივატიის ალაგს. ადრესის შეტყობად მსურველთ შეუძლიან „ნაბიჯის“ რედაქციაში“ („ნაბიჯი“ №№ 4, 5, 6).

3. „არ. კალანდაძის სტამბაში ეძებენ ვერტმალჩის, ე. ი. ჩარხის დამტრიალებულს, რომელსაც ექნება ქეროვანი ჯამბიკი“ („ნაბიჯი“ №№ 3, 4).

4. „კარგად განვითარებული და ნაწყოელი პოეტი ეძებს ალაგს, ბევრს მდიდარ და საპატრიო პირებთან არის ნაყოფი. ადრესი „ნაბიჯის“ რედაქციაში გაუშეით“ („ნაბიჯი“ № 6, 7).

5. „ისიყიდება იაფად ერთი სპალნი კრავოტი, ერთი კარგი დიდი სარკე და ერთი ლამაზი. ადრესი: „ობიექტების ქუჩაზედ მირხოვის სახლებში № 36“ („ნაბიჯი“ № 6, 7).

ასეთი განცხადებები შრავლად არის და არაპირდაპირი ეს ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ „ნაბიჯი“ მუთხველებში ფულით იყიდებოდა ნაბეჭდი ვახუთის მსგავსად, რაც ახალ მოვლენას უარმოადგენდა ხელნაწერის გაზეთების ისტორიაში.

ხელნაწერ გაზეთ „ნაბიჯის“ რედაქტორი და გამომცემელი იყო არტემ ახნაზაროვი (ჩოჩრა), შემდგომ ე. კაჭავაძის „ვიერიის“ ერთ-ერთი მამყველი თანამშრომელი (1866-1942). (ა. ახნაზაროვიზე ძალზე მცირე ბიოგრაფიული ცნობებია გამომცემლებული. იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ. 26 აპრილი №10 (65) „არტემ ახნაზაროვი“. ავტორი — შალვა დადიანი). გაზეთის გამოცემა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მას 1884 წლის შემოდგომამდე (18 წლის ახალგაზრდას) დაუწყია, როდესაც იგი ქართული თეატრის საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნებულა (იგი იქ იმ დროს სუფლიორად მუშაობდა). დედისადმი მიწერილ წერილში, რო-

მელიც ჩვენს არქივშია დაცული (1884 წლის 5 მაისი), იგი აღნიშნავდა: „საყვარელო დამაზირველად მოგიკითხამ... მაგრამ არა მრავლებს გუშინ-გუშინწინ არ იყო რაც წამოგედნა მამა და მეს რომ წამოგედი შენგან ყაზბეგთან ვიყავი და მეორე დღეს საათის რვაზედ ჩაქვეით რკონის გზაში და გაეწიეთ ფოთისაკენ და ახ ახლა ამ წერილს ფოთიდან გწერ... ამ ოროდვე დღეში მიედივარ ზღეით ბათუმში... ბათუმითგან ჩამოვალთ ქუთაისში, ასე რომ ბევრი ბევრი სამი კვირა დაგვიანდ... ჯერ თამაშობა არ გვქონია, ამაღამ ვაბირებთ თამაშობას... და თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა იქნება ფული გამოგვგზავნოს“. ამ წერილიდან ცხადი ხდება, რომ ა. ახნაზაროვი ახლომდებარე ურთიერთობაში იყო ი. ყაზბეგთან და მას დიდ პატივს სცემდა, ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ „ნაბიჯის“ თითქმის ყოველ ნომერში გვხვდება განცხადება: „ამ ცოტას ხანში გამოვა მიჩნუბარობის (ყაზბეგის) მოთხოვნა“.

აღ. ყაზბეგთან ვაცნობას ასე გადმოგვეცემს ისეთი არტემ ახნაზაროვი — თავის მოგონებებში: „ერთხელ თუ არ ვცდები 1880 წლის დამლევს ქართული წარმოდგენა იყო დანიშნული. დაწყების დრო ყვეა დადგა, მაგრამ ჩემოდ და მომზადებულ მსახიობთ წარმოდგენა ვერ დაეწყეთ, რადგან სუფლიორი ა. ცხარელი არსადა სჩანდა. ჩვენს ასრქოს იმ დღეს სილაც წყვედიდა და დასძინებოდა; ვინ წაგვიითხავს პიესას და ვინ გვიყარნახებოს (რადგან მაშინ უსუფლიოროდ თამაში ვერც კი წარმოედგინა ხალხს. სად იყო ამისი დრო? კვირამო ორი თუ არა ერთი ახალი პიესა მაინც უნდა დაედგათ და პიესის გამოერება ერთსა და იმავე სეზონში, ეს მხოლოდ ოცნების საგანი იყო). სწორედ ამიტომ დღითა შემოთათველები იყვნენ მსახიობები, ამ დროს მე და შაქარი საფაროვი, ეულისებუსა და საპირფარეოს ოთახს შუა, პაწია ოთახში ვიდექით და როდესაც სანდრო ყაზბეგმა დიძახავინ წაიკითხავს, მე ვაედექი წინა და უთხარი: მე წაიკითხავ-მთქო. ყაზბეგმა მომცა დაბეჭდილი წიგნი ხელში და გამომცადა: აბა, წაიკითხო. წარმოსადგენათ დანიშნული იყო, ვგონებ, გოროვი ერისთავის „უჯარყეარე ათაბეგი“. მე სხაპასხუპით დავიწყე კითხვა და, როდესაც ყაზბეგმა ვინაობა მკითხა და ჩემი გვარი ვაიკითხა, გავუკვირდა: ბიწოს სომხური გვარი იქვს და ქართველ დიავანსაიეთ კითხულობსო. ჩამსვეს იმწამვე სუფლიორის ხეხულაში და სუფლიორის მავიჯოობა გამაწეინეს. შემდგ მუდმივ სუფლიორად მომიწიეს და თეატრმა ისე გამიტაცა... იმ ხანად მიღლად თეატრს შეეწიერე ჩემი შრომა“ (დაცულია ჩვენს არქივში).

ა. ახნაზაროვი ვასული საუენის 80-იანი წლების ქართული თეატრის ცხოვრებას შესანიშნავად იცნობს და „ნაბიჯში“ ამ მხრივ ბევ-



რო სინტერესო ცნობა მოიპოვება, მოვითანთ ზოგიერთ მათგანს:

ჩვენს ვახუთის №1-ის მოწინავე სტატიაში არ ნაპოვებ, რომ ბატონი შაქრო საფაროვი წარმოდგენას აძირებსო. ეხლა ერთი საიმედო პირისაგან შევიტყვეო, რომ აფიშა შეუდგენია კლდე და ამ დღეებში პოლიციებისტრთანაც აძირებს. წარდგენასო. ღმერთმა ჰქნას, რომ ხე-და მთწვეთის ბ. პოლიციებისტრის თანაშემწემ, რადგანაც გვესმის რომ სცენის მოყვარეთ არაფერს აქლევს ნებასო, რადგანაც შთაერობის სწინააღმდეგო არაფერი იყოსო“ („ნაბიჯი“ №3).

ზაქარია (შაქრო) საფაროვი (1862-1928) ცნობილი ქართველი მსახიობის მარიამ (მაკო) მიხეილის ასულ საფაროვას ძმა იყო, იგი ბევრ შოხობიდანვე შეგობობდა ა. ახანაროვს. თავის მოგონებებში ა. ახანაროვი წერს: „თეატრისაკენ გზა გაიხსნა ჩემმა კარგმა ნაცნობმა ზაქარია საფაროვამ... მე და შაქრო (ზაქ. საფაროვი) ზნაოდ შევიბარებოდით ხოლმე კულისებში, რადგანაც პარტერში შესასვლელი პილეთი არა გვექონდა, აქ კულისებში ველოდით წარმოდგენის დაწყების და როდესაც შესიკენი შედიოდნენ თავის სახუდაში, ჩვენც შევევებოდით და პარტერის თავისუფალ ადგილებზე გამოვიბეჭობოდით...“ (მოგონება დაკულა ჩვენს არქივში), ხოლო „ნაბიჯის“ № 6-ში ასეთი ცნობაა მოთავსებული: „ჩვენ ვაივით რომ ვახუთ „დროებაში“ და „ნოვოე თობორენიში“ ექსპედიტორები გამოკვლიან „დროების“ რედაქციაში დამდგარა შ. საფაროვი, ძმა ჩვენი გამოჩენილი არტისტისა და „ნოვოე თობორენის“ რედაქციაში კი ერთი ვიღაცა რუსი დამდგარა. ხოლო ერთი იმედამილი ზაქარია საფაროვის „ბიოგრაფიის“ შემდგენს წერს...“ (რ. საფაროვმა) შედგინა თავისი ტოლი ამხანაგების წრე...

საკუთარი ქამაგირით გამართა შპალიერის დეკორაციები და თბ(ილისის) ქუჩებში თავის რევისობობით წარმოდგენების გამართვა დაიწყო... რადგან ვუბერნატორო სპეველმოქმედო მიზნით წარმოდგენების ნებაარავას არ იძლეოდა, ს-ი (საფაროვი) საკუთარი პასუხისმგებლობით სდგამდა პეესებს, რის გამოც პოლიციას ხშირად გრძიმებში გამოიწყობილი ს-ი (საფაროვი) თავისი დამით, დამსწრე საზოგადოებასთან ერთად, პოლიციაში წაუყვანია. მ-იან წლებში ამხანაგებთან (გ. თულაშვილი, სულხანიშვილი, ყურაშვილი და სხვ) ერთად სკამდა ხელნაწერ ვაზ. „ბურუსის“, ამ დროს მისი დახმარებით გამოვიდა სამწერლო ასპარეზე არ. ახანაროვი („დროება“-ში) (თეატრალური მუზეუმი, ფ 1, ს. 18). აქვე მინდა მოვიყვანო ა. გრიშაშვილის უცნობი ერთბიეპანი ლექსი, რომელიც მას 1927 წ. 9 მაისს დაუწერია:

ველირსები შენს იუბილეს?...
არ გგონია ძმაო შაქრო...
ამიტომაც ეხლაც მინდა
კოცნით ტუჩი დავიშაქრო...

ი. გრიშაშვილის ამ ლექსის ავტოგრაფი დაკულია თეატრალური მუზეუმის ამავე ფონდში.

თი კიდევ ერთი სინტერესო ცნობა: „ქართულს დრამატულს დასში სადღესიოდ ამირებდნენ დაეღვათ თამარ ბატონიშვილი, მაგრამ შთაერობამ ნება არ მისცა. არ ვიცით თუ რა მიზეზია. ყველამ კარგად იცის, რომ ეს პიესა ყოველ სეზონში ოთხჯერ თუ ხუთჯერ ითამაშებოდა ხოლმე და ეხლა რა მიზეზია რუნდა იყოს, რომ ნება არ მისცეს...“ („ნაბიჯი“ № 9).

„ნაბიჯის“ № 6-ში მოთავსებულ „საკვიროთა ფელეტონში“ ქართული თეატრის ბევრი საუბრობოროტო საკითხია გარკვეული და უქვევლოდ იგი სპეციალისტებისათვის სინტერესო მასალებს შეიცავს.

ორიოდ სიტყვა ვახუთ „დროებისა“ და ხელნაწერ ვახუთ „ნაბიჯის“ ურთიერთობის შესახებ. ა. ახანაროვი, როგორც მისი ბიოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, ადრე ასოთამწყობად მუშაობდა სტუდენტ მელქიშვილის სტამბაში, სადაც ს. მესხის „დროება“ იბეჭდებოდა და უქვევლია ვახუთის გამოშვების ტექნიკური მხარე შინ იქ შეისწავლა. „ნაბიჯი“ ყოველმხრივ ჰამავს „დროებას“: გაფორმებით, მასალების განლაგების თანმიმდევრობით და ა. შ. უფრო მეტად, „ნაბიჯი“ ხშირად იყენებს „დროებაში“ გამოქვევებული მასალებსაც (როგორც წესი „დროების“ ნომრის გამოსვლის მეორე დღეს), ასე, მაგალითად, „ნაბიჯის“ № 2-ში (1884 წლის 5 სექტემბერი) შემოკლებით ამოწერილია „დროების“ 1884 წლის 4 სექტემბრის (№ 191) ნომერში გამოქვევებული „შინაური მიმოხილვა“. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ვახუთმა „დროებამ“ ამავე წლის 6 სექტემბრის (№ 193) და 7 სექტემბრის (№ 194) ნომერებში გამოაქვეყნა მასალები სახელმწიფო ბანკის თბილისის ვანუფილდებში ახალი კასის დაფუძნების შესახებ. ამ მოვლენას კომენტარებს უყუთებს „ნაბიჯი“ თავის № 5-ში (9 სექტემბერი) იმ ფაქტზე, რომ „ნაბიჯი“ უბრალოდ კი არ გადმოწერს მასალებს „დროებიდან“ არამედ მას თავის ორიგინალურ კომენტარებს უყუთებს, მითითობს № 5-ში (9 სექტემბერი) მოთავსებული მასალა „შინაური ქრონიკა“. მასში ვაღმოკუპულია ვ. ვაბიჩაიძისა და ი. გოგებაშვილის პოლემიკის მასალები ამ უჩანასწოლის „დღეაენის“ გამოკყმისთან დაკავშირებით, რაც „დროების“ ფურცლებზე სწარმოებდა. „ნაბიჯის“ № 5-შივე „დროებიდან“ არის ამოწერილი აგრეთვე „ცნობანი“ (შაზანი ხორაგისა,

რომლებიც ივილება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 1884 წ.).

„ნაბიჯში“ მოთავსებულ მხოლოდ რამოდენიმე წერილს ჰყავს ავტორი (ა. ინასარიძე), დანარჩენი მასალები ხელმოუწერელია. ჩვენის ცნობით ა. ინასარიძე თვით „რედაქტორის და გამომცემლის“ არტემ ახნაზაროვის ფსევდონიმით უნდა იყოს.

მატერული ნაწარმოებებიდან „ნაბიჯში“ იშვიათად გვხვდება ლექსები (№ 3) და მოთხრობები („გაბაბა ამპარტავენი“, რომელიც რამდენიმე ნომერში გრძელდებოდა და შობასანის „სოფელში“ — № 7-ში).

ასეთია მოკლედ არტემ ახნაზაროვის ხელნაწერი გაზეთის „ნაბიჯის“ აღწერილობა.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, გაზეთი საუენის 80-იანი წლები მეტად კონტენტური პერიოდი იყო ხელნაწერი ვაჭრების გამომცემების ისტორიაში და ამ საკითხის გარკვევა უფროდ ერთგვარ სარგებლობას მოუტანს არა მარტო ქართული ეურნალისტიკის ისტორიის კვლევის საქმეს, არამედ იგი დაგვეხმარება ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრების მოვლენების უფრო ღრმად გაგებაში, უფრო მეტიც, საერთოდ მას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოებრივი აბროვნების განვითარების შესწავლისათვის, რადგანაც ხელნაწერი გაზეთები ცენტრალურად გაუძლეულ პრესის ორგანოებს წარმოადგენდნენ.

პროკოზი რაზიანი

ვეფხისტყაოსნის ავტორის შინაოცნებების

1. ამოსავალი დებულება

ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობით ამჟამად დაინტერესებულია არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ თითქმის მთელი ცივილიზებული კაცობრიობა. ამიტომ ყოველი ახალი ფაქტი თუ მოსაზრება, რომელიც ნაწილობრივ მაინც შექმნის ან დიდებული ადამიანის პიროვნებას, ეციქობთ, ღირსია საზოგადოების ყურადღებისა.

საქიბის ასეთი დიდი მნიშვნელობის შეგნება გვახდენს გავაჯანსაღებთ და მკითხველს შევთავაზოთ ახალი თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე. ეს თვალსაზრისი, ჩვენი დაკვირვებით, არა თუ არ ეწინააღმდეგება რუსთველოლოგიაში დღემდე ცნობილ, მეცნიერულად შემოწმებულ ფაქტებს, არამედ თანდათან ფაქტების ახსნისა და სწორი გააზრების საინფორმაციო გასაღებს.

როგორია ახალი თვალსაზრისის ამოსავალი დებულება?

როგორც ცნობილია, დღემდე მკვლევარები დარწმუნებული იყვნენ, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი ერისკაცია, ხოლო „რუსთველი“ მისი საგვარეულო სახელწოდება ანუ გვარ-წოდებაა, რომელიც წარმომდგარა რუსთველთა საგვარეულო სახელწოდებლად გეგორგაფიელი სახელწოდება „რუსთაიდან“. ამით აიხსნება, რომ ისინი ვეფხისტყაოსნის ავტორს დაეძებდნენ ხან მესხეთში მდებარე პატარა სოფლის რუსთაიდან.

მფლობელთა საგვარეულოში, ხან კიდევ თბილისის ახლოს მდებარე ქალაქ რუსთაიდან (ბოსტან ქალაქის) საერო მფლობელთა შორის, საკითხის გულდასმით და ყოველმხრივ შესწავლამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ რუსთველი—იმ პერიოდში, როდესაც იგი თავის პოემის წერდა — არ შეიძლება იყო ყოფილი და არც ყოფილა ერისკაცი; პირიქით, ყველა მასალა და ფაქტი მოწმობს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო დიდად განათლებული სასულიერო პირი—ეპისკოპოსის ან მთავარეპისკოპოსის ხარისხით—რომელსაც გარკვეულ დროს ეცირა რუსთაიდან (ბოსტან ქალაქის) ეპარქიის მღვდელ-მთავრის თანამდებობა (კათედრა) და სწორედ ამიტომ იწოდებოდა რუსთველად.

ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ამ დებულების შეცნობიერება დასაბუთება საესეებით შესაძლებელია არა მარტო ლოგიკურ-თეორიული მსჯელობის გზით, არამედ ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის გზითაც. მაგრამ ვიდრე უშუალოდ შევედგებოდეთ ჩვენი თვალსაზრისის დასაბუთებას, ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება მოკლედ მაინც გავცნოთ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ამჟამად არსებულ შეხედულებებს და ავრთვეთ იმ მეთოდოლოგიურ-თეორიულ პრინციპებს, რომლებზეც ეს შეხედულებებია დაფუძნებული.

2. ვეფხისტყაოსნის ავტორის შინაოცნება-სადაუბრკელაჲ ამჟამად ბავრცელაბუღლი შეხედულებანი

ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობა-სადაუბრკელის საქიბი, როგორც ცნობილია, დიდი ხანია დგას რუსთველოლოგთა ყურადღების ცენტრში.

მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო თბილისის ახლოს მდებარე ქ. რუსთაის მფლობელი, ჰერეთის ერისთავი თუ მთავარი შოთა ბაგრატიონი, რომელიც

ამ მკვლევარების შიერ გაიგივებულია ეპიკურ-მწერლის შიერ მოხსენიებულ, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწე შოთა კუპთან. ეს თვალსაზრისი ვერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში წამოაყენა სწავლულმა ბატონი-შვილმა თეიმურაზ ბაგრატიონმა, შემდგომში იგი გაიზიარეს გამოჩენილმა მეცნიერებმა: მარო ბროსემ, პლატონ იოსელიანმა, იუსტინე აბულაძემ, მკვლევარ-ივანოვებმა. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია ხსენებული

* იხილეთ განხილვის წესით

თვალსაზრისის დასაბუთებისათვის, მაგრამ, როგორც ცნობილია, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია ქართველმა ისტორიკოსებმა: ავადმიყოსმა ნ. ბერძენიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ლორთქიფანიძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა დ. მუსხელიშვილმა და ნ. შოშიაშვილმა თავიანთ ნაშრომებში ეჭვიმტანლად დაამტკიცეს, რომ ქალაქი რუსთავი პეტრის შემადგენლობაში არასოდეს არ შედიოდა, რითაც ზემოხსენებულ თვალსაზრისს საფუძველი გამოაცდეს.

მკვლევართა მეორე ნაწილი (ნიკო მარი, შალვა ნუცუბიძე, სარგის კაკაბაძე, სარგის ციციშვილი, ნოდარ შოშიაშვილი და სხვ.) ემხრობა ქვემოთქვე XIX ს. პირველ ნახევარში აღმოცენებულ თვალსაზრისს და ვეფხისტყაოსნის საშრობლოდ მიიჩნევენ შესებულ მდებარე პატარა სოფელს — რუსთავს, რომელიც წინათ, ამ მკვლევართა აზრით, მნიშვნელოვანი ფეოდალური მამული და ციხე-სიმაგრე უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისის გაჩენისა და პოპულარობის მიზეზი მიზეზი, როგორც ჩანს, იყო თვით ვეფხისტყაოსნის ცნობილი ფსევდორუსთველური სტროფი — „ვწერ ვინმე შესხი მეღვანე...“; მაგრამ მის შემდეგ, რაც რუსთველოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ამ სტროფის ავტორი რუსთველი კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი ერთ-ერთი მიმამძღველია,¹ ხსენებულ თვალსაზრისსაც საფუძველი გამოეცადა. მიუხედავად ამისა, ამჟამადაც არიან მეცნიერები, რომლებიც ზემოხსენებულ თვალსაზრისს იზიარებენ და ცდილობენ მის დასაბუთებას, თუმცა ისინი თავითანვე აღიარებენ, რომ მათი საბუთიანობა მეცნიერული პიპათეზის ფარგლებს არ სცილდება.²

ნათქვამიდან ცხადია, რომ არც თბილისის ახლოს მდებარე ქალაქ რუსთავისა და არც მესხეთის სოფელ რუსთავის საერთო მფლობელობაში ვეფხისტყაოსნის ავტორის დაკავშირების ცდებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო.

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 333; მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთველიანის“ და „რუსთველიანის ეპილოგის“ გამო („საბუნა“, 1964, №6) დ. მუსხელიშვილი, „კახეთ-ქვერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“ („ციციანი“, 1965, №2); ნ. შოშიაშვილი, XII-XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი („ციციანი“, 1965 №9).

2 ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ. 1966, გვ. 41

3 ნ. შოშიაშვილი, თორღეთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთველი (წიგნი „შოთა რუსთველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძეგლები“, თბ., 1966, გვ. 73).

ასევე უშედეგო აღმოჩნდა „შოთას“ სახელით ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ქალაქ ვეფხისტყაოსნის ავტორთან კავშირს დასაბუთებელი ცდები: არც შოთა აბოთაშვილი — დემანატიანიშვილის 1177 წლის აჯანყების მონაწილე, არც ე. წ. აბიკვის ბარტყელის შოთა, არც ქიბრის სიგელზე ხელისმომწერი შოთა და არც სხვა რომელიმე ისტორიაში დღემდე ცნობილი შოთა არ აღმოჩნდა ავტორი ვეფხისტყაოსნისა; უფრო სწორად, არ მოხერხდა მეცნიერულად დასაბუთება იმ აზრისა, რომ შესაძლებელია ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული რომელიმე შოთა ვეფხისტყაოსნის ავტორი ყოფილიყო. დასაბუთებული და საფუძველს მოკლებული ჩანს აგრეთვე ლიტერატურაში გავრით გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ თითქმის არაა გამოჩენილი „რუსთველი“ საფუძვლის მქონე ნაწარმი სახელი იყოს და, მაშასადამე, რუსთავის შვიდრის ნიშნავდეს.³

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა რუსთველოლოგიურმა მეცნიერებამ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის გარკვევაში რეალურ შედეგს ვერ მიაღწია და ამჟამად იგი არსებითად იმავე დონეზე დგას, რა დონეზეც ამ ასი წლის წინათ იდგა. ამ ფაქტს აღიარებენ ისეთი გამოჩენილი რუსთველოლოგები, როგორც არიან ავადმიყოსები კონკრეტულად და ალექსანდრე ბარამიძე, თავის კაპიტალურ ნაშრომში „შვენიერ ქართული მწერლობის ისტორია“, კ. კეკელიძე გადაჭრით ამბობს: „მასალებისა და ცნობების დღევანდელ მდგომარეობაში, რუსთველის ვინაობის გარკვევა შეუძლებელია...“⁴ ხოლო ალ. ბარამიძე ახლანდელ გამოცემულ მოთხარაფილურ ნაშრომში „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ ნათქვამი აქვს: „ვეფხისტყაოსნის ავტორი შეიძლება ყოფილიყო მესხეთის რუსთავიდანაც და თბილისის რუსთავიდანაც, ამ საკითხის საბოლოოდ გადასჭრელად ქვეყნობით რამე მტკიცე საბუთი არ მოგვეპოვება. შოთა რუსთველის ვინაობის თაობაზე ქართულ საისტორიო წყაროებს ცნობები არ შემოუწუნავენ...“

თუ ეს ვახლავთ რუსთველოლოგიის უკანასკნელი სიტყვა ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საკითხზე.

ზუნდებივად ისმება კითხვა: რა არის მიზეზი იმისა, რომ ქართველ მეცნიერთა რამდენიმე თაობის ბეჭეთში შრომა და შეყვანილობა, რაც საუკუნეზე მეტია გრძელდება, ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი და ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის გავების საქმე წინ ვერ წასწია?

რა თქმა უნდა, ამის უპირველესი მიზეზი თანადად (ე. ი. პირდაპირი) წყაროების უქონლობა

1 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 41.

2 დასახ. ნაშრომი, 1952, გვ. 117

3 დასახ. ნაშრომი, 1966, გვ. 43.

ბაა, მაგრამ, ეფიჭრობით, არ იქნებოდა სწორი, რომ ყველაფერი წყაროების ნაკლებობით აგვეზნა; ჩვენი აზრით, ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის ძიება გამოუვლელ ჩიხში მოემწყვედა, საკითხისადმი ცალმხრივი მეთოდოლოგიური მიდგომაა.

მართლაც, თუ დავაკვირდებით ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ამჟამად გაერყელებულ შეხედულებებს, შევამჩნევთ, რომ ეს შეხედულებები წინასწარ შემუშავებულ გარკვეულ პრინციპს ემყარებიან, ხოლო ისტორიული წყაროების შესწავლის ამოცანად რჩება ამ პრინციპის საილუსტრაციო და დამადასტურებელი საბუ-

თების აღმოჩენა. რაღა საკვირველია, რომ ასეთი ვითარების შედეგად, ის მცირე რიცხოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტებიც კი, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული შეჭი მოაფიქონონ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობას, დღემდე სათანადო შეცნობილი შეფასების გარეშე რჩებოდა.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომის ცალმხრივობა და რუსთველოლოგიაში გაბატონებულ ზოგიერთ უაღბო პრინციპის უცნაურობის აუცილებლობა, საჭიროდ მიგვიჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ ზენდელის საინტერესო საკითხის სწორი დაყენების ირგვლივ.

3. საპითხის დაყენებისათვის

უსილებელი ფაქტია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობილი არ არის რუსთველის სახელწოდების მქონე არც ერთი სამოქალაქო პირი. თუმცა მკვლევარებმა დიდი შრომა და ენერჯია დახარჯეს ავტორის დიდებულთა შორის ვეფხისტყაოსნის ავტორის აღმოსაჩენად, მაგრამ წყაროები ამ საგანზე კვლავინდებურად სდუმან; საქართველოს ისტორიაში დღემდე არ ჩანს არც ერთი რუსთველი—ერისკაცი.

სამაგიეროდ საისტორიო წყაროებმა შემოგვიჩვენეს საკმაოდ ვრცელი ცნობები სასულიერო რუსთველებზე, რომლებსაც ეპისკოპოსების (ზოგჯერ მთავარეპისკოპოსების და მიტროპოლიტების) ხარისში ბჭონიით და რუსთვეის ეპარქიის კათედრა სჭეროთ. რუსთველ მღვდელმთავრებზე ქართულ ისტორიოგრაფიას მოგვცემა ფრიალ საყურადღებო ცნობები შუა საუკუნეების თითქმის მთელ მანძილზე, — შეეკება საუკუნით დაწყებული და მეოთხეამეტეოთე გათავებული.

ასეთ პირობებში თითქოს შოსალადნელი იყო, რომ მკვლევარებს უტრადლება მიეციათ რუსთველი ეპისკოპოსებისათვის, შეესწავლათ მათი მოღვაწეობისა და ლიტერატურული საქმიანობის ხასიათი და გამოთვრკვიათ, იყო თუ არა შესაძლებელი ვეფხისტყაოსნის ავტორის ძებნა ამ დიდად განათლებულ სასულიერო პირთა შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მომხდარა. ჩვენი რუსთველოლოგები ამჟამადაც დაუწყებულ განაგრძობენ ვეფხისტყაოსნის ავტორის ძებნას სამოქალაქო პირთა შორის, ხოლო სასულიერო პირებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მკვლევარები დაძებნენ ისტორიაში არარსებულ რუსთველს, ხოლო ამ სახელით ცნობილ რეალურ-ისტორიულ პირებს ანგარიშში არ აგდებენ; ისინი საუკუნით გვერდს უვლიან საქვეყნოდ ცნობილ მღვდელმთავრებს, რომლებიც

რუსთველის სახელწოდებით არიან ისტორიაში ცნობილი.

ისმება კითხვა: რა არის მიზეზი იმისა, რომ მკვლევარები არარსებულ რუსთველ-ეპარქიას ასე დაეინებოთ დაძებნენ, ხოლო რეალური ისტორიული პირებს, რუსთველებს უტრადლება; არ აქცევენ? რატომ გამოირცხვენ ისინი იმის შესაძლებლობას, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი სასულიერო პირი ყოფილიყო?

ამ კითხვების პასუხი, როგორც ჩანს, უნდა ეეძებოთ ამ თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის პრინციპებსა თუ წინამძღვრებში, რომლებითაც რუსთველოლოგები ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისა და მსოფლმხედველობის კვლევა-ძიების დროს ხელმძღვანელებენ და რომლებსაც ისინი თითქმის აქსიომატურ დებულებებად მიიჩნევენ. ასეთი წინამძღვრების რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, გვეთვინის შემდეგი სამი დებულება:

ჯერ ერთი, მკვლევარებს ეგვიპტურულ კაშხარიტებად მიაჩნიათ, რომ „რუსთველი“ არის არა თანადლებობის (საქმიანობის) აღწინაშესა ზედწოდება თუ ტიტული, არამედ გვარ-წოდება, რომელიც, მათი აზრით, წარმოიშვა რომელიღაც აღზევებული ფეოდალის საყუთარი მამულს—რუსთავეს—ფეოდალური სახელწოდებიდან; მეორე, მკვლევარები შინაგანად დარწმუნებულნი არიან, რომ ისეთი პდმანერა იდეებით გამსჭვალული ნაწარმოების დაწერა, რაოდენ ვეფხისტყაოსანია, სასულიერო პირს არ შეეძლო, რადგან გელესია იყო რეაქციულ-კლერიკალური ძალა, რომელიც ვეფხისტყაოსნის ავტორის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და კიდევაც სდევნიდა მას;

მესამე, მკვლევარები (ზოგიერთი გამოანკლის გარდა) დარწმუნებულნი არიან აგრეთვე, რომ ფეოდალისების ეპოქის ქართული საერო ლიტერატურა, რომლის მწვერვალი ვეფხისტყაოსან-

ნია, წარმოიშვა საქართველოში რელიგიური იდეოლოგიის შესუსტების შედეგად და რომ საერთო ლიტერატურა დღეობისაშიადა სასულიეროს, რომელიც თითქოს მხოლოდ ეკლესიის რეაქციულ-კლერკალურ ინტერესებს ემსახურებოდა.

ასეთია ეს, ვითომდა ემეფიტანელი დებულუბები, რომლებიც დღემდე ასრულებენ აუცილებელი წინამძღვრების როლს ეეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისა და მსოფლმშედელობის კვლევა-ძიებისას. მაგრამ ძნელი შესამჩნევია არ არის, რომ სინამდვილეში ეს დებულუბები ამკარად უაღბო დებულუბებია და მათზე მეცნიერული მსჯელობის აწეწება უფლად შეუძლებელია.

მართლაც, რა საფუძველი გააჩნიათ მკვლევარებს იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს რუსთველი არის საერო დიდებულის გვარ-წოდება და არა სასულიერო თანამდებობა? ვინ შეისწავლა და გამოიკვლია მეცნიერულად ის კანონზოფერებანი, რომელთა მიხედვით ფეოდალურ საქართველოში საერო დიდებულთა გვარ-წოდების, ან კიდევ უმაღლეს სასულიერო პირთა თანამდებობის აღმნიშვნელი ზედწოდების წარმოქმნა ხდებოდა? ასეთი სამუშაო, რამდენადაც უცოთ, ჭარბ არავის შეუძრულებია, უამისოდ კი შეუძლებელია გავიგოთ, რას ნიშნავს „რუსთველი“—თანამდებობა-საქმიანობის (ე. ი. საზღლოს), თუ საერო დიდებულის გვარ-წოდებას, წარმომდგარს მისი კუთხნილი მიმულის გოგრაფიული საბელწოდებიდან. ქვემოთ ჩვენ თვალათლიე დაინახავთ, რომ რუსთველ არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო საერო დიდებულის გვარ-წოდება.

შემდეგ, რა საფუძველით ფიქრობენ ჩვენი მეცნიერები, რომ ისეთი ბრწყინვალე ჰუმანისტური ნაწარმოებები, როგორიც ეეფხისტყაოსნისა, თითქოს სასულიერო პირს არ შეიძლებოდა დაეწერა? თუ გვიხსენებთ სხვა ქვეყნების შუა საუკუნეების კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის, დავრწმუნდებით, რომ ძალიან ზნორად ნატკლავანი ადამიანები სწორედ სასულიერო წოდებიდან გამოდიოდნენ. განა საყოფელთაოდ ცნობილი არ არის, რომ იტალიის ქველანიშის მამამთავარი, გამოჩენილი იტალიელი პოეტი ფრანჩესკო პეტრარკა სასულიერო პირი იყო? განა ცნობილი არ არის აგრეთვე, რომ რენესანსის ეპოქის უდიდესი მოაზროვნენი ურახმ რიტერდამელი და ჯორდანო ბრუნო, რომელიც ეკლესიამ კოცონად დაწაწა, სასულიერო პირები იყვნენ? განა ასევე სასულიერო პირები არ იყვნენ რეფორმაციისა და გლეჭური რევოლუციების გამომჩენილი ხელმძღვანელები, კერძოდ, ჩეხი ხალხის ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოაზრობის გვირი, პრადის უნივერსიტეტის რექტორი იან ჰუსი და გერმანიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის სახელგანთქმელი ბელადი თომას მიუნცერი? უფ-

რო მეტის თქმაც შეიძლება: ცნობილია, რომ თვით პირველი ბერტეზიული რევოლუციები (კერძოდ ნიდერლანდების რევოლუცია) და გერეთე მუსათა სოციალისტური მოძრაობის პირველი ნაბიჯები ევროპაში რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული. რევოლუციონერები, რომლებმაც ევროპა შემაჯერებლობრივი ძალოსაგან გამოაღვიძეს, ღმერთის სახელით მოქმედებდნენ და იერიშზე ფსალმუნის სიმღერით მიდიოდნენ, მაგრამ ამ ფაქტში საკვირველი არადრია: ფეოდალიზმის ეპოქაში სწავლა-განათლება, მეცნიერება და ლიტერატურა ეკლესიის ხელში იყო და, ბუნებრივია, რომ სასულიერო წოდებიდან გამოდიოდნენ არა მარტო რეაქციონერები და კლერკალები, არამედ აგრეთვე ჰუმანისტები და რევოლუციონერები.

მაგრამ თუკი სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ევროპაში შეიძლებოდა, რომ ჰუმანისტურ-რენესანსული და რევოლუციური მოძრაობის სათავეში სასულიერო პირები მდგარიყვნენ, რატომ არ შეიძლებოდა მსგავსი რამ საქართველოშიც მომხდარიყო? მართლაც, საქართველოს ეკლესიის ისტორია ვერ-ჯერობით მეცნიერულად შესწავლილი არ არის, მაგრამ საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრების ის ფაქტებიც კი, რაც ამჟამად ჩვენიც ცნობილია, საკმარისია ქართული ფეოდალური კულტურის ისტორიაში ეკლესიის მონაწილრების დადებითი როლის გასათვალისწინებლად. ეს ფაქტები უდავოდ მოწმობენ, რომ საქართველოს ეკლესიის წიაღშიც იყო ძლიერი პროგრესული მოძრაობა, რომელშიც უტუფობად აისახა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრება. სასულიერო პირებზეც, კერძოდ კი, ეპისკოპოსებზე დღეს ჩვენი შეხედულება ძირითადად ნეგატიურია, მაგრამ წინათ ასე როდი იყო; სასულიერო პირები, განსაკუთრებით კი ისეთი მაღალი რანგის საეკლესიო მოღვაწენი, როგორიც ეპისკოპოსები იყვნენ, ფეოდალურ საზოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და ვრის სულიერ მოძღვრებად, სულიერ მამებად ითვლებოდნენ. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ უმაღლეს სასულიერო პირთა დიდი უმრავლესობა სხვა ქვეყნებშიც და ჩვენშიც იყვნენ რეაქციონერ-კლერკალური მომართულების არისტოკრატები, რომლებიც მუდამ შშრომელი ხალხის დამონებნისა და ჩაგვრის საქმეს ემსახურებოდნენ, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მათ შორის არამშვიდაოდ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ხალხის მოწინავე, საამაყო ადამიანები,—მწერლები და მეცნიერები, რომლებიც ვრის სულიერ კულტურას ჰქმნიდნენ. ისტორიული ფაქტია, რომ სწორედ ასეთმა ადამიანებმა, თავისი დროის მოწინავე სასულიერო მოღვაწეებმა შექმნეს შუა საუკუნეების საქართველოს ის დიდი კულტურ-

1 K. Каутский, Предшественники нового социализма, М. 1925, т. 11, с. 203.

რა, რომლითაც დღესაც სამართლიანად ამბავობს ქართული ერი. ვინც უოველივე ამის ყვერინად გათვალისწინებს, დაგვეთანხმება, რომ გაცილებით უფრო ბუნებრივი და კანონზომიერი ა ვეფხისტყაოსნის ავტორი ვებებოთ სასულიერო პირთა შორის, ვიდრე საერო დიდებულთა შორის. ქვემოთ ჩვენ დავარწმუნებდეთ, რომ საკითხის ამგვარად დაყენება, მისი ერთადერთი სწორი დაყენებაა.

დაბოლოს, ესეც ვკითხოთ: ვინ დამტკიცა ის ცნებულება, რომ თითქმის ე. წ. კლასიკური პერიოდის, კერძოდ ე. თამარის ეპოქის ქართული საერო მწერლობა ქრისტიანული რელიგიის შესუსტების შედეგად წარმოიშვა და რომ თითქმის ისლად წარმოშობილი საერო ლიტერატურა იდენტურად დაუპირისპირდა საერთოდ აღებულ სასულიერო ლიტერატურას? ეს ცნებულება მეცნიერულად უჭერ არავის არ დაუმტკიცებია და ვერც დამტკიცებს, რადგან ხსენებული პერიოდის საქართველოს ისტორიაში არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ქვემოთ ჩვენ თვალნათ-

ლევ დავინახათ, რომ ლამარაკი რუსთველის ეპოქაში ქრისტიანული იდეოლოგიის წინაშე შესუსტებაზე მოკლებულია ცხარე მტკიცებულებრი-ისტორიულ საფუძველს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის შესწავლა მეცნიერულად არ ღვას სწორ გზაზე, ემყარება უაღბ წინამძღვრებს და უგულვებელყოფს რეალური-ისტორიულ სინამდვილეს.

ჩვენი გამოკვლევა მიზნად ისახავს, კონკრეტული ისტორიულ-ლიტერატურული მასალის ანალიზის გზით უჩაყოს ზემოხსენებული ყალბი ცნებულებები და დაასაბუთოს ახალი თვალსაზრისი როგორც ისტორიულ, ისე ლოგიკურ-თეორიულ ასპექტში.

დავიწყით იმ კანონზომიერებთა ანალიზით, რომელიც ფეოდალურ საქართველოში განსაზღვრავდა საერო დიდებულთა გვარ-წოდებისა და სასულიერო პირთა ზედწოდების წარმოქმნის პროცესს.

4. გომბრაფიული ადგილიდან სახელწოდებათა წარმოქმნის ორი გზა: საერო და სასულიერო

როგორც უკვე ითქვა, რუსთველი არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო საერო დიდებულის გვარ-წოდება; რუსთველი შეიძლება იყო ყოფილიყო, და იყო კიდევაც, მხოლოდ მაღალი სასულიერო თანამდებობის, სახელდობრ, რუსთავეის საყდრის საქეთმყარობლის (ეპისკოპოსის ან მთავარეპისკოპოსის). ზედწოდება ანუ ტიტული. ამ ცნებულების სისწორეში დავდარწმუნებ იმ კანონზომიერების თუნდაც მოკლე გაცნობა, რომელიც საქართველოში საფუძველად ედო, ერთი მხრივ, საერო დიდებულთა გვარ-წოდების, ხოლო მეორე მხრივ, სასულიერო პირთა (ეპისკოპოსთა) თანამდებობის აღნიშვნელი ზედწოდების წარმოქმნის პროცესს.

საქართველოს ისტორია, კერძოდ ე. თამარის ეპოქა იცნობს მრავალ საგვარეულო სახელწოდებას ანუ გვარ-წოდებას, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ამათივე გეოგრაფიული ადგილის ან ციხე-სიმაგრის სახელწოდებათა. ასეთებია: შავალითა, ცნობილი გვარ-წოდებანი: თმოგველი, თორელი, ჭაყვილი, ციხისჭვარელი, ფანასკერტელი, სურამელი, გაგელი, ფაფელი და ა. შ. ისტორიული წყაროები საშუალებას იძლევიან საქაილო ზედმიწევნით იქნას ათავალისწინებული როგორც ამ გვარ-წოდებათა წარმოქმნის პროცესი, ისე ამ პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორები.

საერო გვარ-წოდების წარმოქმნის საფუძველი—ესაა ემა-მამულზე ფეოდალური კერძო საკუთრება, რომელიც მთელი ფეოდალური ურთიერთობის ქვეყნუხედს წარმოადგენს. შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიას წითელ

ზოლად ვასდევს ახანურთა გამბატონებული წოდების მისწრაფება შეუვალ სამეჭყიდრეო საკუთრებად ექცია არა მარტო მის მიერ ნასყიდი ან წინაპართაგან მიღებული მამულები, არამედ ერთგული სამსახურისათვის მეფის მიერ დროებით სამფლობელოდ ნაბოძები ადგილები თუ ქვეყნებიც. და როდესაც ესა თუ ის მნიშვნელოვანი ტერიტორია და იქ აღმართული ციხე-სიმაგრე ან ციხე-ქალაქი, მთელი თავისი ფეოდალური მეთრნეობით (ყმა-გლეხობით, ახანურ-ვისაღობით, სომეხე ეკლესია-მონასტრებით და ა. შ.), გადაიქცეოდა ამა თუ იმ განდიდებული ფეოდალური საზღის სამკვიდრო, ხელშეუვალ, საკუთარ მამულად (განსხვინების, შემკვიდრების და სხვ. უფლებით), მაშინ ამ მამულისა და მისი პატრონის სახელები სამუდამოდ და საუკუნოდ გადაეკდობოდნენ ზოლზე ერთმანეთს და ადგილის სახელი მისი მესაკუთრის საგვარეულო სახელწოდებად ანუ გვარ-წოდებად იქცეოდა—ეს იყო კერძო საკუთრების იმპატიტიტის მაღალი ფორმა, ფეოდალის „უკვლავყოფილი“ საკუთრება; ეს იყო ერთგვარი-სიმბოლო ფეოდალური კერძო საკუთრების ვითომდა მუდმივობისა, უცვლელობისა და სიმ-

¹ აქედ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს პროცესი შესაძლებელია პირიქითაც მომხდარიყო, ე. ი. შესაძლებელია, რომ აღმაიანის საკუთარი სახელი დარწმუნდა გეოგრაფიულ ადგილს, შავალითა, ქვაბლიანი, არაშიანი და ა. შ. (საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, 1964, გვ. 343), ნეგრამ ეს ვაკემოება საკითხის არსს არ სცვლის.

ტიცისა; ეს იყო ცდა კერძო საკუთრების საუკუნოდ დაქარაზებისა. ეს თმოგვი ზემა; ეს თმოგვი მე თვითონ ვარ; მე ვარ თმოგველი, არა, არს ესეამდა ხაზს აღზევებული ფეოდალი, რომელიც ამჟამად ატარებდა მისივე მამულის სახელწოდებას, როგორც საკუთარ გვარ-წოდებას.

სულ სხვაგვარი, პრინციპულად განსხვავებული ვითარების წარმომავალია უმაღლეს სასულიერო პირთა (ეპისკოპოსთა, მთავარეპისკოპოსთა) ზედწოდებანი, რომელთა რიცხვს ეპოქიანად საყოველთაოდ ცნობილი ზედწოდებანი: მანგლელი, რუსთველი, წილქველი, ალავერდელი, ზოდბელი, ნეკრესელი, მროველი, კუმურდოელი, მაწყვრელი, წინწყაროელი, გენათელი, ხიკორწმინდელი, დანადელი და ა. შ. მართალია, ეს სასულიერო ზედწოდებებიც გეოგრაფიული ადგილებიან აიანი წარმომდგარი, მაგრამ მათი წარმოქმნა სულ სხვა ფაქტორებითაა განპირობებული; თუ საერო დიდებულებმა თანდათან დასაკუთრეს სამფლობელო ადგილები და, ბოლოს, საკმე იქამდეც კი მიიყვანეს, რომ მთელი საეროებისათვის საკუთარ მამულებად დაიჩქმეს, ხოლო სამოხელეო ტერმინი „ეპისთავი“ გვარად აქციეს, სასულიერო დიდებულთა ასეთი შეტამორაფთხი შეუქმნელი იყო, რადგან ეკლესიამონასტრებში კერძო საკუთრება არ არსებობდა. ცნობილია, რომ თავდაპირველად საეკლესიო ქონება მთელი მრევლის საერთო საკუთრება იყო. შემდეგში სასულიერო წოდებამ ეს ქონება მრევლს თანდათან ხელიდან გამოაცალა, მაგრამ საეკლესიო ქონება მაინც ბოლომდე დარჩა სასულიერო კრებულის (ეკლესია-მონასტრებში მსახურთა) კოლექტიურ საკუთრებად და არსოდეს არ მიუღია კერძო საკუთრების ხასიათი. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ბერად აღკვეცილი პირი მოვლენ იყო ხელი აეღო საკუთრებაზე და შესულიყო „მამაში“, სადაც ის კერძო საკუთრების უფლებას ვერ დაიბრუნებდა (ეს ვალდებულება შეეხებოდა არა მარტო ჩვეულებრივ ბერს, არამედ აგრეთვე ეპისკოპოსსაც, რადგან ეპისკოპოსი უთუოდ ბერი უნდა ყოფილიყო); თუ ამასთან ერთად იმ გარემოებასაც გაიხსენებთ, რომ ბერს (და, მაშასადამე, ეპისკოპოსსაც) ცოლშვილი, როგორც წესი, არ ჰყავდა, განაკვება იქნება, თუ რატომ არ განვითარდა სასულიერო დიდებულთა შორის მისწრაფება უმაშხელის სამეფვიდრეოდ დანებებისა. საქართველოს ისტორია არ იცნობს შემთხვევას, რომ საეკლესიო მამული რომელიმე ეპისკოპოსის საგვარეულო საკუთრებად გადაქცეულიყოს. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილთან (ეპარქიასთან) ეპისკოპოსი დაკავშირებული იყო არა საკუთრების უფლებით, არამედ სახელთით ანუ თანამდებო-

ბით, რომელიც გვარ-სახელად არასოდეს არ გადაქცეულა და ვერც გადაიქცეოდა.

ზემოთაქვამდინა ლეგენდარულ გამომდინარეობს ის დებულება, რომ სსგვარეულო გვარწოდება, რომელიც აღზევებულმა ფეოდალურმა სახლმა მამულის საკუთრების საფუძველზე მოიპოვა, არ არის და არც შეიძლება იყოს მარტო ერთი ადამიანის, ვთქვათ, ამ სახლის უფროსის კუთვნილება; რამდენადაც ხსენებულ მამული სამეფვიდრეოა. ცხადია, გვარ-წოდება შეილება უნდა გადასულიყო და გადადიოდა კიდევაც: გარდა ამისა, რამდენადაც ფეოდალური სახლი გეოგრაფიული იყო, გვარ-წოდება უნდა გადასულიყო და გადადიოდა კიდევაც მამულებზე და აგრეთვე დანარჩენ საზოგადოებზეც. მაშასადამე, ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე გვარ-წოდება, ვთქვათ, თორელობა ან თმოგველობა უნდა ეტარებინა რამდენიმე, ზოგჯერ კი მრავალ პირს, რაც სინამდვილეში სწორედ ასეც ხდებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიულ წყაროებში არაერთხელ აიანი მოხსენიებული, როგორც ერთდროულად მოღვაწენი, თორელები, თმოგველები, ჭაველები, სურამლები და ა. შ. თანისთავად იგულისხმება, რომ გვარსახელს დიდებულ ფეოდალი ინარჩუნებდა, უვლა ვითარებაში, დამოუკიდებლად იმისა, თავის მამულში მოღვაწეობდა იგი, თუ მის ვაჩეთ.

სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ სასულიერო ზედწოდების მიმართ. რამდენადაც სასულიერო ზედწოდება თანამდებობაა და დაკავშირებულია ერთ გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილთან (ეპარქიასთან), არ შეიძლება, რომ საქართველოში ერთსა და იმავე დროს არსებულიყო ორი ერთნაირი ზედწოდების პირი. ვთქვათ ორი მანგლელი ან ორი რუსთველი, ერთსა და იმავე პირს (ეპისკოპოსს) შეეძლო ხან მანგლელი, ხან რუსთველი, ხან კიდევ წილქვენი ყოფილიყო; იმავე პირს შეეძლო ერთდროულად ორი კათედრაც სჭეროდა (იყო, მაგალითად, მანგლელ-თბილელი, გენათელ-ნიკორწმინდელი, ბუდეელ-ალავერდელი და ა. შ.). მაგრამ ყოველ შემთხვევაში იყო, რომ ერთ თანამდებობაზე (კათედრაზე) ერთდროულად ორი ეპისკოპოსი მჯდარიყო. ამიტომაც, რომ მანგლელი, ისევე როგორც რუსთველი, წილქველი, მროველი და ა. შ. ერთდროულად მხოლოდ ერთი შეიძლება ყოფილიყო.

ზემოთაქვამდინა ლეგენდარულ გამომდინარეობს აგრეთვე ის დებულება, რომ საერო გვარ-წოდება და სასულიერო ზედწოდება, რამდენადაც ისინი სულ სხვადასხვა შინაარსის გამოშხატული ტერმინები იყვნენ, არ შეიძლება ერთიანთვის დამთხვეოდნენ, ასეთი დამთხვევა გამოარცხელია, უპირატესს ყოვლისა და უმთავრესად, იმის ვაჩი, რომ საერო ტერმინი კერძო საკუთრებას გულისხმობდა და მის ვაჩეშე არსებობა არ შეეძლო, სასულიერო ტერმინი კი,

1 K. Каутский. Предшественники новейшего социализма, М., т. I, გვ. 32

პირიქით, კერძო საკუთრებას არ სცნობდა და ეკლესიის მთელი კრებულის საერთო საკუთრების ნიადაგზე იდგა; მაგრამ საკითხს მართკენ ეკონომიკური მომენტები არ სწევდა; ამასთანავე ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მომენტებს, რომელთა გავლენით, როგორც წესი, შეუძლებელი იყო, რომ სასულიერო და საერო ტერმინები და ცნებები ერთმანეთს დამთხვეოდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეპისკოპოსები და საეროთად სასულიერო პირები ამ ქვეყნად ღმერთის წარმომადგენლებად, ქრისტეს მოადგილეებად ითვლებოდნენ და თვით მეფეებსაც კი (ფარმადურად მაინც) არ ემორჩილებოდნენ, რაც შეეხება საერო დიდებულებსა და მოხელეებს, ერთბაშად და მთავრებს, ისინი ამქვეყნიურში, ე. ი. „წუთიერი სამყაროს“ საქმეთა გამგებელი იყვნენ, რაც, იმდროინდელი ავღასტრისით, გაცილებით უფრო უმნიშვნელო საქმე იყო, ვიდრე ერის სულიერი მწყემსობა და ამ გზით დღისის სამსახური. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ავღ. იე. ჯავახიშვილის აზრი საერთოდ სასულიერო პირებზე, კერძოდ კი, ეპისკოპოსებზე. ემყარება რა ძველ ქართულ საეკლესიო საბუთებს, იგი წავახიშვილი ამბობს: „გრიგოლ ხანძთელის სიტყვით, მღვდელთაა უფროსი ან უკეთესი დიდებათა სულიერითა და ხორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცვლობაა არსო...“ ეპისკოპოსნი იყვნენ „პატარეა მღვდელმთავრობისასა“ და ამის გამო მას მღვდლები და ეკლესიის ყველა მსახური ხელქვეითი ჰყავდა. ამის გარდა იგი იყო სულიერი „მთავრად ერისა“. მას ჰქონდა „სული კელწიფებისა, და შეემლო როგორც განკმამა უკელისა კრებულისა“ ისევე დაკრულვა ეპისკოპოსი თვით „სწავლულებითა და მეცნიერებითა“ განმტკიცებული „მწყემსი“ იყო ერისა და მუდამ ითვლებოდა მზრუნველად და მლოცველად ერისა“ და „მცველად სარწმუნოებისა“¹.

აქედან ამჟამად, თუ რა დიდი პატივი ჰქონდათ ძველ საქართველოში სასულიერო პირებს, განსაკუთრებით კი, ეპისკოპოსებს, და რა შეკეთრად განიჩნეოდა მათი მღვდმარეობა და საქმიანობა ერისკაცთა მღვდმარეობისა და საქმიანობისაგან. თავისთავად ცხადია, რომ ისეთ მღვდელმთავრებს, რომლებიც ერის სულიერ მწყემსებად ითვლებოდნენ და რომლებიც ბერად შედგომის დროს თავის საკუთარ საეროსკაცო სახელსაც კი იკეცილდნენ, არ შეეძლოთ რომელიმე თავისი საზიარო სახელწოდება ეტარებინათ. სხვადასხვა შინაარსის ტერმინთა ასეთი ურთიერთდამთხვევა და გაორება, როგორც იქვე,

გამორიხებულია. ამით აიხსნება, რომ საქართველოში არასოდეს გვარ-წოდებად არ გადაქცეულა სასულიერო პირთა (ეპისკოპოსთა) ზედწოდებანი: მანგლელი, რუსთველი, წილენელი, ბოდბელი, შროველი, ნეკრესელი, ნიკორწმინდელი, ურანდელი და ა. შ. ამითვე აიხსნება ისიც, რომ არასოდეს სასულიერო ზედწოდებად არ გადაქცეულა გვარ-წოდებანი: თოგველი, თორელი ჩაყელი, გავლო, სურამელი, ფანასკერტელი და სხვ. საქართველოს ისტორია არ იცნობს ეპისკოპოსის თოგველის, თორელის, ჩაყელისა და ა. შ. სახელწოდებით, ისევე როგორც არ იცნობს საეროს დიდებულს მანგლელის, რუსთველის, წილენელის, ბოდბელის და ა. შ. სახელწოდებით.

ისეთია ის ექვშობუთანი დებულებანი, რომლებშია ლოგიკურად და ბუნებრივად გამოდგინარეობენ სასულიერო ზედწოდებანი და საერო გვარ-წოდებთა წარმოქმნის კანონზომიერებები. მწელი შესამჩნევია არ არის, რომ ეს დებულებები საფუძველს აცლიან საერო დიდებულთა შორის ეფესოსტყაობის ატორის აღმოჩენის უკველგვარ ცდებს და უდავოს ხდინან შემდეგ ექვშობუთებას; რაი ჩვენ ვიცით, რომ რეალურ ისტორიულად საქართველოში არსებობდა მხოლოდ სასულიერო თანამდებობის აღწინამწელი ზედწოდება „რუსთველი“. სრულიად ზედმეტია და დროის ფუჭად დაკარგვავა კიდევ რომელიღაც სხვა, საერო „რუსთველის“ ძებნა. თუკი ის არავის მოსდის აზრად, რომ საქართველოს ისტორიაში ეტებოს ერთდროულად არსებული ორი მანგლელი (ერთი სასულიერო პირი, ეპისკოპოსი, ხოლო მეორე — საერო დიდებული), ორი მარველი, ორი წალენელი, ორი მაწყვერელი, ორი ნეკრესელი, ორი ნიკორწმინდელი, ორი ემპუროდელი და ა. შ. რატომ უნდა ექვშობით ორი რუსთველი?

გაუგებარია აგრეთვე: თუკი ის არავის უკვირს, რომ დეოდალიზმის ეპოქის ან ერთი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი სასულიერო პირი იყო, ხოლო საქართველოს ისტორიის მამიდ აღიარებული ლეონტი მროველი ეპისკოპოსიც გახლდათ; თუკი ის არავის უკვირს აგრეთვე, რომ მრავალი გამოჩენილი ქართველი მწერალი, მათ შორის აბულმეგისას ატორი, სახელოვანი მგოსანი იოანე შავთელი, და ასევე სახელოვანი სულხან-საბა ორბელიანი სასულიერო პირები იყვნენ, ხოლო ისევე თბილელი ეპისკოპოსიც გახლდათ; თუკი ის არავის უკვირს, და ბოლოს, რომ იმდროინდელი ქართველი ფილოსოფოსები ყველანი სასულიერო პირ-

¹ ეს მოვლენა კარგად აქვს შენიშნული ისტორიკოს ნ. შოშიაშვილს, ოღონდ იგი შეცდომით ფიქრობს, რომ ამგვარი კანონზომიერება მოქმედებდა თითქოს არა მთელ საქართველოში, არამედ მარტო კახეთში (იხ. ქ. კეკელიძის სახ. ზელანაწერთა ინსტიტუტის კრებული „შოთა რუსთველი“, გვ. 68).

¹ ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, 1929, გვ. 67.

რები და დეისმეტყველები იყვნენ, ხოლო გელათის სასულიერო აკადემიის მოძღვართ-მოძღვრები, — მათ შორის ისეთი პრაგმატულად შიშობენ, როგორც იანე პეტრიწი, ეპისკოპოსები იყვნენ, რატომ უნდა იყოს საკვირველი, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორიც დიდად განათლებული და მაღალი რანგის სასულიერო პირი ყოფილიყო, რომელმაც მიზნად ქართული ხალხის არა მარტო „სადღოთ“, არამედ საერო სამსახურად დისახა? თუკი თვით ილია ჭავჭავაძეც კი, — მეცხრამეტე საუკუნეში — ამბობდა: „მეცა მნიშნავს და ერთი მზრდისო“, რატომ უნდა იყოს საკვირველი, რომ XII საუკუნის მოწინავე მოღვაწეს, თუნდაც სწორედ იგივე გენიოსს, მიზნად „ღვთისა და ერის სამსახური“ დაესახა? ცხადია, ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ დავანებოთ თავი ანალოგიებს და ვანაგრობოთ ანალიზი ფეოდალურ საქართველოში სახელწოდებთა წარმოქმნის პროცესისა.

შესაძლებელია, ჩვენ შემოგვედავინო და გვითხრან: მართალია, საქართველოში არაა ცნობილი საერო გვარ-წოდებისა და საეპისკოპოსო ზედწოდების ურთიერთდამოხვევის ფაქტები, მაგრამ იქნებ ეს მოვლენა აიხსნება არა ამ ტერმინების სხვადასხვა შინაარსით, არამედ იმ უზარალო მიზეზით, რომ არ არსებულა ორი ერთობლივი სახელწოდების გეოგრაფიული ადგილი, რომელთაგან ერთდროულად ერთი სასულიერო (საეპისკოპოსო) ცენტრი ყოფილიყო, ხოლო მეორე — საერო დიდებულის მამულა, საიდანაც ამ დიდებულის გვარ-სახელი წარმოიშვა. მაგრამ, რომ შეიძლებოდეს, რომ საქართველოში არსებულყოფილი სახელწოდების დანიშნულება ორი ერთნაირი სახელწოდების გეოგრაფიული ადგილი, — მკვინ როგორღა ავიცდენდით სასულიერო და საერო სახელწოდებთა ურთიერთ დამოხვევას?

ასეთი შემოღობვა, ერთი შეხედვით, საფუძვლიანი ჩანს, მაგრამ საქმარისაა ადამიანი საქართველოს ისტორიის წყაროებს ყურადღებით გაეცნოს, რომ მაშინვე დარწმუნდეს ამ შემოღობვის სრულ უსაფუძვლობაში. ხსენებული წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოში მართლაც არსებულა ორი ერთნაირი სახელწოდების გეოგრაფიული ადგილი, კერძოდ, ორი ტბეთი, რომელთაგან ერთი (ქართლში) ქართლის ცნობილ დიდებულ აზნაურთა მამულის ცენტრი და ციხე-სიმაგრე იყო და ამ აზნაურთა გვარ-სახელის აღმოცენებას საფუძვლად დაედო, ხოლო მეორე (შავშეთში) შავშეთის ეპისკოპოსის ზედწოდების ანუ ტიტულის წარმოქმნის საფუძველი გახდა. მაგრამ დავმთხვა თუ არა ერთმანეთს, ამ შემთხვევაში მაინც, საერო გვარ-წოდება და სასულიერო ზედწოდება? — სრულიად არა!

პირიქით, ენობრივმა ტრადიციამ ატყუა არ დაარღვია ტერმინების წარმოქმნის კანონზომიერება და ერთი და იმავე გეოგრაფიული სახელწოდებიდან — „ტბეთიდან“, შივილთ ორი სხვადასხვანაირი სახელწოდება: ქართლის საერო აზნაურები ტბეთის გვარ-სახელს ატარებდნენ, ხოლო შავშეთის ეპისკოპოსმა მიიღო მტბვეარის ზედწოდება ანუ ტიტული. ეს მაგალითი პირდაპირ კლასიკური სიტყვით გვიჩვენებს, თუ რამდენად მტკიცე იყო საერო და სასულიერო სახელწოდებთა სხვადასხვაგვარი წარმოშობის ის კანონზომიერება, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.

ეს მაგალითი მათ უფრო საყურადღებოდ მოგვეჩვენება, თუ იმ გარემოებასაც ვაფთხავთ, რომ შედგომში შავშეთის ერთ-ერთმა მღვდელმთავარმა, სახელდობრ სიბა მტბვეარმა, უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლით (XI ს.) მოიპოვა შავშეთის ერისმთავრობაც და, ამგვარად, ერთდროულად იყო საქართველოს ამ პროვინციის როგორც სასულიერო, ისე საერო ზედწოდებანი. ნაშასადაც, სიბა მტბვეარს ჰქონდა სრული უფლება როგორც სასულიერო, ისე საერო ტიტული თავისი სურვილის მიხედვით აეჩრია. მაგრამ მან, ცხადია, იცოდა, რომ მის დროს საქართველოში არსებობდნენ ტბეთი აზნაურები, ამიტომ არ შესცვალა თავისი სასულიერო ზედწოდება და დარჩა მტბვეარად, ხოლო მტბვეარი საქართველოს ისტორიაში ერთია და ახლაც შეიძლებოდა, რომ ერთდროულად ორი ან მრავალი მტბვეარი არსებულყოფილიყო.

აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ სრულიად კანონიერი დასკვნა: თუკი საქართველოში ორი დიდი მნიშვნელობის მქონე ტბეთი არსებობდა, რომელთაგან ერთმა საერო გვარ-წოდება, ხოლო მეორემ სასულიერო ზედწოდება წარმოქმნა; თუკი ამავე დროს ერთ-ერთი მათგანის (შავშეთის ტბეთის) რეზიდენტი ერთდროულად ორივე ტბეს, როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო ზედწოდებანისას ფლობდა, და მაინც ასეთმა განსაკუთრებულმა სიტუაციამაც კი ვერ წარმოიშვა ზედწოდება ტბეთი, ე. ი. ვერ გამოიწვია საერო და სასულიერო ცნებთა დამოხვევა, მაშ, როგორღა შეიძლებოდა, რომ საქართველოში ორი რუსთველი გაჩენილიყო? განა ნათელი არ არის, რომ ორი რუსთველის არსებობა ფეოდალურ საქართველოში ყოვლად შეუძლებელი იყო?!

შემოგინებოდა მაგალითი ჩვენ სრულ უშედეგობაზე განსაკუთრებით შემდეგი: კიდევაც რომ დამტკიცდეს (თუმცა ეს ძალიან საუბრეოა), რომ საქართველოში (თქვათ, მესხეთში) არსებობდა მეორე ისეთი დიდმნიშვნელოვანი რუსთველი, რომელიც საფეოდალო მამულის ცენტრი იყო და შეეძლო წარმოექმნა საერო დიდებულის გვარ-წოდება, მაშინაც ვერ შევძენარებდით იმ აზრს, რომ თითქმის ეს გვარ-წოდება

1 კ. კაკალიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 73; შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 312.

ეჭვებია „რუსთველი“, რადგან საქართველოში უკვე მე-6 საუკუნის დამდეგიდან ირსებობდა სასულიერო ზედწოდება „რუსთველი“ და ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მისი გაორება, მისი დამოხვევა საერო გვარ-წოდებასთან, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელი იყო.

ამრიგად ვიმორჩებთ: რუსთველი სასულიერო პირის, ქ. რუსთავის (ბოსტან ქალაქის) ეპისკოპოსის თანამდებობის აღმნიშვნელი ზედწოდება და შეუძლებელია, რომ, ამ რუსთველს გარდა, საქართველოში არსებულყო კიდევ სხვა

რუსთველი, როგორც საერო დიდებულის გვარ-წოდება.

ასეთია დასკვნა, რომელსაც გვაძლევს ფეოდალურ საქართველოში გეოგრაფიული ადგილებიდან საერო და სასულიერო სახელწოდებათა წარმოქმნის კანონზომიერების ანალიზი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის ევფხისტყაოსნის ავტორის ენობაზე ახალი თვალსაზრისის დამამტკიცებელი ერთ-ერთი დიდად საყურადღებო და გადამწყვეტი მნიშვნელობის საბუთი.

გადავიდეთ მეორე, ასევე დიდმნიშვნელოვან საბუთის განხილვაზე.

5. ევფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები მისი ავტორის ვინაობაზე

მეორე საბუთი, რომელიც სრულიად ეჭვმიტანილად ამტკიცებს ჩვენს მიერ წამოყენებულ თვალსაზრისს, გახლავთ თვით ევფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები, განსაკუთრებით კი ცნობილი მეგრე სტროფი, სადაც ნათქვამია:

მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა
დარი:
ვის მპოჩილობს ჭარი სპათა, მისთვის
ხელობ, მისთვის შევდარი.

რას ნიშნავს აქ ნახშირი სიტყვა „ხელობითა“? როგორც ცნობილია, რუსთველოლოგიაში ამ სიტყვზე აზრთა სხვადასხვაობა ირსებობს. მეფე ვახტანგ მეექვსეს, რომელმაც რუსთველოლოგიას საფუძველი ჩაუყარა, ეს სიტყვა—ისევე როგორც მომდევნო ტექსტში ნახშირი „ხელობა“, —გაგებული აქვს გივის (ხელისგახლებულის) მნიშვნელობით. თავის ცნობილ „თარგმანში“ ის ხსენებულ სტროფის ასე განმარტავს: „ხამს ემა ბატონის მიგნერი და ტრფილი უნდა იყოს; და სამსახურისათვის ასე ხელი უნდა იყოს; რომ მისის სამსახურისათვის თავს წასახდენელად და სასიკვდილოდ არ ზარობდეს; აქ ამბობს მე რუსთველი ბატონის სამსახურისათვის რომ ხელი ვარ იმან რომ უბრძანა ამის თქმას იმას აღება; რომე ამისთვის ვიქმ და ამისთვის არისო: თამარ მეფეს მოჩილებდა სპავა და ჭარის: და უბნობს იმის სამსახურისათვის ვხელობ და ვყოფდებო: და მისის სამსახურის მიგნერობით ესე ვერ გაქმადარჯარ: და ვერც რომელიც მმართებს ის მიმსახურებია და უმსახურობის უძღური ვარო: და წამალი არა მქვს გავიყურნო: ან ასრეთი სამსახური მიბრძანოს რომე გამაძლოს იმ სამსახურისათ: და ან მამკლასო: საჩივარსავით ამემს: და ამაში გავს რუსთველი შემძლე და კთი კაცე ყოფილა რომე ძალიანს სამსახურსა სთხოვს“!

როგორც ხედავთ, ეს განმარტება სრულიად არადამაყოფილებელი და ცალმხრივია. მეფე-კომენტატორი აქ უფრო იმაზე ზრუნავს, რომ ქვეყნელომებს შეფისადმი მორჩილებისა და ერთგული სამსახურის გრძნობა ჩაუნერგოს, ვიდრე პოემის ხსენებული სტროფის ნამდვილი აზრი გამოარკვეოს. მიგრამ მიუხედავად ამისა, მისი ეს არასწორი თვალსაზრისი ფართოდ გავრცელდა და რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში თითქმის გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა.

ევფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემიდან დაახლოებით ასოცდაათი წლის შემდეგ თეიმურაზ ბაგრატიონმა დასწერა ევფხისტყაოსნის ახალი „განმარტება“, რითღ—დასაბამი მისცა ჩვენითვის საინტერესო სტროფის ახლებურ გაგებას. თეიმურაზის აზრით, „რუსთველი მისთვის, ეწოდება, რუსთავი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და რუსთველი შობა იმ ქალაქისა და გარემოსა მისისა მთავარი იყო და თვითცა მუნებებრი“!, ხოლო რაც შეეხება სიტყვა „ხელობას“, იგი თეიმურაზს ასე აქვს განმარტებული: „მე რუსთველი ხელობითა ესე ნიშნავს ქელოვნებასა და საქელსადა ორსავა“!

ამრიგად, თეიმურაზ ბაგრატიონის გაგებით, ევფხისტყაოსნის მე-6 სტროფში ნახშირი სიტყვა „ხელობა“ ნიშნავს ახ. სივადეს, როგორც ამას ვახტანგ მეფე ფიქრობდა, არამედ ხელოვნებას (ოსტატობას), ან კიდევ სახელოს (თანამდებობას).

ასე ჩაეყარა საფუძველი სიტყვა „ხელობის“ ორგვარ გაგებას, რომელთა გარშემო კმათი დიდი ხანია გრძელდება და დღემდეც არ შეწყვეტილა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ცნობილია მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ინ-

1 ევფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1937 წ. გვ. სტვ.

1 თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ევფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედ., თბ., 1960, გვ. 5.

2 იქვე, გვ. 8.

ტონ ფურცელაქემ გამოაქვეყნა ბროშურა „შოთა რუსთველი და იმისი ცოლი“, რომელშიც სკადა გაერკეა მნიშვნელობა სიტყვებისა „მე რუსთველი ხელობითა“. ა. ფურცელაძის ბროშურამ, აგრეთვე მისმა საყურანალ-ვაზეთო წერილებმა ამავე საკითხზე, საქაოდ მწვევე კამათი გამოიწვია იმდროინდელ პრესაში. ვფიქრობ, ზედმეტა არ იქნება ვავეცნოთ ხსენებული ავტორის მსჯელობას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, რადგან ეს მსჯელობა ფრად საყურადღებო დაკვირვებებს შეიცავს.

„იმისთანა შესანიშნავს მწერალზედ, როგორც იყო ჩვენი სასახელო და გონების დიდება — შოთა რუსთველი, არაფერი არა აქვთ რა არც მემატინანთ და არც სხვა მწერალთ ნათქვამი... თვით რუსთველი ორის სიტყვით იხსენიებს თავის ენაობას... „მე რუსთველი ხელობითა“. ამ სიტყვებიდან გამოდის მხოლოდ ის ცნობა, რომ რუსთველი... ხელობით ყოფილა რუსთველი; რა ხელობა იყო ეს „რუსთველობა“? ძნელია გამოსაყენებოთ, რადგან რუსთველები იყვნენ ამ ბოლოს ხანაჲდის, დიდის ხნიდამ ეპისკოპოსები, რომლებიც იხსენენ მარტყოფში; სხვა ხელობა რუსთველებისა არც მწერლობით, არც საქმით საქართველოში არ ჩანს, თუ ვაფიქროთ, რომ ეპისკოპოზი იყო რუსთავისა, ეს შეუძლებელია, რადგან ეპისკოპოზი იმისთანა ლექსის წერას არ შეუდგებოდა... თქმა აღარ უნდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ წერის დროს რომ ეპისკოპოზი ყოფილიყო, ვერაიან შეუკეთავდა საჭებრად ამგვარი ლექსების წერას და მუტდარე როგორც ის კიდევ უმატებს: „ქება წარბითა და წამწამით, თმითა და ზავე კბილთა; და ამასამოთ არც თითონ დასწერდა იმისთანა რასმეს, სადაც თხოულობს, რომ „ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამართი“ ცხადია, მაშასადამე, რომ ხელობა „რუსთველობა“, რომელსაც თავის თავზედ რუსთველი ამბობს, არ იყო სასულიერო ხელობა, და არც რუსთველი იყო ეპისკოპოზი, ვეფხისტყაოსნის წერის დროს მიინა“.

როგორც ვხედავთ, ავტორი უდავოდ დიდ გამჭირაობას იჩენს და საკითხს სწორად აყენებს; წინააღმდეგ მის დროს ვაბატონებული აზრისა, ის სამართლიანად ფიქრობს, რომ რუსთველობა ხელობაა, ამასთან — ისეთი ხელობა, რომელიც მარტო საეკლესიო სფეროში არსებობდა და რუსთველი ეპისკოპოსთა ხელობა (თანამდებობა) იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ბოლომდე თანმიმდევარი არ არის და წარმოუდგენლად მიიჩნია პოემის ავტორი

ეპისკოპოსი ყოფილიყო, რადგან ეპისკოპოსის, მისი აზრით, არ შეეფერებოდა ვეფხისტყაოსნის მსგავსი ლექსების წერა.

როგორც ითქვა, ა. ფურცელაძის გამოკვლამ დიდი კამათი გამოიწვია იმდროინდელ პრესაში. მის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვევედ ვაღალაშქრა ცნობილია ეურნალისტიკა დავით სოსლანმა, რომელიც თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ „ხელობა“ თანამდებობას კი არა, ვახელუბას, ვაგვიყუბას და ქუელიდან შემლას ნიშნავს!

წერილში „კიდევ რუსთველის ხელობაზედ“, რომელიც ეურნალ „თეატრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, ან. ფურცელაძემ პასუხი ვასცა ოპონენტებს და სკადა ვაღარმაღებია თავის თვალსაზრისით. მან ყურადღება მიქცვია იმ ვარემოებას, რომ სიტყვა „ხელობა“ ძველად სხვადასხვანაირად იწერებოდა; როცა ამ სიტყვას სივითის მნიშვნელობით წერდნენ, მაშინ მას დასაწყისში ასო „ხ“ (ხანი) უქდა, ხოლო როცა თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით, დასაწყისში „ქ“ (ქარი) დასამოდა.

ა. ფურცელაძე აღიარებს, რომ ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების ამ თვალსაზრისით ვანზოლა უფრო დ. სოსლანის (აგრეთვე ვახტანგ მეფის, დ. ჩუბინაშვილის, ბროსეს და სხვ.) აზრს უტერს მხარს, ვიდრე თვით მის მიერ გამოთქმულ თუ ვაზიარებულ აზრს, რადგან ამ ხელნაწერების უმარავლესობაში სიტყვა „ხელობა“ „ხ“-ანით არას წარმოდგენილი, მაგრამ ამის მიუხედავად, თავის თვალსაზრისით მანც უფრო საფუძელიანად მიიჩნია და თ. რა მოსაზრებებია:

„წერ ერთი, რომ არავინ არ იცის, ის ორთოვრადია ხ და ქ რუსთველს ეკუთვნის თუ ვაღამწერებს, იმტომ რომ შეხვდება კაცი ძველს ვეფხისტყაოსანს აგვარად დაწერილი: მე რუსთველი ქელობითა ვქმ საქმესა ამაღარ, ვის მარბილეს ქარი სამათა, მისთვის ეხელობ, მისთვის მქედარი. აქ სწორედ იმ სადაო შემთხვევაში იმ ორთოვრადიით იწერება, რომელიც ჩვენს აზრს ამართლებს, და უდაოში ვხელობ არის ის ორთოვრადია, რომელიც სივითზედ არის, რუსთველის ხელნაწერში კი არავინ ვიცით, როგორ არის ნახარი თავე ასონი.

მეთრე, რომ სოსლანისა, ვახტანგ მეფისა, ჩუბინაშვილისა და ბროსეს აზრი მართალი იყუეს, აი რა გამოდის აქედამ, რომ ვაღავთარგმნოთ დღევანდელს ვასავოს ენაზედ ეს ხანა.

მე რუსთველი სივითთა ჩვედივარ ამგვარს

1 იხ. მისი წერილები: «Шота Руставели и его жена» (ვახ. «Новое обозрение», 1866, № 93) „წერილი რედაქტორთან“ (ეურნ. „თეატრი“, 1866, № 40); „წერილი რედაქციის მიმართ“ (ვახ. „ივერია“, 1867, № 92).

საქმესა, რომ ვა გავიყვებოდი მისთვის, ვისაც მთლად ქარნი ემონებინა.

აბა ჩვეუფთვრდეთ, რომელი სიტყვის წყობაა: **საგვიოთა ვარ გაგიყვებოდი?** ამაზედ ეძვირ არ არის, რომ ამბობს თანაბრის სიყვარული ვა-რო. მაგრამ რომ იმას ამბობდეს რუსთაველი: სიგიჟითა ვარო გაგიყვებოდი, მაშინ, მართლა რომ გიყი უნდა იყოს ამისი მოქმედი.¹

ჩვენ მიგვახსნია, რომ აქ ავტორი აყენებს ფრიალ საყურადღებო და ანგარიშგასაწვე მოსახრებებს თავისი თვალსაზრისის საფუძვლიან დასაბუთებას, რის გამო მისი თვალსაზრისი მკვლევართან განიარებული არ ყოფილა. რუსთაველი იღობა არა თუ რევილუციამდელ ხანაში, არამედ ჩვენს დროშიც კი დღემდე იმ აზრს ატობს, რომ „ხელობა“ სიგიჟის ნიშანია. ამის საბუთია 1937 წელს საიუბილეოდ გამოცემული ვეფხისტყაოსანი, რომელშიც სიტყვა „ხელობა“ ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, ახსნილია როგორც „გიჟობა“ და „ქვეაშემილიობა“.²

მაგრამ სხენებული სიტყვის ასეთი გაგება იმდენად შეუესაბამო და ყალბია, რომ შეუძლებელი იყო, ადრე თუ გვიან, საბჭოთა რუსთაველოლოგებს ეს არ შეემჩნიათ და არ მოეცათ ამ სიტყვის უფრო საფუძვლიანი ახსნა. ჩვენს დროში ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც იტყვს შეიტანა სიტყვა „ხელობის“ ტრადიციულ გაგებაში, აკად. კ. კეკელიძე გახლდათ. კანტიკულ ნაშრომში — „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, მას ამ საკითხზე ნათქვამი აქვს:

„სიტყვები — „ხელობითა“, „ხელობა“ გამოიმეტებლათა და მიკვლევათ ესმით როგორც „გიჟობით“, „გიჟობა“, ესე იგი: მე, რუსთაველი, გაგიყვებოდი, გამშაგებუდი, გახელბუდი ვიქმ საქმეს იმისას, ვისთვისაც გახელბუდი, გაგიყვებოდი ვარო. რუსთაველი, ლექსისა და სიტყვის შეუდარებელი ვირტუოზი, ერთასა და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს, ამიტომ პირველ შემთხვევაში (ხელობითა) ლაპარაკი უნდა იყოს არა „ხელობაზე“ — გიჟობაზე, არამედ „ქელობაზე“, მოხელეობა-თანამდებობაზე; მეორე შემთხვევაში კი (ვხელობ) ლაპარაკია „ხელობაზე“ ან გიჟობაზე“.³

ჩვენ მიგვახსნია, რომ ეს დაკვირვება უდაოდ საყურადღებო დაკვირვებაა და წინადადგმული ნაბიჯია ვეფხისტყაოსნის სხენებული სტრუქტურის შინაარსის გაგებაში, თუკმა, სამწუხაროდ, ავტორის შემდგომი შეჩელობა და მისი ცდა, ეს ხელობა-თანამდებობა დაკვირვება „ალამდარას“ (მედროშის) თანამდებობასთან, სრული-

ად უსაფუძვლო აღმოჩნდა, რაც ჩივებულად ცხადყო აკად. შ. ნუცუბიძემ.⁴

შემდეგი ცდა, „ხელობის“ მნიშვნელობის გეოგრაფიისა, ექვთენის აკად. ა. შანიძის, რომელმაც ვეფხისტყაოსნის 1957 წელს გამოცემაში ეს სიტყვა შემდეგნაირად განმარტა: „მე, რუსთაველი ხელობითა... მე, რომელსაც რუსთაველი მაქვს სახელოდ, მე — რუსთაველის გამგე“.⁵

ეს განმარტება გათხარა აგრეთვე აკად. ალ. ზარამიძემ, რომელიც 1966 წელს გამოცემულ ერთ თავის ნაშრომში ამბობს: „რუსთაველი, ან რუსთაველი, არც სახელია პოეტისა და არც გვარი, არც ფსევდონიმი, იმ ხანაში, როდესაც ვეფხისტყაოსნის ავტორი მოღვაწეობდა, რუსთაველი ნიშნავდა რუსთაველს (ციხე-ქალაქს, მამულს) პატრონს, მფლობელს... ამიტომაც (sic) მისაღება ა. შანიძის განმარტება სიტყვებისა: „მე, რუსთაველი ხელობითა, ვიქმ...“ — მე, რომელსაც რუსთაველი მაქვს სახელოდ“.⁶

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ა. შანიძისა და ალ. ზარამიძის მიერ სიტყვა „ხელობითა“ შინაარსის გაგება სახელის ანუ თანამდებობის მნიშვნელობით, ამსოლტურად სწორია; თუმცა მთლიანად სტროფის შინაარსის ეს განმარტება, რომელსაც პატრიარქული შეცნობები გვთავაზობენ, დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტში (მე-8 სტროფში) სიტყვა „რუსთაველი“ სულაც არ არის ნახსენები; ამიტომ აკ. შანიძის ფორმულა, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად უნდა დაზუსტდეს: „მე, რუსთაველი ხელობითა... მე, რომელსაც რუსთაველობა მაქვს სახელოდ“, ან, უფრო ზუსტად „...მე, რომლის კელი (საქლო) რუსთაველობაა“.

ამრიგად, ისეთივე გამოსწორება რუსთაველოლოგებმა, როგორც აბაან აკადემიკოსები კ. კეკელიძე, ა. შანიძე და ა. ზარამიძე უარსებებს სიტყვა „ხელობის“ ტრადიციული გაგება და „გიჟის“ ნაცვლად მასში დანიხებს თანამდებობის გამოხატვლი სიტყვა „ქელობა“. ეს გახლავთ ამ საკითხში რუსთაველოლოგიის უკანასკნელი სიტყვა, რაც ჩვენ ამ მეცნიერების უდაო მიღწევად მიგვაჩნია.

ვეფხისტყაოსნის „ხელობის“ ასეთ გაგებას მხარს უჭერს და ამბავებს ისტორიული მონაცემები, რომელთა ღრმად შესწავლის საფუძველზე, ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი არაერთხელ მოუთხოვებდა საქართველოში, ფეოდალიზმის ეპოქაში, კერძოდ კი, IX-XII საუკუნეებში სიტყვა „ქელი“ ფართოდ გავრცელებულ „ქელი“, — ამბობდა ივ. ჯავახიშვილი, — მნიშვნელობით ლათინურს „შა-

1 შ. ნუცუბიძე, „Творчество Руставели, т. 2, 1958, გვ. 231-235.

2 იქვე, გვ. 397.

3 ალ. ზარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 39.

1 იქვე, გვ. 537-539.

2 იქვე, გვ. 392.

3 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1952, გვ. 117.

ნეს"ს ეღობა და უფლებასა და საქმეს ეწოდებოდა. აქედან არის ნაწარმოები „ქალაქი-ყა“ — სრულყოფილია მხოლოდ და შემდეგ განსაკუთრებით მეფე: აქედანვე ნაწარმოები „ქალაქი-ყა“ ანუ რაიმე თანამდებობის მქონე მოხელე... ვისაც რაიმე თანამდებობა — „ქალი“ ჰქონდა, ის „ქალსანი“ იყო და „მოქალე“... სერო თანამდებობისათვის IX-XII სს. თითქმის განსაკუთრებით სიტყვებს „ქალისყოფილასა“ და „მოქალეობას“ ხმარობდნენ ხოლმე.¹

ქედან კიდევ უფრო ცხადია, თუ რა ფართოდ იყო გავრცელებული ფეოდალურ საქართველოში „ხელი“ და „ხელობა“ როგორც თანამდებობა-საქმიანობის აღნიშვნული სიტყვები, საინტერესოა აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ — ფეოდალური ეპოქის ამ უდიდეს ძეგლში, — „ხელი“, „ხელობა“ და „სახელა“ იხმარება თითქმის მარტო თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით, ხოლო ვივის მნიშვნელობით არც ერთხელ არ გვხვდება. ამ ფაქტს უკანასკნელ, ყუბნიშვილისეულ გამოცემაში სიტყვები „ქელი“ და „საქელი“ განმარტებულია, როგორც „თანამდებობა“, „ხელისუფლება“ და „მალაფულება“², ხოლო სიტყვა „ქელობა“ — როგორც „საქმიანობა“, „საქმე“³; ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ „ხელი“ და „ხელობა“ არ გვხვდება ვივის მნიშვნელობით, საესებო ბუნებაგია, რადგან „ქართლის ცხოვრება“ ადგილობრივი ისტორია, სახელმძღვანელო წიგნია და გასაგებია, რომ მასში ვივებზე და სივრეზე ლაპარაკი არაა.

სულ სხვაა ვეფხისტყაოსანი, მასში ლაპარაკია არა მშრალ ისტორიულ ფაქტებზე, არამედ ცოცხალადმიმართა გრძნობებზე. მათ გამოგებულ და ვაგვიერებულ სიყვარულზე და ზღვებრივია, რომ ამ სიტყვები „ხელი“ და „ხელობა“ უფრო ხშირად სწორედ „ვივისა“ და „სივივის“ აღსანიშნავად იხმარება, როგორც ჩანს, სწორედ ამ ჯარბრებამ შეიყვანა მკვლევარები შევდომას: იმ ფაქტიდან, რომ ვეფხისტყაოსანში „ხელი“ და „ხელობა“ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იხმარება „ვივისა“ და „სივივის“ აღსანიშნავად, მათ გამოიტანეს დასკვნა, რომ მე-8 სტროფის „ხელობაც“ უთუოდ „სივივის“ უნდა ნიშნავდესო. მაგრამ ასეთი დასკვნა გუგუბრობის ნაყოფია. ვეფხისტყაოსანში არა ურთოდ გვხვდება სრულიად ემპირიკული ადგილები, სადაც სიტყვა „ხელი“ უდავოდ თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით იხმარება. გვიჩსენით, მაგალითად, ის მომენტი, როდესაც ტა-

რიელის მამა მარიდანი თავის სამეფოს დარბაზს ინდოეთს შეუერთებს და სრულყოფილ ფარსადანსაგან ამირბარის თანამდებობის მიღობს.

„ერთი სამეფო, სავარჯყო, უბოძა ამირბარობა, თვით ამირბარსა ინდოეთს აქეს ამირ-სახალალორობა, მეფე რა დაჯდა, არა სჭირს ზელისა მიუცდებარობა; სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქეს კეისარობა“¹.

ამ სტროფის მთელი კონტექსტი აშკარად გვიჩვენებს რომ ფარსაში მეფეს „არა სჭირს ზელისა, მიუცდებარობა“, ლაპარაკია არა მეფის სივივეზე, არამედ მათ თანამდებობა-საქმიანობის, მისი ხელისუფლების მოუცდებარობაზე. მაგრამ სადაც რომ აღარაფერი დარჩეს, ვაგუბსნოთ ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთი ადგილი, სადაც ლაპარაკია თვით ტარიელის ამირბარის თანამდებობაზე დანიშნვის შესახებ. ტარიელი, მამის სიკვდილის შემდეგ, თვისთან მიხმვის „ინდოეთის მფლობელთა“, ე. ი. მეფე ფარსადანში და დედოფალმა, და შესთავაზეს მამის თანამდებობა:

„მათ საქდომთა ახლოს დამსევს, პატვის მცემდეს ძისა დარად, მის ზელისა საურავი მათ ორთვე მოთბრეს წყნარად; ურჩ ვემქენ და მისეულთა წესთა მცევა მიჩნდა ზარად, არ მომეშენეს, დაემორჩილდი, თაყვანი ვეც ამირბარად“².

ეს სტროფი არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ გამოთქმა „მის ზელისა საურავი“ ნიშნავს თანამდებობაზე მოვალეობას ანუ საზრუნავს და სხვას არაფერს. აქედან ცხადია, რომ რუსთველი სიტყვებს „ხელი“ და „ხელობა“ ხმარობს სიტყვების მიხედვით, ხან „ვივისა“ და „ვივობის“, ხან კიდევ თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით.

ახლა, თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით მივუვებთ მე-8 სტროფის შინაარსს გამოიფრას და შევეცდებით მისი პირველი ორი ტაქტის ნაშედილი არი გავიგოთ, თვალნათლი დაინახავთ, რომ პირველი ტაქტის სიტყვითა, სადაც სიტყვები „ხელობა“ და „საქმე“ ერთმეორის გვერდით სხედან („მე, რუსთველი ზელობითა, ეიქმ საქმესა“), უდავოდ თანამდებობა-საქმიანობაზე მეტყველებს, ხოლო მეორე ტაქტის სიტყვითა აშკარად სხვაგვარია და იქ სიტყვა „ხელობა“ მართლაც აშეილება სხვა რაიმეს

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, გვ. 108-109, 116.
² ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. II, გვ. 599, 627.
³ იქვე, გვ. 628.
 11. „მეცნიერებათა“, № 2.

¹ სტროფი 316 (1937 წლის სათბილეთ გამოცემა).
² იქვე, სტროფი 338.

ნიშნავდეს, თუ არა გახელემა-გაგვიქმას. არა გვეონა ფონების დიდი გამჭრიახობა იყოს სიკეთი იმისათვის, რომ ადამიანმა ამ ორი ტიპების აშკარად სხვადასხვა აზრობრივი სიტუაცია შეამჩნიოს და მათი ნამდვილი აზრი გამოარკვიოს, მართლაც, თუ ყურადღებით დავაჯვირდებით კონტექსტს და ავტორის აზრით დენას თვალს ვავადევნებთ ორივე შემთხვევაში, ე. ი. მაშინაც, როცა სიტყვა „ხელობითა“ გაგებულ იქნება გაცივს მნიშვნელობით და მისთანაც, როცა — თანამდებობის მნიშვნელობით, — თვალწინ წარმოგვიდგება სურათი, რომელშიც ყველაფერი ნათლად და გარკვევით გამოჩნდება. როგორც ეს ჟერ კიდეც მე-19 საუკუნეში ბ. ფურციელამე შენიშნა, ამ შემთხვევაში, თუ სიტყვას „ხელობითა“ სივრცის მნიშვნელობით გავივებით, კონტექსტში მივიღებთ აზრის ასეთ დენას: „სიგვიითა... ვევიობ“, რაც აშკარა დისონანსია არა მარტო ამ სტროფის, არამედ მთელი პოემის მიმართ; მაგრამ თუ სიტყვას „ხელობითა“ თანამდებობის მნიშვნელობით გავივებით, მივიღებთ აზრობრივად სავსებით გამართულ კონტექსტს: „მე, ხელობით (თანამდებობით) რუსთველი, ვიქმ საქმესა“... და შემდეგ: „ვის მშობრჩილობს ჯანი სმათა, მისთვის ეხელობ (გვივლები), მისთვის მკვდაჩი“. ძნელი მისახვედრია არ აზრის, თუ ვის უფრო შეეფერება ამგვარი თქმა: „ვიქ საქმესა“ (ე. ი. საქმეს გავაცეთებო), — ხელობა-თანამდებობის კაცს, თუ გივსა და ვახელებულს.

აქედ. კ. კეკელიძის საყურადღებო აზრი იმას შესახებ, რომ „რუსთველი, ლექსისა და სიტყვის შეუღარებელი ვირტუოზი, ერთისა და იმავე ადვილს ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს“, შესაძლებელია კინებმ სადაოდ ვახადოს, მაგრამ წარბოუდღვენილია სადაოდ ვახდეს და ეინშემ დაიჯეროს, რომ რუსთველს შეეძლო შეინაარსობრივი უაზრობა დაიშე.

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ, ვფიქრობთ, ექვს არ უნდა იწვევდეს ის დებულება, რომ მე-8 სტროფში ნახშირი სიტყვა „ხელობითა“ არ შეიძლება სხვა რამეს ნიშნავდეს, თუ არა თანამდებობა-საქმიანობას.

მაგრამ არის კიდეც ერთი გარემოება, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ამ საკითხის დადებითად გადაჭრა. საქმე ისაა, რომ ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერები არ შეხატულია ჩვენამდე მხოლოდ მე-17 და მე-18 საუკუნეებში გადამწერილმა ცალბემა მოაღწიეს; ამ გვიანდელ ხელნაწერთა უმრავლესობაში კი, რომლებიც დახიანებული არ არის. — დაახლოებით ათიდან შეიღ ხელნაწერში — სიტყვა „ხელობითა“ დაწერილია ხანით ხანად იწერებოდა, ე. ი. იმგვარად, როგორც იგი ძველად იწერებოდა „გივის“ მნიშვნელობით; ასევე ეს სიტყვა დაწერილი ვაბრანგისებულ ვეფხისტყაოსანშიც; და მხოლოდ სამ ხელნაწერ-

ში აღმოჩნდა იგი დაწერილი კარად (ხელნაწ., ე. ი. იმგვარად, როგორც ეს წინა იწერებოდა თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით: „ვის მეტყველებს ეს ფაქტი? ერთი შეხედვით“ ესაა ფაქტი, რომ მხარის მხარის უქერს იმ მკვლევარება, რომლებსაც სიტყვა „ხელობითა“ სივრცის მნიშვნელობით ესმით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმიანობის ადამიანმა გაითვალისწინოს ქართული დაწერილობის (პალეოგრაფიის) განვითარების ტენდენცია, ექვსად კი ის ფაქტი, რომ გვიან საუკუნეებში ასო „ქ“ (ქარი) ხანდათან ქარგავდა თავის მნიშვნელობას და მის ადგილს „ხ“ (ხანი) იქერდა, რომ ვავიგვით ვეფხისტყაოსნის გვიანდელ ხელნაწერებში „ქარის“ შემცირებისა და „ხანის“ გამრავლების მიხედვით. ამიტომ ჩვენ მიგვიანია, რომ ვეფხისტყაოსნის ის სამი ხელნაწერი, რომლებშიც აღჩინდელი „ქარი“ მანც შემორჩენილია, ვაცილებით მეტის მთქმელია, ვიდრე გვიანდელი ორთოგრაფიის მიხედვით გამართული შეიღ ხელნაწერი, ამასთან დავავშობებით საერთო ყურადღება მიექცეს კიდეც ერთ საინტერესო დეტალს: მე-8 სტროფის მეორე ტაქტში ნახშირი სიტყვა „ხელობა“ უკლებლვ ვხედა ხელნაწერში წარმოგვიჩნდა „ხანით“, ე. ი. დაწერილია იმგვარად, როგორც იგი ძველად იწერებოდა. ცხადია, ეს ფაქტიც ბევრს მეტყველებს.

ყოველივე ეს ჩვენ უფლებას გვაძლევს ვფიქრობთ, რომ სიტყვა „ხელობითა“ აღჩინდელი ხელნაწერში და თვით რუსთველის დედანში უთუოდ იმ სახით (ქელობითა) იქნებოდა დაწერილი, რომელიც მისი, როგორც თანამდებობა-საქმიანობის, გამომხატველი სიტყვაა, მნიშვნელობას შეესაბამებოდა.

ამრიგად, რა მხრიდანაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, პალეოგრაფიული, ისტორიული თუ აზრობრივი თვალსაზრისით, მიიწვ ერთ უდავო დასკვნამდე შევალი: მე-8 სტროფში ნახშირი ფრაზა „მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა“... ლაბარაკობს არა რუსთველის ვახელებას-სიგვივზე, არამედ მის თანამდებობასა და საქმეს; ვეფხისტყაოსნის ავტორი აქ თვითონვე გვეუბნება, ჩემი ხელობა ანუ თანამდებობა რუსთველობაა.

რა ხელობას, ან რა თანამდებობას ეწოდებოდა „რუსთველი“ ძველ საქართველოში? როგორც უკვე ითქვა, „რუსთველი“ ეწოდებოდა რუსთავის ევაბრჭმის მღვდელმთავარს, რომელსაც რუსთავის საეკლესიო კთავდრის გამგის თანამდებობა ეჭირა; ამას გარდა კი არავითარი სხვა რუსთველი, არც როგორც გვარ-წოდება და არც როგორც თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი, საისტორიო წყაროებში ცნობილი არ არის; მაშასადამე, რაკი ჩვენ ვავიგვით, რომ მე-8 სტროფში ნახშირი სიტყვა „ხელობითა“ ნიშ-

ნავს თანამდებობა-საქმიანობას და არა სიკეთეს, სრული უფლება გვაქვს ვივთღობოთ, რომ სხენებულ სტროფში ლაპარაკი სწორედ რუსეთის მღვდელმთავარზე, რუსთველ ეპისკოპოსზე და სხვაზე არაფერზე. ვინც იტყვის „ქელომა“ თანამდებობის ნიშნავსო, მან ისიც უნდა აღიაროს, რომ რუსთველი მხოლოდ საეკლესიო თანამდებობა შეიძლება ყოფილიყო.¹

მაგრამ აქ ჩვენს წინაშე წამოჭრება კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი კითხვა, რომლის გარკვევა, პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად, აუცილებელია: საიდან ვიცით ჩვენ, რომ თანამდებობა-საქმიანობის გამოხატული სატყუბი „ქელომა“ და „ქელომა“ საერო და საეკლესიო სფეროებში ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარებოდა? იქნებ ეს ტერმინები მართლაც საერო სფეროში მოქმედებდა, ხოლო სასულიერო-საეკლესიო სფეროში თანამდებობა-საქმიანობას სხვა ტერმინებით აღნიშნავდნენ?

წყაროების გულდასმით შესწავლა გვიჩვენებს, რომ სხენებულ ტერმინებში ერთნაირი მნიშვნელობით იხმარებოდა როგორც საერო, ისე სასულიერო სფეროში. სწორედ ასე ვხედავთ ეს საკითხი ფეოდალური ეპოქის ისეთ გამოჩენილ სპეციალისტებს, როგორც იყვნენ ავადმიკოსევი. ივ. ჯავახიშვილი² და ნ. ბერძენიშვილი.³ მაგრამ საკითხის ამგვარი გავება ჩვენ შეგვიძლია დოკუმენტური მასალებითაც დავადასტუროთ, თუღო გორდანიას „ქრონიკები“ გამოქვეყნებულია ერთი, უაღრესად საინტერესო საეკლესიო საბუთი, რომელშიც ნათქვამია: „...ესე მითი და წიგნი მოვახსენეთ თქვენ შუა ლ თისა მიერ ქართლისა ეს სა ევარის შუა, ეპმურდოველ მთავარეპისკოპოსმან გერასიმე, მას ეპისკოპოსს პატარანმა მტკუბუტე შემიწავა და ეპმურდოსა საუდარი და ქელი მიბოძა (ხაზი ჩემია. პ. რ.) და თქვენსა წინაშე საკურთხეულად გამოგზავნა; და თქვენ შემიწავალეთ და მკურთხედ“⁴.

ეს საბუთი ისე მკაფიოდ უჩასუბებს ჩვენთვის საინტერესო კითხვას, რომ რაიმე ეჭვისათვის საფუძველი აღარ რჩება. საუდარი, როგორც მოგვსენებთ, ძველად მღვდელმთავრის ტახტს ერქვა; ჰელი კი, როგორც ვხედავთ, სასული-

ერო სფეროშიც თანამდებობა ყოფილა. მასთან-დამე, ამ საბუთში ნათქვამია, მუქუბუტე გერასიმე მთავარეპისკოპოსს უბოძა ეპმურდოს საუდარი (ტახტი) და თანამდებობა; ე. ი. ეპმურდოვლობა. ეს საბუთი თარიღდება 1500-1506 წლით, მაგრამ არსებობს ამაზე აღინდელი (1453-1459 წლ.) ანალოგიური საბუთიც, რომელშიც ლაპარაკი უკვე მაწვერელის ქელზე.

... ესე წიგნი და ბირი გვადრეთ, — ნათქვამია ამ საბუთში, — თქვენ ქრისტეს ლ თისა მიერ ქ (ართლი) სა ე (ათოლიც) ზსა დეთისა, მე, ლასურის ძემან ეპმურდოვლმან... ვინ თქვენგან უჯარო და შეუნდობელნი იყვნენ, ზუნგანაცა უჯარო და შეუნდობელი იყოს... ვის სწყალობდათ, ჩვენცა მისნი მლოცველნი ვიყვნეთ და თუ ყუარყუარე მოწუხებლობა ან სხუა რამე ქელი გუაძლიოს და დაგუბატოქოს კურთხევისა მიზნითა; სადამდის თქვენსა საუდარსა არ დაემორჩილნენ და რაზუნდაცა უწყრებთ, თქვენსა საუდარსა წესითა იგი ისრევე არ დაგურგოს... სხუა ქელი არ გამოვართო და არცა ვინდომო! (ხაზი ყველაზე ჩემია. პ. რ.).

როგორც ვხედავთ, ეპმურდოვლობასაც და მაწვერელობასაც ჰელი ანუ ზელობა რქმევია. ცხადია, ასეთივე ჰელი და ჰელობა იყო მანგლელი, წილენელი, რუსთველი, ნეკრესელი და ა. შ.

მაგრამ იქნებ ვინმე აქაც შემოგვედავოს და გვითხრას, ზემოთ მოტანილი საბუთები გვიანდელი ხანისაა, აღრე კი შესაძლებელია საეპისკოპოსო თანამდებობის ჰელი კი არა, სხვა რამე ეწოდებოდა. ასეთ შემოღებებზე ჩვენ ვუბნებთ: ჯერ ერთი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ საეკლესიო ცხოვრება ბასიათებოდა უაღრესა კონსერვატივობით და ერთხელ შემუშავებული ნორმები საუკუნეთა განმავლობაში უცვლელი რჩებოდა; მაგრამ ამასაც რომ თავი დაეწებოთ, ჩვენ მოგვეპოვება აღინდელ ძეგლებში მრავალჯერ დადასტურებული საეკლესიო ტერმინი „ქელთდასხმა“, რომელიც სწორედ თანამდებობაზე დანიშნავს, დადგანას კურთხევას ნიშნავდა. ჩვენ შეგვიძლია მივთითოთ უძველეს დოკუმენტურ მასალაზე, რომელიც ეპმურდოვლად გვიჩვენებს, რომ „ქელთდასხმა“ „ქელისაგან“ წარმომდგარი ტერმინია და სწორედ სასულიერო თანამდებობის მიცემასთანა დაკავშირებული. მაგალითად, ეფრემ მკორე გვაუწყებს, რომ ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილიქტემ „მისცა ქართველთა პოტარებტიკონი, რომელ არს ფაქსინი. რათა თეოქმათისა სასულიერისა ეპისკოპოსთაგან ჰელნი დასხმოდენ ყამად-ყამადსა კათალიკოსსა ქართლი-

1 საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანალოგიურად მსგელობს პროფ. შ. ნუცუბიძეც (თუმცა „ქელომა“ მასაც სიგიჟედ ესმის); ის ამბობს: «Если Руставели означало должность, то не иначе как церковно-административную («Творчество Руставели», 82-235).

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული საგარეოთის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი 1, გვ. 108-116; აგრეთვე — ნაკვეთი II, 1929, გვ. 238-241.

3 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. III, 1966, გვ. 11, 28, 41.

4 „ქრონიკები“, წ. II, გვ. 315.

1. „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები“, 1961, გვ. 26.

სასა... და კელთ დასხმულ იყო... იოანე კათალიკოზად.¹

აქ, ცხადია, ლაბარაქია იმაზე, რომ ანტიოქიის პატრიარქმა საქართველოს ერუსისას უფლებზე მისცა, თავისი ქვეყნის (საზღვრის), ეპისკოპოსთაგან ამოეჩრია და თანამდებობაზე დაესვა კათალიკოსი; ამ უფლებით უსარგებლოათ კიდევაც და კათალიკოზად „კელთ დასხმულ“ ყოფილა ვინმე იოანე. ეს ლოკუმენტი XI საუკუნისაა, მაგრამ მოგვეპოვება ამაზე ადრინდელი დოკუმენტიც, რომელიც უშუალოდ ეპისკოპოსის „კელთ დასხმას“ შეეხება.

გიორგი შერჩულეს თხზულებაში „ეცობრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომელიც X საუკუნის ძეგლია, ნათქვამია: „... ვინაითგან აღმშენეს კლარჯეთისა დიდებულნი უდაბნონი, მღვდელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან იყურთხევან და ეგრეთვე ოდეს ეპისკოპოსთა იყურთხვედიან. უკეთეს სწორად ყოველთა მათ უდაბნოთა წამებაჲ არა აქუნ და წიგნი ყოველთაჲ ქვეშარბიტი საწამებელი, კათალიკოსმან საეპისკოპოსოთა მის კელთა დასხმა ეპისკოპოსად (ხაზი ჩემია. — პ. რ.) არა ინებოს“.

როგორც ვხედავთ, ეს დოკუმენტიც უდავოდ მოწმობს, რომ „კელი“ და „ხელთ დასხმა“ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ტერმინებია და ეს ტერმინები საეკლესიო სფეროში იხმარებოდა არა მარტო გვიანდელი დროის ხანაში, არამედ აგრეთვე დავით აღმაშენებლის ეპოქაში და მასზე უფრო ადრეც.

ამრიგად, ჩვენ ვითვარებთ ეფესოსტყაოსნის მე-8 სტროფის ანალიზს. ეს ანალიზი, ჩვენი ღრმა რწმენით, ექვემოტანდალ დასტურებს, რომ გენიალური პოეზის ავტორი იყო მალაღო რანგის სასულიერო პირი, რომელსაც გარკვეულ დროს ეჭირა რუსთავეს მღვდელმთავრის თანამდებობა, ეყარა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კუთხის სასულიერო მწყემსის ტახტად, და სწორედ ამიტომ იწოდებოდა რუსთაველად.

აი, ჩვენი აზრით, ერთადერთი დასკვნა, რომელიც შესაძლებელია აღამაინა ვეფხისტყაოსნის მერვე სტროფის მიენიარებული ანალიზიდან გამოიტანოს.

მაგრამ ვეფხისტყაოსანში სხვა ადგილებიც მოიპოვება, რომლებიც აშკარად მზარს უჭერენ და ამბობენ ზემოთხსენებულ დასკვნას. მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ინდო-ხატაელთა ამისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ე. წ. „საკვეთი სტროფები“: 1667,

1668, 1969, 1689 და სხვ.,² რომლებსაც ჩვენი რუსთველოლოგების უმრავლესობა დღემდე დიდი გემით უცქეროდა ამის გამო, რომ ამ სტროფების შინაარსი, მათი აზრით, თავისი რელიგიურ-დემსარბებლობით ხასიათის გამო, თითქოს ვერ ეგუება „რუსთველის იდეური და მხატვრული წარმოსახვის ეთარებას“. ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია გამოვუდგეთ ამ სტროფებს შინაარსის დეტალურ ანალიზს და კონტრასტუალის სავრთო იდეურ-მხატვრულ კონცეფციასთან მის შედარებას, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა; ამიტომ ორიოდ სიტყვას ვიტყვი მარტო 1667 სტროფზე (ს. კაქაბაძის გამოცემით ესაა 1543-ე სტროფი), რომელიც რუსთველოლოგიაში ყველაზე ოდითხურ სტროფად არის მიჩნეული.²

ვაუხსენით ამ სტროფის შინაარსი: არაბთა მეფესთან ავთანდილსა და თინათინს ქორწინლის შემდეგ, ტარიელი და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი, მეგობრებისა და დიდძალი ჯარის თანხლებით, ინდოეთს მიემგზავრებიან. გზაში ვაჭრებისაგან ვაიგებენ ნესტანის მამის ფარსადანის სიკვდილს, რის გამო ყველანი, განსაკუთრებით კი ნესტანი და ტარიელი, საშინელ ტირილსა და გლოვას მიეცემათ:

„ამაშინ ვახდეს ყველაქანი ტირილად და
კრემლთა მღვრელად,
დიდი ხანი მოიტირეს თვის-თავის
გაუყურად-
ავთანდილ და ფრიდონ ტიან
გულ-სადგად, არა ქრელად,
მაგრა ეჭმნეს სელის მღებლად
კათალიკოს-მწყვერელად“.

ამ სტროფში, როგორც ვხედავთ, ის აზრია გატარებული, რომ უსახლოოდ დამგლოვებულ ნესტანსა და ტარიელს „სულის მღებლად“, ე. ი. მანუგვებლად კათალიკოს-მწყვერელით მოელონენ ავთანდილი და ფრიდონი. მაშასადამე, რუსთველი საქართველოს კათალიკოსი და აგრეთვე ერთ-ერთი გამოჩენილი მღვდელმთავარი მწყვერელი ავთანდილსა და ფრიდონს შეუდარა და დიდებითად მოიხსენია, როგორც ვაჭრების ეამს აღამაინის „სულის მღებლები“, ანუ მანუგვებლები. რა არის აქ საკვირველი და მიუღებელი? ჩვენი აზრით, იმ ფაქტში, რომ მე-12 საუკუნის მწერალმა, თუნდაც თავისი დროის უარესად მოწინავე მსოფლმხედველობის მქონე გენიოსმა, დღემდომად მოიხსენია კათალიკოსი და მწყვერელი, არაფერი არ არის

¹ სტროფების ნომერაცია მოყვანილია ვეფხისტყაოსნის კ. ჰეინრიხისეული გამოცემის მიხედვით, თბ., 1934 წ.

² ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოეზია, 1966, გვ. 457.

¹ თ. გორდანი, ქრონიკები, 1892, გვ. 76.
² ძველი ქართული ლიტერატურის ქრისტომატია, ს. ყუბანეიშვილის რედ., I, 1946, გვ. 148.

საკეტიველი და, მით უმეტეს, მიუღებელი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი რუსთველოლოგების უმრავლესობას, რომელიც სთვლის, რომ ქართული საგრო მწერლობა, და განსაკუთრებით კი ვეფხისტყაოსანი, სასტუდოო ლიტერატურას უპირისპირდება და მასთან ბრძოლაში ვითარდება, ეს სტროფი ყოველდღე მიუღებლად და რომელიმე ყალბის მქმნელის შეთხზულად მიანწია. აი, მაგალითად, როგორ მსგავსობას ამ სტროფის შესახებ ჩვენი გამომგონილი რუსთველოლოგი ავად. ალ. ბაჩაშვილი:

„ინდო-ბატაველთა ამბის ავტორი ავთანდილსა და ფრიდონს უდარებს კათალიკოსსა და მამივერულს (აწუფრის ეპისკოპოსს). შედარების მხატვრული ხერხი ერთ-ერთი დამახასიათებელი ხერხთაგანია ვეფხისტყაოსნისათვის... მაგრამ პოეზიაში გამოიყენებოდა მისი პერსონაჟების შედარება ან დამახასიათებელი საოგადოებრიობის წრეებთან, მით უმეტეს, ამ საოგადოებრიობის ისეთ წარმომადგენლებთან, როგორცაა კათალიკოსი და ეპისკოპოსი, ავთანდილი, ფრიდონი (ავრთვედ ტარიელი) ისეთი საოგადოებრივი წრისა და ბუნების ადამიანები არიან, რომ სრულიად უადგილო იქნებოდა მათი რაიმე კუთხით დაკავშირება კლერიკალური საოგადოების სინამდვილესთან. უკაც არცაა, თვითონ რუსთველი იდებრი და მხატვრული წარმოსახვის ვითარება ვერ შეიგუებს მსგავს შედარებას, როგორც ცნობილია, რუსთველი ვაჭრების რელიგიურ სისტემათა საწესო ფორმებს, ის თავს იკავებს ნიშნობილი რელიგიური მარქსისტული გამომდევებისაგან. ვეფხისტყაოსნით არ ჩანს საეკლესიო ელტის რიტუალი და მღვდელმსახურთა კასტა... სწორედ ამის გამოც ხელა წილად ვეფხისტყაოსანს ეკლესიურ-კლერიკალური საოგადოების რომსა და დევნა. ვეფხისტყაოსნის გმირები არც კათალიკოს-მამივერულის სულაერა ზრახვების მიმდევარი ყოფილყვენ, ეკლესიის დიდ პატივისცემას დამსახურებდნენ. ვეფხისტყაოსნის სინამდვილე ეწინააღმდეგება ავთანდილსა და ფრიდონის დაკავშირებას კათალიკოსთან და ეპისკოპოსთან. ეს არის ხელოვნური, ძალზე ნაკლებადი, უგებური და ყალბი შედარება, ინტერპოლაციის ვარჯიშის შედეგი. ეს შედარება სახელს უტეხს როგორც თავის თავს (sic) ისე იმ ამბავს, სადაც ის არის მოთავსებული“.

ასეთი ვეფხისტყაოსნის ხსენებულ სტროფზე რუსთველოლოგიაში ამჟამად ვაბატონებულ თვალსაზრისს, რომელიც ჩვენ ცალმხრივ და დაუსაბუთებელ თვალსაზრისად გვეჩვენება, ჩვენი მხრივ, არც ავთანდილსა და ფრიდონს, არც ტარიელს არ ვაჩივით არავითარი მსგავსადმიანური ბუნება, რომელიც გამოსთმავდა მათ ქრისტიანული საოგადოებისაგან; ასე

რომ ყოფილყო, ისინი ხომ თავისი შრომითი რი ქვეყნის ნადავსაც მოწყვეტილი იქნებოდნენ?!

სამართლიანობა მოითხოვს აღნიშვნას, რომ ხსენებული სტროფის ასეთ უაზროვით დახასიათებას ვეველა რუსთველოლოგი როდი იზიარებს, მაგალითად, განსვენებული პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე გადაჭრით უარყოფდა აღბარამდის ზემოხსენებულ თვალსაზრისს და აღნიშნავდა: „თუკი რუსთველს შეეძლო მოეხსენებინა „მღვანი და მღლიმნი“ (ე. ა. მოღუბა და მღვდლმანური სჯელის მოძღვარი, — ბ. რ.) კათალიკოს-მამივერულსა რა დაამავე? კათალიკოს-მამივერულ — ეს კონკრეტულ შედარება ქართული სინამდვილიდან — ისეთი რგალი არის ჩვენს ეროვნულ პოეზიაში, რომელიც კარგად უნდა მოეფაროთ, თუ ჩვენს მუზეუმებში მზრუნველობით ინახება ძველი საეკლესიო ინვენტარი და მღვდელმთავართა შესაბოლო, „ვეფხისტყაოსანში“ რატომ უნდა მიეჩინოთ რდიობურად და უარსაყოფად კათალიკოს-მამივერულის ხსენება?“.

ამ სამართლიანი სიტყვებისათვის ჩვენ შეგუდლო დაგვემატებინა შემდეგი: თუკი რუსთველს ნეველო მოეხსენებია აღდგომა, როგორც ბრწყინვალე დღესასწაულის სინონიმი, რატომ არ შეეძლო კათალიკოსი და მამივერული ეხსენებო? ან კიდევ: თუკი ილია ჭავჭავაძეს შეეძლო თავის „გლახის ნამბობში“ ყოველი სიყვითით დაჯილდოებულ მღვდელს გამოეყვანა, რა ვსაყვირია, რომ მე-12 საუკუნის მწერალს საქართველოს გამოჩენილი მღვდელმთავრები დაუბრთხოთ კონტექსტში მოეხსენებია? ესეც უდავადიყვდება: ილია ჭავჭავაძემ ორ გამოჩენილ ქართველ მღვდელმთავარს, სახელდობრ ვახუშტის ქიქოძეს და ალექსანდრე ოქროპირაძეს საავანებო სიტყვებით მიმართა და მათს ღვაწლს ქართველი ერის წინამუ უადრესად მაღალი შეფასება მისცა. თუ იმდროინდელ საოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ვავითვალისწინებთ, დიდი მწერლის ასეთი საჭკელო საესებით ბუნებრივი და ვასაგები იქნება, ხოლო ჩვენი დროის წარმოდგენებით ისტორიულ მსჯელობა ძალზე სახიფათო საქმეა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსნის 1667-ე (1543-ე) სტროფი, რომელიც აქამდე, არასწორი თვალსაზრისის შედეგად, ოდიოზურ სტროფად ითვლებოდა და დღენას განიცდობდა, ახალი თვალსაზრისით სულ სხვაგვარ ახსნასა და გაგებას იძენს და არა თუ არ ეწინააღმდეგება ვეფხისტყაოსნის ავტორის იდეურ-მხატვრულ კონცეფციას, არამედ ევემოტრალად გუდასტურებს მისი ავტორის ვინაობის ახლებურ გაგებას. ჩვენ ვლოყრობთ, რომ ვეფხისტყაოს-

1. კ. ჭიჭინაძე, რუსთველი და მისი პოეზია, 1960, გვ. 147.

ნის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის მთავარი ღირსება სწორედ ის არის, რომ ეს თვალსაზრისი ფაქტებს ძალას არ ატანს და ეფუხისტყაოსნის სტროფებს ომს არ უცხადებს; პირიქით, ის გვაძლევს მათი სწორი გაზრებისა და ახსნის საიმედო ვასალებს, ამაზე

მეტა კი, ვფიქრობთ, არც ერთ თვალსაზრისს და არც ერთ თეორიულ კონცეფციას შეუძლებოდა.

გადავლივარ შემდეგ საკითხზე — ეფუხისტყაოსნის ავტორის ვინაობის გამოსარკვევად ხალხური შემოქმედებისა და ლიტერატურული ტრადიციების მნიშვნელობაზე.

6. ეფუხისტყაოსნის ავტორის ვინაობა ხალხური შემოქმედებისა და ლიტერატურული ტრადიციების მიხედვით. თეიმურაზ ბაბრატონის „პატრიოტული“ ნაბიჯი.

ეფუხისტყაოსნის ავტორის ვინაობის დსადგენად ჩვენ აუცილებლად მიგვიჩნია ხალხური შემოქმედების (ფოლკლორის) მონაცემებისა და აგრეთვე ქართულ ლიტერატურაში ამ საკითხის ირგვლივ დამკვიდრებული ტრადიციული შეხედულებების გათვალისწინება. ამ მონაცემებსა და შეხედულებებს ეფუხისტყაოსნის ავტორის ვინაობის გამოსარკვევად უდაოდ გარკვეული (თუმცა არა გადამწყვეტი) მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ ჩვენ მოვალე ვართ პასუხი გავცეთ კითხვას: ეთანხმება თუ ეწინააღმდეგება ფოლკლორის მონაცემები და ლიტერატურული ტრადიციები ჩვენს მიერ წამოყენებულ ახალ თვალსაზრისს?

სათანადო ფოლკლორული და ლიტერატურული მასალის გულდასმით შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხალხური შემოქმედება და ლიტერატურაში დიდი ხნის დამკვიდრებული ტრადიციები იშვიათი ერთსულოვნებით აღსატურებს იმ აზრს, რომ ეფუხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთველი იყო ბერი, ე. ო. სასულე-რო პირი; ხოლო რამდენადაც, — როგორც ცნობილია, ყოველი ეპისკოპოსი უფროდ ბერი უნდა ყოფილიყო, ვფიქრობთ, ეს გარემოება უფლებას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ ხალხური რწმენა და ლიტერატურაში ჩვენს დრომდე შემონახული ტრადიციები გარკვევით და აშკარად უპირატეს მხარს და ამარტებენ ჩვენს მიერ წამოყენებულ ახალ თვალსაზრისს.

ჩვენ აქ, ცხადია, ვერ გამოვუდგებით რუსთველის ვინაობის ირგვლივ ფოლკლორისტების მიერ დაგროვილი მთელი მასალის ანაზღაურს, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა ჩვენი მიზნისათვის, ვფიქრობთ, საჭიროს იქნება მივეთხოთ პროფ. მიხ. ჩიქოვანის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ (1966 წ.) გამოცემულ ნაშრომზე „შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“, რომელშიც მოცემულია მდიდარი ფოლკლორული მასალა პოეტის დაბადებაზე, აღზრდაზე, სამიჯნურო თავგადასავალზე და ა. შ. ნაშრომში წარმოდგენილი სახალხო მთქმელები დაეინებით უსყამენ ხაზს შოთას ბერად შედგომისა და იერუსალიმში გამგზავრების ვე-

რისას! საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთქმელთა დიდი უმრავლესობის მიხედვით, რუსთველი ბერად შემდგარა მოჭუტობაში, იერუსალიმის მონასტერში ყოფნის დროს. ზოგიერთი მთქმელის გადმოცემით კი, პოეტის ბერად აღკვეცა მის ახალგაზრდობაშივე მომხდარა ხოლო ეფუხისტყაოსანი მას დაუწერია შემდეგ, უკვე ბერობაში! საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ხალხური გადმოცემით შოთა ადრე დაობლებულა და მისი აღზრდა უკისრია ბიძას, რომელიც აგრეთვე ბერად ზოგიერთი გადმოცემით კოლესკოპოსისადაც ყოფილა. იმავე ხალხური გადმოცემით, შოთას უსწავლია ტბეთის თუ კუმურდოს მონასტერში.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად არის შემონახული ამ თქმულებებში ისტორიული სინამდვილე. მაგრამ ერთი კი ცხადია: თუ ხალხურ შემოქმედებას საერთოდ რაიმე მნიშვნელობა აქვს, შოთას საბუნის ასეთი დაეინებით დაეაფორება ბერ-მონაზვნობასთან და სასულიერო გარემოცვასთან (ბიძა, აღზრდა) შემთხვევითი არ უნდა იყოს; როგორც ჩანს, ხალხურ გადმოცემებში მოიპოვება ისტორიული სინამდვილის რაღაც ანარეკლი. ეს გარემოება საკვირველად არ უნდა მოგვეჩვენოს; თუკი ხალხმა სიყვარულთა შეინახა, — თუმცა თვისებურად გადაამუშავა, — ეფუხისტყაოსნის სიუჟეტი, რატომ უნდა იყოს შეუქმებელი, რომ ხალხის ხსოვნას პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთი ელემენტი შემოეჩინა?

ლიტერატურაში გამოთქმულია შოსაზრება, რომ თითქმის თქმულზე რუსთველის იერუსალიმში წასვლისა და იქ ბერად აღკვეცის შესახებ ხალხში შეიქმნა პოეტის იმ პორტრეტის გაფლენით, რომელიც იერუსალიმის ქვარის მონასტერშია მოთავსებული. ეს მო-

1 მ. ჩიქოვანი, „შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“, გვ. 130, 131, 149, 151, 154, 167.

2 იქვე, გვ. 151.

3 იქვე, გვ. 128, 140.

4 იქვე, გვ. 137.

5 იქვე, გვ. 137, 140.

საზრება ვერ კიდევ რვეოლეციამდე ხანაში (1903 წ.) გამოქვეა დ. კარიჭაშვილმა.¹ ჩვენ დროში კი გაიზიარა აქედ. ილ. ბარამიძემ² ჩვენ აზრით, ამ მოსაზრებას არ გაანინა რაიმე ანგარიშგასაწვევი საფუძველი, რადგან ხალხურად გადმოცემები შოთას ბიოგრაფიაზე შეიქცა იმდენად მდიდარ მასალად ისეთ განსხვავებულ გარიანტებს და დეტალებს, რომ შეუძლებელი მათი წყარო ყოფილიყო ტიმოთე გაბაშვილის ძენწი ცნობები; რომლებიც ხალხისათვის ალბათ უცნობი იყო. დაახლოებით ასევე ითქმის ნიკოლოზ ჩუბინაშვილის (1845 წ.) ცნობებზეც, ხოლო პროფ. ილ. ცუგაროს იერუსალიმში ყოფნის დროს (1883 წ.) ხსენებულ ხალხური ლეგენდების არსებობა უკვე დადასტურებულია თვით დასახელებული მეცნიერის მიერ³. მაგრამ ყველაფერსაც რომ თავი დაეანებოთ, — როგორ შეიძლება ხალხს რუსთველის ბერად შედგომის თქმულება შეეჭმნა იმ ცნობების საფუძველზე, რომელთა მიხედვით, — დღემდე საყოველთაოდ აღიარებულია და მეცნიერთაგანაც გაზიარებული აზრით, — რუსთველი დახატულია არა სასულიერო პირის, ე. ი. ბერის, არამედ ერისკაცის ტანსაცმლით?

ერთი სიტყვით, იერუსალიმის ჭვარის მონასტრის პოტრეტები არ შეიძლება მივიჩნიოთ ხალხური თქმულების წყაროდ. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ ხალხური გადმოცემები ერთსეულენად გვიდასტურებენ მხოლოდ რუსთველის ბერად შედგომას, ხოლო რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როდის, ან სად მოხდა ეს ამბავი, ამაზე სულ სხვადასხვაგვარ პასუხს გვაძლევენ: თუ მოქმელთა ერთი ნაწილის აზრით, რუსთველი იერუსალიმის ჭვარის მონასტერში წავიდა და იქ შედგა ბერად, სხვები პოეტის ბერად აღტყვის ადგილად ასახელებენ ათონის მონასტერს, ზოგიერთი მოქმლის გადმოცემით კი, რუსთველი საერთოდ არსად არ წასულა და ბერ-მონაზვნად თავისავე სამშობლოში, კერძოდ დავით გარეჯის მონასტერში აღიკვეთა.

ყოველივე ამედან ნათელია, რომ ხალხური

შემოქმედება, როგორც უკვე ითქვა, არა თუ არ ეწინააღმდეგება ახალ თეოლასტრიკს, არამედ მხარს უჭერს და ამარტებს მას. ზუსტად ასეთისავე დასკვნამდე მივყავართ იმ ტრადიციულ შეხედულებათა ანალიზს, რომელიც დიდი ხანია დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში ამ საკითხის ირგვლივ. იოლნდ ასეთი დასკვნა რომ ყველასათვის ნათელი გახდეს, საჭიროა თავიდან ავიცილიოთ ერთი ფრიად სამწუხარო გარეგებობა, რომელიც დიდიხნის განმავლობაში აფერხებდა და დღესაც აფერხებს ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის გამოკვლას.

საქმე ისაა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის გაცემის თელასაზრისით ქართულ ლიტერატურაში აშკარად ორი პერიოდი შეიმჩნევა: თეიმურაზ ბაგრატიონამდე და მის შემდეგ. პირველი პერიოდი იწყება დაახლოებით XV საუკუნის ბოლოდან და გრძელდება XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე, ხოლო მეორე პერიოდი — 30-40-იანი წლებიდან — დღემდე. ერთი განსხვავდება ერთიმეორისაგან ეს პერიოდები?

ჩვენი დაკვირვებით, პირველი პერიოდის, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ე. წ. „აღორძინების ხანის“ მწერლებსა და მეცნიერებს კარგად სცოდნიათ, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო სასულიერო პირი, რუსთავის ეპისკოპოსი, — ბრძენი და ღვთისმეტყველი. იოლნდ ზოგიერთი მათგანი სთვლიდა, რომ ამ ბრძენმა აღამაინმა გადაუხვია თავის პარლამარ დანიშნულებას (ღვთისმეტყველებას) და ამაოდ დაშრება, ე. ი. დაწერა ზნეობრივად ეკლესიისათვის მიუღებელი შინაარსის პოემა. სხენებული პერიოდის მწერალთა და მეცნიერთა წინაშე სრულიადაც არ მდგარა საკითხი, სასულიერო პირი იყო ვეფხისტყაოსნის ავტორი, თუ ერისკაცი, რადგან ეს საკითხი იმ დროს ყველასთვის ნათელი იყო: ზედწოდება „რუსთველი“ ისევე უმაველად ნიშნავდა სასულიერო პირის თანამდებობას და არ იწყევდა არავითარ დაეაკამას, როგორც ზედწოდება „მრაველი“ არ იწყევდა და არც ამაჟამად იწყევს კამას; რადგან ყველამ იცის, რომ ეს ზედწოდება არ შეიძლება სხვა რაიმეს ნიშნავდეს, თუ არა სასულიერო თანამდებობას.

მაგრამ მდგომარეობა, ან უფრო სწორად, ამ საკითხის გაცემა ბირფესვიანად შეიცვალა სწავლულ ბატონიშვილის თეიმურაზ ბაგრატიონის წყალობით, რომელმაც სრულიად ახალი თელასაზრისი შექმნა ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე. თეიმურაზმა პირველმა გამოაცხადა, რომ თითქმის რუსთველი იყო ერისკაცი და თანაც არა უბრალო ერისკაცი, არამედ პეტრის პროვინციის ერისთავი, თუ მთავარი, რომელიც საქართველოს ისტორიაში შო-

¹ ვეფხისტყაოსნის 1903 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. XXVII.

² ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 60.

³ А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае (Православный Палестинский сборник, том IV, вып. пер. С.-П., 1888) გვ. 94—95.

⁴ მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთველი და ქართული ფოლკლორი, გვ. 130, 131.

⁵ იქვე, გვ. 154.

თა კუბრის (კუბარის) სახელით მოიხსენიება. ეს შეხედულება რომ ყალბია და არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, ეს დღეს საბუნებო აღარავისთვის აღარ არის, მაგრამ აქ კონონიერად წამოიჭრება კითხვა: როგორ მოხდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ისეთმა შესანიშნავმა მკოდნემ, როგორც თეიმურაზ ბაგრატიონი იყო, არ იცოდა, რომ 1) რუსთავე იყო არა პერსიის, არამედ კუხეთის ცენტრი? რომ 2) რუსთავეში თამარის ეპოქაში არ შედარა და არც შეიძლებოდა მქდაიხიო არც ერისთავი და არც მთავარი, რადგან ის სამეფო ქალაქი იყო და ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მფლობელობაში იმყოფებოდა? რომ 3) რუსთავეში იქდა ერთადერთი რუსთაველი, რომელიც იყო სასულიერო პირი, ამ მხარის (ყოფ. კუხეთის) მღვდელმთავარი და რომ შეუძლებელი იყო მის გვერდით იმავე სახელწოდების საერო ჯელმძღვანელო მქდაიხიო?

უველადერი ეს, ჩვენი ფიქრით, თეიმურაზმა შესანიშნავად იცოდა, მაგრამ თუ მაინც ჩამოაყალიბა ისტორიული ფაქტების ამგვარად საწინააღმდეგო კონცეფცია, ეს, როგორც ჩანს, აიხსნება არა ამ დიდად გამსწავლელი ბატონიშვილის უცოდინრობით, არ კიდევ შეუდოთში, როგორც თანამედროვე მეცნიერები ფაქტობენ, არამედ მისი შეგნებული სტრუქციული გადაცემათა რუსთაველის ბიოგრაფია და შეეცდებინა იგი თავისი საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი უაღრესად რთული საკითხია და ჩვენ განზრახული ვაქვს მას სპეციალური გამოკვლევა მივუძღვანათ, ამიტომ აქ დავკმაყოფილდებით მარტოოდენ ზოგადი მითითებით იმ მიზეზებსა და აგრეთვე მიზანზე, რომელთა გავლენით თეიმურაზს შეეძლო რუსთაველის ბიოგრაფია თავისებურად გადაეკეთებინა და შეეღამაზებინა.

როგორც ცნობილია, თ. ბაგრატიონმა ზემოთხსენებული კონცეფცია ჩამოაყალიბა ნაშრომში „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მან 1843 წელს დაამთავრა. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის ცარიზმმა საბოლოოდ მოსპო რთორცე ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ისე ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთში ძალით გადასახლებული საქართველოს სამეფო ტახტის მრავალრიცხოვანი მემკვიდრეები, და მათ შორის თ. ბაგრატიონი, რომლებმაც საქართველოს სამეფო ტახტის დაბრუნების იმედები და-

კარგეს, ახლა მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ ის მაინც გაეცემებინათ, კერძო საქართველოს წარსული რუსეთისა და რუსეთის ქვეყანაში რაც შეიძლება უტყუარად დაეხატათ და როგორც ქართველი ხალხის, ისე განსაკუთრებით მისი გამბატონებული წოდების, პირველ რიგში კი ბაგრატიონთა გვარის წარსული მოღვაწეობა დიდების შარავანდედით შეეშოსათ, ამ გარემოებით აიხსნება თ. ბაგრატიონის დედულაღვი ეტები საქართველოს ისტორიის შესწავლა-გაშუქებისა და ამ ისტორიის „პატრიოტული“ თვალსაზრისით შესწავლა-შეღამაზებისაც. თავისი მიზნის მისაღწევად თეიმურაზი არ ერიდებოდა თვით ისტორიული წყაროების შესწორებას, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ წყაროების გაყალბებასაც კ. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი არ მოერიდა და თავისებურად გადააკეთა „ქართლის ცხოვრება“. რომელიც სომეხთა უპარტესობის მსუქნებელი ადგილები უველგან ქართველთა უპირატესობის მტკიცებით შესცვალა. პრაფ. შ. მესხია, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა თ. ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას, სამართლიანად აღნიშნავს: „ამგვარი შესწორებისათვის თეიმურაზს, ცხადია, არავითარი წყარო არ გაჩნდა, ვარდა საკუთარი, ჩვენი აზრით, ნაციონალისტური მისაზრებისა, რომლის მიხედვით სომეხთა წინაპრის პაოსის გამკობა მიზანშეუწონელი ჩანდა.“¹

თეიმურაზ ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრედო კარგად ჩანს ერთი კერძო წერილიდან, რომელიც მას მთავარმართებელ ციციანოვისთვის გაუგზავნია. ამ წერილში ნათქვამია: „არა ვართ ჩვენ გოთაქანი მხოლოდ გლახაკებრივისა ბერისა ჰამისანი, არამედ ურველთვის სისხლ დათხვეით მცდელნი ბაგრატიონთა ოჯახის აღდგენისანი“.

სწორედ ბაგრატიონთა ოჯახის განდიდების სურვილმა უკარანახა, ჩვენი ღრმა რწმენით, თეიმურაზს გადაეცეთებინა რუსთაველის ბიოგრაფია თავისი საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნების შესაბამისად, ძველი მისაზრები არ არის, თუ რა მიზანს ისახავდა ამ შემთხვევაში სწავლული ბატონიშვილი: „ქართლის ცხოვრებადან“ (ჭუანშერის მოთხ-

1 კ. გრივოლია, ლეონტი მროველის ერთი ადგილის განმარტებისათვის (მომომხილველი, I, 1949, გვ. 101-102)

2 შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1939, ნაკვ. I, გვ. 54).

3 იქვე, გვ. 29.

1 ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 7; ვ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობა-მთავალმხედველობის პრობლემა („მცნე“, 1966, № 4, გვ. 228-229).

რობიდან მან იცოდა, რომ XVIII საუკუნიდან მოყოლებული ჰერეთის პროვინციის სათავეში იღვწენ ბაგრატიონები, — სწორედ იმ ოჯახის შვილები, რომლის აღდგენისათვის თეიმურაზი მზად იყო, სისხლად კი დაეწიხა, და აი, მას შეგნებულად გადაიქცე ქუხეთის ცენტრი, ქ. რუსთავი, ჰერეთის პროვინციაში, რათა ამ გზით დიდი რუსთველი ბაგრატიონთა ოჯახს დაუკავშიროს. მართალია, თეიმურაზი პირდაპირ არ ამბობს, რუსთველი ბაგრატიონი იყო, მაგრამ მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ასეთი დასკვნა მისი კონცეფციიდან უკვე თავისთავად გამოიძინარებოდა.

რაც შეეხება რუსთველის გამოცხადების ერისკაცად და მისთვის სასულიერო თანამდებობის აღმნიშვნელი ტიტლის ჩამორთმევას, ამის მიზეზები ადვილი ვსაგებია: რაჟი რუსთველი ჰერეთის ერისთავად გამოაცხადა (უპირობო კი მას ბაგრატიონებს ვერ დაუკავშირებდა), თეიმურაზს, ცხადია, აღარ შეეძლო მისთვის სასულიერო ტიტული შეენარჩუნებინა, რადგან ჰერეთის ერისთავებად სასულიერო პირები არასოდეს არ ყოფილან.

ასე ჩამოყალიბდა თეიმურაზ ბაგრატიონის კონცეფცია ვეფხისტყაოსნის ავტორის „ჰერეთელობისა“ და „ქუხარობისა“, რომელიც ცნობილ რუსთველოლოგ ვაიხო იმედაშვილის მსართლიანი თქმით, „ერთგვარ საბედისწერო პრობლემა გადაიქცა რუსთველოლოგიაში“.² სწავლულმა ბატონიშვილმა საკმაოდ დიდი ისტორიული შეკრა, — ისტორიულად და ლოგიკურად საფუძველს მოკლებულა, მაგრამ გარეგნულად მიმოიღველა, — აზრებისა და შეხედულებების რთული ხლართი, რომლის გახსნა თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის განმელობაში არ მოხერხდა.

თუმცა ესეც უნდა ითქვას: თეიმურაზის ზემოაღნიშნული კონცეფცია თავის თავშივე შეიცავს გარდუილ წინააღმდეგობებს, რომელთა აღმოჩენა და მათთანამე, მთელი მისი კონცეფციის დარღვევა, არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულ სიახლეს, ჩვენი მეცნიერები რომ მერტსმერტი ნდობით არ მოკიდებოდნენ ამ გამოჩენილ და თავისი დროისათვის დღვად ავტორიტეტისანი მეცნიერის ცნობებს. იმის სიილუსტრაციად, თუ რამდენად წინააღმდეგობრივია თეიმურაზის კონცეფცია, შეიძლება მივუთითოთ ავტორის რამდენიმე აშკარად არაღამაყრებელ მსჯელობაზე.

ასე, მაგალითად, თეიმურაზი გვარწმუნებს, რომ რუსთველი იერუსალიმის ქვარის მონას-

ტერში კი გაემგზავრა (ამის უარყოფა ტიმურის შემდეგ შეუძლებელი იყო), მაგრამ ბერად არ შემდგარა და სიყვლილმდე მოხსატო. ში ერისკაცად ცხოვრობდა. მგრამ მწველი შესამჩნევი არაა, რომ ტრადიციული გადმოცემის ამგვარი გადაცემების შედეგად, სრულიად უპირო და გაუგებარი ხდება რუსთველის იერუსალიმში გამგზავრების თვით ფაქტი. თუკი მართლა რუსთველი, — როგორც თეიმურაზი გვარწმუნებს, — დაუბრუნა სოფლი ესე და უყოველი ღიღება და შეება საწუთოსა ამის და წარუვლა წმიდად იერუსალიმად და... იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ქვარისასა ვიდრე აღსრულებამდე... მრავლის ქველის საქითა, ლოცვითა, მარხვითა და გლახეთა გამოზრდითა და უყოველთა სათნოებითა კეთილთა...³ — რაღა უშობდა ხელს, რომ იგი ბერად შემდგარიყო? განა ქველმოქმედება და ლოცვა მას საქართველოში არ შეეძლო?

მაგრამ რად დასჭირდა თეიმურაზს, შეეცოლა ტრადიციული გადმოცემა და ემტკიცებინა რუსთველი ბერად არ შემდგარა? ეს დასჭირდა იმისთვის, რომ მისა კონცეფციის მიხედვით რუსთველი ერისკაცია, რუსთავის მთავარია და ის ხომ უნდა განსაკუთრებულად სასულიერო რუსთველ-ბერისაგან, რომელიც იმავე რუსთავში იქნა? მაშასადამე, იმისათვის, რომ მის მიერ გამოგონილი რუსთველი გავმოჩნა რეალურად არსებული რუსთველისაგან, თეიმურაზი იძულებული გახდა იერუსალიმში გამგზავრებულ პოეტის სასულიერო პირის, ე. ი. ბერის ყველა თვისებით შეემკო, მაგრამ მაინც საერო პირად დაეტოვებია. მართალია, ამის შედეგად ზარალდება ისტორიული გადმოცემაც და ელემენტარული ლოგიკაც, მაგრამ თეიმურაზს სცვა გზა არ გაიანდა: ისტორიის გადაკეთება ძნელია ისე, რომ ამ გადაკეთების კვალ არსად დარჩეს.

ავლით მეორე მაგალითი: თეიმურაზი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ისტორიულ სინამდვილეს და ილიაროს, რომ ქ. რუსთავში იქნა სასულიერო რუსთველი, — არქივისაკოპოსი, რომელიც, მისი სიტყვით, „ყოფი შედრობისისაკი წინამძღვარი და რუსთველის სასარდლო იყო სრულიად გარე-კახეთი“⁴, ეს მართლაც ასე იყო და თეიმურაზს ამ ფაქტის დამალვა არ შეეძლო, რადგან მის ღრთს ქარკილვე ცოცხალი იქნებოდნენ იდამიანები, რომლებიც რუსთველთა ღრთის ქვეშ იპრობდნენ და უკანასკნელ რუსთველებს, ერეკლეს საბელოვან სარდალს კირილს ჯორჯაძეს (მოკლეს ლეკებმა 1792 წ.) და სტეფანე 11-ს (გარდაც-

1 ქუანწერი, ცხოვრება ვახტანგ ჯორჯასლისა... „ქართლის ცხოვრება“, ს. ჟუბინიშვილის რედ. 1, გვ. 243-244.

2 გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, 1941, გვ. 33.

1 თ. ბაგრატიონი, კანმარტება, გვ. 295.

2 იქვე.

3 თ. ბაგრატიონი, კანმარტება, გვ. 291.

1839 წ.) პირადად იცნობდნენ, მაგრამ ამ ფაქტის აღიარება ხომ ამჟამად გწინააღმდეგება და არღვევს თეიმურაზ ბაგრატიონის კონცეფციას? ჭერ ერთი, რა დასაყრებელია, რომ ერთ ქალაქში ორი ერთნაირი სახელწოდების მქონე ხელმძღვანელი მქარაიყო, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, თუკი რუსთაველი არქივპაპობის რუსთველი იყო და ის შიველი გარკვევითის ჯარის სარდალი იყო, რაღას აკეთებდა თეიმურაზის საერთო რუსთველი, რომელიც თითქმის ამ მხარის ერისთავი თუ მთავარი იყო? წინააღმდეგობა აქ იმდენად ამკარავს, რომ კომენტარები ზედმეტად მიგვიანინა.

დაბოლოს, მესამე მაგალითი: „განმარტებამი“ თეიმურაზი გადმოგვცემს რუსთველის ბიოგრაფიის დეტალებს და ისე ამჟამად სცილდება მეცნიერულ ნიადაგს, რომ მისი მსჯელობა უფრო ბელეტრისტულ ნაწარმოებს მოგვაგონებს, ვიდრე მეცნიერულ ნაშრომს. დავაკვირდეთ, მაგალითად, შემდეგ სიტყვებს: „შოთა რუსთაველი მის ეპისა ყოველთა თანა მუდროვეთა თვისთა აღმშებებთა ყოველსა სიკეთათა და ზნეობათა, სწავლულებითა, სიმბნათა, ასოვნებითა, მშენიერებითა და პეტროვნებითა სახისათა, ანაგებითა გვაქმისათა, კეთილსა გულითა და სიუხვით, ვინაიღან მდიდარიცა იყო იგი ფრიად პიტეიკოსობისა შინა აღმშებებთა სხვათა ყოველთა ქელოვნებითა ლექსათა. ვითარცა ასაჩინოებესა სტიხნი მისი მთერ შეთხულები ენა-მჭევერ იყო იგი და მშენიერ მოუბარ და სხვათა და სხვათა ენათა ზედმეცნიერებითა შეცნეარა.“

საიდან შეიძლება სცოდნარი უყოველივე ეს თეიმურაზ ბაგრატიონს? ცხადია, ასეთი დაწერილებითი ცნობები რუსთველზე მას არ შეეძლო ამოკრიფო არც რომელიმე ისტორიული წყაროდან და არც ხალხური გადმოცემებიდან: ეს ცნობები მისი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია. მან დავებიცა ისეთი რუსთველი, როგორც სურდა და როგორც მის შეხედულებებს და მიზნებს უპასუხებდა თეიმურაზის ასეთი საქციელი, როგორც ვთქვით, მისი დროის ისტორიული ვითარებით იყო განპირობებული და ამდენად ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ სრულად გაუგებარია, რა აზრი უნდა ჰქონდეს ჩვენს დროში მისი უსაფუძვლო შეხედულებების უკრიტიკოდ განმეორებას. ვფიქრობთ, დროა უკუვაგლოთ თ. ბაგრატიონისა და მის მიმდევართა ზემოთხსენებული ყალბი კონცეფცია და გავათავისუფლოთ რუსთველოლოგია მისი უაყრფელი გაელენისაგან. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი, ჩვენი აზრით, ობიექტურად გავადევნოთ ძვალი და შეერყენილი სახით დავი-

ნახოთ, როგორ ეთარღებოდა ქართულ ლიტერატურაში რუსთველის ვინაობაზე უცნობი ტრადიციული შეხედულებები.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ე. წ. „ალორძინების პერიოდის“ ლიტერატურისა და მეცნიერების წარმომადგენელთათვის სადავო არ ყოფილა საკითხი, საერთო თუ სასულიერო პირი იყო რუსთველი, რადგან მათ მშვენიერად იცოდნენ, რომ რუსთველი მხოლოდ სასულიერო პირი, რუსთავეის მღვდელმთავარი შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ სიიდან ვიცით ჩვენ, რომ იმდროინდელ მოღვაწეებს ეს ნამდვილად ასე ესმოდათ? ან, რა ფაქტები და მოვლენები გვაძლევს საფუძველს ამგვარი დასკვნის გამოტანისათვის?

ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს „ალორძინების პერიოდის“ ლიტერატურის ყურადღებით შესწავლა, კერძოდ კი რუსთველის შესახებ ხსენებული პერიოდის მწერალთა და უმაღლეს სასულიერო პირთა გამოთქვებების ობიექტური ანალიზი. ამ შესწავლისა და ანალიზის შედეგად ირყევება რომ აღნიშნული პერიოდის არც ერთ მწერალს ან მოღვაწეს არ უთქვამს, რუსთველი ერისკაცი იყოთ, რაც ცხადია, იმის მოწმობაა, რომ მათ კარგად იცოდნენ, რასაც ნიშნავდა ზედწოდება „რუსთველი“; სამაგიეროდ, ხსენებული პერიოდის მწერლები და მოღვაწენი რუსთველის მიმართ ძალან ზმირად ზმარობდნენ ისეთ ეპითეტებს, როგორცაა: ბერი, რატორი, ბძიქნი, ფელაქსოფოსი და ლთისმეტყველი. მწელი შესამჩნევი არ არის, რომ ეს ტერმინები და ცნებები, თუ მათ თაყვისი ეპოქის შინაარსის მიხედვით განესჯიოთ, შეეფერება და უღებება სწორედ დადასტოვებულ სასულიერო პირს.

შევეხებით ამ საკითხს უფრო დაწერილებით.

როგორც ცნობილია, პირველი ავტორი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში რუსთველს იხსენიებს, ვახლავთ მე-15 საუკუნის დამლევსა და მე-16 საუკუნის დამდევის პოეტის სერაპიონ სურაბატის ძე საბაშვილი, რომელმაც ვალექსია როსტომიანი (ფარდოუსის შამანაშეს ქართული ვერსია). როსტომიანის ტექსტში სერაპიონს ჩურთავს რომელიღაც დომოთაყვებელი ლექსის ნაწყვეტი, სადაც გადმოცემულია რუსთველის, ბაგრატ მუხრანბატონისა და თეთი სერაპიონის ვაზასება. მოგვყავს ეს ნაწყვეტი მთლიანად:

„აქა შეღვექსე ავიღ გახდა, რა
ქნა

ამ მარტვილების გარდამკედე?

ბაგრატ ვნახე, მარანას ქდა, მუხრანს შექნა
ნადიმობა;

ხელსაყრელად აშენება, დაჭირა ბატონობა; ძველი ტახტი განაახლა, პპოა ღვთისა შორს-კმელობა, და ნაძღვეი ვარ რუსთველისა, თუ მერტიქნა ჩემოდნობა!

აქა რუსთველისაგან პასუხის შექცევა

რას მიმერჩი ბერი ბერისა? — შე გავლექსე ლამაზ ენა! ამიყი ვარ თვალწარბისა, ვინ სოფელი დაიშვენა;

შენ ტყუილად შემოგფიცეს, მით აღზნეს ტქილად ენა, და თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა.

აქა ბაგრატიის პასუხის შექცევა ვიცი, ჩემო სერაპიონ, ხარ მრავლისა მონახელი,

მეფე უნდა ღვთის მოშიში, სიყუთითა და-ნერგული; ამ სოფლისა დიდებასა მირჩენია მცირესული,

და არას მარგებს საუყენის საბჭოთ შენი ჭირნახელი¹.

როგორც ვხედავთ, ეს ნაწყვეტი ბერის მხრით არის ჩვენთვის საინტერესო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა გვიარკვეით, რას უნდა ნიშნავდეს აქ ნახშირი სიტყვები „ბერი ბერისა“, რომელსაც სერაპიონი რუსთველს ააქმევენებს? რუსთველოლოგები, რომლებიც თ. ბაგრატიონის კონცეფციის გალენას განიყლიან, ფიქრობენ, რომ აქ სიტყვა „ბერი“ ნიშნავს არა ბერ-მონაზონს, არამედ მოხუცებულს. მგალითად, პროფ. ს. კაკაბაძე ამბობს: „აქ სიტყვა ბერი აღბად უნდა გავხედულქნას როგორც მოხუცებულს“, რადგან სერაპიონს „თავისი ნაწარმოები მოხუცებულობაში დღუთავებდა, როდესაც ის 60 წლისა იყო“². პავლე ინგოროყვა ამ აზრს კიდევ უფრო ვადაქრით გამოთქვამს: „ბერი, როგორც ეს ჩანს თვითონ სერაპიონის ბოლასიტყვაობიდან, აღნიშნავს აქ არა სასულიერო პირს, არამედ მოხუცებულს (ყამათში მონაწილე სერაპიონი ერისკაცი იყო, და ამასთან ღრმად მოხუცებულს 72 წლის)“³.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთხსენებულ კონტექსტში სიტყვა „ბერის“ მოხუცებულის მნიშვნელობით გავგებისათვის არავითარი სა-

ფუძველი არ არსებობს. ჭერ ერთი, არსაიდან არ ჩანს, რომ სერაპიონი მოხუცებულს იყო (როგორც ს. კაკაბაძის, ისე ქვემოთხსენებულს განგარიშება მისი წლოვანებისა სრულიად ნებისმიერია). მეორეც, სერაპიონის ლექსის მთელი შინაარსი მოწმობს, რომ აქ ლაპარაკია სწორედ ბერ-მონაზვნებზე და არა მოხუცებზე.

დავწყობთ ლექსის სათაურით, რომელსაც რუსთველოლოგები ჩვეულებრივ გვერდს უხვლიან. რაზეა სათაურში ლაპარაკი? იქ ლაპარაკია „მარტვილებზე“, რომლებიც სერაპიონს, მისივე თქმით, „გარდაკლდებან“, ე. ი. აჯობტებან. მაგრამ ვის ეწოდება მარტვილი? მარტვილი, როგორც ცნობილია, ეწოდება სარწმუნოებისათვის წამებულს, თავდადებულს, რაც სწორედ ბერ-მონაზვნებს შეეფერება და არა მოხუცებულ ერისკაცებს.

შემდეგ, როგორც აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ გამოარკვია, სერაპიონის ლექსში მოხსენებული ბაგრატი მუხრანბატონი ბერად ყოფილა ადვოკატი, ასევე ბერი ყოფილა სერაპიონის შამა სახა სოფრატეც⁴ და, რაც მთავარია, თვით სერაპიონიც თანამდებობით ბერი, ან უფრო ზუსტად, — ზევის ბერი ყოფილა, რაც სერაპიონის პირდაპირი ვინცხადებიდან ჩანს. ახლა ყოველივე ამას თუ დავუმატებთ ხალხურ გადმოცემას, რომლის მიხედვით რუსთველიც ბერი, ე. ი. სასულიერო პირი იყო, ადვილად გავიგებთ, თუ რაწირ „ბერებზე“ ან „მარტვილებზე“ ლაპარაკობს, თავის ლექსში პოეტი სერაპიონს საბაშეილი.

მაგრამ ყველაფერ ამას თავი რომ დავიწებოთ, საიდან უნდა სცოდნოდა სერაპიონს, რუსთველი მოხუცი იყო, თუ ახალგაზრდა? ცხადია, მას მხოლოდ ის შეეძლო სცოდნოდა, რაც ხალხურ შემოქმედებაში იყო ცნობილი, საბელდობარ, რომ რუსთველი იყო ბერი, ე. ი. სასულიერო პირი.

დაბოლოს, დავაკვირდეთ სერაპიონის ლექსის შესამე სტროფს, სადაც ბაგრატი ლაპარაკობს ღვთის მოშიშობაზე, ამ ქვეყნის ამოებაზე და საუყენო ანუ სიქით ცხოვრებაზე. ის პირდაპირ ამბობს, ამ სოფლისა დიდებას „მცირე სული“, ე. ი. სულის ცხოვნება მიჩნენიათ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე, ყოველივე ეს „მცირეებს ბაგრატის აკეტურ-ბერულ განწყობილებას“⁴.

ჩვენი ფიქრით, აკეტურ-ბერული განწყობილება დამახასიათებელია სერაპიონის მთელი

¹ ფირდუსი, შამანაშე, ქართული ექსიციბი, ტ. 11, გვ. 90-91 (რუსტომიანის სტროფები — 3599, 3600, 3601).

² საისტორიო მოამბე, წ. 1, 1924, გვ. 163.

³ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. 1, 1963, გვ. 218.

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 11, 1952, გვ. 228.

² იქვე, გვ. 227.

³ რუსტომიანი, 11, სტროფი 3123.

⁴ კ. კეკელიძე, დასახელ. ნაშრომი, გვ. 229.

ლქისათვის, სათაურიდან დაწყებული, უკანასკნელ სტრიქონამდე. ამიტომ იქ ნახშირი სიტყვა „ბერი“ არ შეიძლება სხვა რაიმეს ნიშნავდეს, თუ არა სასულიერო პირს. ხსენებული ადგილის ამგვარი გაგება კარგად უდგება და ეთანხმება ხალხურ გადმოცემას და ქართული ლიტერატურის მერმინდელ მონაცემებსაც, საწინააღმდეგო გაგებას კი არ გაიზნია არავითარი საფუძველი, ვარდა თ. ბაგრატიონის ყალბი კონცეფციისა.

აღსანიშნავია, რომ რუსთველს „ბერს“ უწოდებს აგრეთვე მეფე-პოეტი არჩილი, როგორც მას „თეიმურაზისა და რუსთველის გამაგებში“ პირდაპირ ეუბნება „ბერი ხარო“¹. მაგრამ არჩილ მეფის დროს საქართველოში ნეაფორე ჩოლოყაშვილის საშუალებით აღბათ უყვე იცოდნენ, რომ იერუსალიმის ჭვირის მონასტერში დახატული რუსთველი მოხუცებულია, ამიტომ შესაძლებელია, რომ არჩილიან „ბერი“ მართლაც მოხუცის აზრით იცის ნახშირი, მით უმეტეს, რომ კონტექსტი თითქმის მხარს უჭერს ამგვარ გაგებას, მაგრამ ეს გაგრძობა საერთო სურათს მაინც არ სცვლის: არჩილის იმავე ნაწარმოებიდან სავსაშუალოდ ნათლად გამოსკვივებს ავტორის შეხედულება რუსთველზე, როგორც სასულიერო პირზე. მაგალითად, პოემის იმ ადგილას, სადაც თეიმურაზი თავს იქებს და სიამაყით აცხადებს, რომ სასულიერო ცოდნის განსაკუთრებით კარგ მცოდნეა და რომ „საღვთო სწავლით“ მას თვით რუსთველიც კი ვერ შეუღრება, უჭრადღებას იქცეის რუსთველის შემდეგი საგულისხმო პასუხი:

„თქვენს უკეთ ლქსი ვის უოქვამს მიჯნოთ, ან მარგე სულისო! შეიღის სარწმუნოს კრებისა, ნიშნბი სასწავლისო“.

მაგრამ ნათელი მოგისტვლავს, მის ჩემგან დანერგულისო“²

ამ პასუხიდან ცხადია, რომ თემცა რუსთველი მებოთ იხსენიებს თეიმურაზის სასულიერო განსწავლულობას და მის მიერ საეკლესიო კრებათაგან დადასტურებული სარწმუნოების ცოდნას, მაგრამ იქვე დასძენს, — ეგ ყველაფერი ჩემგან არის, ჩემგან დანერგული ხის ნაყოფიო.

კიდევ უფრო საინტერესოა ამ მხრივ არჩილის პოემის მეორე ადგილი, სადაც რუსთველი შედარებულია ისრაელთა მღვდელ არჩიან. თეიმურაზის საყვედურზე, მე და შენ

ერთმანეთს გვადაკრებენ და უპირატესობას შენ გაცუთვნიებენო, რუსთველი უპასუხებს: „მე რას ღირს ვარ თქვენს დარბებს, მშვენიერი შემიადარონო“ და იქვე ასახერხებს: „მე ხანიადაც“: ესაა მღვდელი არჩილი.

გაეხსენით არჩილის პოემის ეს ადგილი:

„პასუხი პირველი მეფისა

რუსთველო ყური შამიპყარ, გვადრიან მე და შენაო.

ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გავობა შენაო,

ჩან კიდევ გამაგულისეს, მათი მამინდა შენაო,

საკვდავად გამოვამეტო, ან ამოვართვა ენაო.

პასუხი პირველი რუსთველისა

მე რას ღირს ვარ თქვენს დარბას, ამხანაგი შემიადარონ,

ჩემისთანა ვერსად ჰპოონ, სულ ხმელეთი შოიარონ:

გრძნებაც რამ ქნან, ცა ღრუბლითა შეპყრობილი შოიადარონ,

სრულ მეღვესეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღვდელი არჩიან“²

ეს და სხვა ამგვარი ადგილები ხსენებულ პოემისა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არჩილ მეფეს რუსთველი სასულიერო პირად ჰყავდა წარმოდგენილი. მაშასადამე, მისი „ბერი“, თუნდაც ის მოხუცი იყოს, სულურთაა, მაინც სასულიერო პირია.

ღებულებას იმის შესახებ, რომ აღორძინების ხანაში რუსთველი სასულიერო პირად, რუსთველის ეპისკოპოსადა ჰყავდა წარმოდგენილი, მხარს უჭერს აგრეთვე იმდროინდელ მწერალთა არაერთგზის განმეორებული მტკიცება, ვეფხისტყაოსანი საღვთო სწავლა არსო. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო მასალას გვაძლევს ვახტანგ VI და თეიმურაზ II შეხედულებათა ანალიზი. შეიძლება აღმაინა იდავოს იმის თაობაზე, თუ რამდენად გადააჯარბა ვახტანგმა, როცა მთელი ვეფხისტყაოსანი საღვთო ნაწარმოებად გამოაცხადა, მაგრამ არ შეიძლება ამასთანავე არ ვადაროთ, რომ მას ჰქონდა გარკვეული საფუძველი ვეფხისტყაოსანში ქროსტიანული მოძღვრების კვალი დაენახა. ვახტანგის „თარგმანის“ კითხვისას თბიშქტერ მეკლევარს უნებურად დაებადება კითხვა: როგორ შეეძლო მის ავტორს ეფიქრა და დაეწერა ვეფხისტყაოსანში ყველაფერი საღვთოთა, მან რომ რუსთველი ერის ყაყად ჰყავდეს წარმოდგენილი? როგორ შეეძლო, მაგალითად ვეფხისტ-

1 „ქართველი მწერლები შოთა რუსთველს“, 1937, გვ. 97

2 ქართველი მწერლები შოთა რუსთველს, 1937, გვ. 101

1 იქვე, გვ. 90.
2 იქვე.

ტყოსნის მეფეთმეტე სტროფში წარმოდგენილი მიწურობის შესანიშნავი სავალობელი ეთარგმნა როგორც „სამღელღო“ პირად მიწურობა და „სადეთო სიბრძნე“? ანდა გავიხსენოთ, როგორ თარგმნის ვახტანგი ვეფხისტყაოსნის მეორე სტროფს, სადაც ნათქვამია:

„მომეც მიწურთა სურვილი, სიკვდილმდე
გასატანისა,
ყოღვათა შემსუბუქება, მენ თანა
წასატანისა“.

„აქ იხილეთ კაცთ თუ სიძველედ რამ იყოს: რა სთხოვარია სიკუდილამდე ქრისტეს მცნობისა და ამ გვარის ფილოსოფოსის კაცისაგან (ხაზი ჩემია. — პ. რ.) მტრობობა: მაგრამ ამას არა სთხოვს ამასა საბოესი: მიწურთი არაბულად შმაგსა ჰქვიან: და სურვილი ამას ჰქვიან რომე მუდამ ნახვის მდომე იყოს. და აწ ამას ამაზედ ამბობს მომეც მიწურთა სურვილიო ვითამ გავშმაგება მუდამ სასუფეველს ნდომისათვის რომ საკუდილამდე გამყუფეს რომ იქ ცოცხა შემომსუბუქდეს: თან ის წაეიტანო“.¹

არა გვგონია ძნელი შესაჩნვე იყოს, რომ ეს „სიკვდილამდე ქრისტეს მცნობი და ფილოსოფოსი კაცი“, რომელიც სასუფეველსა და საიქიო ცხოვრებაზე ოცნებობს, ვახტანგს წარმოდგენილი უნდა ჰყოლოდა არა როგორც ქრისტიანი, არამედ როგორც სასულიერო პირი.

ასეთსავე დასკვნამდე მიყვებართ თეიმურაზ II შესანიშნავ ლექსს. რომელსაც ფრად დამბასიათებელი სათაური აქვს: „ყოველთა შელექსეთა უმჭობესსა, დიდსა ფილოსოფოსისა მკოდნესა ბრძენსა რუსთველსა ზედა, ბაასი მეფის მეორისა თეიმურაზისაგან“. ამ ლექსში თეიმურაზი რუსთველს დიდი სიყვარულით და მოწიწებით ებაასება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ დიდი ფილოსოფოსისა და ბრძენის „ნათქვამი საღმრთოდაც და საეროდაც მოიხმარებისო“. თეიმურაზის ამ აზრს, ლექსის მიხედვით, იხატებებს თვით რუსთველიც, რომელიც ამბობს:

„ეპოვე ამბავი, ლექსად ესთჳვი, ეპვე იყოს
მოსაწონები,
საღმრთოდ, საეროდ სარული და რა
ტყბილად გასაგონები“.²

აქედან ცხადია, რომ თეიმურაზ მეორის აზრით, ვეფხისტყაოსანი თუმცა საერო ნაწარმოებია და „საეროდ მოიხმარების“, მაგრამ ამავე დროს სასულიერო თვალსაზრისითაც

„სარული“, ე. ი. უნაყოფა. ხოლო მისი ავტორი რომ ამ მეფესაც სასულიერო პირად უნდა ჰყავდეს წარმოდგენილი, ამას რა უპირებები მოწიფობს, რომელზეთაც ის რუსთველს ამერბის „ფილოსოფოსის დიდი მკოდნე“, „ბრძენი“ და ა. შ.

შეიძლება შეგვეკითხოვნ: საიდან ვიცით ზენი, რომ სიტყვებს „ბრძენი“ და „სიბრძნე“ აღორძინების პერიოდში თეოლოგის და ლეთისმეტყველების მნიშვნელობით ხმარობდნენ? ეს ჩვენ ვიცით თუნდაც არჩილ მეფის სპეციალური ტრაქტატიდან „საქართველოს ზნეობა“, რომელშიც თავისი დროის ზნეობრივი კოდექსია მოცემული. ამ ნაწარმოებში განსაკუთრებული იდეალი აქვს დათმობილი „საღმრთო ზნეობას“, ე. ი. ლეთის მახურებას და სასულიერო განათლებას. აკადემიკოსი ს. ჯანაშია, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ხსენებული ნაწარმოები, ასეთ დასკვნამდე მივიდა: „როგორც ლეთის-მახურების, ისე ყოველგვარი საინოების საფუძვლად არჩილს „სიბრძნე“ მიაჩნია, ამ სიტყვას იგი ხმარობს ვიწრო მნიშვნელობით, ლეთისმეტყველებას თუ სასულიერო განათლების აღსანიშნავად. სხვა ყველაფერი წარმართულია, „სხვა ზნე ყველა მობრძვილდება“, მხოლოდ „სიბრძნე არის საფუძამო“.³

აქედან ცხადია, რომ მე-17 საუკუნეში ტერმინებს „სიბრძნეს“ და „სიბრძნისმეტყველებას“ ჰქონია ლეთისმეტყველებასა და სასულიერო განათლების მნიშვნელობა. ძნელი შესაჩნვე არაა, თუ საიდან მომდინარეობს სიბრძნის ასეთი გაგება: ესაა ქრისტიანული მოძღვრების, კერძოდ კი დიონისე არეოპაგელის თეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დებულება. ამ მოძღვრების მიხედვით, — როგორც ამას ცნობილი მკვლევარი ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავს, — „ღმერთი არის ბრძნობა, სიბრძნე, წყარო ყოველი სიბრძნისა და ყოველი გონებრიობის უზენაესი. ღმერთი არის გონება... რადგან იგი გვინიჭებს სიტყვას, სულსა და სიბრძნეს“.⁴

აქედან ზენთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რატომ უწოდებდნენ რუსთველს ასე დაყენებით და ერთსულოვნად აღორძინების პერიოდის მოღვაწენი ბრძენსა და სიბრძნისმეტყველს.

ჩვენ აქ აღარ გამოვიდგებით სიტყვა „ფილოსოფოსის“ დაწერილებით განმარტებას, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ფილოსოფია არსებობდა ლეთისმეტყველებას ნიშნავდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს,

¹ ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, 1937, გვ. სპთ.

² ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს, გვ. 108

³ იქვე, გვ. 109

¹ ს. ჯანაშია, შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და პათი წესები XVII ს. საქართველოში (შრომები, II, გვ. 503).

² ე. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 53.

რომ ტერმინი „ფილოსოფოსი“, როგორც ეს აკადემიკოსმა შ. ნუცუბიძემ გამოარკვია, ბიზანტიაში იხმარებოდა აგრეთვე როგორც სასულიერო მსაწერლობის წოდება-ხარისხი, რასაც ქართული სასულიერო ტერმინი „მოძღვარი“ შეესაბამებოდა. ამიტომ ჩვენშიც სიტყვა „ფილოსოფოსი“, როგორც ჩანს, მოძღვრის მნიშვნელობით ხმარობდნენ. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში, შ. ნუცუბიძის სამართლიანი თქმით, „სწავლის, ისე როგორც საერთოდ განათლებისა და მეცნიერების სათავეში... სასულიერო წოდების პირები იდგნენ. ისინი აყენენ, ცხადია, სამეცნიერო წოდება-ხარისხების მატარებელიც. ამდენად თვით ეს წოდებანი და როგორც ჩანს, უფრო მსაზობრეო წოდება მოძღვრისა — სასულიერო ხელმძღვანელის ცნებას დაუკავშირდა და უკვე XII ს. მას შეერწყმა“¹.

აქედან ჩვენთვის გასაგებია უნდა იყოს, თუ რატომაა, რომ თეიმურაზ II ასე ხაზგასმით, უკვე ლექსის სათაურშივე გვაუწყებს, რომ რუსთველი ასე დიდი ფილოსოფოსი და ბრძენი. მაგრამ ასე ფიქრობს არა მარტო თეიმურაზი, არამედ აღორძინების პერიოდის თითქმის ყველა მოღვაწე. გათხსენით რამდენიმე მაგალითი:

თეიმურაზ პირველი რუსთველს „სიბრძნის მინდობილს“² უწოდებს, ფეშინჯი — „სიბრძნით სავსეს“³ დავით გურამიშვილი — „ბრძენ რიტორს“⁴ ხოლო არჩილ მეფის მიხედვით „რუსთველი სიბრძნის ტბა არის“⁵. განსაკუთრებით საყურადღებოა ანტონ პირველის ცნობილი სიტყვები, სადაც რუსთველის ერთგვარ განქიქვბასთან ერთად, პირდაპირ აღიარებულია, რომ რუსთველი ბრძენიც იყო, ფილოსოფოსიცა და ღვთისმეტყველიც. გვიხსენიან ანტონის სიტყვები: „შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის, თუ სამ ჰქალოდა ღმრთისმეტყველიცა მაღალ, უცხო საყვირველ პოიტოის მესტიზე, მაგრამ ამაოდ დამწერა, საწყებ არს ესე“⁶.

ანტონ კათალიკოსის ეს სიტყვები ყოველ ეჭვს გარეშე მოწმობენ. რომ საქართველოს იკლესიის გამოჩენილ საკეთილშეშობელს რუსთველი წარმოდგენილი ჰყავდა როგორც უმაღლესი რანგის სასულიერო პირი და ფრიად განათლებული ღვთისმეტყველი.

¹ შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 315.

² ქართული მწერლები შოთა რუსთველს, 33-80.

³ იქვე, გვ. 83.

⁴ იქვე, გვ. 112.

⁵ იქვე, გვ. 85.

⁶ იქვე, გვ. 111.

რუსთად ასეთავე დასკვნამდე მიყვარობ ქართული ეკლესიის მეორე გამოჩენილი ხელმძღვანელის, მთავარეპისკოპოს ტიმოქეს ცნობებს რუსთველზე და იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოთავსებულ მის პორტრეტზე. თუ ყურადღებით დავაკვირდებით ტიმოქეს ცნობებს და ამასთანავე გავითვალისწინებთ მის სუბტილურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებას უთუოდ დავრწმუნდებით, რომ მას შოთა რუსთველი წარმოდგენილი ჰყავს ქრისტიანული ეკლესიის დიდ მოღვაწედ, რუსთველ ეპისკოპოსად, რომელიც გარკვეულ დროს თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას ასრულებდა.

დააკვირდეთ ტიმოქეს სიტყვებს რუსთველის მიმართ: „მოქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმაც ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ (ხაზი ზემოა — ბ. რ.) ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა“¹. ამ სიტყვების ავტორს რომ რუსთველი ერისკაცად ჰყავდეს წარმოდგენილი, რატომ იტუოდა მან „სიწმიდისა წილ“, ე. ი. სიწმიდის მაგიერ ასწავლა ხალხს ბილწება და ქრისტიანობა გარყვნაო? განა ცხადი არ არის, რომ ასე მარტო იმ აღძვარებულ იოქმის, ვისაც ვვალეობა ხალხისათვის სიწმიდე ესწავლებია და ქრისტიანული მოძღვრება დაეცა?

ან კიდევ, დავსვათ ასეთი ფსიქოლოგიური კითხვა: რა უნდა ეფიქრა და განეცადა ტიმოქეს, როდესაც მან „წმინდა ქალქის“ უპირველეს ქართულ მონასტერში, გამოჩენილ მეფეთა და მღვდელმთავართა გვერდით იბილა სურათი „ბილწი“ და „ბოროტი“ ლექსების მოქმელი პოეტისა? ცხადია, ის უნდა აღშფოთებულიყო და გამოეხატა თავისი უადრისი ვანკეოდრება ამის გამო, რომ ეკლესიის მოქმელ პოეტი ამ უწმინდეს ტაძარში გამოუხატავთ, მაგრამ ევრაფერს ამის მსგავსს მის ნაწერში ჩვენ ვერ ვხედავთ; პირიქით, ტიმოქე სრულიად დამწვიდებული ტონით, როგორც ბუნებრივ აზრს ვაღმარავცემს: „ჯვარის მონასტერო დაწველბულა და ვამბათს ქვეთი სვეტნი გაუახლებია და დაუხატენებია შოთამს რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს თითონაც შიგ ხატია მოხუცებულა“². ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, ეუმეიტანლად ადასტურებს, რომ ტიმოქემ იცოდა, რუსთველი რომ მაღალი რანგის სასულიერო პირი იყო და რომ მას ეკუთვნოდა ჯვარის მონასტერში დახატვა, — მით უფრო, თუკი მან, გადმოცემის თანახმად, მონასტრის დაწველბული ნაწილი შეაკეთა.

ასეთია დასკვნა, რომელიც უცილობლად გამომდინარეობს ტიმოქე ვაბაშვილის „მიმოს-

¹ ტიმოქე ვაბაშვილი, მიმოსლავა 1956, გვ. 80.

² იქვე.

ლუაში“ რუსთველის შესახებ წარმოდგენილი ცნობების ობიექტური ანალიზიდან. სხვათა შორის, ამ აზრს, რომ ტიმოთეს რუსთველი დიდ საეკლესიო მოღვაწედ ჰყავს წარმოდგენილი, არსებითად აფასტრებს მკვლევარი ელ. მებრეველიც, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ტიმოთე გაბაშვილის ზემოთხსენებული ნაშრომი: „რაკი შოთა რუსთველი აწმიდა ქალაქის“ ეკლესიამ მიიღო და ერთი უდიდესი მონასტრის კედელზე დახატვით ქრისტიანობის წინაშე დასაბურებელ ადამიანად მიიჩნია, ტიმოთეს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მის მართლმორწმუნეობაში ეჭვი შეატანაო“, — ამბობს ელ. მებრეველი და შემდეგ გაკვირვებული განაცხადობს: „ქრისტიანული ეკლესიის ისეთ დიდ მოღვაწეს, როგორადაც „მიმოსღვის“ მიხედვით შოთა რუსთველი წარმოგვიდგება, ვერაფრით ვერ უდგება მგონის ის შეფასება, რომელიც C ავტოგრაფის მინაწერში ჩამოყალიბა ავტორმა. ვერ ეგუება ერთმანეთს ერთი მხრით ჯერის მონასტრის თეატრაზის ინიო მოღვაწე, ხოლო მეორე მხრით მგონისა, რომელიც „სსწყალა ქართველია სიწმიდისა წილ ბილწება და განრყნა ქრისტიანობა“. აქ აშკარა წინააღმდეგობაა.“¹

ელ. მებრეველი უდავოდ მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ „მიმოსღვის“ მიხედვით რუსთველი ქრისტიანული ეკლესიის დიდ მოღვაწედ წარმოგვიდგება, მაგრამ მკვლევარს, ჩვენნი აზრით, არა აქვს საფუძველი ტიმოთეს მსჯელობაში რაიმე არსებითი წინააღმდეგობა დაინახოს; როგორც „მიმოსღვის“ ობიექტურად ანალიზი გვიჩვენებს, ტიმოთე სწორედ იმიტომ ესხმის თავს რუსთველს, რომ იგი წარმოდგენილი ჰყავს ეკლესიის დიდ მოღვაწედ, რომელსაც, ტიმოთეს აზრით, არ შეეფერებოდა და არ ეკადრებოდა ეფეხისტუალის მსგავსი ნაწარმოები დაეწერა. ეს უდავო ქვეშარტებაა, რომელიც რუსთველოლოგიაში ჩვენამდე დღემდე ადრე იყო შემჩნეული და სათანადოდაც დასაბუთებული.

1966 წელს დაიბეჭდა კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის ნაშრომი „ეფეხისტუალის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“, რომელიც ავტორის ჯერ კიდევ 1936 წელს დაუწერია. ამ ნაშრომში ჩვენ ვხვდებით უაღრესად საინტერესო მსჯელობას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. კრძალვ, იქ ნათქვამია: „რატომ „ამხედრდა“ ტიმოთე მართა ეფეხისტუალის“ წინააღმდეგ და დატოვა უყურადღებოდ იმაზე უფრო „ბოროტი“ ეპარქიანი, ლეილმეჩუნინი, ბარამგურანი და სხვ.? მტკიომ, რომ არ მისცემია შემოხვევა, გამოეთქვა თავისი აზრი მთ შესახებ. ეს ერთის მხრით; მეორის, — კიდევ მტკიომ, რომ აღნიშნული თხზულებანი ნათარგმნი

უცხო ენიდან და ეკუთვნიან არაქრისტიანულ ავტორებს, „ეფეხისტუალისა“ კი დაეწერა არა მხოლოდ ქართველს და ისიც ქრისტიანის მიერ, არამედ „ბერისაგან“ (ასეთი იყო ტრადიცია). რომელიც ტიმოთეს ცნობით იერუსალიმადე აღსულა (ეს ხომ, ტიმოთეს აზრით, პირველი მანგვენებელია არა განგრილებული ქრისტიანობისა), ჯვარის მონასტრის „სვეტნი განუახლებია და დაუხატვინებია“ და ისეთი ბედნიერებაც კი სწევია, რომ „თითონაც მიგზხავია მოხუცებული“. ამისთანა აღმამანს შეეწინადა „ბოროტი ლექსის“ დაწერა, არამედ „მოხილვის“ მსგავსი რისამე. ამ ვარკვევებს აღუღლებია მოხუცი ასკეტი და შეუტანია „მოხილვის“ შენაშენებში (და არა ტექსტში, სადაც მოთხრობილია შოთას მიერ ჯვარის მონასტრის განაგება) ის, რაც ზემოთ არის ნათქვამი „ქრისტიანობას ვარკვისისა და ბოროტი ბილწების“ შესახებ.“¹

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კ. ცინცაძის მიერ აქ ჩამოყალიბებული დებულება, რომელიც ჩვენს თეატრაზისსაც კარგად უდგება და საქმის ფაქტობრივ ვითარებასაც სწორად გამოხატავს, ფრიად საყურადღებო და საფუძვლიანი დებულებაა.

ასეთია რუსთველზე ტიმოთეს და, საერთოდ, აღორძინების ხანის, მოღვაწეთა შეხედულების ნამდვილი, მეცნიერული გაგება, რომლის წყალობით სასეზით ცხადი ხდება, თუ რატომა წარმოდგენილი რუსთველის პორტრეტი „წმინდა ქალაქის“ უდიდეს მონასტერში.

რაც შეეხება თანამედროვე რუსთველოლოგიაში დღემდე გაბატონებულ ოფიციალურ თეატრაზისს, ეფექტობით, არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ ამ თეატრაზისის მიხედვით შეუძლებელია ოდნე მიინე დამაჩერებელი პასუხი გავცეს ასეთ სრულიად კანონიერ კითხვებს: თუი მართლა რუსთველი ერისკაცი და ეკლესიის მოწინააღმდეგე იყო, რატომ უნდა წასულიყო იგი სამოღვაწეოდ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, ან ვბრუნა მონასტრის სვეტებს შესაკეთებლად? არ კიდევ: რატომ უნდა დაეხატვინებინა მას თავისი თავი მონასტერში და თანაც, — ეკლესიის წმინდა მამების წინაშე მუხლმოდრეკილი მლოცველის სახით? რაში დასკირდებოდა უოველიც ეს ეკლესიისა და ქრისტიანობის მოძულე პოეტს?

სუნებული თეატრაზისის მიხედვით, ასევე აუხსნელი რჩება, თუ რატომ უნდა მიეწვია ჯვარის მონასტრის სასულიერო კრებულს თავის მონასტერში ეკლესიისა და ქრისტიანობის

¹ კ. ცინცაძე, ეფეხისტუალის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, წიგნში „შოთა რუსთველი. ისტორიულ-ფილოლოგიური მიგზნა“, გვ. 262.

¹ ტ. გაბაშვილი, მიმოსღვა, გვ. 059.

მოწინააღმდეგე პოეტი; რატომ უნდა იყოს მისთვის ესოდენ დიდი პატივი და დავახტა მისი პორტრეტი ქართულ მეფეთა და მღვდელმთავართა პორტრეტების გვერდით? განა ყოველისმეძმულე ქართულ გულსას, რომელიც ხშირად თვით შეფუცხვასაც კი თავის ნებაზე ათამაშობდა, ვაუჭირდებოდა ქრისტიანობის მოძულე პეტრესა და მის ნაწირობებს ვასწოებოდა? რა სიფიქრებელი!

ერთი სიტყვით, ყველა ჩვენთვის ცნობილი ფაქტი და მოვლენა, თუ მათი ობიექტურად განვიხილავთ და თავალ წინასწარ შედგენილი აზრით არ დავიბრმავებთ, გვიჩვენებს, რომ აღორძინების ხანაში კარგად სცოდნადა, რუსთველი რომ სასულიერო პირი, გამოჩენილი პოეტი და მღვდელმთავარი იყო. ამით უნდა აიხსნას, სხვათა შორის, ის საუერადღებო ფაქტიც, რომ იმ დროს იწერებოდა „რუსთველი“ და არა „რუსთაველი“. როგორც ისტორიული წყაროები ერთსავერდზე გვიჩვენებენ, რუსთაველი მღვდელმთავრები „რუსთველებად“ იწოდებოდნენ და სწორედ ამიტომ იწოდებოდა გეგმატიკოსონის ავტორიც „რუსთველად“. მაგრამ შემდეგში, როცა თ. ბაგრატიონისა და მის მიმდევართა წყალობით, სახელი დაშორდა თავის საგანს და მისა მამდელი მნიშვნელობა დავიწყებული იქნა, სწორი დაწერაობაც დაიკარგა და მის ნაცვლად გაჩნდა უკვე საერო ელფერის დაწერაობა „რუსთაველი“.

შეძლება შეგვეკითხოვნ: თუკი აღორძინების ხანის მოღვაწეებმა იცოდნენ, რომ რუსთველი სასულიერო პირი იყო, მაშინ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ისინი რუსთველს იხსენიებენ ხან თამარ მეფის მღაენად, ხან კიდევ მეტრეპლეთუბუცესად, — ეს თანამდებობები ხომ საერო ხასიათის თანამდებობებია?

ასეთი შეკითხვა კანონიერია და მას პასუხი უნდა გაეცეს, სამეფო ისა, რომ ხსენებული თანამდებობები, აღორძინების პერიოდის მოღვაწეთა საფუძვლიანი წარმოდგენით, ადვილად შეეძლოთ დავაკვირებინათ (და ძალიან ხშირად იკავებდნენ კიდევ) სასულიერო პირებს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში მეფეთა მღვდლებად და აგრეთვე ელჩებად ხშირად ინიშნებოდნენ სასულიერო პირები, რომლებიც იმ დროს ყველაზე განათლებული ადამიანები იყვნენ. მაგალითად, თვით ჟვარის მონასტრის წინამძღვარი, ცნობილი მღვდელმთავარი ნიკოლოზ-ნიკოლოზ ნოდარ-ყაშივილი ერთ დროს თეიმურაზ I მღაენად მუშაობდა.¹

რაც შეეხება სასულიერო პირის მეტრეპლეთუბუცესობას, არც ეს იყო დაუქარებელი

ან საკერძოელი მოვლენა ფეოდალურ საქართველოში/ თუკი ვაზირთა უმძინველესმა² მამწიგნობართუბუცესი სასულიერო³ მამწიგნობართუბუცესი სასულიერო და მკურნაიდელ ეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა, რატომ უნდა ყოფილიყო საკერძოელი რუსთველი ეპისკოპოსის მეტრეპლეთუბუცესობა? აჯაღ. 5. ბერძენიშვილი, რომელმაც საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ფეოდალურ საქართველოში საგანბრო ინსტიტუტის შესწავლას, დადგინილი აქვს ასეთი საინტერესო ფაქტი: XI საუკუნის ცნობილი გამოჩენილი მოღვაწე პეტრე პატრიცი (პატრიცი ბიზანტიური წარმოშობის მაღალი საეროისკაციო პატივია და დაახლოებით ქართულ ერისთავთ-ერისთავს უდრის) ბერა, ე. ი. სასულიერო პირი იყო, თუმცა დიდხანს საერო სამსახურში ითვლებოდა.¹ აქედან ცხადია, რომ სასულიერო პირებს შეეძლოთ საერო ხასიათის თანამდებობაზე ყოფილიყვნენ და ეს ფაქტი ფეოდალურ საქართველოში აიკავს გააკვირვებდა.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხომ შეძლება ისეთი სიტუაციის წარმოდგენა, როცა სასულიერო პირი თავს ანებებს ბერ-მონაზვნობის და იმეფ ერისკაცთ ხელზე, ან პირიქით? ამაგარი შემთხვევები ძველად იშვიათი რაღი იყო. ამ აზრის სიალუსტრაციოდ საქმარისა ვავისენოთ სულხან-საბას, ან კიდევ თორნიც ერისთავის ცხოვრების მაგალითები, რაც ყველასათვის ცნობილია.

ამრიგად, არ არსებობს არც ერთი ფაქტი, არც ერთი ცნობა, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს იმ აზრს, რომ ე. წ. აღორძინების ხანაში⁴ ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგად იყო ცნობილი რუსთველის, როგორც სასულიერო პირის, ენობა. რაც შეეხება რუსთველის წარმოშობას, ამაზე აღორძინების პერიოდის მოღვაწეთა აზრი განაპირობებელი იყო თვით გეგმატიკოსონის ტექსტის მონაცემებით, კერძოდ ფსევდორუსთველური სტროფით—„ესწერ ვინმე მესხს შელესე“. ამის შესაბამისად ხსენებული პერიოდის მოღვაწეებს მიანდათ, რომ რუსთველი წარმოშობით იყო მესხი ანუ ჯავახი (ე. ი. მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრი).

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საინტერესო და საუერადღებო მომენტი: მართალია, აღორძინების ხანის მოღვაწენი ლაპარაკობენ რუსთველის მესხობა-ჯავახობაზე, მაგრამ ისინი მესხეთის რუსთავეს არსად არ ახსენებენ. ეს ძალიან ღამაბასათებელი ფაქტია და ამჟამად მაწიშობს, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არ იღვა „ორი რუსთავეს“ პრბობა. მართლაც, რაყი აღორძინების ხანის მოღვაწეებმა იცოდნენ, რომ ტერმინი „რუსთველი“ დაეკუთრებულა მღვდელმთავრის საქმიანობა-თანამდებობასთან და, მაშასადამე, ქალაქ რუსთავეთან, რაღად

¹ ს. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 107.

¹ 5. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 34.

დაწვევებდნენ ისინი კიდევ სხვა რუსთავის ძეგ-
ნას?

ასეთი იყო საქმის ვითარება იმ დრომდე,
ვიდრე თეიმურაზ ბაგრატიონი შეუდგებოდა
თავისი რუსთველოლოგიური კონცეფციის ჩი-
შოვალბების, ე. ი. XIX საუკუნის 30-იან წლე-
ბამდე. ამ პირობებისადმი დასტურებს იოანე
ბატონიშვილის ერთი ნაშრომი, რომელიც, ე-
თაჟაბშვილის აზრით, 1820-1827 წლებში უნდა
იყოს დაწერილი და რომელშიც რუსთველის
ვინაობის ზუსტად ისეთივე გაგებაა გადმოცე-
მული, რაც აღოჩინების ხანაში საყოველთაოდ
მოდებულ იყო. ხსენებულ ნაშრომში იოანე
ბატონიშვილი რუსთველს უწოდებს „ფილოსო-
ფოს ლეთისმეტყველს“, რომელიც გამოცდილი
იყო „სადღრთოთა და საერთაა წერილთა შინა“
და რომელმაც „სიბრძნის მოყვარობასა შინა
გარდაღლურ წელნი თვისნი“.¹

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის ოციან
წლებშიც რუსთველზე იგივე შეხედულება
პროდუცირდა, რაც წინა პერიოდისათვის იყო დამა-
ხასიათებელი. მაგრამ სულ მალე, როგორც
თქვა, მდგომარეობა შეიცვალა: ტრადიციული
შეხედულება ემსკვენა და დაყენებული და
განდა ახალი, თავსატეხი პრობლემები, რომ-
ელთა ირგვლივ დაუსრულებელი დავა-კამათი
გაჩაღდა.

უნდა იღინიშნოს, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის
კონცეფციამ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი
მიმხრობდა და დამცველი გამოჩნდა, მაინც
ეჭვარა შესძლო ლიტერატურის საპარზოდან წი-
ნანდგო, ტრადიციული შეხედულებების საფ-
სებით განდევნა. საგულისხმოა, მაგალითად,
რომ XIX ს. პირველი ნახევრის ისეთმა გამოჩე-
ნილმა მეცნიერებმა, როგორც დ. ჩუბინაშვილი
და პ. იოსელიანი იყვნენ, არ გაიზიარეს
თეიმურაზის კონცეფციის ის ნაწილი, რომელიც
რუსთველის ბერად აღკვეცის ტრადიციულ
გადმოცემას უარყოფდა. თუმცა ეს მეც-
ნიერები თეიმურაზის თანამედროვენი იყვნენ
და მისი შეხედულებების გარკვეულ ფაქტურ-
საც განიცდიდნენ, მაგრამ მათ ლიტერატურაში
ადრიდანეე ვაბატონებული თვალსაზრისი,
რომელიც გადმოცემას ემყარებოდა, თეიმურა-
ზის თვალსაზრისზე მაინც უფრო სარწმუნოდ
მიიჩნეეს. ნაშრომში «О грузинской поэме
Вепхис-Ткаосани или Барсова кожа», რომელიც
გასული საუკუნის ორმოციან წლებში სამ-
ჯერ დაბეჭდა, პროფ. დ. ჩუბინაშვილი, აღნიშ-
ნავდა: «Шота Руставель родился в незна-
чительном городе Рустави, в провинции

Ахалцихской¹. О жизни его сохранилось
мало сведений. Известно, — и то по пре-
данию, что он получил образование в
Афинах, и, возвратись оттуда, стихотворе-
ниями своими обратил на себя внимание ца-
рицы Тамары... В последствии времени поэт,
по словам Грузинского Митрополита Тимо-
фея, вступил в монахи. Последние дни сво-
ей жизни он провел в Иерусалиме, и погре-
бен там же в монастыре Св. Креста².

როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილი აშკარა-
დ უგულვებელყოფს თეიმურაზის ვერსიას, რომელიც
გვირგვინებს, რუსთველი ბერად არ
შემდგარო, და ძალაში სტოვებს ამ საკითხის
ტრადიციულ გაგებას.

ზუსტად ასევე იქცევა პ. იოსელიანიც. ნაშ-
რომში „Шота Руставели“, რომელიც გაზეთ
„კავკაზში“ დაბეჭდა და ცალკე ბროშურად
გამოიცა, ის ამბობს: «Руставели — певец Ца-
рицы Тамары, был настроенна духовного.
Он доказал это остатками жизни своей,
посвященной монашеству, слезам и покоя-
нию у подножия Голгофы в Иерусалиме³
და შემდეგ «Тимофей митрополит... видел в
Иерусалиме, в церкви, св. Креста... и моги-
лу его, и, портрет его на стене храма в
власянице подвижника⁴.

როგორც ვხედავთ, პ. იოსელიანის რწმენით
რუსთველი თავიდანვე სასულიერო განწყობი-
ლების შერაღი ყოფილა, სიბერეში კი ბერად
იდგევილა და სიცოცხლის უკანასკნელი დღე-
ები ცრემლმდებლად და ლოცვა-კრთობებში გაუტრ-
ყვებოდა. ამასთან პ. იოსელიანი გვირგვინებს, რომ
თითქოს მიტროპოლიტ ტიმოთეს მისი პორტრეტი
ჯვარის მონასტერში „ბერის (სსკეტის)
სამსახურში“ ენახოს.

დ. ჩუბინაშვილისა და პ. იოსელიანის ცნობე-
ბი რუსთველის ბერად შედგომის შესახებ და
თანაც მათ მიერ ტიმოთეს „მიმოსლვაზე“, რო-
გორც წყაროზე, მიითუება თანამედროვე
რუსთველოლოგთა შორის დიდ გაავიწყებას

1 თუ არ ვცდებით, ეს უნდა იყოს პირველი
შემთხვევა ლიტერატურაში მესხეთის რუსთავის
შემოტრანსა. როგორც ჩანს, ამ გზით დ. ჩუბი-
ნაშვილს, რომელიც უფრო ადრევე იცნობდა
თეიმურაზის ნაშრომს, სურდა მისი ახალი კონ-
ცეფცია, ნაწილობრივ მაინც, შეეთანხმებოდა ლი-
ტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციასთან,
რომლის მიხედვით რუსთველი წარმოშობით
მესხეთ-ქავკასიტიდან უნდა ყოფილიყო.

2 ვაზ. «Закавказский Вестник», 1950, № 41
(ავტორი: ЖМНП, 1842, XXXV, отд. II, გვ.
115; ქართული ტრესტიმითაა, часть вторая,
1846, გვ. III—IV).

3 П. Иоселиани. Шота Руставели, г. Ду-
шет 1870, გვ. 19;

4 იქვე, გვ. 6.

¹ მცირე უწყება ქართულთა მწერალთათვის
(კრებულში „ძველი საქართველო“, ტ. I, 1909,
გვ. III, გვ. 25).

² „მნათობი“, № 2.

იწვევს, რადგან „მიმოსღვის“ იმ ხელნაწერებში, რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევიათ, არ მოპოვება არავითარი მითითება არც რუსთველის ბერად შედგომაზე და არც მისი პორტრეტის ჩაქმულობაზე. ამასთან დაკავშირებით აქად აღ. ბარამიძე ამბობს: „საკვირველია, რომ ტიპოთე გაბაშვილის „მიმოსღვის“ პირველი გამოცემული პლ. იოსელიანი ტიპოთეს მიაწერს, თითქოს მან იერუსალიმში ნახა რუსთველის სურათი „ბერის სამოსელში“ და პოეტის საფლავი. ასეთ ცნობებს უმართებულად მიაწერენ ტიპოთე გაბაშვილი შ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, აღ. ხაბანაშვილი და სხვ.“¹

ჩვენი აზრით, იმ ფაქტში, რომ XIX ს. მეცნიერები ტიპოთე გაბაშვილს ზემოთხსენებულ ცნობას მიაწერენ, საკვირველი არაფერია, რადგან, ვერ ერთი, ისინი ეყრდნობიან ტრადიციულ გადმოცემას, მეორეც, — პ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილისათვის, რომლებიც აღორძინების ეპოქის ტრადიციებზე აღზრდილი მეცნიერები იყვნენ, სულაც არ იყო აუცილებელი, რომ ტიპოთეს სავანეებოდ აღენიშნა რუსთველის ბერად შედგომის ფაქტი, ან კიდევ მისი ჩაქმულობის ხასიათი, რადგან „მიმოსღვიდან“, როგორც ზემოთ დავარწმუნდით, თავისთავად გამომდინარეობს ის აზრი, რომ რუსთველი სსუღიერო პირი და მღვდელმთავარი, ე. ი. ბერი იყო. პ. იოსელიანი თვითონაც არავითხელ აღნიშნავდა, რომ რუსთველი იყო „კაი ბრძენი, ღვთის-მეტყველი და ფილოსოფოსი“.²

როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილისა და პ. იოსელიანის მოწმობა კიდევ ერთი უტყუარი საბუთია, რომელიც უდავოდ ადასტურებს ჩვენს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ქართული ლიტერატურის ტრადიციული შეხედულებების მიხედვით რუსთველი სსუღიერო პირი იყო. ეს ტრადიციული შეხედულება თეიმურაზის კონცეფციამ გვეს ქვეშ დაყენა და საჯაროობად შეაჩუყა, მაგრამ საესგებთ მთინე ვერ მოხმა. ამას მოწმობს როგორც რეკოლეციამდელი, ისე საბჭოთა პერიოდის, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, სადაც მუდამ ცოცხლობდა ხალხურ

გადმოცემაზე დამყარებული აზრი რუსთველის ბერად შედგომაზე.¹

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის შედეგად დამტკიცებულად უნდა ჩითვალოს შემდეგი დებულებები: ვერ ერთი, როგორც ხალხური შემოქმედების, ისე ქართულ ლიტერატურაში ძველიდანვე დამკვიდრებული შეხედულებების მიხედვით, რუსთველი იყო სსუღიერო პირი ანუ ბერი; მეორეც, აღორძინების ხანის მწერლებმა და მეცნიერებმა კარგად იცოდნენ, რომ „რუსთველი“ ნიშნავდა სსუღიერო პირის, — რუსთავის მღვდელმთავრის ზედწოდებას ანუ ტიტულს, მაგრამ ეს უკმაყოფილება შევანებულად, თავისი „პატრიოტული“ მიზნების შესაბამისად გვეს ქვეშ დააყენა თეიმურაზ ბაგრატიონმა, რომელმაც შექმნა ყალბი კონცეფცია და სრულიად უსაფუძვლოდ გამოაცხადა რუსთველი ერისკაცად; მესამე, თეიმურაზ ბაგრატიონისა და მისი მომდევნების შეხედულებებმა ვერ მოსპო ტრადიციული შეხედულება რუსთველის ბერად შედგომაზე, რომელიც დღემდე ცოცხლობს.

მწელი შესაშინევი არ არის, რომ ეს დებულებები მიღწიანად და საესგებით უტყუარ მხარს ჩვენს მიერ წამოყენებულ თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის ავტორის ეთნობაზე და ამავდროს ვკრიტიკებენ იმ გზას, საითაც ამ პრობლემის შემდგომი კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს.

გულადღივართ შემდეგ საკითხზე.

ახლა, რაი ჩვენ დავარწმუნდით, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის სსუღიერო პირად და რუსთავის მღვდელმთავრად აღსაჩინებას ეთანხმება და ადასტურებს როგორც გეოგრაფიული ადგილებიდან სახელწოდებათა წარმოქმნის კანონზომიერება, ისე თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები და აგრეთვე ხალხური ლიტერატურული ტრადიციები, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ვაგვიცნოთ ისტორიული წყაროების მონაცემებს ქ. რუსთავისა და რუსთველ მღვდელმთავრებზე. მათი გაცნობა, უფრო ახლოს დაგვანახებს იმ წრესა და გარემოს. სადაც გენიალური ქართველი პოეტი მოღვაწეობდა და ახალ შექმს მოპოვნეს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

□ გაბრძობა იმდინა □

¹ აღ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 59

² იხ. მისი შენიშვნა წიგნში „თამარ მეფისა და მეფელობის მისისა დავით მეფისა შესახებ“, 1838, გვ. 5-6.

¹ ვ. თავართქილაძე, ვეფხისტყაოსანი, 1892, შესავალი, გვ. VIII; დ. კარიჭაშვილი, ვეფხისტყაოსანი, 1903, წინასიტყვობა, გვ. XXVII; ნ. შარი, „Вступит. и заключ. строфы Витязя в барской коже Шота в Рустави“, 1910, გვ. 51; კ. აქყელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 116-117

«ვიკიპიას» ავტორი

მაღალი პოზიციებიდან ჩვენი პრინციპების ქადაგებას რომ თავი დავანებოთ და ჩვენს ყოველდღიურებაში ჩაეხედეთ, დავინახავთ, რომ საქმეს ხშირად ვნებს წმინდა წყლის უპრინციპობა. თუ კრიტიკოსი მოწოდებულია მოამზადოს მკითხველი ნაწარმოების გასაგებად, ზოგჯერ საწინააღმდეგო პროცესის მოწვევდებით, რადგან ზოგიერთ, კრიტიკოსად მოეწონილიათვის მთავარია არა ის, თუ რა და როგორ დაიწერა, არამედ, ვინ დაწერა და... რა უფრო ხელსაყრელია მისთვის ამ ნაწარმოების ქება თუ განქიქება.

შეიძლება აფთხაქის სასწორს არ მოეთხოვებოდეს ისეთი სიზუსტე, და მოწინავე ისეთი კეთილმინდისიერება, როგორც ლიტერატურულ კრიტიკოსს, რადგან მას იმ აღამაინთან აქვს საქმე, რომელი მძიმე ინტელექტუალური შრომისა და ლეთისაგან მომადლებული უნარის ფასად ქმნის რაღაც ახალ ღირებულებას. ეს ქმნილებანი ცხადია, ერთი ღირებულებისანი არ არიან, მაგრამ ჩვენ შორალური თვალსაზრისით როგორღაც ვალდებულები ვართ მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს იმ მხრივაც, რომ წაეკითხოთ არა მარტო ის, რაც დიდებულა, არამედ შეძლებისდაგვარად ისიც, რაც საშუალოა, ან ჯერ სუსტია, მაგრამ დახმარების შედეგად მალე წელში გაიპართება.

თუ ჩვენი ლიტერატურის როგორც კარგის, ისე საშუალოს ან თუნდაც სუსტი ნაშრომების წაეკითხვისა და საჭაროდ ან უშუალოდ ფტორებთან სჯაბასზე «დროს კარგავდნენ» დიდი გულისა და ინტელექტის აღამაინები, თუ ათეული წლების მანძილზე ამ საქმის კუბანს ეწვევიან ჩვენი საუკეთესო მწერლები, კრიტიკოსები, უფლება არა ვაქვს ამ ტრადიციას მოპეალშაივ ვულარტოთ და შემდგომში თაობებმა მარტო საკუთარ თავზე იფიქრონ და თუნდაც გულში ვაავლონ «Моя хата с краю, я ничего не знаю».

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, გადავწყვიტე პირთუნულად ვეარჩიო ი. ურჭუმულაშვილის ნაწარმოებზე «ვიკიპია» და ჩე-

მი მიუყრდობეული შეხედულება წარმოუდგინო მკითხველს ამ წიგნზე.

სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ «ვიკიპიას» ტირაჟი ოციათასია. წიგნი გამოჩენისთანავე სულ რაღაც ორ საათში გაიყიდა. და როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, ორმოციათასმა მკითხველმა მინდ წაეკითხა. რამ დაინტერესა, რამ შესძრა ასე ჩვენი მკითხველის ეს ვეებერთელა ტალღა? — მე ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, იმ საეკითხებმა, რომლებსაც ავტორი ნაწარმოებში ასე მწვავედ ეხება.

მოქმედება, ორივედ ეპიზოდის გამოვლით მთლიანად მიმდინარეობს ქართლის სოფელში, რომელსაც ავტორი «კადრებად» ნათლავს.

«ვიკიპიაში» მოთხრობილია ერთ გოგონაზე შეუვარებელი სამი ვაჟისა და თანამდებობის პირების შიერ თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამბავი. ერთი მხრივ არის კოლმეურნეობა და მისი აღამაინები შიერე მხრივ რაიონის ხელმძღვანელობა.

ნაწარმოების ტექსტი, ასე ვთქვათ, ზედაპირი, სასიყვარულო ტრადიციული შებლონი და თანამდებობის პირთა თაღლითობაა, ქვეტექსტურ კი ისაა, რომ — ჩვენი დრო, რომელმაც ამდენი სასწაული მოახდინა ჩვენს პლანეტაზე, ჯერჯერობით მთლიანად და საბოლოოდ ვერ თრგუნავს აღამაინური ვნებების ზოგიერთ შახნაყ გამოვლინებებს — არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც ჩუყუანი, მაგრამ რაღაც გარემოებით ძლიერი ჩავრავს მართალს, რომელიც გავლენით მისზე სუსტია.

რა თქმა უნდა, ეს ახლა კეთდება უფრო ოსტატურად, გაუმჯაღვებლად, მაგრამ ყველა გრძნობს რომ ეს ამბავი ძველი და უცხოა.

«ვიკიპიას» სიუჟეტი საკმაოდ საინტერესო, მოქნილი და ტყეადია, ამასთანავე საკმაოდ ტრადიციულიც. მაგრამ მწერალი მხოლოდ იქიდან იწყება, როცა ის სიუჟეტური სქემის ჩონჩხის ხორცშესხმას შეუდგება. მანამდე კი მარტო სიუჟეტით ისევე ძნელად საცნობია მწერალი, როგორც ჩონჩხის მიხედვით რომელიმე აღმინი.

და, აი, იწყებს მწერალი ხორცშესხმას, მთავარი გმირების ბატყით და ზამით სიუჟეტის ფერხულში, უფრო სწორად, მთავარი გმირების

ხასიათისა და მისწრაფებების შესაბამისად სიუჟეტის გამაფრებებს და მოგონებებს განვითარებებს.

რა ხასიათებია ეს ხასიათები?

მაველას ჩრდილელი ანუ „ქაიამია“, როგორც მას საალერსოდ ეძახის გამოყენებული მამუკა, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ნაწარმოებში, უფრო სწორად, ასეთად უნდა ქცეულიყო იგი, რომ ავტორი უფრო მეტად ჩაეკარგებოდა ამ სახეს და უფრო მეტად სერიოზულად მოეკიდა ხელი მისი რელიეფურად გამოძიარწისათვის.

მამუკას ბავშვობიდან უყვარდა მავალა. მამუკას ქარში გაწვევის შემდეგ ქაიამიას შეუჩინდა კოლმეურნეობის გავლენიანი ფიგურის — შონაგარიშე რევაზ ეფრემიძის ვაჟი — ვიგლა. ვიგლამ ქალიშვილის გული როგორღაც მოინადრა და გადაიბირა. მავალას სამედიცინო ინსტიტუტში შესვლას ცდილობდა, ჩაბარა ეიდევაკ გამოცდები, ქულები მოაგროვა, მაგრამ არ ჩაირიცხა. სოფელში დაბრუნებული, კოლმეურნეობაში იწყებს მუშაობას, ჯერ ნაკვეთში, შემდეგ ფერმაში. აქვე ირყვება, რომ მავალას თვალში მოსდის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — ვაშაქიძესაც. თუმცა მამუკა ქარიზიდან დაბრუნდა, მაგრამ მავალას მაინც ვიგლას თანაუგრძობს; (სადაღაც ამ ეპიზოდების შიშულში უნდა დაგვხატოს მწერალმა მავალას სულიერი მდგომარეობა და ის ვაკრძოვება, რაც მას აიძულებს ისევ ვიგლასთან დარჩეს და მამუკას ზურგი შეაქციოს). სანამ ეს უბაუთე ვაშაქიძის რჩევით და აქტიური ჩარევით მოულოდნელად არ შეირთავს პარტიული ხელმძღვანელს — ნიკო მშვიდლობაძის მეუღლის დასქუთინოს. პირისპირ შეხვედრისას თაღლით და მძალაღრც ვიგლას მავალას სახლის ცემით უშასპინძლდება. შემდეგ მდინარეში თავის დახრჩობასაც კი განიზრახავს გაწბილებული და შეურაცხყოფილი, მაგრამ გადაიფიქრებს და საბოლოოდ თავის ბედს ისევ მამუკას უკავშირებს.

როგორ ჰყავს ავტორს მავალა ჩრდილელი დახატული; რა იდეურ ფუნქციას ასრულებს ის ნაწარმოებში. ეს პერსონაჟი (მდგომარეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი) ზემო აზრით დახატულია მკრთალად, რადგან მხოლოდ ზოგადი დახასიათებით ქმარყოფილება ავტორი და ვერ პოულობს ისეთ საღებავებს მდგომარეობის შესატყვის ისეთ ხალხს და, ფსიქოლოგიურად დამოყრებულ ნუნანსებს, რომ მავალას რელიეფურად გამოიკეთოს და საკუთარი სიციცხლით იციცხლოს. მავალას აუცილებლობას რომანში განაპირობებს სამ უბაუთან შეყვარება მასზე და არა მისი რაიმე დიდი და მკაფიო მოქალაქეობრივი მისია. ავტორი ცდილობს მავალას სახით ლამაზი, სათნო და სიმპათიური ქალიშვილი წარმოვიდვი-

ნოს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ის იქცევა საკმაოდ არა სიმპათიურად, და ისევე, მისთვის ავტორი აკისრებს მხოლოდ იმიტომ, რამე მისი მავალითზე შეიხვედეს დაინახოს — ის რა დეკორატივად ქალს, რომელიც პირველ შეყვარებულს უღალატებსო. ეს ტრადიციული ასე აშკარად და თეთარი ჭაფიფ ნაკერი იმიტომ ჩანს, რომ მავალას ძირითადად მაინც სქემის სახით არის წარმოდგენილი ნაწარმოებში. და მისაქცევა უმეტეს შემთხვევაში არ ატარებს ღრმა ავტორისეულ მოტივირების დაღს და ლოგიკური კანონზომიერებით არაა გაპირობებული. ეს ვაკრძოება სახეს უკარგავს დამაწყვრებლობას და პერსონაჟი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ლოდევით მძიმე, ახლა ბამბასავით მსუბუქია. ამ პერსონაჟის მკრთალად წარმოსახვა დიდად განაპირობებს თვით რომანის მხატვრულ დონეს. მავალას ხასიათი ყველაზე მრავალწახნაგვანად უნდა ჩანდეს ნაწარმოებში, მას კი მხოლოდ ერთ ასპექტში ვხედავთ — როგორც შეყვარებულს (სხვა შემთხვევებში მას საქმიანობას ვამოცდაზე — ინსტიტუტში, თუ საქმიანობა სოფელში ვაკვრით ვხედავთ ავტორი) (რომელიც პირველი ვამოკიდებული, თუმცა ოჯახი აქვს, მამაც ჰყავს, დედაც და წარმოადგინეთ — შეიდი დაც. ავტორს როგორღაც უნდა ეზრუნა ამ თავისებურად ორიგინალური, რეაქციონულიაანი ოჯახის კოლორიტული დახატვისათვის. ეს ერთი ოჯახი მაინც ყოფილიყო რომანში სრულყოფილად წარმოდგენილი.

დედამამის ზურგიე უცხლი ინსტიტუტში მავალას ჩაურციხობის თუ სხვა შემთხვევების გამო, ვერ ვეიქმნის წიმიოდგენას, რომ ახლობელთაგან მავალას გვერდით ვინმე იმყოფება. მისი ოჯახის წევრებიდან მხოლოდ მამა, ომის ინვალატი (ცალფება) კოლმეურნეობის პარტიკანინაუციის მდივანი, ესკოზურად ჩახატული რომანის სიუჟეტურ ქსოვილში, რომელიც არც თავისი ბედის მკუდელია, არც ქალიშვილისა და, საერთოდ მუდღერო ცხოვრების მოყვარული, საკმაოდ უხერხემლო იდამიანად გამოიყურება. ის მარტო ვაკვიროს კი არ არის ჩრდილელი, არამედ მართლაც ჩრდილია საერთოდ იმ ტიპის ადამიანებისა, რომლებმაც ომის მძიმე გზა კი ვაიარეს პირნათლად, მაგრამ ცხოვრების მშვიდობიან ვითარებაში ბრძოლის თავი იტარა აქვთ და ცხოვრების მდინარეებს გულხელდაკრეფილი მიჰყვებიან.

ერთი შეხვედრით სიყვარულის პერიპეტეებში მავალას პარტიითი მამუკა უნდა ვამხდარიყო, (მიუხედავად იმისა რომ ის მავალამ ვიგლაში ვასცეცლა) მაგრამ ნაწარმოებში მისი ადვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ვაშაქიძემ დაიკავა (რადგან თუც ვინმეა „ქაიამიაში“ დახატული და საკუთარი, მკაფიოდ გამოკვეთილი სახეც ვაიჩნია, ეს უბირველეს ყოვლისა ვაშაქიძეა.

ნაწარმოებში ჩამდენიმე მოქმედი პირის ბიოგრაფიის ვეცნობით, რომელთაც ანექტორი ეთხევის პასუხის მსგავსად გვამცნობს ავტორი. ამათგან ყველაზე სული, დამაჯერებელი და საფუძვლიანი მხოლოდ ვაშაყიძის ავტორისეული ბიოგრაფიაა. აქ ავტორი მარტო ფაქტების გადმოცემით კი არ კმაყოფილდება, არამედ ამ ფაქტებს როგორღაც თვით აღმაშინის სულსა და გულს უკავშირებს და საქციელის ყოველ გამოვლენებაში მისი შინაგანი რაობის და ინტერესების რომელიღაც ბნელ კუნძულში გვახედებს. პერსონაჟს მკითხველის თვალწინ დინჯად, გულმოდგინედ ძერწავს და ამ ხასიათისათვის როგორღაც უფრო ადვილად პოულობს ისეთი საშუალებებს, რომლებიც ვაშაყიძის პიროვნებას არა მარტო ზღვსაყრელად განსხვავებენ დანარჩენებისაგან, არამედ ერთგვარ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობასაც კი უღვიძებს მკითხველს მისდამი; ავტორი მკითხველს, როგორც უკვე ვთქვით, ვაშაყიძის სულის ყველაზე ღრმა და ყველაზე დაფარულ ხეულებში ახედებს. ამ ნდობისათვის მკითხველი ნდობითი უხდის მწერალს და მის მიერ ამგვარად დახატული პერსონაჟის ყოველ ნაბიჯს ინტერესით აღევნებს თვალყურს, დოუხარებლად მიჰყვება მას და, შემდგომში, უკვე ავტორის რეზონანსის გარეშე, ვაშაყიძის ხასიათის ყოველ გამოვლენებაში ამა თუ იმ მიზნის დასახებისა თუ წინააღმდეგობის გადალახვის დროს, ეკვივრება არ ენატრება, რომ ასეთი ზნის კაცი, სწორედ ისე მოიქცეოდა, მართალია, ვაშაყიძის ხასიათის ხაზი ზოგან გამრუდებულია, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის ცოტად თუ ბევრად მოკლებული, რადგან ოსტატობა აქაც ყოველთვის არ ყოფნის ავტორს, მაგრამ ძირითადად და მთლიანობაში ვაშაყიძის ხატვის დროს დასახულ ამოცანას ავტორი შედარებით უფრო ვერევა.

ვაშაყიძე ნაწარმოებში ავტორს შემოჰყავს, როგორც განებოვრებული დედისერთა, რომელიც ზარმალკობს და გაჭირვებით გადადის ქვასიდან ქვასში. შამაშისი რომელიღაც სამრეწველო მფლობელი მუშაობს და, კაცს, რომელიც ამბობს — „პურის ფულს ვმოულობო“, ეტყობა, როგორი პატიოსანი მშოვნელიცაა, რადგან ალბათ ხელაშლილად ცხოვრობს, რაკი შვილს ავარაყებს არ აკლებს, მოსკოვშიაც კი გზავნის სასეირნოდ: „გვიცნოს ხალხი, გავგოს ცხოვრების ასავალ-დასავალი, სხვა თუ არაფერი, რუსულს ისწავლისო“. არ ვიცი თუ რუსული ისწავლა თუ არა ვაშაყიძემ, მაგრამ საბოლოოდ ვერმუნდებით, რომ ამ თავიღებულ ბელადში ბევრი ცუდი რამ ნამდვილად ისწავლა. განებოვრებულ ახალგაზრდას მოულოდნელად მამა უყვდება და ვაგრაჟს განცხრობაში მყოფი იძულებულია დაბრუნდეს. თქახი გაჭირვებაში ვარდება, დედა, კარის მეზობელს, რაიონული ვაზეთის რედაქტორს — ნიკო მშვი-

დობაძეს სთხოვს მისი შვილი — რომელი საღმრთო სამსახურში მოაწუოს. რომელსა საშუალო სისწავლებელი აქვს დამთავრებული. მშვიდობაძე კორექტორად ღებულობს რედაქციაში, შამიონ ობრთ ბეჟს. ამ დროისათვის რომელი ვაშაყიძე უკვე საქმაოდ თვალბახელი იყო „ვირემიკა“ ყმაწვილია. ის ადვილად და სულ მალე იკეთებს კარიერას ჯერ რედაქციაში, შემდეგ სოფელში, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ფრთხვებს რაკ შეუძლია ფართედ შლის და თაღლითობაში არა თუ ვინმეს ჩამოუვარდება, ამ საქმეში ყველას მფარველი და სულისჩამდგმელი ხდება. ეს სოფელი მისია!

ნაწარმოებში, როგორც ვგვლასათვის, ისე ვერსიანისათვის, ცენზორებისათვის თუ მავალ-მავლისათვის ავტორს, ასე ვთქვათ, მოზრდილი აქვს სათანადო ნაკვეთი, მაგრამ არც ერთი ამ ნაკვეთითაგან სათანადოდ დამუშავებული არ არის. მართალია, ერთი შეხედვით იცნობ, რომელი რომლის „ნაკვეთია“, მაგრამ ამ სახეებს აცლიათ ბერიც ის მხარე, რომლებიც აღმაშინს უფრო ცოცხლად, მრავალფეროვნად და დამაჯერებლად წარმოგვიჩვენებს. თუ ის ოსტატობა, ის ფორმალური ხერხები, ის ფერები, რაც ავტორის განაჯარღვლებაშია, ყოფნის, ვთქვათ, მას, ვაშაყიძის და თუნდაც მამუკას შამის — ოქროს დასახატავად, არ ყოფნის სხვა ზემოთ დასახილებული პერსონაჟების დასახატავად, რადგანაც ეს პერსონაჟები თავისთავში, მართალია შეიცავენ რაღაც ახალს, მაგრამ ძირითადად ტრადიციულნი არიან, სხვა ავტორთა ნაწარმოებებში უფრო სრულყოფილად გამოვლენილი, ამიტომაც შამის დასახატავად საჭირო იყო მეტი ოსტატობა, მეტი გულმოდგინეობა, იმისათვის, რომ ისინი ამჭირად ქველთაყვანენ ურჩუმელაშვილისეულად და ასოციაციით მკითხველი აღარ დაეკვირებოდა სხვაგან, სხვის მიერ დახატული, მსგავსი ცხოვრებისეული გზის მქონე პერსონაჟებს. ჩანს ნახევრად სქემის მდგომარეობაში პერსონაჟის დეტოვებაც ვანაპირობებს მისმსგავსების ამ რეკოდვს. მიუხედავად ამისა, ავტორს შამიც ვერ ვუსაყვებდურებით თითქმის ნაწარმოებში სულ არ ჩანდეს ის, რომ რეგავ ეფრემიძე ბებერი, გამოზრამებული მგელია, მოხვეუნი, დასაკეთრების პათოსით, ეგონის-ტური ვნებებით და ბნელი ზრახვებით შეპირბობილი ადამიანია. მართამიძის ოქახის საგვარეულო საფუტრების — საყაძისეული ყაწწის ხელში ჩაგდებას არასაკადრისი ხერხით ცდილობს. ამ ყაწწის გამოიღრა რომ ვაკეკუტრად არ ძალუქს, შიგ მალულად ნახევარ შოთის პურს ჩრის და ისე ისხამს დეონოს. ასევე ყაწწივით ცდილობს ბერი რამის დასაკეთრებას ცხოვრებაში და თავის შვილს ვიგლასაც და სულისკეთებით წრთვინის. ვიგლაც შამის კვალს მიჰყვება, ცუდლუტი, უსაქმო და გვოსტია, თუმცა მავალს დასაკეთრებისათვის მთელ

სასიცოცხლო ძალას ძაბავს და მიზანს მიღწეულად, მიუღწევად შუა გზაზე სტოვებს სიყვარულში სულითა და გულით მინდობილ ქალს, რადგან თავისი ინტერესების განსაზღვრისთვის ეუბნება ვარიანტს წააყვდება: იმ მიზნით, რომ დიდკაცების მხარდაჭერა და მფარველობა მოიპოვოს მკაცრად მავიერი ცოლად თხოვლობას ნიკო მჭედლობას ცოლის დას — ქეთინოს. სხვათაშორის ქეთინო, ქალთა შორის ერთგვარი ყველაზე ეპიზოდური სახე ნაწარმოებში — ყველაზე უფრო დასამახსოვრებლად და საბატული. არც სატრაქტორის განვიადს უფროსი კენჭოშვილი გამოიყურება კაი კაცად, რაიონის ვაჭრის რედაქტორი ერთი ორად ვაჭრად ცოფრებს აწერინებს, ავტორად ასახელებს ადამიანს, რომელიც ორი წლის წინ წასულა საფილიან, წერს ანონიმურ წერილებს და საერთოდ არაფერს არ თაკილობს თავისი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

არც მწვინდობა ბრინციბული ზღმელვანელი, ის ბევრ უწყისობას და უსამართლობას სჩადის საქმის სუბიანოდ. გარდა ამისა ოქახიცი არეული აქვს, თუმცა ნაწარმოებში არ ჩანს რომ ის გულგრილი ქმარია. ამას ამბობს მანანა, მისი მთელი. მაგრამ როგორ გინდა დაუყვრო ისეთ ქალს, როგორც მანანა. ამ საკითხში ავტორის სიტყვიერი განცხადებაც მოკლებულია დამაყვარებლობას.

ნამდვილი დრამატუზმითაა აღბეჭდილი მანანას უკანასკნელი საბედისწერო ნაბიჯი და მისი პერიპეტეიები, მაგრამ ისეთი დასვენება გამაოქმეს ავტორს ამ შემთხვევის გამო, რომ ყველაფერს, რაც მოიბოვა ისევე წყალში ურის; ურის, რადგან იშვშვლებს, ამხელს თავის იდუმალ ზრახვის, რისთვისაც დასჭირდა მანანას ასეთ ხაფანგი ვაგამა.

როგორც მკითხველმა იცის, ნაწარმოებში ბოლო თავებში ყველა ვნება ცხრება და ყველა პერსონაჟი თავის კალაპოტში ქდება. მთელ რიგ უკულმართობათა გამო მძიმე შედეგების მიგვირად ნამდვილი ყველდრის მწვინდობიანად მოგვარების საზეიმო სურათი და კეთილის მიერ ბოროტის ძლევის გულმარცხელი ამოთეოზი. მწვინდობა თავის ნაწარმოების პერსონაჟთა მივლითზე სრულ გარანტიას აძლევს მკითხველს, რომ რაც არ უნდა ცუდი ამბავი შეგვმთხვეს, ყველაფერი მაინც კეთილად დასრულდება. ჩვენი აზრით ეს ორი გარემოება უწინააღმდეგვება რომანის პათოსს. ავტორმა ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, რომ ფინალი ნაწარმოებისა უფროს დრამატული გამოხატულიყო. მაგალითად, ოქროს ბედ-იბაღი ასეა აწყობილი და ბოლოს მაინც სწორედ იქით იხრება, რომ ის უსათუოდ უნდა გახდეს უკულმართობის მსხვერპლი. ავტორს აქვს რამდენიმე ოსტატურად გააზრებული პასაჟის ნიმუში და ამის შემდეგ მით

უფრო მოსალოდნელი იყო ფინალის უფროს ლოგიკურად დავიარგვინება.

კარგი მხატვრული მიგნების, ვადწინავეტი ნიმუშად მიმართა პირუტყველი ვნებით შეპყრობილი ვამაიქის მიერ მკაცრად თავის თავისებური საყვარლის ასხნა სწორედ ბოსელია ქროხებისა და ხბოების ბლავილის ავთმანმენტზე და არა სხვაგან.

სიტუაციის ამგვარმა მოფიქრებამ უნებლიედ გამახსენა რემარკის რომანის „შავი ობელისკის“ ერთი ეპიზოდი, როდესაც პიტერარის სიტყვის რადიოთი საყვარლის უსმენენ, სადაც ირკველივ ჰკილია სისლიანა ზორცის ნაქრები.

ავტორი როგორღაც სიმბოლურობის სამოსელში ხვევს კენჭოშვილის მიერ მთვრალი ვამაიქის ლაფში ტარების სცენას. ისეთ ადამიანებთან შეგობრობამ როგორც კენჭოშვილი და რვეზ უფრომეტა სწორედ ლაფში ატარა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ამის ის არც თაკილობდა, რადგან არც თავიდან ყოფილა მთლად სუფთო და მშრალი გზებით სიარულის მოტრფილად. პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის ხატვის თვალსაზრისით საუცხოო შტრიხად ჩანს მწვინდობის უკანასკნელი სულგატელობა, რომელიც ცოლს ეუბნება შენი დატრეპული ბარათი არ წამაიკითხავსო. ეს დეტალი ერთბაშად ანათებს შიგნიდან მთელ მის სულიერ სამყაროს.

ნაწარმოების ყველაზე დიდი ნაყლი ისაა, რომ არავითარი იდეალები არ აქვთ ჩვენს სინამდვილეში აღზრდილ კომპანს პერსონაჟებს, გარდა წვრილმანი ყოფითისა, თავისი ბუნავის უკეთ მოწყობისა. იდეალი ცოტა უფრო საბარბილო მასშტაბისა, ჩანს მხოლოდ ვამაიქის მისწრაფებში; მართალია, კარგირის-ტული, მაგრამ მიმართული დიდი სიმალეებისა და წარმატებებისაკენ. თქვენ მის მავალითზე ადვილად რწმუნდებით რომ ის ცხოვრებაში ბედს არ დასყვრდება — კოლმეურნეობის თავმჯდომარეობით დასარულოს ამ ქვეყნად თავისი კარიერა. და რაყი ის ყველაფერს კადრულობს, ამიტომ ყველა ოცნების ახლომის იმედია აქვს.

როგორც მოგვსენებათ სათაურთა ზოგჯერ ნაწარმოების იდეური ჩანადიქრის ფოკუსია. მკითხველმა შეიძლება იფიქროს რომ „კომპანია“ იგავურად არის მინიშნული რაღაც არსებითი, მთავარი პერსონაჟისა და მთლიანად ნაწარმოებისათვის. მე პირადად ასეთი მინიშნების რაიმე კვალს სათაურში ვერ მივაგენი. ენობრივი თვალსაზრისით ნაწარმოები რაიმე მომავლდინებული ცოდვების კვალს არ ატარებს, ენა სადაა, ფრაზა ცოტა მარტივი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გამართული; მხატვრულობის თვალსაზრისით საჭიროა მერტე საზოგადოება. ავტორს კარგად მოეხსენება რის ნიშნავს მხატვრულ ნაწარმოებში ფრაზის კულტურა, საყ-

თარი ლექსიკონი და ხატვის მანერა. ამ მხრივ „ქიმიამის“ ენა გამოირჩევა რალაც ნეიტრალობით.

საყვედურო ეთქმის მწერალს შედარებების გაცვეთილი ნიმუშების ხმაურების გამო, რითაც გადატვირთულია ტექსტი და დიდად ენებს ნაწარმოებს. როცა მწერალი ხატავს ბუნებას, ის ვახვევს ზოგადი ფრაზების კორიანტელში.

ასეთ აღწერებს, ასეთ „ხატვას“, როცა ის ავტორის პირად დაკვირვებაზე არაა აღმოცენებული, ჩებოვი უწოდებდა *Общие места* — ს. ე. ყველაფერი მრავალჯერ სხვაგან ამოკითხული და უკვე ხავსმოდებულია. მაგრამ ავტორის უპოვით აღწერის და ხატვის ყაჩა ნიმუშებმაც.

არ მაქმავთლებს ავტორის მიერ პერსონაჟების პორტრეტების ხატვის მანერა და კულტურა.

ავტორს არასოდეს არ ავიწყდება რა აცვია ამ თუ იმ პერსონაჟს, მაგრამ თითქმის ყოველთვის ავიწყდება როგორია თვითონ აღმზიანი თავისი იერით, გამომეტყველებით მოძრაობაში, მეტყველებაში, და ზოგჯერ თუ არის „დახატული“, სჯობია არ იყოს, რადგან უსათუოდ გაცვეთილი ფრაზით ხატვის ნიმუშია ხოლმე მომარჯვებული. ყველა პერსონაჟთან დამოკიდებულებაში გაიძახის ავტორი — „ტუჩე იკუნი“, ან „ტუჩი მოიცივინა“. მე მესმის, რომ რაიმე სიტყვა ან გამოთქმა ჰქონდეს ამოჩემებული პერსონაჟს, როგორც მაგ. ვაშაიძეს: — „მოვრჩით“, ან ეფრემიძეს — „ნაღდი ვარ“. ამის შემდეგ კიდევ რომ არ თქვას ავტორმა ვინ ლამაზაკობს, მაინც მიხვდები ამ „მოვრჩით“-სა და „ნაღდის“ მიხედვით ვინ არიან ისინი. მაგრამ, მგონია დაუშვებელია და ავტორის დუღევრობით აიხსნება, როც ყველა პერსონაჟი დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი წამდარწუმ გაიძახის — „ერიპა“, ან „რაი, რაი?“. რაკი ამ გაუთავებელ „ერიპას“ და „რაი რაის“ უკლებლივ ყველა პერსონაჟის მეტყველებაში ეპოულობთ, ასეთი განურჩევლობა უთუოდ უცარგავს მას იმ ელფერს, რაც გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში დასახლებულია ხუთი თუ ექვსი ოჯახი, არც ერთი მათგანი არ ჩანს თვალნათლივ, ხელშესახებად არაა დახატული არც გარეგანი, არც შინაგანი მხარე. თა-

ნაც მკითხველი შინ მხოლოდ მაშინ შეკვავს მწერალს თუ იქ ქეიფი უნდა გაიმართოს, არა თუ მასიურად სცენები არაა დახატული, სოფელში საერთოდ არ ჩანს მასა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სოფლის შუაგულში ცეკვა არაა გაჩაღებული. დღევანდელი სოფელი მე მგონია უფრო სხვაგვარად გამოიყურება, თუნდაც იმ ატრიბუტების წყალობით, რომელიც იქ თანამედროვე კულტურამ შეიტანა.

ზემოთქმულს ერთი რამაც უნდა მივუმატოთ, ხშირად ნათქვამი ზოგადია, მაგრამ მკითხველზე მაინც მოქმედებს. ერთი შეხედვით ეს გიჯიერის კიდევ, მაგრამ საკითხავია, ვინაა ის მკითხველი, რომელზედაც ზოგადად ნათქვამიც მოქმედებს. ეს ისეთი მკითხველია, რომელიც „დამწვარია“. დამწვარია, როგორც მამუკა, როგორც მავყალა, როგორც მანანა, როგორც ვაშაიძე და სხვები. დამწვარს კი ცეცხლი შორიდანვე წვავს ვინც დამწვარი არ არის ის ნაკვერჩხალსაც აიღებს ხელით, და ოდნე თუ გრძნობს ცეცხლის ძალას, ამას არად აგდება. იი ოსტატობა ისაა, როცა ასე ნაკლებად გგრძნობიაჩეს „დასწვავ“ და აგრძნობინებ „ნაკვერჩხლის“ სიმხერვალებს.

ჩვენი რჩევაა, ავტორმა განავრძოს მუშაობა „ქიმიამიზე“ იმისათვის რომ ამ ნაწარმოების მეტად თეალსაჩინო საზოგადოებრივი ელერადობის დონემდე აიყვანოს მისი მხატვრული ელერადობაც. ასევე საჭიროდ და შესაძლებლად მიგვაჩნია — ამ ნაწარმოების ბოლოში მოაწეროს ერთი ფრაზა: „პირველი წიგნის დასასრული“, რადგან თითქმის ყველა პერსონაჟი შუა გზაზეა მიტოვებული.

ვ. ურჯუმელაშვილის ნაწარმოებებიდან შეიძლება ითქვას, „ქიმიამიში“ ყველაზე მეტად იგრძნობა ის, რომ მას, როგორც მწერალს ბევრი რამ აწუხებს, აქვს სათქმელი. მწერლისათვის, ხელოვანისათვის ოსტატობასთან ერთად ეს ყველაზე მთავარია. მწერალი — სათქმელია, თუ სათქმელი არა გაქვს, არ გაწუხებს და მაინც წერს, მაშინ მოცილილი ხარ.

„ქიმიამი“ ისეთ საზოგადოებრივ ელერადობას აღწევს, რომ აღარ გიჯიერს თუ მკითხველთა ფართო მასა მის გამოსვლას ასე მხურვალედ შეეგება.

პოეტის ლექსების ახალი წიგნი



ანა კალანდაძის, როგორც ნიჭიერი პოეტის სახელი, ჭარ კიდევ მისი ლექსების გამოკვეყნებაში ვაისმა. შემდეგ კი ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ახალბედის სახით, საიმედო ძალა შეემატა ჩვენს მწერლობას.

ა. კალანდაძის პოეზია ნაზი და მგრძობიარეა, მის ლექსებში ყვაობს სურნელება ჩამდგარა და პეპლები საქორწინო ტანსაცმელით შემოსილან და ჩვენა თვალწინ აშლება განცდებისა და გრძობების თავისებური სამყარო. პოეტს ახასიათებს სიტყვის ორიგინალური გამოყენება, ბუნების ილუმინაციის საოცარი შეგრძობება, ის წრფელი უშუალოა, რომელიც მკითხველზე დიდი ემოციური ძალით მოქმედებს.

საესებით მართალია ის აზრი რომ ჭეშმარიტი პოეტები ხელოვნებით კი არა, აღფრთოვანებით და შთაფრთხილთ თხზავენ თავიანთ მშვენიერ ნაწარმოებებს. ისინი გვეუბნებიან, ფუტკრების მსგავსად დაფრინავენ მუხათა ბალებში და ველ-მინდვრებზე და იქ ვკრეფთ სიმღერებს, რომელთაც თქვენ გიმღერათო. ისინი სიმართლის ამოძებ. მართლაც, პოეტი ნამდვილად არის მსუბუქტვითაინი და წმინდა არსება. მას მხოლოდ მაშინ შეუძლია ნაწარმოების შექმნა, როცა დიდი აღტაცება, ან დიდი ადამიანური მწუხარება შეიპყრობს.

სწორედ ასეთ პოეტების რიცხვს ეკუთვნის ანა კალანდაძე. იგი ცხოვრების ველ-მინდორზე ფუტკარივით აგროვებს ყვავილების ნექტარს, პოეტური სულით აზავებს მას და მოკრძალებით უბრუნებს მკითხველს, როგორც დიად სიმღერასა და მდიდარ ესთეტიკურ განსს.

ა. კალანდაძის შემოქმედებაში სიკეთე არის მშვენიერების სრულყოფილი გამოვლინება. პოეტი ბუნების ყოველ მოვლენაში ხედავს კეთილ სულს. და, ეს არის მისი პოეზიის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება.

ა. კალანდაძე გასაოცრად მგრძობიარე პოეტია. იგი უბრალო ყვავილშიც კი ხედავს ადამიანურ თბილურას.

მე მომეჩვენა, ჩემო მეგველა,
შენ თითქოს შერათი...
შეშით შეირბა შენი ყვავილი
ისეთ თერთი,
როგორც თოვლია, დათვისის და
მოწამოს მთებზე.
აქ ვინ ვაივლის? არცინ მხოლოდ
ტყის ბილიკებზე
ფშები გადმოვლენ, შეშას წაილეს
ქერა ფშაველი...

ანა კალანდაძე, „ლექსები“, „საბჭოთა საქარველო“, 1967.

მე მომეჩვენა შენ თითქოს შერათი,
ჩემო მეგველა...

ბუნების სამყაროში პოეტი თავს თავისუფლად გრძობს. მის მიერ სულჩადგმული არაყველო თუ ჭია-შაი ჩვენს წინაშე პოეტური მშვენიერების სიმბოლოდგაა ქცეული და ღრმა ადამიანური განცდებით გვაესებს. აქვე დიდი უნდითვს, რომ ანა კალანდაძე ბუნებიდან უმთავრესად მათორულ ტონებს იღებს, იგი ხალისიანი ფერებისა და მზიანი დღეების პოეტია. თუკი მის პოეზიაში რომანტიკული სველაც იჩენს, ხოლმე თავს, მაგრამ ეს პესიმონზის კავშინიროდია. ეს ჩვეულებრივი ადამიანური სველაცაა („არც ქვა უბრალო ძველისებური“, „ხატთან ანთია სანთელი ორი“ და სხვ.)

ანა კალანდაძის პოეზიაში ქართული ლანდშაფტი ამერყველებულია ნაზი და სათუთი ტონებით. რასაც არ უნდა იგვიწერდეს პოეტი — ფშავის ბუნებას თუ შავი ზღვის სანაპიროს — მის მხატვრულ სიტყვას ხვევრდის სიღბილე და სიმსუბუქე ახასიათებს. ერთი სიტყვით, ანა კალანდაძის პოეზიაში ბუნება წარმოდგენილია მთელი თავისი მიმხილველი ფერებითა და ხმებით, სიკეთით და სიღაღით. ლექსები — „ფშავში აქუშუნა წვიმა მოვიდა“, „ყაყარსისიწითილია“, „წყლის ზამბახი“, „აყავი დღევრძელი, ღურჭთვალა ივი“, „იშრიალ, იგუგენე“, „თუთა“ და სხვ., ეს არის ფაქიზად შესრულებული ბუნების პატარა სურათები, რომლებშიც პოეტმა დიდი ადამიანური ფიქრები და თცნებები ჩააქსოვა. გვიხსენით თუნდაც „თუთა“. ამ ორსტროფიან ლექსში ანა კალანდაძემ შეძლო ბუნებისა და ადამიანის ურთიერთ სიახლოვის მხატვრული ამტყველება და ამისათვის ნაზი და სათუთი ფერების გამოიანახა. თუთის ჩემ შრიალში პოეტს სატრფოსა და მეგობრის ნაზი ჩურჩული ესმის და ეჩვენება, რომ მასზე შეყვარებულ თუთას სურს სახლში შემოიჭრას და მგრძობიარედ მიუაღეროს.

ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი,
დამიძახებს, თვალს ჩამიჭრავს მუდამ
ზე მაღალი, ხე ურბუხტისფერი,
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული!.. დამდაგველი მწველი,
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.

ღირსეული პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიუანსებით გამოიარჩევა აგრეთვე „ჩამოფრინდები, იასამანი“, „როგორ შინდა შენთან, ჩემო მავნოლივი“, „გული შეხსნება შენთან, შროშანე“ და სხვ. ამ ლექსებში გამოხატულია გარკვეული სულიერი განწყობილება, რომლის საწყისი უაღრესად კეთილშობილურ გრძობასა

ემყარება. ამ მხედველობაში გვაქვს სიყვარული — სიხარულით, სევდით, ექვემთა და მოლოდინის განცდით სავსე.

ანა კალანდაძისათვის, როგორც ნათელი ხედვის პოეტისთვის, ვასაგებია, რომ ბუნების მარადიურ დაუდგრომლობაში, მის შეუჩერებელ მოძრაობაში ყველაზე დიდ სილამაჩეს ადამიანი ქმნის, რადგან ადამიანი ბუნების არამარტო შეიღო, არამედ მისი გვირგვინიცაა. პოეტმა იცის, რომ ბუნების ადამიანის ზაღალი არაფერია შეუქმნია. სწორედ ამიტომ ყვაეილების შრიალსა თუ ზღვის ღელვაში, ჩიტების ჰიკიკისა და ღრუბლების ზონინში არის რაღაც ისეთი, რაც სიყვარულს დიდ პოეზიას აკეთილშობილებს. მართალია, ა. კალანდაძის ლექსები გაუღწეოდა ყვაეილების სურნელებით, ისლავება მათი ფერებით, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია ის იდეალური, მაგრამ შვიდრო კავშირი, რომელიც ბუნებასა და ადამიანის შორის არსებობს. ყვაეილები, ფერები, ხმები ანა კალანდაძის პოეზიაში საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან გამოყოფილი რადღაც, იგი თავის მეტრადე ვარდ-ყვაეილებს მარტო იმით კი არ ელოდავება რომ მათგან ესთეტიკური სიამოვნება მიიღოს, არამედ ბუნების წმინდა საყურთხვეულში იმით იჭრება, რომ ადამილს ადამიანი ბუნების უმანკოების შეგრძნებამდე. თავისი კონცეფციით სინტეზისა, „იშრიალ, იავგუნე“, რომელიც დაუტხრომელი და შეუწელებელი სიციოცხლის ჰანჯად ეღებს.

ტყევი, ღემილი გვეყო, გვეყო,
მკვდარი არი, დღეს ღუმს ეინცა...
იშრიალ, დიდო ვერხეო,
იავგუნე, დეღამიჩავ!

ანა კალანდაძე ეკუთვნის პოეტების იმ მცირე რიცხვს, რომელთაც შესწევთ ძალა ბუნების მშვენიერება ხელოვნების მშვენიერებად აქციონ. ფრენკლ დაწერილ მის ლექსებში თვით პოეტურ მეტრსაც კი დაისრებელი აქვს ფშავური სილამაჩის გადმოცემის ინტონაციათა გამაძლიერებელი ფუნქცია. თითქოს პოეტს ვაჟაფშაველას გრძნულ მუხის სამშობლომ მთავარი თავისი სიტყვა ეთქვა ფშავის კლდეებზე გადმოკლებულ ანკარა წყაროებზე, მთის ნახ და სათუთ ყვაეილებზე და ა. შ. ყველაფერი ეს ჩვენში იწვევს უდიდეს მოწიწებას ფშავის ბუნების წინაშე.

ლექსში „კარში ვამო ჭია-ჭია მარია“, მტრზე გამარჯვების სიხარული ორგანულადაა ჩაქსოვილი ბუნების დაუცხრომელ ფუსფუსში. პოეტის მიზანია ბარბაროსების განადგურებით აღძრული მოზღვაეებელი აღტაცება აგრძნობინოს და განაცდევინოს ბუნების პაწია შვილს ჭია მარიას, ხოლო მისი სიხარული ჩვენთვის მახლობელი და გასაგები ვახდოს.

უნისლო, ზეცას ვაუღარია,
ყაყახო ჩანს ცის და მიწის სიცილში,
გავამარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ბარბაროსი დაუცხრავს ციციმელს,
უნისლო, ზეცას ვაუღარია,
ყაყახო ჩანს ცის და მიწის სიცილში.
კარში ვამო, ჭია-ჭია მარია,
მოფრინავენ ცი-ცი-ცინათელები.

როგორც ვხედავთ, მადლიან კალამს გააჩნია მაგიური ძალა, რომლითაც იგი ადამიანთა დღესაზემო ფერხულში იწვევს და აბამს ბუნების უმწიურო ნაშიერსაც კი, რომელსაც გაზაფხულის სინათლი და ბრწყინვალება ჩვენსავით უყვარს და ახარებს.

ერთი სიტყვით, „კარში ვამო, ჭია-ჭია მარია“ პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია. ეს ლექსი თავიდან ბოლომდე შთაგონებულია მტრზე გამარჯვების სიხარულით და იმ სურსათით, რომ ეს ვანწყობილება მთელ პლანეტას დაეუფლოს.

უდიდესად პოპულარული ლექსია „საქართველო ლამაზო“ აქაც პატრიოტიზმის გრძნობა გამოხატულია ბუნების მოვლენების ფონზე. ამ ლექსში ანა კალანდაძე შეგნებულად გამოიყენა გრაიოლ ორბელიანის ერთი მეტად პოპულარული სტრიქონი, როგორც ზეფრენი რათა უფრო მძლავრად წარმოესახა თავისი მძალი პატრიოტული განწყობილება და ხაზგასმული სტრიქონებით მიზანს მიადწია კიდევ.

თუ კალანდაძის პოეზიაში მოსმისის აგრეთვე გ. ტაბიძის უზადლო ჩანთა გამოძახილი, ესეც თავისთავად იმზე მეტყველებს, რომ პოეტი დიდი ძალით განიცდის მისი ლიტერატურული წინამბრების, ემოციურ ზემოქმედებას და „შემოჭყელებითად აგრძელებს მათ მტრ მეგვიდრეობით ვაძლიერებულ საუკეთესო ტრადიციებს. ეს დებულება ისე უნდა გავიგოთ რომ ა. კალანდაძეს შესწევს უნარი თავისებურად გადმოგვეცეს სათქმელი დიდი პოეტების შემოქმედებოლან მიღებული განწყობილებები გამოიყენოს როგორც მხატვრული ზერხი.

ა. კალანდაძის ლექსებში ხშირადაა ნახსენებო მზე-სიციოცხლისა და სინათლის დასაბამი („მე მზეს ვუშერ“, „და მზეც რელისა“, „როდესაც მზე თბილი სხივით მინდგრებს შემოსავს“, „ვაჟო მზის სხივო“ და სხვ.) მზის ასეთი უზორო საყვარელი და მზის მხატვრული სიმბოლოცა, ცხადია, ახალი არ არის, მაგრამ ა. კალანდაძია პოეზიაში მზემ მაინც მონახა თავისებური კეთხე, საიდანაც იგი ჩვენი შემეცნების პრიზმაში ორიგინალურ პოეტურ სხეულად გადაიტეხა. ამ მხრეე განსაკუთრებით აღსანიშნავია „ხმობენ კავებები“. ეთოსულობთ ამ ლექსს და თავის გრძნობთ ბუნების მაგიურ საყვაროში, სადაც ყველაფერი მზის მადლით არის შოცული.

პოეტს ბუნებმ ნაირფეროვან მოვლენებთან უფრო ისეთი მოვლენები იტაცებს, რომლებიც

ადამიანს სიმშვიდის, მყუდროების და მზიური ემოციების გრძნობებს აღძრავენ. ლექსებში „ყაყაოსა სიწითლია“, „უძუენა წვიმა შვილია“, „შემოვლენ როკით“, „იყავ დღერგძელი, ლურჯთვალა იავ“, „წვიმს, ფაფანაკი სველდება“ და სხვ. ბუნების მოვლენები წარმოსახულია მოშიზილავ პოეტურ სახეებით, ხოლო ეს სახეები, რომლებშიც ღრმად არის ჩაქსოვილი სიტყვების უცვადებები იდეა, მკითხველს ხალისიან და ნათელ განწყობილებას უქმნის. პოეზიის ამოცანაც ხომ ეს არის.

ანა კალანდაძეს რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი საქართველოს შორეულ წაჭრულზე. მაგალითად, ლექსში „ქეთავანი დედოფალი“ — შინ შესანიშნავად გამოხატა ქართული ქალის კლემამოსილება, დიდი პატრიოტული შეგნება, რაც იყო საფუძველი ქეთავანის საშობლოსათვის მოწამებარე სიყვდილისა. ამავე სულისკვეთებით არის აღბეჭდილი „ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი“, „არც მათ იციან“ ამ ლექსებში

პოეტურად აისახა დამპყრობლებთან ბრძოლაში ქართველი ხალხის შეუბოროტობა და ქედუხარელობა. ანა კალანდაძის პოეზიაში ადამიანური გრძნობა თანამედროვე ცხოვრების სიღრმისა და ისტორიის მკაფიოდ ნიშანდობლივი შტრიხებით არის გამოხატული.

ერთი სიტყვით, ა. კალანდაძის პოეზია ბასი-ათლება შინაგანი პარმონიულობით, გრაციოზულობით, გამოხატულობითა საშუალებათა ნაირსახეობით. ლექსი „რა ვარ? სტეფი ვარ“ შესანიშნავად განსაზღვრავს პოეზიაზე ანა კალანდაძის შეხედულებას. მისი აზრით, ლექსი უშუალო გრძნობის აღტყობაა, მოზღვავებულ სიყვარულის ეულკანია, ბუნებასთან ადამიანის შეერთება.

შთაბერე ქარო,

ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა.

ამ სტრიქონების აეტორმა ჭეშმარიტად გვიჩვენა თავისი გრძნობის ძალა.

ვალდისხე ჯიხუბი

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის

მცირე ისტორია

ო. ქიქელიძის ნაშრომი — „ქართული პრესის საგანმანათლებლო პროგრამა“ ფრიად აქტუალურ საკითხებს მოიცავს. ჩვენი საზოგადოებრიობა ნაკლებად იცნობს ქართული პრესის ისტორიის საკითხებს. მართალია, დამუშავებულია და საკმაოდ სრულად ქართული ჟურნალებისა და გაზეთების ბიბლიოგრაფიები, მაგრამ ქართული რევოლუციური პრესის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება იმ რაოდენობით როგორც ეს საჭიროა.

ქართულმა პერიოდულმა პრესამ უდიდესი როლი ითამაშა როგორც ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური ისე ჩვენი ერის საგანმანათლებლო-რევოლუციური იდეების გავრცელებასა და პოპულარიზაციაში. ამდენად ჩვენი პრესის ისტორიის კვლევის საკითხები საინტერესოა საზოგადოებრიობისათვის.

ო. ქიქელიძის საინტერესო ნაშრომში ქართული პრესის საგანმანათლებლო პროგრამათან ერთად მიმოხილულია ქართული პრესის ისტორია საერთოდ.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში გარკვეულად გამოკვეთილი ნათელი აზრი არსებობდა, რომ გაზეთი ეს არის პირველ რიგში ცოდნის წყარო, დაქუცმაცებული საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური განვითა-

რებისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღი, წერა-კითხვის მსოფრივად გავრცელების საუკეთესო საშუალება.

ო. ქიქელიძე დაინტერესებულა და შეუწავლია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლი „საქუღებმა“, და ფრიად საყურადღებო მასალები უპოვნია „საქუღებმაში“ აღნიშნულია, რომ ბეჭდვით სიტყვას გარკვეული ადგილი უნდა ჰქონდეს მიწიერი სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის გუმჯობესებაში.

მაგრამ მუდმივ შემოსევებსა და ომებში სიხლისაგან დაკლილმა, ეკონომიურად დაძვლებულმა საქართველომ ეს დიდი საკითხი საკუთარი ძალებით ვერ გადასჭრა. 1801 წელს საქართველო რუსეთს უერთდება და იოანე ბატონი კვლავ უბრუნდება გაზეთის მნიშვნელობის საკითხებს თავის ცნობილ „კალმასობაში“.

ცარიზმის რუსეთი უკვე დიდიხანა დაინტერესებული იყო ახლო აღმოსავლეთით. ამდენად რუსეთის დიპლომატიის დიდიხანა ჩანადიჭობა ფრთხილ შეისხა, როდესაც შეეცა რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი, რომელიც კერძოდ ქაბულ-კახეთის სამეფოსათვის და საერთოდ მთელი საქართველოსათვის ფრიად ხელსაყრელი იყო.

შინა აშლილობებით, გარე შემოსევებითა და

ადამიანობით განაწარმება ერეკლეს მეგვი-
დრე გიორგი მეფემ ყოველგვარი ტოლფასოვ-
ანი პირობის, ვარკვე ოჯახი და სამშობლო
რუსეთს ჩააბარა. ეს რა თქმა უნდა უფრო
ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის, რადგან იგი
ფაქტობრივად საქართველოს სამეფოს გაუქმე-
ბას და კოლონიად გადაქცევის მოასწავებდა.

საქართველოს ხელში ჩაგდებათი რუსეთი
თითქმის მთელ კავკასიას დაებატრონა, მაგრამ
ეს არც ისე ადვილი გამოდგა. ცარიზმის რუსე-
თი თითქმის ოცი წელიწადი მოუწადა თავისი
პოლიტიკების განმტკიცების საქართველოში.

ახალი დამპყრობლის სახელმწიფო წყო-
ბა, კანონები და განკარგულებები საქართველოში
მოსახლეობასაც გაეგო, ხოლო მოსახლეობას
რუსული ენა არ ენათობა. ამდენად ქართული
ცნობების შექმნის საკითხი ახლა უკვე რუსეთის
წინაშე დასვა, რაც მას ამ ქვეყნის მართვაში
დაეხმარებოდა.

ქართულ საზოგადოებას კი ბუნებრივია, თა-
ვისი ინტერესები ამოძრავებდა. ამდენად ცა-
რიზმისა და მოწინავე ქართული ინტელიგენცი-
ის მიზანი ერთი იყო, ხოლო მიმართულება ამ
მიზნისა სხვადასხვა.

პირველი გაზეთი ქართულ ენაზე 1819 წელს
დაარსდა „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით.
აქედან იწყება ფაქტობრივად ქართული პრესის
ისტორია. წიგნის პირველ თავში ო. ჭიჭქლა-
ძემ მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ და თანმიმ-
დევრულად განიხილავს ქართული პრესის ის-
ტორიას 1819 წლის 8 მარტს დაარსებულ
„ქართული გაზეთიდან“ ვიდრე „თბილისის უწყ-
ყებამდე“. ქართული პერიოდიკის გზა გვაყუფ-
ლო იყო, საჭირო იყო ბრძოლა მისი აღმავლო-
ბისა და სეროვნულობისათვის.

1829 წლიდან „თბილისის უწყებებს“ სთა-
ვეში უდგება მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათი-
ანი წლების გამოჩენილი ქართველი საზოგადო
მოღვაწე, მწერალი, პედაგოგი, ფილოსოფოსი
და ჟურნალისტი სოლომონ დოდაშვილი.

ამ დიდი ადამიანის დამსახურება ქართული
ჟურნალისტიკის წინაშე ის არის, რომ მან არ
აიღო კურსი იმ მშალის და დიდმპყრობელე-
რი მიმართულებისა რაც ვაზეთის რუსეთის ცა-
რიზმმა დაუსახა („უმადლესი პრიკაზნი“, „უკა-
ზნი“, „ვის მიეცა ზინი“, ვინ და სად“ „გადი-
ყვანებიან“ ან „დაინიშნებიან“ და სხვ.). მან
ვაზეთში დიდი ადვილი დაეთმო ქართულ ლი-
ტერატურას, განათლებას, ეთნოგრაფიას. გა-
ზეთი აგრეთვე ბევრს ბეჭდავდა ევროპოფობრი
და საზოგადოებრივ-ეთნოტურული ცხოვრების
საკითხებზე. ვაზეთის ექთონის პრიორიტეტი
იმისა, რომ იმ პერიოდის საქართველოში და-
სავლეთ ევროპის კულტურის სიომ დასებრა.
ვაზეთი დიდ ადგილს უთმობდა აგრეთვე რუ-
სეთ-საქართველოს მეგობრობას. 1832 წლიდან
კი ამ ვაზეთის ლიტერატურულმა ნაწილმა იწ-
ყო გამოსედა. ქართველი საზოგადოებრიობა

რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატუ-
რულ ცხოვრებას გაეცნო. ამ საღვთობრივ
ნაწილის რედატორ-გამომცემელიც, ქ. დოდა-
შვილი იყო. ფაქტობრივად პირველ ქართულ
ჟურნალად ო. ჭიჭქლაძემ ამ ლიტერატურულ
დამატების თვის. ეს ნამდვილად ასეა. მიუხე-
დავად იმისა, რომ ამ ჟურნალის მხოლოდ ხუ-
თი ნომერი გამოვიდა, მან ქართული ჟურნა-
ლისტიკის შემდგომ აღმავლობაში მაინც უდი-
დესი როლი შეასრულა.

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი
განვითარება და ქართული პრესა ურთიერთ
მჭიდრო კავშირში არიან, რიგე დიდ ეროვნულ
მისიას ასრულებს. არ შეიძლება ამ პერიოდის
საზოგადოებრივი განვითარება ქართული პრე-
სის გარეშე წარმოვიდგინოთ.

შემდეგ ავტორი იხილავს პრესისა და საზო-
გადოებრივი აზრის განვითარების ისტორიას.

1832 წელს თბილისის გენერალ გუბერნა-
ტორის მამა იანე ფალავანიძეშვილმა შეთქმუ-
ლება გასცა. შეთქმულებაში მონაწილეობას
იღებდა დაშინდელი ქართული ინტელიგენციის
ნაღები. შეთქმულების ყველა მონაწილე რუსე-
თის ცარიზმმა სამშობლოს ფარულეს გარეთ
გადასახლა, მათ შორის ს. დოდაშვილიც. გა-
დასახლებულთაგან უმკაცრესი ვაგლენიანი ნა-
თესავების წყალობით ცვლად სამშობლოს დაბრ-
უნდა, ბრძოლურ ხელი აიღო და მიჰყვა მშვი-
დობიანი ცხოვრების დინებას. ს. დოდაშვილი
კი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ციმბირ-
ში გარდაიცვალა.

შეთქმულებით დაშინებულმა ცარიზმმა ყო-
ველწინადა ჩახარვა ქართული პრესის გან-
ვითარებისა და აღორძინების გზებზე.

რუსეთმა დაიწყო სასტიკი კოლონიური რე-
ჟიმის გატარება. 1840 წელს მოხდა მშართვე-
ლობის რეფორმა, რომელშიც ადვილობრივ მო-
სახლეობაში სასტიკი აღმშეთება გამოიწვია.
სულ უფრო და უფრო მტკ წინააღმდეგობას
აწეებდა ცარიზმის პოლიტიკა. მოხდა აფანე-
ბები გურიაში, ოსეთში. უფრო ადრე მთო-
ვლეთში. სწორედ ამ პერიოდში კვლავ დაისვა
ვაზეთის გამოცემის საკითხი. ვაზეთის გამოცე-
მის საკითხი ახლა უკვე რუსეთის ადგილობ-
რივმა მმართველობამაც დააყენა.

მმართველობა ცდილობდა ისევ იმ კურსის
გატარებას თავის ოფიციალურ ორგანოში, და
ამ მიზნით 1838 წელს გამოდის „ზავაჯაზსკი
ვესტნიკი“. მის რედაქციაში მუშაობდნენ და
აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: მ. იოსელიანი,
ივ. ევლახიშვილი, მ. კლაშვილი, მ. მაისუ-
რადე და სხვ.

1845 წლის იანვარში გამოდის „კავკასიის
მზარეთა უწყებანი“ ქართული გაზეთი, რომე-
ლიც 1846 წლის პირველ ივლისამდე გამოდიო-
და. ეს იყო რუსული ვაზეთის თარგმანი მცო-
რე განსხვავებით და არ ვაინდა არა ოფიცია-
ლური ნაწილი. ამიტომ მისი შინაარსი უნი-

ტერესო, მონოტონური და ღარიბი იყო. მიუხედავად ამისა 1832 წლის შეთქმულების ინიციატორი შემდეგ ეს გაზეთი შინც წინ გადადგმული ანაიგი იყო ქართული პერიოდული პრესის განვითარების კბახე.

1844 წლიდან კავკასიაში მეფის ნაცვლად ინიშნება მ. ს. ვორონცოვი. საერთოდ ვორონცოვის კავკასიაში მეფის ნაცვლის პოსტზე ყოფნის პერიოდს საქართველოში სხვადასხვანაირად არის ვაშუქებული.

წინამდებარე წიგნში აღწერილია ის დიდი და ნამდვილად ეროვნული საქმეები რაც ვორონცოვის მმართველობის პერიოდში საქართველოში მოხდა. საქართველოს ამ პერიოდის ისტორიაში არაფრით არ შეიძლება იმ დიდი პროგრესისა და კარგი ეროვნული საქმეების თუნდაც დასაწყისის წაშლა რაც უშუალოდ ვორონცოვის სახელთან არის დაკავშირებული. მედლის ერთი მხარეა ის, რომ ვორონცოვი რუსეთის სატრაპი იყო. ეს ასეც არის და ამის უარყოფა არ შეიძლება.

ამ პერიოდში გამოვიდა გაზეთი „კავკაზი“ (1846 წ.), რომელმაც მიუხედავად თავისი პროფილისა და მიზნებისა, ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში საგრძნობი შრომა გასწია. „კავკაზს“ 1852 წელს მოჰყვა ქართული ეტრნალი „ციცკარი“ და ა. შ.

„ციცკარის“ ფურცლებზე გამოაღდა ბრძოლა ძველსა და ახალ თაობებს შორის და სწორედ ამ ბრძოლის ქარცეცხლში დაიბადა ახალი ქართული ეტრნალი „საქართველოს მოამბე“. ეს იყო 1863 წელი. ნაშრომის ავტორის აზრით „საქართველოს მოამბე“ ახალი სიტყვა იყო ქართული ეტრნალისტიკის ისტორიაში. ამ ეტრნალის ფურცლებიდან აიტაცა დიდი ილიამ ზენინ ერის წინამძღოლის დროშა, რომელიც მას სიკვდილამდე არ დაუბრია. „საქართველოს მოამბე“ ვახდა ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმისათვის ნამდვილად მებრძოლი ორგანო. ამ ეტრნალს 1866 წელს მოჰყვა გაზეთი „დროება“.

1885 წელს „დროებაში“ თავისი არსებობა შეწყვიტა, მაგრამ თავისი აჩუბების შედეგი 20 წლის მანძილზე გაზეთს თავისი მიმართულებასათვის არ უღალატნია და პირნათლად ემსახურებოდა ქართველი ხალხის კეთილი მომჯელის საქმეს, ვაკაცურად ებრძოდა ყველა ჩრხის მტრებს და პირველი რიგში ცარიზმის ველოკორუტლ პოლიტიკას.

შემდგომ წლებში ზენინ პრესის მერცხლებს გვერდში ამოუდგა ბევრი ეტრნალი და გაზეთი, ისეთები როგორებიც იყვნენ „მწყემსი“, „საბალო ფურცელი“, „მნათობი“, „დროების“ რედაქციამ დასამბედად მოაშინა და გამოისცა „კრებული“, რომელიც ფაქტიურად დამოუკიდებელი ეტრნალი იყო. 1873-83 წლებში გამოდის ახალი რუსული გაზეთი „ტფილისი ვესტნიკი“; ამ გაზეთის საშუალებით ეცნო-

ბოდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია ქართულ კულტურას. 1877 წლის მარტში გამოდის ი. კავკაზის მიერ დაარსებული გაზეთი „ციცკარის“ პირველი ნომერი.

„ივერიაში“ იბეჭდება საყურადღებო მასალები, რომელიც მაშინ ფრად იწუნებდა ქართულ საზოგადოებრიობას.

ნაშრომის ავტორი მე-19 საუკუნის 80 წლებს უწოდებს ქართული ეტრნალისტიკის აღმავლობის პერიოდს. აქ ავტორი ერთმანეთს ადარებს „ობზორს“ და „კავკაზს“. შემდეგ ლაპარაკა ქართული პერიოდის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელზე, „მიედი“, „შრომა“, „მოამბე“, „თეატრი“.

ყველა ამ ორგანოს თავისი თვალსაზრისი და შეხედულებები ჰქონდა. ხშირად მათ შორის მწვავე პოლემიკა იმართებოდა და სწორედ ამ პოლემიკის პროცესში იჭედებოდა ნამდვილი ეროვნული აზრი ცარიზმის კოლონიური ტყეობის წინააღმდეგ.

შემდეგ გამოდის „ნობათი“ (1883), სტაეროპოლის გადასახლებიდან ნ. ნიკოლაძე საშრობლოში ბრუნდება და აარსებს „ნოვოე ობობჩენეს“. მისი მასალები საინტერესო, მიზნიდველი და აქტუალური საკითხების დასმით გამოირჩეოდა.

წიგნში ვაჩვენებია ქართული პერიოდის სხვა ორგანიზაციები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ასეთია მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ დაწერილი ნაშრომის მეორე თავი რომლის წაკითხვის შემდეგ მკითხველის თვალწინ შთაბეჭდევად აისახება მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის 20 წლების საქართველოს ეტრნალისტიკის ისტორიის რთული და ბრძოლები აღსაყვებება.

ქართული ეტრნალისტიკის თეორიის და სარედაქციო მუშაობის პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი ნაშრომის დასკვნითი ნაწილია. მასში შეგამებელია ქართული ეტრნალისტიკის ამოცანები, მისი ბუნება და დიდი ქართული მოღვაწეების შეხედულებანი, ქართული ეტრნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის აუცილებელი საკითხები. აქ წიგნის ავტორს მოჰყავს დიდი ილიას აზრი პრესის დანიშნულების შესახებ, რომელიც უდიდესი ინტერესით იკითხება.

ნაშრომის ამ თავში საინტერესოდაა განხილული პრესის სისხლბოცეული, სარედაქციო მუშაობის პრაქტიკული და თეორიული საკითხები.

ავტორი აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის ქართული პრესის სარედაქციო მუშაობის პრაქტიკაში დამახასიათებელია არა მარტო ორგანიზებული, არამედ შემოქმედებითი ხასიათის ფუნქციების განაწილება და აქვე აღნიშნავს, რომ საკუთარი შეცდომებისა და ნაკლოვანებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და მა-

თი საგარო აღიარება მაშინდელი ქართული ეურნალ-გაზეთების ვრთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო.

საერთოდ ო. ჭინჭაძის ნაშრომი, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ფრად საინტერესოა უველისათვის და განსაკუთრებით მათთვის ვინც დაინტერესებულია ქართული ეურნალისტიკის ისტორიის თეორიული და პრაქტიკული საკითხებით. ნაშრომში ფართოდ არის განხილუ-

ლი პრესის საგანმანათლებლო პროგრამაც. ჩვენი ასრით კარგი იქნებოდა სათაურის დამატებოდა — „და ისტორიის ზოგერთი საკითხები“ — ეს სათაური უფროდ უფრო სრულად და ვარკვევით ასახავდა მთელ იმ საკითხებს რაც წინამდებარე ნაშრომშია განხილული.

განან ჯანარიძე

ალ. წულუკიძის თხზულებათა მეორე გამოცემის გამო

სკვ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა, მიმდინარე საიუბილეო წელს სამეცნიერო საგამოცემლო დარგში განსაკუთრებული დიდი სამუშაოები ჩატარა. მათ შორის საყურადღებო და აღსანიშნავია საქართველოში და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისრული ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი შემქმნელის, შემოქმედებითი მარქსიზმის ნიჭიერი თეორეტიკოსისა და მგზნებარე პროპაგანდისტის, საოცარი მადალი მოჩალური ბუნებისა და უშიშარი მეტროპოლის, ალექსანდრე ვრიკოსის ძე წულუკიძის (1876-1905) თხზულებათა მეორე ქართული გამოცემა.

აღნიშნული თხზულებათა კრებულის მეორე გამოცემა მია უფრო საჭიროებას წარმოადგენს, რომ ჯერ ერთი, ის პირველად 1943 წელს გამოცემა და მაშინვე ბიბლიოგრაფიული იმედათობდა იქცა. მეორე, ამ ახალ გამოცემაში შევიდა მთელი რიგი დღემდის უცნობი ნაშრომები. ჯერ მოკლედ შევეხთ ადრე გამოცემულ ნაშრომებს: კაბიტალურ შრომაში „ნაწევრები პოლიტიკური ეკონომიიდან“, რომელიც ალ. წულუკიძემ 1904 წელს ცალკე წიგნად გამოსცა, შემოქმედებითადაა გადმოცემული კ. მარქსის „კაბიტალის“ პირველი ტომის იდეები იმპერიალიზმის ეპოქასთან, კერძოდ რუსეთისა და საქართველოს სინამდვილესთან, პროლეტარიატის რევოლუციონერი საბრძოლო ამოცანებთან მჭიდრო კავშირში, ამ ასპექტით აქ ვარჩეულია კ. მარქსის „კაბიტალის“ შემდეგი თავები: საქონელი, საქონლის გაცვლა-გამოცვლა და ფული, კაბიტალი და ზედმეტი ღირებულების წყარო, სამუშაო დღე, კოლბერაცია, შრომის განაწილება და მანუფაქტურა, მანქანა, სამუშაო ძირა, მოგება და მიწის რენტა, კაბიტალისტური წარმოების დანაწიება და სხვა. თითონ ალ. წულუკიძე ამ წიგნის ბირველ გვერდზე წერდა: „ჩვენი სურვილი იყო, რამდენადც ღონე შეგვეწვდოდა, იდეალ გასაგებად, დაახლოებით გადგვეცა მკითხველთათვის უმთავრესი ეკონომიური პრინ-

ციბები, ის პრინციპები, რომლებიც თეორიულათ საიმედო ნიადგას იძლევა. საერთო მსოფლმხედველობის შესამუშავებლად და მით პრაქტიკულ ცხოვრებაში ხელშეწყობილობას უწევს იდამიანს“. შემდეგ ალ. წულუკიძე განაგრძობდა, თუ ამ „ნაწევრებში“ ცოტათი მანაც ვაუკავია გზა მკითხველს რთული ეკონომიური ურთიერთობის გამოკვლევაში და შეუძლებუქს სხვა უფრო ვრცელი და შემუშავებული პოლიტიკურ-ეკონომიური წიგნების შეგნება, ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება და ჩვენიც ასეთ შედეგს ამ შრომის საუკეთესო ზელოდ ჩავთვლით“ (გვ. 183-184).

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ალ. წულუკიძის შრომა კ. მარქსის „კაბიტალის“ ვარშემო მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიურ ლიტერატურაში შევიდა, როგორც ღრმამეომეოდებოთი, ორავინალური და იდეურად თანმიმდევრული. მან შესანიშნავად გააჩართლა მიზანი, რომელზედაც, როგორც ვნახეთ, ოცნებაბდა ალ. წულუკიძე, ამასთან დაკავშირებით საკმარისი დაგმსახელოთ ის ფაქტი, რომ საქართველოში ალ. წულუკიძის შრომით წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. სტატიაში „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“ მოცემულია ფიზიოკრატების, მეტრანტილიზმისა და ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მარქსისტული შეფასება.

ღრმამეცნიერულობითა და ორიგინლობით ხასიათდება ალ. წულუკიძის ფილოსოფიური შრომა: „ოცნება და სინამდვილე“, რომელიც 1899 წელს დიბეჭდა ვახუთ „კვალში“, ხოლო 1903 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. აქ მოცემულია საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების, აუცილებლობისა და თავისუფლების, ხალხთა მსახებისა და პიროვნების, მოწინავე იდეების, ენის კლასობრივი არსისა და საზოგადოებრივი როლის საკითხი და სხვა პრობლემები, რომლებიც განხილულია საერთოდ ტოქასთან, კერძოდ საქართველოს სინამდვილესთან მჭიდრო კავშირში, ამ ასპექტში მეცნიერულ-პოლიტიკური დამაჯარებლობით

ა. წულუკიძე, „თხზულებანი“, ხაბქოთა ხა-კარიველო“, 1967.

გაერთიანებულია შალთისა ანტიმეცნიერული და მკენებელი შეხედულებები, აგრეთვე სენსიონის, ფურის და ოუენის უტოპიზმი, ლე-როვისა, მიხაილსკისა და მათი ჭარბული მოწოდებების, არჩილ ქორჭაძისა და სხვათა სუბინტელექტური პოზიტივისტური თეორიები. 1898-1900 წელს დაბეჭდილ სტატებში: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, „საუბრაო მკითხველთან“, და „მკითხველის შენიშვნებში“, ალ. წულუკიძე გადმოგვცემს მარქსისტულ მოძღვრების ძირითად პრინციპებს დიალექტიკური მეტოდის შესახებ, საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა, ბაზისის და ზედნაშენის შესახებ, საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა, საზოგადოებრივი ცნობიერებათა წარმოშობისა და მათ ბაზისზე აბსტრაქტი უკონკრეტოებების კანონზომიერებათა შესახებ. ამ მიმართულებით ალ. წულუკიძე მისთვის ჩვეული დამაყრებლობათა და პრინციპულობით აკრიტიკებს ორ მეტაფიზიკურ უკიდურესობას, ეკონომიური მატერიალიზმის შექანაზმს და პოზიტივისტურ-სუბიექტივისტურ იდეალებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია ამ შეხედულებით იმის ძიებას, ჭონდა თუ არა ალ. წულუკიძეს წაკითხული ფრ. ენგელსის წერილი მწერალი ქალი მარგალიტა პარკნისადაც „ტოპიური ხასიათისა და ტიპური გარემოს“ შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ის კოფორტ ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვა საკითხებს, საკითხი ტიპიურობის შესახებ, „ტიპური ხასიათისა და ტიპური გარემოს“ შესახებ, ალ. წულუკიძემ დამოუკიდებლად, მაგრამ მარქსისტულად პირველმა ბრწყინვალედ გადაჭრა საქართველოში.

ასეთვე ორიგინალობითა და ანალიტიკური აზრის სიღრმით ხასიათდება ალ. წულუკიძის სტატები: შეგნებული პროლეტარიატის ბრძოლა, „პაწია შენიშვნები დიდ საკითხზე“, ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები. ამ სტატებში გარჩეულია კლასების წარმოშობისა და კლასთა ბრძოლის პრობლემები, მათ შორის კლასთა ბრძოლის სამი ძირითადი ფორმა და გამოძინიანე მარქსისტულ პრინციპიდან, ცდა კლასის ცნებებს განსაზღვრებისა. ამასთან დაკავშირებით ალ. წულუკიძე ჭერ აღნიშნავს, რომ კ. მარქსმა „კომუნალის“ 52-ე თავში სინჯა მაგრამ ვერ მოასწრო გაეცა სრული პასუხი კითხვაზე — რა არის კლასი, ვინაიდან „უღმობელმა სიკვდილმა უღროოდ გამოგლიჯა ამ შესანიშნავ მოაზრეს კლასი ზედიდან და იქ სადაც გონიერი პასუხი უნდა მოგვესმინა დასმულ კითხვაზე, მტრეველი ენა დაადგმა, მახვილი აზრის მიმდინარეობა შეაჩერა... და მით დააგვიანა კითხვის ნათლად გადაჭრა, მაგრამ გადაჭრა მაინც შესაძლებელი

შეიქმნა; მის მიერ ნაანდერტევი მოძღვრება და კლასიური წინააღმდეგობების ზრდა-განვითარება უაღვილებს მის მეგვიდრეტებს შრომისა და დღეს ჩვენთვის შესაძლებელია ვუპასუხოთ შედგეს კითხვაზე: რა არის კლასი? (ხაზი ჩემი: მ. კ.) (გვ. 291-292).

ალ. წულუკიძე ამ კითხვის დასმის შემდეგ იძლევა კლასის არსის ეკონომიურ-პოლიტიკურ-მარქსისტულ ანალიზს და დასკვნებს: „მასხადამე კლასი კრებულთა იმ ადამიანების, რომლებიც წარმოებაში ერთგვარი მდგომარეობის გამო საერთო ეკონომიური ინტერესებით არიან გასმეკავლები“. (ალ. წულუკიძე, თხზ. გვ. 291-292).

ალ. წულუკიძე იქვე არჩევს საკითხს პროლეტარიატის კლასთა ბრძოლაში კომუნისტური პარტიისა, მისი ცენტრალური კომიტეტისა და ბელადის როლის შესახებ. იქვე მოკლებულია პარტიის წესდებაზე პროგრამაზე და ნაციონალურ საკითხზე ლენინური ხაზის დაცვა, შენიშვნებისა და ნაციონალიზმების დღევანდელის მარქსისტული კრატეკა, ჭეშმარიტების კონკრეტულობის მატერიალისტური დიალექტიკური გაგების დაცვა. ასე მაგალითად შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციიდან ვაზედულთ აკრიტიკებდა რა დედერალიზმების დღევანდელის, რომლებიც შედის მთავრობის პოლიტიკურ ნაციონალურ ავტონომიას მოითხოვდნენ და ამ მოსახრებით კ. კავციის ავტორიტეტსაც იშველებდნენ, ალ. წულუკიძე საპასუხოდ წერდა: „ეაუწყებთ ბ. განს. (გ. რუსხიშვილი მ. კ.) რომ, კავციის მოყვანილი ადგილი სრულიადაც არ არღვევს ჩვენსას, სულ უბრალო მოსახრებით, ის ჩვენს ავტონომიაზე და აჭარ პირობებზე არ ლპარაკობს: მხოლოდ ჩვენ არც ისეთი ბრმა თაყვანისმცემლები ვაზღავართ ავტორიტეტებისა, რომ, თუ ევროპაში კავციამ იქცა, უკრიტიკოთ გაემეფოთოთ. ჩვენთვის ავტონომია და ფედერაცია დღევანდელ პირობებში შეუძლებელია“ (თხზ. გვ. 353)

ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორცაა, ახალგაზრდობის კერძოდ ქართველი ახალგაზრდობის მდელი მორალური პატრიოტული და შრომითი აღზრდა, მეგობრობა, რაინდობა, სიყვარული, ქორწინება და ოჯახის შესახებ, ალ. წულუკიძეს გარჩეული აქვს ლიტერატურულ კრატეკულ წერილებში, სტატიაში „ქართველ სტუდენტების საუერადლებოდ“ და პირად წერილებში თავისიანებთან.

გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ამ ახალგაყოყმაში შევიდა მთელი რიგი დღევანდის უცნობი ნაშრომები.

აი ეს ახალ მიგნებულ ნაშრომები:
 1) „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“ ავტორი აქ ასაბუთებს, რომ კაპიტალიზმის განვითარება თავის დროზე ყველა და მთელი ერისათვის სასარგებლო და პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ ეს პირობითია, და შემდეგ წარმოიშობა ერის შიგნით კლასობრივი ინტერესების შწვავე წინააღმდეგობა. ნაციონალიზმი მოითხოვს რომ პროლეტარიატმა თავისი კლასობრივი ინტერესები დაეთმოს „შობლობურ“ ნაციონალურ ბურჟუაზიას, სოციალიზმი კი პირიქით, იგი მოითხოვს ნაციონალური ინტერესები დემოკრატიულ საერთო პროლეტარულ ბრძოლის ინტერესებს, ვინაიდან ეროვნული გამანათვისებელი მოძრაობა პროლეტარიატის კლასთა ბრძოლის შემადგენელი ნაწილია, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები თავის პროგრამაში შეიცავს ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულ გამანათვისებელი მოძრაობა გაიმარჯვებს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამარჯვებასთან ერთად. ალ. წულუკიძის აზრით კაპიტალიზმის პირობებში ერის შიგნით კლასთა ბრძოლა გარდევია და ამსოლდება, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის, სოციალიზმისათვის ამავე შრომაში ამ ასპექტში ჩვენი ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ზომბარტს, ბერნშტეინს და სხვათა შემარბიებლურ რეფორმისტულ პოზიციებს.

მეორე სტატიაში: „მოლოდინი“, ალ. წულუკიძე მიუთითებს, რომ რუსეთ-იაპონიის ომის მიმე გეონომიურ-პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და ტაქტიკურ, აგრეთვე მიმე მორალურ ვითარებაში, პროლეტარიატსა და ლიბერალებს ორივეს სურდა თავისუფლების მიღწევა, მაგრამ მათ ძირშივე განსხვავებული ორი სხვადასხვა მოლოდინი ქონდათ, ლიბერალები თავისი სანუკვარი სურვილის განხორციელებისათვის „შეფის წყალობისა და „მინისტრის გონიერების“ იმედით „კონსტიტუციის გამოცხობის“ მოლოდინში იყვნენ. პროლეტარიატი კი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისუფლებისათვის, ბრძოლას ელოდებოდა, რათა რევოლუციის გზით ჭერ თვითმპყრობლობა, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიული მთავრობა დაემხო სოციალიზმის დამყარებისათვის.

სტატიაში „ბანკები 31-დეკემბერს“, ალ წულუკიძე ახელს მაშინ მოდურ საბანკეო კომპანიების ფარისეულ თვალმჭიქურ არსსა და ხასიათს, რომელსაც მეფის მთავრობა და ლიბერალური ბურჟუაზია აწუბდა რევოლუციური პროლეტარიატის კეთილშობილურ სა-

ხალხო საქმეთა ჩასახშობად, წულუკიძის ა სტატიაში აღწერილია ერთ-ერთ ბანკებზე სოციალდემოკრატებისა და ლიბერალების შეჯახების შემთხვევა, ამ შეჯახებაში ლიბერალურ სოციალდემოკრატებს გამარჯვების ფაქტი.

ალ წულუკიძის ხუთ სხვადასხვა კორესპონდენციაში, რომელიც რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დიბედა 1901 წელს, მოცემულია მაშინ ბათუმის საქალაქო საბჭოს ბიუროკრატული, ანტიხალხური, თვითნებური და თავხედური მოქმედების მკაცრი კრიტიკა.

კრებულში შეტანილი პირადი წერილი სათაურით: „მოგილოცეთ ახალ წელს და ახალ საუბრებს“, წარმოადგენს ალ. წულუკიძის პატრიოტულ, საქმან და პატივისცემით მიმართვის ცნობილი ქართული მეცნიერისადმი; მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილისადმი:

„პატრონო ალექსანდრე! წერდა წულუკიძე გახოვთ ნება დაგვართოთ თქვენს მიერ შეკრებილი ქართული საბავშვო ზღაპრებიან შეცარჩიოთ ზოგიერთი და გამოეცეთ იგი, სადაც იქნება აღნიშნული, რომ ეს ზღაპრები თქვენს მიერ არის შერჩეული.

საზოგადოდ გახოვთ თქვენი რჩევა და აზრი ზნა-ზნარად მოგაწვდინოთ თქვენი ცოდნითა და გაორკონობით ხელო შეუწყით ამ ახალ, მაგრამ სასარგებლო ქართულ საქმეს, თქვენი შარად პატივისცემის მსურველი ალექსანდრე წულუკიძე“.

(ალ. წულუკიძე თხზ. გვ. 392-394).
 ამ კრებულში პირველად შევიდა 1945 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წულუკიძის თხზულებათა კრებულში გამოქვეყნებული „არსდამ ბათუმის კომიტეტის ფურცლები“, რომელიც წულუკიძის მაღლიან კალამს ეუთუნის. ეს შრომა წარმოადგენს პროლეტარიატისა და პროლეტარული პარტიის პროგრამულ, სტრატეგიულ-ტაქტიკურ ხაზისა და ამოცანების მეცნიერულ დამაყრებელ დასაბუთებას და ორგანიზურ გადმოცემას.

მიუხედავად იმისა, რომ ალ. წულუკიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1876-1905 წლებს, ხოლო მისი შრომები 1897-1905 წლებს ვართუენის და დროში საქმიოდ დაშორებულია ჩვენი სწრაფად წინ მიმავალ სინამდვილისაგან, წულუკიძის ცხოვრება-მოღვაწეობა და შრომები, თავისი შინაარსით საღვთისოდ გვევლინება. ამიტომ ისიც გასაგებია, რომ ახლად გამოსული წიგნი ინტერესს იწვევს და დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველებსა და მეკლავარებს შორის სტრუქტურ-ლენინური თეორიის საეთხების დანუფლებათაში, საქართველოს და ამერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გამარულ და სასახლო ისტორიის შესწავლაში, ქართველ ბოლ-

შედეგების კეთილშობილურ, გმირულ, სახელოვან, შორალური, თეორიული და იდეურ-პოლიტიკური ტრადიციების შესწავლაში, ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკეთების აღზრდაში.

ჩვენ აქ გვინდა შემთხვევით ვისარგებლოთ და განვაცხადოთ, რომ იმავე მიზნით ჩვენს ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ჩვენ ყველას დიდ სარგებლობას მოგვითმის, თუ გამოიყენა ისეთი ქართველ მარქსისტ-ლენინელების შრომები, ზელნაწერები, სიტყვები და მოგონებები, როგორც იყენენ: ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი, მ. ტაროშელიძე, ა. ვნუჭიძე, მ. ორახელაშვილი და სხვები.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ ალ. წულუ-

კიძის თბულეზბათა კრებულის მეორე გამოცემის ის ღირსება, რომ მას დაართულა აქვს პირველ გამოცემასთან შედარებით უფრო ურყეველი „შენიშვნები“ და „სახელთა საძიებელი“, აგრეთვე აქ ბირველადაა მოცემული ალ. წულუკიძის „ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები“. ყოველივე ეს მკითხველებსა და მკვლევარებს დახმარებას გაუწევს მათთვის საჭირო საკითხების სრულყოფილად გაგებასა და დამუშავებაში.

ალ. წულუკიძის თბულეზბათა კრებული გამოვიდა სკკპ ც. კ. არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალისა და საბჭ. კმ. ც. კ. პარტიის ისტორიის ინსტიტუტის ღირებუტორის პროფ. ვ. ნ. მერკვილაძის და დოც. ა. ა. ქუთელიას საერთო რედაქციით.

გაბი კილაზაძის.



637157

ՅՅԵՆ 80 ՅՅՅ.



ИНДЕКС ОБЩЕГО
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»